საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ალექსანდრე კანკაძე, ჯემალ კანკაძე,
მურმან ბლიაძე მზია მოისწრაფიშვილი,
ჯონი შანიძე, ანა წულაია,
ცირა ელგენდერაშვილი

ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი

II ნაწილი

ნ - ჰ

თბილისი
2022 წ.

ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი I-II შეიცავს 7500 ტერმინს მასში ფართოდ არის მოცემული ეკონომიკური, იურიდიული, მექანიკური, ტექნოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა სიტყვათა განმარტებები.

ლექსიკონი დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერ-ეკონომისტებს, ისე პრაქტიკოსებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, ბაკალავრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

„ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ წარმოადგენს ავტორთა სოლიდურ ნაშრომს. იგი აკრეფილია კვალიფიციურად და არ მოიძებნება უზუსტობანი.

„ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ავტორები იმედოვნებენ, რომ ნაშრომი აღიარებული იქნება მომხმარებლების მხრიდან და სიამოვნებით მიიღებენ კორექტიულ მითითებებს შემდგომ გამოცემაში გასათვალის-წინებლად.

სამეცნიერო რედაქტორები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის
დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

გოდერძი ტყეშელაშვილი

პროფესორები: **იოსებ ამანათაშვილი,**

ნოდარ დუმბაძე

რეცენზენტები: 1. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის ტრანსპორტისა
და მანქანათმშენებლობის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი: **ინგა გიგაური**

2. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და
ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორი
ლალი ბოჭორიშვილი

3. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის ბიზნეს
ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის
ადმინისტრირების დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი **ნანა ნადარეიშვილი**

წიგნი განხილულია, მოწონებულია და რეკომენდებულია დასაბეჭდად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქა-ნათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტის სხდომაზე 08.06.2021 წ. ოქმი № 6.

კომპიუტერული უზრუნველყოფა ეთერ ზარიძის

პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“

ISBN 978-9941-9769-4-0

ნ

ნავთობდოლარები – ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის შედეგად მიღებული სახსრები, რომლებიც გატანილია ნავთობმომპოვებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ნავთობზე ხელშემწყობი მსოფლიო კონიუნქტურის მეოხებით სპარსეთის ყურის არაბულმა ქვეყნებმა დამატებით რესურსებად გადააქციეს კაპიტალდაბანდებანი, რომელთა ძირითადი ნაწილი დოლარებით ხორციელდება.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (Organization of petroleum exporting countries – OPEC) – საერთაშორისო ოლიგოპოლიური ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1960 წელს და აერთიანებს „მესამე სამყაროს“ ნავთობის ექსპორტიორ 13 ქვეყანას ესენია: ვენესუელა, საუდის არაბეთი, ალჟირი, ნიგერია, ლიბია, ქუვეითი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ირანი, ერაყი, ეკვადორი, კატარი, გაბონი და ინდონეზია. ორგანიზაციის მთავარი მიზანია ნავთობის მოპოვების კოორდინაცია, ექსპორტიორი ქვეყნებისათვის ნავთობზე ფასისმიერი პოლიტიკისა და წარმოებრივი სტრატეგიის შემუშავება. ამასთან იგი ითვალისწინებს კრედიტების მიცემით არაწევრი განვითარებადი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების გაწევას, როგორც საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარავად, ისე განვითარების პროდუქტების დასაფინანსებლად. ორგანიზაციის გავლენა მკვეთრად დაეცა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც მსოფლიოში გაიზარდა ნავთობის მიწოდება არაწევრი ქვეყნებიდან.

ნაკადურ წარმოებას – უწოდებენ წარმოებას, რომლის დროსაც მატერიალური ნაკეთობის უწყვეტი, რიტმული მოძრაობა ხორციელდება.

ნაკადურ-მასობრივი წარმოება – სტანდარტული პროდუქციის უწყვეტი, რიტმული წარმოება მსხვილი მასშტაბით, მასობრივი წარმოების უმაღლესი ფორმაა. ხორციელდება

ორი ურთიერთშემავსებელი ტექნოლოგიური ფორმით: ავტომატიზაციით და ნაკადურ-კონვეირული წარმოებით.

ნამატი – რომელიც წარმოადგენს სხვაობას აქციონერის მიერ ყოველ აქციაში გადახდილ ფასსა და აქციის ნომინალურ ღირებულებას შორის.

ნარჩენების რეალიზაციის ლოგისტიკა – მიმართულია სხვადასხვა სახის ნარჩენების გადამუშავების სამუშაოების დაგეგმვის, მართვისა და შესრულების საქმიანობისაკენ. ამისათვის აუცილებელია სატრანსპორტო დატვირთვა – განტვირთვის სამუშაოების, სასაწყობო მეურნეობის სპეციალიზებული პროცესების შესრულება სათანადო საინფორმაციო სისტემების გამოყენებით.

ნარჩენების წარმოშობა, რომელიც რეციკლურებადია, ანუ ხელმეორე გადამუშავებას ექვემდებარება. წარმოების ნარ-ჩენები გადამუშავდება ისეთ დონეზე, რომ შესაძლებელი იქნება მათი წარმოშობის ამავე პროცესში, ან სხვა სფე-როში ხელახალი გამოყენება.

ნარჩენების წარმოშობის თავიდან აცილება მიმართულია მასალების მზა პროდუქციად სრული გარდაქმნისაკენ.

ნატურალური მეურნეობა (subsisten economy) – მეურნეობის ტიპი, რომლის დროსაც შრომის პროდუქტები იწარმოება თვითმწარმოებლის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებ-ლად და არა გასაყიდად.

ნატურალურ-ნივთიერი შემადგენლობით მატერიალურ ნაკადებს – ყოფენ ერთასორტიმენტულებად და მრავალ-ასორტიმენტულებად. ასეთი დაყოფა აუცილებელია ვინაიდან ნაკადის ასორტიმენტული შემადგენლობა მნიშვნელოვნად აისახება მასთან მუშაობაში. მაგალითად, ლოჯისტიკური პროცესი საბითუმო სასურსათო ბაზარზე, რომელიც ვაჭრობს ხორცით, თევზით, ბოსტნეულით, ხილითა და ბაკალეით, მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება ლოჯისტიკური პროცესისგან კარტოფილსაცავში, რომელიც მუშაობს ერთი დასახელების ტვირთთან.

ნაფრენი დრო – 1. საერთო დრო აფრენის მიზნით საჰაერო ხომალდის გამწევი ძალის ხარჯზე მოძრაობის დაწყებიდან ფრენის დამთავრებისას მის შეჩერებამდე. ნეტო, ტვირთის წონა შეფუთვის გარეშე; 2. საერთო დრო აფრენის მიზნით საჰაერო ხომალდის გამწევი ძალის ხარჯზე ძრავის გაშვებიდან ფრენის დამთავრებისას მის შეჩერებამდე.

ნაღდი ანგარიშსწორება – ითვალისწინებს მყიდველის (იმპორტიორის) ან მისი ბანკის მიერ საქონლის ან საქონელგანმკარგულებითი დოკუმენტების საკუთრებაში მიღებამდე ან მიღების სანაცვლოდ. საქონლის ფასის გადახდა შეიძლება მოხდეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ.

ნაღდი ბაზარი (spot market) – ბაზარი, სადაც ხორციელდება საქონლით ან ვალუტით ვაჭრობა დაუყოვნებელი მიწოდებით. ასეთი ბაზრები უნდა განვასხვავოთ ფიუჩერსული, ან ფორვარდული ბაზრებისაგან, სადაც იდება კონტრაქტები მომავალში, რომელიღაც თარიღისთვის მიწოდებაზე. საქონლის ბაზარზე ფასებს უწოდებენ „ნაღდ ფასებს“ – „ ნაღდ კურსს“ ან „ სპოტ კურსს“.

ნაღდი სახსრების კოეფიციენტი – განისაზღვრება ნაღდი ფულადი მასის გაყოფით M2 ფულის აგრეგატზე. იგი განსაზღვრავს ნაღდი ფულის წილს ფულად ბრუნვაში.

ნაღდი ფული – ეს აქტივი მოიცავს ფულის ყველა ფორმას, მათ შორის: ნაღდი ფული, მიმდინარე ანგარიში, ფულის ბაზრის ფონდი, ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, მოკლევადიანი დეპოზიტები.

ნაღდი ფულის ემისიას ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკი ახორციელებს, რომელიც ასევე ნაღდი ფულადი მიმოქცევისა და სახაზინო ოპერაციების წესებს განსაზღვრავს.

ნაღდი ფულის მიმოქცევისაგან – განსხვავებით უნაღდო მიმოქცევის არსი ისაა, რომ გადასახადები ხორციელდება კომერციული ბანკების დაწესებულებებში არსებული გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის

(გადაგზავნის) გზით. საწარმოებს შორის ანგარიშსწორება, როგორც წესი, უნაღდო წესით ხორციელდება.

ნაღდი ფულის ნაკადი – მოგებას (გადასახადების დარიცხვამდე) პლუს ამორტიზაცია ეს თანხა მიუთითებს საწარმოს თვითდაფინანსების რეალურ შესაძლებლობებზე. დიდ როლს ასრულებს კრედიტების დაფარვის შესაძლებ-ლობების განხილვისას.

ნაღდი ფულის სახსრების ბაზარი – ბაზარი, სადაც ხდება გარიგების შესრულება მათი დადებიდან არაუგვიანეს ორი დღისა.

ნაყარი და ფხვიერი ტვირთები – ტვირთები, რომელიც გადაი-ზიდება შეფუთვის გარეშე და მიიღება გადაზიდვაზე წონის მიხედვით (მადანი, ნახშირი, მარცვალი და ა.შ.).

ნაყოფიერების დონე დამოკიდებულია არა მხოლოდ ყველა სახის რესურსების გამოყენებაზე, არამედ წარმოებულ პროდუქციაზე (გაწეულ მომსახურებაზე) ჩამოყალიბე-ბული საბაზრო ფასის დონეზეც.

ნაციონალიზაცია – არის სახელმწიფოს მიერ კერძო კომპანიის გამოსყიდვა და იგი სოციალური სტაბილურობის, მასშ-ტაბური ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელების, ეკონომიკის სტრატეგიული და სოციალური მნიშვნელო-ბის დარგებში ბიზნესის ტექნიკური გაუმჯობესების უზრუნველყოფის ინტერესებს შეესაბამება.

ნაწარმოებ ფასიან ქაღალდებს უწოდებენ ფინანსურ ინსტრუ-მენტებს, რომელთა ღირებულებაც დამოკიდებული სხვა აქტივების ღირებულებაზე, როგორიცაა მაგალითად: აქციები, ფასიანი ქაღალდები ფიქსირებული შემოსავლით, უცხოური ვალუტა, ან რაიმე სახის საქონელი.

ნაწილობრივ კონვერტირებადი – ვალუტის სტატუსი გააჩნიათ იმ ქვეყნის ვალუტას, რომელსაც საერთაშორისო ოპერა-ციების გარკვეული ნაწილის წარმოებისათვის შენარჩუ-ნებული აქვს სავალუტო შეზღუდვები.

ნაწილობრივი ანუ მიკროეკონომიკური წონასწორობა ეწოდება ცალკე აღებულ ბაზარზე საქონლის, მომსახურებისა და

რესურსების (წარმოების ფაქტორების) მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობას.

ნახევარფაბრიკატები – ის საგნებია, რომლებმაც წარმოებაში გაიარეს დამუშავების განსაზღვრული სტადია, მაგრამ მზა პროდუქციად ჩამოყალიბებამდე იმავე საწარმოში შემდგომ დამუშავებას საჭიროებენ. მაგალითად, ნართი-სართავ-საქსოვ წარმოებაში, თუჯი – სრული ციკლი მეტალურგიულ ქარხანაში და სხვა.

ნახევარფაბრიკატებს მიეკუთვნება დასრულებული წარმოების პროდუქცია, რომელიც მოითხოვს შემდგომ დამუშავებას და განკუთვნილია სხვა საქონლის შემადგენლობაში ჩასართავად მანამ, სანამ გახდება წარმოების იარაღი ან მოხმარების საგანი.

ნახევრად მისაბმელი – სატრანსპორტო საშუალება ძრავის გარეშე გამოიყენება ტვირთების გადასაზიდად და განკუთვნილია ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან ჩასაბმელად ისეთნაირად, რომ მისი წონისა და დატვირთვის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცეს ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე.

ნდობით აღჭურვილი მმართველი – პირი, რომელსაც მფლობელი (მესაკუთრე) ხელშეკრულებით გასცემს თავის ქონებას ან ქონებრივ უფლებას დროებითი მართვის (სარგებლობის) უფლებით ან განსაზღვრული საქმიანობის მიზნით. მმართველი ამ ქვეყანაში მოქმედებს თავისი სახელით, მაგრამ მესაკუთრე კლიენტის დავალებითა და სახსრებით. იგი მატერიალურად პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის შედეგებზე.

ნებართვა მიწოდებაზე მყიდველის მიერ გაცემული დოკუმენტია, რომელიც იძლევა საქონლის გაგზავნის ნებართვას, გადატვირთვისათვის ტვირთის მზადყოფნის შესახებ, მყიდველისაგან მიღებული შეტყობინების შემდეგ.

ნებაყოფლობითი უმუშევრობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც არ სურთ მუშაობა შეთავაზებულ ხელფასზე, მაგრამ იმუშავებენ, თუკი უმუშევრობა გაიზრდება. გარდა

ამისა არის მოსახლეობის შრომის უნარიანი ნაწილი, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ სურს მუშაობა.

ნებაყოფლობითი ღონისძიებები – ბანკის მენეჯმენტის კეთილი ნება, ადგილზე შემოწმების ან გარე საბანკო ზედამხედველობის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად ღონისძიებების შემუშავებისა და მის კონკრეტულ ვადებში პრაქტიკულად რეალიზაციის მიზნით ვალდებულებების აღება, რომელიც საფუძვლად ედება ბანკის დათქმულ დრომდე ფუნქციონირებას.

ნებისმიერი ბიზნესმენისათვის ცნობილია – 1. ტერმინი „მენეჯმენტი“, რომელიც „მართვის“ ანალოგიურად ითვლება. თუმცა იგი არაა სრულყოფილი, რადგანაც ტერმინი მართვა გამოიყენება მთლიანად ბუნებაში და საზოგადოებაში სხვადასხვა პროცესების ასახვის მიზნით. 2. ტერმინი მენეჯმენტი ინგლისური „მენედჟ“ (manage) სიტყვისაგან წარმოდგება და თავისი შინაარსით „მართვის“ ანალოგიურია. სიტყვა სიტყვით იგი ადრიდანვე დაკავშირებული იყო მოგზაურობასთან. ამასთანვე ტერმინი „მემეჯმენტი“ ინტერპრეტირდებოდა არა როგორც მართვა ფართო გაგებით, არამედ როგორც, ხელმძღვანელობა, საქმის ორგანიზება და საკუთრივ მისი ეკონომიკური მართვა. 3. მენეჯმენტი ეს არის ადამიანთა ჯგუფის კოორდინაცია კონკრეტული მიზნების შესასრულებლად. 4. ტერმინი „მენეჯმენტი“ სხვადასხვა მიმართულებით განიხილება. ერთი როგორც წარმოების პროცესში ადამიანების „მართვა“ და მეორე როგორც მათი ურთიერთდამოკიდებულება. რაც იმის მაჩვენებელია, რომ პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელია ადამიანები წარმოების პროცესში იყვნენ ურთიერთკავშირში.

ნეგატიურები – ადამიანები, რომლებიც არ ცნობენ ჯგუფის პოზიციებს, თუნდაც ამით თვითონვე ზარალობდნენ.

ნეგატიური გეპი, ანუ საპროცენტო განაკვეთებისადმი ვალდებულებების მგრძნობიარობა, მიუთითებს, რომ

დროის მოცემულ პერიოდში, სხვა ფასებში გადასაანგარიშებელ ვალდებულებათა მოცულობა აღემატება სხვა ფასებში გაანგარიშებულ აქტივების მოცულობას. საპროცენტო განაკვეთის ზრდის შემთხვევაში იგი იქონიებს ნეგატიურ გავლენას ბანკის საპროცენტო შემოსავალზე, რადგან ხარჯები საპროცენტო ხასიათის ვალდებულებებზე გაიზრდება უფრო მეტად, ვიდრე აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი. ამავე დროს, საპროცენტო განაკვეთის შემცირებისას, ნეგატიური გეპის შემთხვევაში, ბანკის მოგება გაიზრდება, რადგან საჭირო იქნება უფრო მეტი მოცულობის ვალდებულებათა უფრო დაბალ ფასში გაანგარიშება.

ნეგოციანტი (merchant) – ბითუმად მოვაჭრე კომერსანტი, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობის ოპერაციებში.

ნედლეული არის ის მასალები, რომლებიც უშუალოდ მზა პროდუქციაში გარდაიქმნება და მის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. რომელიმე საწარმოს მზა პროდუქცია შეიძლება იყოს სხვა საწარმოს პროდუქციისათვის ნედლეული.

ნედლი მასალები პროდუქტის დასამზადებლად განკუთვნილი ძირითადი მასალაა, რომელიც მრეწველობის სხვადასხვა დარგში გამოიყენება.

ნეიტრალიზაციის მიზნები – საკრედიტო სისტემის (ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების) დაცვა არაკეთილსასურველი გარე და მაკროეკონომიკური ობიექტებისა და ზემოქმედებისაგან (ეროვნული ვალუტების მხარდაჭერის ღონისძიებები, ანტიინფლაციური ღონისძიებები, ეროვნულ ბაზარზე დასაშვები საგარეო კონკურენტების მკაცრად შერჩევა და მათი საქმიანობის შეზღუდვა.

ნეკროეკონომიკა (necroeconomy, necroeconomics) – ქვეყნის ეკონომიკის ის ნაწილი, რომლის მიერ წარმოებული საქონელი და მომსახურება, ხარისხისა და სიძვირის გამო, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, არაკონკურენტუნარიანია და ფაქტობრივად მათთვის ბაზარი არ

არსებობს. მიუხედვად იმისა, რომ იგი „მკვდარი“ ეკონომიაა, გარკვეულ პირობებში ფუნქციონირებას განაგრძობს.

ნეოგლობალიზმი (neoglobalism) – ამერიკული დოქტრინა, რომელიც ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით, შეიქმნა XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე.

ნეოკეინზიანელობა (neokeynesianism) – ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეკონომიკურ თეორიაში, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე თეორია რომელიც აღმოცენდა XX საუკუნის 50-იან წლებში კეინზიანელობის საფუძველზე და მისი მოდერნიზებული ფორმაა. ნეოკეინზიანელებმა (დომარი, კალუდორი, ჰაროდი, ფელნერი, რობინსონი, ჰამბერგი, ჰანსენი და სხვ.) კეინზის თეორია გამოიყენეს, როგორც პლაცდარმი მეთოდოლოგიური საფუძველი ახალი პროცესების ანალიზისათვის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების დასაბუთებისათვის. კეინზის თეორიაზე დაყრდნობით და ამავე დროს, მისი კრიტიკით, მათ შექმნეს სრულიად ახალი კონცეფცია. ნეოკეინზიანელები ასაბუთებენ იმ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ცენტრალიზებული კოორდინაციის აუცილებლობას, რომლებიც ეკონომიკის გრძელვადიანი „დაგეგმვის“ საფუძველზე ზემოქმედებას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. საქმე ეხება ინდიკატურ დაგეგმვას, რომელიც არ ზღუდავს კერძო კაპიტალის სუვერენულ უფლებებს. ნეოკეინზიანელები დინამიკური წონასწორობის პირობად ეროვნული შემოსავლის მატების მყარ ტემპს მიიჩნევენ, ხოლო ეროვნული შემოსავლის ზრდას მხოლოდ კაპიტალის დაგროვების ფუნქციაში ხედავენ, დანარჩენ ფაქტორებს კი (დასაქმების გადიდებას მოწყობილობათა გამოყენების ხარისხს, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას და სხვ.) მთლიანად გამორიცხავენ.

ნეოკეინზიანელობა უპირისპირდება ნეოკლასიკურ მიმართულებას: პირველი ყურადღებას ამახვილებს მოთხოვნაზე, მეორე მიწოდებაზე. ნეოკეინზიანელები მოითხოვენ ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ფაქტორების სტიმულირებას სახელმწიფო ხარჯების გადიდების საფუძველზე, ხოლო ნეოკლასიკოსები, პირიქით, სახელმწიფო სახსრების ეკონომიის აუცილებლობაზე მიუთითებენ და ხაზს უსვამენ ინტენსიური ფაქტორების მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებაში. ეკონომიკის სტაბილიზაციაში ნეოკეინზიანელები უპირატესობას ანიჭებენ საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენებას ხოლო ნეოკლასიკოსები ფულად-საკრედიტო სისტემას.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია (neoclassic economic theory) – ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება წარმოიშვა XIX საუკუნის 70-იან წლებში. მის სათავეებთან იდგნენ კ.მერგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი (ავსტრიული სკოლა), ჟ. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ვ. პარეტო (მათემატიკური სკოლა). ნეოკლასიკურმა მიმართულებამ დასრულებული სახე, ა. მარშალის (კემბრიჯის სკოლა) ნაშრომებში მიიღო. მისი თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი (დიდი ბრიტანეთი), რ. სოლოუ, მ. ბრაუნი (აშშ) და სხვები.

ნეოკლასიკური ეკონომიის თეორია ეყრდნობა XX საუკუნის მარჟინალიზმის ძირითად მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. იგი წარმოიშვა, პირველ ყოვლისა, შრომითი ღირებულების თეორიის კრიტიკული გადასინჯვის საფუძველზე. ავსტრიული და მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ჯ. ბ. კლარკმა დასაბამი მისცეს ზღვრული სარგებლიანობის თეორიას. პირველი ეკონომიკურ მათემატიკური მოდელი, რომელშიც ზღვრული სარგებლიანობა ფასის ერთადერთ საფუძვლად არის მიჩნეული, შექმნა ჯევონსმა. მოგვიანებით ეს კონცეფცია განავითარა ვალრასმა საყოველთაო ეკონომი-

კური წონასწორობის მოდელის ასაგებად. ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ზოგადმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება პოვა კლარკის ზღვრული მწარმოებლურობის თეორიაში.

ნეოკლასიკურ თეორიას სერიოზული დარტყმა მიაყენა კეინზიანელობის კრიტიკისა და ეკონომიკაში წარმოქმნილი ახალი მოთხოვნილებების გავლენით, ნეოკლასიკური მიმართულებების მიმდევრებმა გადასინჯეს ზოგიერთ ძველი კონცეფცია და ნაწილობრივ შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. ისინი აღიარებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას საბაზრო ძალების თავისუფალი მოქმედების უზრუნველყოფისათვის. ამასთან, ნეოკლასიკური მიმართულების თანამედროვე წარმომადგენლებიც კეინზიანელებისაგან განსხვავებით, უარყოფენ სახელმწიფო კონტროლს კვლავწარმოების პროცესებისადმი, განსაკუთრებით სახელმწიფო ხარჯების ზრდისადმი და მოითხოვენ ეკონომიკაში ჩარევის შემოფარგვლას რეგულირების ფულად-საკრედიტო ფორმებით.

უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკის რეგულირების კეინზიანური მოდელის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ გაილაშქრა ნეოკლასიკური მიმართულების ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ნაირსახეობამ – მონეტარიზმმა. მისი მთავარი წარმომადგენელია ამერიკელი ეკონომისტი მ. ფრიდმენი. ამ მიმართულებას დასავლეთში „ფრიდმენის ანტიკეიზიანურ რევოლუციასაც“ კი უწოდებენ. მონოტარისტები ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ფულად სფეროს ანიჭებენ, მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარ პირობად ითვლიან მიმოქცევაში ფულადი მასის მყარ ზრდას წლიურად 3-5%-ის ფარგლებში და მოითხოვენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ყველა ფორმის მკვეთრ შეზღუდვას.

არსებითი ევოლუცია განიცადა ზღვრული სარგებლიანობის თეორიამ. ფასწარმოქმნის პროცესების ანალიზის

აუცილებლობამ მის წარმომადგენლებს უკარნახა, უარეყოთ ამ პროცესების ახსნა მხოლოდ სარგებლიანობის სუბიექ-ტური ფაქტორის საფუძველზე. ამის შედეგად ყურადღების ცენტრმა სარგებლიანობიდან ფასწარმოქმნის ფაქტორების კომპლექსზე გადაინაცვლა. ამაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ა. მარშალმა. მან კვლევის ცენტრში მოაქცია ფასების ფორმირება სხვადასხვა ბაზარზე მოთ-ხოვნისა და მიწოდებითი ურთიერთმოქმედების გავლენით. ამასთან, იგი იმ აზრის იყო, რომ სარგებლიანობა ფასების განსაზღვრაში შეიძლება მთავარ როლს ასრულებდეს დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ ხანგრძლივი პერიოდი-სათვის უპირველეს მნიშვნელობას იძენს წარმოების დანახარჯებში.

მარშალის მოძღვრებიდან იღებს სათავეს აგრეთვე თანამედროვე ნეოკლასიკური მიმართულების ორი განშ-ტოება – ფირმის თეორია და კეთილდღეობის თეორია. ზღვრული სარგებლიანობის თეორია არსებითად სამომხ-მარებლო არჩევანის თეორიაში გადაიზარდა, ამასთან, ამოსავალმა დებულებებმა კარდინალური ცვლილებები განიცადა.

ნეოკლასიკური პრინციპების რეალიზაციის ახალი სფერო ტექნოლოგიური ცვლილებების ანუ ტექნიკური პროგრე-სის თეორია გახადა. ამ თეორიის მიმდევარნი (რ. სოლოუ, მ. ბრაუნი, და სხვ.) ეკონომიკაში მიმდინარე ტექნიკურ ცვლილებებს წარმოებრივი ფუნქციების პარამეტრების ცვლილებებს უკავშირებენ. ნეოკლასიკურმა მიმართულე-ბამ, კეინზიანელობასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა „ნეოკლასიკურ სინთეზს“, რომელმაც ფართო განვითარება პოვა ეკონომიკური ზრდის თეორიაში.

ნეოკლასიკური სინთეზი (neoclassical synthesys) – კეინზიანური და ნეოკლასიკური შეხედულებების თავისებური სინთე-ზი ანუ როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდ-გომების მნიშვნელოვანი ელემენტების გათვალისწინება სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში. ნეოკლა-

სიკური სინთეზი მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის კონცეფციას აერთიანებს ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბებული ფასწარმოქმნისა და შემოსავლის განაწილების ზოგად კონცეფციასთან. იგი გულისხმობს ეკონომიკური დაცემის პირობებში მოთხოვნის რეგულირების კეინზიანური მეთოდების გამოყენებას და პირიქით, საწარმოო სიმძლავრეებისა და სამუშაო ძალის არსებული რეზერვების ამოწურვისას წარმოებრივი პოტენციალის ზრდის ყოველმხრივ სტიმულირებას. ნეოკლასიკური სინთეზი წინა პლანზე ორ ჯგუფს აყენებს: ეკონომიკის დინამიკური (მდგრადი) წონასწორობისა და პოტენციური შესაძლებლობების ზრდის პრობლემებს, რომელთა გადაჭრაში მაკროეკონომიკურ პროპორციებს განმსაზღვრელ როლს ანიჭებს.

უკანასკნელ პერიოდში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მაკროეკონომიკური რეგულირების „ტრადიციულმა მოდელმა“ არსებითი ცვლილებები განიცადა. გამოიკვეთა საბაზრო სისტემის განვითარების ახალი მიმართულებები, რომლებიც ატარებენ არა კონიუნქტორული, არამედ გრძელვადიან ტენდენციების ხასიათს. XX საუკუნის 80-იან წლებში მათ ეკონომიკურ განვითარებას საფუძვლად დაედო „ნეოკლასიკური სინთეზი“ რომელიც ერთ ათეულ წელზე მეტ ხანს გამოიყენებოდა წარმატებით ამ ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ნეოპროტექციონიზმი – განვითარებულ სახელმწიფოთა მიერ საშინაო ბაზრის დაცვის სისტემა განვითარებადი ქვეყნების პროდუქციაზე არა სატარიფო შეზღუდვათა შემოღების გზით (სანიტარული, ეკოლოგიური, სტანდარტები, კვოტირება და ლიცენზირება).

ნეტო – ტვირთის წონა შეფუთვის გარეშე.

ნეტო-ბალანსი (trade balance) – ექსპორტისა და იმპორტის ტოლობის ამსახველი ბალანსი.

ნივთის სახმარი ღირებულებაა მისი სარგებლიანობა, ანუ თვისება დააკმაყოფილოს ადამიანის გარკვეული მოთხოვნილება.

ნიმუშების მუდმივი გამოფენები ჩვეულებრივ ეწყობა დიპლომატიურ საკონსულოებში ან უცხოეთში არსებული სხვა წარმომადგენლობებში. მათი მიზანია უცხოელი მყიდველისათვის სამამულო საექსპორტო პროდუქციის ნიმუშების გაცნობა.

ნიუ-იორკის საკრილინგო პალატების ასოციაცია – ახორციელებს დოლარული თანხების გადაგზავნასა და მიღებას იმ ადგილობრივი და უცხოური ბანკებისათვის, რომელთა ოფისი განლაგებულია ნიუ-იორკ სიტიში.

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა (New York stock excha_nge) – აშშ-ის მთავარი საფონდო ბაზარი, სადაც 1000-ზე მეტი დასახელების ფასიანი ქაღალდის კოტირება ხდება.

ნიჭი და მიდრეკილება – ნიჭი და მიდრეკილება მჭიდროდ არის დაკავშირებული უნართან. მიდრეკილება რომელიმე კონკრეტული სამუშაოს შესრულებისადმი ადამიანის პოტენციალის გამოხატულებაა. მიდრეკილება და ნიჭიერება როგორც მემკვიდრეობითი თვისებებისა და შეძენილი გამოცდილების შერწყმის შედეგი, ტალანტის სახით გამოვლინდება. ნიჭიერება განსაკუთრებით სპორტსა და ხელოვნებაში ვლინდება. მიდრეკილება აადვილებს კონკრეტული სამუშაოს ეფექტიანად შესრულების უნარის შეძენას.

ნიჭიერება – ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს პიროვნების განსაკუთრებულ წარმატებულ საქმიანობას. როგორც წესი, იგი გამოვლინდება საქმიანობის რომელიმე მხარის სრულყოფით და გაუმჯობესებით.

ნოვატორები – ახალი ტექნოლოგიების ენთუზიასტები, რომლებსაც გააჩნიათ მიდრეკილება ავანტიურიზმისაკენ და მზად არიან წავიდნენ რისკზე, რომ მოხდეს ახალი საქონლის აპრობირება და თვითონ გაერკვნენ ყველაფერში.

ნოვაცია – 1. (ლათ. Novation - ცვლილება, განახლება) წარმოადგენს ადრე არარსებულ რაიმე სიახლეს. იგი აღნიშნავს

მხარეთა შეთანხმებას მათ მიერ ადრე დათქმული ერთი ვალდებულების მეორით შეცვლას. 2. ძველი ვალდებულების ან კონტრაქტის შეცვლა ახლით. ფინანსურ სფეროში მოქმედი ინოვაცია ფინანსური ინოვაციაა. ფინანსურ ინოვაციების ერთ ნაწილს ბანკები ქმნიან საბაკო პროდუქტის ან ოპერაციის (ტექნოლოგიის) სახით. ესაა საბანკო ინოვაცია. საბანკო ინოვაცია არის ბანკის ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც ახალი საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის ფორმით რეალიზდება. 3. (novation) [ლათ. novatio განახლება, შეცვლა] - ვალდებულების გაუქმება, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მისი ახალი ვალდებულებით შეცვლის გზით.

ნომენკლატურული მეთოდისას – მომსახურეთა რაოდენობის განსაზღვრა ემყარება ორგანიზაციის საქმიანობის გეგმებს, მართვის ქვედანაყოფების სტრუქტურას, თანამდებობათა რიცხვს და ნომენკლატურას. თანამდებობათა ნომენკლატურაში ასახულია სპეციალისტის კვალიფიკაციის დონე და პროფილი, რომელმაც საშტატო განრიგის მიხედვით უნდა დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა. აქედან გამომდინარე, საშტატო განრიგი ასახავს პერსონალის რაოდენობრივ მხარეს, ხოლო ნომენკლატურა – ხარისხობრივს.

ნომინალურსაპროცენტო განაკვეთს ვალდებულებებზე უწოდებენ მსესხებლის მიერ კრედიტისათვის შეპირობებულ შემოსავლიანობას.

ნომინალური გაცვლითი კურსი (nominal exchange rate) – თანაფარდობა, ეროვნული და უცხოური ვალუტების ერთეულების რაოდენობას შორის, რომლის საფუძველზეც ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს როგორც ფიქსირებული, ისე მცურავი კურსის მიხედვით.

ნომინალური მოგება (nominal projit) – მინიმალური მოგება, რომელიც უნდა მიიღოს ფირმამ საქმიანობის გასაგრძელებლად. თუ მთლიანი ამონაგები უბრალოდ ფარავს ყველა ალტერნატიულ დანახარჯს, ადგილი აქვს მოგების

ნულოვან დონეს. ნორმალური მოგებისაგან განასხვავებენ ზენორმალურ მოგებას.

ნომინალური ფასი (nominal price) – პირობითი ფასი, რომელიც განისაზღვრება საბირჟო ვაჭრობის ცენტრებში ინფორმაციის არქონის შემთხვევაში რეალურ გარიგებებზე გამყიდველთა დაუკმაყოფილებელი მიწოდების ან მყიდველთა მოთხოვნის მონაცემების შეფასების საფუძველზე.

ნომინალური ღირებულება (nominal cost) – ღირებულება, რომელიც მითითებულია ფასიან ქაღალდებზე, ქაღალდის ფულზე, ბანკნოტებზე, მონეტებზე.

ნომინალური ღუზა (nominal „anchor") – მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრულ დონეზე ფიქსირდება. სტაბილიზაციის პროგრამების განხორციელებისას ნომინალური „ღუზის" სახით ხშირად გამოიყენება ფიქსირებული ვალუტის კურსი.

ნომინალური ცვლადები (nominal varabfes) – ფულადი ერთეულებით გაზომილი სიდიდეები.

ნომინალური ხელფასი (nominal wage) – ხელფასი ფულად გამოხატულებაში.

ნონკონფორმისტები – ადამიანები, რომლებიც ეთანხმებიან ჯგუფის პოზიციებს, მაგრამ წინააღმდეგ გამოდიან გარე ფაქტორების გამო.

ნორმალური კარიერაში – იგულისხმება თანამდებობრივი იერარქიის საფუძველზე ადამიანის თანდათანობითი დაწინაურება, მისი მუდმივად მზარდი პროფესიული გამოცდილებისა და დაოსტატების საფუძველზე.

ნორმალური საქონელი (nomal good) – საქონელი, რომელზეც სხვა თანაბარ პირობებში, მოთხოვნა იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად.

ნორმატივი – ლათინურად მოწესრიგებას ნიშნავს. პროდუქციის ერთეულზე (ან სხვა) ნედლეულის, მასალების, ენერგიის და სხვა სახის რესურსების დანახარჯების ნორმა, რომელიც წინასწარ არის დადგენილი.

ნორმატიული დანაკარგი არის გარდაუვალი დანაკარგი. მისი რაიმე მიზნით გამოყენება შეუძლებელია და არ გაიყიდება.

ნორმატიული დანახარჯი წარმოადგენს გარკვეული პირობების გათვალისწინებით, დანახარჯების დადგენილ რაოდენობას, ფულად ფორმაში. იგი ეფუძნება დანახარჯთა ელემენტების მიხედვით დადგენილ კონკრეტულ ნორმებს.

ნორმატიული ეკონომიკური თეორია (normative economics) – ეკონომიკური თეორიის ნაწილი, ეკონომიკური ანალიზის ის ტიპი, რომელიც შეისწავლის, რამდენად ეფექტიანია ესა თუ ის ეკონომიკური პირობები და პოლიტიკა, უპასუხებს კითხვას - „რა უნდა იყოს?“ და არა - „რა არის?“ ნორმატიული ეკონომიკური თეორია იძლევა სამომავლო რეკომენდაციებს. იგი პრინციპულად განსხვავდება პოზიტიური ეკონომიკური თეორიისაგან, რომელიც სწავლობს ეკონომიკას ისეთს, როგორიც არის ფაქტობრივად. ნორმატიული ეკონომიკური თეორია ეყრდნობა პოზიტიურ ეკონომიკურ თეორიას და ფაქტებზე დაყრდნობით უპასუხებს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: ვინ უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილები – საზოგადოებრივმა სექტორმა თუ კერძო სექტორმა (ბიზნესმა)? რა გზით უნდა შემცირდეს საბიუჯეტო დეფიციტი – მაღალი ბეგარის შემოღებით თუ სახელმწიფო ხარჯების შემცირებით?

ნორმატიული მოდელი დაფუძნებულია იმაზე, რომ ცენტრალური ბანკი წარმოადგენს ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკის რეგულირების წესის ორგანულ ნაწილს. იგი გვევლინება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ეროვნული სისტემის ცენტრალურ ინსტიტუტად, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ფულის ერთეულის სტაბილურობას.

ნორმატიული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯი უდრის გეგმიური წარმოების საფუძველზე, ნორმატიული საათებისა და საათობრივი ტარიფის ნამრავლს.

ნორმატიული შრომითი დანახარჯების საერთო გადახრა, გამოითვლება როგორც სხვაობა, ფაქტიურად გამოშვე-

ბული პროდუქციის შრომით დანახარჯებსა და ფაქტიურად გამოშვებულ პროდუქციაზე გაანგარიშებულ ნორმატიულ შრომით ხარჯებს შორის.

ნორმატიული შრომითი დანახარჯი უდრის ნორმირებული დროის (საათების) რაოდენობისა და საათობრივი ნორმირებული ანაზღაურების ნამრავლს.

ნორმატიული ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯი უდრის პროდუქციის ერთეულის დასამზადებლად საჭირო შრომა/საათი ან მანქანა/საათი გამრავლებული საათობრივ ტარიფზე.

ნორმები მასალებზე – დგინდება პროდუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე და განისაზღვრება ყოველი ოპერაციისათვის საჭირო მასალების რაოდენობის დეტალური გამოკვლევით. ასეთი გამოკვლევის შედეგად ადგენენ, ხარისხიანი პროდუქციის დასამზადებლად რომელი სახის მასალებია უფრო მისაღები. ამასთან, ნატურალურ ერთეულებში განისაზღვრება გამოსაყენებელი მასალების ხარჯვის ნორმა პროდუქციის ერთეულზე და გარდაუვალი დანახარჯების სიდედე.

ნოსტრის ტიპის ანგარიშებს რომელიმე ბანკი ხსნის კორესპოდენტ ბანკებში.

ნოტისი – გემთმფლობელის მიერ დამფრახტველის შეტყობინება და დატვირთვა-განტვირთვის პორტი გემის შესწავლის სავარაუდო დროის შესახებ. ნოტისის მიწოდების ვადა მოსვლის შესახებ აღნიშნულია საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებაში. გარდა ამისა, ნოტისი – ესაა კაპიტნის განცხადება გემის მზადყოფნის შესახებ სატვირთო სამუშაოებისათვის (ნოტისი მზადყოფნის შესახებ).

ნოუ-ჰაუ – 1. უპატენტო სამეცნიერო - ტექნიკური მიღწევა და კონფიდენციალური ხასიათის საწარმოო გამოცდილება. 2.(Know-how) [ინგლ. Know-how ვიცი როგორ) – წარმოების საიდუმლოებათა ამსახველი განზოგადებული ტერმინი, მთლიანად ან ნაწილობრივ კონფიდენციალური (საიდუმლოდ გასანდობი) ცოდნის, ტექნოლოგიური, ეკონომიკუ-

რი, ადმინისტრაციული, ფინანსური ხასიათის ცნობების ერთობლიობა, რომელთა გამოყენება განსაზღვრულ უპირატესობებს ანიჭებს მათ მიმღებ პიროვნებას თუ ფირმას. „ნოუ-ჰაუ“ დაუპატენტებელი ლიცენზიაა. უფლებრივი დაცვის არქონამ განსაზღვრა „ნოუ-ჰაუს“ ხელშეკრულების სპეციფიკა, რომელიც შეიცავს სპეციალურ პუნქტს გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის და მისი დარღვევის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების შესახებ. „ნოუ-ჰაუ“ (ისევე როგორც ლიცენზია) არის რეალიზაცია წარმოებრივი დანიშნულების არაკვლავწარმოებადი ცოდნისა, რომელსაც ფლობს გამყიდველთა შეზღუდული რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება არა ცოდნის გამოყენების უზრუნველყოფისათვის გაწეული მომსახურება, არამედ თვით ცოდნა, როგორც მონოპოლური საქონელი. ამის შედეგად, „ნოუ-ჰაუს“ ფასი მონოპოლიურია და განისაზღვრება მასზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით.

ნოუ-ჰაუ – ფირმის საკუთრებაში მყოფი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნა, ან კომპანიის ძირითადი საქმიანი უნარები.

ნოუ-ჰაუს ტექნიკურ-ეკონომიკურ ცოდნათა ერთობლიობა – პროდუქციის დამზადების საიდუმლოება, გამოგონებები, ახალი მეთოდები, იდეები და სხვა. „ნოუ-ჰაუ“ შეიძლება გაფორმდეს ტექნიკური დოკუმენტაციის ფორმით, საწარმოო გამოცდილების სახით. იგი ფირმის საკუთრებაა და მისი გამოყენების უფლება ყიდვა-გაყიდვის საგანია.

ნულოვანკუპონიანი სვოპი – ნულოვანი კუპონი აღნიშნავს კუპონური შემოსავლის უქონლობას. ფასიან ქაღალდზე შემოსავალი ამ დროს იქნება არა მის ნომინალურ ღირებულებაზე დარიცხული პროცენტების ხარჯზე, არამედ ამ ღირებულებიდან ფასჩამოკლების (დისკონტის) ხარჯზე ნომინალური ღირებულებით, ფასიანი ქაღალდის დაფარვის ან გაყიდვის დროს.

ნულოვანკუპონიანი სვოპის არსი ის არის, რომ უკუპონო ობლიგაციის ემიტენტს შეუძლია ფიქსირებული შემოსავლის გაცვლა მცურავ-საპროცენტო განაკვეთზე იმავდროულად საპროცენტო სვოპისა და ყოველწლიურად შებრუნებითი გადახდის გზით.

ნუმიზმატი – (numismatist) [ლათ. numisma მონეტა] - პირი რომელიც მისდევს ნუმიზმატიკას. მონეტებისა და მედლების შემგროვებელი ან მცოდნე.

ნუმიზმატიკა – (numismatics) [ლათ. numisma მონეტა] - მონეტების შემსწავლელი დამხმარე ისტორიული დისციპლინა. ნუმიზმატიკაში შედის ბონისტიკა, აგრეთვე მედლების, ორდენების, ჟეტონებისა და ა.შ. შესწავლა.

ო

ობიექტი (ლათ. საგანი) – 1. მატერიალური სინამდვილე; 2. მოვლენა, საგანი, პირი; 3. საწარმო და ა. შ. ყოველივე ის, რაც არის საქმიანობის საგანი.

ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება – ბაზრის კონიუნქტურა, ამორტიზაციული ანარიცხების ნორმები, საგადასახადო სისტემის პარამეტრები, რესურსებზე ფასების დონე.

ობლიგაცია – 1. განსაზღვრული ვადით გამოშვებული მყარი კურსის მქონე ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს მითითებულ დროში სესხის დაფარვისა და პროცენტის ყოველწლიური გადახდის ვალდებულებას. საგადასახადო ვალდებულება რომლის მიხედვითაც კრედიტორი ყოველწლიურად იღებს შემოსავალს ფიქსირებული პროცენტის სახით. ობლიგაციებს უშვებენ სახელმწიფო და აქციონერთა საზოგადოებები. 2. ფიქციური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმა; 3. ვალდებულება, ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახე. მისი თავისებურებაა ის, რომ წინასწარ ცნობილია სარგებლის (პროცენტის) სიდიდე; 4; (bond) [ლათ obligation – ვალდებულება] – განსაზღვრული ვადით გამოშვებული მყარი კურსის მქონე ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს

მითითებულ დროში სესხის დაფარვისა და პროცენტის ყოველწლიური გადახდის ვალდებულებას. საგადასახადო ვალდებულება, რომლის მიხედვითაც კრედიტორი ყოველწლიურად იღებს შემოსავალს ფიქსირებული პროცენტის სახით. ობლიგაციებს უშვებენ სახელმწიფო და აქციონერთა საზოგადოებები; 5. ფიქტიური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმა. 6. ობლიგაცია (სავალო ვალდებულება) არის კომპანიის მიერ სესხის წერილობითი დადასტურება, რომელიც ჩვეულებრივ შეიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდის პირობებს; 7. არის სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც დროის განსაზღვრული დროის განმავლობაში პერიოდული გადახდების გარანტიას იძლევა; 8. არის სესხის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც უშვებს სახელმწიფო ან კორპორაცია (სააქციო საზოგადოება). ობლიგაცია ემიტენტის ვალდებულებაა გარკვეული თანხის პროცენტობით გადახდის შესახებ ობლიგაცია ისეთი საგადასახადო ვალდებულებაა, რომლის მიხედვითაც კრედიტორი ყოველწლიურად ღებულობს შემოსავალს ფიქსირებული პროცენტის სახით. ყოველ ობლიგაციას აქვს გარკვეული ღირსება – ნომინალური ღირებულება (ფასი).

ობლიგაციებით (სავალო ვალდებულებებით) ვაჭრობა ხდება საფონდო ბირჟაზე ისევე, როგორც ჩვეულებრივი აქციებით და შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი. სავალო ვალდებულება უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს რომელიმე სახის აქტივით. აგრეთვე შეიძლება იყოს გამოსყიდვადი ან არაგამოსყიდვადი.

ობლიგაციათა ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობის ამსახველი მოთხოვნისა და მოწოდების გრაფიკების ანალიზს სასესხო საშუალებათა ბაზრის მოდელებს უწოდებენ.

ობლიგაციების დავალიანება – ზოგიერთი დიდი კომპანია დაფინანსების გასაზრდელად ან სხვა მიზნებისათვის ობლიგაციებს გასცემს. ობლიგაციები არის ფული, რომელიც

კომპანიას მართებს ფიზიკური პირის ან სხვა ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც იყიდა ობლიგაციები, როგორც ინვესტიცია.

ობლიგაციის ნომინალური ღირებულება. ეს ის თანხაა, რომელიც ემიტენტმა თავდაპირველად გამოყო იმისთვის რაც მომავალში უნდა იქნეს გადახდილი.

ოვერდრაფტთან კონტოკორენტის შეხამების ოპერაცია. ოპერაციის შინაარსი მდგომარეობს მათ ერთდროულად გამოყენებაში ფულის გადახდის დროს. განსაკუთრებით - სავალუტო ანგარიშსწორებისას, როდესაც გადახდის საკონტაქტო ვადის დადგომაზე ადრე მფლობელის ანგარიშზე შემოსვლას იწყებს ფულადი სახსრები (მათ შორის ვალუტა), მათ ჩარიცხვას კონტოკორენტულ ანგარიშზე ახდენენ ხოლმე. თუ ფულის გადახდის ვადა დგება ფულის შემოსვლის ვადაზე ადრე, მაშინ ინვესტორბანკის ოვერდრაფტს იყენებს. ოვერდრაფტის კრედიტი და მისი პროცენტები ბანკს დაუბრუნდება მფლობელის ანგარიშზე ფულის შემოსვლის მომენტში.

ოვერდრაფტი (overdraft) – 1. მოკლევადიანი კრედიტი, რომელსაც ბანკი აწოდებს საიმედო კლიენტს წინასწარ დათქმული ფულის ფარგლებში; 2. არის მოკლევადიანი დაკრედიტების ფორმა, რომლითაც ბანკი კლიენტს აძლევს უფლებას, მისი ანგარიშსწორების ანგარიშზე რიცხული ნაშთების გადამეტებით განახორციელოს გადახდები, ანუ ბანკი უშვებს კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სადებეტო (უარყოფითი) სალდოს არსებობას, ოვერდრაფტის შესახებ ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების (თანხობრივი მოცულობა, დაფარვის ვადა და საპროცენტო განაკვეთი) გათვალისწინებით; 3. საბანკო დაკრედიტების სისტემა, პირველად გამოყენებული შოტლანდიური ბანკების მიერ, რომლის მიხედვითაც მსესხებელს ეძლევა უფლება, გამოიწეროს ჩეკი თავისი საბანკო ანგარიშის ბალანსის ზემოთ რიცხული თანხიდან სპეციალურ შეთანხმებულ ოდენობამდე

და გადაიხადოს ყოველდღიური პროცენტი ამ თანხიდან. ბანკს შეუძლია მოითხოვოს ან არ მოითხოვოს კრედიტის უზრუნველყოფა.

ოკტრუა – (ფრანგ. octroi) შუა საუკუნეების საფრანგეთში ფეოდალის ან ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული საბაჟო გამოსაღები. XVI-XVII სს-ში მონოპოლიური სავაჭრო კომპანიების პრივილეგიები, შემდგომ საფრანგეთის ცალკეულ ქალაქებში და ზოგიერთ ქვეყანაში გამოსაღები ზოგიერთ შემოზიდულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე.

ოლიგარქია (ბერძ. მცირე ძალაუფლება) – მცირერიცხოვანი წარმომადგენლების პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა. ასევე თვით ჯგუფი. მაგალითად ფინანსური ოლიგარქია.

ოლიგოპოლია – (Oligopoly) [ბერძნული Oligos - მცირე, უმნიშვნელო Poleo ვყიდი] – 1. ეკონომიკის ერთ რომელიმე დარგში რამდენიმე მსხვილი ფირმის ბატონობა; 2. ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ბაზარზე რამდენიმე მწარმოებელი (გამყიდველი) და მრავალი მომხმარებელია (მყიდველია). თუ ბაზარზე რამდენიმე გამყიდველი და რამდენიმე მყიდველია, მაშინ საქმე გვაქვს ორმხრივ ოლიგოპოლიასთან. საპირისპიროა – ოლიგოპსონია; 3. მცირერიცხოვანი უმსხვილესი ფორმების, კომპანიების ბატონობა წარმოებასა და ბაზარზე. ოლიგოპოლიის თეორიის თანახმად ეკონომიკის თითოეულ დარგში ბატონობს არა ერთი, არამედ რამდენიმე უმსხვილესი კომპანია; 4. როგორც მონოპოლიის სახეობა მაშინ ჩნდება, როდესაც პროდუქციის მოპოვების, წარმოების ან გაყიდვის უფლება მონაწილეთა მცირე რაოდენობას ეკუთვნის. ესაა თავისებური კოლექტიური მონოპოლია, რომელიც გაერთიანებისკენ მიისწრაფვის ბაზრის ერთობლივად დაუფლების მიზნით. ნაწილობრივი ოლიგოპოლია შუალედური საფეხურია.

ოლიგოპსონია (oligopsony) – ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ბაზარზე რამდენიმე მყიდველი და მრავალი გამყიდველია. საპირისპიროა - ოლიგოპოლია.

ომოლოგაცია (omologation) – ბაზრის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის შემოწმება, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი და შეფასება. პროდუქციის შეფასება ხდება მისი ძირითადი პარამეტრების – ხარისხის, ფასის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და ა.შ. მიხედვით. ომოლოგაცია ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით, საქონლის საცდელი პარტიების რეალიზაციით, პოტენციური მყიდველების გამოკითხვით, სპეციალისტთა საექსპორტო შემოწმების საფუძველზე და სხვ. მსხვილი ფირმები ომოლოგაციის ჩასატარებლად იყენებენ თავიანთი დისტრიბუტორების ქსელს.

ონკოლური სახსრები (call money) – კრედიტი მოთხოვნამდე ანუ კრედიტორს ყოველ მომენტში შეუძლია მოითხოვოს ვალის დაფარვა.

ონლაინ ტექნოლოგიები – შეტყობინების კომუნიკაციის საშუალებები ფიჭურ საინფორმაციო სივრცეში, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის სინქრონულად გაცვლას რეალურ დროში.

ოპეკი – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნის ორგანიზაცია. იგი შექმნეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ნავთობის მომპოვებლებმა ქვეყნებმა 1960 წელს, ამ ქვეყნების ინტერესების გაძლიერების, ნავთობზე ერთიანი ფასების შენარჩუნების, მსოფლიო ბაზრებზე მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების გაზრდის, ნავთობის დაზღვევისა და მოპოვების წახალისებისათვის და სხვ. ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წილად მოდის ნავთობის მსოფლიო სარწმუნო მარაგის დაახლოებით 75% და მსოფლიო მოპოვების ერთ მესამედზე მეტი.

ოპერატიული ინფორმაცია – არის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ყოველდღიური ოპერაციების მართვისა და კონტროლის განხორციელებისათვის.

ოპერატიული ინფორმაციული სისტემები ეს არის ეგრეთწოდებული დროში განსაზღვრული სამუშაო რეჟიმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ და გადავამუშაოთ

ინფორმაცია ტვირთის მოძრაობაზე მიმდინარე დროს და ამავდროულად ადმინისტრაციული და მმართველობითი ზემოქმედება მოვახდინოთ ობიექტზე.

ოპერატიული ლიზინგი (operatinglease) მანქანების და მოწყობილობების არენდა 3-დან 9 წლამდე ვადით, არენდის პერიოდში მათი ნაწილობრივი ამორტიზაციით.

ოპერატიული მოგება/წაგება (operacine proofing/Lose) – კომპანიის ნავაჭრი თანხა ოპერაციული ხარჯების გამოკლებით.

ოპერატიული სისტემა – ორგანიზაციის საწარმოო ფუნქციის საერთო სისტემა, რომელიც შედგება სამი ქვესისტემისაგან (გადამამუშავებელი ქვესისტემა, უზრუნველყოფის ქვესისტემა და საგეგმო-საკონტროლო ქვესისტემა).

ოპერატიული სისტემის მიერ წარმოებული ყველა სახის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის მთლიან მოცულობას ერთობლივი მოთხოვნა ეწოდება.

ოპერატიული სტრატეგიის (Operation Strategy) ფორმირებას ახდენენ კომპანიის განცალკევებული ქვედანაყოფებისათვის, ფუნქციონური განყოფილებებისათვის, სამმართველოებისათვის, ფილიალებისათვის, წარმომადგენლობისათვის და ა. შ.

ოპერაციები სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ანგარიშების მიხედვით-შემოსვლა – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები; **ხარჯვა:** ა) ხელფასი, შემწეობა, პენსია; ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვა მოსახლეობიდან.

ოპერაციები ღია ბაზარზე – ცენტრალური ბანკის მიერ სახაზინო ვექსილების, სახელმწიფო ობლიგაციებისა და სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი ოპერაციების განხორციელება მოგვიანებით მოხდა შებრუნებული გარიგების მოხდენით. ოპერაციები ღია ბაზარზე ლიმიტირებულია.

ოპერაციების ჩატარების ტექნიკის – შესაბამისად განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) ლიზინგს.

ოპერაციების ჩაწერა ჟურნალებში (recordtransactionin a journal) – გარიგებების რეგისტრაცია ჟურნალებში ორმაგი ბუღალტრული ჩანაწერის ფორმით ბუღალტრული აღრიცხვის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს. ჟურნალიდან (ანგარიშებიდან) თითოეულს თავისი სახელწოდება გააჩნია (მაგალითად „დავალიანება მუშებზე და მოსამსახურეებზე“ და ა. შ.).

ოპერაციის ჟურნალიდან ბუღალტრულ მთავარ წიგნში (posting) გადატანის პროცესი – ასეთ პროცედურას ,,დანაწილებას“ უწოდებენ. მთავარი წიგნის (generalledger) გარდა დამატებითად დამხმარე წიგნებიც (subsidiaryledger) არსებობს, რომლებიც ჩატარებული გატარებების უფრო მეტად დეტალიზაციისათვის არის საჭირო. თითოეული ოპერაცია მოითხოვს, როგორც მინიმუმ, ორ ცვლილებას ბუღალტრულ ანგარიშებში. აღნიშნული ცვლილებები დასაწყისში ჟურნალ-ორდერებში ჩაიწერება, ხოლო შემდეგ კი – საბუღალტრო წიგნში განაწილდება.

ოპერაციული კოეფიციენტები – (ეფექტურობის კოეფიციენტები) რომლებიც გვიჩვენებენ საწარმოს მიერ მისი აქტივების გამოყენების ინტენსივობას. ეს კოეფიციენტები საწარმოს მენეჯმენტს აძლევენ ინფორმაციას დროის იმ შუალედის შესახებ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მისაღები მოთხოვნები გადაიქცეს ნაღდ ფულად. რაც უფრო ნაკლები დრო სჭირდება საწარმოს ამ ოპერაციებისათვის, მით უფრო ინტენსიურია მისი მუშაობა.

ოპერაციული კონსალტინგი 1. ეწოდება როდესაც კლიენტებს ოპერაციული სტრატეგიის განვითარებაში და საწარმოო პროცესის გაუმჯობესებაში ეხმარება. ფირმის სტრატეგიის განვითარების დროს აქცენტი მის ოპერაციულ შესაძლებლობებზე კეთდება; 2. ოპერაციული კონსალტინგის ეფექტური მუშაობის შედეგს წარმოადგენს სტრატეგიისა და პროცესს შორის შეუსაბამობის იმგვარად შემცირება, რომ კლიენტმა (ე.ი. ფირმამ რომელმაც დაიქირავა კონსალტინგური კომპანია) თავისი ბიზნესის ხარისხის ამაღლება

იგრძნოს. საერთოდ ოპერაციულ კონსალტინგს ახორციელებენ ამ საქმეში დასპეციალიზებული კომპანიები, რომელთა კლიენტებს წარმოადგენენ სხვადასხვა ფირმის ეკონომიკური სუბიექტები, შეზღუდული საზოგადოების საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, კოოპერატივები და სხვა.

ოპერაციული რისკი – მნიშვნელოვანი ოპერაციული რისკი ჩნდება ხარისხის კონტროლის სისტემაში შესაძლო ჩავარდნების, გაწეული მომსახურების არაეფექტიანობის, ასევე მართვაში დაშვებული შეცდომების გამო.

ოპერაციული რისკი (transation risk) – ვალუტის დაკარგვის რისკი სავაჭრო ან სხვა ოპერაციების ჩატარების დროს.

ოპერაციული ხარჯები: ოპერაციული ხარჯებია ბიზნესის ყველა სხვა ხარჯი, გარდა გაყიდული საქონლის ღირებულებისა. ოპერაციული ხარჯები, თავის მხრივ, მოიცავს გაყიდვის ხარჯებს – მარკეტინგი, რეკლამა, პროდუქტის პოპულარიზაცია და მაღაზიების ხარჯები; ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები – ხელფასის აღრიცხვა, მონაცემთა დამუშავება, პერსონალის აყვანა, კორპორაციული კეთილმოწყობა, კომუნალური და საიჯარო გადასახადები და სხვა.

ოპტიმალური ალტერნატივა – ალტერნატივა, რომელიც პასუხობს მიზნის მიღწევას ოპტიმალური გზით.

ოპტიმალური დანახარჯების სტრატეგია – ბანკის ხარჯების - მომსახურების ტარიფების, თანამშრომელთა ხელფასის, წარმომადგენლობითი ხარჯების, გადასახადებზე განცდილი დანაკარგების – გონივრულად შემცირება.

ოპტიმალურობის პრინციპი – ოპტიმალურობა ნიშნავს მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხის დონისა (ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტა, ოპტიმალური გეგმა, ოპტიმალური მართვა) და ლოგისტიკური სისტემის მდგომარეობის დახასიათებას (ოპტიმალური ტრაექტორია, რესურსების ოპტიმალური განაწილება, სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირება) და ა.შ. საწარმოს ლოგისტიკური სისტე-

მის განვითარების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ლოგისტიკური სისტემის ყველაზე მისაღები ვარიანტის შერჩევა.

ოპტიმიზაცია – ერთადერთი საუკეთესო გადაწყვეტილების პოვნა.

ოპტიმიზაციის საყოველთაო პრინციპი – ყოველთვის მიიღე გადაწყვეტილება წარმოებაში ისეთნაირად, რომ შერჩეული ალტერნატივის საშუალებით, ე. ი. დანახარჯებისა და შედეგების შერჩეული თანაფარდობის მიხედვით, განხორციელდეს საწარმოს ლოგისტიკური სისტემის დასმული ამოცანების ოპტიმალური მიღწევა.

ოპტიმუმი (ლათ. optimum) – ყველაზე ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა.

ოპციონი (option) რისკის დაზღვევის ერთ-ერთი ფორმა, კონტრაქტი, რომლის თანახმადაც მყიდველს ენიჭება უფლება (და არა ვალდებულება), შეთანხმებული ფასით დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, მომავალში იყიდოს საქონელი ან ფასიანი ქაღალდი. თუ ვთქვათ, ფასიანი ქაღალდის საბაზისო ფასი იზრდება, მაშინ მყიდველი სარგებლობს დადებული კონტრაქტით და ყიდულობს მას საბაზროზე დაბალ ფასად. თუ საბაზრო ფასი ეცემა, მაშინ მყიდველი დადებული კონტრაქტით კი არ სარგებლობს, არამედ ფასიან ქაღალდებს ყიდულობს ბაზარზე კონტრაქტში გათვალისწინებულზე იაფად. ამ შემთხვევაში იგი აგებს იმ თანხას, რაც კონტრაქტის დადებისას დახარჯა, მაგრამ დაცულია რისკისაგან. ხელშეკრულებას გაყიდვაზე პუტ-ოფციონი ეწოდება, ხოლო ყიდვაზე – კოლ-ოფციონი. ხშირად მათ უწოდებენ მოკლედ – ,,პუტ“ და ,,კოლ“.

ორგანიზაცია – 1. (ფრანგ. წარმოშობისაა და ნიშნავს გაცნობებ მწყობრ სახეს, ვაწყობ). ორგანიზაცია ხალხის გარკვეულ ერთობლიობას წარმოადგენს; 2. ადამიანთა ჯგუფი (ჯგუფების ერთობლიობა), რომელთა საქმიანობა შეგნებულად კოორდინირდება საერთო მიზნის ან მიზნების მისაღწევად. განასხვავებენ კომერციულ და არაკომერციულ ორგა-

ნიზაციებს. კომერციული ორგანიზაციების (საწარმოების, ფირმების, კომპანიების) მიზანია მოგების მიღება და ისინი განეკუთვნებიან ბიზნესის სფეროს. არაკომერციულია სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები, რომელთა მიზანი არ არის მოგების მიღება; 3. ეს მენეჯმენტის მეორე ფაქტორია. ტერმინს „ორგანიზაცია“ მრავალი მნიშვნელობა აქვს, მენეჯმენტის ფუნქციის თვალსაზრისით უფრო ხშირად გამოიყენება მისი ორი მნიშვნელობა; 1. ორგანიზაცია – არის ურთიერთდამოკიდებულების, წესების, მიზნების, როლის, საქმიანობის სახეების და სხვა ფაქტორების სახით სისტემის სტრუქტურა, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანები ერთიანდებიან ერთობლივ შრომით პროცესში. 2. ორგანიზაცია – არის პროცესი, რომლის საშუალებით იქმნება და შენარჩუნდება ორგანიზაციის სტრუქტურა; 3. ორგანიზაცია, როგორც სოციალური სისტემა, განსაზღვრული მიზნის მისაღწევად კოორდინირებულ ადამიანთა შეფარდებითად ავტონომიური ჯგუფია, რომელიც ხასიათდება საერთო მიზნის მისაღწევად ადამიანთა ერთობლივი საქმიანობითა და განსაზღვრული საზღვრებით; 4. ორგანიზაცია არის განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ფუნქციონირებადი განსაზღვრული საზღვრების მქონე ეკონომიკური ერთეული. 5. ორგანიზაციის ძირითადი მახასიათებლებია: ა. ორგანიზაციის ისეთი რესურსების არსებობა, როგორიცაა: სამუშაო ძალა, ძირითადი კაპიტალი, ნედლეული და მასალები, ტექნოლოგია და ინფორმაცია; ბ. გარე სფეროზე დამოკიდებულება. მასში იგულისხმება ეკონომიკური პირობები, მომხმარებლები, პროფკავშირები, სამთავრობო გადაწყვეტილებები, კანონმდებლობა, კონკურენტი ორგანიზაციები, ტექნიკა, ტექნოლოგიები და სხვა. გ. შრომის ჰორიზონტალური დანაწილება, რაც გულისხმობს შრომის დანაწილებას წარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილის მიხედვით. იგი ორგანიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია; დ. დანა-

ყოფები, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილებს და რომლებიც, ორგანიზაციის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ასრულებენ სპეციფიკურ კონკრეტულ დავალებებს; ე. შრომის ვერტიკალური დანაწილება. მასში იგულისხმება შრომის დანაწილება მის შემადგენელ ნაწილებად, ე. ი. ზოგიერთი დაკავებულია მმართველობითი შრომით, ზოგიერთი უშუალო შემსრულებელია და ა. შ.; 6. გარკვეული მიზნების მისაღწევად ფუნქციონირებადი განსაზღვრული საზღვრების მქონე ეკონომიკური ერთეული. ფუნქციების მიხედვით ორგანიზაციები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: მწარმოებლური, პოლიტიკური, ინტეგრირებული, ტრადიციების შემნარჩუნებელი, აგრეთვე ფორმალური და არაფორმალური, სამთავრობო და არასამთვრობო, სამეურნეო და საზოგადოებრივი, მომგებიანი და არამომგებიანი, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო. სიდიდის მიხედვით ორგანიზაციის სახეებია: მცირე, საშუალო და დიდი.

ორგანიზაცია – ადამიანების ჯგუფი რომელთა საქმიანობა შეგნებულად კოორდინირდება საერთო მიზნის ან მიზნების მიღწევისათვის.

ორგანიზაციად შეიძლება ჩათვალოს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას: 1. მასში უნდა ირიცხებოდეს არა ნაკლებ ორი ადამიანისა, რომლებიც თავს ჯგუფის წევრებად თვლიან; ჯგუფის ყველა წევრს ერთი საერთო მიზანი მაინც უნდა ჰქონდეს; ჯგუფის წევრები მიზანდასახულად უნდა მუშაობდნენ ერთად საერთო მიზნების მისაღწევად; 2. ორგანიზაციას წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საქმიანობა შეგნებულადაა კოორდინირებული საერთო მიზნისა თუ მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციათა კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ესენია: ორგანიზაციის სიდიდე, საკუთრების ფორმა, ფუნქცია, მიზანი, დაფინანსების წყარო, საქმიანობის სახეები და სხვა.

ორგანიზაციათაშორისი კარიერა კი კარიერის ისეთი სახეა, რომელიც გულისხმობს, რომ კონკრეტული მომუშავე თავისი პროფესიული საქმიანობის პროცესში, განვითარების ყველა სტადიას (სწავლა, სამუშაოზე მოწყობა, პროფესიონალური ზრდა, ინდივიდუალური თვისებების განვითრება, პენსიაზე გასვლა) გადის სხვადასხვა ორგანიზაციაში, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას, თანდათანობით.

ორგანიზაციას, რომელიც აღქმულია, როგორც მანქანის მსგავსად მომუშავე, ეძახიან ბიუროკრატიულს. მისი ძირითადი ნიშნებია: მკაცრად ცენტრალიზებული ფუნქცია, დეტალური წესები და ინსტრუქციები, მკაცრი იერარქია, მკაცრი კონტროლი, პროცედურებისა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ფორმალიზაცია.

ორგანიზაციაში ადამიანის ქცევა განისაზღვრება – მისი საკუთარი (პიროვნული) თვისებებით, ინდივიდუალური საქმიანობის ფორმირების პირობების გავლენით, ე.ი. იმ ჯგუფის თავისებურებებით, რომელშიც ისაა ჩართული, ერთობლივი საქმიანობის პირობებით, იმ ორგანიზაციისა და ქვეყნის თავისებურებებით, რომელშიც იგი მუშაობს.

ორგანიზაციები – ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ საზოგადოებაში კარგი იმიჯის შესაქმნელად. კომპანიები, უნივერსიტეტები, მუზეუმები და საკონცერტო ორგანიზაციები წარმატების მოსაპოვებლად კონკურენტულ ბრძოლაში რეკლამას უწევენ და ინარჩუნებენ თავიანთ პოზიტიურ იმიჯს.

ორგანიზაციების მარკეტინგი – საქმიანობა გაწეული იმ მიზნით, რომ მიზნობრივმა აუდიტორიამ შექმნას, მხარი დაუჭიროს ან შეცვალოს პოზიცია ან საქციელი კონკრეტული ორგანიზაციების მიმართ.

ორგანიზაციებში ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბება ტექნოლოგიის სწრაფი განვითარებისა და ბიზნესის გარეგანი გარემოს გართულების შედეგად მოხდა. თანამედ-

როვე ორგანიზაციებში ადმინისტრაციული აპარატი ძალზე ბევრ ფუნქციას ასრულებს.

ორგანიზაციებში პერსონალზე ყველა დანახარჯი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ძირითადი და დამატებითი. **ძირითად** დანახარჯებს მიეკუთვნება შრომის შედეგების მიხედვით ანაზღაურება, ხოლო **დამატებით** დანახარჯებს – დანახარჯები საცხოვრებელ ბინაზე, შემწეობაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა.შ. ცხადია, პირველ რიგში უნდა დაფინანსდეს ძირითადი დანახარჯები, რამდენადაც მის გარეშე წარმოუდგენელია კვლავწარმოება. რაც შეეხება დამატებით დანახარჯებს, სათანადო დანახარჯების არსებობისას მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ორგანიზაციის – წარმოების მართვის ფუნქცია ითვალისწინებს მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას საქონლით და მომსახურებით.

ორგანიზაციის არსის გამომხატველი ნიშნებია: 1. ორგანიზაცია ადამიანთა გაერთიანებაა. ადამიანები სხვადასხვა სპეციფიკური ფუნქციითა და როლით ქმნიან ორგანიზაციის სხვადასხვა ნაწილს; 2. ორგანიზაცია იქმნება და ფუნქციონირებს გარკვეული მიზნების მისაღწევად. მას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული საკუთარი და საზოგადოებრივი მიზნები. ამასთან მის წევრებს ცხადია, აქვთ თავისი მიზნები, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდნენ ორგანიზაციის მიზნებისაგან; 3. საერთო მიზნების მისაღწევად ისეთი აუცილებელი პირობების არსებობა, როგორიცაა ერთობლივი საქმიანობა. იგი ხორციელდება შემდეგი ფორმებით: სამუშაოთა ერთობლივი შესრულება, მისი კოორდინაცია, ინფორმაციის გაცვლა და ა.შ. 4. გარკვეული საზღვრების არსებობა, რომელიც ორგანიზაციას სხვა მსგავსი ფორმებისაგან ავტონომიური არსებობის საშუალებას აძლევს.

ორგანიზაციის აგება – ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირების პროცესი. შეიძლება ეწოდოს, აგრეთვე, დეპარტამენტიზაცია.

ორგანიზაციის განვითარება – ორგანიზაციის მიერ პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების და განახლების უნარი (განსაკუთრებით, ორგანიზაციის კულტურის მართვის ეფექტიანობის ამაღლების გზით) სრულყოფის გრძელვადიანი პროგრამა. ამასთან, აქტიურად გამოიყენება თეორიული და ტექნოლოგიური სიახლეები, ქცევის შესახებ გამოყენებითი მეცნიერებების, მათ შორის, ოპერაციების თეორიის მიღწევები.

ორგანიზაციის ლიდერი – ადამიანი, რომელიც ეფექტიანად ახორციელებს ფორმალურ და არაფორმალურ ხელმძღვანელობას და ლიდერობას.

ორგანიზაციის მიზნების – მისაღწევად თანამშრომელთა შეგულიანება-წახალისებისათვის ცალკეულ პირებზე და ჯგუფებზე ზემოქმედების მოხდენის უნარი და პროცესი.

ორგანიზაციის მიზნები – როგორც კი დასმული იქნება ლოგისტიკური ამოცანები, მათი შესრულება უნდა დაევალოთ ადამიანების მკაცრად განსაზღვრულ ჯგუფს, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ორგანიზაციის მიზნების მიღწევა.

ორგანიზაციის მომუშავეთა ქცევაზე მოქმედებს გარე ფაქტორები, ესენია: 1. ურთიერთობის წრე. იგი შეიძლება იყოს პირადი, რომელიც შეიცავს ემოციურ კავშირებსაც და თანამდებობრივი მოვალეობებით განპირობებულ სამსახურებრივ ურთიერთობებს; 2. ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და მმართველობით იერარქიაში დაკავებული ადგილის შესაბამისი, ადამიანებისაგან მოსალოდნელ მოქმედებათა ერთობლიობის დამახასიათებელი როლი. 3. სტატუსი. მასში იგულისხმება სოციალურ კავშირთა სისტემაში ადამიანის მიერ დაკავებული რეალური ან მოსალოდნელი ადგილი, ანუ ინდივიდის რანგი. იგი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. პირველი განისაზღვრება დაკავებული თანამდებობით, ხოლო მეორე – ისეთი პიროვნული თვისებებით,

როგორიცაა: ასაკი, ცოდნა, გამოცდილება, კულტურა, კავშირები, ზნეობრივი თვისებები და ა. შ.

ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკა არის პერსონალთან მუშაობის ძირითადი მიმართულებების, ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელი, შეხედულებების, მოთხოვნილებების, ნორმების, პრინციპებისა და შეზღუდვების სისტემა. მისი მიზანია საკადრო პოტენციალის შენარჩუნება, გამყარება და განვითარება, მაღალი შრომის მწარმოებლურობის მქონე კოლექტივის შექმნა, მისი საქმიანობის ხელსაყრელი ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური პირობების უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის ფილოსოფია – ადამიანური რესურსების ურთიერთდამოკიდებულების შიგაორგანიზაციული პრინციპები. მორალური და ადმინისტრაციული წესების ერთობლიობა და მთელი პერსონალის მიერ აღქმული და ორგანიზაციის გლობალური მიზნისადმი დაქვემდებარებული ფასეულობებისა და შეხედულებების სისტემა.

ორგანიზაციის, როგორც მართვის ობიექტის შექმანზე ფუნქციონირებასა და განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მარტო შიგა, არამედ გარე გარემოც. გარე გარემოს ზეგავლენა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი, პოლიტიკური და ა. შ.

ორგანიზაციის, როგორც მართვის ობიექტის შექმნისას განისაზღვრება მისი ისეთი პარამეტრები, როგორიცაა: მიზანი (მიზნები), საქმიანობის სახე და მასშტაბები, საკუთრების ფორმები და სხვა. ამასთან ერთად, ხორციელდება ორგანიზაციის ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობანი.

ორგანიზაციის შექმნა – ჩამოყალიბება ორგანიზაციის სტრუქტურისა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მის თანამშრომლებს, ეფექტიანად იმუშაონ ერთობლივად ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა – ორგანიზაციული ლიდერობა.

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ ადაპტაციის პროცესში მომუშავე ეცნობა მართვის ორგანიზაციული მექანიზმის თავისებურებებს, თავისი ქვედანაყოფებისა და თანამდებობის ადგილის მიზნების საერთო სისტემასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ზემოქმედება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ზემოქმედების სახეები და ტიპები, ადრესატი, ამოცანის დასმა და მისი შესრულების კრიტერიუმების განსაზღვრა, პასუხისმგებლობის დადგენა, ხელქვეითების ინსტრუქტაჟი და ა. შ. ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მეთოდები წარმოებისა და შრომის პროცესზე პირდაპირი ზემოქმედების დადებითი შედეგია, უშუალო კავშირი ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის.

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა, ესენია: ორგანიზაციული და განკარგულებითი ანუ ადმინისტრაციული მეთოდები, გულისხმობს: დადგენილებების, ბრძანებების, განკარგულებებისა და სხვათა გამოცემას; მათ შესრულებაზე კონტროლს, სამართლებრივი ნორმების დაცვას, მუშაკთა სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ წახალისებებს, ხოლო შრომითი დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში – სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას.

ორგანიზაციული გადაწყვეტილება – არჩევანი, რომელსაც აკეთებს მეწარმე ორგანიზაციის მდგომარეობასთან ვალდებულებების შესასრულებლად, რათა მიღწეულ იქნას ორგანიზაციის მიზნები.

ორგანიზაციული გადაწყვეტილებები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დაპროგრამებული ისე დაუპროგრამებული გადაწყვეტილებების სახით.

ორგანიზაციული კულტურა – 1. ეს არის ინფორმაციის გამოყენების და ცოდნის შეძენის პროცესი, რომელიც

საშუალებას გვაძლევს წარმატებით შევეგუოთ ცვალებად გარემოს; 2. ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს დისციპლინათაშორისო კავშირს, მეცნიერული მეთოდების გამოყენებას, ალბათურ აზროვნებას (მიდგომას) ე.ი. ეს არის საწარმოო მართვაში სხვადასხვა სიტუაციებისა და ხერხების ძიება; 3. ორგანიზაციული კულტურის მენეჯერი მუდმივად აგებს პასუხს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებაზე და ადამიანების საქმიანობაზე, მისი გუნდი ყოველთვის უნდა ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას.

ორგანიზაციული კულტურა – 1. ორგანიზაციის ფასეულობებისა და ნორმების შემცველი ორგანიზაციის წევრების მიერ გამოსაყენებელი (გამოყენებული) ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებების ერთობლიობა, რომლებიც ადამიანებს აძლევენ მათ ქცევისა და მოქმედების ორიენტირებს; 2. განიხილება, როგორც მძლავრი სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა ორგანიზაციის ყველა ქვედანაყოფი და მათი თითოეული წევრი მომართოს ძირითად მიზნებზე. იგი ახდენს თანამშრომელთა ინიციატივის მობილიზებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციისადმი ერთგულებას და აადვილებს ადამიანებს შორის ურთიერთობას.

ორგანიზაციული კულტურა ეკონომიკურ ლიტერატურაში მოიხსენება სხვა ტერმინებითაც, როგორიცაა: ,,ორგანიზა - ციის კულტურა“, ,,კორპორაციული კულტურა“, ,,ფირმის კულტურა“, ,,მეწარმეობის კულტურა“.

ორგანიზაციული კულტურის ანალიზისას საჭიროა გამოიყოს სამი ძირითადი მომენტი: 1. საბაზისო მიმართულებები, რომლებსაც მისდევენ ორგანიზაციის წევრები თავიანთ ქცევასა და მოქმედებაში. ისინი ხშირად დამოკიდებულია ადამიანის ირგვლივ მყოფი გარემოსა (ჯგუფი, ორგანიზაცია, საზოგადოება და ა. შ.) და ისეთ რეგულირებად ფაქტორებზე, როგორიცაა: ბუნება, დრო, მუშაობა, ურთიერთობათა ხასიათი და სხვა; 2. აღიარებული ფასეულო-

ბანი, რომელსაც შეიძლება მისდევდეს ადამიანი. ფასეულობანი ორიენტაციას იძლევა, როგორი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებად ან დაუშვებლად. მიღებული ფასეულობა ადამიანს საშუალებას აძლევს, გაიგოს როგორ იმოქმედოს მან კონკრეტულ სიტუაციაში; 3. ,,სიმბოლიკა", მისი საშუალებით ფასეულობითი ორიენტაციები გადაეცემა ორგანიზაციის წევრებს. მხედველობაშია სპეციალური დოკუმენტები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი ფასეულობითი ორიენტაციები, ლეგენდები და მითები.

ორგანიზაციული კულტურის დაგეგმვა და განვითარება. იგი უზრუნველყოფს პერსონალის მხრიდან ეთიკური ნორმების დაცვას, მომუშავეებს შორის ურთიერთობებში ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას და ა. შ.

ორგანიზაციული კულტურის დამახასიათებელი სხვადასხვა კომპონენტი არსებობს. მათ შორის მნიშვნელოვანია: 1. ფასეულობებისა (როგორც ორიენტირებულთა ნაკრების - რა არის ,,კარგი" და რა არის ,,ცუდი") და ნორმების (როგორც ქცევის განსაზღვრული ტიპის დამოკიდებულებაში ვარაუდობისა და მოლოდინის ნაკრების) თავისებურებანი; 2. თავის თავისა და თავისი ადგილის გაცნობიერება ორგანიზაციაში. ერთნი კულტურას აფასებენ, მაგრამ მალავენ თავიანთ შინაგან განწყობილებას, მეორენი ახალისებენ მათ გარეგან გამოვლენას. პირველ შემოქმედებაში ინიციატივა და შემოქმედება ვლინდება თანამშრომლების საშუალებით, ხოლო მეორე შემთვევაში – ინდივიდუალიზმის საშუალებით; 3. საკომუნიკაციო სისტემა და ურთიერთობის ენა (ზეპირი, წერილობითი, არასიტყვიერი კომუნიკაციები, აბრევიატურა და ა. შ.); 4. გარეგანი სახე, ტანსაცმელი, პიროვნების წარმოდგენა სამუშაოს შესახებ; 5. დროის ფაქტორის გაცნობიერება, მისდამი დამოკიდებულება, მისი გამოყენება; 6. ადამიანებს შორის ურთიერთობათა ხასიათი (ასაკის, ინტელექტის და სხვათა მიხედვით); 7. რწმენა და ცხოვრებისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება (რწმენა ხელმძღვანელ-

ში, წარმატებაში, საკუთარ ძალებში, პროფესიონალიზმში, ურთიერთდახმარებაში, სამართლიანობაში და ა. შ.); 8. მომუშავეთა განვითარების პროცესი, მათი სწავლება; 9. შრომითი ეთიკა და მოტივირება (დამოკიდებულება მუშაობისადმი და პასუხისმგებლობა მისი ხარისხისათვის და ა. შ.); 10. რით და როგორ იკვებებიან ადამიანები, ჩვევები და ტრადიციები მოცემულ სფეროში (მომუშავეთა კვების ორგანიზაცია და ა. შ.).

ორგანიზაციულ-იერარქიული პრინციპი გულისხმობს საბანკო სისტემის ყველა მოქმედი ელემენტის მაქსიმალურად სრულად გამოყოფას, მათ შორის იმ ელემენტების, რომლებიც შიდა იერარქიაში შედის: ცენტრალური აპარატის, ტერიტორიული განყოფილებების, საველე დაწესებულებების, საანგარიშსწორებო-სალაროს ცენტრების, სასწავლო დაწესებულებების, განყოფილებების, წარმომადგენლობების, საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრების, გაზეთებისა და ჟურნალების, გადამცვლელი პუნქტების, ბანკომატების და სხვა.

ორგანიზაციული სტრუქტურა – მართვის დონეების და ფუნქციური სფეროების ლოგიკური თანაფარდობა, რომელიც იმგვარად არის ორგანიზებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიზნების ეფექტიანი რეალიზაცია.

ორგანიზაციული წარმატება – ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნის მიღწევა.

ორგანიზაციულობის დონით ტურიზმი შეიძლება იყოს ორგანიზებული და არაორგანიზებული. ორგანიზებული ტურიზმი ხორციელდება ტურისტული ფირმების ან ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. იგი შეიძლება იყოს: **გეგმიანი** ანუ მიმღები ქვეყნის მიერ წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული პროგრამის გარეშე და **დამოუკიდებელი.**

ორგანიზებულობა – დაგეგმვის სისტემაში დადგენილი უნდა იქნას განსაზღვრული ორგანიზებული რეჟიმი. არაორგანიზებულობა და მისი იმპროვიზაციის უნარის არსებობა

აქვეითებს დაგეგმვის სისტემის მოქნილობას. ორგანიზებულობის არსი გარკვეული ხარისხით ადაპტირებს გარემოს ცვალებადი პირობებისადმი. სტანდარტიზაცია; სირთულე; სიზუსტე. მნიშვნელოვანია დაგეგმვის ობიექტების გეგმის შემადგენელი ნაწილების და მითუმეტეს გეგმის შინაარსის მახასიათებლების გაზომვის სიზუსტის დონის შერჩევა.

ორგანული მიდგომა არის ორგანიზაციისა და მართვის თეორიის განვითარებაში თანამედროვე ტენდენციების გამოსახვა. ადამიანურ ურთიერთობათა თანამედროვე სკოლა და განსაკუთრებით, მოტივაციის თეორია საშუალებას იძლევა, ახლებურად მივუდგეთ ორგანიზაციას და მის მთავარ მახასიათებლად გამოიყოს ადამიანური ასპექტი – ადამიანები და მათი სურვილები. ცნობილია, რომ ადამიანები და მათი ჯგუფები, ისე, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმები, მით უფრო ეფექტურად მოქმედებენ, რაც უფრო სრულად კმაყოფილდება მათი მოთხოვნები.

ორგანული მიდგომის არსი ის არის, რომ ორგანიზაცია განიხილება როგორც ცოცხალი ბიოლოგიური ორგანიზმი. სისტემური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ორგანიზაციები, ცოცხალი ორგანიზმებივით ღია სისტემებია და მათი არსებობისათვის აუცილებელია გარემოსთან მათი შესაბამისობა.

ორდერი (გერმ. order; ფრანგ. ordere) – წერილობითი განკარგულება; დოკუმენტი რაიმეს მიღებაზე ან გაცემაზე.

ორდერი გადაზიდვაზე (ადგილობრივი გადაზიდვები) საქონლის ადგილობრივი გადაზიდვის (მაგალითად, საწარმოს საწყობიდან იმ გადამზიდავის საწყობში, რომელმაც უნდა განახორციელოს შემდგომი გადაზიდვა) ინსტრუქციის შემცველი დოკუმენტია.

ორდერი ტვირთის დამუშავებაზე – ტვირთის დამამუშავებელი ორგანიზაციის (პორტის მმართველობა, ტერმინალის ოპერატორი და ა.შ.) მიერ მის პასუხისმგებლობაში მყოფი

ტვირთის გადაზიდვის ან სხვა დამუშავების განსახორციელებლად გაცემული დოკუმენტია.

ორიგინალი (ლათ. originalis) – პირველსაწყისი, დედანი (ასლისაგან განსხვავებით).

ორიენტაცია – დასაქმებულის ორიენტაცია (დღეს უკვე ,,აპატ - რაციის“ სახელითაა ცნობილი) უზრუნველყოფს ახალდასაქმებულებს იმ ინფორმაციით (კომპიუტერის პაროლი, კომპანიის წესები და სხვ.), რომელიც აუცილებელია სამუშაოს შესრულებისათვის. ახალდასაქმებულთა ორიენტაციის ძირითადი ამოცანებია: 1. დასაქმებულებმა თავი იგრძნონ როგორც საკუთარ ოჯახში და გუნდის წევრად; 2. შემოწმება იმისა, ახალდასაქმებულები საქმის ეფექტიანად შესრულებისათვის, ფლობენ თუ არა ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა: ფოსტა, პერსონალის ქცევის წესები, ანაზღაურება, სამუშაო პირობები და სხვ.; 3. დახმარების გაწევა დასაქმებულებზე – გაერკვნენ ორგანიზაციის მართვაში, (გაიგონ წარსული, ახლანდელი მდგომარეობა, სტრატეგია და მომავლის ხედვა); 4. ადამიანის სოციალიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობა და ფირმის კულტურის, ფასეულობების და საქმის კეთების გზების გაცნობა.

ორმაგი სავალუტო ბაზარი – სავალუტო ბაზრის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს სავალუტო კურსის ორმაგ კოტირებას: ცალკე კომერციულ და ფინანსურ ოპერაციებზე.

ორტალი – ,,საკრედიტო, გამსესხებელ-დამქირავებელი ამხანაგობა“ (თურქული სიტყვაა, რაც ამხანაგობას, ამხანაგურ შეთანხმებას ნიშნავს), რომელიც აწარმოებდა უძრავ-მოძრავი ქონების გირაოს ქვეშ კრედიტის გაცემას, განსაკუთრებით ვაჭრებზე.

ორუტირები – ფირმის საქმიანობის შედეგების იმ კრიტერიუმების ხარისხობრივი მხარე რომლებიც გამოიყენებიან ამჟამად და პესპექტივაში.

ოუკენის კანონი (Okun´s law) – კანონი, რომელიც ატარებს ამერიკელი ეკონომისტის არტურ ოუკენის (1928-1980)

სახელს, გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებას მშპ-ის ციკლურ რყევადობასა და უმუშევრობის დონეს შორის. ამ კანონის მიხედვით, უმუშევრობის 1%-ით ზრდა იწვევს ფაქტობრივი მშპ-ის 3%-ით შემცირებას და პირიქით, ფაქტობრივი მშპ-ის 3%-ით გაზრდა იწვევს უმუშევრობის 1%-ით შემცირებას. ამჟამად, ახალი ემპირიული მონაცემების საფუძველზე, ეს თანაფარდობა 2:1.

ოფერტი – ორი სახისაა: თავისუფალი და მყარი.

ოფიციალური ოქროსა და ვალუტის რეზერვები – სახელმწიფოს კუთვნილი აქტივები, რომლებიც გათვალისწინებულია ქვეყნის გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო საფინანსო ვალდებულებების მიხედვით, უწინარეს ყოვლისა, სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების სფეროში. ოქროსა და ვალუტის რეზერვების მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა ზემოქმედება მოახდინოს მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე ქვეყანაში.

ოფიციოზური – მთავრობასთან ფორმალურად დაუკავშირებელი, მაგრამ ფაქტობრივად მისი თვალსაზრისის გამტარებელი.

ოფლაინური ტექნოლოგიები – შეტყობინების ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები ფიჭურ საინფორმაციო სივრცეში, რომლებიც არსებით ასინქრონულობას უშვებენ მონაცემებისა და შეტყობინებების გაცვლაში.

ოფსეტური გაერთიანება – გულისხმობს საქონლის ან მომსახურების გაცვლას, ხოლო გაცვლაში მიღებული შეღავათებისთვის მყიდველი ეწევა გარკვეულ კაპიტალდაბანდებას.

ოფსეტური გარიგებები. გამყიდველი ღებულობს საქონლის რეალიზაციისას ფულს და კისრულობს ვალდებულებას მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენოს ქვეყნის შიგნით შეთანხმებული დროის განმავლობაში. მაგალითად, კომპანია ,,PepsiCo" სიროფს აწვდის რუსეთს მის ვალუტაში (მანეთი) და ყიდულობს განსაზღვრული ფასით რუსულ არაყს აშშ-ში გასაყიდად.

ოფშორი – პირველად გამოჩნდა ერთ-ერთ გაზეთში აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე 50-იანი წლების ბოლოს. ლაპარაკი იყო საფინანსო ორგანიზაციაზე, რომელმაც თავი დააღწია სახელმწიფო კონტროლს გეოგრაფიული არჩევითობის გამოყენებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომპანიამ გადაადგილა თავისი საქმიანობა, რომლის კონტროლსა და რეგულირებას აპირებდა აშშ-ის მთავ-რობა, იმ ტერიტორიაზე სადაც იყო ხელსაყრელი.

ოფშორული (ინგ. ნაპირს გარეთ) ზონა – თავისუფალი ეკონო-მიკური ზონის ნაირსახეობა, სადაც თავმოყრილია სავაჭრო და ფინანსური ბიზნესი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სხვადასხვა სახის ოპერაციები შეღავათიან საგადასახადო რეჟიმში, აუდიტორული შემოწმების გარეშე, მარტივი სარეგისტრაციო პროცედურებისა და მმართვე-ლობის პირობებში, მაღალი კონფიდენციალობის დაცვით.

ოფშორული ზონა (offshore zone) – თეზ-ის განსაკუთრებული სახეობა, რომელშიც კონცენტრირებულია საბანკო და სადაზღვევო ბიზნესი. მათი მეშვეობით ხორციელდება საინვესტიციო, სატრასტო და კონსალტინგური საქმია-ნობა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, აგრეთვე ოპერა-ციები უძრავი ქონებით.

ოფშორული ზონები, ჩვეულებრივ მცირე ქვეყნები და ტერიტორიებია. ისინი ძირითადად განლაგებულია ზღვის სანაპიროებსა და განვითარებული საერთაშორისო ტუ-რიზმის ადგილებში, ახორციელებდნენ უცხოური კაპიტა-ლის მოზიდვის პოლიტიკას, რომლის გასატარებლად გამოიყენება საგადსახადო და სხვა სახის შეღავათები.

ოფშორული ზონები ფუნქციონირებენ შესაბამისი იურისდიქ-ციით, რომლის საფუძველზეც მათ გარკვეული სპეცია-ლიზაცია და სტატუსი აქვთ. ოფშორული ზონის სტატუსს განსაზღვრავს მისი ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შინაარსი, რომლის მიხედვით ოფშორული იურისდიქ-ციები იყოფა 4 ჯგუფად:

I ჯგუფში შედის საგადასახადო ოაზისები, 100%-იანი ოფშორები, რომლებიც ახორციელებენ უცხოური საკრედიტო კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკას საგადასახადო და სხვა შეღავათებით ეს ჯგუფი წარმოდგენილია მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოებით ან თვითმართვადი ტერიტორიებით. მასში შედის კარიბის რეგიონის ოფშორული ზონები, რომელთა უმრავლესობა დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოალიციებია (მაგალითად, ბრიტანული ვირჯინიის, ბერმუდის, კაიმანის და სხვა კუნძულები), აგრეთვე ევროპული საგადასახადო ნავსაყუდლები;

II ჯგუფში შედის საქმიანობის ცალკეულ სახეებზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ოფშორული იურისდიქციები. მასში შემავალი ოფშორული ფირმები გადასახადს იხდიან მინიმალური განაკვეთით და მათი საქმიანობა კონტროლს ექვემდებარება. ძირითადად ამ ჯგუფში შედის ნიდერლანდის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის ჰოლდინგური კომპანიები და საინვესტიციო ფონდები, სალიცენზიო და სერვისული ფირმები;

III ჯგუფში შედის ქვეყნის შემადგენლობაში არსებული ოფშორული რეჟიმის მქონე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქნები (ოფშორული ტერიტორიები). ამ ჯგუფის ოფშორები ძირითადად დამახასიათებელია ფედერალური წყობის მქონე ქვეყნებისათვის (მაგალითად, აშშ-ში – დელავერის, ვაიომინგისა და ნევადის შტატები, შვეიცარიაში - ნეშტელი, ფრიბურგი, ცუგი);

IV ჯგუფში შედის არატრადიციული ოფშორული ზონების უნივერსალური ოფშორული იურისდიქციები (მაგალითად, ირლანდია, კიპროსი, მალტა).

ოფშორული ზონების შერჩევისას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გადასახადების დონეს, ანგარიშგების აუცილებლობას, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას, კონფიდენციალობას. მათი გათვალისწინებით ოფშორული ზონები იყოფა სამ ჯგუფად:

პირველი ჯგუფის ოფშორული ზონები ხასიათდება დაბეგვრის დაბალი დონით, აღრიცხვის არარსებობით და კონფიდენციალობის მაღალი დონით. ამ ჯგუფში შედის „მესამე სამყაროს“ პატარა ქვეყნები. ეს ოფშორები ცნობილია „ქოქოსის ოფშორების“ სახელწოდებით. ესენია: ბაჰამის, კაიმანის, პანამის, ბრიტანული ვირჯინიის კუნძულები, მენი, ტერპსი, კაიკოსი და სხვ. ამ ზონებში კომპანიები გადასახადებს არ იხდიან, მაგრამ გათვალისწინებულია ყოველწლიური ფიქსირებული მოსაკრებელი.

მეორე ჯგუფის ოფშორებში დაწესებულია საგადასახადო შეღავათები, ამასთან აუცილებელია ფინანსური ანგარიშგება. ამ ჯგუფში შედის კვიპროსი, აშშ-ის დელავერისა და ვაიომინგის შტატები.

მესამე ჯგუფში შედის ის ქვეყნები, რომლებიც ფორმალურად არ მიეკუთვნება ოფშორულ ზონებს, მაგრამ მათი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს დაბალ დაბეგვრას. ეს ჯგუფებია: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ლუქსენბურგი, ნიდერლანდი, შვეიცარია და სხვ.

ოფშორული კომპანია (offshore company) – ფირმა, რომელიც მთლიანად თავისუფლდება გადასახადებისაგან, ან სარგებლობს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით. იგი, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს თავისი ოფიციალური იურისდიქციის რეზიდენტი, ე.ი. არარეზიდენტულია იმ ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია. აქედან წარმოდგება ტერმინი offshore, რაც „ნაპირს გარეთ“ საქმიანობას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მართვის ცენტრი საზღვარგარეთ მდებარეობს. აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენეს დიდ ბრიტანეთში, სადაც იგი ამავე დროს ნიშნავს საქმიანობას „საზღვრის გარეშე“.

ოფშორული კომპანიის ნებისმიერი კომერციული ოპერცია უნდა ხორციელდებოდეს იურისდიქციის ზღვარს იქით, სადაც რეგისტრირებულია კომპანია. იგი იხდის მხოლოდ ყოველწლიურ სარეგისტრაციო გადასახადს. ასეთ კომპანიებში გამარტივებულია სარეგისტრაციო

პროცედურა და მმართველობა, არ ხორციელდება სავალუ-ტო კონტროლი. მათ არ მოეთხოვებათ აუდიტორული შემოწმება, მინიმუმამდე დადგენილი საფინანსო ანგარიშ-გება.

ოფშორული კომპანიის მფლობელობა ხორციელდება ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის მაღალი გარანტიით, რაც განმტკიცებულია საყოველთაო უფლება-თა ნორმებით და იმ კანონმდებლობით, სადაც რეგის-ტრირებულია იგი. ოფშორულ კომპანიას შეიძლება ჰქონდეს წარმომადგენლობები და ფილიალები საზღვარ-გარეთაც. უკანასკნელ პერიოდში ოფშორული მომსახუ-რების მარეგულირებელი კანონმდებლობა სულ უფრო მოქნილი ხდება. ამ ბოლო დროს ყურადღებას იპყრობს დაბეგვრის „მცოცავი“ სკოლის მქონე საერთაშორისო კომპანიების გამოჩენა, რომელთათვისაც გადასახადს ადგენენ შემოსავლების წყაროს შესაბამისად.შემოსავალზე გადასახადი ტრადიციულ კომპანიებთან შედარებით ბევრად ნაკლებია ოფშორული კომპანიის მიმართ, ან საერთოდ არ არსებობს. ისინი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით სარგებლობენ. ოფშორული ტიპის ფირმების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე კომპანიები „კერძო“ ოფშო-რული რეჟიმით. საქმე ეხება ისეთ კომპანიებს, რომელთა ოფშორული ოპერაციები განთავისუფლებულია გადასახა-დების ნაწილისაგან. ამგვარი კომპანიები რეგისტრირებუ-ლია მაგალითად, შვეიცარიაში. ამ ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრული ტიპის ფირმებს ოფშორული საქმიანობის განხორციელების ნებას რთავს. ოფშორული ფირმების ფინანსური მომსახურებისთვის იქმნება ოფშორული ბანკები, სხვადასხვა სახის საფინასო კომპანიები. მიუხე-დავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს „ანტი-ოფშორული“ კანონმდებლობა, საერთაშორისო ეკონომი-კური ურთიერთობების რთულ სისტემაში ოფშორული ბიზნესის პოტენციალი საკმაოდ დიდია. კერძოდ, ოფშო-რული კომპანიის მფლობელს ენიჭება უცხოური

კომპანიის სახელით ხელმოწერის უფლება, მისი საბანკო ანგარიშის ოპერატიული მართვის ნებართვა, უცხოური კომპანიის სახელით ხელშეკრულების დადების შესაძ-ლებლობა, შვილობილი კომპანიებისა და საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობების შექმნის უფლება და ა.შ. ოფშორული ფირმის შექმნით მისი მფლობელისათვის ხელმისაწვდომი ხდება საფინანსო და საინვესტიციო მომსახურებით სარგებლობა. მაგალითად, ფართოდ არის დანერგილი ოფშორული ფირმის მეშვეობით, კორპორა-ციულ-დებეტური და საკრედიტო-საბანკო ბარათების გახსნა. ოფშორული კომპანიების რეგისტრაციის ფორმა განისაზღვრება ინგლისურ-საქსონური და ფრანკო-გერმანული სამართლებრივი სისტემებით.

ინგლისურ-საქსონური სამართლებრივი სისტემის ორგანიზაციული ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სრული პარტნიორობა, შეზღუდული პარტნიორობა, კერძო კომპანია, საჯარო კომპანია (კორპორაცია), საერთა-შორისო ბიზნეს კომპანია.

ფრანკო-გერმანული სამართლებრივი სისტემის ორგანი-ზაციული ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სრული ამხანაგობა, დახურული აქციონერული საზოგადოება,ღია აქციონერული საზოგადოება, საერთაშორისო ბიზნესის კომპანია.

ოფშორული კომპანიის რეგისტრაცია ხორციელდება მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე.

ოფშორული ცენტრები – ტერიტორიები, სადაც მოქმედებს საგადასახადო სავალუტო და სხვა შეღავათები იმ არა-რეზიდენტებისათვის, რომელთა ანგარიშები და ფირმები ამ ტერიტორიებზეა, მაგრამ სამეურნეო ოპერაციებს მხოლოდ სხვა ქვეყნებთან ახორციელებენ. ისინი უპირა-ტესად კუნძულის სახელმწიფოებია, რომელთაგან ზოგი-ერთი უკვე გადაიქცა რეგიონალურ ფინანსურ ცენტრებად (კვიპროსი და სხვა), ზოგიერთი კი მდებარეობს მსოფლიო ფინანსურ ცენტრებთან (ლიხტენშტეინი, ირლანდია,

ნორმანდიის კუნძულები და სხვები, განსაკუთრებით კარიბის ზღვის აუზში) ან მსოფლიო ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვანი მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული შტატები და შვეიცარიის კანტონები ოფშორულ შეღავათებს უწევენ იმ კომპანიებს, რომლებიც მათ ტერიტორიაზე ახორციელებენ სამეურნეო ოპერაციებს მხოლოდდამხოლოდ სხვა ქვეყნებთან).

ოფ-შოფი – მსოფლიო სატრანსპორტო-საკრედიტო ცენტრების მიერ განხორციელებული ოპერაციების დახასიათებისათვის გამოიყენება. შესატყვისია ევრობაზრის, ევროვალუტის და სხვა.

ოფციონი არის გარკვეული შეღავათით, საბაზროზე დაბალ ფასში გამოშვებული აქციები თანამშრომლებისთვის. ოფციონის გამყიდველი თავის თავზე წინასწარ იღებს ვალდებულებას, უარი თქვას პოტენციურ მომავალ ეკონომიკურ სარგებელზე ან განიცადოს მომავალი პოტენციური ზარალი აქციების რეალური ღირებულების ცვლილებებთან დაკავშირებით. ამრიგად ოფციონი არის მფლობელის უფლება – აქტივები გაცვალოს პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით და გამყიდველის ვალდებულება - აქტივები გაცვალოს პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით.

ოფციონი არის კონტრაქტი, რომლის თანახმადაც ერთ-ერთ მხარეს ენიჭება უფლება, მომავალში კონტრაქტით დადგენილი ფასით და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში იყიდოს ფასიანი ქაღალდი (ან საქონელი).

ოფციონის თავისებურება ისაა, რომ ყიდვა-გაყიდვის გარიგებაში მყიდველი იძენს არა საკუთრების ტიტულს (ე.ი. უცხოურ ვალუტას), არამედ მისი შეძენის უფლებას.

ოფციონურ კონტრაქტში დაფიქსირებულ აქტივის ფასს „სტრაიკ ფასს“ (strikeprice) ანუ აღსრულების ფასს (exseriseprice) უწოდებენ.

ოფციონური კონტრაქტი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკის დაზღვევის ფორმას, ამიტომ

მყიდველმა მათ დასადებად განსაზღვრული თანხა უნდა გადაიხადოს, რომელსაც პრემია ეწოდება.

ოფიციური სესხი – სესხის ან სავალო ვალდებულების ფორმა, რომლის დროს კრედიტორს განსაზღვრულ ფარგლებში ეძლევა სესხის დაფარვის პირობების შერჩევის უფლება (მაგალითად, მოთხოვოს მსესხებლს კრედიტი ან მისი ნაწილი დაფაროს სხვა ვალუტაში და ა. შ.)

ოქროს ბაზარი - (gold market) – 1. ბაზარი, სადაც ოქროს ყიდიან და ყიდულობენ მონეტებისა და ზოდების სახით. ოქროს ბაზარი არსებობს ყველა მთავარ ფინანსურ ცენტრში, ნიუ-იორკის გამოკლებით, თუმცა ოქროთი შეუზღუდავი ვაჭრობა ყველა ქვეყანაში არ ხორციელდება; 2. საკრედიტო ორგანიზაციების და განსაკუთრებული ცენტრალური ერთობლიობა, სადაც წარმოებს ოქროთი რეგულარული ყიდვა-გაყიდვა. აქ ხდება ბანკების და სპეციალიზებული ორგანოების მიერ ოქროთი ვაჭრობა. მისი გასუფთავება და სლიტკების დამზადება. ოქროს საერთაშორისო მთავარი ბაზრებია – ლონდონი და ციურიხი.

ოქროს მარაგი – ოქროს (ზოდები და მონეტები) სახელმწიფო ფონდი, რომელიც ინახება ქვეყნის ცენტრალურ ბანკში ან ხაზინაში. გამოიყენება როგორც რეზერვი საერთშორისო ანგარიშსწორების დროს. ოქროს მარაგი გამოდის ეროვ-ნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად.

ოქროს პარიტეტი – (golden parity) თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს შორის, ოქროს წონითი რაოდენობის, ოქროს შემცველობის მიხედვით. ოქროს პარიტეტი გაუქმდა 1978 წელს (იხ. მსოფლიო სავალუტო სისტემა).

ოქროს საუკუნის ზრდა („golden age”growth) – ბალანსირებული ზრდა ეკონომიკური ზრდის თეორიაში, როდესაც ეკონომიკური ზრდის გარანტირებული ტემპი სრული დასაქმების პირობებში ბუნებრივი ზრდის ტემპის ტოლია. ტერმინი შემოიღო ჯოან რობისონმა, რომლის აზრითაც,

ასეთი სიტუაცია წარმოიქმნა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პირობებში.

ოქროს საყელოები – ესენია მაღალკვალიფიციური მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც გამოირჩევიან თვიანთი პროფესიული ცოდნის გამოყენებისას მეწარმეობრივი მიდგომით. ,,ოქროს საყელოები“ უმეტესად მუშაობენ კორპორაციებში, უნივერსიტეტებში, საკონსულტაციო ორგანიზაციებში და ა. შ.

ოქროს ტეზავრაცია (hoording of gold) – 1. ოქროს დაგროვება განძის სახით; 2. ქვეყნის ოქროს მარაგის შექმნა; 3. ფულის დაგროვება მიმოქცევიდან მისი ამოღებით.

ოჯახი საზოგადოებაში ყველა არსებული ერთეულიდან უმნიშვნელოვანესი ,,სამომხმარებლო ერთეულია“, ხოლო ოჯახის წევრები შეადგენენ ყველაზე გავლენიან პირველად რეფერენტულ ჯგუფს.

ოჯახური იჯარა – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის სისტემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომლის ფარგლებში მიწა გადაეცემა გლეხებს იჯარით. მოსავლის ფიქსირებულ ნაწილს ისინი სახელმწიფოს აძლევენ, დარჩენილ პროდუქციას კი თავიანთი შეხედულებისამებრ განკარგავენ.

პ

პაბლიკ-რილეიშენზი – რეკლამა პრესტიჟისათვის, საზოგადოებასთან (მომხმარებელთან) მჭიდრო კავშირის დამყარება სოციალური ინფორმაციის სპეციალური სისტემის საფუძველზე, რაც მიზნად ისახავს პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და წარმოების მთელი პროცესის შესახებ ინფორმაციის მართვას, საზოგადოების იმ წრის მოზიდვის მიზნით, რომელიც ფირმას აინტერესებს. პაბლიკ-რილეიშენზი არა მარტო ქმნის და ავრცელებს ინფორმაციას თავისი ფორმის (ან სხვა სოციალური გაერთიანების) თაობაზე, არამედ ცდილობს დაამყაროს უკუკავშირები სწრაფად რეაგირებისათვის, მინიმუმამდე შეამციროს

წინააღმდეგობანი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ძირითადად კეთილსასურველი ატმოსფეროს შექმნის გზით.

პაბლისიტი – რეკლამის სახელწოდება აშშ-ში.

პაბლიცისტი (publicity) – რეკლამა, პოპულარობა; საქონლის მიმოქცევის არხებში ინფორმაციის გავრცელება საქონლისა და მომსახურების და მათი მწარმოებელი ფირმების შესახებ მოთხოვნის სტიმულირების მიზნით; პროპაგანდული კამპანია.

პაი (schare) – წილი ფულადი შენატანების სახით ფირმის კაპიტალში ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ.

პანამა (panama) – თანამდებობის პირების მოსყიდვასთან დაკავშირებული მსხვილი თაღლითობა

პარალელური ამ დონეზე ყალიბდება რეკომენდაციები და შეზღუდვები საბანკო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, მუშავდება და ქვეყნდება ბანკის რეიტინგები, ხდება საინფორმაციო ნაკადის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ეს დონე წარმომადგენლობითია „სისტემაში“ ბანკთაშორისი გაერთიანებებითა და კავშირებით, ბანკ-კონკურენტებით, სპეციალური - საინფორმაციო – ანალიტიკური კომპანიებით, სააგენტოებითა და ბიუროებით, საბანკო აუდიტის ფირმებით „სისტემის გარეთ“ – საზოგადოებრივი ორგანიზაციებით (მაგალითად, მომხმარებლების), პარტიებით, მასობრივი ინფორმაციის სამსახურებით, სარეკლამო სააგენტოებით.

პარალელური სესხები – წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების ან ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით ურთიერთდაკრედიტების პროცესს. ორივე სესხი ერთი და იგივე ვადით გაიცემა. თავისი არსით ასეთი სესხები განიხილება, როგორც „სვოპ“ გარიგება. რომლის დროსაც ვალუტას ყიდულობენ „სპოტ“ პირობით და იმავდროულად „ფორვარდ“ პირობით ყიდიან. მაგრამ თვით „ჰეჯირების“ პერიოდი შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს, ვიდრე ეს მოცემულ ქვეყანაში არსებული

საკრედიტო კანონმდებლობის შესაბამისად ფორვარდული გარიგების დროს ხორციელდება.

პარალელური უფლებამოსილება – ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფორმა, რომლის დროსაც პერსონალს უფლება აქვს ვეტო დაადოს სახაზო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას.

პარალელურობა – ნიშნავს, როდესაც ერთდროულად მზადდება ათასობით დეტალი და შემდეგ მათგან იწყობა მზა პროდუქტი. ან ნახევარფაბრიკატი და რომელთა შეერთებით მიიღება მზა პროდუქცია.

პარალოგიზმი (paralogism) [ბერძ. paralogismos] – წინასწარგანზრახულად დაშვებული ლოგიკური შეცდომა, როგორც კანონებისა და დადგენილი წესების დარღვევის შედეგი. ახლოსაა სოფიზმთან.

პარეტო - გაუმჯობესება (Pareto-improvement) – რესურსების ისეთი გადანაწილება, როდესაც ეკონომიკური აგენტების ერთი ნაწილის კეთილდღეობის ზრდა არ ამცირებს მეორე ნაწილის კეთილდღეობის დონეს. პარეტოს თეორია აღიარებულია კეთილდღეობის დონედ. პარეტოს თეორია აღიარებულია კეთილდღეობის ახალ ეკონომიკურ თეორიად.

პარეტოს ოპტიმუმი (Pareto optimum) – რესურსებისა და მზა პროდუქციის ისეთი განაწილება როდესაც არ ხდება გადანაწილება იმ სახით, რაც გააუმჯობესებდა ერთი ინდივიდის მდგომარეობას სხვა მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯზე. ეს კონცეფცია ეკუთვნის ვილფრედო პარეტოს და ატარებს მის სახელს. კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია იმ პირობების ანალიზთან, რომელთა შემთხვევაშიც შეიძლება პარეტოს ოპტიმუმის მიღწევა. მიუხედავად ამ უკანასკნელის დიდი თეორიული დანიშნულებისა, პარეტოს კრიტერიუმის პრაქტიკული გამოყენება ძალზე შეზღუდულია, ვინაიდან იგი მიღებულია იმ ალტერნატივების შერჩევისას, რომელიც გულისხმობს ერთი ინდი-

ვიდის მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვათა ხარჯზე. გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ პოლიტიკას მოაქვს ზიანი ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფისთვის, ეს გარემოება სერიოზულად ზღუდავს პარეტოს ოპტიმუმის პრაქტიკულ გამოყენებას. ამ შეზღუდვის გადასალახავად ზოგიერთი ეკონომისტი ცდილობს სამართლიანი განაწილების კონცეფციით, ან კომპენსაციის კრიტერიუმების გამოყენებით შეავსოს და განამტკიცოს პარეტოს ოპტიმუმი.

პარიზუს კლუბი (Paris Ciub) – არაფორმალური ორგანიზაცია, რომლის ჩარჩოებში კრედიტორი ქვეყნები აწარმოებენ მოლაპარაკებებს მოვალე ქვეყნებთან სახელმწიფო ვალის პირობებისა და სტრუქტურის ცვლილებების გადასინჯვასთან დაკავშირებით. პარიზის კლუბს არა ჰყავს მუდმივი წევრები. იგი ღიაა ყველასთვის, ვისაც მოსწონს მისი პრაქტიკული საქმიანობა და მუშაობის პირობები.

პარიტეტი (parity)[ლათ. paritas თანასწორობა] – 1. ტოლობა, ტოლფასოვნება, თანასწორობა, თანაბარი მდგომარეობა; 2. თანაფარდობა, სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს შორის მათი მსყიდველობითი უნარის მიხედვით (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი).

პარტენალიზმი – არის სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ტიპი, რომელიც ფორმირებულია სახელმწიფოს მიერ მისი სრულ რეგლამენტაციით. პარცენალიზმის ფორმირება შეიძლება, აგრეთვე, ორგანიზაციის დონეზე.

პარტიის სიდიდე – საქონლის ერთეულთა რაოდენობა, რომელიც შეიძლება შეიძინოს ჩვეულებრივმა მყიდველმა ერთჯერ ყიდვისას. საქონლის მახასიათებლების შესაბამისად ბევრი ფირმა ამჯობინებს საქონლის მსხვილი (დიდი) პარტიის (რაოდენობის) შეძენას.

პარტნიორების რესურსული სივრცე მოიცავს ჰორიზონტალურ პარტნიორობას, როდესაც ფირმა ირჩევს პარტნიორებს მათი უნარის პრინციპის მიხედვით გამოიყენოს მისთვის მისაღები საბაზრო შესაძლებლობები და ვერტიკალურ

პარტნიორობას, როდესაც ფირმა ირჩევს პარტნიორებს ფასეულობის შექმნაში მათი მონაწილეობის გათვალისწინებით (მარკ).

პარტნიორი – 1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების წევრი, რომელსაც აქვს დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები მის მიმართ; 2. (ფრან. Partenaire) – ერთობლივ კომერციულ საქმიანობაში მონაწილე.

პარტნიორობა (partnership) – ფირმის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც აერთიანებს ორი ან მეტი სუბიექტის კაპიტალს. არსებობს პარტნიორობის ორი სახე: გენერალური და შეზღუდული.

გენერალური პარტნიორობა გულისხმობს ფირმის ყველა ვალდებულებაზე მისი თითოეული მესაკუთრის შეუზღუდავ პასუხისმგებლობას. მაგალითად, ფირმის გაკოტრების შემთხვევაში კომპანიონი, რომელსაც ეკუთვნის ფირმის საკუთრების 1%, ისევე პასუხისმგებელია, როგორც ის, ვისაც დანარჩენი 99% ეკუთვნის.

შეზღუდული პარტნიორობისას, ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება კომპანიონებს შორის იურიდიულად გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

პარტნიორობა სოციალური – არის დამქირავებელისა და დაქირავებულებს შორის ურთიერთობათა ისეთი ტიპი და სისტემა, რომლის დროსაც სოციალური თანხმობის ფარგლებში მიიღწევა მათი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების შეხამება. პრაქტიკაში იგი გვევლინება, რომელიმე ფენის ან პიროვნების დიქტატურის ალტერნატივად. სოციალური პარტნიორობა არის სხვადასხვა დონეზე სოციალური კონფრონტაციის გადაწყვეტის ცივილიზებული მეთოდი.

პარტნიორული ურთიერთობანი კლიენტების ინფორმირება სიძნელეებზე, ბანკის სიძნელეებზე, ბანკის შეცდომებზე,

მის პრობლემებსა და მათგან თავის დაღწევის პერსპექ-ტივებზე.

პარტნიორული ურთიერთობებისა და პროფკავშირებთან – შრომითი კოლექტივების საბჭოებთან და სხვა ორგანი-ზაციებთან თანამშრომლობის მოწესრიგება.

პარცელა (parcel) [ფრანგ. parcelle ნაწილაკი] – მიწის მცირე ნაკვეთი, რომელზეც მეურნეობას ეწევიან.

პასივები, როგორც ბანკის ვალდებულებები, ზოგადი სახით იქმნება სხვადასხვაგვარი რეჟიმებისა და შეზღუდვების მქონე დეპოზიტების და შენატანების, ასევე ემიტირებული და გავრცელებული სავალი ფასიანი ქაღალდების სახით, ამასთან მათი თვისებრივი მახასიათებლები დამოკიდებუ-ლია უამრავი სხვადასხვაგვარი ფაქტორების ზემოქმედე-ბაზე. პასივების – ვალდებულების მართვა მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, ფაქტორთა ორი მნიშვნელოვანი ჯგუფის – ბანკის მიზნების (ამოცანების) და მისი კლიენტების (საბანკო პროდუქტების მომხმარებლების) ინტერესების ოპტიმალურად დაბალანსებული გავლენის მიღწევაში. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს გარედან ზემოქმედება - მას აუცილებლად თვალი უნდა მივადევნოთ და შეძლებისდაგვარად გავაკონტროლოთ.

პასივების მართვა. 1. ბანკი განსაზღვრავს საკუთარი კაპი-ტალისა და მოზიდული სახსრების ოდენობის მართვის პოლიტიკას, ადგენს მათ ოპტიმალურ სტრუქტურას აქტიურ ოპერაციებში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, პასივების მართვის მეშვეობით; 2. ისევე როგორც აქტივების მართვა წარმოებს ორი მთავარი მიმართულებით:

- კონკრეტული საბანკო პროდუქციის ხარისხის მართვა;
- საბანკო პროდუქციის პორთფელის მართვა.

პასივების სტრუქტურა – არის სასესხო სახსრების მთლიან თანხაში, რაც უფრო მაღალია გარკვეული ვადით მოზიდული რესურსების ხვედრითი წილი, მით უფრო ადვილად შეუძლია ბანკს აქტივებსა და პასივებს შორის

ბალანსის დაცვა ვადებისა და თანხების მიხედვით, ე.ი. მით უფრო მაღალია მისი ლიკვიდობა.

პასივი (passive voice, liabil – ity) – 1. საწარმოს ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა (საპირისპიროა – აქტივი); 2. დანახარჯის გადამეტება შემოსავლებზე; 3. ბუღალტრული ბალანსის მარჯვენა მხარე, რომელიც აღნიშნავს საწარმოს საშუალებების წარმოქმნისა და დაფინანსების წყაროებს.

პასიურ ანგარიშებზე – აისახება ბანკების რესურსების ფორმირების წყაროები (ბანკის ფონდები და მოგება, ბიუჯეტის შემოსავლები, სახსრების ნაშთები საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე, დეპოზიტებში, ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული თანხები, კრედიტორული დავალიანება და ა.შ.).

პასიური მართვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია საინდექსო ფონდი ანუ პორტფელი, რომელიც შექმნილია ფასიანი ქაღალდების მთელი ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელი შერჩეული მაჩვენებლის მოძრაობის სარკისებური ასახვისათვის. მისი დანიშნულებაა პორტფელის რისკის კონტროლი და ნორმალური საქმიანობის უზრუნველყოფა.

პასიური ოპერაციები – იმ ოპერაციების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ კომერციული ბანკის რესურსების ფორმირებას.

პასიური საგადასახადო ბალანსი (unfavourable pay balance) – საგადასახადო ბალანსი, რომელშიც ქვეყნის მიერ საზღვარგარეთ გაწეული ხარჯები და გადასახადები აღემატება საზღვარგარეთიდან შემოსულ ფულად საშუალებებს.

პასიური სავაჭრო ბალანსი (unfavourable trade balance) – სავაჭრო ბალანსი, რომელშიც იმპორტი აღემატება ექსპორტს.

პასიური საკადრო პოლიტიკა – ხელმძღვანელობა ვერ ფლობს საკადრო სიტუაციას. არ არსებობს პერსონალზე მოთხოვნილების ანალიზი, არაა პერსონალის შეფასების მეთოდები და მოქმედებათა კონკრეტული პროგრამები; საკადრო

სამსახურის ქმედება დაიყვანება ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად მიმდინარე მუშაობაზე.

პასუხისმგებლობა დაბალი ხარისხით – ესაა პასუხისმგებლობა მხოლოდ მინდობილი საქმისათვის.

პასუხისმგებლობა დაკისრებული ამოცანების დროულად და ხარისხიანად შესრულების ვალდებულებაა.

პასუხისმგებლობა – დავალებების დროული და დამაკმაყოფილებელი (ხარისხიანი) შესრულების ვალდებულებაა.

პასუხისმგებლობის საშუალო დონე – გულისხმობს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას ფულადი სახსრებისათვის.

პასუხისმგებლობის უმაღლესი ხარისხი არის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ორგანიზაციისა და მისი მომუშავეების მთელი საქმიანობისათვის.

პატენტები (patents) –პატენტი არის ექსკლუზიური უფლება, რომელიც სახელმწიფო ორგანოს მიერ განსაზღვრული პროდუქციის წარმოებაზე ანუ სპეციფიკური პროცესის ან ტექნოლოგიების გამოყენებაზე გაიცემა.

პატენტი (patent) [ლათ. patens (patentis) ღია, აშკარა] – ოფიციალური მოწმობა, გაცემული კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამომგონებლის ან იმ პირის სახელზე, რომელსაც გამომგონებელმა დაუთმო თავისი გამოგონება. ეს მოწმობა მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ მონოპოლიურ უფლებას აკონტროლოს თავისი გამოგონების გამოყენება დროის განსაზღვრულ პერიოდში. (ვთქვათ, 20 წლის მანძილზე) და მიიღოს გარკვეული საზღაური გამოგონებისათვის.

პატერნალიზმი (paternalism) [ლათ. paternus მამობრივი] – იდეალური დოქტრინა წარმოებაში დასაქმებულთა მიმართ, მესაკუთრის დამოკიდებულების შესახებ და ამ დოქტრინის შესაბამისი ღონისძიებების გატარების პოლიტიკა.

პაუპერი – 1. ღატაკი ადამიანი, რომელსაც არავითარი საარსებო არ გააჩნია; 2. (pauper) [ლათ. pauper ღატაკი] - მათხოვარი, არსებობის საშუალებებს მოკლებული ადამიანი.

პაუშალური გადასახდელი წინასწარ დადგენილი გარკვეული თანხაა. მისი გადახდა წარმოებს ერთ ან რამდენიმე ნაწილად, როგორც წესი, ტექნოლოგიის გადაცემის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. გამყიდველისათვის ამ ფირმის უპირატესობა გამოიხატება გადასახდელი თანხის ერთიანად (ან მისი ძირითადი ნაწილის) მიღების შესაძლებლობაში, რის შედეგად აუცილებელია (ან მინიმუმამდეა დაყვანილი) კომერციული და სხვა სახის რისკები.

პაუშარული თანხა (sum total)[გერმ. pauschal] – ერთიანად აღებული მთლიანი თანხა, მისი შემადგენელი ნაწილების დიფერენციაციის გარეშე; მაგალითად, სავაჭრო გარიგებისას განსაზღვრული მომსახურებისათვის დაწესებული თანხა და ა.შ.

პაჯჰაუზი – საბაჟოებთან რკინიგზის სადგურებთან ან ნავსადგურებთან არსებული დახურული საწყობები, სხვადასხვა მცირე ტვირთის დროებითი შესანახი სათავსოები.

პეკულიუმი – საკუთრება, ქონება. ძველ რომში მონათმფლობელები გარკვეული პირობებით აძლევდნენ მათზე დამოკიდებულ პირებს უძრავ და მოძრავ ქონებას დროებით სარგებლობაში, მაგრამ ინარჩუნებდნენ საკუთრების უფლებას ამ ქონებაზე.

პენსია – (pension) 1. მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის ფორმა. ფულადი თანხა, რომელსაც მთავრობა უხდის მოქალაქეებს სხვადასხვა ნიშნით. მაგალითად: მოხუცებულობისათვის, ერთ დაწესებულებაში ხანგრძლივი მუშაობისათვის, ინვალიდობისა და სხვ. გამო; 2. საპენსიო, სადაზღვევო და სხვა ფონდებიდან გაცემული რეგულარული ფულადი თანხა იმ მოქალაქეებზე, რომლებსაც შეუსრულდათ საპენსიო ასაკი, აგრეთვე ინვალიდობასთან ან მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებით, ასევე ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც. იგი, როგორც წესი, არსებობის ძირითადი წყაროა და არ ექვემდებარება დაბეგვრას.

პენსიონერთა მიკროდაკრედიტება – მიკროდაკრედიტებაში შეიძლება მონაწილეობდნენ ბანკი, საპენსიო ფონდი (მისი

ტერიტორიული განყოფილება), პენსიებისა და შემწეობების დარიცხვისა და გაცემის ცენტრი, საფოსტო კავშირის სამმართველო. ამ დროს დგინდება მიკროკრედიტის ლიმიტი (თანხა/, საპროცენტო განაკვეთი/ ვთქვათ, წლიური 8%). მიკროკრედიტის გაცემის ვადაა პენსიის უახლოეს დარიცხვამდე, ე.ი. 30 დღეზე ნაკლები. კრედიტის დაბრუნება ავტომატურად ხდება – ბანკში საპენსიო ანგარიშზე შემოსული ფულადი სახსრების ხარჯზე. შესაძლებელია მიკროკრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ.

პერიოდის ხარჯები – იმ ხარჯებს ეწოდება, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულებაში არ შეიტანება. ესენია: მარკეტინგის ხარჯები; საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები; არასაოპერაციო ხარჯები; განსაკუთრებული ხარჯები.

პერსონალზე დანახარჯების მართვა – იგი გულისხმობს ყველა იმ დანახარჯის დათვლას, რომელიც დაკავშირებულია პერსონალის შერჩევასთან, შეფასებასთან, მიღებასთან, სწავლებასთან, შრომის ანაზღაურებასთან და ა.შ. აგრეთვე დანახარჯების შესაბამისობის მომუშავეთა შრომით მიღებულ მოგებასთან.

პერსონალზე კონტროლი, დისციპლინისა და ორგანიზაციული წესრიგის უზრუნველყოფა – იგი გულისხმობს კონტროლს არა მარტო ხელმძღვანელობის მხრიდან. არამედ თვითკონტროლსაც.

პერსონალი – 1. დაწესებულების, საწარმოს და ა.შ. პირადი შემადგენლობა ადმინისტრაციული და საწარმოო ტექნიკური მუშაკების ცალკეული კატეგორიები, რომლებიც ერთ პროფესიულ ჯგუფშია; 2. ორგანიზაციის ეკონომიკური და ინოვაციური სივრცის ნაწილი. იგი წამყვან როლს ასრულებს რესურსების სხვა სახეებთან შედარებით. მიჩნეულია, რომ სამეურნეო სუბიექტების წარმატება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია პერსონალზე, მის კვალიფიკაციასა და საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე. საწარმოს პერსონალში იგულისხმება მომუშავეთა მთელი ერთობლიობა (როგორც

დაქირავებულები ისე მესაკუთრენი), რომელთა შრომითი პოტენციალი შეესაბამება წარმოებრივს და უზრუნველყოფს ეფექტიან სამეწარმეო საქმიანობას.

პერსონალის მომზადება – (შიდასაკვალიფიკაციო მოთხოვნები იერარქიულ სტრუქტურაში, შიდა მოთხოვნების თანაფარდობა ზედამხედველობის მოთხოვნებთან, კადრების მომზადების, შერჩევისა და გადამზადების ორიენტაცია).

პერსონალის ანალიზური სტრუქტურა – განისაზღვრება სპეციალური გამოკვლევებისა და გაანგარიშების საფუძველზე. იგი იყოფა ორ ნაწილად: ზოგადი და კერძო. ზოგადი სტრუქტურისას პერსონალს განიხილავენ შემდეგი ნიშნების მიხედვით: მუშაობის სტაჟი, განათლება, პროფესია. კერძო სტრუქტურა გამოხატავს ცალკეული კატეგორიის მომუშავეთა თანაფარდობას, მაგალითად, „მძიმე შრომით დასაქმებულების“ და ა.შ.

პერსონალის ატესტაციასა და სამსახურებრივი დაწინაურების პრობლემას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანური რესურსების მართვაში. საქართველოს პრაქტიკაში დამკვიდრებულია ატესტაციის სამი ტიპი: სახელმწიფო მომსახურეთა ატესტაცია, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა ატესტაცია და მართვის ძირითადი რგოლის – ორგანიზაციების პერსონალის ატესტაცია.

პერსონალის განთავისუფლება (გამოთავისუფლება)– თანამედროვე წარმოებაში ეს ფუნქცია არ გულისხმობს მხოლოდ განთავისუფლებას ხელმძღვანელობის ან თანამშრომლის (მომუშავის) ინიციატივით. მასში იგულისხმება, აგრეთვე, მომუშავეთა გადაყვანა არასრული სამუშაო დღეზე ან არასრულ სამუშაო კვირაზე, დროებით განთავისუფლება და სხვ.

პერსონალის განლაგების ორგანიზაცია – იგულისხმება ორგანიზაციაში არსებული შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის სისტემის შესაბამისად ორგანიზაციის მომუშავეთა რაციონალური განაწილება სტრუქტურული ქვედანაყო-

ფების, უბნებისა და სამუშაო ადგილების მიხედვით. პერსონალის განლაგება ემყარება მომუშავეთა შესაძლებლობებს (უნარს), ფსიქოფიზიოლოგიურ და საქმიან თვისებებს, რომლებიც პასუხობენ შესასრულებელი სამუშაოს მოთხოვნებს.

პერსონალის განლაგების ორგანიზაციისათვის საწყისი მონაცემებია – სამსახურეობრივი კარიერის მოდელი: ორგანიზაციის ფილოსოფია და საკადრო პოლიტიკა; შრომის კანონმდებლობა; საატესტაციო კომისიების მასალები; თანამშრომელთა კონტრაქტი; საშტატო განრიგი; თანამდებობრივი ინსტრუქციები; თანამშრომელთა პირადი საქმეები; დებულებანი შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების შესახებ; დებულებანი კადრების შერჩევისა და განლაგების შესახებ.

პერსონალის დაგეგმვა, მათ შორის სტრატეგიული – იგი განიხილება როგორც კადრების მენეჯმენტის საწყისი ფუნქცია.

პერსონალის დივერსიფიკაცია – პერსონალის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფორმა შრომის ბაზრის პირობებში. იგი ვლინდება მომუშავის უნივერსალიზაციაში, ანუ მათ მიერ რამდენიმე სპეციალობისა და წარმოებრივი ოპერაციის ათვისებაში. ამით გაადვილდება პერსონალის გადანაწილება როგორც შრომის შიგა, ისე გარე ბაზარზე. პერსონალის დივერსიფიკაცია ამაღლებს პროფესიონალურ მობილურობას და მომუშავის მზადყოფნას შრომის ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, სწრაფად აითვისონ მათთვის საჭირო ახალი სპეციალობა.

პერსონალის მართვის სტრატეგიაზე – ზემოქმედებას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები. რომელიც შეიძლება დავყოთ გარე და შიგა ფაქტორებად.

პერსონალის მართვის სტრატეგიის რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტებია – საკადრო დაგეგმვა, პერსონალის განვითარების გეგმა, მოტივაცია, წახალისება და სხვა. მისი მიზანია საკადრო პრობლემების გადაჭრა და

ორგანიზაციის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური პერსონალით. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით იცვლება თანამშრომელთა მოქმედება, იქმნება პირობები მათი ეფექტური მუშაობისათვის, უმჯობესდება კოლექტივის სტრუქტურა.

პერსონალის მართვის სტრატეგიის ფორმირების ეტაპებია – ორგანიზაციის შიგა და გარე გარემოს ანალიზი; პერსონალის მართვის სფეროში მისიისა და ორგანიზაციული მიზნების საფუძველზე ამოცანის დასმა; სტრატეგიული ალტერნატივების შემუშავება; პერსონალის მართვის სამსახურების თანამედროვე სისტემის შექმნა; მათი საქმიანობის ეფექტიანობის და მთლიანობაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანობის კრიტერიუმების შემუშავება.

პერსონალის მარკეტინგი – მისი ამოცანაა მოცემულ საწარმოში სამუშაო ადგილებზე გარედან მოთხოვნის დაკმაყოფილება სათანადოდ მომზადებული ადამიანებიც, უპირველეს ყოვლისა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებითა და მენეჯერებით.

პერსონალის მოზიდვის სპეციალისტები – ისინი ეძებენ კვალიფიციურ პერსონალს.

პერსონალის მოზიდვის წესებისა და საშუალებების განსაზღვრა – ამ ფუნქციის რეალიზაცია გულისხმობს, რომ პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს; სად უნდა იშოვონ საჭირო მომუშავეები, როგორ მიიზიდონ ისინი მოცემულ საწარმოში, რამდენი კაცი უნდა აიყვანონ საწარმოს გარედან და რამდენი შიგნიდან.

პერსონალის მოტივაცია – რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა ორგანიზაციული და პირადი მიზნების თანხვედრისას.

პერსონალის პროფესიონალური სტრუქტურა – ადამიანებმა რომ შეძლონ ამა თუ იმ თანამდებობაზე მუშაობა, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პროფესია და კვალიფიკაცია. პროფესიაში იგულისხმება სპეციალური მომზადებისა და

მოცემულ სფეროში მუშაობის გამოცდილების შედეგად შეძენილი სპეციალური თეორიული და პრაქტიკული ჩვევების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა, შესრულდეს შესაბამისი სამუშაო.

პერსონალის რაციონალური განლაგება – 1. გულისხმობს კვალიფიკაციის, სოციალური აქტივობის სქესისა და ასაკის მიხედვით მოცემული პირობებისათვის შესაფერის პროპორციებს. აუცილებელია, კადრების განლაგების შესახებ ინსტრუქციებში დაფიქსირებული იყოს აგრეთვე, სხვა ფუნქციების შეთავსების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები; 2. იგი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების ეფექტურ შევსებას. იგი მიიღწევა სხვადასხვა მეთოდითა და საშუალებით. მათ შორის ერთ-ერთია სამსახურეობრივი (საქმიანი) კარიერის შექმნა.

პერსონალის რაციონალური განლაგება ემსახურება ორ მიზანს – 1. სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ჩარჩოებში აქტიურად მოქმედი შრომითი კოლექტივის ჩამოყალიბება. 2. თითოეული მომუშავისათვის პროფესიონალური ზრდის პირობების შექმნა.

პერსონალის საბანკო მენეჯერი – კლიენტებთან პერსონალურად მომუშავე პირები. მათ მუდმივი ურთიერთობა აქვთ კლიენტებთან, რაც საშუალებას აძლევს ბანკს ახლოს იყოს თითოეულ ინდივიდუალურ კლიენტთან; პერსონალური მენეჯერი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე კოორდინაციას უკეთებს ბანკის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობას, რაც ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

პერსონალის საქმიანი შეფასება – ესაა პერსონალის ხარისხობრივ მაჩვენებელთა (უნარი, მოტივაციისა და თვისებების) თანამდებობებისა და სამუშაო ადგილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის კანონზომიერი პროცესი.

პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასება. აღნიშნული ფუნქცია გამოიხატება მომუშავეთა ატესტაციით, რომლის საფუძველზე ხორციელდება კად-

რების სტიმულირება, განვითარება, გამოყენება და მათზე კონტროლი.

პერსონალის სპეციალიზაციაში იგულისხმება პიროვნების ჩამოყალიბებისა და მოცემულ საზოგადოებაში მისი სოციალური მდგომარეობის (სტატუსის) მოპოვებისათვის აუცილებელ ფასეულობათა განსაზღვრული სისტემის, სოციალური ნორმებისა და ქცევის ნიმუშების ათვისება ადამიანის მიერ. სოციალიზაცია მოიცავს ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის აუცილებელი კულტურისა და კომუნიკაციის ზიარების ყველა პროცესს.

პერსონალის სტრატეგიული მართვის ობიექტია – ორგანიზაციის მომუშავეები, შრომის პირობები და პერსონალის სტრუქტურა. პერსონალის სტრატეგიული მართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონალის ოპტიმალური სტრუქტურის უზრუნველყოფას.

პერსონალის სტრუქტურა – (ორგანიზაციის სოციალური სტრუქტურა) – მომუშავეთა ცალკეული ჯგუფის ერთობლიობა. იგი შეიძლება იყოს სტატისტიკური და ანალიზური. სტატისტიკურ სტრუქტურაში იგულისხმება პერსონალის განაწილება და მომზადება თანამდებობების, კატეგორიებისა და ჯგუფების მიხედვით. ამ ნიშნით გამოყოფენ ორ ჯგუფს: 1. საქმიანობის ძირითადი სახეობებში დასაქმებული და 2. საქმიანობის არაძირითად საქმიანობაში დასაქმებული პერსონალი. პირველ ჯგუფში შედიან მომუშავეები, რომლებიც დასაქმებულია ძირითად და დამხმარე, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო განყოფილებებში. აგრეთვე, პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებაზე დაკავებული მართვის აპარატის მუშაკები. მეორე ჯგუფში კი შედიან სარემონტო, საბინაო-კომუნალურ მეურნეობათა და სოციალური სფეროს განყოფილებების მომუშავეები. პერსონალის ანალიზური სტრუქტურა განისაზღვრება სპეციალური გამოკვლევებისა და გაანგარიშების საფუძველზე.

პერსონალის შერჩევა – ადამიანური რესურსების მართვაში ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. ამ დროს ძალიან ძვირი უჯდება ორგანიზაციას და საბოლოო ანგარიშით, მთელ საზოგადოებას.

პერსონალის შერჩევის ძირითადი პრინციპებია – 1. **კომპლექსურობა.** მასში იგულისხმება კანდიდატის პიროვნების ყოველმხრივი გამოკვლევა და შეფასება (ბიოგრაფიული მონაცემების, პროფესიული კარიერის, პროფესიონალური ცოდნის, უნარის, საქმიანი და პირადული თვისებების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მასზე კოლგების შეხედულების შესწავლის და სხვ.); 2. **ობიექტურობა.** კანდიდატის თვისებათა შეფასების შედეგების განმეორებადობა. ხელახალი შერჩევისას (იმავე კანდიდატის), კონსულტაციისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღების სუბიექტური შეხედულების მინიმუმამდე დაყვანა; 3. **განუწყვეტელობა.** იგი გულისხმობს მუდმივ მუშაობას პერსპექტიული სპეციალისტების მოზიდვასა და შერჩევაზე, აგრეთვე ხელმძღვანელი თანამდებობისათვის საკადრო რეზერვის შექმნაზე; 4. **მეცნიერულობა** – კადრების შერჩევისა და მომზადების პროცესში მოწინავე მეცნიერული მიღწევებისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება. პერსონალის შერჩევის **სპეციფიკური** პრინციპებია: 1. ორიენტაცია ადამიანის ძლიერ და არა სუსტ მხარეებზე და ძიება არა ბუნებაში არარსებული იდეალური კანდიდატებისა, არამედ მოცემული თანამდებობისათვის ყველაზე შესაფერისისა. იმ შემთხვევაში, როცა პრეტენდენტთა დიდი ოდენობა ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს, პერსონალის შერჩევის პროცედურა წყდება. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, თვით მოთხოვნები აწეულია და საჭიროა მათი გადახედვა; 2. თავის შეკავება ახალ მომუშავეთა მიღებაზე, თუ მათზე მოთხოვნილება არ არის; 3. პრეტენდენტის ინდივიდუალური თვისებების შესაბამისობის უზრუნველყოფა, შესასრულებელი სამუშაოს შინაარსიდან გამომდინარე, მისადმი

წაყენებულ მოთხოვნებთან (განათლება, მუშაობის სტაჟი, გამოცდილება, ზოგ შემთხვევაში კი სქესი, ასაკი, ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სხვ); 4. ორიენტაცია ყველაზე კვალიფიციურ კადრებზე (მიჩნეულია, რომ კარგი სპეციალისტი, რაც უნდა დიდი იყოს მისი ხელფასის სიდიდე, ორგანიზაციისათვის იაფია), მაგრამ არა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მომუშავეებზე, ვიდრე ამას მოითხოვს სამუშაო ადგილი. შერჩევის კრიტერიუმი არ უნდა იყოს ბევრი, მათგან ძირითადია: განათლება, გამოცდილება, საქმიანი თვისებები, პროფესიონალიზმი, ფიზიკური მახასიათებლები, კანდიდატის პიროვნების ტიპი, მისი პოტენციური შესაძლებლობანი. დასავლურ მოწინავე ფირმებში ფართოდაა გავრცელებული პერსონალის შერჩევის ახალი მოდელი. კანდიდატებს განიხილავენ არა მარტო სამუშაო ადგილების მოთხოვნებიდან გამომდინარე, არამედ მთელი ორგანიზაციიდან, მისი ტრადიციებისა და კულტურიდან გამომდინარე. ამიტომ, მხედველობაში მიიღება როგორც პროფესიონალურ-საკვალიფიკაციო, ისე პიროვნული თვისებები. კანდიდატებს ანაწილებენ სამ ჯგუფად: 1. უვარგისი; 2. პირობითად ვარგისი; 3. შეფარდებით ვარგისი შემდგომი საქმიანობისათვის (შეფარდებითად იმიტომ რომ, ყველა აუცილებელი თვისებების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია).

პერსონალის შეფასების პროცედურის სახეები – პერსონალის შეფასების პროცედურის სახეების კლასიფიკაციას ახდენენ სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. მას შემდეგი სახე აქვს:

1. შესაფასებელი ობიექტის მიხედვით:
   - საქმიანობის მიხედვით (სირთულე, ეფექტიანობა და სხვ.);
   - მიზნის მიღწევის მიხედვით (რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგი, ინვალიდებისა და ქვედანაყოფების ღვაწლი მთელი ორგანიზაციის საერთო შედეგებში;

- მომუშავის მიერ ამა თუ იმ პიროვნული თვისებების ფლობის (ცოდნა, ჩვევები, ხასიათის სახე და სხვ.), მათი გამოხატვის ხარისხისა და მუშაკის მიერ ამა თუ იმ ფუნქციის დაუფლებლობის მიხედვით.

2. შესაფასებელ მონაცემთა წყაროების მიხედვით:

- მუშაკის შესაფასებლად გამოყენებული დოკუმენტების მიხედვით (ავტობიოგრაფია, რეზიუმე, დახასიათება, შესამოწმებელი თხზულება სპეციალისტების აზრით მათი საიმედობის კოეფიციენტია 0,2);
- საკადრო გასაუბრებათა (ინტერვიუების) შედეგების მიხედვით;
- საერთო და სპეციალური ტესტირების მონაცემების მიხედვით;
- დისკუსიაში მონაწილეობის შედეგების მიხედვით;
- წარმოებრივი დავალების შესრულების ან სპეციალურ სიტუაციებში ქცევის შესახებ ანგარიშის მიხედვით;
- გრაფოლოგიური და ფიზიოგნომიკური ექსპერტიზის მიხედვით;
- ასტროლოგიური პროგნოზირების მიხედვით.

3. შეფასების პროცედურის განხორციელების საშუალების მიხედვით.
4. შეფასების კრიტერიუმის მიხედვით, რომელთა დახმარებით ხდება კარგი (საუკეთესო) ან ცუდი მაჩვენებლების არჩევა.
5. სუბიექტის მიხედვით (კანდიდატები და მომუშავეები, რომლებიც ახდენენ თვით შეფასებას).
6. კონტიგენტის მოცვის ხარისხის მიხედვით. იგი შეიძლება იყოს გლობალური, როცა შეფასება ხდება მთლიანობაში და ლოკალური, როცა აფასებენ მომუშავეთა რომელიმე ჯგუფს ან ცალკეულ მუშაკს.
7. პერიოდის მიხედვით. ადამიანის შეფასება შეიძლება არა მარტო განსაზღვრულ კალენდარულ დროს, არამედ ორგანიზაციაში სხვადასხვა ან მთელ პერიოდში.

პერსონალის შეფასების ძირითადი ამოცანებია – 1. შესაფასებელი მუშაკის ფუნქციური როლის დადგენა; 2. მისი (მუშაკის) განვითარების პროგრამის შემუშავება; 3. მოცემულ კრიტერიუმებთან ხელფასის შესაბამისობის ხარისხის დადგენა და მისი სიდიდის განსაზღვრა; 4. მომუშავის მოტივაციის საშუალებათა განსაზღვრა და ა.შ.

პერსონალის ძალა – ეს არის ძალა, რომელიც თქვენი ხასიათიდან გამომდინარეობს. სიდიადით გატარება, რწმენის სიძლიერე, კომუნიკაციის უნარი, ქარიზმა და ლიდერობის უნარები – თქვენი პერსონალის ძალაა.

პერსონალის ხელმძღვანელობა. ამ ფუნქციის შესრულებაში ცენტრალური ადგილი მომუშავეთა ადაპტაციას უკავია. პერსონალის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით რთული და შინაარსიანი საქმიანობაა, რამდენადაც საქმე ეხება ადამიანების მართვას.

პერსონალური ტრასტი – შეიძლება რამოდენიმე ხერხით გაფორმდეს. ძირითადია ხელშეკრულება მრწმუნებულსა და რწმუნებელს შორის. ამ ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებული ქონებას ფლობს და განკარგავს მრწმუნებლის ან იმ ბენიფიციარის ინტერესებისათვის, რომელსაც (რომლებსაც) რწმუნებელი მიუთითებს.

პერსონალის შეფასების შემდეგი ეტაპებია – 1. წინაწსარი ინფორმაციის შეგროვება; 2. წინა ეტაპზე მიღებული ინფორმაციის განზოგადება; 3. ხელმძღვანელის მომზადება დაქვემდებარებულ თანამშრომლებთან შესაფასებელი საუბრის ჩასატარებლად; 4. შესაფასებელი საუბრისა და სხვა სამუშაოების ჩატარება და მისი შედეგების შემუშავება; 5. ხელმძღვანელის მიერ პერსონალის შეფასების საკითხებზე საექსპერტო დასკვნის ფორმირება და მისი წარდგენა საექსპერტო კომისიაში; 6. საექსპერტო დასკვნებში მოცემული წინადადებების საფუძველზე საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების მიღება.

პიგუ არტურ (1877-1959) (Pigou Artur) – ინგლისელი ეკონომისტი, ალფრედ მარშალის შემდეგ. 1908-1944 წლებში

კემბრიჯის უნივერსიტეტში ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელს დიდი ღვაწლი მიუძღვის დაბეგვრის თეორიის განვითარებაში. პიგუმ საფუძველი ჩაუყარა გარე ეფექტების (ექსტერნალიების) თეორიას. უარყოფითი გარე ეფექტების ნეიტრალიზაციის პიგუსეულ მეთოდს პიგუს გადასახადი ეწოდება.

პატეროს კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიისაგან განსხვავებით, პიგუ ამტკიცებდა, რომ ვინაიდან გადანაწილება არ ამცირებს მთლიან შემოსავალს, ხოლო ზღვრული სარგებლიანობა შემოსავლის კლებადი ფუნქციაა, ამიტომ სიმდიდრის გადაცემა მდიდრებისაგან ღარიბებისთვის გაზრდის საერთო კეთილდღეობას.

პიგუს ნაშრომები ფულისა და ნაშრომების თეორიაში „დასაქმების თეორია“ (1933) და კლასიკური თეორიის შინაარსს. ამის გამო კეინზის მხრიდან კრიტიკა უმთავრესად პიგუს დაატყდა თავს. მიუხედავად ამისა, მან შექმნა სრული დასაქმების მიღწევის მექანიზმი კეინზიანური სისტემის ჩარჩოებში. ამ მექანიზმმა მიიღო პიგუს ეფექტის სახელწოდება. იგი მდგომარეობს შემდეგში: არასრული დასაქმების პირობებში ფასების დაცემა ზრდის ნაღდი ფულის რაოდენობას ეს იწვევს საქონელზე მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად, დასაქმების გადიდებას. პიგუს მტკიცებით, ფასების ზრდასა და აქედან გამომდინარე, საბაზრო წონასწორობის დარღვევას თან სდევს მომხმარებელთა შესაბამისი საბაზრო ქცევა: მიმდინარე მოთხოვნის ხარჯზე ფულადი შემოსავლების ტეზავრირებული ნაწილის გადიდება. ამას მოჰყვება მოხმარებისათვის განკუთვნილი ფულადი შემოსავლების ოდენობის შემცირება, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მიმდინარე მოთხოვნაზე, გამოიწვევს ფასების შემცირებას და საბაზრო წონასწორობის აღდგენას. ფულადი შემოსავლების გამოყენების სფეროში მოქმედი მექანიზმის გარე ეფექტი, რომელიც აისახება ეკონომიკური წონას-

წორობის შენარჩუნებაში, ატარებს ა. პიგუს სახელს და ცნობილია პიგუს ეფექტის სახელწოდებით.

პიგუს ნაშრომებიდან, აგრეთვე აღსანიშნავია: „სიმდიდრე და კეთილდღეობა“ (1912), „კეთილდღეობის ეკონომიკა“ (1921), „სრული დასაქმებიდან გადახრა“ (1945) და ა.შ.

პიგუს გადასახადი (Pigouian tax) – გადასახადი, დაწესებული უარყოფითი გარე ეფექტების (ექსტერნალიების) კორექტირებისა და ნიველირებისათვის. პიგუს გადასახადით იბეგრება ასეთი გარე ეფექტის წარმომქმნელი. ამასთან გადასახადის ოდენობა უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ გარე ეფექტის დანახარჯები საზოგადოებრივი ხარჯების ტოლი იყოს.

პიკი (peak) – წარმოების აღმავლობის ზედა წერტილი, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური ზრდის უმაღლესი ტემპით. პიკის შემდეგ იწყება წარმოების დაცემა.

პილოტირება – (ფრანგ. piloter - თვითმფრინავის ტარება) ფრენის დროს საჰაერო ხომალდის მართვის ორგანოებით მანიპულირება.

პინტა (pint) – მოცულობისა და ტევადობის ერთეული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში 1პ = 1,8 გალონს ანუ 0,568 ლიტრს. აშშ-ში განასხვავებენ თხევად პინტას (უდრის 1/8 ამერიკულ გალონს, ანუ 0,473 ლიტრს) და ფხვიერ პინტას (უტოლდება 1/64 ამერიკულ ბუშელს, თავის მხრივ, ბუშელი უდრის 0,551 ლიტრს)

პირად მომსახურებას მიეკუთვნება ის სახეები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ადამიანზე. ამ ჯგუფში შედის: განათლება, ხელოვნება, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა, ფიზკულტურა და სპორტი, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, რეკრეაციული, შინამოსამსახურეთა მომსახურება.

პირადი აპარატი – იგი მომსახურე აპარატის სახეობაა, რომელსაც ხელმძღვანელი ქმნის მასზე დაკისრებული უფლებამოსი-

ლების აღსასრულებლად. ამგვარი აპარატის წევრები ხელმძღვანელის მითითებებს ასრულებენ და ორგანიზაციაში მათ სხვა უფლებამოსილებანი არ გააჩნიათ. როცა პირადი აპარატის წარმომადგენელი საქმიანობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ხელმძღვანელის დავალებას ასრულებს. პირადი აპარატის წარმომადგენლებს ფორმალური უფლებამოსილებანი არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი დიდ ძალაუფლებას ფლობენ. ხელმძღვანელის აპარატის წევრები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ გასაგები მიზეზების (ისინი წარმოადგენენ ხელმძღვანელთან დაახლოებულ პირებს) გამო.

პირადი დაზღვევა – სოციალური ჯანმრთელობის, მოქალაქეთა შრომისუნარიანობისა და მათი მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცების სოციალური დაცვის ფორმას წარმოადგენს. პასუხისმგებლობის დაზღვევა იცავს როგორც თვით დაზღვევის ინტერესებს, ასევე მესამე პირების ინტერესებსაც, რომელთაც გარანტია ეძლევათ დამზღვევის ქმედების შედეგად მათთვის მიყენებული შესაძლო ზარალის გადახდაზე. ასეთი დაზღვევის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეობას – სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს. ამასთან ყველაზე უფრო აქტუალურს და რთულს – კრედიტის დაუფარაობასთან დაკავშირებული მსესხებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს.

პირადი მომსახურება (personal servise) – მომსახურების ის სახეები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ადამიანზე. ამ ჯგუფში პირობითად შედის მომსახურების სფეროს შემდეგი დარგები: განათლება, ხელოვნება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა, ფიზკულტურა და სპორტი, რეკრეაციული მომსახურება, შინამოსამსახურეთა მომსახურება.

პირადი საკუთრება არის ინდივიდუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით პირადი მოხმარების საგნების

(ნივთების) მითვისების სოციალურ-ეკონომიკური ფორმა.

პირადი შემოსავალი (personal income) – ცალკეული ფიზიკური პირების შემოსავალი გადასახადების გადახდამდე.

პირდაპირ სალიზინგო გარიგებას მთლიანად აფინანსებს სესხის გამცემი, რომელიც კონტრაქტს აფორმებს არენდაში გასაცემი მოწყობილობის მწარმოებელთან.

პირდაპირი გადასახადები – (direct tax) არის რეგულარული საგადასახადო ანარიცხი, რომელსაც მოცემული ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირები უხდიან სახელმწიფოს შემოსავლის ყველა სახიდან, მოგებიდან და საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით. პირდაპირი გადასახადები იყოფა რეალურ და პირად გადასახადებად. რეალური გადასახადებით იბეგრება ქონება. ასეთია: ადგილ-მამულის გადასახადი, სახლის გადასახადი და სხვ. საქართველოში პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება: საწარმოს მოგების გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, მიწის გადასახადი, ქონების გადასახადი, ეკოლოგიური გადასახადი, სოციალური დაზღვევა და სხვ.

პირდაპირი დანახარჯები, – რომლებიც ერთდროულად გაწევის მომენტიდან ცნობილია რომელი სახის პროდუქციის ან მომსახურების თვითღირებულებას მიეკუთვნოს.

პირდაპირი დანახარჯებია – ძირითადი მასალის ხარჯი; ძირითადი შრომითი ხარჯი.

პირდაპირი ეწოდება ისეთ ფაქტორინგს, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ერთი ფაქტორი – ფაქტორი ექსპორტიორის (გამყიდველის) ქვეყანაში, რომელთანაც ექსპორტიორს დადებული აქვს ხელშეკრულება ფაქტორინგის შესახებ.

პირდაპირი ზეგავლენის გარემოცვა – გარესამყარო, რომლის ფაქტორები უშუალოდ ზემოქმედებენ ორგანიზაციაზე; ამასთანავე, ორგანიზაციაც უშუალოდ ზემოქმედებს ამ ფაქტორებზე.

პირდაპირი ზემოქმედების გარემოში – ელბინგის თანახმად, იგულისხმება ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ორგანიზაციაში საწარმოო ოპერაციებზე და თვითონაც პირდაპირ და უშუალოდ განიცდიან ამ ოპერაციების ზემოქმედებას. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება: მიმწოდებლები, შრომითი რესურსები, სახელმწიფო რეგულირების დაწესებულებები და კანონები, პროფკავშირები, მომხმარებლები და კონკურენტები.

პირდაპირი ინვესტირება საზღვარგარეთ – უცხოური ბაზრის საქმიანობაში ჩაბმა მათში საკუთარი საამწყობო ან საწარმოო დაწესებულებების შექმნის საფუძველზე.

პირდაპირი კავშირი – მმართველი სისტემის ზემოქმედება სამართავი სისტემის ამა თუ იმ ელემენტზე, ე.ი. პირდაპირი სიგნალი სამართავ სისტემაში.

პირდაპირი კაპიტალდაბანდებანი – საერთაშორისო ბიზნესის მაგალითია ორგანიზაციის მიერ უცხო ქვეყანაში პროდუქციის წარმოების (ან მომსახურების) ორგანიზება და ამასთან დაკავშირებულ ყველა მთავარ ფუნქციაზე (წარმოება, მარკეტინგი, ფინანსები და ა.შ) სრული კონტროლის დაწესება.

პირდაპირი კოტირება – უცხოური ვალუტის კოტირების მეთოდი, რომლის დროსაც უცხოური ვალუტის ერთეულის ღირებულება გამოისახება ეროვნულ ფულად ერთეულში. კოტირების ამგვარი მეთოდი გამოიყენება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში.

პირდაპირი კოტირება უცხოური ვალუტის ერთი ერთეულის შესასყიდად – საჭირო ეროვნული (შიდა) ვალუტის ერთეულთა რაოდენობაა, ხოლო შებრუნებული კოტირება შიდა ვალუტის ერთი ერთეულია შესასყიდლად საჭირო უცხოური ვალუტის ერთეულთა რაოდენობა.

პირდაპირი მარკეტინგი, – რომლის საფუძველია პირდაპირი საფოსტო გაგზავნა და ვაჭრობა კატალოგებით. პირდაპირ მარკეტინგს განეკუთვნება აგრეთვე ტელემარკეტინგი და ელექტრონული „ონლაინური ვაჭრობა“.

პირდაპირი მეთოდი – ფულადი შემონატანებისა და გადახდების ძირითად კატეგორიებს ძირითადი საქმიანობიდან ითვალისწინებს და თავისი არსით, იგი შემოსავლების შესახებ ანგარიშს წარმოადგენს, რომელიც საკასო მეთოდის საფუძველზე შედგენილი.

პირდაპირი მიმოსვლა – ტვირთების გადაზიდვა ერთი ან რამდენიმე სახის ტრანსპორტით გადატვირთვის ერთიანი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ასრულებს გადაზიდვის ხელშეკრულების ფუნქციას. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ამ დოკუმენტს ყველაზე რეალური გადაზიდვის დოკუმენტი (Through Bilf of Lagong) ანდა შერეული გადაზიდვის დოკუმენტი (Combined Transport Document).

პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები – ეს არის ლიმიტების დადგენა ბანკების დაფინანსებისა და საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ცალკეული საბანკო ოპერაციების გასატარებლად.

პირდაპირი საექსპლუატაციო დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოებასთან, გაწეულ სამუშაოებთან, მომსახურებასთან და პირდაპირ ჩაირთვებიან მათ თვითღირებულებაში. დანახარჯების დაყოფას პირდაპირ და ირიბ დანახარჯებად დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის გეგმიური და ფაქტობრივი თვითღირებულებების განსასაზღვრავად. ამ დანახარჯების ჩამონათვალი გათვალისწინებულია სამოქალაქო ავიაციის ინსტრუქციებში, რომელიც ეხება პროდუქციის, სამუშაოს და მომსახურების თვითღირებულების დაგეგმვას, აღრიცხვას და კალკულაციას.

პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები – არიან საწარმოს არსებული და მომავალი ინვესტორები და კრედიტორები. ისინი აანალიზებენ რა ბუღალტრულ ანგარიშგებაში არსებულ ინფორმაციას, ცდილობენ გააკეთონ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორია საწარმოს

ფინანსური პერსპექტივა, ღირს თუ არა მის საქმიანობაში სახსრების დაბანდება. კრედიტორებს კი აინტერესებთ, შეძლებს თუ არა საწარმო ვალის დროულად გადახდას და აქვს თუ არა პროცენტის გადახდის საშუალება.

პირდაპირი შერეული მიმოსვლა – თავისი არსით, ესაა პირდაპირი მიმოსვლის სინონიმი.

პირდაპირი ხელფასი აღირიცხება უშუალოდ დაუმთავრებელი პროდუქციის ანგარიშ - დებეტში.

პირდაპირია – ისეთი ხელფასი რომელიც მიეცემა კონკრეტულ სამუშაოზე მომუშავე მუშას. ამიტომ შრომის გაწევის-თანავე ცნობილია ეს ხელფასი რომელი სახის პროდუქ-ციის (ან შესრულებული სამუშაოს) თვითღირებულებას მიეკუთვნოს.

პირველადი ბაზარი (primary market) – 1. ბაზარი, სადაც ფასიან ქაღალდებს ყიდიან მათი ემიტენტები. 2. პირველადს უწო-დებენ ბაზარს, რომელზეც კორპორაცია და სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახდენს ფასიანი ქაღალდების ემისიას (ემიტენტი), ყიდის თავის ახლად გამოშვებულ ფასიან ქაღალდს - ობლიგაციას ან აქციას, პირველ (საწყის) მყიდ-ველზე.

პირველადი გირავნობის სიგელი (senior mortgage) – უძრავი ქონების უზრუნველყოფილი ნაწილი, რომელიც ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში კრედიტორს აძლევს უპირატეს უფლებას დაგირავებული ქონების გაყიდვის შედეგად მისაღებ შენატანებზე.

პირველადი ენერგორესურსები – ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, ატომური და ჰიდროენერგია, ენერგიის არატრადიციული წყაროები.

პირველადი მოთხოვნილებები – ფსიქოლოგიური, ჩვეუ-ლებრივ, თანდაყოლილი მოთხოვნილებები. მაგალითად, თვითშენარჩუნების მოთხოვნილება.

პირველადი მონაცემები – რაიმე კონკრეტული მიზნით პირველად შეგროვილი ინფორმაცია.

პირველადი რეზერვები – უმეტესწილად ჩამოყალიბდება მოთხოვნამდე ანაბრების, მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული სახსრების ხარჯზე.

პირველადი შემოსავლები – შემოსავლები, რომლებიც წარმოიშობა მატერიალური წარმოების სფეროში ეროვნული შემოსავლის შექმნისა და განაწილების პროცესში. ქმნიან ფონდს, რომლის ხარჯზეც ეროვნული შემოსავლის განაწილების პროცესში ყალიბდება (ფორმირდება) არასაწარმოო სფეროს შემოსავლები.

პირველდაწყებითი კონტროლი – წესებისა და შეზღუდვების დაწესების, აგრეთვე, მათი მეშვეობით, ბაზარზე ახალი ბანკის ან საკრედიტო დაწესებულების კონტროლის უფლება და მექანიზმი (ფორმირების მოსამზადებელი ეტაპები, მათთვის ლიცენზიის მიცემა და რეგისტრაცია, მუშაობის სასტარტო ეტაპი, ფილიალთა ქსელის განვითარება, ოპერაციების, ახალი დარგებისა და სამოქმედო ტერიტორიების ათვისება). ეს კონტროლი მოიცავს იმ აკრძალვასაც, რომელიც საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებითაა დადასტურებული და ითვალისწინებს ჯარიმების გადახდევინებას და სასამართლო ორგანოების მეშვეობით იმ იურიდიული პირების საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნას, რომელიც ბანკებსა ან საბანკო ოპერაციების შემსრულებლებს უწოდებენ თავიანთ თავს, სათანადო ლიცენზია კი არ გააჩნიათ.

პირველი ცენტრალური ბანკი შეიქმნა 1668 წელს, შვედეთის „რისკბანკის“ სახით.

პირი – 1. ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით; 2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

პირობითი ანაბრები – დანაზოგები, რომლებიც შეტანილია სხვა პირის მიერ მეანაბრის სახელით, რომელსაც შეუძლია განკარგოს ანაბარი მხოლოდ განსაზღვრული პირობების

დაცვით ან ანგარიშის გახსნის დროს მითითებული გარემოების დადგომისას. ანაბრის შეტანის დროს დადგენილი პირობის შესრულებამდე მეანაბრეს შეუძლია ეს ანაბარი განაგოს მხოლოდ ანაბრის შემტანი პირის წერილობითი ნებართვით.

პირობითი ვალდებულებები – ის ვალდებულებებია, რომლებიც არაა აღიარებული. იგი არის შესაძლო მოვალეობა, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად შეიძლება მომავალში წარმოიშვას ან არ წარმოიშვას. მისი ზუსტი თანხის გამოთვლა შეუძლებელია. პირობითი ვალდებულებების საფუძველი ხშირ შემთხვევაში არის სასამართლო სარჩელი, რომელიც შეიძლება აღიძრას საწარმოს წინააღმდეგ ამა თუ იმ შეთანხმების შესრულების ან შეუსრულებლობის შემდეგ.

პირობითი პროგნოზი (conditional forecast) – სამომავლო ეკონომიკური მოვლენების განჭვრეტა, გამოხატული განსაზღვრული ფორმით.

პირობის გროს – ტერმს (სრული პირობები) – ყველა დანახარჯს სატვირთო სამუშაოებზე იხდის გემთმფლობელი, როგორც წესი, პორტებში დატვირთვა - გადმოტვირთვის დადგენილი ნორმების შემთხვევაში.

პიროვნება – ესაა ადამიანისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური, სოციალური და ფსიქოლოგიური თვისებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს მას იმოქმედოს აქტიურად და შეგნებულად. მისი მახასიათებელია 1. ადამიანის ინდივიდუალურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ თვისებათა ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება; 2. გარე სამყაროს შეცნობისა და გარდაქმნისაკენ მიმართული აქტიური საქმიანობა; 3. მდგრადობა, რაც პიროვნების ქცევის პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

ნებისმიერი პიროვნება ხასიათდება: 1. ზოგადი თვისებებით (ინტელექტი, ჭკუა, დაკვირვების უნარი, ყურადღება, შრომისუნარიანობა, ორგანიზებულობა, თანაზიარება

და სხვა); 2. სპეციფიკური თვისებებით, რომელშიც იგულისხმება უნარი ამა თუ იმ სახის საქმიანობისადმი; 3. მომზადებულობით, რომელშიც იგულისხმება უნარის, ცოდნის, კვალიფიკაციისა და ჩვევების ერთობლიობა; 4. ორიენტირებულობით, რაც გულისხმობს პიროვნების აქტიურობის ორიენტირებულობას ისეთი სოციალური მომენტების ზემოქმედებით, როგორიცაა: ინტერესი, მისწრაფება, იდეალური რწმენა; 5. განსაზღვრული ყაიდის ხასიათით; 6. ბიოლოგიურად განპირობებული თავისებურებებით. მაგალითად, ტემპერამენტით; 7. ფსიქოლოგიური თავისებურებებით (საქმიანობის დიაპაზონი, მუშაობის სტილი, ფსიქიკის დინამიკა). მუშაობის სტილი, ანუ ზემოქმედების ფორმა ემყარება ცოდნას, გამოცდილებას და ემოციებს, ხოლო ფსიქიკის დინამიკა ხასიათდება ძალით, მოძრაობის სიჩქარით და აღგზნებადობით; 8. ფსიქიკური მდგომარეობით (აღგზნება, აპათია, დეპრესია და ა.შ.), საკადრო საკითხთა გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოცემულ პირობებში, ადამიანის ტიპური ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც უფრო შესამჩნევია ექსტრემალურ სიტუაციებში ნიშანდობლივია, რომ ერთი და იგივე სიტუაციებში მამაკაცთა ქცევა ხშირად განსხვავებულია ქალების ქცევისაგან. მაგალითად, მამაკაცებისათვის წინააღმდეგობათა გადალახვის - ეშმაკობა და მოხერხებულობა, ან კიდევ მამაკაცებისათვის ყურადღების ობიექტია რაიმე მოვლენის ან პროცესის შინაარსი, ხოლო ქალებისათვის – ფორმა და ა.შ.

პიროვნებათაშორისი კომპეტენტურობა – ადამიანებზე ზეგავლენის, მათი კონტროლისა და მართვის უნარი ყველა დონეზე.

პიროვნებათაშორისი კონფლიქტების ძირითადი მიზეზია (75-80%) ცალკეულ სუბიექტთა მატერიალური ინტერესების შეჯახება.

პიროვნებათაშორისი მეთოდები გულისხმობს საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა მინიმუ-

მამდე შემცირების მიზნით კონფლიქტის მონაწილეთა ქცევის სტილის არჩევას.

პიროვნებათაშორისი ურთიერთობათა ერთ-ერთი კანონზომიერებაა – ადამიანის აღქმისა და აგრეთვე, თვითშეფასების არაადეკვატურობა. მისი არსი ისაა, რომ არცერთ ადამიანს არ შეუძლია, ჩასწვდეს სხვა ადამიანის თვისებებსა და საკუთარ თავსაც იმ ზომით, რომ იგი საკმარისი იყოს სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად ამ ადამიანისა და საკუთარი თავის შესახებაც კი.

პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერებაა გამოხმაურების განუსაზღვრელობა, ანუ ადამიანის მიერ ზემოქმედებათა აღქმის დამოკიდებულება მათ პიროვნულ თავისებურებებზე და კონკრეტულ სიტუაციზე. რომელშიც ხდება ეს ზემოქმედება.

პიროვნებათშორის ურთიერთობათა მესამე კანონზომიერებაა – ინფორმაციის აზრის დამახინჯება. მას ობიექტური ხასიათი აქვს. იგი უფრო ძლიერად მოქმედებს, როცა ინფორმაციის რაიმე მასას იყენებს ადამიანთა დიდი რაოდენობა.

პიროვნებები – სახელგანთქმული ადამიანების ბაზარი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარი. მხატვრები, მუსიკოსები, ცნობილი ექიმები, იურისტები, ფინანსისტები და სხვა პროფესიონალები თანამშრომლობენ მარკეტინგის სპეციალისტებთან სახელგანთქმული პირების ბაზრებზე.

პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი ორიენტულობა და უნარი – ადამიანის ორიენტულობა განაპირობებს მის მიზნებსა და მოტივებს. გამოყოფენ პიროვნების ორიენტულობის სამ ტიპს: ურთიერთზემოქმედებაზე ორიენტირებული, ამოცანაზე ორიენტირებული და თავის თავზე ორიენტირებული. ისინი, როგორც წესი, ერთდროულად არსებობენ ადამიანებში. ურთიერთზემოქმედებაზე (ურთიერთობაზე) ორიენტირებულობაში იგულისხმება ადამიანის მისწრაფება ითანამშრომლოს კოლეგებთან, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს მათთან და

მათთან ერთად გადაწყვიტოს საქმიანობის კონკრეტული პრობლემები და ამოცანები. ამოცანაზე ორიენტირებულობა, ანუ როგორც მას სხვაგვარად ეძახიან – საქმიანი ორიენტირებულობა, ნიშნავს იმას, რომ პიროვნება მთავარ აქცენტს აკეთებს მიზნის მიღწევაზე. თავის თავზე ორიენტულობა, ანუ პირადი ორიენტირებულობა კი გულისხმობს ადამიანთა მისწრაფებას, პირველ რიგში გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები. მაგალითად, უზრუნველყონ საკუთარი კეთილდღეობა, მოიპოვონ პრესტიჟი, ზოგჯერ სხვის ხარჯზეც კი (თუ ეს შესაძლებელია).

პიროვნების მეორე მახასიათებელია უნარი. მასში იგულისხმება კონკრეტული სახის საქმიანობის წარმატებით შესასრულებლად იყოს: 1. ზოგადი (შეგრძნების, აღქმის, აზროვნების, სწავლის, მუშაობის და ა.შ.) ისინი დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის და უნარის დანარჩენ სახეთა საფუძველია; 2. ელემენტალური კერძო (შეუპოვრობა, გამტარიანობა, მუსიკალური ნიჭი, კრიტიკულობა და სხვ); 3. რთული კერძო. აქ ცალკე გამოყოფენ პროფესიონალურ (საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით) და სპეციალურ უნარს. მიმართულების მიხედვით შეიძლება იყოს ტექნიკური, ორგანიზაციული, პედაგოგიური, და ა.შ.

უნარის საფუძველია ნიჭი, ანუ პიროვნების ფსიქოფიზიოლოგიური თვისებები, რომლებიც გამოვლინდებიან საქმიანობის განსაზღვრული სახისადმი ბუნებრივ მიდრეკილებაში. უნარი პიროვნების ბუნებრივ და შეძენილ თვისებათა ერთობლიობაა. გამოვლენის ფორმის მიხედვით გამოყოფენ უნარის სამ დონეს: ნიჭიერებას, ტალანტსა და გენიალურობას. ნიჭიერებაში იგულისხმება ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს პიროვნების განსაკუთრებულ წარმატებულ საქმიანობას. როგორც წესი იგი გამოვლინდება საქმიანობის რომელიმე მხარის სრულყოფით და გაუმჯობესებით. ტალანტი კი გულისხმობს ადამიანში ისეთი მონაცემების არსებობას, რომელთა

რეალიზაცია შეიძლება ისეთი შემოქმედებითი საქმიანობით, როგორიცაა სიახლის შექმნა. გენიალურობა ნიჭიერების უმაღლესი ხარისხია. ასეთი ადამიანები ქმნიან ახალ იდეებს და მათი შემოქმედების შედეგებს ზოგადისტორიული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ტემპერამენტი – საქმე ისაა, რომ ადამიანის პიროვნება გარეგნულად ვლინდება მისი ქცევის ტიპებში. იგი შეიძლება იყოს სტაბილური და არასტაბილური.

პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ხასიათი – იგი არის ადამიანის ინდივიდუალური იერსახე, ინდივიდუალური ქცევის განმსაზღვრელი ყველაზე მკაფიოდ გამოხატული ფსიქიკური თვისებების ერთობლიობა. ადამიანის ხასიათი ვლინდება მის მანერაში, ირგვლივ მყოფებთან და თავის მოვალეობებთან (საკუთარი თავისადმი) დამოკიდებულებაში. ხასიათი ყალიბდება ბუნებრივი (ემოციურობა, აქტიურობა და სხვ) და ცხოვრებისეული (სოციალური პირობები, სამუშაოს სახე და სხვ.) ფაქტორების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე. ბუნებრივი ფაქტორები ხასიათს ანიჭებს სიმყარეს, ხოლო ცხოვრებისეული – ცვალებადობას. ამიტომ, იგი დინამიკურია. ხასიათი მორალურ – ნებაყოფლობითი თვისებების საფუძველია, რაც ვლინდება ქცევის მოტივებითა და წესებით. ხასიათის მხარეებია: გულახდილობა, უნდობლობა, მდუმარება (სიტყვაძვირობა), გულჩახვეულობა, ტრაბახობა (მკვეხარობა), მომთხოვნელობა, შრომის მოყვარეობა, აკურატულობა, ეშმაკობა, პატიოსნება, სიფრთხილე, დაუდევრობა და ა.შ.

პიროვნების თვისებები – ყალიბდება როგორც ბუნებრივი მახასიათებლების (ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობის, უმაღლესი ნერვული სისტემის თავისებურებების, მახსოვრობის, ემოციის, მგრძნობიარობის, აღქმის), ისე სოციალური ფაქტორების (განათლების, გამოცდილების, ჩვევების, ურთიერთობათა წრის და ა.შ.) გავლენით.

პიროვნების საერთო შესაძლებლობები – დიდადაა დამოკიდებული აზროვნების ტიპზე. იგი შეიძლება იყოს მხატვრული, ლოგიკური და შერეული. მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელია ხატოვნება, სიცხადე, მდიდარი ფანტაზია. მისთვის აგრეთვე, დამახასიათებელია იმპულსურობა, არათანმიმდევრულობა და წყვეტადობა. ხშირად ამ თვისებების მატარებელია დამქირავებელი და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკები. ლოგიკური აზროვნებისათვის, პირიქით, დამახასიათებელია კრიტიკულობა, სიცხადე, თანმიმდევრულობა, სიღრმე.

პიროვნების ძირითადი თვისებებია – 1. (ინტელექტი, ჭკუა, დამკვიდრებულობა, თავაზიანობა და სხვ.); 2. ამა თუ იმ საქმიანობის უნარით. უნარი შეიძლება იყოს: ზოგადი, რომელიც დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის (აღქმის, ათვისების, აზროვნების, სწავლის, მუშაობის); ელემენტალური კერძო (გაბედულობა, გამტანობა, მუსიკალური სმენა, კრიტიკულობა, აზროვნება და სხვ.); რთული კერძო, მათ შორის პროფესიული (საქმიამობის ცალკეული სახეებისადმი); სპეციალური (ინტერსოციალური ე.ი. ორიენტირებული ადამიანთა ურთიერთქმედების ორგანიზაციაზე, მათ მართვაზე); კონსტრუქციული, რომელიც მიმართულია საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში კონკრეტული ობიექტების შექმნისაკენ; 3. მომზადებით საქმიანობის განსაზღვრულ სახეში (ცოდნის, მოხერხებულობის); 4. მიმართულებით (სოციალური მომენტების, ინტერესების, მისწრაფებების, იდეალებისა და რწმენის ზემოქმედებით წარმოშობილი სოციალური აქტივობის ორიენტირებულობით); 5. ხასიათის განმსაზღვრელი ყაიდით; 6. ბიოლოგიურად განპირობებული თვისებებით (მაგალითად, ტემპერამენტით); 7. ფსიქოლოგიური თავისებურებებით: ა) საქმიანობის დიაპაზონით (სიფართოვით, სიღრმით). იგი შეიძლება იყოს ზოგადი, სახეობითი, სპეციალური; ბ) მუშაობის სტილით (ცოდნით, გამოცდილებასა და ემოციებზე დამყარებული ზემოქმედების ფორმით); გ)

ფსიქიკის დინამიკით; 8. ფსიქიკური მდგომარეობით (აღგზნებით, აპათიით, დეპრესიით და სხვ.).

პიროვნული სპეციფიკაცია – დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია მომუშავისადმი წაყენებული მოთხოვნები, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. ის უშუალოდ გამომდინარეობს სამუშაოს (სამუშაო ადგილისა და თანამდებობების) აღწერიდან და პასუხობს კითხვებზე: როგორი უნდა იყოს ადამიანის ხასიათი, როგორი გამოცდილება და განათლება უნდა ჰქონდეს მას, რომ წარმატებით შეასრულოს კონკრეტული სამუშაო მოცემულ სამუშაო ადგილზე.

პირს – რომელსაც საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება გადასახადის გამოანგარიშების, გადამხდელისათვის მისი დაკავებისა და სათანადო ბიუჯეტში (სახელმწიფო ფონდში) გადარიცხვის მოვალეობა, საგადასახადო აგენტი ეწოდება.

პლასტიკური ბარათები ფორმალურად წარმოადგენენ არა ანგარიშსწორების ფორმას არამედ მათ საშუალებას, ვინაიდან ბარათის არსებობა სპეციალური ანგარიშის გახსნით არის გაპირობებული, რომლიდანაც მფლობელის დავალების საფუძველზე, კონტრაგენტების სასარგებლოდ ფულადი სახსრები ჩამოიწერება, ან ნაღდის სახით გაიცემა. **ბარათებს** განასხვავებენ **სადებეტოებად** და **საკრედიტოებად, ინდივიდუალურებად და კორპორატიულებლად, ბარათები ბანკომატისათვის** და **კერძო სავაჭრო საწარმოებისათვის** და **მომსახურებისათვის** და სხვა.

პლასტიკური ბარათების ემიტენტების – გარემოში თითქოს ორდონიანი კონკურენცია არსებობს: პლასტიკური ბარათების „ საბანკო“ და „არასაბანკო“ სისტემებს შორის და იმ კომერციულ ბანკებს შორის, რომლებიც მათი წარმომადგენლების როლში გამოდიან.

პლასტიკური ბარათი (plasticcard) – 1. ყველა სახის საგადამხდელო ბარათი-საბანკო-საკრედიტო დებიტორული, სამგზავრო და ა.შ.; 2. განმაზოგადებელი ტერმინია და

მოიცავს სხვადასხვა სახეობის ბარათებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დანიშნულებით და მათი მეშვეობით გაწეული მომსახურების კომპლექსით, ისე ტექნიკური შესაძლებლობებითა და გამომშვები ორგანიზაციებით.

პლასტიკური ბარათის ემიტენტები – არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებთან ბანკების კონკურენცია ფინანსური ბიზნესის ისეთი სწრაფად განვითარებად დარგშიც შეიმჩნევა, როგორიცაა პლასტიკური (საკრედიტო, დებეტური და დისკონტური) ბარათების გამოშვება და მომსახურება. ბარათების ემისიას თავდაპირველად ახდენენ საკრედიტო ბარათების კომპანიები („ამერიქენ ექსპრესი", „დეინერს ქლაბი", „ქართ ბლანში") და დისკონტურ კომპანიებში (მაგალითად ARA, ETN, Countdown, Mascow times). ამ კომპანიების წარმატებამ იმას შეუწყო ხელი, რომ მოგვიანებით პლასტიკური ბარათების გამოშვება, დაიწყეს არასაფინანსო საწარმოებმა (სატელეფონო კომპანიებმა, სუპერმარკეტების ქსელების ოტელებისა და ბენზინგასამართი სადგურების მფლობელებმა და ა.შ.) და ბანკმა.

პლებიცისტი (plebiscite) [ლათ.plebiscitum ხალხის გადაწყვეტილება] – საერთო-სახალხო კენჭისყრა, რეფერენდუმი

პლებიცისტური დიქტატურა (plebiscites dictatorship) – სახელმწიფო მმართველობის ისეთი მექანიზმი, რომლის დროსაც ჩვეულებრივად ტარდება არჩევნები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მმართველ ფენებს ან, უფრო სწორად რამდენიმე მმართველ პირს ყოველთვის აქვთ არჩევნებში სასურველი შედეგის მიღწევის რეალური შესაძლებლობა.

პოზირება ბაზარზე – მოქმედება საქონლისათვის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად და მარკეტინგის შესაბამისი კომპლექსის დამუშავება.

პოზიტივიზმი (positivism) – ეკონომიკური მეცნიერების ფილოსოფია, ფილოსოფიური დოქტრინა რომელიც ამტკიცებს, რომ დასკვნები, რომლებიც არ შეიძლება შემოწმებული

იყოს ემპირულად, მეტი რომ არა ვთქვათ, არამეცნიერულია.

პოზიტიური ან ნეგატიური – შედეგის მიღების ალბათობას ღირებულებითი გამოხატულება აქვს - კრედიტორის მიერ მიღებული მოგება ან ზარალი.

პოზიტიური ეკონომიკური თეორია (positive economics) - ეკონომიკური თეორიის ნაწილი და ეკონომიკური ანალიზის ის ტიპი, რომელიც ეყრდნობა ფაქტებით განმტკიცებულ დებულებებსა და დასკვნებს. იგი სწავლობს ეკონომიკას ისეთს, როგორიც არის, უპასუხებს კითხვას - „რა არის“ და არა კითხვას - „რა უნდა იყოს“. ნორმატიული ეკონომიკური თეორიისაგან განსხვავებით, პოზიტიური ეკონომიკური თეორია არ იძლევა სამომავლო რეკომენდაციებს, იგი ნორმატიული თეორიის საყრდენია. იგი ფაქტობრივი მტკიცებით უპასუხებს ისეთ კითხვებს, როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის რამდენი პროცენტია უმუშევარი?

პოზიციურია რისკი რომელიმე ერთი პოზიციის მიხედვით (მოცემულ კონკრეტულ მომენტში პროცენტის მიხედვით). მაგალითად, ბანკმა კრედიტი გასცა მცურავი საპროცენტო განაკვეთით. ცნობილი არაა, წარმატებას მოუტანს თუ არა იგი ბანკს. რისი გათვალისწინებაა შესაძლებელი ბალანსში ამ რისკის თავიდან ასაცილებლად? უპირველეს ყოვლისა საჭიროა შევცვალოთ ანაბრების პროცენტები და გავათანაბროთ ბანკის ბალანსის აქტივებისა და პასივების პროცენტები.

პოლისი (სპეც) – 1. სადაზღვევო ორგანოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარიგებას დაზღვევაზე. 2. ამერიკის საწარმოების საერთო მიზანი. 3. სადაზღვეო ორგანოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარიგებას თვითმფრინავის, მგზავრობის, ფოსტის, მესამე პირების და ა.შ. დაზღვევაზე; 3. (policy) [იტალ. polizza ხელწერილი, ქვითარი] - მოწმობა, გაცემული სადაზღვევო კომპანიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელზე,

რომელმაც ამ კომპანიაში რაიმე დააზღვია. შეიცავს დაზღვევის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობებს.

პოლიტიკა – საერთო ორიენტირები მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რომლებიც აადვილებენ მიზნების მიღწევას.

პოლიტიკურ ფაქტორებს – მიეკუთვნება ხელისუფლების ფედერალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების ის გადაწყვეტილებები, რომლებიც საბანკო სისტემის ობიექტების (ცენტრალური ბანკის, სხვა ბანკებისა და მათი ასოციაციების, აგრეთვე საკრედიტო ორგანიზაციების) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხასიათზე ახდენენ გავლენას.

პოლიტიკური ეკონომია – საზოგადოებრივი მეცნიერების დარგი, რომელიც იმ ეკონომიკურ კანონებს და კანონზომიერებებს სწავლობს, რომელთა მოქმედებით იმართება საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის წარმოება და განაწილება. იგი შეისწავლის ყველა საზოგადოებრივ ფორმაციას, რომელიც კაცობრიობამ განვლო.

პოლიტიკური კავშირი – ინტეგრაციული გაერთიანების კონფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნა ყველა გამომდინარე შედეგით, მათ შორის მართვის ცენტრალური ორგანოების შექმნა, რომელსაც უფრო ფართო უფლებამოსილება და ძალაუფლება აქვთ, ვიდრე მართვის ზეეროვნულ ინსტიტუტებს.

პოლიტიკური ორგანიზაციები – მისი დამახასიათებელი მხარეებია: ცალკეული მხარეების მოქმედებათა წინააღმდეგობრიობა, შემადგენელი სტრუქტურების კონფლიქტურობის მაღალი ხარისხი და ა.შ.

პოლიტიკური სისტემა ემსახურება – საზოგადოების ინტეგრაციას, ხოლო ეკონომიკური სისტემა – შეზღუდული რაოდენობის რესურსების განაწილებასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

პოლიტიკური ფაქტორები – პოლიტიკური ფაქტორის ზოგიერთი ასპექტი ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის

ფრიად მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი მათგანია ბიზნესისადმი ადმინისტრაციის, საკანონმდებლო ორგანოებისა და სასამართლოების დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება მთავრობის ისეთ მოქმედებებში ვლინდება, როგორიცაა: შემოსავლების დაბეგვრა, შეღავათიანი გადასახადების ან სავაჭრო დათმობების დაწესება, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების დაწინაურება, მათი დაქირავების ზოგიერთი პირობის განსაზღვრა, მომხმარებლების დაცვის, ხელფასისა და ფასების კონტროლის ღონიძიებების შემუშავება.

პორტის ტვირთბრუნვა – საზღვაო ტვირთების რაოდენობა ტონებში, რომლებმაც გაიარა პორტის გავლით განსაზღვრული დროის განმავლობაში.

პორტფელური ანალიზის კონცეფცია. ერთ-ერთი ასეთი კლასიკური კონცეფციაა ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის საყოველთაოდ ცნობილი მატრიცა, რომელშიც ფირმის მთელი საქონელი ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი: 1) „ვარსკვლავი“, 2) „მეწველი ძროხა“ 3) „კითხვის ნიშანი“ 4) „ძაღლი“. რადგან საბანკო ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა, მიზანშეწონილია მისი გაანალიზება აღნიშნული მატრიცის მეშვეობით და იმის გამოვლენა, თუ რომელი მომსახურება შეიძლება ასრულებდეს „მეწველი ძროხის“ ფუნქციას და „კითხვის ნიშნებიდან“ რომელს შეუძლია „ვარსკვლავად“ გადაქცევა. ცხადია, პირველ როლს ყველაზე მეტად შეესაბამება ტრადიციული საბანკო მომსახურება, მეორეს კი - ფინანსური ინოვაციები.

პორტფელური დივერსიფიკაცია ნიშნავს – ბანკის კრედიტებისა და დეპოზიტების განაწილებას კლიენტთა ფართო წრის შიგნით.

პორტფერული ტესტების ჩატარებისას მომხმარებლებს (მყიდველებს) სთავაზობენ სარეკლამო მიმართვების შენარჩუნება წაკითხვას ან დათვალიერებას. შემდეგ თხოვენ რესპოდენტებს გაიხსენონ (ინტერვიუების დახმარებით) ყველა მოსმენილი ან დანახული განცხადებები და მათი შინაარსი.

პოსესია (possessoin) [ლათ. possessio] – მიწის არენდული მფლობელობა.

პოსტინდუსტრიალიზაცია – ინდუსტრიული საზოგადოების გადასვლა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე, რომელიც დაიწყო განვითარებულ ქვეყნებში XX საუკუნის შუა ხანებში, ქვეყნების დანარჩენ ჯგუფში – მოგვიანებით.

პოტენციალი ორგანიზაციის – ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური შესაძლებლობანი, ანუ მისი სიდიდე და ტერიტორიული მდგომარეობა, პერსონალის რაოდენობა და ხარისხი, წამყვან პროფესიათა ხასიათი, საწარმოს დარგობრივი კუთვნილება და პროფილი, წარმოებრივი პროდუქციის მოცულობა, საკუთრების ფორმა, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი კაპიტალი და წარმოების ტექნიკური დონე, შრომითი პროცესის შინაარსი და ორგანიზაციული ფორმები, საწარმოს ტრადიციები და რჩევები.

პოტენციალი შრომითი – შრომითი რესურსები ხარისხობრივ განზომილებაში. მასზე გავლენას ახდენს შრომითი რესურსების როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი მაჩვენებელი. ამ უკანასკნელში უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ზოგადი და პროფესიული განათლების დონე.

პოტენციურ კარიერაში – კი იგულისხმება ადამიანის პირად წარმოდგენაში შრომითი და ცხოვრებისეული გზა, რომელიც ემყარება მის მომავალ გეგმებს, მოთხოვნილებებს, შესაძლებლობებს და მიზნებს. ესაა კარიერა – ოცნება, კარიერა - სურვილი.

პოტენციურ მომხმარებელთა ძებნა – პერსპექტიული მომხმარებლების (ან საქონლის გასაღების მიმართულების) ძებნა.

პოტენციური ბაზარი – მომხმარებელთა ერთობლიობა, რომლებიც ავლენენ ინტერესის განსაზღვრულ დონეს კონკრეტული საქონლის (მომსახურების) მიმართ.

პოტენციური ინტერვენტები სხვა დარგებიდან – ასეთია ფირმები, რომელთაც შეიძლება მიზნად დაისახონ უფრო

სრულყოფილი ტექნოლოგიით დამზადებული ახალი საქონლის გატანა ბაზარზე.

პოტენციური კონკურენცია – დარგში ახალი მწარმოებლების გაჩენის შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობის გამორიცხვა არ შეიძლება შესვლის მაღალი ბარიერების დროსაც კი. გადაულახავით შესვლის იურიდიული ბარიერები. ამ დროს რაც უფრო მაღალია მოქმედი ფირმის მონოპოლიური მოგება, მით უფრო ძლიერია პოტენციური კონკურენციის საფრთხე.

პოტენციური მეპ (potential GNP, potential output) – მეპ, რომლის წარმოებაც შეიძლება არსებული კაპიტალური რესურსებისა და სამუშაო ძალის პირობებში.

პოტენციური მოგება და პოტენციური ზარალი ფასიანი ქაღალდებიდან – პოტენციური მოგება (ან ზარალი) გადაიქცევა ნამდვილ მოგებად (ან ნამდვილ ზარალად) პოზიციის ლიკვიდაციის დროს ყიდვა-გაყიდვის გზით.

პოტენციური მყიდველის მოძიება – პირების მოძიება, რომლებსაც ძალუძთ ყიდვის განხორციელება.

პოტენციური წარმოების მოცულობა (potential output) – ფირმის, დარგის, სექტორის ან მთლიანად ეკონომიკის მაქსიმალურად შესაძლებელი წარმოების მოცულობა, განსაზღვრული წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფით. სხვაობა პოტენციურ და ფაქტობრივ წარმოების მოცულობებს შორის ჭარბი სიმძლავრეების ტოლია.

პოცედურული მოდელი – დაფუძნებულია ცენტრალური ბანკის (ფედერალური სარეზერვო სისტემის) გადაწყვეტილებათა განხილვის პროცედურების ერთობლიობაზე CMH-ში მხარეთა მონაწილეობით, რომლის წყალობითაც ჩნდება ნდობა ფედერალური სარეზერვო სისტემისადმი, რაც მის მიერ გამოიყენება კონგრესთან და საზოგადოებრივ აზრთან ურთიერთქმედებაში. იგი თავად განსაზღვრავს თავისი პოლიტიკის მიზნებს და ინსტრუმენტებს და პასუხს აგებს დასახული მიზნების მისაღწევად.

პრატენალიზმი – სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ტიპი, რომელიც ფორმირებულია სახელმწიფოს მიერ მისი სრული რეგლამენტაციით. იგი ცნობილია სახელმწიფო პატერნალიზმის სახელწოდებით. პატერნალიზმის ფორმირება შეიძლება, აგრეთვე ორგანიზაციის დონეზე.

პრაქტიკაში სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნით ვაჭრობის ოპერაციები –ცნობილია „ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლას“ სახელწოდებით.

პრაქტიკაში სტრატეგია ორგანიზაციის მისიის მიზნებისა და ამოცანების – რეალიზაციისათვის მიმართული მმართველობისა და საორგანიზაციო გადაწყვეტილებების სისტემა.

პრევენციული და შემდგომი კონტროლის შერწყმა – პრევენციული კონტროლი უნდა გავიგოთ როგორც წინასწარი (ჯერ კიდევ ბანკის შექმნის სტადიაზე) და როგორც პროფილაქტიკური („შორსმჭვრეტელური“), რომლებიც ხელს უშლიან ფუნქციონირებადი ბანკების საქმიანობაში ნეგატიური მოვლენებისა და ტენდენციების წარმოშობასა და დაგროვებას.

პრეზენტანტი (presenter)[ლათ. preesentans წარმომდგენი] – თამასუქის წარმომდგენი.

პრეზენტაცია (presentation)[ლათ. presentatio] – 1. ფირმის, საქონლის და ა.შ. წარდგენა მისი გაცნობის ან რეკლამის მიზნით; 2. გადასაბირებელი თამასუქის წარდგენა ტრასატისათვის პირისათვის რომელიც ვალდებულია ეს თამასუქი გაანაღდოს; 3. საბანკო პრაქტიკაში თამასუქის წარმოდგენა იმ პირისათვის, რომელიც ვალდებულია მოახდინოს ანარიშსწორებანი.

პრეზენტი – საჩუქარი, ძღვენი.

პრეზიდენტი - აშშ-ში ასე უწოდებენ კომპანიის მთავარ აღმასრულებელ დირექტორს.

პრეისკურანტი (price-current) [ფრანგ. prix-ფასი corant- მიმდინარე] – სხვადასხვა სახის პროდუქტის, საქონლისა და მომსახურების ფასების ცნობარი.

პრეტენდენტი – პიროვნება რომელიც ცდილობს, მიიღოს ესა თუ ის თანამდებობა, წოდება, ხარისხი, პირველობა შეჯიბრებაში და ა.შ. საკადრო მუშაობაში არსებულ ვაკანსიაზე პრეტენდენტად ითვლება პირი, რომელსაც ორგანიზაციის მიერ დადგენილ ვადაში სათანადო ორგანოში (მაგალითად, კადრების განყოფილებაში) შეტანილი აქვს სათანადო განცხადება და შესაბამისი დოკუმენტები.

პრეტენციის საერთო სისტემა – სისტემა ითვალისწინებს იმას, რომ მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებული ყველა ქვეყანა შეამცირებს ან გააუქმებს საბაჟო გადასახადებს განვითარებად სახელმწიფოებთან ვაჭრობაში არა ურთიერთმოთხოვნის საფუძველზე, ე.ი. გარედან ბოლო შემხვედრი სავაჭრო-პოლიტიკურ დათმობათა მოთხოვნების გარეშე.

პრეფერენცია – (preference) [ლათ. praeferre - უპირატესობის მინიჭება] 1. უპირატესობა, შეღავათი, შეღავათიანი საბაჟო გადასახადები, დადგენილი სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი ქვეყნის ყველა ან ცალკეული სახის საქონელზე, რაც სხვა ქვეყნების პროდუქციაზე არ ვრცელდება; 2. სავაჭრო შეღავათი დაწესებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

პრეფერენციულ ბაჟებს – ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები აწესებენ განვითარებადი ქვეყნების საქონელზე იგი ცნობილია „პრეფერენციების საერთო სისტემის“ სახელწოდებით. ეს სისტემა შემოღებულია UNCTAD-ის გადაწყვეტილებით და მოქმედებს ევროკავშირსა და იაპონიაში 1971 წლიდან, ავსტრიაში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ფინეთში, ახალ ზელანდიაში – 1972 წლიდან, კანადაში – 1974 წლიდან, აშშ-ში 1976 წლიდან.

პრივატიზაცია – 1. არის სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების აქციონერულზე ან კერძო ფორმაზე გარდაქმნის ღონისძიება, რაც მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლებას, ამონაგებიდან სახელმწიფო ან ადგილობრივი

ბიუჯეტების შევსების მიზნით ხორციელდება; 2. საკუთრების ურთიერთობის ცვლილებების პროცესი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ქონების გადაცემას საკუთრების სხვა ფორმებზე (კოლექტიური, აქციონერული, კერძო); 3. (privatization) [ლათ. privates - კერძო] – სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნა პერსოფიცირებულ კერძო საკუთრებად.

პრივილეგირებული აქცია – 1. აქცია, რომლის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე. ასეთი აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით ან სათანადო ემისიის პროსპექტით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში), ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში პრივილეგირებული აქციის თანხა (წლის შესაბამისად) გასტუმრებულ უნდა იქნეს ჩვეულებრივი აქციის თანხის გადახდამდე; 2. ეს არის გარანტირებული (წინასწარ დათქმული) დივიდენდის მიღების უფლება, პრივილეგირებული აქციის მფლობელს დაკარგული აქვს ხმის საზოგადოებრივი მართვის უფლება.

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი – იგი იზომება იმ ნებისმიერი გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით, რომელზეც არსებობს შემოსავლის ფიქსირებული განაკვეთის (დივიდენდის განაკვეთის) გაცემის დაპირება; პრივილეგირებული აქციები შეიძლება იყოს როგორც უვადო, ისე დაფარვის შეზღუდული ვადის მქონე.

პრივილეგიური აქცია (preference share) – აქცია გარანტირებული ფიქსირებული დივიდენდის მიღების უფლებით, მის მფლობელს ხმის მიცემის უფლება არა აქვს და ამდენად, არ მონაწილეობს აქციონერული საზოგადოების მართვაში.

პრინციპალი (principal) [ლათ. principalis მთავარი] – 1. მთავარი, ძირითადი მევალე ვალდებულებაში; 2. პირი, რომლის სახელითაც მოქმედებს აგენტი.

პრინციპალი – მესაკუთრე, ან თანამდებობის პირი, რომელსაც ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა რომელიმე საკითხში.

პრინციპი – „ვინც აბინძურებს, ის იხდის" (polluter pays principle) – იდეა, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვინც აბინძურებს გარემოს, მან უნდა გადაიხადოს ამ ქმედებისათვის. როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ განაცხადა, ამ პრინციპს შეესაბამება პიგუს გადასახადი, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელიც ასტიმულირებს გარემოს დაბინძურების შემცირების ღონისძიებებს.

პრინციპი – მუდმივად და თანმიმდევრულად გამოყენებული მეთოდი ლოგისტიკის სამსახურის თანამშრომლების მიერ. ზოგიერთი პრინციპის ცოდნა საშუალებას იძლევა ადვილად ავანაზღაუროთ ზოგიერთი ფაქტორის არცოდნა. სისტემური მიდგომა ლოგისტიკაში შეიძლება გავიგოთ როგორც ლოგისტიკის სისტემური პრინციპების ერთობლიობა.

პრობლემა – გადახრა ფაქტიურსა და მომავალ პროგნოზირებად მდგომარეობას ანდა საძიებელ გეგმიურ მდგომარეობას (მოცემულ მიზანს) შორს.

პრობლემატური (problematikos) – შესაძლებელი, მაგრამ დაუმტკიცებელი, საეჭვო.

პრობლემების გადაწყვეტაში – იგულისხმება მოსაზრებაში ცვლილებების აღიარება და მზადყოფნა, გაეცნო განსხვავებულ თვალსაზრისს. ამ უკანასკნელის მიზანია კონფლიქტის მიზეზის გაგება და მოქმედებათა ისეთი გზების მოძებნა, რომელიც მისაღებია ყველა მხარისათვის. ვისაც ასეთი სტილი აქვს, ის არ ცდილობს მიაღწიოს თავის მიზანს სხვების ხარჯზე. იგი ეძებს ყველაზე საუკეთესო ვარიანტს კონფლიქტური სიტუაციის გადასალახავად.

პრობლემებისადმი სხვადასხვა თვალსაზრისით მიდგომის უნარი – იგი განპირობებულია იმით, რომ ერთი და იგივე მოვლენა, დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება შეფასდეს სხვადასხვანაირად. თუ კონფლიქტს განიხილავს საკუთარი „მე"-ს პოზიციიდან, მივიღებთ ერთ შეფასებას, ხოლო თუ იგი (კონფლიქტი) განხილული იქნება საკუთარი ოპონენტის პოზიციიდან, შეიძლება

მივიღოთ სრულიად საწინააღმდეგო შეფასება. დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა პოზიციის ურთიერთშედარებასა და მისგან სწორი დასკვნების გამოტანას.

პრობლემური ბანკები – ბანკები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს შეფასებით დგანან ლიცენზიის გაუქმების საშიშროების წინაშე შემდეგ მიზეზთა გამო.

პრობლემური ბანკი – 1. ბანკი რომელსაც აქვს პრობლემები კაპიტალის, აქტივების, მოგებისა და ლიკვიდობის ცალკეულ ან ერთდროულად ყველა სფეროში. ბანკის მართვისა და საბანკო ოპერაციების წარმოების დონე დაბალია და მოითხოვს საბანკო პოლიტიკის, პროცედურებისა და მართვის სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებებს. პრობლემურ ბანკებს აქვთ CAMEI-ის III (ნაკლებად ადეკვატური) ან უფრო დაბალი (არაადეკვატური კრიტიკული) კომპოზიტური რეიტინგი. III კატეგორიის ბანკი პრობლემური ბანკია, IV კატეგორიის ბანკს აქვს სერიოზული პრობლემები, V კატეგორიის ბანკი კი ისეთი ბანკია, რომლის გაკოტრებაც უკვე მოსალოდნელია. 2. ბანკები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს შეფასებით დგანან ლიცენზიის გაუქმების საშიშროების წინაშე შემდეგ მიზეზთა გამო: კომერციულ ბანკს აღარა აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული საწესდებო კაპიტალის ან საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა ან მან დაკარგა კრედიტორების ნდობა მათ წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების ნაწილში და აღარ შეუძლია მისთვის მინდობილი აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან კომერციული ბანკი ეწევა ან ეწეოდა ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის საფრთხის შექმნელ ან არაჯანსაღ საბანკო პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს მის დეპოზიტარებას, ანდა კომერციული ბანკი გადახდის

უუნაროა; გადახდისუუნარო ბანკი - ბანკი, რომლის აქტივები მოცემულ მომენტში ვერ ფარავს მის ვალდებულებებს; პრობლემური ბანკის საკითხის გადაწყვეტა - ანალიზის საფუძველზე ალტერნატივების შესწავლა, დადგენა და შესაბამისი პრინციპის დაცვით უკეთესი გადაწყვეტილების მიღების პროცესი დაფუძნებულია ბანკისადმი კანონიერი მოთხოვნის მქონე პირის შესაძლო გასაწევი ხარჯის (ზარალის) მინიმიზაციის მისაღწევად.

პრობლემური ბანკის საკითხის გადაწყვეტა – ანალიზის საფუძველზე ალტერნატივების შესწავლა, დადგენა და შესაბამისი პრინციპის დაცვით უკეთესი გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება.

პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლისადმი მისწრაფება – პრაქტიკა ადასტურებს, რომ, როგორც წესი, ყველა „გადაუჭრელი“ სიტუაცია, საბოლოო ანგარიშით, გადაწყვეტადია და გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

პროგნოზი – 1. მომავალში მოვლენების (შედეგებისა და მონაცემების) წარმოქმნის შესახებ ალბათური წარმოდგენა, რომელიც დაფუძნებულია დაკვირვებებზე და თეორიულ დებულებებზე; 2. არის მომავლის წინასწარმეტყველება, რაც არსებულ ტენდენციებსა და ფაქტებს ეყრდნობა; 3. არსებული მეცნიერული მონაცემების საფუძველზე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტას, პროგნოზირება კი პროგნოზის შემუშავებას გულისხმობს.

პროგნოზირება (forecasting) – 1. მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა და ქვეყნის მომავალი ეკონომიკის ან მისი ცალკეული სფეროების შესაძლებელი მდგომარეობის, აგრეთვე ამა თუ იმ დონის მიღწევის ალტერნატიული გზების, მეთოდებისა და ვადების შესახებ; 2. ეს არის მეთოდი, რომელიც წარსულში დაგროვილი გამოცდილების, დასაბუთებული დამუშავების ჰიპოთეზებისა და შეფასების გამოყენებით მომავლის წინასწარ განჭვრეტის

შესაძლებლობას იძლევა; 3. პროგნოზული ინფორმაციის მიღების პროცესი.

პროგნოზირება – დაგეგმვის მეთოდი, რომელშიც მომავლის წინასწარმეტყველება ეყრდნობა დაგროვილ გამოცდილებას და მომავლის შესახებ მიმდინარე ვარაუდებს.

პროგნოზირება ბაზრის წილის საფუძველზე – 1. ეს არის გასაღების პროგნოზირება მთელი დარგისათვის, შემდეგ კი ანგარიშობენ საწარმოს წილს მთელი დარგის გაყიდვათა ერთობლივ მოცულობაში; ამ დროს გულისხმობენ, რომ პროცენტული შეფარდების ბაზრის წილი უცვლელი რჩება; 2. თავდაპირველად ახდენენ გასაღების პროგნოზირებას მთელი დარგისათვის, შემდეგ კი ანგარიშობენ საწარმოს წილს მთელი დარგის გაყიდვათა ერთობლივ მოცულობაში; ამ დროს გულისხმობენ, რომ პროცენტული შეფარდებით ბაზრის წილი უცვლელი რჩება.

პროგნოზირების მეთოდები – პროგნოზირების მეთოდები ხშირად მუშავდება გამოყენების სპეციალური მიზნებისათვის. ამიტომ შეუძლებელია ყველა არსებული მეთოდის სრული მიმოხილვის მოცემა. ჩვეულებრივად გამოიყენება რთული სტრუქტურის მქონე სტანდარტული მეთოდები.

პროგრამის სარეალიზაციო ორგანიზაცია – დროებითი სტრუქტურა, რომელიც იქმნება კონკრეტული, ზუსტად განსაზღვრული მიზნის შესრულებისათვის.

პროგრამული სწავლება – სწავლების ტრადიციულ საშუალებებს სახელმძღვანელოები და ინტერნეტი მიეკუთვნება, პროგრამული სწავლებაც თვით შესწავლის მეთოდია. იგი შედგება სამი ასპექტისაგან:

1. პრაქტიკანტისთვის კითხვების, ფაქტების და პრობლემების გაცნობა;
2. პრაქტიკანტებისათვის პასუხის გაცემის უფლება;
3. ზუსტ პასუხებზე უკუკავშირი.

პროგრესული – 1. გადასახადი, რომლის განაკვეთი იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად; 2. ნიშნავს მზარდს.

პროგრესული გადასახადი (progressive tax) – 1. გადასახადი რომლის საშუალო განაკვეთიც იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად. პროგრესული გადასახადი შეიძლება არსებობდეს დანახარჯებზეც, როცა საგადასახადო განაკვეთი იზრდება სამომხმარებლო დანახარჯების ზრდის კვალობაზე. დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების უმრავლესობაში გადასახადები პროგრესულია; 2. ითვალისწინებს არა მხოლოდ აბსოლუტური თანხის ზრდას, არამედ – შემოსავლის ზრდის შესაბამისად განაკვეთის კიდევ უფრო გადიდებას. პროგრესული გადასახადების რიცხვს მიეკუთვნება პირადი შემოსავალზე გადასახადი.

პროგრესული დაბეგვრა ორგვარია – მარტივი და რთული (ანუ საფეხურებრივი). მარტივი პროგრესის დროს შემოსავლის ზრდასთან ერთად დაბეგვრის პროცენტი იზრდება დასაბეგრი შემოსავლის მთელი ჯამისათვის. რთული ანუ საფეხურებრივი პროგრესის დროს შემოსავალი იყოფა ცალკეულ მონაკვეთებად და გადიდებული პროცენტით იბეგრება მხოლოდ შემდგომი მონაკვეთი.

პროდუქტი (ლათ. შექმნილი) – 1. რისიმე შედეგი, ნაყოფი. შრომის მატერიალური და არამატერიალური დოვლათი, შედეგი (საგნები, მეცნიერული აღმოჩენები, იდეები); 2. რომელიც პერიოდის ბოლოსათვის დამზადების ამა თუ იმ სტადიაზე იმყოფება, დაუმთავრებელ პროდუქტად ან დაუმთავრებელ წარმოებად იწოდება; 3. (product) [ლათ. productus წარმოებული] – შრომის მატერიალური (ნივთობრივი) ან არამატერიალური (მეცნიერული აღმოჩენა, იდეა და ა.შ) შედეგი; 4. (ლათ. productus წარმოებული) - ადამიანური შრომის ნივთობრივი ან არამატერიალური შედეგი. (რაიმე საგანი, მეცნიერული აღმოჩენა); 5. შრომის მატერიალური შედეგია, რომელიც არ წარმოადგენს ნაკეთობას და გამიზნულია ან მოხმარების უზრუნველყოფისათვის, პროდუქციის ექსპლუატაციისათვის ან მისი წარმოშობისათვის, მაგრამ არა როგორც შრომის საგანი.

პროდუქტის (მომსახურეობის) თვითღირებულება – არის მის წარმოებაზე გაწეული მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ჯამი ფულად ფორმაში.

პროდუქტის ხარისხი – პროდუქტის თვისებათა ერთობლიობა, მისი სარგებლიანობა და უნარი დააკმაყოფილოს ადამიანის ესა თუ ის მოთხოვნილება.

პროდუქტს, – რომელმაც გაიარა დამზადების ყველა სტადია, მიღებულია ტექნიკური კონტროლის მიერ და ჩაბარდა მზა პროდუქციის საწყობს ან მიეწოდება მომხმარებელს, მზა პროდუქცია ეწოდება.

პროდუქტული ორგანიზაციული სტრუქტურა – სტრუქტურა, რომლის უმთავრეს ელემენტს პროდუქციის ძირითადი ტიპების გამოშვებაზე პასუხისმგებელი განყოფილებები წარმოადგენენ.

პროდუქცია – 1. უნდა აღვიქვათ როგორც მატერიალური ფასეულობების ნაირსახეობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სამეურნეო საქმანობის მნიშვნელოვან შედეგს და გამიზნულია კონკრეტული საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; 2. (product) [ლათ. productic producire მზადება, კეთება] - მსოფლიოში, ქვეყანაში, მეურნეობის დარგში, საწარმოში, ცალკეული მუშაკების მიერ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში წარმოებული პროდუქტების ერთობლიობა.

პროდუქციის გამოშვება (output) – 1. რესურსების დოვლათად გარდაქმნის საბოლოო პროცესი. არ არის აუცილებელი პროდუქციის გამოშვება ზუსტად ემთხვეოდეს სარგებლიანობის მომტან დოვლათს: პროდუქცია შეიძლება ფლობდეს ნულოვან და ზოგჯერ უარყოფით საბაზრო ფასსაც კი. არ არის აუცილებელი პროდუქციას ჰქონდეს ნივთობრივი ფორმა. სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურებაც პროდუქციაა. პირველი ჯანდაცვის ინდუსტრიის შედეგია, ხოლო მეორე – განათლების სისტემის საქმიანობა; 2. პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა უნდა განაწილდეს კალენდარული დროის ისეთი

მონაკვეთების მიხედვით, როგორიცაა კვარტალური გეგმა, ეს კი თავის მხრივ ნაწილდება თვეების მიხედვით. ასეთი განაწილება უნდა განხორციელდეს როგორც საწარმოს, ასევე საწარმოო უბნების მიხედვით. ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს საწარმოო სისტემების თანაბარზომიერ დატვირთვას და რიტმული მუშაობის ორგანიზაციას.

პროდუქციის ერთეულზე – სამუშაო დროის ცვლილების ანუ შრომის მწარმოებლურობის ცვლილების გავლენა უდრის გადახრა დროის ნორმაში გამრავლებული ნორმატიულ საათობრივ ანაზღაურებაზე და გამრავლებული გამოშვებული პროდუქციის ფაქტიურ რაოდენობაზე.

პროდუქციის თვითღირებულება – პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე საწარმოს (გაერთიანება) ყველა სახის დანახარჯის ფულადი გამოხატულება. შრომითი კოლექტივების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომელიც ადასტურებს თუ რა უჯდება საწარმოს (გაერთიანება) მის მიერ წარმოებული პროდუქცია.

პროდუქციის თვითღირებულება – ფულად ფორმაში გამოსახული დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია წარმოების პროცესში ძირითადი ფონდების, მასალების, საწვავის, ენერგიის, შრომითი რესურსების გამოყენებასთან, აგრეთვე სხვა დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე.

პროდუქციის თვიური გეგმის – დანაწილება კი ხდება კვირეების, სადღეღამისო და ცვლების საგეგმო დავალებათა მიხედვით.

პროდუქციის პარტია – ერთგვაროვანი პროდუქციის განსაზღვრული მოცულობა, რომელიც დამზადებულია ტექნოლოგიური პროცესის ერთი და იგივე პირობებში. პროდუქციის პარტიის მოცულობა დამოკიდებულია წარმოების მასობრივობის ხარისხზე, საწარმოო ციკლის ხანგრძლივობაზე და რიგ სხვა ფაქტორებზე.

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი არის პერიოდი მისი წარმოების დაწყებიდან, მის შეწყვეტამდე. იგი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: დასაწყისი, ზრდა, სიმწიფე, დაცემა და შეწყვეტა.

პროდუქციის შესყიდვაში მოთხოვნილებათა დაგეგმვის მიზნები:

- პროდუქციის ზენორმატიული მარაგების დონის შემცირება;
- მომხმარებელთა შეკვეთების მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება;
- წარმოების, შესყიდვის გეგმის და მიზიდვის გრაფიკის ორგანიზაცია.

პროდუქციის ხარისხი – 1. პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვისებების ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია მისი უნარით დააკმაყოფილოს განსაზღვრული მოთხოვნილებები დანიშნულებასთან შესაბამისად. პროდუქციის ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება მაჩვენებლები, რომლებიც რაოდენობრივად ახასიათებენ მოცემული სახეობის პროდუქციის ვარგისიანობას დააკმაყოფილოს განსაზღვრული მოთხოვნილებები; 2. არის მისი იმ თვისებების ერთობლიობა, რომლითაც იგი აკმაყოფილებს მომხმარებლის ძირითად მოთხოვნებს.

პროდუქციის ხარისხის გაზომვა – ხდება არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც.

პროდუქციული დასაქმება – იგი ასახავს სამუშაოზე მოსახლეობის მოთხოვნასა და სამუშაო ადგილს შორის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დაბალანსებულობას, რომლის დროსაც იქმნება კეთილსასურველი პირობები სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის. მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებულია, როგორც პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების ინტერესები.

პროდუცენტი – 1. ინვესტორ-გამყიდველი, მწარმოებელი; 2. (producens) - მწარმოებელი ქვეყანა, რომელიც აწარმოებს

განსაზღვრულ პროდუქციას; 3. (producer)[ლათ. producens (prodocentis) მწარმოებელი] - მწარმოებელი; ამა თუ იმ საქონლის მწარმოებელი ქვეყანა.

პროექტი – არის გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად ურთიერთდაკავშირებული ოპერაციათა ერთობლიობა, რომლის შესასრულებლად საჭიროა დროის გარკვეული პერიოდი 1. იგი ლათინური სიტყვიდან წარმოდგება და ნიშნავს გარკვეული საქმიანობის წინასწარ დაგეგმვას ლინის განმარტებით 2. პროექტი არის ერთჯერადი, დროით შეზღუდული, მიზანმიმართული ღონისძიებები, რომლებიც მოითხოვენ სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტების და რესურსების ურთიერთქმედებას. 3. ჩეიზისა და ეკვილიანის განმარტებით პროექტი არის კონკრეტული შედეგების მისაღებად მიმართული ურთიერთდაკავშირებული ოპერაციათა თანმიმდევრობა, რომელთა შესრულებას სჭირდება გარკვეული დრო. 4. გ. ქეშელაშვილი და ნ. ფარესაშვილი პროექტს განმარტავენ, როგორც ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებათა ერთობლიობა მკაფიოდ განსაზღვრული დასაწყისითა და დასასრულით, რომელიც მიმართულია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

პროექტის მართვა – შეიძლება გავაანალიზოთ, როგორც პროექტის შესრულებისათვის საჭირო რესურსების, დაგეგმვის, განაწილებისა და რეგულირების პროცესი, პროექტის ყველა შეზღუდვის გათვალისწინებით.

პროვიზო (Proviso) – ტექნიკური დოკუმენტი დამატებითი პირობების შესახებ. ავიოკომპანიის პროვიზო ჩვეულებრივ მოიცავს ქვეყნების, რეგიონების და ქალაქების სიას, რომლებისთვისაც საბაზო თანხასთან დადგენილია პროცენტი. კონკრეტული თანხა, რომელსაც მოცემული მონაკვეთისათვის გამოითხოვს ავიაკომპანია, განისაზღვრება საბაზისო თანხის გადამრავლებით შესაბამის პროცენტზე. მომსახურების სხვადასხვა კლასისათვის საბაზისო თანხა პროვიზოსთან ერთად წარედგინება ავიოკომპანიებს და რეგულარულად ქვეყნდება შესაბამის ცნობარში. პროვიზო

დასამტკიცებლად YATA-ს საპროცენტო სააგენტოს (Prorate Agency) წარედგინება.

პროლეტარი – საზოგადოების უღარიბესი წარმომადგენელი, რომელსაც არავითარი საკუთარი წარმოების საშუალება არ გააჩნია, გარდა საკუთარი სამუშაო ძალისა, რომლითაც იგი ქვეყნდება.

პროლოგანცია (prolongation)[ლათ. prologare გაგრძელება] – ხელშეკრულების, სესხების, თამასუქისა და ა.შ. მოქმე-დების ვადის გაგრძელება.

პროლონგაციური გარიგებები – ფასიანი ქაღალდებით გარი–გების სახეობა, რომელიც მყიდველს ან გამყიდველს შესაძ–ლებლობას აძლევს გააგრძელოს ოპერაცია და გადაავადოს საბოლოო ანგარიშსწორება ბაზარზე ფასიანი ქაღალდების კურსის მოძრაობის მიხედვით.

პრომესა (promise)[ფრანგ. promesse დაპირება] – 1. დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მომგებიანი სესხის, ობლიგაციის ან ლატარიის ბილეთის მფლობელი (პრომესის გამყიდველი) ვალდებულებას იღებს. გარკვეულ ფასში დაუთმოს სხვა პირს თავისი მოგება; 2. ობლიგაციის გამყიდველის ვალ-დებულება, გადაცვალოს ობლიგაცია სხვა ობლიგაციაზე მისი ტირაჟის გასვლის შემთხვევაში.

პრომპტი (prompt) – სასწრაფოდ დადებული ჩარტერი.

პროპორციული – გადასახადი, როლის განაკვეთი უცვლელი რჩება შემოსავლის ზრდის ან შემცირების მიუხედავად. (პროპორციული დაბეგვრა შემოიღეს საფრანგეთში 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ).

პროპორციული გადასახადი (propertional tax) – არ ითვალის-წინებს საშუალო საგადასახადო განაკვეთის გადიდებას. განაკვეთი უცვლელი რჩება შემოსავლის ოდენობის მიუხედავად. პროპორციული გადასახადების რიცხვს მიეკუთვნება მოგების გადასახადი.

პროპორციულობა – ნიშნავს როდესაც ოპერაციათა და შრომით პროცესებს შორის (დროის პერიოდში) არსებობს სრული შეთანხმებულობა.

პრორეიტი, (ინგლ. Proration - პროპორციული განაწილება) – ერთობლივი ტრანსპორტირების შესრულებისას გაგზავნის პუნქტიდან დანიშნულების პუნქტამდე ავიაკომპანიებს - გადამზიდველებს შორის საერთო შემოსავლების პროპორციულად განაწილდება. სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების მიერ ერთობლივი გადაზიდვებისას წარმოიშობა აუცილებლობა გადაზიდვებში მონაწილე ავიაკომპანიებს შორის „გამჭოლი-ტარიფის"-ა და ზენორმატიული ბარგის მოსაკრებლის განაწილების შესახებ. პრორეიტის პროცედურის წარმოებისას გამოიყენება „იატა"-ს მიერ შედგენილი მგზავრების პრორეიტის სახელმძღვანელო (RAM Revenue Acounting Manuol და PMP Prorate Manual Passenger), სადაც მოცემულია მგზავრების გადაზიდვებიდან ავიაკომპანიების მიერ პროპორციულად მისაღები შემოსავლები.

პროტესტის პროცედურის შესრულების – შემდეგ თამასუქი ბანკის მეშვეობით უბრუნდება თამასუქის პატრონს, რომელსაც უფლება ეძლევა სასამართლო წესით ამოიღოს გადასახდელი თანხა. თანაც თამასუქზე თუ ინდოსამენტები იყო გაკეთებული, თამასუქის ბოლო მფლობელს, რომელმაც თანხა ვერ მიიღო, შეუძლია სარჩელი აღძრას ნებისმიერი ინდოსამენტის წინააღმდეგ.

პროტექციონიზმი – 1. უცხოეთის კონკურენციისაგან საშინაო ბაზრის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკა. ხორციელდება საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო ტარიფის (საბაჟო გადასახადის), აგრეთვე არასატარიფო შეზღუდვათა სისტემის მეშვეობით (იმპორტული საქონლის რაოდენობრივი და სავალუტო შეზღუდვები, მათთვის რთული საბაჟო პროცედურა-საბაჟო წმენდა, მაღალი მოთხოვნები იმისადმი, შეესაბამება თუ არა იმპორტირებული საქონელი ეროვნულ-ტექნიკურ და სანიტარულ სტანდარტებს, საშინაო მოსაკრებლები და გადასახადები იმპორტულ საქონელზე, მკაცრი ანტიდემპინგური კანონმდებლობა და სხვა.); 2. (protectionism) [ფრანგ.

protectionnisme ლათ. protectio დაფარვა] - სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული მეურნეობის დაცვა უცხოური კონკურენციისაგან საიმპორტო საქონელზე მაღალი ბაჟის შემოღებით, გარკვეული სახის საქონლის შემოტანის შეზღუდვით ან აკრძალვით; 3. უცხოური კონკურენციისაგან შიდა ბაზრის დაცვაზე გამიზნულ პოლიტიკას.

პროფესია – სპეციალური მომზადებისა და მოცემულ სფეროში მუშაობის გამოცდილების შედეგად შეძენილი სპეციალური თეორიული და პრაქტიკული ჩვევების ერთობლიობა (კომპლექსი), რომელიც საშუალებას იძლევა შესრულდეს შესაბამისი სამუშაო.

პროფესიონალური კარიერა – ასახავს ადამიანის შრომით საქმიანობაში პროფესიონალურ ცვლილებებს, მის შრომით მიღწევებს და ავტორიტეტს პროფესიული საქმიანობის კონკრეტულ სფეროში.

პროფესიონალური კომპეტენტურობის საფუძველია პროფესიონალური ვარგისიანობა, რომელშიც იგულისხმება ეფექტიანი პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანის ფსიქიკური და ფსიქოლოგიუერი თავისებურებების ერთობლიობა.

პროფესიონალური ორგანიზაცია – ესაა ბიუროკრატიული ორგანიზაცია, რომელიც ხასიათდება სპეციალისტთა მაღალი პროფესიონალური დონით. ასეთებია: უნივერსიტეტები, სკოლები, საავადმყოფოები, და ა.შ. ასეთ ორგანიზაციათა რთული სტრუქტურა მოითხოვს მართვის დეცენტრალიზაციას და სპეციალისტთა მუშაობაში მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას.

პროფესიული ადაპტაცია – ვლინდება პროფესიონალურ შესაძლებლობათა (ცოდნისა და გამოცდილების) დამატებით ათვისებაში, პიროვნების პროფესიულად აუცილებელი თვისებებისა და თავისი შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების ფორმირებაში.

პროფესიული დასაქმების დონე – რომელიც შეიძლება განისაზღვროს მომუშავეთა საერთო რიცხვის შეფარდებით შრომითი რესურსების მთლიან რაოდენობასთან, ასახავს მიღწევებს შრომის მწარმოებლურობასა და საზოგადოების განვითარების სოციალური ეფექტიანობის სფეროში.

პროფესიული ვარგისიანობა – პროფესიულ მოვალეობათა წარმატებული შესრულებისათვის აუცილებელი ცოდნის, შეძლების, ჩვევებისა და პირადი თვისებების ერთობლიობა. იგი შეიძლება იყოს პოტენციური და რეალური. პოტენციური ვარგისიანობა დამოკიდებულია ადამიანის უნარზე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, ხოლო რეალური ყალიბდება თანდათანობით, ადამიანთა მიერ ახალი ცოდნისა და ჩვევების ათვისების კვალობაზე.

პროფესიული ინფორმაცია – ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია, მოსწავლეებსა და სამუშაოს მაძიებლებს გააცნოს შრომით მოწყობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა, შრომითი საქმიანობის სხვადასხვა სახის განვითარების პერსპექტივები, ძირითადი პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით მუშაობის ხასიათი, შრომისა და დასვენების პირობები, პროფესიული სასწავლო დაწესებულებები და პერსონალთა მომზადების ცენტრები და ა.შ.

პროფესიული კონსულტაცია – დაინტერესებული ადამიანებისათვის დახმარების გაწევა პროფესიისა და მუშაობის ადგილის შერჩევაში.

პროფესიული ორიენტაცია – ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ღონისძიებების სისტემა, რომელიც ეხმარება ადამიანს პროფესიის სწორად არჩევაში.

პროფესიული შერჩევა – პერსონალის დაქირავებასა და შერჩევაში მონაწილეობის მიღება, რომელიც ხორციელდება კონკრეტული პროფესიებისა და სამუშაო ადგილების

მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და რომლის მიზანია მომუშავეთა მაღალხარისხოვანი პროფორიენტაცია.

პროფიციტი (sarplus) – ბიუჯეტის დადებითი სალდო, ბიუჯეტის შემოსავლის გადამეტება ხარჯზე. პროფიციტის დროს მთავრობა ჭარბ ფულად სახსრებს იყენებს თავისი დავალიანების დასაფარავად.

პროფორმა-ანგარიში – (ინგ. proforma invoice, ფრანგ. proforma account; გერ - Facture simulee Proforma-Recbnurg) დოკუ-მენტია, რომელიც ანგარიშის მსგავსად, შეიცავს მონაცე-მებს საქონლის პარტიის ფასისა და ღირებულების შესახებ, მაგრამ, თანხის გადახდის მოთხოვნის მიუთითებლობის გამო, საანგარიშსწორებო დოკუმენტი არაა. ე.ი. პრო-ფორმა-ანგარიში ასრულებს ანგარიშის ყველა ფუნქციას, საგადასახადო დოკუმენტის ფუნქციის გარდა. თუ პროფორმა-ანგარიში შეიცავს მონაცემებს ყველა სახის და სორტის საქონლის ფასის შესახებ, იგი იწოდება სერთიფიცირებულ პროფორმა-ანგარიშად.

პროცედურა – წერილობითი მითითებები იმის შესახებ, თუ კონკრეტულ სიტუაციაში რა მოქმედებები უნდა განხორ-ციელდეს.

პროცენტებში გამოსახულ ობლიგაციის – საბაზრო და ნომი-ნალური ფასების თანაფარდობას ეწოდება ობლიგაციის კურსი.

პროცენტი (interest) [ლათ. procentum ყოველ ასზე] – 1. რიცხვის მეასედი აღინიშნება ნიშნით -%; 2. შემოსავალი, რომელსაც მესაკუთრე იღებს გადასახადის სახით ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან თავის საკუთრებაში არსებული ობიექტების გამოყენებისათვის; 3. სასესხო პროცენტი სარგებელი, რომელსაც იღებს კრედიტორი სესხზე.

პროცენტის (სარგებლის) განაკვეთი (interest rate) – კრედიტის ან სასესხო კაპიტალის გამოყენებისათვის დაწესებული გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს გასესხებული ფულადი ნიშნის ერთეულზე შემოღებული წლიური გადასახადის ოდენობას. მას

აწესრიგებენ ბანკები მათ მიერ წარმოებულ ობიექტებზე (მოკლევადიანი დაკრედიტება, ანაბრები და სხვა) დადებულ საკრედიტო შეთანხმებებში.

პროცენტის განაკვეთს, – რომლის მიხედვითაც გაიცემა ეს სესხები, ეწოდება პროცენტის სააღრიცხვო განაკვეთი ან რეფინანსირების განაკვეთი.

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (Times Interest Covered Ratio) – ეს მაჩვენებელი მიგვითითებს, თუ როგორ წარმატებით შეუძლია საწარმოს თავისი შემოსავლებიდან ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის დაფარვა.

პროცენტის ნომინალური განაკვეთი (nominal inerest) – ფულის რაოდენობა, რომელიც გადახდილია სასესხო ფულადი ნიშნის ერთეულზე გარკვეულ პერიოდში (თვე, წელი); პროცენტის განაკვეთი, რომლის მიხედვითაც დაირიცხება აქტივების ნომინალური ღირებულების ნამატი სადეპოზიტო ანგარიშებსა და ფასიან ქაღალდებზე; პროცენტის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ტემპის ჯამი. <u>ფიშერის ეფექტის</u> მიხედვით, პროცენტის ნომინალური განაკვეთის დინამიკა მთლიანად ემთხვევა ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის დინამიკას.

პროცენტის რეალური განაკვეთი (real; interest rate) – 1. პროცენტის განაკვეთი, რომლის მიხედვითაც იზრდება აქტივების რეალური ღირებულება სადეპოზიტო ანგარიშებსა და ფასიან ქაღალდებზე გარკვეულ პერიოდში; 2. პროცენტის მინიმალური განაკვეთი, კორექტირებული მოცემულ პერიოდში მოსალოდნელი ინფლაციის ტემპის მიხედვით; სხვაობა პროცენტის ნომინალურ განაკვეთსა და ინფლაციის ტემპს შორის. არსებობს <u>მოსალოდნელი</u> (ex ante) და <u>ფაქტობრივი</u> (ex post) პროცენტის რეალური განაკვეთი.

პროცენტული არბიტრაჟი – ითვალისწინებს ფინანსურ ორგანიზაციებში ან ფასიან ქაღალდებში (სავალო ვალდებულებებში) თანხების დაბანდებას მოგების მიღების მიზნით,

რომელიც წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთებსა ან სავალუტო კურსებს შორის არსებული სხვაობით.

პროცენტული განაკვეთი – შეიძლება იყოს მცოცავი ან ფიქსირებული მთელი ვადის განმავლობაში. მისი სიდიდე წმინდა პროცენტის გარდა, დამოკიდებულია კრედიტორის დანახარჯებისა და რისკის საფასურზე. რაც უფრო სარისკოდ მიაჩნია კრედიტორს კრედიტის გაცემა მით უფრო მაღალია პროცენტის ნორმა თანაბარ პირობებში. პროცენტული განაკვეთის ნორმა მეწარმისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. იგი ყალიბდება ფულის ბაზარზე. პროცენტის ნორმა დამოკიდებულია: ა) ფულადი სახსების მიწოდების სიდიდეზე, ანუ იმ დროებით თავისუფალ ფულად სახსრებზე, რომლებიც თავს იყრის ფულის ბაზარზე; ბ) საქონლის ფასებზე. რაც უფრო მაღალია ფასების მოსალოდნელი ზრდა, მით უფრო მაღალია პროცენტის ნორმა.

პროცენტული პერიოდი (interest period) – ვადა, რომლის განმავლობაში პროცენტის განაკვეთი ფიქსირებულია კრედიტში მცურავი განაკვეთის პირობებში (ჩვეულებრივ შეადგენს 3-6 თვეს).

პროცესები – ერთმანეთთან დაკავშირებულ ამოცანათა ჯგუფები, რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ ღირებულებათა შექმნას.

პროცესები სირთულის მიხედვით არის – ერთეტაპიანი და მრავალეტაპიანი. ერთეტაპიანია, რომლის დროსაც სრულდება რამოდენიმე საწარმოო ოპერაცია, რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

პროცესი – ეს არის წარმოების მიერ შესრულებული საქმიანობა რომლის დროსაც მოხდება რესურსების გარდაქმნა მზა საბოლოო პროდუქტად.

პული – 1. კარტელური გაერთიანების ფორმაა, რომელიც ითვალისწინებს მეწარმეთა გაერთიანებას და მოგების გარკვეული წესით განაწილებას; 2. (ინგლ. pool – საერთო ქვაბი) - მეწარმეებს შორის გაერთიანების, შეთანხმების

ფორმა, რომელსაც ჩვეულებრივ დროებითი ხასიათი აქვს, ამ დროსაც მისი მონაწილეობის მოგება საერთო ფონდში შედის და მათ შორის წინასწარ დადგენილი შეთანხმების თანახმად ნაწილდება; 3. კაპიტალისტური შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც მოგება თავს იყრის საერთო ფონდში და შემდეგ ნაწილდება წინასწარ დადგენილი ქვოტის მიხედვით; 4. პულში მონაწილეთა შეთანხმება, კომერციული შეთანხმებაა ავიასაწარმოებს შორის გარკვეული ავიახაზების ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლების განაწილების შესახებ; 5. საავიაციო საწარმოთა გაერთიანების ფორმა. პულის მონაწილეები ადგენენ შემოსავლებისა (მოგების) და საერთო საექსპლუატაციო დანახარჯების განაწილების წესს.

ჟ

ჟენშენი – ბალახოვანი მცენარე: იზრდება შორეულ აღმოსავლეთში; იყენებენ მედიცინაში.

ჟერმონპიაო – ჩინურად სიტყვა-სიტყვით სახალხო ფულს ნიშნავს, ჩინეთის ბანკის ბანკნოტი.

ჟეტონი – ლითონის პატარა ნიშანი, რომელსაც ატარებს საზოგადოების ზოგი წევრი; აძლევენ აგრეთვე რისამე სახსოვრად ან რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ჟირანტი – (endorsee) [იტალ. Girante – girare გადაგზავნა (თანხის)] იგივეა, რაც ინდოსანტი.

ჟირო – წარწერა თამასუქებზე, საბანკო ქვითარზე ან ჩეკზე სხვა პირისათვის მისი გადაცემის თაობაზე. ბანკის მიმართ კლიენტის წერილობითი განკარგულება საკუთარი მიმდინარე ანგარიშიდან მესამე პირზე ან დაწესებულების ანგარიშზე გარკვეული თანხის გადარიცხვის თაობაზე.

ჟიროანგარიშსწორება – (giro account) უნაღდო ანგარიშსწორება, რომელსაც აწარმოებენ ბანკები ერთი ანგარიშიდან მეორეზე თანხის გადარიცხვით. იგი გამოიყენება აგრეთვე უნაღდო ანგარიშსწორების მთელი სისტემის აღსანიშნავად.

ჟირობანკი – ბანკი, რომელიც უნაღდო ანგარიშსწორებას ახორციელებს კლიენტებს შორის, ამჟამად ჟირობანკის ფუნქციები თითქმის მთლიანად გადაეცა კომერციულ ბანკებს.

ჟიროსისტემები – ეს არის ანგარიშსწორების მონაწილე ბანკების მიერ შექმნილი სააქციო საზოგადოება სახელმწიფო ცენტრალური ბანკების ჩათვლით.

ჟიროჩეკი – (giro cheque) ჩეკი, რომელიც შეიცავს ჩეკის მფლობელის ნებართვას მისი ჟიროანგარიშიდან, ჩეკის ამღების ანგარიშზე განსაზღვრული თანხის გადარიცხვის შესახებ. ჟიროჩეკი გამოიყენება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებისას ერთი ბანკის ფარგლებში, სადაც გახსნილია ორივე მხარის ჟიროანგარიში.

ჟიროცენტრალი – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც კომუნალური შემნახველი ბანკებისათვის ცენტრალური ბანკის ფუნქციების ასრულება. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია გერმანიაში.

ჟიური – სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია კონკურსზე, გამოფენასა და მისთანებზე პრემიების, ჯილდოების მისანიჭებლად.

ჟურფიქსი – ფეოდალურ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში: კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული.

რ

რა არის ბანკის კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია – რომელთა წარმოდგენა ხდება ბანკის ინიციატივით. ეს გახლავთ სხვადასხვაგვარი დამატებითი მონაცემები. განსაკუთრებულ რთულ, პრობლემურ სიტუაციებში საბანკო პროდუქტის რეალიზაციის მიმდინარეობის მართვისათვის ადეკვატური საინფორმაციო ბაზის უზრუნველმყოფელი სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. ინფორმაციის მატარებლად გამოიყენება პასუხები სპეციალურ მოთხოვნებზე, სატელეფონო საუბრების ოქმები, ბანკის თანამშ-

რომლების მიერ ფირმების, კლიენტების პირადად მონახულების შედეგები.

რა არის ფული ბანკისათვის – ფული ბანკებისათვის არის „ყიდვა-გაყიდვის“ საგანი და აქვს ფასი – საბანკო პროცენტი. ამ ცნებას ხმარობენ იმ ფასის აღსანიშნავად, რომელსაც ბანკი იხდის მოზიდული სახსრებისათვის (პროცენტი სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში აღებული კრედიტისათვის, პროცენტი ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრებსა და დეპოზიტებზე, სააღრიცხვო პროცენტი, კლიენტების ანგარიშებზე დარჩენილ ნაშთებზე) იმ ფასის აღსანიშნავად, რომელსაც ბანკი იღებს მის მიერ განთავსებულ სახსრებზე. ამ უკანასკნელის კერძო შემთხვევაა საბანკო კრედიტის, როგორც ფულის იმ თანხის ფასი, რომელსაც დროებით სარგებლობაში აძლევან მსესხებელს.

რა არის წინააღმდეგობა – ნივთი წინააღმდეგობრივია, რადგანაც ის დაპირისპირებულ თვისებათა ერთიანობაა. მაგალითად, ის ერთდროულად არის „თვისებაც“ და „რაოდენობაც“. საქონელი ერთდროულად არის სახმარი ღირებულებაც და ღირებულებაც, მაგრამ ასეთი ფორმულირება სინამდვილეში არ გამოხატავს წინააღმდეგობას, არ ხსნის წინააღმდეგობის კატეგორიის იმ მნიშვნელოვან შინაარსს, რომლის მეშვეობითაც იგი „იმპულსურია“.

რადიკალური სისტემური რემონტი – („შოკური თერაპია“), მტკიცე, ფართო და სწრაფი სისტემური გარდაქმნები ტრანსფორმაციის ერთსექტორიანი გზის ფარგლებში.

რაიმე წინასწარი შეთანხმების გარეშე განხორციელებული სავალუტო ოპერაციები – ამ ოპერაციებისათვის გამოიყენება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის (გასაცვლელი) „სპოტი“ კურსი (spot rate). სპოტი კურსი ვალუტის გასაცვლელი მიმდინარე კურსია, რომლის მეშვეობით წარმოებს ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების ფორმირება.

რამბურსირება – დაბრუნება, ვალის გადახდა. თამასუქის

მფლობელის სასარგებლოდ ვალის გადახდა, მესამე პირის მეშვეობით ვალის გადახდა.

რანტიე – (rentier) [ფრანგ.რენტიერ] პირი, რომლისთვისაც შემოსავლის წყაროა სესხად გაცემული კაპიტალის პროცენტი (სარგებელი) ან ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი.

რაოდენობრივი – რაოდენობრივს უწოდებენ ყველა იმ რისკს, რომელიც თანამშრომელთა მოძიებას და სამუშაოში ჩარევას უკავშირდება.

რაოდენობრივი (ანუ მოცულობის) მარტივი ინდექსი – ზომავს წარმოებული ან გაყიდული პროდუქციის მოცულობის ცვლილებებს.

მოცულობის მარტივი ინდექსი $= \frac{q_1}{q_0} \cdot 100$;

სადაც q_1 არის პროდუქციის მოცულობა საბაზრო პერიოდისათვის;

q_0 – პროდუქციის მოცულობა საბაზისო პერიოდისათვის.

რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონტროლის ერთიანობა – აუცილებელია თვალყურის დევნება არა მხოლოდ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ამა თუ იმ წესის, ნორმატივის, მოთხოვნის, მითითების ნორმალურ დაცვაზე, არამედ მათი განვითარების ხარისხობრივ (ეკონომიკურ და ფინანსურ) მახასიათებლებზე, რაც მოითხოვს კარგ მონიტორინგს (კონტროლი საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლების დინამიკაზე) და არანაკლებ ხარისხიან ინდივიდუალურ ხარისხიან მუშაობას.

რაოდენობრივი ნიშნით – მატერიალური ნაკადები არსებობს მასიური, მსხვილი, საშუალო და წვრილი.

რაოდენობრივი შეზღუდვები – ეწოდება მთავრობის მიერ დაწესებული კონკრეტულ გარიგებაში გამოსაყენებელ უცხოური ვალუტის რაოდენობას.

რაციონალიზაცია – ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების უპირატესი ორიენტაცია თავის და მსოფლიო მეზობელ რეგიონებზე.

რაციონალობის პრინციპი – ყოველთვის იმოქმედე იმ ანგარიშით, რომ არსებული შეზღუდული საშუალებების (რესურსების) დახმარებით უზრუნველყო ოპტიმალური შედეგი დასმული მიზნების მიღწევის დროს.

რაციონალური გადაწყვეტილება – ობიექტური ანალიზის შედეგებით განმტკიცებული არჩევანი. იგი, მსჯელობაზე დამყარებული გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, არ არის დამოკიდებული წარსულში დაგროვილ გამოცდილებაზე.

რაციონალური მოლოდინის თეორია – (rational expectiation theory) თეორია, რომლის თანახმადაც მწარმოებლები და მომხმარებლები – ბიზნესისა და ჰაუსფოლდის ბლოკები არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის საფუძველზე ყველაზე რაციონალურად გეგმავენ თავიანთ ეკონომიკურ ქცევას. ისინი ვარაუდობენ, რომ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა გარკვეულ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე და ხელმძღვანელობენ რა საკუთარი გამორჩენის სურვილით, ისეთ ღონისძიებებს მიმართავენ, რომლებიც ამ პოლიტიკას არაეფექტიანს ხდის.

რაციონალურობა – თუ პარტნიორი „ავლენს ხასიათს“ საჭიროა თავშეკავებულობა. არაკონტროლირებადი ემოციები ურყოფითად მოქმედებენ გადაწყვეტილების მიღებაზე.

რეაბილიტაცია – ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ფინანსური სიძნელეების დაძლევას, ლიკვიდურობის აღდგენა და ლიკვიდურობის თავიდან აცილებას.

რეალიზაციის კონცეფცია – **(realization concept)** თუ კომპანის შექმნის მომენტში ან წარმოების უფრო ეფექტიანი სიმძლავრეების მწყობრში შეყვანის შედეგად არსებით ორგანი-

ზაციულ ხარჯებს ახორციელებს, მას შეუძლია ასეთი ხარჯები იმ პერიოდს მიაკუთნოს, რომელშიც მოგების მიღება არის მოსალოდნელი.

რეალიზებული ამონაგების სიდიდე – მარაგების ღირებულების ასახვის მეთოდზეა დამოკიდებული.

რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები – და ტექნოლოგიური ინოვაციას წარმოადგენს ინოვაცია (ინგ. Inovation - სიახლე, ნოვატორობა, (ახალი შემოღებული) ნიშნავს ინოვაციაში ინვესტირებას.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება – ფირმისათვის, რომელიც საცალო ან საბითუმო საქონლით ვაჭრობს, ეს მაჩვენებელი წარმოადგენს საქონლის ან ინვენტარის ღირებულებას. თუ შემოსავალს გაყიდული საქონლის ღირებულებას გამოვაკლებთ, მივიღებთ მთლიან მოგებას.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საექსპლუატაციო ხარჯები – (cost of goods sold and operating expenses) თავისთავად პროდუქციის წარმოებისათვის, ინვენტარიზაციის ჩათვლით, საჭირო დანახარჯებს წარმოადგენს. ისინი მოიცავენ ნედლეულს – საწარმოო მუშების შრომის ანაზღაურებაზე გაწეულ ხარჯებს.

რეალური გაცვლითი კურსი – (real exchange rate) გაცვლითი კურსი, რომელიც ითვალისწინებს ორი შესაბამისი ქვეყნის ფასების დონეთა თანაფარდობას, გაიანგარიშება ნომინალური გაცვლითი კურსის გაყოფით შესადარ ქვეყნებში ფასების ინდექსების თანაფარდობაზე.

რეალური კარიერა – არის კარიერა, რომლის რეალიზება ადამიანმა მოახერხა დროის განსაზღვრულ პერიოდში, საქმიანობის განსაზღვრულ სახეში და კონკრეტულ ორგანიზაციაში.

რეალური ორიენტაცია – რომლის დროსაც ადამიანებს მიდრეკილება აქვთ დასაქმების სახეებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ ძალასთან. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში მომუშავენი.

რეალური შემოსავალი – (real income) საქონლის და მომსახურების რაოდენობა, რომლის შეძენაც ინდივიდს, ოჯახს ან ფირმას თავიანთი ფულადი შემოსავლების ან კიდევ ფულადი შემოსავალი, რომელიც კორექტირებულია ფასების ინდექსით.

რეალური ცვლადები – (რეალ ვარიავლეს) ნატურალური ერთეულებით გაზომილი სიდიდეები (იხ. კლასიკური დიჰოტომია).

რეალური ხელფასი – (real wage) ნომინალური ხელფასი, კორექტირებული ფასების ცვალებადობის დონის მიხედვით. გაიზომება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულებებით, რომელთა შეძენა შესაძლებელია ამ ხელფასით.

რეაქციული საკადრო პოლიტიკა – პერსონალის სამსახურებს აქვთ საკადრო სიტუაციის კონტროლისა და ანალიზის საშუალებები, რაც უზრუნველყოფს არსებული პრობლემების გადაწყვეტისა და საფრთხის თავიდან აცილების გზების პოვნას.

რეგიონალური ეკონომიკა – (regional economics) ეკონომიკური ანალიზის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური საქმიანობის ტერიტორიულ განლაგებას და რეგიონებს შორის ეკონომიკური აქტიურობის დონეთა შორის განსხვავებას იგი იკვლევს მაკრო და მიკრო ეკონომიკურ პრობლემებს.

რეგიონალური მაკროეკონომიკის – ფარგლებში, როგორც წესი ხორციელდება სხვადასხვა რეგიონების შედარებითი ანალიზი, ხოლო თვით რეგიონებში განიხილება როგორც ერთგვაროვანი ეკონომიკური ერთეულები. რეგიონული მაკროეკონომიკა მოიცავს ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში სხვადასხვა რეგიონთა ეკონომიკური ზრდისა და უმუშევრობის, წარმოების ფაქტორთა მოძრაობისა და ა.შ. პრობლემებს.

რეგიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა – დივიზიონური სტრუქტურის ტიპი, რომელშიც გამოიყენება აგების გეოგრაფიული პრინციპი.

რეგიონული ანუ გეოგრაფიული ნიშნით შექმნილი ორგანიზაციული სტრუქტურა -–დამახასიათებელია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც უცხოურ ოპერაციებს ახორციელებენ მრავალ ქვეყანაში და მათ შორის არც ერთ ქვეყანას არ უკავია დომინირებული მდგომარეობა.

რეგიონული ლოგისტიკა – სისტემური მიდგომის პოზიციებიდან რეგიონული ლოგისტიკა განიხილება გლობალური (ეროვნული ტრანსნაციონალური მსოფლიო) ლოგისტიკური სისტემის კომპონენტების სახით, რომელსაც აქვს საკმაო ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა და მონაწილეობს ეროვნული და საერთაშორისო შრომის დანაწილებაში.

რეგიონული ლოგისტიკური ცენტრები – (რლც) წარმოადგენენ რეგიონულ და რეგიონთა შორის მაკროლოგისტიკური სისტემების ძირითად სისტემაწარმომქმნელ ელემენტებს, წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს სასაქონლო-მატერიალური ნაკადები მიმწოდებლებიდან მომხმარებლებისაკენ, აგრეთვე სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შეპირისპირების პუნქტს. შეპირისპირების პუნქტში ხორციელდება ტვირთნაკადების კონცენტრაცია და გადანაწილება, აგრეთვე კლიენტურის სერვისული და კომერციულ-საქმიანი მომსახურება. რეგიონულ გამანაწილებელ ცენტრებს მიეკუთვნება: სამრეწველო საწარმოთა რეგიონული გამანაწილებელი ცენტრები, საბითუმო ვაჭრობის ცენტრები, სასაწყობო და ტერმინალური კომპლექსები, ლოგისტიკური და სადისტრიბუციო ცენტრები.

რეგიონული მარკეტინგი – 1. მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაცია რეგიონში; 2. საქონლისა და მომსახურების შესახებ მარკეტინგული ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება რეგიონის მიერ ადგილობრივ ეროვნულ და საერთაშორისო ინვესტორებს; 3. მარკეტინგი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური მენეჯმენტის სისტემაში.

რეგიონული მიკროეკონომიკა – უპირატესად დაკავშირებულია კონკრეტული ეკონომიკური ობიექტებს შორის ურთიერთ-

ზემოქმედების საკითხების კვლევასთან. იგი შეისწავლის ადგილმდებარეობის გავლენას ეკონომიკურ საქმიანობაზე და არ განიხილავს რეგიონებს როგორც ერთგვაროვან ერთეულებს. დიდი და პატარა ქალაქების თავისებურებების კვლევისთვის გამოიყენება ტერმინი – „ქალაქების ეკონომიკა“.

რეგისტრი – (register) [ლათ. Registrum სია ჩამონათვალი] 1. ჩანაწერების წიგნი, სააღრიცხვო დოკუმენტი შესაბამისი სიით, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, კომერციული რეგისტრი, რომელშიც შეტანილია ყველა კომერციული ბანკი; კრედიტორების რეგისტრი, რომელშიც შეიტანება იპოთეკური კრედიტის კრედიტორები; უძრავი ქონების რეგისტრი, რომლის თანახმადაც განისაზღვრება უძრავი ქონების კონკრეტული ობიექტის ფლობის უფლება; ფასიანი ქაღალდების რეგისტრი, რომელშიც შეაქვთ ცნობები ფირმის ყველა ფასიანი ქაღალდის შესახე; 2. სპეციალური ორგანო, რომელიც მართვის სპეციალურ დარგში ზედამხედველობის ფუნქციას ასრულებს.

რეგისტრული ტევადობა, რეგისტრული ჩარტერი – გემის სიდიდის მაჩვენებელი, გამოხატული სარეგისტრო ტონებში. განასხვავებენ რეგისტრული ტევადობის ორ სახეს: საერთო (ტევადობა ბრუტო - რეგისტრული ტონაჟი) და სუფთა (ტევადობა ნეტო-ნეტო რეგისტრული ტონაჟი). საერთო რეგისტრული მოცულობა წარმოადგენს გვაძლევს მთლიანობაში მთელი გემის ზომების შესახებ. სუფთა - მისი სათავსოს მოცულობის შესახებ, გამოიყენება ტვირთების გადასაზიდად და მგზავრთა გადასაყვანად.

რეგისტრული ტონა – 100 კუბ ფუნტი ან და 2,8 $მ^3$.

რეგრესი – (regress, recourse) [ლათ. Regressus დაბრუნება, უკან სვლა] 1. განვითარების უფრო მაღალი ფორმიდან დაბალზე გადასვლა, უკან სვლა, ცვლილება უარესისაკენ (საპირისპიროთა - პროგრესი); 2. ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელსაც ერთი პირი წარუდგენს მეორეს.

რეგრესიული – გადასახადი რომლის განაკვეთი მცირდება შემოსავლის ზრდასათან ერთად.

რეგრესიული გადასახადი – (regressive tax) გადასახადი, რომლის საშუალო განაკვეთიც შემოსავლის ზრდასთან ერთად ეცემა. არაპირდაპირი გადასახადების უმრავლესობა რეგრესიულია.

რეგრესიული გადასახადი – გადასახადით დაბეგვრა, რომლის დროსაც ამოღების სიმძიმე შემოსავლების უკუპროპორციულია: რაც უფრო მცირეა შემოსავალი, მით უფრო მცირეა გადასახადი გადამხდელისათვის.

რეგრესული ინტეგრაცია – თავისი მომარაგების სისტემის შეძენა მფლობელობაში ან უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ დაქვემდებარება.

რეგულარული კომერციული გადაზიდვა – ოფიციალური განრიგის შესაბამისად დაგეგმილი გასამრჯელოთი შესრულებული ფრენა ან ისეთი ხშირი ფრენები, რომლებიც მოყვანილია გარკვეულ სისტემატიზაციაში და ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი მოხმარებისათვის. ამაში შედის ის დამატებითი კომერციული რეისებიც, რომელიც შესრულებულია რეგულარული რეისის გადატვირთვის შედეგად.

რეგულარული რეისის ჩაშლა – ლიცენზიის მფლობელის მიზეზით ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული რეგულარული რეისის განრიგის დაზღვევა 12 საათზე მეტი დროით.

რეგულარულობის კოეფიციენტი – განრიგის დაცვით შესრულებული რეგულარული რეისების შეფარდება დაგეგმილ რეისებთან. განრიგის დაუცველობის ქვეშ იგულისხმება გადამზიდველის მიზეზით განრიგით გათვალისწინებული რეისის შესრულება 15 წუთზე მეტი დაგვიანებით.

რეგულატივების გაანგარიშება – **(calculate adjustments)** განხორციელებული გარიგებები დასრულების შესაბამისად მარეგულირებელი გატარებები ხორციელდება.

რეგულირება – დამახასიათებელია ნებისმიერი ადამიანური კოლექტიური საქმიანობისთვის, აქ შეიძლება გამოვყოთ ორი ქვესისტემა: 1) თვითრეგულირებადი სისტემა; 2) შეგნებული, მიზანმიმართული რეგულირების სისტემა. პირველი ეფუძნება ორგანიზაციის მუშაკების ინიციატივას, მეორე კი ხელმძღვანელობის სურვილს.

რეგულირების ეკონომიკური მეთოდები – ამ მეთოდებს მიეკუთვნება ღონისძიებები, რომელთა გამოყენება უმთავრესად არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს და ვარაუდობს პირდაპირი აკრძალვების და ლიმიტების დადგენას.

რეევაკუაცია – საწყისი ადგილებიდან ევაკუირებული საწარმოების ძველ ადგილებში დაბრუნება.

რეესტრი – (register) [ლათ. Regictrin] - იხ. კადასტრი.

რეესტრი – დოკუმენტების გასატარებელი სარეგისტრაციო წიგნი;

რეექსპორტი – (reexport) [ლათ. Reexsportore] ადრე იმპორტირებული საქონლის გატანა (გადამუშავების გარეშე) მესამე ქვეყნებში.

რეექსპორტი – საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის გადაუმუშავებლად გაყიდვა ან მესამე ქვეყანაში გატანა.

რეექსპორტი ქვეყანაში – ადრე შემოტანილი საქონლის გატანა საზღვარგარეთ რაიმე გადამუშავების გარეშე.

რეექსპორტის ოპერაცია – ამ დროს წარმოებს ადრე იმპორტირებული, მაგრამ გადამუშავებას დაუქვემდებარებელი (ე.ი. პირვანდელი სახის) საქონლის საზღვარგარეთ გაყიდვა და გატანა, ხოლო **რეიმპორტის ოპერაციის** დროს – ადრე ექსპორტირებული, მაგრამ გადამუშავებას დაუქვემდებარებელი საქონლის შესყიდვა და შემოტანა.

რევალვაცია – (REVALVATION) [ფრანგ. Evalastion შეფასება] სხვაგვარად ვალორიზაცია, რევალორიზაცია – ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის ან მისი კურსის ოფიციალური გაზრდა სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით. ვინაიდან თანამედროვე პირობებში ფულს აღარ აქვს ოქროსშემცველობა, ამჟამად რევალვაცია გულისხმობს

მხოლოდ ფულის კურსის ოფიციალურ გაზრდას სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით. საქმე ის არის რომ, იამაიკის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების (1976) შემდეგ **სსფ** -ის გადაწყვეტილებით, 1978 წელს გაუქმდა ოქროს პარიტეტი (თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყნის ვალუტებს შორის ოქროს წონითი რაოდენობის, ოქროს შემცველობის მიხედვით). ოქრო რომელიც სავალუტო სისტემაში XX საუკუნის 70-იან წლებამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, გამოიდევნა საერთაშორისო ანგარიშ-სწორების სფეროდან. მიიღეს გადაწყვეტილება მისი საბოლოო დემონეტარიზაციის შესახებ. მთავარი ვალუტის სტატუსი აშშ დოლარს მიენიჭა.

რევალვაცია გულისხმობს ფულის მსყიდველობითი უნარის ამაღლებას გარკვეულ დონემდე. ეს დონე შეიძ-ლება იყოს ისეთივე, როგორიც ინფლაციის დასაწყისში; შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე იმ მომენტში, როდესაც ინფლაციამ მაქსიმუმს მიაღწია. ამრიგად, რევალვაცია ქაღალდის ფულის ინფლაციამდელი ღირებულების თანდათანობითი აღდგენის პროცესია, რაც ფაქტობრივად ვალუტის კურსის ამაღლებას ნიშნავს. მაგალითად, 1961 წელს მოხდა დასავლეთ გერმანული მარკის რევალვაცია. მისი ოქროს შემცველობა გაიზარდა 0,211588-დან 0,2222168 გრამ წმინდა ოქრომდე, რის შედეგადაც აშშ-ის დოლარის მიმართ ამ ფულის კურსი, ნაცვლად 4,2 მარკისა გახდა 4 მარკა.

რევალვაცია ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთი საშუალებაა, თუმცა საერთაშორისო სავალუტო პრაქტი-კაში იგი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ეს იმით აიხსნება, რომ ქვეყანა, რომელიც ვალუტის რევალვაციას ახორციელებს, სხვა ქვეყნებთან შედარებით არახელსაყ-რელ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს საგარეო ვაჭ-რობის, უცხოური კაპიტალის მიზიდვისა და საერთაშო-რისო ტურიზმის სფეროში. ეს გამოიხატება შემდეგში: 1. რევალვაცია მოცემული ქვეყნის ვალუტის კურსის აწევით

სხვა სახელმწიფოების ვალუტებთან შედარებით იწვევს უცხოურ ვალუტაში საექსპორტო საქონლის ფასების ზრდას, რითაც ამცირებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ბაზარზე, აფერხებს საქონლის ექსპორტს. რაც შეეხება საქონლის იმპორტს რევალვაცია პირიქით, ამცირებს მასზე საკუთრ ვალუტაში გამოხატულ ფასებს, რითაც ზრდის მოთხოვნას იმპორტირებულ საქონელზე და საერთოდ იმპორტს; 2. მოცემული ქვეყნის რევალვირებულ ვალუტასა და სხვა ქვეყნების ვალუტებს შორის წარმოქმნილი ახალი სავალუტო პარიტეტი არახელსაყრელს ხდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას ამ ქვეყნებში, ვინაიდან ვალუტების გაცვლისას მათი მფლობელები ადგილობრივი ვალუტით ნაკლებ თანხას იღებს. მეორე მხრივ, ქვეყნებისათვის რომლებმაც თავიანთი ვალუტის რევალვაცია მოახდინეს, კაპიტალის ექსპორტი უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან იქმნება უცხოური ვალუტის შედარებით იაფად ყიდვის შესაძლებლობა. 3. რევალვაცია ამცირებს ქვეყნის შემოსავალს საერთაშორისო ტურიზმის სფეროში, ვინაიდან უცხოელ ტურისტებს ამ ქვეყანაში მოგზაურობა ძვირი უჯდებათ, და პირიქით, სტიმულს აძლევს ადგილობრიც ტურისტებს საზღვარგარეთ მოგზაურობისათვის, რადგან მათთვის უცხოური ვალუტა იაფი ხდება.

რევალვაცია ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა, უცხოური ვალუტის მოძრაობის შეზღუდვით იგი გარკვეულწილად ხელს უწყობს მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდის შეჩერებას და ამის საფუძველზე ფასების მატების შენელებას. ფასების ზრდას აფერხებს აგრეთვე რევალვაციის შედეგად იმპორტზე გაწეული ხარჯების შემცირება. საპირისპიროა – დევალვაცია.

რევალვაცია – (ინგ.revalvation) ეროვნული ვალუტის ოქროს მოცულობის ოფიციალური მომატება, ანუ მისი სავალუტო კურსის ფაქტობრივი ამაღლება.

რევალვაცია – ცნობილია, როგორც ფულის მსყიდველობითი უნარის სტაბილიზაციის ერთ-ერთი გზაა. იგი გულისხმობს ეროვნულ ფულად ერთეულში ოქროსშემცველობის ან მისი კურსის ოფიციალურ გაზრდას სხვა ქვეყნების ვალუტასთან შედარებით. თანამედროვე პირობებში ფულს აღარ აქვს ოქროს შემცვლელობა, ამჟამად რევალვაცია გულისხმობს მხოლოდ ფულის კურსის ოფიციალურ გაზრდას სხვა ქვეყნების ვალუტასთან შედარებით.

რევერსი – (reversion) ქონების დაბრუნება თავდაპირველი მფლობელისათვის.

რევერსი – უკანა, შებრუნებული. მაგალითად, სავაჭრო სამართალში რევერსი ნიშნავს ყოველგვარ ვალდებულებას, რომელსაც თან ახლავს ფასეულობის დროებითი გასხვისება (როგორც ბე), ან კიდევ ხელწერილი იმის თაობაზე, რომ გირაოდ გაცემული თამასუქი თავის დროზე იქნება გამოსყიდული და სხვა.

რევიზია – (revision, audit) რწმუნებული სახელმწიფო ორგანოს მიერ საწარმოს, დაწესებულების ან თანამდებობის პირების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმება მუშაობაში ნაკლოვანებების გამოვლენისა და დაძლევის მიზნით, აგრეთვე მათი მოქმედების კანონზომიერებისათვის.

რევიზია – (reviso - გადახედვა) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან თანამდებობრივი პირის სამეურნეო ფინანსური საქმიანობის გამოკვლევა მათი მოქმედების სისწორისა და კანონიერების შემოწმების მიზნით.

რევოკაცია – ჩეკის გამცემის წინადადება ჩეკის გაუქმების შესახებ.

რევოლვერული აკრედიტივი – განახლებადი აკრედიტივებია. რომლებშიც აკრედიტივის თანხა (კვოტები) სავალუტო სახსრების გადახდის შემდეგ ავტომატურად აღდგება დადგენილი ლიმიტის ზღვრებსა და აკრედიტივის მოქმედების ვადაში. რევოლვერული აკრედიტივებში მითითებული უნდა იყოს კვოტის გამოყენების ვადა. განახლებადი აკრედიტივები გამოიყენება მუდმივ, ჯერად მიწოდებებ-

ში, რომლებიც ჩვეულებრივ ხორციელდება კონტრაქტში დაფიქსირებული გრაფიკის შესაბამისად.

რეზერვები – ეს ის სახსრებია, რომელსაც ბანკი იტოვებს ისეთი გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, როგორიცაა სასამართლო წესით ამოღებული სახსრების გადახდა; აგრეთვე, ჯერ კიდევ გამოუცხადებელი დივიდენდების გასასტუმრებლად გამოყენებული რეზერვები, მიმოქცევიდან აქციების ამოსაღებად (მომავალში) ან ვალდებულებათა დასაფარავად გამოყენებული სახსრები.

რეზერვები ანუ ფარული შესაძლებლობები – შეიძლება იყოს შიდა ან გარე ხასიათის, შიდა რეზერვები დამოკიდებულია თვით საწარმოს მუშაობისა და მართვის ხარისხზე. გარეშე რეზერვები კი დამოკიდებული არ არის საწარმოს მუშაობაზე, ისინი შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე არსებული პირობების, სახელმწიფო პოლიტიკის, საგადასახადო პოლიტიკის, საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით და სხვა მსგავსი მოქმედებების შედეგად.

რეზიდენტი –საქართველოს რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში (სსკ - მუხლი 34).

რეიგანომიკა – (reaganomics) ნეოკლასიკური თეორიების, პირველ ყოვლისა, მიწოდების თეორიის და მონეტარიზმის ძირითადი დებულებების ასახვა აშშ-ის პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის (1981-1988) ეკონომიკურ პოლიტიკაში. რეიგანომიკა მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ძირითად მიმართულებებს: 1. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზრდის შეჩერებას სახელმწიფო ხარჯების შემცირების საფუძველზე; 2. კერძო მეწარმეობის

სახელმწიფო რეგულირების მასშტაბის მნიშვნელოვან შემცირებას; 3. ადმინისტრაციის მიერ სარეზერვო სისტემის წახალისებას ფულადი მასის ზრდის ტემპის იმ დონეზე შესანარჩუნებლად, რომელიც საკმარისი იქნებოდა ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის; 4. პირადი საშემოსავლო გადასახადებისა და კორპორაციების მოგებაზე გადასახადის მკვეთრ შემცირებას.

რეიდი – პორტის აკვატორიის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია გემების ღუზით დგომისა და ტვირთის გადატვირთვისათვის.

რეიდი – საზღვაო ნავსადგურის მისადგომთან წყლის სივრცე, რომელიც მოხერხებულია გემების ღუზაზე დგომისათვის.

რეიმპორტი – ქვეყანაში უკან საზღვარგარეთ ადრე გატანილი საქონლის შემოტანა რაიმე გადამუშავების გარეშე (რომელიც არ გაიყიდა ან დაწუნებულ იქნა).

რეინვესტირებული კაპიტალი – არის კომპანიის ფუნქციონირების ფინანსური შედეგი, ანუ დაბანდებული კაპიტალის გამომუშავებული სარგებლის კვლავ ავანსირება ბიზნესში. რეინვესტირებულ კაპიტალს მიეკუთვნება გაუნაწილებელი მოგება, მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვები და გადაფასების რეზერვები.

რეინვესტიცია – წარმოების გაფართოების მიზნით ამ სახსრების დაბანდება, რომლებიც მიღებულია შემოსავლების (მოგების, დივიდენდის პროცენტის გზით.

რეინვესტიციები – განმეორებითი, საშუალებების დამატებითი საშუალებები, რომლებიც მიღებულია საინვესტიციო ოპერაციებიდან შემოსავლების ფორმით, რეინვესტიციური საქმიანობის მიმართულება – მწარმოებლური, ფულადი და ფიქტიური კაპიტალის ბრუნვა. ძირითადი მიზანი, სამეწარმეო შემოსავლის, პროცენტის ან დივიდენდის მიღება ერთ ობიექტში დაბანდებული კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე.

რეისი – გზა რომელსაც გადის ავტობუსი საწყისი პუნქტიდან ბოლო პუნქტამდე.

რეისი – ნებისმიერი სახეობის ტრანსპორტის მიერ შესრულებული სვლა განრიგით, ისე უგანრიგოდ, რომელიც სრულდება ერთი მიმართულებით – გამგზავრების აეროპორტიდან დანიშნულების სადგურამდე.

რეისი დამატებითი – რეისი, რომელიც სრულდება განრიგით დადგენილ რეისზე დამატებით და იმავე მარშრუტით, რომელიც სრულდება რეგულარული რეისები.

რეისი რეგულარული – დადგენილი განრიგის შესაბამისად შესრულებული რეისი.

რეისის სახეობა – საჰაერო რეისი შეიძლება იყოს სამგზავრო, სატვირთო ან/და შერეული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა.

რეიტინგი – (renting) მანქანებისა და მოწყობილობების მოკლევადიანი არენდა, არენდატორის მიერ ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც განიცადა თავდასხმა.

რეკამბრიო – (Renewed bill) [იტალ. Recombio შებრუნებითი თამასუქი] სხვაგვარად რეტრატა – 1. თამასუქის მოთხოვნა ვალდებული პირის მიმართ, რომელსაც წარადგენს გაპროტესტებული თამასუქის გამნაღდებელი გადახდილი თანხის, პროცენტის, საურავის (ჯარიმის) და გაპროტესტებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით; 2. ბანკის ანგარიში ინკასოდ მიღებული თამასუქის გაპროტესტებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

რეკეტი – (racketeering) მეწარმეებისაგან ფულის უკანონო გამოძალვა შანტაჟის გზით.

რეკვიზიტი – გარიგების გაფორმების დროს ყველა ფორმალური ელემენტის ერთობლიობა, ან კიდევ, დოკუმენტი, რომელიც მთელ დოკუმენტაციას აკლია და ამის გარიგებას იურიდიული საფუძველი არა აქვს.

რეკვიზიტი – (requisite) [ლათ.reguistum საჭირო, აუცილებელი] დოკუმენტებისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო მონაცემები. თუ რეკვიზიტს თუნდაც ერთი მონაცემი

აკლია, მის მფლობელს უფლება არა აქვს, დანიშნულებისამებრ გამოიყენოს იგი.

რეკლამა – (advertaising) ინფორმაციის წყარო პოტენციური მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების ფასებსა და თვისებების შესახებ, იგი ზრდის საბაზრო ინფორმაციის ნაკადებს და ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას. რეკლამა ფირმის საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მიმართულია პროდუქციის გაყიდვის მოცულობის გადიდებისაკენ. მისი ძირითადი მიზანია მომხმარებელთა რაოდენობის გადიდება და ამით კონკურენტებთან უპირატესობის მოპოვება (რომლებიც უპირატესობას მიანიჭებენ ამ ფირმის პროდუქციას მის კონკურენტებთან შედარებით). თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში რეკლამას განიხილავენ როგორც კაპიტალდაბანდებას. რეკლამის აქტივები შედის ფირმის არანივთობრივი აქტივების ღირებულებაში.

რეკლამა – ინფორმაციის გავრცელების პროცესი, რომლის მიზანია საქონლის, მომსახურების წინწაწევა. რეკლამის არსია მწარმოებელთა კომერციული ინტერესის მიღწევა რეკლამის ფორმაა კომუნიკაციური კავშრები ბაზართან.

რეკლამა – მწარმოებლის (ავიაკომპანიის) ან გამყიდველის (რეალიზატორი აგენტის) მიერ ცნობების გავრცელება ავიამომსახურების შესახებ. რეკლამა მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია. სარეკლამო ბიუჯეტის სიდიდე განისაზღვრება გაანგარიშებების ოთხი პრინციპიდან ერთ-ერთით: არსებული საშუალებებიდან, პროცენტულად გაყიდვის მოცულობიდან, კონკურენტების დანახარჯების დონიდან, დასახული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.

რეკლამაცია – (ფრ. Reclamation) მიწოდებული პროდუქციის ან გაყიდული საქონლის ხარისხის მიმართ წაყენებული პრეტენზია, რომელიც შეიცავს მოთხოვნას ზარალის ანაზღაურებაზე, ფასის შემცირებაზე, დარღვევის აღმოფხვრაზე.

რეკლამაცია – ეწოდება მყიდველის მიერ გამყიდველისადმი წაყენებულ პრეტენზიებს, რომლებიც კონტრაქტის პირობებთან რაოდენობითა და ხარისხით შეუსაბამო საქონლის მიწოდებითაა განპირობებული.

რეკლამის კომერციული ეფექტი – ამ ეფექტის გამოკვლევა მნიშვნელოვნად უფრო ძნელია, ვიდრე მისი კომუნიკაციური ეფექტისა. გასაღების დონეზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი: საქონლის მახასიათებლები, მისი ფასი და გასაყიდად არსებობა, აგრეთვე კონკურენტების მოქმედებები. რაც უფრო ნაკლების ეს ფაქტორები და მარტივია მათი კონტროლი, მით უფრო იოლია შეფასდეს რეკლამის გავლენა გასაღებაზე.

რეკომენდაციული უფლებამოსილება – ადმინისტრაციული უფლებამოსილების ტიპი, რომელიც გულისხმობს, რომ სახაზო ხელმძღვანელები მიმართავენ ზედგომ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების და რეკომენსაციების მისაღებად , თუმცა ვალდებული არ არიან შეასრულონ ისინი.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი – (ინგლ. European Bank for Reconstruction and Development) – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, საინვესტიციო მექანიზმი, რომელიც შეიქმნა 1991 წელს, 61 ქვეყნისა და ორი საერთაშორისო ორგანიზაციის (ევროკავშირი და ევროპის საინვესტიციო ბანკი) მიერ, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის მხარდასაჭერად ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის 34 ქვეყანაში.

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია ამ რეგიონში, რომელიც საკუთარი ფინანსების გარდა მობილიზებას უკეთებს უცხოურ ინვესტიციებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის. ბანკის მესაკუთრეა სამოცი ქვეყანა და ორი არასამთავრობო ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწილეები ძირითადად საჯარო სექტორს წარმოადგენენ, ინვესტიციები უმთავრესად კერძო სექტორში ხორციელდება. ინვესტიციების

საშუალებით რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი ხელს უწყობს სტრუქტურულ და სექტორულ რეფორმებს, კონკურენციის განვითარებასა და პრივატიზაციას, ძლიერი ფინანსური ინსტიტუციებისა და სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბებას, ინფრასტრუქტურების განვითარებას და სხვა რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მანდატის თანახმად, ბანკი ითანამშრომლებს მხოლოდ იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნებიან.

ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, მაშინ როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიცვალა სოციალისტური პოლიტიკური კურსი. აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამო საჭიროებდნენ მხარდაჭერას. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიზანია ფინანსურად დაეხმაროს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე დსთ-ის ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი უმსხვილესი დამოუკიდებელი ინვესტორია, რომელიც, საკუთარი თანხების გამოყოფის გარდა, იზიდავს მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ბანკი აფინანსებს როგორც ახალწამოწყებული საქმიანობის, ასევე არსებული ბიზნესის პროექტებს, თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორთან და აქვს დაფინანსების ფართო სპექტრი (სესხების გაცემა, კაპიტალის შექმნაში მონაწილეობა, ბანკებისათვის საკრედიტო ხაზების გახსნა და სხვ.).

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი – (ინგლ. European Bank for Reconstruction and Development) საერთაშორისო ფინანსურ-საკრედიტო ინსტიტუტი, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია. დაარსდა 1945 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად და გაეროს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის გადაწყვეტილებით (რომელიც ჩატარდა 1944 წლის ივლისში). არაოფიციალურად

მსოფლიო ბანკად წოდებულ ორგანიზაციას 1947 წელს მიენიჭა გაეროს სპეციალური ორგანოს სტატუსი.

თავდაპირველად ბანკი დაკავებული იყო კაპიტალური რესურსების თავმოყრით და განაწილებით ომისშემდგომი ევროპის აღსადგენად. აღდგენის ევროპული პროგრამის მთავარი ამოცანა იყო განვითარების მონაწილე ქვეყნებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემა 5 წლის ვადით და 15 წლის ან მეტი ხნით დაფარვის პირობით. თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა „მესამე სამყაროს“ ქვეყნების განვითარების დაკრედიტება.

ბანკის საქმიანობა ფინანსდება მონაწილე ქვეყნების შენატანების ხარჯზე (ამ ქვეყნების რაოდენობა 1990 წელს 153 იყო, ამჟამად 185 -ით) ბანკი აგრეთვე ახორციელებს და კოორდინაციას უწევს ტექნიკური დახმარების მრავალი სახის პროგრამას. ამასთან, იგი თანამშრომლობს განვითარების პრობლემებით დაკავებული სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან, ხელმძღვანელობს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტებს, მონაწილე ქვეყნების, იმ სამთავრებო ჩინოვნიკების მომზადების სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ განვითარების პროგრამების შეფასებასა და შესწორებაში. სესხის გაცემასა და ტექნიკურ დახმარებაში ბანკის საქმიანობას ავსებს კიდევ სამი ორგანიზაციის მონაწილეობა, ესენია: საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, მრავალმხრივი ინვესტირების გარანტიის სააგენტო, რომლებიც შესაბამისად შეიქმნენ 1956, 1960 და 1988 წლებში.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი - საერთაშორისო სავალუტო საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც თავის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დახმარება გაუწიოს განვითარებად სახელმწიფოებსა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, მათი

გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მიზნით. ან ხშირად მსოფლიო ბანკს უწოდებენ.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ) გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება, საერთაშორისო ინსტიტუტი, შექმნილია ერთდროულად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად, აქვს აქციონერული საზოგადოების ფორმა, რომლის მონაწილეებად შეიძლება იყოს მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნები. უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო. ყოველ ქვეყანას აქვს 250 ხმა პლუს 1 ხმა აქციაზე (100 ათას დოლარი). მისი მიზანია ხელი შეუწყოს მონაწილე ქვეყნების და პირველ რიგში, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებას, კერძო კაპიტალის ექსპორტის კაპიტალდაბანდებების გზით ან მასში მონაწილეობით. კრედიტების ვადა 5-დან 25 წლამდე, პროცენტული განაკვეთი დგინდება საბაზრო განაკვეთების ბაზაზე, რომლის მიხედვითაც რგსბ იზიდავს საშუალებებს პლიუს დაახლოებით 1% საკომისიო.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი – რომელსაც არაოფიციალურად მსოფლიო ბანკს უწოდებენ, გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება და საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტია. მისი შტაბ-ბინა ვაშინგტონშია. მსოფლიო ბანკი შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად 1944 წელს ბრეტონ-ვუდსში (აშშ) ოპერაციებს აწარმოებს 1946 წლის ივლისიდან.

რეკრედიტივი – წერილი აკრედიტივის გაუქმების თაობაზე.

რელდოვერული კრედიტი – საშუალო ან გრძელვადიანი კრედიტი, რომელიც მცოცავი განაკვეთით გაიცემა და დროის ყოველ ტოლ მონაკვეთში (3-6 თვე) ფიქსირდება. განსაზღვრული საბაზრო განაკვეთის ზევით მარჟა უცვლელი რჩება კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში. ფაქტობრივად განახლებული კრედიტია, რომელიც გაიცემა დავალიანებისა და მისი დაფარვის ვადების

ლიმიტის ფარგლებში ავტომატურად, ე.ი. საკრედიტო მხარეების დამატებითი შეთანხმების გარეშე.

რელიატიური – შეფარდებითი.

რელოველური კრედიტი – ითვალისწინებს პროცენტის განაკვეთის პერიოდულ გადასინჯვას. სახელშეკრულებო ვადა იყოფა მოკლე პერიოდებად (3-6 თვედ), ხოლო მტკიცე პროცენტული განაკვეთი დგინდება მხოლოდ პირველ ეტაპზე. ყოველ მიმდინარე ეტაპზე ხდება მისი კორექტირება ფასების, პროცენტული განაკვეთისა და ვალუტის კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით. რელოვერული კრედიტი თავიდან აცილებს საბაზრო რისკს როგორც კრედიტორს, ისე მსესხებელს.

რემარკა – (remark) [ფრანგ. remargue] შენიშვნა, მინაწერი ან აღნიშვნა სავაჭრო წიგნში, განგაში და სხვ.

რემისია – (remission) [ლათ. შემცირება] კომერციული ფასჩამოცილება ანგარიშის მიხედვით გადასახდელი თანხის დამრგვალების მიზნით.

რემიტენტი – (remitter) [ლათ. Remittens (remittenties) გამგზავნი] ფულის მიმღები გადასაპირებელი თამასუქით, ე.ი. პირი რომელსაც უხდიან თამასუქში აღნიშნულ თანხას. რემიტენტი შეიძლება იყოს როგორც მესამე პირი, ისე ტრასანტი.

რემიტენტი – ეწოდება თამასუქით თანხის მიმღებ პირს.

რემიტენტი – თამასუქის პატრონი

რემონტი – (ტექნიკური მომსახურება და რემონტი) ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა, შეკეთება და სხვა სამუშაოების ჩატარება, მის საექსპლუატაციო გამართულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

რენოვაცია – (renovation, renewal) - ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად წარმოებიდან გამოსული მანქანა-მოწყობილობების, ინსტრუმენტების საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე შეცვლის პროცესი.

რენოვაცია – ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი შრომის საშუალებების განახლების პროცესი, მათი ლიკვიდაციის და ტექნიკურად უფრო სრულყოფილი შეცვლის გზით.

რენტა – კაპიტალიდან ქონებიდან, მიწიდან ყოველგვარი რეგულარული შემოსავალი, რომელიც არ გულისხმობს ამ შემოსავლისათვის სამეწარმეო საქმიანობას.

რენტა – (rent) [ლათ. Reddita დაბრუნებული] დანახარჯების ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. გაიანგარიშება მოგების შეფარდებით წარმოებრივ ძირითად კაპიტალისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ჯამთან.

რენტაბელობა – საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებელი. იგი განისაზღვრება მოგების შეფარდებით პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებთან მიღებული მაჩვენებელი გამოხატავს მიმდინარე დანახარჯების გამოყენების ეფექტურობას. რენტაბელობა პროცენტული მაჩვენებელია.

რენტაბელობის ნორმა – (operatingratio, profitability) დანახარჯების ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. გაიანგარიშება მოგების შეფარდებით ძირითადი კაპიტალისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ჯამთან.

რენტაორიენტირებული ქცევა – სიტუაცია, როცა ეროვნული ბიზნესის შემოსავალი ბევრად არის დამოკიდებული სამეწარმეო უნარზე, სახელმწიფო აპარატისადმი სიახლოვეზე, რის შედეგად მეწარმე ცდილობს მიიღოს რენტა პირადი კავშირურთიერთობის გზით და არა ჩვეულებრივი, კლასიკური სამეწარმეო მოგებისაგან.

რენჯი – განსაზღვრული პორტებს შორის სანაპირო ხაზის მონაკვეთი, რომელზეც განლაგებულია რამდენიმე სხვა პორტი. მაგალითად „ანტვერპენი-ჰამბურგი რენჯი“ ნიშნავს, რომ დამფრახტველს უფლება აქვს მიმართოს გემი ნებისმიერ უსაფრთხო გემისაკენ ანტვერპენსა და ჰამბურგს შორის ორივე დასახელებული პორტის ჩათვლით.

რეორგანიზაციული კერძო საწარმო – არის ისეთი საწარმო, რომელიც ყოფილი სახელმწიფო საწარმოს აქციონირების გზით არის შექმნილი. ჩვეულებრივად ახლად შექმნილი

საწარმოს აქციებზე ხელმოწერა შრომითი კოლექტივის წევრებს შორის ვრცელდება.

რეპარაცია – ზარალის ანაზღაურება.

რეპო – 1. შეთანხმება, ადრე გაყიდული საქონლის უკან შესყიდვის თაობაზე. 2. ოპერაცია ფინანსურ ბაზარზე, რომელიც ითვალისწინებს მონაწილეების შეთანხმებას ფასიანი ქაღალდების უკან გამოსყიდვის შესახებ; გარიგება გულისხმობს, რომ ერთი მხარე მიჰყიდის მეორე მხარეს გარკვეული ღირებულებების ფასიანი ქაღალდების პაკეტს ვალდებულებებით, რომ უკან გამოისყიდის მას წინასწარ დათქმული ფასით.

რეპო-ოპერაციებზე მოზიდული სახსრები – ეს სახსრები ლიკვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობას უქმნის ბანკებს ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული რესურსების ხარჯზე. ბანკების საქმიანობაში რეპო-ოპერაციების გამოყენება დადებითად მოქმედებს ბანკის ლიკვიდობაზე, რადგანაც ლიკვიდური აქტივების უკმარისობის შემთხვევაში ისინი დამატებითი სახსრების მოზიდვის საშუალებას აძლევს მას. ამის შემდეგ ბანკს უფრო თავისდროულად შეუძლია არსებული საშუალებების დაკარგვა.

რეპორტი – (contango, overspot) სპეკულაციური საბირჟო გარიგება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების კურსის ამაღლებას საკურსო სხვაობის მიღების მიზნით.

რეპორტი – ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვა იმ პირობით, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოხდება მათი უკუგამოსყიდვა ახალი, უფრო მაღალი კურსით.

რეპორტი – სპეკულიანტის მიერ საბირჟო გარიგების ჩაშლა (გადავადება) საბუღალტრო დოკუმენტებში ჯამის, თანხის მეორე გვერდზე გადატანა.

რეპრეზენტაციული გამოკითხვა – აიღება ჯგუფური შერჩევით, იგი წარმოადგენს მომხმარებლების, საწარმოების, ტელეფონების მფლობელების და სხვათა ერთობლიობას, რომელთაც მიეცემათ კითხვები დასაგეგმავი ქცევის შესახებ.

რეპრივატიზაცია – (reprivatization) [ლათ. Privatus კერძო) ადრე კერძო საკუთრებაში არსებული შემდგომ ნაციონალიზებული ქონების (საწარმოების, ბანკების, მიწის ნაკვეთების და ა.შ.) კვლავ კერძო საკუთრებაში დაბრუნება.

რესტიტუცია – ტოტალური რეჟიმების მიერ ჩამორთმეული საკუთრების წინანდელი მფლობელებისათვის დაბრუნება (ფულადი კომპენსაციის ფორმით ან ფასიანი ქაღალდების, ანდა ნატურის სახით).

რესტრიქცია – (restriction) [ლათ. Restriction შეზღუდვა] 1. მონოპოლიების მიერ საქონლის წარმოების, გაყიდვისა და ექსპორტის შეზღუდვა ფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით; 2. ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტების შეზღუდვა, რაც იწვევს სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების კრედიტების საერთო შემცირებას, წარმოების შეკვეცას ან მისი ზრდის ტემპების დაცემას.

რესტრიქციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – მიმართულია კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შეზღუდვისა და საპროცენტო განაკვეთების დონის ამაღლების გზით ფულად საკრედიტო სისტემის მარეგლამენტირებელ ღონისძიებათა რეალიზაციაზე. მის გატარებას თან ახლავს გადასახადების გადიდება, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ასევე ინფლაციის შენარჩუნებისკენ მიმართული სხვა ღონისძიებანი, მთელ რიგ შემთხვევაში კი საგადასახადო ბალანსის გაჯანსაღება.

რესტრიქციული ფულად-საკრედიტო სტრატეგია – ფულის ბაზარზე ხანგრძლივ პერსპექტივაში შესაძლო ცვლილებების დაგეგმვა, რაც შესაძლებელს ხდის კონიუნქტურის მოსალოდნელი ცვლილებების განჭვრეტას და მათ გათვალისწინებას.

რესტრუქტურიზაცია – დაწესებულებების ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და კონტროლირებადი პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის საქმიანობის სფეროს ან საქმიანობის წარმართვის ხერხებს.

რესტრუქტურიზაცია – ტერმინი ლათინური წარმოშობისაა და რაიმე ობიექტის ან სისტემის სტრუქტურის, ე.ი. მისი ფორმისა და აგებულების („მორფოლოგის“) შეცვლა-გაუმჯობესებას ნიშნავს.

რესტრუქტურიზაციის ჩატარებაზე ხარჯების სამართლიანი განაწილების პრინციპი – გულისხმობს, რომ ბანკების გაჯანსაღების დასაბუთებულ ნაწილს ის უნდა ანაზღაურებდეს, ვინც შეგნებულად ღებულობს ამ ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს, ვინც მათ ზარალზეა პასუხისმგებელი და ვინც მოგებას ნახულობს რესტრუქტურიზაციის შედეგად.

რესტრუქცია – ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტების შეზღუდვა, რაც იწვევს სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების კრედიტების საერთო შემცირებას, წარმოების შეკვეცას ან მისი ზრდის ტემპების დაცემას.

რესტრუქციული ფულად – საკრედიტო სტრატეგია - ფულის ბაზარზე ხანგრძლივ პერსპექტივაში შესაძლო ცვლილებების დაგეგმვა, რაც შესაძლებელს ხდის კონიუნქტურის მოსალოდნელი ცვლილებების განჭვრეტას და მათ გათვალისწინებას.

რესტრუქციული ფულად საკრედიტო პოლიტიკა – მიმართულია კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შეზღუდვასა და საპროცენტო განაკვეთების დონის ამაღლების გზით ფულად საკრედიტო სისტემის მარეგლამენტირებელ ღონისძიებათა რეალიზაციაზე. მის გატარებას, ჩვეულებისამებრ თან ახლავს გადასახადების გადიდება, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ასევე ინფორმაციის შეჩერებისკენ მიმართული სხვა ღონისძიებანი, მთელ რიგ შემთხვევაში კი – საგადასახადო ბალანსის გაჯანსაღება. რესტრუქციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ინფლაციასთან ბრძოლის, ასევე საქმიანი აქტივების ციკლური ცვალებადობის შენელების მიზნით. რამდენა-

დაც კომერციული ბანკების მიერ სავალდებულო რეზერვების ფონდში სახსრების შეტანა ხორციელდება არა ყოველდღიურად, არამედ პერიოდულად, უნდა ვისწრაფოდეთ ანგარიშზე მიღებული მოზიდული სახსრების მაქსიმალური სიდიდისკენ სავალდებულო რეზერვების ნორმების გათვალისწინებით.

რესურსების მოზიდვის ვადებისა და განთავსების ვადების თანაფარდობა – ოპტიმალურად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი თანაფარდობა, რომელიც მოასწავებს ბანკის საქმიანობის ყოველ მოცემულ საგეგმო პერიოდში დინამიკური წონასწორობის შენარჩუნებას ორ სიდიდეს შორის: ერთი, ბანკის მიერ გასასტუმრებელი თანხები (კლიენტებისგან და სხვა პირებისგან ნასესხები ფულის დაბრუნება) და, მეორე ფულის ის თანხა, რომელიც აქტივებში შეიძლება მოათავსოს ბანკმა, იმ ფულის ჩათვლით, რომლებიც უკვე განთავსებულია, მაგრამ უნდა გამოთავისუფლდეს.

რესურსების პოლიტიკა – (ზედამხედველობის მოთხოვნების გათვალისწინება, რეზერვების დამოუკიდებელი პოლიტიკა – აუცილებლობა ან სიფრთხილე).

რესურსების წრებრუნვის მოდელი – (the circular-flow madel) ეკონომიკის ვიზუალური მოდელი, მაკროეკონომიკური წრებრუნვის მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ მოძრაობს რესურსების ნაკადი შინამეურნეობებსა და ფირმებს შორის სხვადასხვა ბაზრის (რესურსების, საქონლის, მომსახურების) გავლით. სხვაგვარად მას საქმიანი აქტიურობის ჩაკეტილი წრიული ნაკადის მოდელს უწოდებენ.

რესურსი – ტექნიკური მოწყობილობებისა და აპარატების (თვითმფრინავების, პლანერების, ძრავების მანქანების, სისტემის) მუშაობის უნარი იმ ზღვრულ მდგომარეობამდე, რომლის დროს მათი შემდგომი ექსპლუატაცია შეუძლებელი ან არასასურველია ეფექტიანობის შემცირების, გაზრდილი საფრთხის გამო. რესურსი შეიძლება გამოისახოს წლებით, საათებით კილომეტრებით და სხვა. რესურსი სხვადასხვა სახისაა: **სრული** – ტექნიკის მუშაობის

უნარი განისაზღვრება სამსახურის მთელი ვადის განმავლობაში ექსპლუატაციის ბოლომდე; **რემონტამდელი** - ექსპლუატაციის დაწყებიდან აღდგენილ ტექნიკის რემონტამდე; **გამოყენებული** – ნებისმიერი ტექნიკის ექსპლუატაციის დასაწყისიდან ან აღდგენილი ტექნიკის წინა კაპიტალური რემონტიდან დროის განსაზღვრულ მომენტამდე; **ნარჩენი** – დროის განსახილველი მომენტიდან არა აღდგენილი ტექნიკის მტყუნებამდე ან აღდგენილი ტექნიკის კაპიტალურ რემონტამდე; **რემონტშორისი** – აღდგენადი ტექნიკის რემონტებს შორის.

რესურსი – წარმოების პოტენციალის შენახვის საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალში. საწარმოს ჯამური რესურსები წარმოადგენს განსაზღვრული შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის პოტენციალს; მაგალითად მზა პროდუქციის მარაგი წარმოადგენს შემოსული შეკვეთების შესრულების პოტენციალს.

რეტრატა – (renewed bill) [იტალ. ritratta] იგივეა რაც რეკამბიო.

რეფაქცია – (discount) [ფრანგ. Referendum] ფასის ან წონის დაკლება საქონელზე, რომლის ხარისხიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე დაბალია (იხ. ბონიფიკაცია).

რეფერენდუმი – (referebdum) [ლათ. Referendum ის რაც უნდა შეატყობინონ] საერთო სახალხო კენჭისყრით სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ საკითხზე.

რეფერენტული ჯგუფები – შედგება იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ახდენენ პირდაპირ (პირადი კონტაქტისას) ან ირიბ გავლენას ინდივიდის ურთიერთობაზე რაიმეს მიმართ და მის ქცევაზე.

რეფერენცია – (reference) [ლათ. Referre ვიცნობ] დახასიათება, რომელსაც საქმიან წრეებში ნდობით აღჭურვილი ორგანიზაცია, ბანკი, აქციონერული საზოგადოება და ა.შ. აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. მასში აღნიშნულის იმ პირის თვისებები და კრედიტუნარიანობა, ვისაც დახასიათება ეძლევა.

რეფერენციული ჯგუფი – არის იურიდიული ან ფიზიკური პირების ჯგუფი, რომელთა ქცევამ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში შეუძლიათ სხვა მყიდველების მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მასშტაბები განჭვრიტონ. მარკეტინგულ სტრატეგიაში რეფერენტული ჯგუფების სწორი გამოყენება-ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო წარმატებისადმი გასაღებას წარმოადგენს.

რეფინანსირება – (refinancing) ძველი გრძელვადიანი ვალის დაფარვა ახალი გრძელვადიანი სესხის დახმარებით. ვთქვათ, კომპანიას სამი წელი დარჩა ხუთი წლით აღებული 50 ათასი აშშ დოლარი კრედიტის (წლიურად თანაბარი გადახდის პირობით) დასაფარავად. დარჩენილი 30 ათასი აშშ დოლარი მან შეიძლება დაფაროს ახალი ხუთწლიანი ობლიგაციების გამოშვების გზით.

რეფინანსირება – ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო რესურსების გადაცემა პირდაპირი კრედიტების, ვექსილების გადაანგარიშების, ფასიანი ქაღალდების გირავნობით სესხების ფორმით, ასევე საკრედიტო აუქციონების ორგანიზაციის მექანიზმით. რეფინანსირების ფორმები, წესი და პირობები იცვლება.

რეცეპისა - (receipt) [ლათ. Recepisse recipare მიღება] წინასწარი საზღვაო ხელწერილი (იხ. კონოსამენტი) საქონლის მიღების შესახებ.

რეცესია – (recession) [ლათ. Recessus უკან დახევა] წარმოების ზომიერი დაცემა ან ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება. ასახვას პოვებს სოციალური შემოსავლის შემცირებასა და უმუშევრობის დონის ამაღლებაში.

რვალი – არის სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი, რომელსაც ურევენ ერთმანეთს და ჩამოასხამენ ნაკეთობას.

რთული ორგანიზაციები – რთულ ორგანიზაციებად იწოდებიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებსაც არა ერთი, არამედ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიზანი აქვთ. რთული ორგანიზაციების საერთო მახასიათებლებია:

რესურსები (პირველ რიგში შრომითი რესურსები), კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია, ინფორმაცია. ყველა რთული ორგანიზაციის მიზანია გარდაქმნას (გამოიყენოს) რესურსები და დასახული მიზნების შესაბამისად.

რთული პროცენტი – საპროცენტო შემოსავალი, რომელიც იანგარიშება ყოველი მომდევნო წლის მიხედვით. ძირითად ანაბარს მიმატებული დაგროვებული პროცენტის ჯამი.

რთული პროცენტი – (compound, complex interest) პროცენტულ შემოსავალზე დარიცხული პროცენტი.

რიელტორული ფირმები – ასეთი სურათი გარკვეულწილად შეინიშნება რიელტორულ ფირმებთან კომერციული ბანკების დამოკიდებულებაშიც. ერთი მხრივ, უძრავ ქონებაში ინვესტიციები, რომლებიც პროფესიონალი რიელტორების შუამავლობით ხორციელდება, შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვა სახის ინვესტიციების, მათ შორის საბანკო ანაბრების, სუბინსტიტუტები; მეორე მხრივ, თვითონ ბანკებსაც შეუძლიათ უძრავი ქონების ბაზარზე შეღწევა. როგორც ექსპერტები მიუთითებენ ზოგიერთი ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე უფრო თვალში საცემი მოვლენა ხდება მის ოპერაციებში კომერციული ბანკების აქტიურად მონაწილეობა (მაშინ, როდესაც ამ ბაზარზე ბანკების მონაწილეობა) ადრე შემოფარგლული იყო თითქმის მხოლოდ ერთჯერადი მოქმედებით, მაგალითად, ოფისის ან საკუთარი თანამშრომლებისთვის ბინის შეძენით.

რისკების ანალიზი – სამეურნეო საქმიანობის ყოველგვარი რისკების ანალიზი, მაგალითად, ახალ კლიენტთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების, ან ახალ ბაზარზე გასვლის, ან მსხვილი ინვესტიციების განხორციელების დროს.

რისკების გაანგარიშების მეთოდები – ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს რისკების თვისობრივად განსაზღვრა (იდენტიფიცირება) და რაოდენობრივად შეფასება. ანალიზი და შეფასება მნიშვნელოვნად ეყრდნობა იმის გარკვევის სისტემატურ სტატისტიკურ მეთოდს, რომ ბანკისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიღაც მოვლენები

(რომლებიც უმთავრესად უკვე ცნობილია მისთვის, ან იქნებ, ადრე არ იყო შემჩნეული, მაგრამ მოსალოდნელია მათი მოხდენა) ახლო მომავალში მოხდება.

რისკების შიდა (შიდასაბანკო) ფაქტორები – ბანკების საქმიანობის შედეგად ჩნდება და დამოკიდებულია მათ მიერ ჩატარებულ ოპერაციების ხასიათზე, შრომისა და წარმოების ორგანიზაციაზე, თვით ბანკების მიერ თავიანთი საქმიანობის ყველა მხარის მართვაზე.

რისკი – 1. ადამიანთა სიცოცხლის, სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობისა და ყოფიერების მუდმივი თანამდევი მოვლენაა. 2. იმაში დაეჭვება (დიდი ან მცირე გადახრების შესაძლებლობა), რომ სამართავი პროცესი (მოვლენა, რომელსაც ვაკვირდებით) დაგეგმილი სცენარით წარიმართება და მოსალოდნელ შედეგს მოგვცემს. ამასთან ამ გადახრათა შედეგები ნეგატიურად აისახება სამართავი ობიექტის მდგომარეობაზე.

რისკი – მისაღები შედეგის წინასწარ განჭვრეტა (პროგნოზირება).

რისკი – ყოველგვარი კომერციული საქმიანობის, მათ შორის – საბანკო საქმიანობის, განუყოფელი ნაწილია.

რისკი – განუსაზღვრელობის დონე შედეგის წინასწარმეტყველებაში.

რისკი ბანკისათვის – ბანკისათვის საზღვრაგარეთულ აქტივებში ინვესტირება, მაგალითად, კრედიტის გაცემა უცხოური ვალუტით, იმოქმედებს ეროვნული ვალუტით გამოხატული გადასახდელების მომავალი ნაკადის სიდიდეზე (მომავალში ვალუტის კურსის ცვლილებათა გამო). გარდა ამისა თვით ამ კრედიტების დასაფარავი გადასახდელების სიდიდე შეიცვლება კრედიტის უცხოური ვალუტის ღირებულების გადაყვანისას ეროვნული ვალუტით გამოხატულ ეკვივალენტში.

რისკი ექსპორტიორისათვის – უცხოური ვალუტის კურსის დაცემა შეკვეთის მიღების (ან დადასტურების) მომენტიდან გადასახდელის მიღებამდე და მოლაპარაკების პერიოდში.

რისკი იმპორტიორისათვის – ესაა უცხოური ვალუტის კურსის ამაღლება დროის მონაკვეთში შეკვეთის დადასტურების თარიღსა და გადახდის დღეს შორის.

რისკი რეგულირებადი – ეკონომიკური კატეგორია, რადგან კონკრეტული ეკონომიკური ვითარების შეფასების შედეგებზე დაყრდნობითა და მოვლენის საპროგნოზო ვარიანტთან მისი შედარებით, ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევუპირისპირო მიზნებისა და შესაძლებლობების რეალურობა.

რისკიანობა – როგორც აქტივების ხარისხის კრიტერიუმი, აღნიშნავს დანაკარგების პოტენციურ შესაძლებლობას ფულადი ფორმით მათი გადაქცევისას. აქტივების რისკის დონე მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომლებიც სპეციფიურია მათი გარკვეული სახეობისთვის. მაგალითად, სესხის შიდა კონტროლის სამსახურს განაპირობებს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, დაკრედიტების ობიექტის შინაარსი, სესხის მოცულობა, გაცემისა და დაფარვის წესი და ა.შ.

რისკის მართვა – (რეგულირება) იმ ღონისძებებს უწოდებენ, რომლებიც შესაბამისი რისკის მინიმიზაციისკენ და შემოსავლიანობასა და რისკს შორის ოპტიმალური თანაფარდობისკენ არის მიმართული, შესაბამისი რისკის შეფასების, პროგნოზირებისა და დაზღვევის ჩათვლით.

რისკში იგულისხმება – წაგების ალბათობა ან საპროგნოზო ვარიანტთან შედარებით ნაკლები შემოსავლის მიღება.

რიტმულობა – ნიშნავს, როდესაც თანაბარზომიერად ფუნქციონირებს ყველა დანადგარი, საწარმოო უბანი, საამქრო და მთელი წარმოება.

რიცხოვნების ნორმა – განსაზღვრული პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის მუშაკთა რაოდენობა, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული ობიექტების მომსახურებისათვის ან განსაზღვრული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად.

რობოტი – დაპროგრამებული მოწყობილობა, რომელიც ასრულებს ოპერაციებს მასალებთან და ინსტრუმენტებთან.

რობოტის გარეშე ასეთი ოპერაციების შესრულება მოუწევ-დათ მუშებს. რობოტებს განსაკუთრებით დიდი სარგებ-ლობა მოაქვთ მონოტორული განმეორებადი ოპერაციების შესრულების დროს.

როდი – (rod) სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტე-მაში; 1 როდი - 51/2 იარდს ანუ 5, 0292 მეტრს.

როე-ს – შემადგენელი კომპონენტები თავად როე სამი ძირითადი კომპონენტებისგან შედგება. ეს კომპონენტებია მოგების ზღვრული კოეფიციენტი (profut margin ratio), აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (asset turnover) და ფინან-სური ლევერიჯი (financial leverage).

როიალტი – (royalties) სალიცენზიო გასამრჯელოს პერიოდული გადარიცხვის ფორმით ლიცენზირებული ტექნოლოგიით დამზადებული პროდუქციის გაყიდვით მიღებული თანხიდან.

როიალტი – ყველაზე მარტივი და ფართოდ გავრცელებული ფორმაა. იგი გულისხმობს ლიცენზიის გამოყენების უფლებაზე პერიოდულ გადასახდელებს, რომელთა დადგენა წარმოებს გაყიდვების თანხის ან ერთეული პროდუქციის ფასის საფუძველზე. ამ ფორმის სიმარტივის მიუხედავად, იგი გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული.

როლი – ეს არის მოქმედებათა ნაკრები, რომელთა შესრულებას ელოდებიან ადამიანებისაგან მისი გარემოცვის პირები. თითოეულ როლს შეესაბამება განსაზღვრული სტატუსი.

რომის კლუბი – (club of Rome) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია. დაარსდა 1968 წელს რომში. ცივილიზებულ სამყაროს განვითარების გლობალურ პერსპექტივებს „რომის კლუბში“ გაერთიანებული არიან მეცნიერები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეები, კლუბის დამფინანსებელი კორპორაციები და ფონდების ხელმძ-ღვანელები. მისი კვლევის მთავარი მიმართულებაა კაცობრიობის განვითარების პროგნოზი ერთი საუკუნის განმავლობაში.

როტაცია კადრების – კადრების რეგულარული ცვალებადობა შემდეგი პრინციპების შესაბამისად „საჭირო მომუშავეს მოუძებნა სათანადო ადგილი“.

რუდი – (rood) ფართობის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში; 1 რ. – 42 კვ.რუდს ანუ 1011,71 $მ^2$.

რუზის ეფექტი – (roosa effect) - ტერმინი, რომელიც ადრე გამოიყენებოდა იმ მოვლენის ასახსნელად, რასაც ამჟამად უწოდებენ „გაყიდვის“ ეფექტს. სახელწოდება წარმოდგება ამერიკელი ბანკირისა და ეკონომისტის რობერტ ვ. რუზის გვარისაგან, რომელმაც პირველმა მიუთითა ამ ეფექტის მნიშვნელობაზე.

რურალიზაცია – (ruralization) ურბანიზაციის საპირისპირო პროცესი, როდესაც ხდება მოსახლეობის გადანაცვლება ქალაქიდან სოფლად, თანამედროვე პირობებში დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და ა.შ.).

რუსეთ-ამერიკის ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისია – ორგანიზაცია, რომელიც 1993 წელს შეიქმნა ენერგეტიკის, კომისიის ათვისების, კონვერსიის, ვაჭრობის, მეცნიერების და ტექნიკის, გარემო დაცვის დარგში თანამშრომლობის გაფართოების მიზნით.

რწმენა – რაიმეს აზრობრივი დახასიათება ადამიანის მიერ, დამოკიდებულება კი მისი შეფასებაა.

რწმუნებული ბანკები – კომერციული ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ მთავრობის ორგანოების ნებართვა საბანკო ოპერაციების ჩატარების თაობაზე ამავე ორგანოების დავალების შესაბამისად, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებში მთავრობის ინტერესების წარდგენის უფლება.

ს

სააგენტო ფირმები მოქმედებენ პრინციპალის სახელით და ხარჯით, მაგრამ როგორც წესი, ინარჩუნებენ სრულ იურიდიულ დამოუკიდებლობას.

სააგენტო შეთანხმება – ითვალისწინებს ტურისტული მომსახურების მწარმოებლის (პრინციპალის) მიერ ტურისტული აგენტისათვის პრინციპალის სახელითა და ხარჯებით ცალკეული სახის მომსახურებისა და ინკლუზივ-ტურების გაყიდვის უფლების გადაცემას.

სააგენტო ხელშეკრულება – ხელშეკრულება მინდობილობის გამცემ პირსა და აგენტს შორის, რომელიც განსაზღვრავს დავალების ხასიათსა და მოცულობას, რომლითაც და მოცულობას, რომლითაც აგენტი ვალდებულია შეასრულოს დავალება და მიიღოს ჯილდო.

სააგენტო ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ერთი მხარის – პრინციპალის დავალებით მეორე მხარის – აგენტის (იგი პრინციპალზე არაა დამოკიდებული) მიერ დათქმულ ტერიტორიაზე პრინციპალის სახელითა და ხარჯებით საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული ფაქტობრივი და იურიდიული ქმედების შესრულებას.

სააგენტო ჯილდო – აგენტის მომსახურების საფასური პორტში გემების მომსახურებისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად, ანდა მოლაპარაკების მიხედვით სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე.

საავიაციო ბილეთი – იურიდიული საბუთი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულების დადებას მგზავრის გადაყვანასა და მისი ბარგის გადაზიდვაზე და ამ ხელშეკრულების პირობებს. საავიაციო ბილეთი წარმოადგენს საბარგო ქვითარსაც, რადგან მასში დადასტურებულია ბარგის გადასაზიდად მიღება.

საავიაციო მედიცინა – მედიცინის დარგი რომლის მიზანია საავიაციო ფრენის უზრუნველყოფა სამედიცინო თვალსაზრისით. საავიაციო მედიცინაში შედის საავიაციო

ფიზიოლოგია, საავიაციო ჰიგიენა, საავიაციო ტოქსიკოლოგია, საავიაციო ფსიქოლოგია, საავიაციო ბიოქიმია, ფრენის ავარიულობა და საფრენოსნო შემადგენლობის საექიმო ექსპერტიზა.

საავიაციო მრეწველობა – მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც ამზადებს სამოქალაქო და თავდაცვითი მნიშვნელობის სატრანსპორტო საშუალებებს სხვა სახეობის საჰაერო ტექნიკას.

საავიაციო სამუშაოები – დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე საჰაერო ხომალდის გამოყენებით შესრულებული სამუშაოები, გარდა მგზავრის გადაყვანისა, ტვირთის, ბარგის და ფოსტის გადაზიდვისა.

საავიაციო საშუალებები – საჰაერო ხომალდები, აეროდრომები აეროპორტები მათი მოწყობილობები, საჰაერო მოძრაობის მართვისა და კონტროლის საშუალებები, საჰაერო ტრასებისა და ადგილობრივი საჰაერო ხაზების რადიოტექნიკური მოწყობილობები და სხვა.

საავიაციო საწარმო – სამოქალაქო ავიაციის საწარმო რომელიც დადგენილი საფასურით ახორციელებს მგზავრების გადაყვანას, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვას.

საავიაციო უნივერსიტეტი – სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს პილოტირებული და უპილოტო საფრენი აპარატების, მათი ძრავების და რადიომოწყობილობების ექსპლუატაციის წარმოების ტექნოლოგიური და საავიაციო ხელთსაწყოთმშენებლობის დარგში, აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტის მენეჯერებსა და აუდიტორებს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს.

საავიაციო ფსიქოლოგია – ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც ამზადებს სამოქალაქო და თავდაცვითი მნიშვნელობის სატრანსპორტო საშუალებებს, სხვა სახეობის საჰაერო ტექნიკას.

საავიაციო უშიშროება – ღონისძიებათა ერთობლიობა, აგრეთვე მატერიალური და ადამიანური რესურსები, რომლებიც

უკანონო ჩარევის აქტივებისაგან სამოქალაქო ავიაციის დასაცავად არის განკუთვნილი.

საავიაციო შემადგენლობა – სამოქალაქო ავიაციის მუშაკები რომელთა საქმიანობა სამოქალაქო ავიაციის მეშვეობით განსახორციელებელ მიზნებს ემსახურება.

საავტომობილო გადაზიდვა – გზაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთის (მგზავრის) გადატანა (გადაყვანა).

საავტომობილო ტრანსპორტი – ხელმისაწვდომლობის მაღალი ალბათობა; ტვირთის ე.წ. „კარიდან კარამდე" მიწოდების საშუალება; გაწევრიანების საშუალება, მოქნილობა, დინამიურობა; მიწოდებისა და მარშრუტების სხვადასხვა სქემის გამოყენების საშუალება; ტვირთის შენახვა-დაცვის კარგი პირობები; ტვირთის მცირე პარტიებად გაგზავნის საშუალება; შესაფერისი გადამზიდველის არჩევის ფართო საშუალება.

საავტომობილო ტრანსპორტი – ტრანსპორტის სისტემის ნაწილი, რომელიც მოიცავს ტრანსპორტირებას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

საავტომობილო ტრანსპორტირება – გზაზე ორ პუნქტს შორის მოძრაობის მართვადი პროცესი, როგორც ავტოსატრან-სპორტო საშუალებების, გზის და მძღოლის ურთიერ-თობის შედეგი.

საავტორო უფლებები (copyright) – არის ექსკლუზიური უფლება, რომელიც მთავრობის მიერ ტექსტის მფლობელზე (ავტორზე) გაიცემა, რომლებიც სამეცნიერო-სასწავლო, მეთოდურ და ლიტერატურულ ნაწარმოებს, აგრეთვე კომპიუტერულ პროგრამას მოიცავენ.

საათობრივი შრომის ანაზღაურების ცვლილების გავლენა – გადახრა საათობრივ შრომის ანაზღაურებაში გამრავლებუ-ლი ფაქტიური საათების დონეზე და გამრავლებული პროდუქციის ფაქტიურ გამოშვებაზე.

საკრედიტო ისტორია – არის ბანკის პოტენციალურ მსესხებ-ლებთან მუშაობის ადრინდელი გამოცდილების შესახებ

ინფორმაცია, რომელიც როგორც წესი ბანკის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოიძიება.

საამორტიზაციო ანარიცხები – (capital allowances) ძირითადი კაპიტალის ცვეთის კვალობაზე მისი ღირებულების მზა პროდუქციაზე გადატანის შედეგად წარმოების დანახარჯებში შესული ანარიცხები, რომელიც ამ პროდუქციის შედეგად, სხვა დანახარჯებთან ერთად, უბრუნდება საწარმოს ძირითადი კაპიტალის ფიზიკური აღდგენისათვის.

საამორტიზაციო ანარიცხები – საშუალებების თანხა, რომელიც აუცილებელია მომავალში მანქანებისა და მოწყობილობების, შენობების შესაცვლელად. მათი ღირებულებიდან ჩამოწერილი უნდა იქნეს მათი სამსახურის სასარგებლო ვადის განმავლობაში.

საანგარიშო-სალარო მომსახურება – ბანკი თავის თავზე იღებს გადასახადების ინკასირებას და კლიენტის ოპერაციების მიხედვით გადახდების განხორციელებას, აგრეთვე, ახდენს ჭარბი ნაღდი ფულის ინვესტირებას მოკლევადიან ფასიან ქაღალდებსა და კრედიტებში.

საანგარიშსწორებო ანგარიშები – გამოიყენება ისეთი საანგარიშსწორებო ოპერაციების აღსარიცხავად, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ზოგჯერ მოთხოვნები ანუ დებიტორული დავალებები, ზოგჯერ კი ვალდებულებები ანუ კრედიტორული დავალიანებები.

საანგარიშსწორებო (საანგარიშსწორებო-საგადასახადო) ოპერაციები – ძირითადად, სახსრების ჩარიცხვა კლიენტების ანგარიშებზე და სხვა პირების წინაშე არსებული ვალდებულებების გასტუმრება ამ ანგარიშებიდან. ეს ოპერაციები აქტიურია (ბანკის ფულის განთავსებას გულისხმობს) იმ აზრით, რომ თავისი და კლიენტების ვალდებულებების დროულად გადახდისათვის ბანკს თავისი სახსრების ნაწილი მუდმივად უნდა ჰქონდეს შენახული ცენტრალურ ბანკში, სხვა ბანკებში, საანგარიშსწორებო (კრინინგულ) ცენტრებში.

საანგარიშსწორებო ოპერაციები – არის იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშების წარმოება და ანგარიშსწორების განხორციელება მათი დავალებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში იურიდიული პირებისთვის სავალდებულოა სახსრების შენახვა კომერციულ ბანკებში, საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების ფუნქცია ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა კომერციული ბანკის საქმიანობაში.

საანგარიშსწორებო პალატა – (clearing Hause), ავიაკომპანიებს შორის ანგარიშსწორების მწარმოებელი საერთაშორისო ორგანიზაცია. იგი არსებობს „იატა"-სთან.

საანგარიშსწორებო პალატა (Clearing House) – ავიაკომპანიებს შორის ანგარიშსწორების მწარმოებელი IATA-სთან არსებული საერთაშორისო ორგანიზაცია.

საანგარიშსწორებო – სალარო ოპერაციები – ნაწილობრივ რეგლამენტირდება საბანკო ზედამხედველობის ორგანოების მიერ, მასზე გავლენას ახდენს ბაზარი და სამეწარმეო სფეროები, ტექნოლოგიებისა და საანგარიშსწორებო ინსტრუმენტების განვითარება.

საანგარიშსწორებო ჩეკები – 1. უნაღდო ანგარიშსწორებისთვის გამოყენებული ჩეკებია. ესაა დადგენილი ფორმის მქონე დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ჩეკის უსიტყვო წერილობით ბრძანებას საკუთარი ბანკისადმი თავისი ანგარიშიდან ფულის გარკვეული თანხა გადარიცხოს სახსრების მიმღების (ჩეკის პატრონის) ანგარიშზე. საანგარიშსწორებო ჩეკს, ისე როგორც გადახდის დავალებას, აფორმებს გადამხდელი, მაგრამ გადახდის დავალებისგან განსხვავებით ჩეკს გადამხდელი გადასახდელის მიმღებ საწარმოს გადასცემს სამეურნეო ოპერაციის შესრულების მომენტში, ის კი ამ ჩეკს თავის ბანკს წარუდგენს გასანაღდებლად. 2. შესაძლოა იყოს დაფარული ან დაუფარავი. დაფარული საანგარიშსწორებო ჩეკები ისეთი ჩეკებია, რომელთა შესაბამისი თანხები ჩეკის გამცემი კლიენტის მიერ წინასწარაა

დეპონირებული ცალკე საბანკო ანგარიშზე, რაც ამ ჩეკების მიხედვით განაღდების გარანტიას უზრუნველყოფს.

საარენდო ოპერაციები – ითვლება საერთაშორისოდ, როდესაც არენდით გაცემული საქონელი კვეთს არენდ გამცემის ქვეყნის საზღვრებს.

საარსებო მინიმუმი (subsistence level) – ფულადი სახსრების მინიმუმი, რაც აუცილებელია ადამიანების ქმედითუნარიანობის შენარჩუნებისა და სამუშაო ძალის აღდგენისათვის. იგი საკმარისი უნდა იყოს მუშაკისა მისი ოჯახის წევრების საზოგადოებრივად აუცილებელ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სარწმუნო ძალების განვითარების დონის გათვალისწინებით. საარსებო მინიმუმი გამოხატავს საზოგადოებრივად აუცილებელი ცხოვრების დონის ქვედა ზღვარს. საზოგადოების განვითარების მოცემულ პირობებში მისი განსაზღვრის მეთოდიკა ეფუძნება მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის (საარსებო მინიმუმის ბიუჯეტის) შექმნას, რომელიც გარკვეული სიდიდის ოჯახის ან ერთი მუშაკის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსს წარმოადგენს (იხ. სამომხმარებლო კალათა).

სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

სააქციო კაპიტალი – ახასიათებს აქციონერების წილს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო კაპიტალი ორგანიზაციაში წარმოიქმნება აქციების გამოშვების გზით.

სააქციო კაპიტალი, – როგოც წესი, აქციების გამოშვება-გაყიდვის გზით წარმოიქმნება. აქციების გამოშვების დროს, კომპანიამ შეიძლება გამოაცხადოს პირობა, რომ გარკვეული დროის შემდეგ საკუთარ აქციებს უკან შეისყიდის ნომინალური ღირებულებით ან საბაზრო ფასით ან უფლება მისცეს აქციონერებს, თავისუფლად გაყიდონ აქციები ბაზარზე.

სააქციო საზოგადოება – არის საზოგადოება, რომლის საწეს-

დებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად.

სააქციო საზოგადოება – საწარმო, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე პირის კერძო საკუთრებას, რომლებიც ამ საწარმოს აქციების მფლობელები არიან. არსებობს ორი სახის სააქციონერო საზოგადოება: ღია, რომელთა აქციები თავისუფლად ყიდვა-გაყიდვაშია და დახურული – ასეთი საწარმოების აქციები ვრცელდება შეზღუდული წრის პირთა შორის.

სააქციო საზოგადოება – კაპიტალის კონცენტრაციის ფორმა და მსხვილი საწარმოს ძირითადი ორგანიზაციის ფორმა. სააქციო საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ. სააქციო საზოგადოება მიმდინარე საქმეებს განაგებს გამგეობა, დამკვირვებელთა საბჭო, დირექტორთა საბჭო.

სააქციო საზოგადოება – არის საზოგადოება, რომლის საწეს-დებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად, აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგა-დოებაში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობაზე კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს თხუთმეტი ათას ლარს.

სს – მეწარმეთა შესახებ კანონის 51,1 მუხლით, **სააქციო საზოგადოება** არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულებების მქონე აქციებად (აქცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სს-ს ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის

უფლებებს სს-ში). სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სს-ს ვალდებულებებზე. სს-ს საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს 15000 ლარს.

სააქციო საზოგადოების კაპიტალი – ინდივიდუალური კაპიტალის ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებისა და განთავსების მეშვეობით. სააქციო კაპიტალი ფორმალურად წარმოადგენს სააქციო საზოგადოების საკუთრებას, ფაქტობრივად აქციების საკონტროლო პაკეტების საშუალებით მათ განაგებენ ფინანსური ოლიგარქიის უფრო მსხვილი წარმომადგენლები.

სააქციო საზოგადოება მეწარმეთა გაერთიანების განსაკუთრებული ფორმაა – მისი კაპიტალი იქმნება აქციების გამოშვებისა და განთავსების გზით, ხოლო მონაწილეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ანაბრების მოცულობით.

სააქციო კომერციული ბანკის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. მასში მონაწილეობენ ბანკის აქციონერები ან მათი წარმომადგენლები მინდობილობის საფუძველზე. ბანკის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ბანკის საბჭო. იგი განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას, იხილავს ბანკის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას, იხილავს ბანკის საკრედიტო და სხვა გეგმების პროექტებს, ამტკიცებს ბანკის შემოსავლების, გასავლების და მოგების გეგმებს, იხილავს ბანკის ფილიალების გახსნისა და დახურვის საკითხებს, აყალიბებს ბანკის გამგეობის შემადგენლობას და აკონტროლებს მის მუშაობას და ა.შ.

სააუქციონო ფასწარმოქმნა ხდება სულ უფრო პოპულარული, და ამის მიზეზი ინტერნეტის გამოყენების გაფართოებაა. ამჟამად ინტერნეტის ქსელში განთავსებულია 2000-ზე მეტი ელექტრონული ბაზარი, რომელზეც იყიდება ყველაფერი: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან ტვირთების გადაზიდვამდე. ყველაზე ხშირად აუქციონზე გაიტანება წარმოებული პროდუქციის ნამეტი ან საქონელი,

რომელიც იყო მოხმარებაში. განასხვავებენ აუქციონის სამ ტიპს, რომელთაგანაც თითოეულს შეესაბამება საფასო ვაჭრობის თავისი პროცედურები.

სააღრიცხვო (სადისკონტი კრედიტები) – ეს არის ცენტრალური ბანკების მიერ კომერციული ბანკებისათვის თამასუქების ვადის გასვლამდე მათი განაღდების გზით გადაცემული სახსრები.

სააღრიცხვო პოლიტიკა – პირობები რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკი ყიდულობს თამასუქებს: ჩვეულებრივ მყიდველი ანგარიშს ასწორებს არა საქონლის გადმოტ-ვირთვისთანავე, სხვაგვარად მას უნდა აუღო კრედიტი ბანკისაგან. როგორც წესი, გამყიდველი ადგენს გადახდის ვადას. (უფრო ხშირად 20 დღეს).

სააღრიცხვო პოლიტიკა – 1. ვიწრო აზრით, აღნიშნავს ბუღალტრულ აღრიცხვაში ოპერაციების, აქტივებისა და ვალდებულებების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების ასახვისათვის გამოყენებული ალტერნატივების კომპლექსს, რომელსაც კანონმდებლობა ადგენს. ამასთან, ფინანსური და საგადასახადო კანონმდებლობა ადგენს სააღრიცხვო პოლიტიკაში შემავალი ოპერაციების ჩამონათვალს და ბუღალტრულ აღრიცხვაში ცალკეული ოპერაციების ასახვის ალტერნატიულ ხერხებს. წარმოადგენს კონკრე-ტულ ბანკში ბუღალტრული აღრიცხვის გონივრულად ორგანიზებისა და წარმართვის პრინციპებს, წესების (მათი ვარიანტების) და ტექნოლოგიების (ხერხების, მეთოდების) ერთობლიობას. მისი მიზანია მაქსიმალურად ოპერა-ტიული, სრული ობიექტური და სარწმუნო ფინანსური და მმართველური ინფორმაციის ფორმირება. 3. უშუალოდ აღნიშნავს მოცემულ ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვის – პირველადი დაკვირვების, ღირებულებითი გაზომვის, ეკონომიკური საქმიანობის ფაქტების მიმდი-ნარე დაჯგუფებისა და შედეგების განზოგადების – ხერხების ერთობლიობას.

საბაგირო ტრანსპორტი – მაღალმთიანი რეგიონის სატრანსპორტო გადაზიდვების უზრუნველყოფა; დაბალი თვითღირებულება.

საბაგირო ქვითარი – საავიაციო ბილეთის ის ნაწილი, რომელიც ადასტურებს რეგისტრირებული ბარგის გადაზიდვისათვის მიღებას.

საბაგირო საჭდე – 1. გადამზიდველის მიერ რეგისტრირებული ბარგის ამოსაცნობად გაცემული საბუთი. 2. ერთ გადამზიდველზე-გადამზიდველისაგან გაცემული საბუთი, სადაც მითითებულია მხოლოდ ერთი გადამზიდველი და განკუთვნილია მგზავრის მიერ საკუთარი ბარგის ამოსაცნობად.

საბაგირო საჭდე დამატებით – ნაპოვნი, შეფერხებული ან მცდარი მისამართით გაგზავნილი ბარგის გასაფორმებლად და გასაგზავნად გაცემული საბუთი.

საბაგირო საჭდე სახელობითი მისამართიანი – ბარგის მფლობელის ამოსაცნობად გამოყენებული საერთაშორისო საჭდე.

საბაგირო საჭდე „კაბინაში“ – საჭდე გაცემული გადამზიდველის მიერ მგზავრის თავისთან დატოვებულ ნივთებზე მიუთითებს იმას რომ მოცემული ბარგი გადაზიდულ უნდა იქნას თვითმფრინავის სამგზავრო სალონში.

საბაზისო (ამოსავალი) ფასი (base price) – 1. ფასი, რომელიც გამოიყენება ბაზისად ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისას საერთაშორისო ვაჭრობაში. საფუძვლად უდევს საერთაშორისო ვაჭრობაში (საექსპორტო და საიმპორტო) ფასების განსაზღვრას მთელ საქონელსა და მის ცალკეულ ჯგუფებზე; 2. ნაწარმის ფასი გარკვეული ფიქსირებული პარამეტრებით, რომელიც გამოიყენება ნიმუშად მოცემული პროდუქციის საგარეო ვაჭრობის ფასის განსაზღვრისას; 3. მსოფლიო სასაქონლო ბაზრის ფასი, რომელიც ამოსავალია საკონტრაქტო ფასების განსაზღვრაში. მხარეები ითვალისწინებენ აგრეთვე საბაზისო ხარისხიდან დასაშვებ გადახრებს და ამიტომ ათანხმებენ

არა მხოლოდ საბაზისო ფასის სიდიდეს, არამედ ფასზე წანამატისა და ფასდაკლების ოდენობას ხარისხის ამაღლების ან დაცემის შემთხვევაში, შესაბამისად წოდებულს ბონიფიკაციად და რეფრაქციად.

საბაზისო ანაზღაურებაზე – დანამატი არის ცვალებადი ანაზღაურება.

საბაზისო განაკვეთი – ნიშნავს ფიქსირებული ანაზღაურებას.

საბაზისო კაპიტალი – საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკის საპირისპიროდ იგი არა საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ცვლილებებთან, არამედ საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურაში ცვალებადობასთან არის დაკავშირებული, რომელიც ცალკეული საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ასიმეტრიის წარმოშობით არის განპირობებული.

საბაზისო პუნქტი – (Market ekonomy) პროცენტის მეასედი ნაწილი: მაჩვენებელი, გამოყენებული პროცენტულ განაკვეთებში სხვაობის, ფასიანი ქაღალდებით მიღებული შემოსავლების ცვლილებებისა და ა.შ დახასიათებისათვის.

საბაზრო ფასი/დივიდენდის კოეფიციენტი P/E Ratio საბაზრო ფასი/დივიდენდის კოეფიციენტი კიდევ ერთი საბაზრო კოეფიციენტებია, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ინვესტორების მიერ. იგი აჩვენებს თუ კომპანიის მიერ გამომუშავებულ თითო დოლარზე, რა თანხას იხდიან ინვესტორები.

საბაზო პორტები – პორტები, სადაც სახაზო გემების შესვლა სავალდებულოა და რომელთათვისაც გამოიყენება ხაზობრივი სატარიფო განაკვეთი.

საბაზო სისტემის უნარს – მიანიშნოს მწარმოებელსა და მიმწოდებელს საბაზრო სფეროში მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებაზე და გამოიწვიოს მათი შესაბამისი რეაქცია, ფასის მაწონასწორებელი ფუნქცია ეწოდება.

საბაზო ქვეყანაში – იგულისხმება ის ქვეყანა, სადაც განლაგებულია ფირმის სათაო ოფისი და ხელმძღვანელობა, რომელ-

შიც მუშავდება ფირმის სტრატეგია, იქმნება ძირითადი პროდუქცია და ტექნოლოგია.

საბაზრო გარიგებები/ინფორმაცია – ფირმებს შეუძლიათ მიიღონ საფასური სპეციალური საბაზრო ინფორმაციისათვის ანუ მეცნიერული ანალიზისათვის.

საბაზრო ეკონომიკა – მისთვის დამახასიათებელია ბიზნესის თავისუფლება და კონკურენცია, ფუნქციონირებს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა კანონების საფუძველზე.

საბაზრო ეკონომიკა (market economy) – კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის, მისი ევოლუციური განვითარების გზით წარმოქმნილი თვისებრივად ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელიც მყარად დამკვიდრდა განვითარებულ ქვეყნებში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. მის წარმოშობას საფუძველი ჩაუყარა „კეინზიანურმა რევოლუციამ“ როგორც 30-იანი წლების ღრმა ეკონომიკური კრიზისით („დიდი დეპრესიის“) წამოჭრილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თავისებურმა გამოძახილმა და XX საუკუნის შუა ხანებში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელსაც თან ახლდა მომსახურების მწარმოებელი დარგების სწრაფი განვითარება.

სხვა ეკონომიკური სისტემებისაგან განსხვავებით, საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა საკუთრების პლურალიზმი ანუ საკუთრების მრავალფორმიანობა თითოეული ფორმის თანაბარი უფლებით.

საბაზრო ეკონომიკა საბაზრო მექანიზმით რეგულირებული ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობაა სადაც სამეურნეო კოორდინაცია და მისი მართვა ხორციელდება კონკურენციის პირობებში ბაზრების სისტემის მეშვეობით. ასეთი ტიპის ეკონომიკა თვითონ ადგენს საზოგადოებამ რა უნდა აწარმოოს (ამ საკითხს მომხმარებლები წყვეტენ თავიანთი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების მიხედვით), როგორ უნდა აწარმოოს (ამას განსაზღვრავენ მწარმოებლები მაღალი შემოსავლის მიღების

მცდელობად) და ვისთვის უნდა აწარმოოს (ეს საკითხი იმათ სასარგებლოდ წყდება ვისაც მეტი შემოსავალი აქვს). საბოლოო ანგარიშით საზოგადოება აღწერს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, შესაძლებელი ხდება წარმოების ოპტიმალური სტრუქტურული პროპორციებისა და მოცულობის დადგენა, ყალიბდება ისეთი წარმოების წესი რომელიც უზრუნველყოფს დანახარჯების მინიმიზაციასა და მოგების მაქსიმიზაციას. ამიტომ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალზე შეზღუდულია. ამასთან, საბაზრო ეკონომიკა „წმინდა“ სახით, სადაც ავტომატურად ხდება ძირითადი ეკონომიკური პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა, შეიძლება ითქვას, არ არსებობს.

საზოგადოების ეკონომიკური ქცევის ზემოთ განხილული მოდელი საბაზრო ეკონომიკის თავისებური აბსტრაქტული მოდელია, რომლის წარმოდგენაც მხოლოდ თეორიულად შეიძლება. ამ მოდელს უახლოვდება მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკა, სადაც სახელმწიფოს როლი დაყვანილია თითქმის მხოლოდ კერძო საკუთრების დაცვასა და ისეთი სამართლებრივი სტრუქტურების შექმნამდე, რომლებიც თავისუფალი ბაზრების ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ რეალურ საბაზრო ეკონომიკაში, ბუნებრივია, გვხვდება გადახდები იდეალური მოდელიდან, კეროდ, ეს გადახდები აისახება: 1. სხვადასხვა მონოპოლიების წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში, რომლებიც ფარწარმოქმნის დეფორმაციას იწვევენ და აფერხებენ კონკურენციის მონაწილეთა თავისუფალ შეღწევას ბაზარზე; 2. კაპიტალისა და შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილების შეფერხებაში; 3. ინფლაციაში, რომელიც იწვევს საბაზრო მექანიზმის მოქმედების დამახინჯებას; 4. ეკონომიკური განვითარების ციკლურობაში; 5. შეფარდებით ჭარბწარმოებაში; 6. უმუშევრობაში, რომელიც აღემატება ბუნებრივ დონეს; 7. ბაზრის კონიუნქტურის განსაზღვრისას დაშვებულ შეცდომებში, რომელთა

ერთ-ერთი მიზეზი სრული და უტყუარი ინფორმაციის არქონაა და ა.შ. გარდა ამისა, საზოგადოებაში არსებობს ბევრი მწვავე პრობლემა, რომელთა გადაჭრა ბაზარს არ შეუძლია.

ესენია: სოციალური პრობლემების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, უმუშევართა შენახვა, ხელმოკლეთა დახმარებს და სხვა) კომპლექსი, ბუნების დაცვა, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება და ა.შ. ამიტომ სამეურნეო ცხოვრების კორდინაციისა და მართვისათვის გამოიყენება არა მხოლოდ ბაზრის მექანიზმი, არამედ სახელმწიფო რეგულირებაც ისეთი ბერკეტების მეშვეობით, როგორიცაა გადასახადები და სამთავრობო ხარჯები, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, შემოსავლების რეგულირება, სოციალური, ანტიმონოპოლიური და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკური ცხოვრების სტაბილურობის უზრუნველყოფაში სახელმწიფოს ფართოდ მონაწილეობის მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ შვედეთი, სადაც მთავრობა ენერგიულად ახორციელებს შემოსავლების გადანაწილებას (დაბეგვრის დონე მეპ-ის 5%-ს შეადგენს) და ატარებს აქტიურ სოციალურ პოლიტიკას; იაპონია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთოსახელმწიფოებრივი ინდიკატური დაგეგმვის განვითარებული სისტემა; „ახალინდუსტრიული ქვეყნების“ ეკონომიკა (კერძოდ, სამხრეთ კორეის ეკონომიკის ზრდაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მთავრობის მიერ მომზადებულმა სამეურნეო განვითარების ხუთწლიანმა ინდიკატურმა გეგმამ) და სხვ., მაგრამ სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე, რომლის იქითაც ეკონომიკაში არსებობას წყვეტს საბაზრო მექანიზმი. სახელმწიფო, გადასახადების საშუალებით, პროცენტის განაკვეთით, სახელმწიფო ხარჯებით, შეღავათებით და სხვ. მხოლოდ ინსტიტუტებისა და ინდივიდუმების ეკონომიკური ქცევის წესებს ადგენს, მაგრამ მათ საქმიანობაში თვითონ არ

ერევა, არ ანგრევს საბაზრო მექანიზმს, პირიქით, მას აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვროს ფასები, რესურსების გამოყენების მიმართულებით. ამრიგად, ეკონომიკას „საბაზრო“ შეიძლება ვუწოდოთ, თუ საბაზრო მექანიზმის ყველა რგოლი მუშაობს.

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კერძო საკუთრება, საბაზრო სისტემა და თავისუფალი ფასები. ამ ეკონომიკურ სისტემაში რესურსების განაწილება წარმოებს სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, საბაზრო ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ პირადი ინტერესებით, მაგრამ მათ საქმიანობას წარმართავს ,,უხილავი ხელი“ (კონკურენცია), ამ უკანასკნელის მეშვეობით ხდება კერძო (პირადი) და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება.

საბაზრო კონკურენციის 1. შინაარსი მისი სუბიექტების პაექრობაში ანუ შეჯიბრებაში მდგომარეობს. საბაზრო კონკურენციის ობიექტია კონკურენტი სუბიექტების ეკონომიკური სარგებელი. გამყიდველისათვის (ბანკისათვის) იგი გამოიხატება საქონლის გაყიდვიდან მაქსიმალური მოგების მიღებაში, მყიდველისათვის კი – მაქსიმალური სარგებლიანობის შემენაში საქონლის ყიდვის დროს. საბანკო კონკურენციის სუბიექტებად გვევლინებიან არა მარტო თვითონ ბანკები, არამედ საბანკო ბაზრის მონაწილე ყველა სხვა საფინანსო და არასაფინანსო დაწესებულებები. 2. **საბანკო კონკურენციის ძირითადი ფორმებია:** გამყიდველთა და მყიდველთა კონკურენცია; ინდივიდუალური და ჯგუფური კონკურენცია, შიდადარგობრივი და დარგთაშორისი კონკურენცია; ფასისმიერი და არაფასისმიერი კონკურენცია; სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენცია.

საბაზრო ლიზინგი გულისხმობს ბანკის მიერ ერთ სალიზინგო ხელშეკრულებაში ერთი მწარმოებლის მიერ გამოშვებული შედარებით იაფი მოწყობილობის რამდენიმე ერთეულის გაერთიანებას.

საბაზრო რისკები – წარმოიშობა იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ ხდება კონიუნქტურის გაუთვალისწინებელი და არასასიამოვნო ცვლილება საკრედიტო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, ძვირფასი ლითონების ბაზარზე. საბაზრო რისკის სპეციფიკური ელემენტია სავალუტო რისკი.

საბაზრო რისკები – დამახასიათებელია, პირველ რიგში, ბაზრის პირობებში მოქმედ, სამეწარმეო სტრუქტურებში იგი წარმოიქმნება ბაზრის მიერ საბანკო პროდუქტის მიუღებლობით გამოწვეული დანაკლისისას, საბანკო სტრატეგიის ჩაშლისას, ბაზარზე პოლიტიკური და საკანონმდებლო ფაქტორების გავლენის ცვლილებებისას და ა.შ. ამ რისკებისაგან დაცვის ვარიანტები მოიცავენ საბანკო პორტფელის ჩამოყალიბებისა და რეზერვების შექმნას, აგრეთვე მარკეტინგის სამსახურის ეფექტურობის ამაღლებაში წარმოშობილი სიტუაციების წინასწარ აღრიცხვას.

საბაზრო რისკი აქციების მიმართ – მოცემული კომპანიების აქციების საბაზრო ფასის ცვალებადობის ზომა სხვა კომპანიების აქციების საბაზრო ფასების საშუალო მერყეობის მიმართ.

საბაზრო პრინციპები – საფუძველს უქმნის ზედამხედველობის ჯეროვანი სისტემის შექმნას. აუცილებელია ამ პრინციპების დამკვიდრებაზე მოქმედი ლოკალური თავისებურებების გათვალისწინება. ბაზელის სტანდარტები მინიმალურად აუცილებელია და გარკვეულ სიტუაციებში შესაძლოა საკმარისი არ იყოს. ყოველმა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ზომით უნდა შეავსოს ეს პრინციპები სხვა მოთხოვნებით. საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია დინამიკურია თავისი ბუნებით და რეაგირებს ბაზრის ცვლილებაზე.

საბაზრო ღირებულება – თავისუფალი საბაზრო ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებისას და საქონლის (სამუშაოს, მომსახურების)

შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც არ არიან ურთიერთდამოკიდებული პირები.

საბალანსო ანგარიში (balance account, on-balance account) წარმოადგენ საანგარიშზე არსებულ რეალურ ფულად სახსრებს; იგი განსხვავდება ვალუტაზე უფლებისაგან. ეს უკანასკნელი ცნობილია დაბალანსებული ანგარიშის (off-balance sheet account) სახელწოდებით და ასახავს უფლებას ან ვალდებულებას, რომელიც შეიძლება რეალიზებული იქნას განსაზღვრულ პირობებში; სსრკ-ში იგი წარმოადგენდა სავალუტო ფონდებს ვალუტაზე უფლების სახით, რომელიც გაიცემოდა განსაზღვრული რაოდენობის მანეთების შეტანის შემდეგ (მანეთით დაფარვა).

საბალანსო ანგარიში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საანგარიშგებო დოკუმენტია, რომელშიც აისახება ფირმის კაპიტალის სტრუქტურა.

საბალანსო ანგარიში (balance account) – ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიში, რომლის მაჩვენებლები აისახება ბუღალტრულ ბალანსში თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას რომ საბალანსო მუხლების სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს ბალანსის მუხლების სახელწოდებას. ერთი საბალანსო ანგარიშის მონაცემები შეიძლება აისახოს ბალანსის რამდენიმე მუხლში.

საბალანსო მეთოდი სამეურნეო საქმიანობის ანალიზში – სამეურნეო საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების შეპირისპირება მათი ურთიერთზეგავლენის გამოვლენისა და გაზომვის მიზნით, აგრეთვე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გაანგარიშებისა.

საბალანსო მოგება (balance profit) – საწარმოს მოგების მთლიანი თანხა მიღებული წარმოებრივი საქმიანობის ყველა სახიდან და ასახული მის ბალანსში.

საბალანსო ფასი გაიანგარიშება – ბალანსის საფუძველზე წმინდა აქტივების ღირებულების გამოშვებული აქციების რაოდენობასთან შეფარდებით. აქციის სალიკვიდაციო

ფასი გაიანგარიშება კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

საბალანსო ღირებულება –(book ualuc) აქტივების ღირებულება კომპანიის საბუღალტრო დავთრები (ჩვეულებრივ ამორტიზაციის გამოკლებით). აქტივების რეალური საბაზრო ღირებულება კი შეიძლება სხვა იყოს.

საბანკო ანგარიშგების – ძირითადი დანიშნულებაა ბანკის საქმიანობის შესახებ სარწმუნო, სრული და ოპერაციული ეკონომიკური ინფორმაციის მიცემა. საბანკო ანგარიშგება გასაგები უნდა იყოს არსებული და პოტენციური ინვესტირებისა და კრედიტორებისათვის, წარმოდგენას აძლევდეს მათ მოსალოდნელ შემოსავლებთან დაკავშირებულ თანხებზე, დროსა და რისკებზე. შეიცავდეს ინფორმაციას მოზიდული რესურსების შემადგენლობასა და სახეობებზე, მათ განთავსებაზე, სესხებთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შემთხვევისთვის შექმნილი რეზერვების რაოდენობაზე და ა.შ.

საბანკო ასოციაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია საბაზრო ტიპის თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. ეს არის არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის წევრებიც კომერციული ბანკებია. მათ ქმნიან საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში თავიანთი ინტერესების დასაცავად, აგრეთვე საკუთარი საქმიანობის კოორდინაციისა და სრულყოფის მიზნით.

საბანკო აქცეპტი – მსხვილი ბანკების მიერ აქცეპტირებული გადასაპირებელი თამასუქი. თამასუქის აქცეპტირებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს.

საბანკო აქცეპტი (banker's acceptance) – მსხვილი ბანკების მიერ აქცეპტირებული გადასაპირებელი თამასუქი. თამასუქის აქცეპტირებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს.

საბანკო ბაზარი – 1. უნდა გავიგოთ როგორც, მხოლოდ ის ბაზრები, რომლებიც სპეციფიკურად საბანკოა, სახელდობრ კი – საბანკო მომსახურების გასაღების ბაზრები. თუმცა

ისე ვიწროდ განმარტების დროსაც კი საბანკო ბაზარი წარმოადგენს ძალიან რთულ წარმონაქმნს, რომელსაც ერთობ ფართო საზღვრები აქვს და უამრავი ელემენტი-საგან შედგება. საბანკო ბაზარი წარმოადგენს საბანკო მომსახურების ბაზრების ერთობლიობას, რომელიც შეგვიძლია საბანკო დარგების სისტემად წარმოვიდგინოთ. 2. **საბანკო ბაზარზე** ძირითადი კონკურენცია იშლება კომერციულ ბანკებს შორის ანუ იმ საბანკო ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ორდონიან საბანკო სისტემის მეორე, ქვედა საფეხურზე იმყოფებიან და საბანკო მომსახურებას უწევენ კლიენტურას. ცენტრალური ბანკები არ უნდა ჩაებან ბანკების კლიენტებისათვის გამართულ უშუალო კონკურენციაში. 3. **საბანკო ბაზრის** სტრუქტურირება ხდება საქონლის (პროდუქციის) ნიშნით ე.ი. გაწეული მომსახუ-რების სახეობის მიხედვით. მომსახურების ბაზარი, სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი, საკონსულტაციო მომსახურების ბაზარი, სხვა ბაზრები. 4. **საბანკო ბაზრის** სტრუქტურების შემდეგი კრიტერიუმებია საბანკო მომსა-ხურების მომხმარებელთა ჯგუფები, რომლის სეგმენტა-ციის საფუძველია: სამართლებრივი, ეკონომიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ქცევითი და ა.შ. ნიშან-თვისებები; აგრეთვე სივრცობრივი ნიშანი (ლოკალური, ეროვნული და საერთაშორისო).

საბანკო ბაზრად – შეგვიძლია მივიჩნიოთ ნებისმიერი ბაზარი ბანკების მონაწილეობით. აქ შედის როგორც საბანკო მომსახურების გასაღების ბაზრები, ისე საბანკო საქმიანო-ბისათვის საჭირო რესურსების ბაზრებიც. ეს მტკიცება უფრო დასაბუთებულად რომ გამოიყურებოდეს საბაზრო სისტემა განვიხილოთ ყიდვა-გაყიდვის თვალსაზრისით.

საბანკო ბაზრის სეგმენტაცია – გულისხმობს საბანკო მომსახუ-რების პოტენციურ მომხმარებელთა საერთო მასაში შედა-რებით განცალკავებული სეგმენტების კლიენტთა მიზნობ-რივი ჯგუფების – გამოყოფას, რომლებზეც უნდა მოხდეს ბანკის საგამსაღებლო ძალისხმევის კონცენტრაცია.

საბანკო ბაზრის – ძირითად სუბიექტებად (დილერებად, ძირითად მოქმედ პირებად) ყოველთვის გვევლინებიან ბანკები, სადაზღვევო ბაზრის – სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ბაზრის-საპენსიო ფონდები და ა. შ. საბანკო ბაზარი შეგვიძლია მივიჩნიოთ საფინანსო (და ფულის) ბაზრის თავისებურ სეგმენტად, რომელზეც მთავარ მოქმედ პირებად ბანკები გვევლინებიან.

საბანკო გარანტია – დოკუმენტია, რომლის თანახმად ბანკი კისრულობს დასახელებული მხარისათვის დათქმული თანხის გადახდას მასში მითითებული პირობების შესაბამისად.

საბანკო გზავნილებაში – იგულისხმება ერთი ბანკის მიერ მეორის დავალებით გზავნილების მიღებაზე (ბენეფიციარზე) გარკვეული თანხის გაცემა. ბანკი დავალებას ასრულებს მისი კლიენტის - თანხის გადამხდელის მიერ გაცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

საბანკო გზავნილების ინსტრუქცია – დოკუმენტია, რომელითაც კლიენტი თავის ბანკს ავალებს სხვა ქვეყანაში მყოფ დასახელებულ მხარეს დათქმული ხერხით (მაგალითად, ტელეგრაფით, ავიაფოსტით), ან ბანკის შეხედულებისამებრ განსაზღვრული ხერხით გადაუხადოს გარკვეული თანხა აღნიშნულ ვალუტაში.

საბანკო გასაღების დროითი პარამეტრები – რადგან საბანკო მომსახურების შენახვა შეუძლებელია, ამიტომ ბანკები მას ახორციელებენ, როგორც წესი, დღის განმავლობაში. გამონაკლისია საკრედიტო ოპერაციები. მათი გაცემის სარისკოობის გამო კრედიტის გაცემას წინ უძღვის მსესხებლის კრედიტუნარიანობის შემოწმება, ზოგჯერ კი საკითხის შეთანხმება საბანკო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე. ამ შემთხვევაში საკრედიტო განაცხადის წარდგენიდან კრედიტის გაცემამდე შესაძლოა რამდენიმე დღე გავიდეს.

საბანკო დაკრედიტების ორგანიზაცია – საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებების განსაზღვრის გარდა, მოიცავს კრედიტის მიღების შესახებ

კლიენტის განაცხადის განხილვას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, კრედიტის გაცემის პროცესებს, მის დაბრუნებას (დაფარვას), აგრეთვე, ამ ყველაფრის კონტროლს.

საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებანი – მისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის ხერხები, რომლებიც მოიცავს მათ სცენარებსა და საქმეებს, ინდიკატორებს, მაჩვენებლებს, ანალიზის ხერხებს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, საბანკო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენების მეთოდიკებსა და თანმიმდევრობას.

საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილება – ანიჭებს ეროვნულ ბანკს სრულ უფლებამოსილებას ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობას. იგი მოიცავს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, ნებისმიერი სახის შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო დაწესებულებების დროებით ადმინისტრაციულ მართვასა და ლიკვიდაციას ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

საბანკო ინვესტიციები – საბანკო რესურსების დაბანდება ხანგრძლივი დროით. მას მიეკუთვნება დაბანდებები აქციებზე, ობლიგაციებზე და სხვა მაღალშემოსავლიან ფასიან ქაღალდებზე. წარმოადგენენ არაპირდაპირ, არამედ ირიბად დაბანდებულ საბანკო საშუალებებს ეკონომიკაში.

საბანკო ინოვაცია – ახალ პროდუქტებად გამოვლინდება მხოლოდ ფინანსურ ბაზარზე ან ბანკის შიგნით მისი რეალიზაციის პროცესში.

საბანკო ინოვაცია – დროის ფუნქციაა.

საბანკო ინოვაცია არის ბანკის ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც ახალ საბანკო პროდუქციის ან ოპერაციის ფორმით რეალიზდება.

საბანკო ინოვაცია – დროს მოითხოვს და მთელ რიგ სტადიებს გადის, რომელთა ერთობლიობა მისი სიცოცხლის ციკლს შეადგენს.

საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი – დროის ის გარკვეული პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საბანკო პროდუქტს ან ოპერაციას აქტიური სასიცოცხლო ძალა აქვს და გარკვეული მოგება ან სხვა რეალური სარგებელი მოაქვს ბანკისთვის, როგორც ინოვაციის პროდუცენტისა (მწარმოებლისა) და გამყიდველისათვის.

საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი – დროის ის გარკვეული პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საბანკო პროდუქტს ან ოპერაციას აქტიური სასიცოცხლო ძალა აქვს და გარკვეული მოგება და სხვა რეალური სარგებელი მოაქვს ბანკისათვის, როგორ ინოვაციის პროდუცენტისა (მწარმოებლისა) და გამყიდველისათვის.

საბანკო ინოვაციის პროდუცენტი – (ლათ. Producens - მწარმოებელი) მოცემული საბანკო ინოვაციის მწარმოებელია, ე.ი. ესაა თვითონ ბანკი ან ბანკების ასოციაცია.

საბანკო ინფრასტრუქტურა – აერთიანებს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც პროფესიულად უზრუნველყოფენ ყველა დონეს, ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობას, მათ მიერ საბანკო ოპერაციებისა და გარიგებების შესრულებას. საბანკო ინფრასტრუქტურის ამოცანებია: საინფორმაციო უზრუნველყოფა; სამეცნიერო, სამართლებრივი და მეთოდური უზრუნველყოფა; საკადრო უზრუნველყოფა; ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საბანკო კანონმდებლობა – პირობითად სამ იარუსად შეგვიძ–ლია დავყოთ. პირველი იარუსი ორ ჯგუფს მოიცავს: ცენტრალური ბანკის შესახებ კანონებს და ცალკეული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ კანონებს. მეორე ბლოკი აერთიანებს კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს. საბანკო კანონმდებლების სისტემის მეორე იარუსია ის კანონები, რომლებიც არეგულირებენ საბანკო საქმიანობის სფეროში პარალელურად მოქმედ ინსტიტუტებს. მესამე იარუსს ეკუთვნის საყოველთაო მოქმედების კანონები.

საბანკო კაპიტალი – ფულადი კაპიტალი, რომლებიც მოზიდულია ბანკის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან და გამოიყენება საბანკო ოპერაციების ჩასატარებლად, ქმნის ბანკის ფინანსურ რესურსებს. ბანკის საკუთარი კაპიტალი (აქციონერული და სარეზერვო კაპიტალის ჯამის საბანკო კაპიტალის ნაწილია, რომელიც ჩადებულია ბანკის მესაკუთრეების (აქციონერების) მიერ.

საბანკო კაპიტალის ფუნქციები – დაცვითი, ოპერატიული და მარეგულირებელი; თუ რისკთან დაკავშირებით განვიხილავთ, მაშინ ფუნქციები შემდეგია: კაპიტალი ის ბუფერია, რომელსაც შესწევს წაგების გადაფარვის და გადახდისუნარიანობის შენარჩუნების უნარი; კაპიტალი უზრუნველყოფს ფინანსურ რესურსების ბაზრებში შეღწევას და ლიკვიდობის პრობლემისაგან იცავს ბანკს; კაპიტალი აკავებს რისკის ზრდას და ზღუდავს მას.

საბანკო კონტროლი – ბანკის კონტროლი გაცემული კრედიტების მიზნობრივ გამოყენებაზე ან გადახდისუუნარო მოვალის მიერ სახსრების ხარჯვაზე მანამ, სანამ იგი გაკოტრებულად გამოცხადდება; კომერციული ბანკების საქმიანობაზე ცენტრალური ბანკის კონტროლი.

საბანკო კონტროლი – (თვითკონტროლი) ბანკის მიერ განხორციელებული ისეთი ზედამხედველობაა, რომელიც თავისკენაა მიმართული.

საბანკო კრედიტი (bank credit) – ბანკის მიერ აკუმულირებული თავისუფალი ფულადი სახსრებისა და საკუთარი კაპიტალის გაცემა კლიენტებზე დროებით სარგებლობისათვის. ხორციელდება სესხის გაცემის ბანკის მიერ კლიენტის თამასუქის დისკონტირების თამასუქის ღირებულების კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე მოთავსებისა თუ სხვა ფორმით. საგარეო ვაჭრობაში საბანკო კრედიტის ფორმებია: ფორფეიტინგი, აქცეპტური კრედიტი, აქცეპტურ-რამბუსნული კრედიტი და სხვ.

საბანკო კრედიტი – იგი გულისხმობს ბანკის მიერ აკუმულირებული თავისუფალი ფულადი სახსრებისა და საკუთარი

კაპიტალის ნაწილის გაცემას კლიენტებზე დროებით სარგებლობისათვის. საბანკო კრედიტი ხორციელდება სესხის გაცემის, ბანკის მიერ კლიენტის თამასუქის დისკონტირებისა და თამასუქის ღირებულების კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე მოთავსებისა თუ სხვა ფორმით.

საბანკო კრედიტის თავისებურება ისაა, რომ მას გასცემენ არა როგორც ფულის რაიმე თანხას, არამედ როგორც კაპიტალს.

საბანკო ლიკვიდური სახსრები (bank liguidity resources) - შედგება ნაღდი ფულის მოკითხვამდე ანაბრების ანგარიშებზე არსებული ნაშთის სხვადასხვა მოკლევადიანი (ერთ თვემდე) დეპოზიტების კერძო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, კომერციული თამასუქისა და ბანკის სხვა ადვილად რეალიზებადი სახსრებისაგან.

საბანკო ლიცენზია – არის საბანკო საქმიანობაზე ცენტრალური ბანკის მიერ უვადო ხასიათის ოფიციალური დოკუმენტის ფორმით გაცემული ნებართვაა, რომელიც დადგენილი ფორმის რეკვიზიტების დაცვით ადასტურებს მასში მითითებული საბანკო და სხვა ოპერაციების (გარიგებების) ჩატარების უფლების მინიჭებას ბანკისათვის.

საბანკო მარკეტინგი – საბანკო მარკეტინგისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო პროდუქტის (საბანკო მომსახურება) თავისებურებებს, რომლებსაც ეკუთვნის: აბსტრაქტულობა, წყაროსგან განუყოფელობა, ხარისხის არამუდმივობა, შენახვის შეუძლებლობა, სახელშეკრულებო ხასიათი, ფულთან კავშირი, მომსახურების გაწევა დროში, დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილებების მეორადობა, საბანკო მომსახურების ვიზუალიზაციის აუცილებლობა, საგანმანათლებლო ორიენტაცია, ნდობის კლიმატის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის მუდმივი მოტივაცია, მომსახურების ავტომატიზაციაზე განსაკუთრებული ყურადღება.

საბანკო მარკეტინგი – ბანკიდან კლიენტებისაკენ მიმართული ფინანსური ნაკადების მიმართულებასთან დაკავშირებუ-

ლი ბანკების საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციის სისტემა, რომელიც მიმართულია საბაზრო პირობებზე აქტიური გავლენისა და მოგების აღრიცხვის მაქსიმიზიციისკენ.

საბანკო მენეჯმენტი – საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურების მიერ მიღებული მმართველობით ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანს წარმოადგენს როგორც მიკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა.

საბანკო მენეჯმენტი – შეიძლება განისაზღვროს როგორც საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურების მიერ მიღებული მმართველობით ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანს წარმოადგენს როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა.

საბანკო მენეჯმენტში შეიძლება გამოიყოს შემდეგი იერარქიული დონეები: იხილე ზ, პ, შ, ქ - ალფავიტში ახსნა.

საბანკო მენეჯმენტის გარემოში – შეიძლება გამოვყოთ ორი სფერო: (იხილე შ და გ) შიდა და გარე.

საბანკო მენეჯმენტის ხარისხობრივი მაჩვენებლები – შეიძლება დაიყოს შემდეგ დამახასიათებელ ჯგუფებად: 1. მდგომარეობისა და მუშაობის მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც აფასებენ ბანკის მენეჯმენტს საკრედიტო მეწარმეობის პროფესიული მოთხოვნების პოზიციიდან: კაპიტალის საკმარისობა, აქტივების ხარისხი, შემოსავლიანობა, ლიკვიდურობა (უსაფრთხოებისა და სიმყარის ფარგლებში); ოპერაციების განხორციელების, დოკუმენტების დამუშავების სისწრაფე; მოცემული საბანკო პროდუქციის კომპლექტურობა; შემოთავაზებული საბანკო პროდუქციის სახეების, მახასიათებლების, მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისად კლიენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხი; გაწეული რისკების ადეკვატურობა და

მათი მართვადობის ხარისხი. 2. მენეჯმენტის მაჩვენებლები (პერსონალი), რომელთა მეშვეობით ფასდება საბაზრო ეკონომიკის მიერ ნებისმიერი სამეწარმეო სტრუქტურისათვის ნაკარნახევი ნორმატიული მოთხოვნებისადმი პერსონალის შესაბამისობა: ადმინისტრაციის შემადგენლობა და კომპეტენტურობა (კვალიფიკაცია იერარქიაში ადგილის შესაბამისად, საბანკო სისტემის შესაბამის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, ურთიერთცვლადობა, კადრების რეზერვის არსებობა, სწავლების ადექვატურობა, იერარქიაში ზევიდან ქვევით ზედამხედველობის არსებობა და ხარისხი და ა.შ.); საბანკო საქმიანობაზე მარეგულირებელ ნორმათა შესრულება და კანონების, ინსტრუქციებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვა (საბანკო იერარქიის სხვადასხვა დონეებზე დადგენილი ნორმების, შეზღუდვებისა და რეკომენდაციების დაცვა, წარსულში კანონმდებლობის დარღვევებისა და ფინანსური დანაშაულის არარსებობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ა.შ.); ადმინისტრაციისა და პერსონალის უნარი – განჭვრიტოს ბაზრის კონიუნქტურის შესაძლო ცვლილებები, მათზე დროული რეაგირება და სწორი საპასუხო ზომების მიღება (ადეკვატური რეაქცია მაკრო და მიკრო დონეების დაცემის, ინფლაციის, დეპრესიების ბანკის ოპერატიული საქმიანობის ზემოქმედებაზე, მოსალოდნელ ცვლილებათა უპირატესობების გამოყენების უნარი, წარსული მარცხის აღიარების, მათი გამოსწორებისა და საკუთარი პოლიტიკის კორექტირების უნარი და ა.შ.

საბანკო მომსახურებაზე ფასწარმოქმნა – ფასწარმოქმნას შეუძლია გაითვალისწინოს მომსახურების გაწევის ხარჯები, საბაზრო კონიუნქტურის დინამიკა ან კონკრეტული მომსახურების მიზნობრივი ფუნქცია. ბანკის საგამსაღებლო პოლიტიკის რეალიზების პროცესში ბანკი აყალიბებს გასაღების ქსელს და განსაზღვრავს კლიენტების მომსახურების ოპტიმალურ დროით რეჟიმს.

საბანკო მომსახურება – საბანკო ოპერაციის შედეგი, ე.ი. საბანკო ოპერაციის (ბანკის თანამშრომელთა მიზანმიმართული შრომითი საქმიანობა) შედეგი ან სასარგებლო ეფექტი, რომელიც მდგომარეობს კლიენტის მიერ გაცხადებული მოთხოვნილების (კრედიტი, საანგარიშსწორებო საკასო მომსახურება, გარანტიები, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა და ა.შ.) დაკმაყოფილებაში.

საბანკო ოპერაცია – (ლათ.Operatio - მოქმედება) იმ მოქმედებათა პროცედურას აღნიშნავს, რომლებიც საბანკო კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული გარკვეული ამოცანის გადაჭრისკენაა მიმართული. საბანკო ოპერაციებს მიაკუთვნებენ ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების მოძრაობის კონტროლისა და აღრიცხვის ფორმებს, საფინანსო ანალიზის ხერხებს, ბანკში საფინანსო საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებს, კაპიტალის ინტერაქტიულ და სხვა ანალოგიურ ინვესტირებას და სხვა მოქმედებებს.

საბანკო ოპერაცია – ბანკის მუშაკთა თვით პრაქტიკული მოქმედებები (მოქმედებათა მოწესრიგებული, შეთანხმებული ერთობლიობა) კლიენტის მომსახურების (მის მიერ შეკვეთილი კონკრეტული მომსახურების გაწევის) პროცესში, საბანკო პროდუქტის პრაქტიკული განხორციელების ფორმა.

საბანკო ოპერაციის – პროცედურის დამუშავების სტადია და დოკუმენტად მისი გაფორმება ინოვაციური პროცესის ორგანიზაციას უკავშირდება. აქ ხორციელდება ინოვაციის, იდეის ძიების, ფინანსური ოპერაციის მთელი ალგორითმის დამუშავებისა და დოკუმენტის შექმნის (ინსტრუქცია, მეთოდური მითითებები და ა.შ.) სამუშაოები.

საბანკო ოპერაციები და მომსახურება ჯგუფდება პასიური, აქტიური და საკომისიო ოპერაციებად – საბანკო ოპერაციებიდან გამოვყოფდით: ვალუტის გაცვლა; კომერციული თამასუქების აღრიცხვა და საწარმოებისათვის კრედიტების მიცემა; კრედიტში შუამავლობა; საშუამავლო ფუნქცია; დანაზოგის ანაბრები; ფასეულობათა შენახვა;

საანგარიშსწორებო – სალარო მომსახურება; მოწყობილობის ლიზინგი; ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა; საინვესტიციო კონსულტანტი; სატრასტო მომსახურება; ბანკის საინვესტიციო ოპერაციები; ბანკთაშორისი კრედიტების ყიდვა-გაყიდვა; საგარანტიო ოპერაციები; საკომისიო ოპერაციები.

საბანკო ოპერაციების მართვისა და რეგულირების – მიზნით ძირითადად ცენტრალური ბანკი ორიენტირებულია ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანდასახულობის შესაბამისად მუშავდება ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი ღონისძიებები ყოველი კონკრეტული პერიოდისათვის, განისაზღვრება ამ მომენტისათვის მართვის ყველაზე ეფექტური მეთოდები და ბანკების საქმიანობაზე ზემოქმედების ინსტრუმენტები.

საბანკო პოლიტიკის – ყველა ამოცანა უნდა შეესაბამებოდეს აქტიური საბანკო პროდუქტის მომხმარებელთა - ბანკის კლიენტთა ინტერესებს, ისეთებს, როგორიცაა: საბანკო მომსახურების თვისებრივ მახასიათებელთა ადექვატურობა პროექტის მოთხოვნებთან (კლიენტის მიერ სასესხო სახსრების გამოყენებისას). ეს განსაკუთრებით ეხება კრედიტის მოცულობებს, ვადებს, მისი მიღების, გაფორმების, დაფარვის და ა.შ.; მოსაზიდი რესურსების ანაზღაურების მისაღები სიდიდე (პროცენტი, საკომისო); დაბრუნების (დაფარვის) პირობებისა და მოთხოვნების ადექვატურობა კლიენტის შესაძლებლობებთან საერთო, ადექვატური, ექსტრემალური ან ალტერნატიული ფულადი ნაკადის მიხედვით; კრედიტის მიღებისა და მომსახურების პირობებში, სახსრების დაბრუნების მეთოდებში ზედმეტი სირთულისა და სიმკაცრის არარსებობა; მომსახურების კომპლექსის ან დამატებითი დახმარების (კონსულტაციების, პრობლემურ კრედიტებთან მუშაობის სახით) მიღების შესაძლებლობა და ა.შ.

საბანკო პროდუქტი – უნდა გავიგოთ როგორც საბანკო მომსახურების მატერიალურად გაფორმებული ნაწილი (ბარათი, შემნახველი სალაროს წიგნაკი, საგზაო ჩეკი, ელექტრონული ქისა და ა.შ.

საბანკო პროდუქტს –აქვს ნივთის სახე, ე.ი. ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად განკუთვნილი ხელშესახები ფორმა.

საბანკო პროდუქტი – კონკრეტული საშუალება, რომლითაც ბანკი ეწევა ან მზადაა გასწიოს კლიენტისათვის საჭირო ესა თუ ის მომსახურება, ე.ი. იმ ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციული, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, საინფორმაციო, ფინანსური, იურიდიული სხვა ქმედებების (პროცედურების) მოწესრიგებული შინაგანად შეთანხმებული და, როგორც წესი, დოკუმენტალურად გაფორმებული კომპლექსი, რომლებიც შეადგენენ კლიენტთან ბანკის (მისი კონკრეტული ქვედანაყოფების) თანამშრომლების ურთიერთქმედების მთლიანობით რეგლამენტს, კლიენტის მომსახურების ერთიან დასრულებულ ტექნოლოგიას.

საბანკო პროდუქტებზე ან ოპერაციაზე – მყიდველის მოთხოვნას განსაზღვრავს ამ სახეობის ინოვაციის, სიახლის ხარისხი.

საბანკო რეზერვები – მოიცავს ნაღდ ფულს, რომელიც ბანკში ინახება, აგრეთვე ცენტრალურ ბანკში შეტანილ დეპოზიტებს.

საბანკო რეკვიზიტები (bank reserves) – საბანკო შენატანების ის ნაწილი, რომელსაც ბანკი ინახავს ნაღდი ფულის სახით, აგრეთვე ცენტრალურ ბანკში შეტანილი უპროცენტო დეპოზიტები.

საბანკო რეკომენდაციები – საქონლის მიმწოდებელი საწარმო მოიპოვებს უფლებას მიმართოს კლიენტის ბანკს, მისი გადახდისუნარიანობის განხილვის მიზნით, რადგან ბანკები ზოგჯერ თავს არიდებენ გასცენ ინფორმაცია თავიანთი კლიენტის შესახებ.

საბანკო რესურსების განსაკუთრებულ ფორმას – საკუთარ საშუალებებს (მთლიანი კაპიტალი) აქვს მკაცრად განსაზ-

ღვრული სამართლებრივ-უფლებრივი საფუძველი, იგი განვითარების ფინანსურ ბაზარსაც წარმოადგენს. საკუთარი სახსრები შესაძლებლობას იძლევა, ერთის მხრივ, მეანაბრეთა და კრედიტორთა კომპენსაციური გადასახადები განხორციელდეს ბანკის ზარალიანობისა და გაკოტრების შემთხვევაში და მეორე მხრივ, დასახული ამოცანებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს ბანკების მიერ განსახორციელებელი ოპერაციების უზრუნველყოფას.

საბანკო რესურსების მიმწოდებლები – კონკურენციის მესამე ძალაა მიმწოდებლების გავლენა. იგი ვლინდება საქონლისა და მომსახურების ფასის აწევის ან ხარისხის დაწევის მუქარით. ძლიერი პოზიციების მქონე მიმწოდებლებს შეუძლიათ შეამცირონ იმ დარგის მომგებიანობა, რომელსაც აღარ ძალუძს დანახარჯების ზრდის დაფარვა ფასების გადიდებით. მიმწოდებლების გაძლიერების პირობები ჰგავს იმ პირობებს, რომლებიც მომხმარებელთა ჯგუფებს ანიჭებენ ძალას. ბანკების საწარმოო რესურსების სისტემა მოიცავს: ფინანსურ რესურსებს; შრომით რესურსებს; ინფორმაციულ რესურსებს; ტექნოლოგიურ რესურსებს; მატერიალურ რესურსებს. ფინანსური რესურსების მიმწოდებლები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ბანკის საშემნახველო, საინვესტიციო და საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების კლიენტები არიან, აგრეთვე ცენტრალური ბანკი და საკრედიტო რესურსების გამყიდველი სხვა საკრედიტო ორგანიზაციები.

საბანკო რისკები – რთული რისკებია ერთის მხრივ, ისინი ეკონომიკური რისკების სისტემაში იმყოფებიან და ამიტომ განიცდიან სხვა ეკონომიკური რისკების გავლენას, ხოლო მეორე მხრივ, ისინი დამოუკიდებელი რისკებია და კომერციული ბანკების საქმიანობაზე არიან დამოკიდებული. ბანკების საიმედო და სტაბილური საქმიანობა პირდაპირაა დამოკიდებული რისკების მართვის ორგანიზაციულ სტრუქ-

ტურაზე, რომლის დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს, დეტალურად და თანმიმდევრულად აკონტროლოს საბანკო რისკების შემცირების ღონისძიებები.

საბანკო რისკები – ბანკების გაკოტრების ძირითადი მიზეზია და ამის გამო ცალკეული სახის რისკების მართვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ.

საბანკო რისკები ის რისკებია, რომლებიც სპეციფიკურია საკრედიტო მეურნეობისათვის. ისინი ვლინდება საბანკო საქმიანობის განხორციელების მსვლელობაში. საბანკო რისკებმა სახელწოდება შეიძლება მიიღოს ოპერაციების მიხედვით (საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდობის), საბანკო ოპერაციების გეოგრაფიის (ქვეყნის), საქმიანობის (დარგობრივი, ტექნოლოგიური), საბანკო პროდუქტების სახეების (საპროექტო) მიხედვით.

საბანკო რისკების გარე ფაქტორები (წყაროები) – ის პოტენციური, არასასურველი მოვლენებია, რომლებიც ბანკის გარეთ არსებულ სივრცეში ხდება და მის საქმიანობაზე არაა დამოკიდებული.

საბანკო რისკების კლასიფიკაცია – საკრედიტო, საბაზრო-ფინანსური, არალიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის რისკები, (რომლებიც ,,აჯამებენ“ უკვე ჩამოთვლილი ყველა რისკის ან მათი ნაწილის გავლენას).

საბანკო რისკების ტრადიციული სტრუქტურა გულისხმობს შიდა და გარე რისკების გამოყოფას. გარე რისკები ორ ჯგუფად იყოფა. I ჯგუფი - ლიკვიდობის რისკები; II ჯგუფი წარმატების რისკები.

საბანკო რისკი – იმ ინფორმაციის გაურკვევლობით წარმოქმნილი სიტუაციაა, რომელსაც ბანკი იყენებს მართვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

საბანკო რისკი – არის იმაში დაეჭვება (დიდი ან მცირე გადახრების შესაძლებლობა), რომ სამართავი პროცესი (მოვლენა, რომელსაც ვაკვირდებით) დაგეგმილი სცენარით წარიმართება და მოსალოდნელ შედეგს მოგვცემს. ამასთან

ამ გადახრათა შედეგები ნეგატიურად ან დადებითად აისახება სამართავი ობიექტების მდგომარეობაზე.

საბანკო საკრედიტო ბარათი – წარმოადგენს პლასტიკურ ბარათს, რომელიც საშუალებას აძლევს მის პატრონს საქონლისა და მომსახურების შეძენის დროს გადაავადოს მათი ღირებულების გადახდის ვადა.

საბანკო სამართალი – როგორც სამართლის კომპლექსური დარგი არის საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებში მოცემული სამართლებრივი ნორმების (მითითებების) ერთობლიობა, რომლებიც რეგლამენტირებას უწევენ საბანკო ურთიერთობათა სისტემას (იმ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც საბანკო საქმიანობას უკავშირდება). იგი მოიცავს საკუთრივ საბანკო, სხვა კანონებისა და სამართლებრივი აქტების ნორმებს.

საბანკო სამართალს – და საბანკო კანონმდებლობას კერძოდ შეიძლება ჰქონდეს ორი მართლზომიერი განმარტება: ვიწრო, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, როგორც ის სამართალი (კანონმდებლობა), რომელმაც უნდა არეგულიროს მხოლოდ და მხოლოდ ბანკებისათვის (საკრედიტო ორგანიზაციებისათვის) დამახასიათებელი ურთიერთობები; ფართო გაგებით – როგორც სამართალი (კანონმდებლობა), რომელიც არეგულირებს ბანკების (საკრედიტო ორგანიზაციების) საქმიანობის ყველა მხარეს, მათ ყველა სპეციფიკურმა თუ საერთო (არასპეციფიკურ) ურთიერთობას.

საბანკო სამართლის პრინციპები – საბანკო სამართალი რეალიზდება და ვითარდება ორი ტიპის პრინციპებით განსაზღვრულ ფარგლებში: მთელი სამეწარმეო საქმიანობისათვის საერთო პრინციპით და სახელდობრ საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი პრინციპებით.

საბანკო სამართალურთიერთობები ის საბანკო ურთიერთობებია – რომლებსაც სამართლის ნორმები არეგულირებენ და მისი მონაწილეები ასრულებენ. საბანკო სამართლის ნორმების სტრუქტურა სხვადასხვა კრიტერიუმების შესა-

ბამისად ასეთია: საკანონმდებლო ნორმები და კანონ-ქვემდებარე სამართლებრივი აქტების ნორმები; ზოგადი ნორმები (საბანკო სამართლის ზოგადი ნაწილი) და კერძო ნორმები (საბანკო სამათლის განსაკუთრებული ნაწილი).

საბანკო საქმეში კაპიტალს, – ჩვეულებრივ უწოდებენ ბანკის მფლობელების მიერ შეტანილ სახსრებს, რომლებიც ძირითადად შედგება სააქციო კაპიტალისაგან, ნამატისგან, გაუთვალისწინებელი ხარჯების რეზერვისა და გაუთვა-ლისწინებელი მოგებისაგან: კაპიტალი ყოველგვარი რის-კებისაგან იცავს ბანკს და გაკოტრებისაგან მისი დამცავი ერთგვარი ბოლო ხაზია. იგი სხვა გრძელვადიანი სახსრე-ბის შემავსებელიცაა და ბანკის საკრედიტო საქმიანობის გაფართოების და ფიზიკური სტრუქტურის განვითარების მხარდაჭერის საფუძველსაც წარმოადგენს.

საბანკო საქმის – ორგანიზციის საწყისი წერტილი ბანკის საწეს-დებო კაპიტალია. საწესდებო კაპიტალის ჩამოყალიბება სხვადასხვაგვარად ხდება და ეს ბანკის ორგანიზაციის ფორმაზეა დამოკიდებული. თუ ბანკი იქმნება როგორც სააქციო საზოგადოება, მაშინ საწესდებო ფონდი ყალიბ-დება აქტების ნომინალური ღირებულების თანხით. მათ ავრცელებენ ან მათზე ღია ხელმოწერის გზით (ღია სააქციო საზოგადოებად ბანკის ჩამოყალიბების შემთხვე-ვაში), ან ყველა აქციის გავრცელებით დამფუძნებლებს შორის, საწესდებო ფონდში მათი წილის ზომის შესა-ბამისად (დახურული სააქციო საზოგადოების შექმნის შემთხვევაში).

საბანკო საქმიანობა – (კლიენტისაკენ მიმართულ ნაწილში) შეგვიძლია შემდეგი ფუნდამენტური ცნებების მეშვეობით ავხსნათ საბანკო პროდუქტი, საბანკო ოპერაციები, საბანკო მომსახურება.

საბანკო საქმიანობის – ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება ბანკის ლიკვიდაცია. ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშ-ნული პირი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

საბანკო საქმიანობა – მაღალი დონის შიდა კონტროლის სამსახურს უკავშირდება, რაც განსაზღვრავს ყველა საბანკო ოპერაციის ჩატარებაზე მუდმივი კონტროლის დაწესების აუცილებლობას თვით ბანკის მიერ.

საბანკო სახლი (კანტორები) – ცალკეული ბანკირის ან ბანკირთა ჯგუფის კუთვნილი საბანკო დაწესებულება, წარმოიშვა იტალიაში (XIVს.) მევახშეობის განვითარების ბაზაზე. დასაწყისში ასრულებდნენ სავაჭრო და საბანკო ოპერაციებს, შემდეგ კი – მხოლოდ საბანკო ოპერაციებს.

საბანკო სახსრები – ფინანსური რესურსების სახესხვაობა, შემადგენელი ნაწილი, რომელიც ბანკების საკუთარ და მოზიდულ სახსრებს მოიცავს.

საბანკო სესხი (bank loan) – ბანკის ფულადი სახსრები, გაცემული კრედიტის სახით პროცენტის გადახდის წესით. განასხვავებენ მოკლევადიან საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხს.

საბანკო სისტემა – 1. ამა თუ იმ ქვეყნის სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებების ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული და კანონებითაა განმტკიცებული. ისევე, როგორც ფულადი და საფინანსო სისტემები, საბანკო სისტემაც ეროვნული ნიშან-თვისებების მატარებელია. მის ჩამოყალიბებასა და გარდაქმნაზე გავლენას ახდენს იმ ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებიც მოცემულ რეგიონს ახასიათებს. ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები, კლიმატი, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, მისი საქმიანობა და დასაქმება, მეზობლებთან ურთიერთობა, სავაჭრო გზები და ა.შ. 2. საბანკო სისტემის,როგორც ერთიანი მთელის ფუნქციონირების შედეგებზე მოქმედი შიდა ფაქტორები, ის ფაქტორებია, რომელსაც თვით საბანკო სისტემის სუბიექტები – ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკები და საბანკო ასოციაციები აყალიბებენ.

საბანკო სისტემა – არის სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებული ბანკისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების

ერთობლიობა, რომლებიც ერთიანი საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის ჩარჩოებში მოქმედებენ. საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა მოიცავს იმ ცალკეული ელემენტების, ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ საბანკო საქმიანობაში. აგრეთვე მათ შემადგენლობას, ამოცანებს, ფუნქციებს და ოპერაციებს, სფეროებს, ურთიერთკავშირსა და იერარქიას.

საბანკო სისტემა – ორდონიან საბანკო სისტემაში პირველ დონეზე ცენტრალური ბანკი იმყოფება, ხოლო მეორეზე – კომერციული ბანკების და სხვა საანგარიშსწორებო საკრედიტო დაწესებულებების ქსელი.

საბანკო სისტემა – ერთგვარ ზედნაშენად გვევლინება და მისი წარმატებით რესტრუქტურირება იმის ცოდნით შეიძლება, თუ როგორია ბაზარი, ე.ი. როგორ ეკონომიკას გაუწევს იგი მომსახურებას.

საბანკო სისტემის – მეორე დონე წარმოდგენილია უპირველეს ყოვლისა, კომერციული ბანკის ფართო ქსელით, რომლებიც საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურებას უწევენ სამეურნეო სუბიექტებს. ამავე დონეში შედის სპეციალური ბანკებიც: ჰიპოთეკური ბანკები; საინვესტიციო ბანკები; მუნიციპალური ბანკები; შემნახველი ბანკები; სპეციალიზებული დარგობრივი ბანკები.

საბანკო სისტემის, – როგორც ერთიანი მთელის, ფუნქციონირების შედეგებზე მოქმედ შიდა ფაქტორებს თვით საბანკო სისტემის სუბიექტები – ცენტრალური ბანკი, კომერციული ბანკები და საბანკო ასოციაციები აყალიბებენ.

საბანკო სისტემის აგების იერარქიული პრინციპი – საბანკო სისტემაში გამოყოფენ ცალკეულ სეგმენტებს – არასტრუქტურული დაქვემდებარების ნორმატიულად დაფიქსირებულ ურთიერთობებს. ზედა იერარქიული დონე მოიცავს ცენტრალურ ბანკს; შესაძლოა დემონოპოლიზებული დონის პარალელები. ქვედა დონე კი – ყველა ტიპის საკრე-

დიტო დაწესებულებებს და გარკვეულწილად, კომერციული საბანკო გაერთიანებებსა და საბანკო ინფრასტრუქტურას.

საბანკო სისტემის აგების ფუნქციურ-მარეგულირებელი პრინციპები – საბანკო სისტემას ყოფს ცალკეულ სეგმენტებად - ფენებად, რისი საფუძველიცაა მისი შემადგენელი ელემენტების ფუნქციები, მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების სპეციალიზაცია, ზედამხედველობის მოთხოვნების ხასიათი და საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებათა სიმკაცრე.

საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა – მოიცავს იმ ცალკეული ელემენტების, ორგანიზაციული სტრუქტურების (დაწესებულებების და ორგანიზაციების) ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ საბანკო საქმიანობაში. აგრეთვე მათ შემადგენლობას, ამოცანებს, ფუნქციებს და ოპერაციებს, სფეროებს, ურთიერთკავშირსა და იერარქიას. საბანკო სისტემის აგების ინსტიტუციური სქემა რამდენიმე პრინციპს ეყრდნობა: იერარქიული, ფუნქციურ-მარეგულირებელი, ორგანიზაციულ-იერარქიული.

საბანკო სისტემის ლიკვიდობა – ფართო გაგებით არის ნაციონალური საბანკო სისტემის ისეთი ორგანიზაცია, ერთიანი ბაზა, რომლის დროსაც ღირებულებების თავისდროული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა ხდება ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში. ვიწრო გაგებით საბანკო სისტემის ლიკვიდობის ქვეშ გულისხმობენ მიმოქცევაში ფულადი მასის და ხანგრძლივი ვადების რეალიზაციის სხვა აქტივებს, ე.ი. აქტივებს რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბანკო სისტემაში ვალდებულებათა დაფარვისათვის. საბანკო სისტემის ლიკვიდობა უზრუნველყოფილია, პირველ ლიგაში, მაღალლიკვიდური სახსრების საკმარისი რაოდენობით (მიმოქცევაში ფულის მასის მოცულობით), მეორე მხრივ, საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების საიმედობით, ანგარიშსწორე-

ბით ეფექტური ორგანიზაციით, მესამე ეროვნული და მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობის სტაბილურობით ეროვ-ნულ ეკონომიკაში, რომელიც შეეხება ინფლაციის დაბალ დონეს, ბიუჯეტის დეფიციტისა და სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებას ქვეყანაში.

საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე – მოქმედებს შემდეგი ფაქტო-რები: კომერციულ ბანკებზე ზედამხდველობის ეფექტია-ნობა ცენტრალური ბანკის მხრიდან; მაღალლიკვიდური სახსრების (მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის მოცულო-ბის) რაოდენობის საკმარისობა; ეროვნული ეკონომიკის მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მდგრადობა. ლიკვიდობაზე მოქმედი შიდა ფაქტორების რიცხვშია: აქტიური და პასიური ოპერაციების შესაბამისობა დაფარ-ვის ვადების მიხედვით; აქტივების ხარისხი; საკუთარი სახსრების საკმარისობა და მოზიდული სახსრების სტაბილურობა; საქმიანობის დადებითი ფინანსური შედეგები. გარე ფაქტორებს ეკუთვნის ფულისა და ფინანსური ბაზრების განვითარება და ქვეყნის საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვის ხარისხი.

საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაცია – მისი გლობალური სანაციის (გაუმჯობესების) მართვადი პროცესია, რომელ-საც ხელს უწყობს სამრეწველო, ფულის, საგადასახადო, საბიუჯეტო და საინფორმაციო პოლიტიკაში, აგრეთვე თვით კომერციული ბანკების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, და რომელიც ეფექტიანი, საიმედო, დინამიკურად განვითარებადი და სახალხო მეურნეობის თანამედროვე მოთხოვნილებების ადეკვატური საბანკო სისტემის ფორმირებისაკენაა მიმართული.

საბანკო სისტემის საბაზრო ნიშნები (პრინციპები) – მოიცავს: სისავსე, ე.ი. იმ ელემენტების არსებობა, რომლებიც მთლიანად აყალიბებენ ერთობლიობას, შედარებით ჩაკე-ტილ კომპლექსში; სტრუქტურირება ე.ი. მსგავსი საკლასი-ფიკაციო ნიშან-თვისებების მიხედვით ცალკეული ელე-

მენტების დაჯგუფება სეგმენტებად; სისტემის მთლიანობა გულისხმობს მისი უზრუნველყოფისა და ფუნქციონირებისათვის ყველა აუცილებელი ელემენტების არსებობას. ურთიერთკავშირი გულისხმობს სისტემის ცალკეულ ელემენტებს შორის ურთიერთქმედებას და ურთიერთგანპირობებულობას, როგორც მისი არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელ პირობას.

საბანკო სისტემის ორგანიზაციული სქემა – აერთიანებს მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი კრედიტების იმ სახეებსა და ფორმებს, რომლებშიც ბანკის ტიპის დაწესებულებები მონაწილეობენ. სქემის სტრუქტურირება ხდება კრედიტის ფორმებისა და ბანკების მონაწილეობის ხასიათის მიხედვით.

საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პრინციპი – მმართველობა, ევოლუციურობა, ადეკვატურობა, ფუნქციონური სისრულე, კარგახსნილობა, ეფექტიანობა, ადეკვატური სამართლებრივი თანხლება.

საბანკო ტიპის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები – ვიწრო სპეციალიზებული დაწესებულებები, განსაკუთრებული ფორმის ორგანიზაციით, რომელიც აუცილებლად ახორციელებს ბანკების დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობის შემცველ, მაგრამ არასრული მოცულობის ერთი ან რამდენიმე ოპერაციას.

საბანკო სფეროში მმართველური შრომის – სპეციფიკური თავისებურებები: კვალიფიკაციისადმი დიდი მოთხოვნები შრომითი საქმიანობის მიმართულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაზე; სამეწარმეო ხასიათი; შრომის უპირატესად ინდივიდუალური ხასიათი; განსაკუთრებული მოთხოვნები მუშაკთა შრომის სარესურსო (უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო) უზრუნველყოფის მიმართ (სრულ და სარწმუნო ინფორმაცია); ბანკის ხელმძღვანელთა და მუშაკთა მთელი რიგი კატეგორიების შრომაში სტრესულობის გამოკვეთილი ელემენტი.

საბანკო ტრატა მესამე მხარის მიერ ან ერთი ბანკის მიერ მეორის, ან საბანკო განყოფილების მიერ ცენტრალური განყოფილების (ან პირიქით), ან იმავე ბანკის სხვა განყოფილების სასარგებლოდ გამოღებული ტრატაა. ორივე შემთხვევაში ტრატა უნდა შეესაბამებოდეს მისი განმაღდებელი ქვეყნის მიერ ჩეკებისათვის გათვალისწინებულ სპეციფიკაციებს.

საბანკო ფინანსური მენეჯმენტის – შედარებით ახალი მიმართულებაა აქტივებისა და პასივების მართვა. საბანკო საქმის თანამედროვე თეორიაში აქტივებისა და პასივების მართვას განმარტავენ, როგორც ბანკის ბალანსის კოორდინირებულად მართვას რომელიც ითვალისწინებს ლიკვიდობისა და პროცენტის განაკვეთის ცვლილებათა ალტერნატიულ სცენარებს. აქტივებისა და პასივების მართვის არსი ისაა, რომ იგი ერთ კოორდინირებულ პროცესად აერთიანებს პორთფელის მართვის ცალკეულ, რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე გამოყენებულ მეთოდებს (ე.ი. აქტივების, პასივებისა და სპრედის მართვის მეთოდებს). ამგვარად აქტივებისა და პასივების მართვის ძირითადი ამოცანაა ბალანსის არა ცალკეული ნაწილების, არამედ მთელი ბალანსის კოორდინირებულად მართვა.

საბაჟო – არის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც ემსახურება სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, გადასახადის აკრეფას და ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის დაცვას.

საბაჟო ბროკერი – კომერციული ორგნიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს იურიდიულ პირს და მიღებული აქვს ლიცენზია საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისაგან საბაჟო ბროკერის სახით საქმიანობის განხორციელებაზე.

საბაჟო გადასახადით – იბეგრება საქონლის უცხოეთიდან შემოზიდვა და უცხოეთში გადაზიდვა. არსებობს შემოზიდვის გადაზიდვისა და ტრანზიტის ბაჟები. მისი თავისებური სახეებია: ფისკალური, პროდუქციონისტური და სტატის-

ტიკური ბაჟები. ცნობილია აგრეთვე ავტომატური, ხელშეკრულებითი პრეფერენციული სპეციფიკური და ფასეულობითი ბაჟები.

საბაჟო დეკლარაცია – საქონლის იმპორტის ან ექსპორტის დროს ტვირთის განმკარგავის მიერ საბაჟოსათვის წარდგენილი განცხადებაა. საბაჟო დეკლარაცია საბაჟოს წარედგინება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, რომლის ათვლა წარმოებს საბაჟოზე საქონლის მისვლის დღიდან და მერყეობს ერთი დღიდან ორ კვირამდე.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო – დამოუკიდებელი სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1950 წელს ქ. ბრიუსელში მსოფლიო საბაჟო პრაქიკის მრავალმხრივი რეგულირების მიზნით და ასრულებს მაკოორდინირებელი და მეთოდური ცენტრის როლს საბაჟო კონტროლის სფეროში.

საბაჟო თანამშრომლობის საბჭო (Customs Cooperative Consil) – შეიქმნა 1950 წელს საბაჟო საქმიანობის სრულყოფის მიზნით. თადაპირველად საბჭო ფუნქციონირებდა როგორც საკონსულტაციო ორგანო ამასთან, იგი ქმნიდა საბაჟო თანამშრომლობის პროექტებს, შესაბამის ორგანიზაციებს აწვდიდა ინფორმაციას საბაჟო პროცედურების შესახებ და ახორციელებდა ზედამხედველობას საერთაშორისო ნორმების დაცვის მიზნით. გარდა ამისა, საბჭო, რომელიც 1985 წელს უკვე აერთიანებდა 85 ქვეყანას, ტექნიკურ დახმარებას უწევდა იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი საბაჟო ტარიფების სისტემა გარდაექმნათ ბრიუსელის სატარიფო კლასიფიკაციის შესაბამისად.

საბაჟო კავშირი – ითვალისწინებს ერთიან საგარეო სავაჭრო ტარიფებსა და მესამე ქვეყნის მიმართ ერთიანი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებას.

საბაჟო კავშირი (Customs Union) – ქვეყნების ჯგუფი, რომელთა შიგნით ლიკვიდირებულია საბაჟო შეზღუდვები. ეს ქვეყნები ატარებენ შეთანხმებულ საგარეო სავაჭრო პოლიტიკას სხვა ქვეყნებთან და ადგენენ საერთო საგარეო

საბაზრო ტარიფს იმპორტზე თუმცა სატარიფო განაკვეთი სხვადასხვა საქონელზე შეიძლება განსხვავებული იყოს.

საბაჟო კავშირი – საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, რომლის შესაბამისად საგარეო სავაჭრო შეზღუდვის გაუქმებასთან ერთად წესდება ერთიანი საბაჟო ტარიფი და ხორციელდება ერთიანი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა (ჰარმონიზაცია) მესამე ქვეყნების მიმართ.

საბაჟო პოლიტიკა – არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი თამაშის წესები საბაჟო სფეროში, რომლის მიზანი გაცვლით განპირობებული განაწილების მართვაა.

საბაჟო ტარიფი – საქონლის სისტემატიზირებული ჩამონათვალი, რომელიც იბეგრება ბაჟით მათ მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას.

საბაჟო ტარიფები – ბაჟების სისტემატიზირებული ჩამონათვალია, რომელითაც იბეგრება საქონელი იმპორტირებისას, ზოგიერთ შემთხვევაში – აგრეთვე ექსპორტირებისას.

საბაჟო ტერიტორია – ერთიანი საბაჟო დაწესებულების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიაა.

საბაჟო უწყება მიწოდების შესახებ (საბაჟო განთავისუფლება) – დოკუმენტია, რომლის თანახმად ხდება საბაჟო ხელისუფლების მიერ საქონლის გაშვება საბაჟო ტერიტორიიდან და მისი გადაცემა დაინტერესებული მხარის განკარგულებაში.

საბითუმო ბაზის საწყობები – ესაა ლოჯისტიკური ჯაჭვის რგოლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის გადაადგილებას წარმოებიდან მომხმარებლამდე.

საბითუმო ვაჭრობა – უშუალოდ მწარმოებლიდან დიდი პარტიებით პროდუქტების შესყიდვა, საცალო სავაჭრო ფირმებისა და სხვა პირებისაგან.

საბითუმო ვაჭრობა (whole safe trade) – შიდა ვაჭრობის ფორმა რომელიც გულისხმობს მწარმოებელი საწარმოების მიერ სამომხმარებლო საქონლის დიდი პარტებით გაყიდვას საცალო ვაჭრობის საწარმოებზე ან წარმოების საშუალე-

ბების ნაწილის მიყიდვას ამ პროდუქციის მომხმარებელი საწარმოებისათვის.

საბითუმო ფასი (whholosafe price) – ფასი, რომლითაც საკუთრების ნებისმიერი ფორმის მქონე საწარმო ან გამსაღებელი ორგანიზაცია თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენს. მსხვილი პარტიებით (ბითუმად) გასაყიდი საქონლის ფასი. ჩვეულებრივ, ფასი საქონლის დიდ პარტიებზე შედარებით ნაკლებია ვიდრე მცირე და საგრძნობლად დაბალია საცალო ფასზე. განასხვავებენ საწარმოს საბითუმო ფასსა და მრეწველობის საბითუმო ფასს.

საბითუმო ფირმები (wholesaler, wolesalemerchants) – ასრულებენ შუამავლის როლს სამრეწველო ან დამამზადებელ საწარმოებსა და საცალო სავაჭრო ფირმებს შორის. ისინი უცხოეთში საკუთარი ხარჯით ყიდულობენ მსხვილპარტიებს და ადგილობრივ ბაზარზე აწარმოებენ მის რეალიზაციას.

საბირჟო გადასახადი – თანხა, რომელსაც იხდიან ბირჟის წევრები და დამსწრეები საბირჟო გარიგების შესრულების უფლებისათვის.

საბირჟო კანონმდებლობა – კანონების ნუსხა, რომელიც არეგულირებს ვაჭრობას ბირჟაზე. საბირჟო კანონმდებლობის ძირითადი ამოცანაა თავიდან აიცილოს ფასების მანიპულაცია და გაკოტრებები; დაიცვას წერილი ფირმების და სპეკულიანტების ინტერესები.

საბირჟო კოტირება – საბირჟო გარიგების ფაქტობრივი ფასი ანუ ფიუჩერსულ ბირჟაზე მყიდველის ან გამყიდველის შეთავაზებული ფასი გარიგებაზე, რომელიც საჯაროდ რეგისტრირდება, (კოტირდება) ელექტრონულ დაფაზე და მაშინვე ეცნობება ყველა დაინტერესებულ პირს. საბირჟო კოტირება გამოიყენება რეალურ საქონელზე გარიგების დადების საფუძვლად, რომელსაც ემატება პრემია, ან რომელსაც აკლდება ფასი საქონლის ხარისხის და მიწოდების პირობების შესაბამისად.

საბირჟო კოტირების ფასები – ბირჟაზე განხორციელებული გარიგებების რეალური ფასებია. მათი ანალიზის დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ბირჟაზე ფართოდ გავრცელებული სპეკულაციური ოპერაციების გამო, ყოველ კონკრეტულ მომენტში საბირჟო კოტირების ცვლილებები შეიძლება ვერ ასახავდნენ ფასების რეალურ ტენდენციას.

საბირჟო კრება (სესია) – დროის პერიოდი საბირჟო დღის განმავლობაში როცა ბირჟაზე მიმდინარეობს ვაჭრობა.

საბირჟო ვაჭრობა ფიუჩერსებზე – საფინანსო ინსტრუმენტების საქონლის ყიდვაზე ან გაყიდვაზე გარიგებები მომავალში მათი მიწოდების პირობით.

საბირჟო კურსი – ბირჟაზე მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების) გასაყიდი ფასი. პირდაპირ დაკავშირებულია დივიდენდის სიდიდეზე და უკუკავშირშია სასესხო პროცენტის ნორმასთან. აქციის ნომინალური ფასი საბირჟო კურსზე გავლენას არ ახდენს, რადგანაც აქცია არ ექვემდებარება მისი გამომშვები საწარმოს გამოსყიდვას.

საბირჟო ოპერაციები – სხვადასხვა საბირჟო გარიგების ერთობლიობა. საბირჟო ოპერაციები მოიცავს სპეკულაციურ გარიგებებს, ჰეჯირებას, საბირჟო კონტრაქტებით საქონლის მიწოდებას და ოფციონს.

საბირჟო ორმო – ბირჟის სავაჭრო დარბაზის ნაწილი, რომლის იატაკი უფრო დაბალ დონეზე იმყოფება ვიდრე მთლიანი დარბაზის იატაკი. ეს ის ადგილია, სადაც ნებადართულია ბირჟის წევრების მიერ საბირჟო გარიგების დადება.

საბირჟო საქონელი – რომელზედაც გარიგებები სასაქონლო ბირჟებზე ხორციელდება – ესაა მარცვლეული, შაქარი, ბამბა, ნატურალური კაუჩუკი, ფერადი ლითონების ცალკეული სახეები. არასაბირჟო საქონლის რეალიზაცია ხდება მოკლე და გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე. ამ ჯგუფში შედის ნავთობი, ბუნებრივი აირი, ხე-ტყე და ა.შ.

საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ტენდენციაა მსოფლიო ექსპორტში სათბობ-ენერგეტიკული საქონლის ხვედრითი წონის ცვლილება.

საბირჟო საქონელი (commodity exchange comnodity market) - მასობრივი წარმოების სტანდარტული და ერთობლივი საქონელი რომლის რეალიზაციაც შეიძლება დიდი პარტიებით ნიმუშების ან ტექნიკური დოკუმენტების მიხედვით. საბირჟო საქონელია: ხორბალი, სიმინდი, შვრია, ზეთის ხილის ზოგიერთი პროდუქტი, ფერადი ლითონი (სპილენძი, ალუმინი და სხვა), სამასალე მერქნის ზოგიერთი სახეობა, ენერგომატარებლების ნაწილი (ნავთობი, სათბობი, მაზუთი, გაზი პროპანი და ა.შ.), ბამბა, შაქარი, კაკაო, ცოცხალი და დაკლული რქოსანი პირუტყვი და სხვ.)

საბიუჯეტო ანგარიშები – ის ანგარიშებია, რომლებსაც საწარმოებსა და ორგანიზაციებს უხსნიან ფედერალური, რეგიონული ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მათთვის ფულადი სახსრების გამოყოფის დროს გარკვეული სახეობების საქმიანობის განხორციელებისათვის. ფულადი სახსრების გამოყოფის ფორმა შესაძლოა იყოს სუბსიდიები, სუბვენციები, დოტაციები, ან სახელმწიფო ასიგნაციებისა და დაფინანსების სხვა სახეობები, თუ ეს არ ხორციელდება მიმდინარე ან ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის გზით.

საბიუჯეტო გამოკვლევა – მოსახლეობის შემოსავლის, გასავლის, და მოხმარების შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევა.

საბიუჯეტო დეფიციტი – სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გადამეტება მის შემოსავალზე.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია – შემოსავალთა და ხარჯთა გარკვეული სახით დაჯგუფება; საბიუჯეტო კლასიფიკაცია, არკვევს წყაროებს, საიდანაც, სახელმწიფო შემოსავალს ღებულობს და იმ მიზნებს, რისთვისაც სახსრები იხარჯება.

საბიუჯეტო მოწყობა – წარმოადგენს საბიუჯეტო სისტემის, მისი სტრუქტურისა და მასში გაერთიანებული ბიუჯეტე-

ბის ურთიერთკავშირის აგების ორგანიზაციულ პრინციპებს.

საბიუჯეტო ნაკრები – საქონლის და მომსახურების ჩამონათვალი, რომელიც ახასიათებს მოხმარების მოცულობას და სტრუქტურას ოჯახზე და მოსახლეობის სულზე გაანგარიშებით.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა (fiscal policy) –სახელმწიფო ხარჯების, საგადასახადო განაკვეთისა და სახელმწიფო სესხების დონის რეგულირების პოლიტიკა ეკონომიკური აქტიურობის საერთო დონეზე ზემოქმედების მიზნით.

საბიუჯეტო სისტემა – წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტების ერთიანობას რომელიც დაფუძნებულია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე. იგი აგებულია ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტების ეკონომიკურ ურთიერთობათა და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობაზე.

საბიუჯეტო ორგანიზაციად – ითვლება სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრების ბაზაზე შექმნილი ორგანიზაცია, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ დადგენილი ნორმების, ნორმატივებისა და წესების მიხედვით ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით.

საბიუჯეტო სისტემის – წამყვან რგოლს სახელმწიფო ბიუჯეტი ასრულებს და იგი სახელწიფოს ფინანსურ გეგმას წარმოადგენს. ქვეყნის ბიუჯეტი პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ კანონის ძალას ღებულობს და მისი შეუსრულებლობა დასჯადი უნდა იყოს. ბიუჯეტი ეკონომიკურ ფულად ურთიერთობებს გამოხატავს, რომლებიც სახელმწიფოს ფულად სახსრების ცენტრალიზებული ფონდის შექმნისა და გამოყენების პროცესშია წარმოშობილი.

საბიუჯეტო ფედერალიზმი (budget federalism) – ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო მოწყობის ფორმა არა მხოლოდ ფინანსური რესურსების არამედ საგადასახადო

უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილება. საბიუჯეტო ფედერალიზმი არის დაბეგვრისა და სახელმწიფო ხარჯების სისტემა რომელიც გულისხმობს შემოსავლების მიღებასა და ხარჯების მართვაში გარკვეული უფლებების სახელმწიფო მართველობის სხვადასხვა დონეებისათვის – ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოებისათვის. საბიუჯეტო ფედერალიზმი ასახავს ქვეყნის ფინანსური სისტემის ფუნქციონირების წესს.

საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელები (budget federalism models) – არსებობს დეცენტრალიზებული და კოოპერატიული მოდელები.

საბიუჯეტო წელი – კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების და შესრულების წლიური ვადა (აშშ-ში 1 ოქტომბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში 1 აპრილიდან 31 მარტის ჩათვლით და ა.შ.).

საბლანკო კრედიტი – კრედიტი, რომელიც მოიცემა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის გარეშე. ბანკები აძლევენ მეტწილად სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე კერძო პირებს. საბლანკო კრედიტით სარგებლობენ ძირითადად კლიენტები, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობები ბანკებთან, მიანდობენ მას თავიანთ ფინანსურ ოპერაციებს და გააჩნიათ მაღალი გადახდისუნარიანობა.

საბლანკო ინდოსამენტი (endorsement) – გადაცემის აღმნიშვნელი წარწერა ბენეფიციარის სახელის მიუთითებლად.

საბოლოო მოხმარება (final consumption) – საქონლისა და მომსახურების საბოლოო გამოყენების პროცესი.

საბოლოო პროდუქტი – ამა თუ იმ საწარმოო რგოლის (საწარმო, გაერთიანებები, დარგი და ა.შ.) მიერ შექმნილი პროდუქცია დროის განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც მოცე-

მული რგოლის ფარგლებში არ შედის მიმდინარე საწარმოო მოხმარებაში.

საბოლოო პროდუქტი (end-product) – საბოლოო გამოყენებისათვის და არა შემდგომი გადამუშავებისათვის წარმოებული პროდუქტი.

საბოლოო ფასის დადგენა – ფასწარმოქმნის განხილული მეთოდების ძირითადი ამოცანაა დიაპაზონის დავიწროება, რომლის ფარგლებში უნდა დადგინდეს საბოლოო ფასი. საბოლოო ფასის დადგენისას კომპანიამ უნდა განიხილოს ისეთი დამატებითი ფაქტორები, როგორიცაა: ფასზე მარკეტინგ-მიქსის სხვა ელემენტების გავლენა, საკუთარი საფასო პოლიტიკა, რისკებსა და მოგებაში მონაწილეობა. ფასის გავლენა სავაჭრო საქმიანობის სხვა მონაწილეებზე.

საბროკერო ოპერაციები – ითვალისწინებენ გამყიდველსა და მყიდველს შორის, აგრეთვე დამზღვევსა და მზღვეველს შორის, გემთმფლობელსა და დამფრახტავს შორის კონტაქტების დამყარებას შუამავლების - ბროკერების (ინგლ. - broker,ფრ.- courtier, გერმ. – maker)მეშვეობით. ბროკერი მოქმედებს ცალკეული დავალებების საფუძველზე, მუდამ ასრულებს მხოლოდ შუამავლის როლს (არაა კონტრაქტის მხარე), რომელიც აკავშირებს მყიდველსა და გამყიდველს ხელშეკრულების დადების მიზნით.

საბროკერო ფირმა (brokerage firm) – საშუამავლო ფირმა, რომელიც სპეციალიზებულია საშუამავლო საბირჟო ოპერაციებზე.

საბროკერო ფირმების (brokers) – ფუნქციაა კონტრაჰენტთა დაკავშირება.

საბრუნავი აქტივები – არის მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები, მათ მიეკუთვნება აქტივები, რომლებიც ძირითადად სავაჭრო დანიშნულებით ან სხვა მოკლევადიანი მიზნებისათვისაა განკუთვნილი. მათ მიეკუთვნება ფულადი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც არ არის შეზღუდული.

საბრუნავი კაპიტალი (current capital) – კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც წარმოებას ემსახურება ერთი ციკლის მანძილზე. მისი ღირებულება მთლიანად გადადის მზა პროდუქციის ღირებულებაში.

საბრუნავი სალარო არის სალარო – რომელშიც საოპერაციო დღის დასრულებამდე შემოსული ყველა ნაღდი ფული საბრუნავმა სალარომ აუცილებლად უნდა აიღოს შემოსავალში და იმავე სამუშაო დღეს ჩარიცხოს შესაბამის ანგარიშებზე. საწარმოებისთვის, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისთვის ნაღდი ფულის გაცემა საბრუნავი სალაროდან ხდება. კომერციული ბანკის ამოცანაა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი ნაღდი ფულით თავისი კლიენტების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საბრუნავი სახსრების ნორმა – ფარდობითი სიდიდეა, რომელიც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების ეკონომიკურად დასაბუთებულ მინიმალურ მოცულობას შეესაბამება და იგი ჩვეულებრივად დღეებში დგინდება.

საბრუნავი სახსრების ნორმატივი – მინიმალურად საჭირო ფულადი სახსრების ჯამს წარმოადგენს, რომელიც განისაზღვრება როგორც ერთდღიური ხარჯის ან გამოშვების სიდიდის ნამრავლი სახეობების მიხედვით საბრუნავი სახსრების ნორმაზე.

საბუღალტრო აღრიცხვა – არის აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა, რომლის მიზანია საწარმოო რესურსების და მათ ეფექტიან გამოყენებაზე შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც მოცემულია საფინანსო ანგარიშგებაში, ე.ი. საბუღალტრო აღრიცხვა, ეს არის ეკონომიკური ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გამოყენების პროცესი დასაბუთებული გადაწყვეტილებებისა და შეფასებისათვის მის მფლობელთა მიერ.

საგადასახადო აგენტად – ითვლება პირი, რომელსაც საგადასახადო კოდექსის ან საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტის შესაბამისად ეკისრება გადახდის გამოანგარიშების,

გადამხდელისათვის მისი დაკავებისა და სათანადო ბიუ-ჯეტში (სახელმწიფო ფონდში) გადარიცხვის მოვალეობა.

საგადასახადო ბალანსი (balance of payments) – სტატისტიკური ანგარიში, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ყველა ფულად შემოსავალსა და სხვა ქვეყნებისათვის გადახდილ გადასახდელებს შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. მასში ასახული ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობა ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის. არსებობს აქტიური და პასიური საგადასახდელო ბალანსები. ტერმინი საგადასახდელო ბალანსი გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია „საბაზრო საგადასახდელო ბალანსი“ და „საანგარიშსწორებო საგადასახდელო ბალანსი“. პირველი ტერმინი გამოხატავს მიმდინარე თანაფარდობას გადასახდელების ორ ნაკადს შორის – ქვეყანაში შემოსულ და მისგან გასულ ნაკადებს შორის. მეორე ტერმინი საანგარიშსწორებო საგადასახდელო ბალანსი – სტატისტიკური ანგარიშია. იგი აღრიცხავს ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანუ ასახავს საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაკადების მოძრაობას ეროვნულ ეკონომიკასა და საზღვარგარეთს შორის.

საგადასახდელო ბალანსი, არეგულირებს ოპერაციებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. სტრუქტურულად ბალანსი შედგება სამი ძირითადი ანგარიშისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს სავაჭრო ბალანსს, შემოსავლის ბალანსს და მიმდინარე ტრანსფერებს. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში მოიცავს: კაპიტალურ ტრანსფერებს, პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს და სხვა ინვესტიციებს.

მონაცემები საგადასახდელო ბალანსის შესახებ გვაძლევს საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე, ვინაიდან ისინი ასახავენ ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას საერთაშორისო ბაზარზე. დადებითი საგადასახდელო ბალანსი მეტყველებს იმაზე, რომ გარკვეული დროის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში შემოდის იმაზე მეტი ფული, ვიდრე გადის იმავე პერიოდში.

საგადასახადო ბალანსი – დოკუმენტია, რომლითაც ხდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების რეზიდენტებს შორის განხორციელებული ყველა ეკონომიკური გარიგების ან ვალდებულების შეჯიბრება.

საგადასახადო ბალანსი – თანაფარდობა ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად შემოსავლებსა და სხვა ქვეყნებისათვის გადახდილ გადასახდელებს შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. არსებობს აქტიური და პასიური საგადასახდელო ბალანსები. ტერმინი „საბაზრო საგადასახდელო ბალანსი“ გამოხატავს მიმდინარე თანაფარდობას გადასახდელების ორ ნაკადს შორის ქვეყანაში შემოსულ და მისგან გასულ ნაკადებს შორის. ტერმინი „საანგარიშსწორებო საგადასახდელო ბალანსი“ – სტატისტიკური ანგარიშგება. იგი აღრიცხავს ეკონომიკური ოპერაციების ერთობლიობას ეროვნულ ეკონომიკასა და დანარჩენ სამყაროს შორის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანუ ასახავს საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობას ეროვნულ ეკონომიკასა და საზღვარგარეთს შორის. საგადასახადო ბალანსი არეგისტრირებს ოპერაციებს – ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. სტრუქტურულად ბალანსი შედგება სამი ძირითადი ანგარიშისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში, კაპიტალის ანგარიში და ფინანსური აინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს და სხვა ინვესტიციებს.

საგადასახადო ბალანსში – გამოიყენება ორმაგი ბუღალტრული ჩანაწერი-დებეტური, რომელიც ასახავს შემოსავალს (+) და

კრედიტული, რომელიც წარმოადგენს გასავალს (-). ორმაგი ბუღალტრული ჩანაწერის გამოყენების მიუხედავად, საგადასახადო ბალანსი განსხვავდება ჩვეულებრივი საბუღალტრო აღრიცხვისაგან.

საგადასახადო ბაზრის აღრიცხვის მეთოდი – გადასახადით დასაბეგრი ბაზა შეიძლება ყოველთვის არ დაემთხვეს გადასახადით დაბეგვრის ობიექტს. დასაბეგრი ბაზის დასადგენად აუცილებელია შესაბამისი აღრიცხვის წარმოება რომლის საფუძველია საბუღალტრო აღრიცხვა, რომლის მექანიზმი არსებითად განსხვავდება საბუღალტრო მეთოდისაგან.

საგადასახადო და საანგარიშო პერიოდები – საგადასახადო პერიოდი ეს ის დროა რომლის განმავლობაშიც მთავრდება გადასახადით დასაბეგრი ბაზის ფორმირების პროცესი და განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა. საანგარიშო პერიოდი მოიცავს იმ დროს რომლის განმავლობაში საგადასახადო ვალდებულებები უნდა დაფიქსირდეს საგადასახადო-საანგარიშსწორებო დოკუმენტში ანუ საგადასახადო დეკლარაციაში და წარდგენილ იქნეს საგადასახადო ორგანოებში დადგენილ ვადებში.

საგადასახადო განაკვეთი (tax rate) – შემოსავლების, სამომხმარებლო ხარჯების ან მოგების პროცენტული წილი, რომელსაც სახელმწიფოს უხდის ყველა იურიდიული პირი და ფიზიკური პირი, თუკი მათ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისი დაბეგვრა ეხებათ.

საგადასახადო განაკვეთი – ანუ გადასახადის ოდენობა და დასაბეგრი ობიექტის ერთეულზე (პროცენტში ან ფულად ერთეულში). განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო განაკვეთის დაწესებას საფუძვლად უდევს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები.

საგადასახადო დავალება – წარმოადგენს კლიენტის მიერ ბანკისადმი ბრძანებას მისი ანგარიშიდან მითითებული თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით, და რომელიც შესასრულებლად მიიღება მხოლოდ ანგარიშზე შესაბამისი

თანხის არსებობის პირობებში. იგი გამოიყენება უპირატესად საქონელზე და მომსახურებაზე წინასწარ გადახდისას, გეგმიური გადასახადების სახით ანგარიშსწორებისას, ფინანსურ სისტემაში შენატანების გადახდისას.

საგადასახადო დავალება – ეს დოკუმენტი წარმოადგენს დავალებას ბანკისადმი გადამხდელის ანგარიშიდან ჩამოწეროს საგადასახადო დავალებაში მითითებული თანხა და გადაურიცხოს მიმღებს.

საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.

საგადასახადო დეკორაცია – არის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებაზე დაფიქსირებული სპეციალური საგადასახადო-საანგარიშსწორებო დოკუმენტში.

საგადასახადო დეკლარაცია – გადამხდელის განცხადება, რომლითაც იგი საფინანსო უწყებას ატყობინებს თავის შემოსავალს, მის სიდიდეს, შემოსავლის წყაროს და ოჯახის შემადგენლობას. ეს დეკლარაცია და საბუთები, რომლებიც ადასტურებენ გადასახად-გადამხდელის ცნობების სისწორეს, საფუძვლად ედება დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრას და მასზე გადახდის შეწერას. საგადასახადო დეკლარაცია არის ორგვარი: 1. სავალდებულო – გამოიყენება საშემოსავლო გადასახადის, მემკვიდრეობის, ახლის, სარეწაო გადასახადების და ბაჟეების გადახდის დროს; 2. ფაკულტატური – გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი გარკვეულ თანხას აღემატება.

საგადასახადო დეკლარაცია (გადასახადი დამატებული ღირებულებაზე) დოკუმენტია, რომელშიც იმპორტიორი, უჩვენებს დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ასაკრეფად კომპენტეტური ორგანოსათვის საჭირო მონაცემებს.

საგადასახადო იმუნიტეტი – განსაკუთრებულ პრივილეგიურ პირთა გათავისუფლება გადასახადებისაგან. მაგალითად,

მონათფლობელურ საზოგადოებაში – ყველა თავისუფალი მოქალაქე ფეოდალურ საზოგადოებაში – სამღვდელოება და თავადაზნაურობა; დღევანდელ პირობებში საელ-ჩოებისა და მისიების დიპლომატიური პერსონალი და მათი ოჯახის წევრები.

საგადასახადო მატრიცა – გადაწყვეტილებათა მიღების სტატის-ტიკური მეთოდი, რომელიც ეხმარება ხელმძღვანელს მოახდინოს არჩევანი შესაძლო ალტერნატივებიდან.

საგადასახადო კადასტრი – დასაბეგრი ობიექტის დაყოფა გარკვეულ თანხებად შემოსავლის რაოდენობის მიხედვით და თითოეული მათგანისათვის გადასახადის განაკვეთის დაწესება. იგი გამოიყენება საადგილმამულო დაბეგვრაში

საგადასახადო კანონდარღვევა – წარმოადგენს მართლსაწი-ნააღმდეგო, ბრალეულ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც გამოიხატება საგადასახადო ვალდებულებების შესრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში, რითაც ირღვევა საგადასახადო ურთიერთობათა მონაწილეების უფლებები და კანონიერი ინტერესები. საგადასახადო სამართლდარღვევისათვის დაწესებულია იურიდიული პასუხისმგებლობა.

საგადასახადო კრედიტი – ეწოდება საგადასახადო გადასახდე-ლების დავალიანების შემცირებას.

საგადასახადო მატრიცა – გადაწყვეტილებათა მიღების სტატის-ტიკური მეთოდი, რომელიც ეხმარება ხელმძღვანელს მოახდინოს არჩევანი შესაძლო ალტერნატივებიდან.

საგადასახადო მოთხოვნა – (საინკასო დავალება) ფართოდ გამოიყენება ანგარიშსწორების აქცეპტორი ფირმის შემთ-ხვევებში და რომელიც წარმოადგენს ბანკისადმი ბრძანე-ბას გადასახადის ამოღებასთან დაკავშირებით. იგი უპირა-ტესად ფინანსური ორგანოების სასარგებლოდ უაქცეპტო გადასახადების გადახდევინების პრაქტიკაში, რიგი თბო-ენერგო-წყალმომარაგების ორგანიზაციების, ასევე სასა-მართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე ან მხარეებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენება.

საგადასახადო მოთხოვნა-დავალება – საწყის ეტაპზე მყიდველისადმი მიმწოდებლის მოთხოვნას წარმოადგენს მიწოდებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოების შესაბამისი საბუთების საფუძველზე ღირებულების გადახდასთან მიმართებაში, შემდეგ კი, აქცეპტირების შემდეგ, გადამხდელის ბანკისადმი დავალება სახსრების მიმღებს საჭირო თანხა გადაურიცხოს. მისი გამოყენება გარიგების მონაწილეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება.

საგადასახადო ორგანოებს – უფლება აქვს დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ სავაჭრო და სხვა საწარმოებში, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეთთაგან საქონლის (პროდუქციის) საკონტროლო შესყიდვა.

საგადასახადო სარგო – ესაა გადასახადის თანხა რომელსაც სუბიექტი ერთი ობიექტიდან იხდის.

საგადასახადო სისტემა – სახელმწიფოს მიერ დადგენილი გადასახადების ერთობლიობა, აგრეთვე მათი შექმნის ფორმები და მეთოდები. საგადსახადო სისტემის არსი, სტრუქტურა და როლი განისაზღვრება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობით.

საგადასახადო სისტემა – წარმოადგენს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ დაწესებული გადასახადების მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების გადახდევინების პრინციპების ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

საგადასახადო სისტემის ძირითადი ელემენტებია – გადასახადის სახეები და მათი დარიცხვის პრინციპები – საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო ბაზა. საგადასახადო განაკვეთის სახით ბიუჯეტში გადასახდელი შემოსავლის (მოგების, ქონების) გარკვეული ნაწილია. საგადასახადო განაკვეთები განისაზღვრება კანონით. საგადასახა-

დო ბაზა დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის ან ქონების სიდიდეა.

საგადასახადო ტარიფები – განაკვეთების სისტემატიზირებული ჩამონათვალი, გამოხატული მტკიცე თანხებში ან პროცენტებში, რომლის მიხედვით ხდება სხვადასხვა საქონლის, გაწეული მომსახურების და ა.შ. დაბეგვრა.

საგადასახადო ტვირთი – (საგადასახადო სისტემა) არის განზოგადოებული მაჩვენებელი რომელიც ახასიათებს გადასახადების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან შეფარდებით.

საგადასახადო შემოსავალი (tax proceeds, tax ineome) – შემოსავალი, რომელიც მიიღება დამატებითი ღირებულების გადახდიდან, აქციზიდან, მოგების გადასახადიდან და ა.შ., რომელზეც დაწესებულია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული საგადასახადო განაკვეთი.

საგადასახადო შემოსულობათა ძირითადი წყაროა – დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი (გაყიდვაზე გადასახადი) სააქციო მოსაკრებლები, მოგების გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, საკუთრებაზე (ქონებაზე) გადასახადი, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის გადასახადები, ლიცენზიებიდან და ვიზებიდან მიღებული შემოსავალი და ა.შ.

საგადასახადო შენატანი – ეს ის თანხაა, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იხდის ბიუჯეტში რომელიმე ერთი გადასახადის სახით.

საგადასახდო შეღავათი, – რომელიც გულისხმობს კანონის საფუძველზე გადასახადიდან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას. მაგალითად, დაუბეგრავი მინიმუმი ანუ ობიექტის ის ნაწილი, რომელიც მთლიანად თავი–სუფლდება გადასახადისაგან. საგადასახადო შეღავათები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

საგადასახადო შეფასება – გადახდის ობიექტის შეფასება გადასახადის განაკვეთის დადგენის მიზნით.

საგადასახადო ხარჯები – საგადასახადო პოლიტიკის ანალიზის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების გამოთვლაში. იძლევა შესაძლებლობას გაანგარიშებულ იქნეს კონკრეტული თანხები (მათ შორის პერსპექტივაშიც), რომლებიც გამორიცხულია დაბეგვრისგან.

საგადასახდელო ბალანსი – თანაფარდობა განსაზღვრული პერიოდისათვის შემოსულ და ქვეყნის მიერ განხორციელებულ საზღვარგარეთ ფულად გადასახდელებს შორის. აქტიური ბალანსის დროს გადახდებიდან მიღებული თანხა აღემატება წარმოებულს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბალანსი პასიურია.

საგადასახდელო ბალანსის – იმ ნაწილს, რომელშიც ასახულია საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, სავაჭრო ბალანსი ეწოდება.

საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდო (trade surplus) – 1. რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე ოპერაციების, კერძოდ, რეალური ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის სალდო. იგი გვიჩვენებს თუ რამდენად მეტი რეალური ეკონომიკური ფასეულობები წარუდგინეს რეზიდენტებმა არარეზიდენტებს; 2. ექსპორტის გადამეტება იმპორტზე.

საგადასახდელო ბალანსის პასიური სალდო – (სავაჭრო ბალანსის დეფიციტი) (trade deficit) – 1. გვიჩვენებს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე პერიოდში ეკონომიკური ფასეულობების გაცვლის სალდოს, კერძოდ, თუ რამდენად მეტი რეალური ეკონომიკური ფასეულობები წარუდგინეს არარეზიდენტებმა რეზიდენტებს; 2. იმპორტის გადამეტება ექსპორტზე.

საგადამხდელო ბრუნვის – დარჩენილი ნაწილი (დაახლოებით ერთი მეოთხედი) არის ანგარიშსწორება არასასაქონლო ოპერაციების მიხედვით, ე.ი. საწარმოებისა და ორგანიზა-

ციების ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, სახელმწიფო და სოციალური დაზღვევის ორგანოებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან, მართვის ორგანოებთან, სასამართლოსთან, არბიტრაჟთან და ა.შ.

საგადასამხდელო მატრიცა – გადაწყვეტილებების მიღების სტატისტიკური თეორიის ერთ-ერთი მეთოდია, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ხელმძღვანელს რამდენიმე ვარიანტიდან ერთი საუკეთესო ვარიანტის შერჩევაში. იგი განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც ხელმძღვანელმა უნდა დაადგინოს, თუ რომელი სტრატეგია უფრო მეტად შეუწყობს ხელს დასახული მიზნის მიღწვას.

საგანმკარგულებო უფლებამოსილება – თანამდებობის პირის უფლება მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა მისადმი დაქვემდებარებული პირებისათვის.

საგანმკარგულებელო უფლებამოსილება – გულისხმობს თანამდებობის პირის უფლებას მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა მისადმი დაქვემდებარებული პირებისათვის. უფლებამოსილებანი შეიძლება იყოს ხაზობრივი და ფუნქციური. პირველი გულისხმობს თანამდებობრივ კავშირს ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს შორის, როცა თანამდებობრივად ზემდგომი კარნახობს ქვემდგომს რა გააკეთოს დასახული მიზნების შესასრულებლად.

საგარანტიო ვალდებულება – გაიცემა გარანტიის მიერ კრედიტორებზე რიცხული თანხის თავისდროული გადახდის უზრუნველყოფისათვის. შეიძლება გასცეს სახელმწიფომ მისი სამთავრობო ორგანოების მეშვეობით, ბანკებმა ანუ სხვა ორგანიზაციებმა, რომელზეც მოცემულია ასეთი უფლება. სახელმწიფო საგარანტიო ვალდებულებები ფართოდ გავრცელებულია საექსპერტო კრედიტებზე.

საგარანტიო ვალდებულება – ანუ საგარანტიო წერილი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მიწოდებული საქონლის (უმეტესწილად მოწყობილობის) შესაბამისობას

გარკვეული კონტრაქტის პირობებთან. იგი შეიძლება შეიცვალოს აგრეთვე მიმწოდებლის გარანტიას მიმწოდებლის მიერ მოწყობილობის ექსპლუატაციის წესების დაცვის შემთხვევაში.

საგარანტიო ოპერაციებია – ბანკის მიერ მესამე პირისათვის (თავდების) გაცემის ოპერაციები გარკვეული პირობების დადგომისას მესამე პირისათვის კლიენტის ვალის გასტუმრებაზე.

საგარანტიო წერილი – დოკუმენტი, რომლის თანახმადაც გარანტი იღებს თავის თავზე განსაზღვრულ ვალდებულებას. მხედველობაშია, რომ ეს ვალდებულებები (მოვალეობები) შეიძლება ძალაში შევიდეს პირობების დადგომისას, რომელზედაც ლაპარაკია წერილში.

საგარანტიო წერილი – ტვირთის მიმღების ან მისი ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს, რომ გადამზიდავი არაა პასუხისმგებელი არასაბრუნავი სატრანსპორტო დოკუმენტის გაუფორმებლობით გამოწვეულ ნებისმიერ შედეგზე.

საგარეო ეკონომიკურ ბანკს – განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომელიც ქვეყნის საგარეო ვალის მომსახურე ბანკადაა გარდაქმნილი. ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც სახელმწიფო და რეგიონული ხასიათის სამთავრობო მიზნობივი პროგრამების დასაფინანსებლადაა სახელმწიფოს მიერ შექმნილი.

საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის სტრატეგია –ყველა სახის საქმიანობაზეა გამიზნული.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა – სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მიზანმიმართული მოქმედება, რათა განისაზღვროს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი მონაწილეობის ოპტიმიზაციის რეჟიმი. ამ პოლიტიკის ძირითადი შემადგენლებია: საგარეო სავაჭრო პოლიტიკა (საექსპორტო და საიმპორტო პოლიტიკის

ჩათვლით), პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დარგში და საზღვარგარეთ ეროვნულ კაპიტალდაბანდებათა რეგულირება, სავალუტო პოლიტიკა.

საგარეო ვალი (external debt) – მოცემული ქვეყნის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, უცხოური ქვეყნების მთავრობებისგან და კომერციული დაპროექტების ინსტიტუტებიდან მიღებული უცხოურ ვალუტაში ნომინირებული აქტივები, რომლებიც ამ ქვეყანას აძლევს ინვესტირებისა და მოხმარების იმაზე მეტ შესაძლებლობას, ვიდრე მისი ეკონომიკა ქმნის. ნებისმიერი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მოზიდვა შემდეგი ორი ფაქტორით განისაზღვრება: 1. რა რაოდენობის უცხოური კაპიტალის ათვისება შეუძლია ქვეყანას; 2. რა რაოდენობის ვალის მომსახურება შეუძლია ქვეყანას რისკის გარეშე. საგარეო ვალის განსაზღვრისათვის, ოქროს რეზერვის გარდა, გამოიყენება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: 1. საგარეო ვალის შეფარდება მშფ-თან; 2. საგარეო ვალის შეფარდება ექსპორტთან; 3. საგარეო ვალის მომსახურებისათვის გადასახდელების საერთო თანხის შეფარდება ექსპორტთან და სახელმწიფოს შემოსავლებთან; 4. საპროცენტო თანხის შეფარდება ექსპორტთან; 5. საგარეო სესხების წილი ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებაში. აქედან გამომდინარე, არსებობს შესაბამისი კრიტერიუმები, რომელთაც უნდა შეესაბამებოდეს საგარეო ვალის პარამეტრები.

საგარეო ვალი – საგარეო დავალიანება - ქვეყნის შეჯამებული ფულადი ვალდებულებები გამოხატული ფულადი თანხით, რომელიც ექვემდებარება საგარეო კრედიტორისათვის დაბრუნებას განსაზღვრული თარიღისათვის ე.ი. ქვეყნის საერთო დავალიანება საგარეო სესხებისა და მასზე გადაუხდელი პროცენტების სახით.

საგარეო ვალის მართვა – ვალის კრიზისის თავიდან აცილების ან შესუსტების ღონისძიებათა შენარევი. მათ შორისაა ეკონომიკური ღონისძიებანი (ახლანდელი სესხების ოდე-

ნობის მინიმიზაცია დაგროვილი ვალების რესტრუქტურიზაცია მოზიდული ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, საგარეო ვალის მომსახურების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებლობათა გაზრდა), პოლიტიკური (ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება და კარგი ურთიერთობის დამყარება საგარეო კრედიტორებთან), სოციალური (სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა) და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებანი (უწინარეს ყოვლისა, კრედიტორებისაგან საგარეო და საშინაო პოლიტიკის დამოუკიდებლობის დაცვა). საგარეო ვალის მართვის პოლიტიკის განხორციელების დროს ძირითადი პირობაა ქვეყნის შესაძლებლობა ისე გამოიყენოს საგარეო ვალი რომ ამან უზრუნველყოს როგორც საკუთარი მიზნების მიღწევა, ისე საგარეო ვალის შემცირება.

საგარეო ვალის მომსახურება – მოვალე სახელმწიფოს მიერ კრედიტორი სახელმწიფოსათვის ფულადი გადასახადების გადახდა მიღებული კრედიტის დასაფარავად და ვალზე პროცენტის გადასახდელად.

საგარეო ვაჭრობა (foreign trade) – სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა მოიცავს საქონლის ექსპორტსა და იმპორტს.

საგარეო ვაჭრობაში აბსოლუტურ უპირატესობათა თეორია – ქვეყანას რეკომენდაციას აძლევს შემოიტანოს ის საქონელი, რომლის წარმოების ხარჯები მეტია, ვიდრე საზღვარგარეთის ქვეყნების, ხოლო გაიტანოს ის საქონელი რომლის წარმოების ხარჯები ნაკლებია, ვიდრე საზღვარგარეთ, ე.ი. არის აბსოლუტური უპირატესობანი.

საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას – მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შეფარდებითი და არა აბსოლუტური უპირატესობა, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში წინა პლანზე კონკურენტულმა უპირატესობამ წამოიწია.

საგარეო ვაჭრობაში შედარებით უპირატესობათა თეორია – რეკომენდაციას უწევს ქვეყანას შემოიტანოს ის საქონელი, რომლის წარმოების ხარჯები ქვეყანაში უფრო მეტია, ვიდრე საექსპორტო საქონლისა, ე.ი. რომლის მიხედვით არა აქვს შედარებითი უპირატესობანი.

საგარეო ვაჭრობის ბალანსი (balance of foreign trade) – ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის ნაწილი, რომელშიც ასახულია საქონლის საზღვარგარეთ გატანასა და შემოტანასთან დაკავშირებული ოპერაციები, ანუ „ხილული“ ექსპორტი და იმპორტი. საგარეო ვაჭრობის ბალანსი „უხილავი“ ოპერაციების ანგარიშთან (მომსახურების ექსპორტი და იმპორტი) ერთად ქმნის მიმდინარე ოპერაციების ბალანსს.

საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტი (economic effect of foreign trade) – სხვაობა იმპორტის მისაღებად გამიზნული პროდუქციის სამამულო წარმოებისა და საექსპორტო საქონლის წარმოების დანახარჯებს შორის.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა (foreign trade policy) – ქვეყანაში მიღებული საგარეო ვაჭრობის რეგულირების წესი. სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საგარეო ვაჭრობაზე გადასახადებით, სუბსიდიებით, ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვებითა და ა.შ. მისი ერთ-ერთი უკიდურესი შემთხვევაა თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა, ხოლო მეორე-ავტარკიის პოლიტიკა. ამ უკიდურეს შემთხვევებს შორის არსებობს სხვადასხვა ხარისხის პროტექციონიზმი, რომელიც რეალიზდება ტარიფების, კვოტების, სავალუტო კონტროლისა და ა.შ. მეშვეობით.

საგარეო სავაჭრო კვოტა – ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის თანხის დამოკიდებულება მისი მთლიანი პროდუქტისადმი.

საგარეო სავაჭრო ოპერაცია – სხვადასხვა ქვეყნის კონტრაჰენტთა მოქმედების კომპლექსია, რომლის მიზანია სავაჭრო გაცვლის განხორციელება და თვით ამ მოქმედების უზრუნველყოფა. საერთაშორისო ვაჭრობაში კონტრაჰენ-

ტი (ლათ. contrahens (contrahentis) - ხელშეკრულების დამდები) ეწოდება საგარეო სავაჭრო ოპერაციაში მონაწილე უცხოელ პარტნიორს, რომელმაც ხელშეკრულების ძალით რაიმე ვალდებულება იკისრა.

საგარეო სავაჭრო – ოპერაციებზე ლიცენზიების აღება ხდება სავაჭრო გარიგებების შესრულებამდე. ამ პროცედურას სავაჭრო ლიცენზირება ეწოდება.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის – მთავარი ამოცანაა ქვეყნის შიდა წმინდა ეროვნული პროდუქტის მოცულობის ზრდა.

საგარეო სახელმწიფო ვალი – არის სახელმწიფოს ერთობლივი დავალიანება საერთაშორისო ბანკების, სხვა ქვეყნების მთავრობების, უცხოეთის კერძო ბანკების მიმართ. განასხვავებენ მოცემული წლის მიმდინარე საგარეო ვალს, რომელიც უნდა დაბრუნდეს მიმდინარე წელს და საერთო სახელმწიფო საგარეო ვალს (დაგროვებული), რომელიც მიმდინარე და შემდგომ წლებში უნდა დაბრუნდეს.

საგზაო უწყისი სააღრიცხვო დოკუმენტია, რომელსაც ადგენენ ყოველი ზედნადებისათვის. იგი თან ახლავს ტვირთს მიმოსვლის მთელ გზაზე. საგზაო უწყისი სარკინიგზო გადაზიდვებში.

საგზაო ფურცელი – ოპერატიული აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს მძღოლის მიერ საწარმოო დავალების (გადაზიდვის) შესრულებას, აგრეთვე ითვალისწინებს მძღოლისა და ავტომობილის მუშაობის რეჟიმს, საწვავ-საცხები მასალების ხარჯს. სატრანსპორტო დოკუმენტია.

საგზაო ჩეკების ემიტენტები – საგზაო ჩეკი (Traveller's chegue) ისეთი საგადასახადო დოკუმენტია, რომელსაც ძირითადად არასავაჭრო ხასიათის საერთაშორისო (სხვა სიტყვებით სავალუტო) ანგარიშსწორებებშიც იყენებენ. ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, კანადა) საგზაო ჩეკებს შიგა ანგარიშსწორებებშიც იყენებენ საქონლისა და მომსახურების უნაღდო წესით გასტუმრებისათვის. საგზაო ჩეკების ემიტენტები ბანკების გარდა შეიძლება იყოს სხვა საკრე-

დიტო-საფინანსო ინსტიტუტებიც, ტურისტული ორგანიზაციები, რომლებიც, ასევე როგორც პლასტიკური ბარათების შემთხვევაში, საგზაო ბარათების სპეციალიზებულ კომპანიებად გადაიქცნენ (თომას კუკი, ამერიქენ ექსპრესი და სხვა). საგზაო ჩეკების ბაზარზე მიმდინარეობს მძაფრი საკონკურენციო ბრძოლა, იქმნება ემიტენტების გაერთიანებები და ასოციაციები, რომლებიც სტანდარტიზებულ საგზაო ჩეკებს უშვებენ.

საგირავნო ფურცელი (mortgage) – ფასიანი ქაღალდის ნაირსახეობა, რომელსაც უშვებს იპოთეკური ბანკი გრძელვადიანი სესხის გასაცემად უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე.

საგნობრივი კონკურენცია – იმ ფირმებს შორის ხორციელდება, რომელთა მიერ გამოშვებული იდენტური საქონელი მხოლოდ დამზადების ხარისხით განსხვავდება ან არც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასეთი რამ ახასიათებს სამომხმარებლო საქონლის მწამოებელი დარგების უმრავლესობას.

საგნობრივი სპეციალიზაცია – გულისხმობს გარკვეული სახის პროდუქტის დამზადების მთლიანი ციკლის ან მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილის ამა თუ იმ ქვეყანაში თავმოყრას.

სადაზღვევო გადასახადებიდან და სადაზღვევო ანაზღაურების გადახდიდან მიღებული შემოსულობები – სადაზღვევო შენატანები შემდეგ სახეობებადაა დაყოფილი: ა) ქონების დაზღვევა; ბ) ნაგებობათა დაზღვევა; გ) ავტოტრანსპორტის დაზღვევა; დ) პირადი დაზღვევა.

სადაზღვევო განცხადება – (ბორდერო) დოკუმენტია, რომელიც გამოიყენება დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის იმ ყოველ გაგზავნილ ტვირთზე დაწვრილებითი ცნობების მისაწოდებლად, რომელზეც ვრცელდება მხარეთა შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულება – არავალუტირებული ან გენერალური პოლისი.

საზღვაო ზედნადები (სახაზინო ზედნადები, საოკეანო ზედნადები) დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს ზღვით ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობასა და გადამზიდავის მიერ ტვირთების მიღებას ან ჩატვირთვას და გადამზიდავის მიერ დოკუმენტში მითითებული ტვირთ-მიმღებისათვის ტვირთის ჩაბარების ვალდებულებას.

სადაზღვევო თანხა – ის თანხაა რომელშიც ინტერესია დაზღვეული. სადაზღვევო თანხა უნდა შეესაბამებოდეს ღირებულებას, პრაქტიკაში სადაზღვევო დაცვა იწყება სადაზღვევო პრემიის გადახდის მომენტიდან. თუ ეს განსაკუთრებით არაა აღნიშნული სადაზღვევო ხელშეკრულებაში.

სადაზღვეო კომპანია – ლიზინგური გარიგების მონაწილეების ქონებისა და მიწოდებული კრედიტების დაზღვევას ახორციელებს.

სადაზღვევო კომპანიები – თავიანთ კლიენტებს სთავაზობენ დაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელთა ნაწილს, არსებითად, საბანკო ანაბრების სუბსტიტუტებად განიხილავენ. საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო დაზღვევის დაწესებულებები ახდენენ ბავშვების დაზღვევას, ქორწინების დაზღვევას ან დამატებით პენსიის დაზღვევას. რეფორმების პერიოდში სადაზღვევო კომპანიებმა გააფართოვეს თავიანთი მომსახურების სფერო.

სადაზღვევო მარაგი – ნედლეულის, მასალების და სათბობის მარაგი, რომლებიც განკუთვნილია წარმოების უზრუნველყოფისათვის ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მიწოდების პერიოდულობისა და პარტიების სიდიდეს მიმდინარე მარაგის ნორმების გაანგარიშების დროს გათვალისწინებულიდან გადახრას, აგრეთვე მომარაგებაში მოულოდნელი შეფერხებების შემთხვევისას.

სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს დადებული ხელშეკრულების პირობებსა და მზღვეველის ვალდებულების კონკრეტული გადასახდე-

ლის საფუძველზე დამზღვევისათვის ხელშეკრულებაში მითითებული რისკებითა და უბედური შემთხვევებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

სადაზღვევო რეზერვებს ქმნიან – ფასიან ქაღალდებში შესრულებულ დაბანდებათა შესაძლო გაუფასურებისა და გაცემულ კრედიტზე მიღებული დანაკარგების შემთხვევისათვის.

სადაზღვევო სერთიფიკატი – სადაზღვევო საზოგადოების მიერ დამზღვევისათვის გაცემული დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დაზღვევის განხორციელებასა და პოლისის გაცემის ფაქტს. კონკრეტულ ტვირთზე გაცემული ასეთი სერთიფიკატი ჩვეულებრივ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი დაზღვეულია გენერალური ან არავალუტირებული პოლისის პირობებით. დამზღვევის მოთხოვნით იგი შეიძლება გაიცვალოს სადაზღვევო პოლისზე, ვინაიდან მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა დაზღვევის დოკუმენტად მხოლოდ სადაზღვევო პოლისს აღიარებს.

სადაზღვევო ღირებულება – დასაზღვევი ინტერესის ფაქტიური ღირებულება (ქონებისათვის მისი ნამდვილი ღირებულება, მისი ყოფნის ადგილზე დაზღვევაზე ხელშეკრულების დადების დღეს.

სადაზღვევო ხელშეკრულება – ესაა წერილობითი შეთანხმება დამზღვევსა და დასაზღვევს შორის. ხელშეკრულების თანახმად დამზღვევი იღებს თავის თავზე ვალდებულებას დაზღვევის შემთხვევის დადგომის შემთხვევაში გადაიხადოს სადაზღვევო გადასახადები (სადაზღვევო პრემია) და შეასრულოს ხელშეკრულების სხვა პირობები.

სადეპოზიტო სერთიფიკატი – არის წერილობითი მოწმობა, ბანკში ფულის დეპონირების ანუ შენახვის შესახებ.

სადემონსტრაციო ეფექტი – ადამიანთა ქცევასა და მოტივაციაზე საზღვარგარეთ ცხოვრების წესის, ძირითადად მოხმარების ტიპის ზემოქმედება.

სადეპოზიტო ხელწერილები – არარეზიდენტებისათვის გამოშვებული მოწმობები სხვა ქვეყანაში ამა თუ იმ კომპანიის

აქციათა ფლობის შესახებ იმ მიზნით, რომ თავად აქციებმა არ გადაკვეთონ საზღვრები და არ აღმოჩნდნენ ამასთან დაკავშირებულ შეზღუდვებში.

სადილი – მიღების ყველაზე საპატიო სახეა. იგი იწყება 20 -21 სთ-მდე და გრძელდება 2-3 სთ და მეტი, აქედან მაგიდასთან – 1 სთ, დანარჩენი დრო კი სასტუმრო ოთახებში.

სადილერო დათმობებს – მწარმოებლები აძლევენ თავიანთ მუდმივ წარმომადგენლებს ან გამსაღებელ შუამავლებს, მათ შორის უცხოელებსაც. ეს დათმობები განსაკუთრებით გავრცელებულია სტანდარტული მოწყობილობის რეალიზაციისას.

სადისკონტო (სააღრიცხვო) პოლიტიკა – ტარდება არა მხოლოდ ეროვნული კომერციული ბანკების რეფინანსირების პირობების შეცვლის მიზნით, არამედ ზოგჯერ, მიმართულია სავალუტო კურსის და საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისაკენ.

სადისტრიბუციო მზა პროდუქციის გასაღების ლოგისტიკა – არის ერთმანეთთან დაკავშირებული ფუნქციების კომპლექსი, რომელთა განხორციელებაც სხვადასხვა საქონლის საბითუმო გაყიდვების პროცესში მატერიალური ნაკადების განხორციელებისას ხდება.

სადეპოზიტო სერთიფიკატი (depositary certificate) – ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი ინსტრუმენტი, ეროვნული ვალუტით დენომირებული ფასიანი ქაღალდი, რომელსაც არამატერიალიზებული ფორმა აქვს და ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნქციითაა აღჭურვილი. თავისი ლიკვიდური ხასიათიდან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდის ეს ახალი სახეობა ბაზრის კონტრაჰენტებს გაცილებით მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს თავიანთი სახსრების ურისკოდ დაბანდების თვალსაზრისით. სადეპოზიტო სერთიფიკატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ფულის ბაზრის განვითარებისათვის, ვინაიდან კომერციულ ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა მეორად ბაზარზე ივაჭრონ იმ ინსტრუმენტით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, „პოლანდიური დავადების“ შემდგომი გამწვავების რისკის თავიდან აცილების მიზნით, შემოიღო სადეპოზიტო სერთიფიკატები. მათი გამოშვება ემსახურება ჭარბი ფულის სტერილიზაციასა და უცხოური კაპიტალის ნაკადების უარყოფითი ეფექტების განმუხტვას.

სადისტრიბუციო (გასაღების) ლოჯისტიკა – არის ერთმანეთთან დაკავშირებული ფუნქციების კომპლექსი, რომელთა განხორციელებაც სხვადასხვა საქონლის საბითუმო გაყიდვების პროცესში მასალათა ნაკადების განაწილებისას ხდება.

საემისიო ბანკი (bank of issue) – სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება, ცენტრალური ბანკი, რომელსაც მინიჭებული აქვს საბანკო ბილეთების (ბანკნოტების) გამოშვების, ფულის მიმოქცევის, კრედიტის, სავალუტო კურსის რეგულირებისა და კონტროლის, ოფიციალური ოქროს სავალუტო რეზერვის დაცვის მონოპოლიური უფლება.

საემისიო ბანკები – ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო მონოპოლისტური ორგანოები, ბანკები, რომლებსაც უფლება აქვთ მონოპოლიურად გამოუშვან ბანკნოტები, არეგულირონ ფულადი მიმოქცევა, კრედიტი და სავალუტო კურსი, შეინახონ ოფიციალური ოქრო-ვალუტის რეზერვები; წარმოადგენენ „ბანკების ბანკს“, მთავრობის აგენტს სახელმწიფო ბიუჯეტის მომსახურების დროს, საემისიო ბანკს უწოდებენ აგრეთვე ნაციონალურ ან სარეზერვო ბანკს.

საემისიო გადასახადი – გადასახადი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ ქვეყნებში ოქროს სტანდარტის პირობებში იბეგრებოდა ოქროთი დაუფარავი (ფიდუციარული) ემისია ბანკნოტებისა, რომლებიც აჭარბებდნენ კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტებს.

საემისიო - დამფუძნებელ ფუნქციას – კომერციული ბანკები ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების) გამოშვებისა და გავრცელების გზით.

საემისიო კაპიტალი – არის სხვაობა გამოშვებული აქციების გაყიდვის ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის. დაუშვათ გამოშვებულია 20000 ლარის ნორმალური ღირებულების აქციები, რომელიც 23000 ლარად გაიყიდა. მასაშადამე 3000ლარი წარმოადგენს საემისიო კაპიტალს.

საემისიო საქმიანობა – ქვეყნის ცბ-ის პრეროგატივა, რაც დაკავშირებულია ფულის კუპიურების დაბეჭდვასთან, დიზაინთან ან გაფორმებასთან, გაყალბებისაგან მისი დაცვის ხერხების შემუშავებასთან, ასევე მიმოქცევიდან ფულისა და ფასიანი ქაღალდების კუპიურების ამოღებასა და ემისიაზე დანახარჯების მინიმიზაციასთან.

საერთაშორისო აეროპორტი – ახორციელებს საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს და უზრუნველყოფილია საბაჟო, სასაზღვრო და სანიტარულ-საკარანტინო კონტროლით.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი (Bank for International Settlments-BIS) – ცენტრალური ბანკების საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაცია დაარსდა 1830 წელს ქ. ბაბელში (შვეიცარია).

საერთაშორისო ანგარიშწორების ბანკი – პირველი სახელმწიფოთაშორისი ბანკი, რომელიც შეიქმნა როგორც საერთაშორისო ბანკი ეროვნული ბანკების მოქმედების კოორდინაციისათვის. აწარმოებს ანგარიშწორებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, აგრეთვე ახორციელებს ოპერაციებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და მისი მონაწილე ქვეყნების დავალებით.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია – ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია სამთავრობათაშორისო შეთანხმების გარეშე. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფოთაშორისი (სამთავრობათაშორისი) ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ არიან საერთაშორისო (საჯარო) სამართლის სუბიექტები, მაგრამ ასეთი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფოთაშორისი ან სხვა ხასიათის

ურთიერთობის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო სისტემაში და იურიდიული პირის სტატუსი აქვთ.

საერთაშორისო ბიზნესი – პირველ რიგში, სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი ფირმების ან მათი ქვედანაყოფების საქმიანი ურთიერთზემოქმედებაა.

საერთაშორისო ბიზნესი – 1. დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ბიზნესის ბაზრისა და მთლიანად ეკონომიკის კავშირურთიერთობებს მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით, ამ კავშირურთიერთობათა დამყარების საშუალებებსა და პროფესიულ ხერებს. 2. საერთაშორისო დისციპლინაა. მისი მეთოდია საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შეცნობის ზოგადსამეცნიერო ხერხები. ყველა მოვლენა და პროცესი განიხილება თანამედროვე ეკონომიკურ თეორიის თვალსაზრისითა და საბაზრო კონცეფციაზე დაყრდნობით, ლოგიკურ და ისტორიულ კავშირურთიერთობაში. 3. ეწოდება ორი ან მეტი ქვეყნის მონაწილეობით (სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთით ანუ უცხოეთში აქტივების გატანით) და მოგების მიღების მიზნით განხორციელებულ ნებისმიერ სამეურნეო ოპერაციას. 4. ძირითადად ხორციელდება შემდეგი სახით: საქონლის ექსპორტი და იმპორტი, მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, ინვესტიციები.

საერთაშორისო ბიზნესის გარემოში – იგულისხმება ფირმის საერთშორისო საქმიანობაზე მოქმედი პრობებისა და ფაქტორების ერთობლიობა.

საერთაშორისო ბიზნესის გარემოს სპეციფიკურობის გამო საერთაშორისო მოლაპარაკებები – რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკებათა წარმატების ტექნიკის ფლობას – მსოფლიო პრაქტიკაში დაგროვილი რეკომენდაციების ცოდნასა და გამოყენებას.

საერთაშორისო ბიზნესის – სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია საგადასახადო სისტემას, რომელზედაც დამოკიდებულია ბიზნესმენთა საქმიანი აქტივობა.

საერთაშორისო გადაზიდვა – დატვირთულ ან დაუტვირთავ სატრანსპორტო საშუალებათა მგზავრობა, რომელთა გამგზავრებისა და დანიშნულების პუნქტებში იმყოფება ორ სხვადასხვა ქვეყანაში ტრანზიტით ან მის გარეშე ერთი ან მეტი ქვეყნის ტერიტორიის გავლით.

საერთაშორისო გარემო – საერთაშორისო დონეზე მოქმედი ორგანიზაციის გარეგანი გარემო ბევრად უფრო რთულია ქვეყნის შიგნით მოქმედი ორგანიზაციის გარეგან გარემოსთან შედარებით. საერთაშორისო დონეზე მოქმედი ფირმის გარეგანი გარემო მთელი რიგი ფაქტორების უნიკალურ ერთობლიობას წარმოადგენს.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია – მეზობელი ქვეყნების კომპანიათა შორის ღრმა და მყარი ეკონომიკური კავშირურთიერთობების საფუძველზე ერთიან სამეურნეო კომპლექსად აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკათა შერწყმის შედეგი.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები – ორი ტიპის ორგანიზაცია: სამთავრობათაშორისი (სახელმწიფოთაშორისი), რომელთა მონაწილენი არიან უშუალოდ სახელმწიფოები, და არასამთავრობო, რომელთა შემადგენლობაში შედიან მწარმოებელთა გაერთიანებანი, კომპანიები და ფირმები, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა ორგანიზაციები.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა (მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობა) – ეკონომიკური ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნების რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს ე.ი. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (International economic relations) – სხვადასხვა ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური ურთიერთობები საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და ა.შ. სფეროებში.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (მსოფლიო სამეურნეო კავშირის) ფორმები – საქონლითა და მომსა-

ხურებით საერთაშორისო ვაჭრობა, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია, ტექნოლოგიათა საერთაშორისო გადაცემა (საერთაშორისო ვაჭრობა ცოდნით), საერთაშორისო სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობა.

საერთაშორისო ვაჭრობა (International trade) – ვაჭრობა ქვეყნებს შორის საქონლითა და მომსახურებით. საერთაშორისო ანუ საგარეო ვაჭრობა, საშინაო ვაჭრობისაგან განსხვავებით, გულისხმობს სხვადასხვა ვალუტის გამოყენებას და რეგულირდება ტარიფების, კვოტებისა და სავალუტო კონტროლის მეშვეობით.

საერთაშორისო ვაჭრობის არსებობას განაპირობებს ქვეყნებს შორის ხარჯებში განსხვავება და განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების არარსებობა ზოგიერთ ქვეეყანაში. შეფარდებითი უპირატესობის თეორიიდან გამომდინარე, ეს განსხვავება არის არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი უპირატესობის გამომხატველი.

საერთაშორისო ვაჭრობა – საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მრავალმიმართულებიან ნაკადებს მოიცავს. ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას ეწოდება წმინდა ექსპორტი.

საერთაშორისო ვაჭრობაში – მატერიალურ-საგნობრივი ფორმის საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები კომერციული (სავაჭრო) ოპერაციების განხორციელების ძირითადი ფორმაა. საექსპორტო გარიგება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) მეთოდებით.

საერთაშორისო ვაჭრობაში რეფაქციას – უწოდებენ საქონლის დადგენილ ხარისხთან შედარებით უფრო დაბალი ხარისხის საქონლის მიწოდებისას (ეს გადახრა არ უნდა აღემატებოდეს ცნობილ ზღვარს) გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მიცემულ ფასჩამოკლებას, ბონიფიკაცია კი პირიქით, დათქმულთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხის საქონლის მიწოდებისას მყიდველის მიერ დამატებითი გადასახდელია.

საერთაშორისო ვაჭრობაში ფულის გადახდა – წარმოებს ნაღდი სახითა და კრედიტში.

საერთაშორისო ვაჭრობის მერკანტილისტიკური თეორია – ქვეყანას ურჩევს შეზღუდოს იმპორტი (ნედლეულის გარდა), ყველაფერი აწარმოოს თავად და ყოველნაირად წაახალისოს ექსპორტი, განსაკუთრებით მზა ნაწარმისა, იღვაწოს ქვეყანაში ვალუტის (ოქროს) შემოტანისათვის.

საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურული ცვლილებები – უპირველესად, გამოწვეულია მსოფლიო რეგიონების მიხედვით სასაქონლო ნაკადების განაწილებაში, ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მნიშვნელობისა და ხვედრითი წონების, მსოფლიო ექსპორტში ცალკეული ქვეყნების ადგილისა და როლის ცვლილებებით.

საერთაშორისო ინჟინერინგი საქმიანობის სპეციფიკური სახეა – რომელიც ითვალისწინებს საწარმოო, კომერციული და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის მომსახურების კომპლექსის განხორციელებას.

საერთაშორისო კომპანიები – ასეთი კორპორაციები ფლობენ და მართავენ სხვადასხვა ქვეყნებში განლაგებულ საწარმოებს. მაგალითად, მსოფლიოს ასამდე მსხვილ მრავალეროვნულ კორპორაციას ფილიალები აქვს 20-ზე მეტ ქვეყანაში.

საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი (International Cooperative Alliance ICA) – კოოპერაციული ორგანიზაციების გაერთიანება შეიქმნა 1985 წელს, აერთიანებს 73 ქვეყნის კოოპერაციულ ორგანიზაციას (1988 წ.) ICA თავის რიგებში ითვლის 540 მლნ კოოპერატორს. ადგილსამყოფელი ჟენევა. ICA-ს ხელმღვანელი ორგანოებია კონგრესი, ცენტრალური კომიტეტი და აღმასრულებელი კომიტეტი.

საერთაშორისო კრედიტი (International credit) – კრედიტი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ფირმებისა და სახელმწიფოებს შორის საკრედიტო ურთიერთობებში. არსებობს კომერციული საბაჟო და სახელმწიფო კრედიტის სახით.

საერთაშორისო კრედიტი – ეს კრედიტი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმაა, კერძოდ, გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის ფირმებისა და სახელმწიფოებს შორის საკრედიტო ურთიერთობებში. კრედიტორებისა და მსესხებლების როლში გამოდიან ბანკები, მონოპოლიები, მეწარმეები, სახელმწიფო დაწესებულებები, მთავრობა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები.

საერთაშორისო მარკეტინგი – 1. საერთაშორისო ბიზნესის ფილოსოფია, რომელშიც ჩართულნი არიან ცალკეული ქვეყნების ფირმები საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო გაცვლის პროცესში; 2. მარკეტინგი, რომელსაც იყენებენ საერთაშორისო ფირმები (კომპანიები) საზღვარგარეთულ ბაზრებზე. მას მრავალ ეროვნული, გლობალურ მარკეტინგსაც უწოდებენ. საერთაშორისო მარკეტინგის სფეროში შედის საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკური, გასაღებითი კოოპერაცია. ამასთანავე აუცილებელი პირობაა უცხოელი პარტნიორის არსებობა.

საერთაშორისო მენეჯმენტი – წარმოადგენს მენეჯმენტის განსაკუთრებულ სახეს, რომლის მთავარი მიზანია ფირმის კონკრეტული უპირატესობების ფორმირება, განვითარება და სხვადასხვა ქვეყანაში ეფექტიანი ბიზნესის კეთება მათი ეკონომიური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და სხვა თავისებურებების გამოყენების საფუძველზე.

საერთშორისო მენეჯმენტი – მენეჯმენტის განსაკუთრებული სახეობა, რომლის მთავარი მიზნებია ფირმის კონკურენტული უპირატესობათა გაფორმება.

საერთაშორისო პრაქტიკაში – გამოიყენება არენდის შემდეგი სახეები: მოკლევადიანი (1 წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში იგი მოიცავს რამდენიმე საათს, დღეს), რომელსაც რენტინგი ეწოდება, საშუალოვადიანი (2-3 წლამდე) - ჰაირინგი და გრძელვადიანი (15-20 წლამდე) - ლიზინგი.

აქედან ყველაზე გავრცელებულია ლიზინგი, რომელსაც ახასიათებს მრავალასპექტიანი საარენდო ურთიერთობანი.

საერთაშორისო საბანკო ლიკვიდობა – მდგომარეობს საერთაშორისო საბანკო თანამეგობრობის სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების მონაწილეთა უნარსა და შესაძლებლობაში, შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები, გადაადგილონ ღირებულება მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო საბანკო ბაზარი – აქ ორი ქვედონე შეგვიძლია გამოვყოთ: მსოფლიო ბაზარი და ქვეყანათშორისი გაერთიანების (მაგალითად - ევროკავშირის) ბაზარი.

საერთაშორისო საბაჟო დეკლარაცია – (სარკინიგზო გადაზიდვებში) საბაჟო ტრანზიტის საერთაშორისო დოკუმენტია, რომელშიც ტვირთის გამგზავნის მიერ მოყვანილია რკინიგზით გადასაზიდი ტვირთების მონაცემები, საზღვრებზე რკინიგზით ტვირთების გადაზიდვის პირობების გაადვილების შესახებ 1952 წელს საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად.

საერთაშორისო (საგარეო) შრომითი მიგრაცია – სახელმწიფო საზღვარზე მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება, რათა შრომითი ურთიერთობა დაამყაროს სამუშაოს მომცემებთან სხვა ქვეყანაში.

საერთაშორისო-საგზაო-სატრანსპორტო ზედდებული – საერთაშორისო მიმოსვლებში ტვირთების საავტომობილო გადაზიდვების ხელშეკრულება. ფორმდება 4 ორიგინალურ ეგზემპლიარად: პირველი ეგზემპლარი რჩება ტვირთგადამგზავნთან, მეორე მიდის ტვირთთან ერთად და გადაეცემა მიმღებს, მესამე და მეოთხე ეგზემპლარები რჩება გადამზიდავთან.

საერთაშორისო სავალუტო ბაზარი – ჩიკაგოში მოქმედებს 1972 წლიდან. იგი გახსნილია ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟის მიერ და სპეციალიზებულია ფიუჩერსულ კონტრაქტებზე, რომლებშიც გამოყენებულია ბრიტანული ფუნტი სტერლინგები, კანადური დოლარები, გერმანული მარკები,

შვეიცარიული ფრანკები, იაპონური იენები და ავსტრიული დოლარები.

საერთაშორისო სავალუტო სისტემა – საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებული სავალუტო, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ფორმაა.

საერთაშორისი სავალუტო ფონდი (სსფ) – ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება წევრ ქვეყნებს საკრედიტო საფუძველზე მაკროეკონომიკური კრიზისების პერიოდში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი – გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსის მქონე საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1944 წელს ბრეტონ-ვუდსში (აშშ) სავალუტო საფინანსო კონფერენციის გადაწყვეტილებით მისი მონაწილეების ურთიერთდაკრედიტების მიზნით. ოპერაციებს აწარმოებს 1947 წლიდან. მისი შტაბ-ბინა ქ. ვაშინგტონშია, აქვს ფილიალები პარიზში, ჟენევასა და ნიუ-იორკში (გაეროში).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი – საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი შექმნილია 1944 წ. ბრეტონ-ვუდსში 44 ქვეყნის მონაწილეობით ჩატარებულ სავალუტო-საფინანსო კონფერენციის გადაწყვეტილების მიხედვით. ძირითადი კაპიტალი იქმნება ფონდში შემავალი ქვეყნების შენატანებიდან, რომელთა სიდიდე განისაზღვრება მსოფლიო ვაჭრობაში ქვეყნის ეკონომიკური დანიშნულების გათვალისწინებით. ფონდის ამოცანაა მისი წარმოქმნის მომენტიდან ვალუტების მტკიცე პარიტეტის დადგენა. ცენტრალურ პრობლემად იყო და რჩება საერთაშორისო ლიკვიდობის პრობლემა, ე.ი. ქვეყნების უნარი, რათა ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე აწარმოონ გადახდა საგარეო სავაჭრო და სხვა საერთაშორისო ოპერაციებზე

და თავისუფლად გარდაქმნან წარმოქმნილი საგადასახადო ბალანსის აქტიური სალდო ვალუტად, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) (International monetary fund) – შეიქმნა 1945 წელს ბრეტონ-ვუდსში, სავალუტო-საფინანსო საკითხებისადმი მიძღვნილ გაეროს კონფერენციაზე მიღებული შეთანხმებები (1944) რადიფიკაციის შედეგად. ფონდი გახდა გაეროს სპეციალური ორგანო. მისი თავდაპირველი ამოცანა იყო ვალუტების კურსების საერთაშორისო სისტემის რეგულირება, მოგვიანებით კი მან მოახდინა თავისი საქმიანობის მოდიფიცირება. სსფ-ის ძირითადი ამოცანებია: საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის სტიმულირება, საერთაშორისო ვაჭრობის ბალანსირების განვითარებისათვის ხელშეწყობა, მონაწილე ქვეყნებისადმი დახმარება მათი საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის კორექტირებასა და ვალუტის კურსის სტაბილიზაციის მიღწევაში.

ფონდის მიერ შექმნილი ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო სისტემა ეყრდნობოდა ვალუტის ფიქსირებული კურსის პოლიტიკას, სავალუტო შეზღუდვების აკრძალვას, ვალუტების კონვერტირებადობისა და საერთაშორისო გადასახადების მრავალმხრივი სისტემის განვითარებას. ვალუტების კურსი ეყრდნობოდა პარიტეტულ სისტემას, რომელიც მონაწილე ქვეყნებისაგან მოითხოვდა მათი ვალუტების კურსის მერყეობის შეზღუდვას პლუს-მინუს ერთი პროცენტის ფარგლებში (გამოხატული დოლარებში). მისი უშუალო კონვენტირება ხდებოდა ოქროში ფიქსირებული კურსით.

აშშ-ის მიერ 1971 წელს მიღებული გადაწყვეტილების კვალდაკვალ – შეეჩერებინათ დოლარის კონვენტირებადობა ოქროში ათი ქვეყნის (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, გფრ, ბელგია, იტალია, შვედეთი, ნიდერლანდი, აგრეთვე შვეიცარია (ფონდის

ასოცირებული წევრი)) მთავრობებმა ამავე წელს მიიღეს „სმით სონოვის შეთანხმება", რომელიც ითვალისწინებდა დოლარის ათპროცენტიან დევალვაციას, ყველა ვალუტის კურსის გადასინჯვას და მათი მერყეობის უფრო ფართო საზღვრების დადგენას. 1973 წელს დოლარის შემდგომი დევალვაციის შემდეგ რეგულირებადი პარიტეტის სისტემაზე უარი თქვას აგრეთვე ევროპული გაერთიანების ქვეყნებმა და შემოიღეს თავიანთი ვალუტების მცურავი კურსი დოლართან მიმართებაში. ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრიზისის კვალდაკვალ, 1972 წელს **სსფ**-მა მის მიერ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმის კომიტეტში შეიმუშავა რეკომენდაციების კომპლექსი, რომელიც მიიღეს 1976 წელს იამაიკის შეთანხმების ფარგლებში.

ფონდი თავის საქმიანობას აფინანსებს მონაწილე ქვეყნების შენატანებისა და სესხების საფუძველზე. შენატანების სიდიდე, გაცემული ნასესხების სპეციალური წესის მიხედვით, განისაზღვრება თითოეული მონაწილე ქვეყნის კვოტების დამდგენი სისტემით. ეს უკანასკნელი ეყრდნობა მოცემული ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს, სავალუტო რეზერვებისა და სხვა ეკონომიკურ ინდიკატორებს. მონაწილე ქვეყნების კვოტები, რომელიც სისტემატურად გადაისინჯება და იცვლება, განსაზღვრავს აგრეთვე მოცემული ქვეყნის სესხების აღების უფლებას როგორც რეგულარულ, ისე სპეციალურ კრედიტებზე.

კრედიტის გაცემასთან ერთად **სსფ**-ის მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა ვალუტის კურსების სფეროში მონაწილე ქვეყნების პოლიტიკისათვის თვალყურის დევნება მსოფლიო დონეზე თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებისათვის.

საერთაშორისო სავაჭრო –გარიგება ჩვეულებრივ კონტრაქტზეა დაფუძნებული.

საერთაშორისო სავაჭრო – გარიგება საქონლისა და მომსახურების ექსპორტიორია და იმპორტიორთა შორის სამართ-

ლებრვი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაზე მიმართული მოქმედებაა. ე. ი. მასში იგულისხმება ორ ან მეტ მხარეს შორის დადებული ხელშეკრულება წინასწარ შეთანხმებული პირობებით გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის საქონლის ერთეულთა მიწოდების ან მომსახურების განხორციელების შესახებ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა – ჩამოყალიბდა 1920 წელს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. იგი აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის საქმიან წრეებსა და ცალკეულ ფირმებს. საერთაშორისო სავაჭრო პალატის ძირითადი ამოცანაა სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებაში ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა (international chamber of Conmerce) – საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია აერთიანებს 110 ქვეყნის საქმიან წრეებს და ფირმებს (1988 წ.). შეიქმნა 1919 წ. სსკ-ის წესდება მთავარ ამოცანად მიიჩნევს ქვეყნებს შორის ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის ხელშეწყობას, პალატის ადგილსამყოფელია პარიზი.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა – არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც კერძო მეწარმეობის მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტიანი ორგანოა. იგი აერთიანებს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების კომპანიებსა და ეროვნულ კავშირებს და ხელს უწყობს მეწარმეობის განვითარებას მსოფლიოში ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ღია ბაზრების, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის წახალისების გზით.

საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (1953 და 1980 წწ.) შეიმუშავა და გამოიმუშავა საქონლის მიწოდების საბაზისო პირობების განმარტებითი კრებული – ,,ინკოტერმესი“. მასში მოცემულია 14 საბაზისო პირობების განმარტება. აქედან ყველაზე გავრცელებულია **,,სიფ“**-ი, **,,კაფ“**-ი, **,,ფობ“**-ი, **,,ფას“**-ი, ,,ფრანკო ქარხანა“, ,,ფრანკო-ვაგონი“, ,,მიწოდება

საზღვრამდე“, ,,მიწოდება ბაჟის გადახდით“, ,,ფრანკო გადამზიდავი“ და ა.შ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქმიანობის – ძირითადი ამოცანაა სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებაში ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

საერთაშორისო სავაჭრო სერთიფიკატი (ინგლ. International trading certijicate) – მიმოქცევაში თავისუფლად მყოფი იმპორტული **ლიცენზია**; საქონლის მყიდველის არაკონვერტირებული ვალუტის ქვეყანაში უფლებას აძლევს გაყიდოს ამ ქვეყანაში საქონელი წინასწარ შეთანხმებულ მტკიცე ვალუტაში.

საერთაშორისო სამოქალაქო კონვენციის ოქმი – სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია ჩიკაგოში 1944 წელს. ამ დოკუმენტის ძირითადი მიზანი და ამოცანაა საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლებში სახელმწიფოების თანამშრომლობის ორგანიზება და კოორდინირება.

საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლების შესახებ შეთანხმების ზედდებული – საგადასახადო დოკუმენტი, რომელიც ასრულებს გადაზიდვის ხელშკრულების ფუნქციას საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლებში საქართველოს და დსთ-ს ქვეყნებს შორის. აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – შეთანხმების მონაწილეებთან.

საერთაშორისო სასაქონლო ნაკადების სტატისტიკური აღრიცხვის ბაზად – მიღებულია ტვირთების ექსპორტ-იმპორტის საბაჟო აღრიცხვა.

საერთაშორისო სატრანზიტო ტარიფი (სსტ) – შსსმ-ის შემადგენელი ნაწილი. სსტ-ის დანიშნულებაა შსსმ-ის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ტრანზიტით ტვირთების გადაზიდვისათვის ზიდვის ღირებულების გამოთვლა და გადახდა, მესამე ქვეყნებში, რომელიც არ არის შსსმ-ის მონაწილე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სსტ გამოიყენება აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ტვირთების გადაზიდვისათვის საქართველოში იმ პირობით, როდესაც ადგილი

აქვს პირდაპირ სარკინიგზო მიმოსვლისას, ანდა ტვირთი მიდის საზღვარგარეთ შერეულ სარკინიგზო-საწყალოსნო გადაზიდვებში პორტების გავლით.

საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი – წარმოადგენს მაგისტრალური სატრანსპორტო კომუნიკაციების ერთობლიობას შესაბამისი მოწყობილობით, აკავშირებს სხვადასხვა ქვეყანას და ამის გამო აქვთ საერთაშორისო მნიშვნელობა, რომელზედაც რამოდენიმე სახის ტრანსპორტის კოორდინირებული ურთიერთქმედება, უზრუნველყოფენ ტვირთების გადაადგილებას. ამ მიმართულებებზე ერთიანი თანხმლები დოკუმენტით და ექსპედიტორის (ოპერატორის) სრული პასუხისმგებლობის დროს მთელი გადაზიდვის პროცესის განმავლობაში.

„საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში“ – ითვლება: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების ბანკი, ჩრდილოეთის საერთაშორისო ბანკი, ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი.

საერთაშორისო საფინანსო ცენტრები – სასესხო კაპიტალების, საერთაშორისო ბაზრის ცენტრები. განვითარებულ ქვეყნებში – ნიუ-იორკის, ტოკიოს, ლონდონის, პარიზის, ფრანკფურტმაინის, ციურიხის, ლუქსემბურგის; განვითარებადში – ჰონკონგის, სინგაპურის, ბახჩეინის და სხვა. ამგვარი ცენტრებისათვის დამახასიათებელია ბანკებისა და სხვა ფინანსურ საკრედიტო ცენტრების მაღალი კონცენტრაცია, ფინანსურ-საკრედიტო ოპერაციების ლიბერალური საგადასახადო და სავალუტო რეჟიმი, კომპიუტერული კავშირების მძლავრი სისტემები.

საერთაშორისო საფრენოსნო კორპორაცია – მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისაგან განსხვავებით მუშაობის

მიკროდონეზე, ე.ი. აფინანსებს არა მთავრობებს, არამედ უშუალოდ საწარმოებს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია განვითარებად ქვეყნებში კერძო კაპიტალდაბანდებათა პროექტების პირდაპირი დაფინანსების მსოფლიოში უდიდესი წყაროა.

საერთაშორისო საქმიანობის მართვა – გულისხმობს კორპორაციის საერთო მიზნებისა და უცხოური ბაზრის სპეციფიკის შესაბამისი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. მართვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შერჩევის კრიტერიუმები საკმაოდ მრავალფეროვანია, განსაკუთრებით კი მხედველობაში მისაღები: საერთო მიზნებისა და აქტივების ხასიათი, კომპანიის ზომა, საწარმოო სპეციალიზაციის ხასიათი, სამმართველო გადაწყვეტილების მიღების დონე, გარე ფაქტორების ერთობლიობა და სხვა.

საერთაშორისო სტატისტიკაში – უცხოელ ტურისტს მიეკუთვნება ნებისმიერი პირი, რომელიც სხვა ქვეყანაში ჩამოსულია ნებისმიერი მიზნით, გარდა იმ პროფესიული საქმიანობისა, რომლის ანაზღაურება ამ ქვეყნის მიერ წარმოებს.

საერთაშორისო სტრატეგიული ალიანსი – სხვადასხვა ტრანსეროვნულ კორპორაციათა თანამშრომლობა კორპორაციათა მეცნიერული პოტენციალის გაერთიანების საწარმოო კოოპერირების ბაზრების განაწილების მიზნით.

საერთაშორისო ტექნოლოგიური გაცვლა – ფართო თვალსაზრისით - ნებისმიერი სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის შეღწევა და ქვეყნებს შორის საწარმოო გამოცდილების გაცვლა; ვიწრო თვალსაზრისით - სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა, რომლებიც კონკრეტული ტექნოლოგიური პროცესების აღწარმოებას განეკუთვნებიან.

საერთაშორისო ტურიზმი – საქმიანობის სახეა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული მოთხოვნილების საქონლის მიწოდების

უცხოელი ტურისტის კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

საერთაშორისო ტურიზმი – სამი სახისაა: რეკრიაციული (დასვენებისათვის განკუთვნილი), სამეცნიერო და საქმიანი.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია – შეიქმნა 1956 წელს კერძო სექტორის დასახმარებლად. მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი სესხი გაიცემა მხოლოდ კერძო სექტორზე. კორპორაცია სესხს გასცემს 3-5 წლის ვადით, აგრეთვე ხელს უწყობს მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე კრედიტის აღებას.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (International Finance Corporation) – შეიქმნა 1956 წელს მსოფლიო ბანკის ოპერაციების მხარდასაჭერად. გასცემს კრედიტს 1956 წელს მსოფლიო ბანკის ოპერაციების მხარდასაჭერად. გასცემს კრედიტს განვითარებადი ქვეყნების კერძო სამეწარმეო სტრუქტურებზე, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობაში.

საერთაშორისო ფრენა – ფრენა, რომელიც შედგება საერთაშორისო ფრენის ერთი ან რამდენიმე ეტაპისგან..

საერთაშორისო წარმოების ორგანიზაციაში – დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო სიმძლავრეების განლაგების ანუ გეოგრაფიული თვალსაზრისით საერთაშორისო საქმიანობის ადგილის შერჩევას. ამ არჩევანის გაკეთებისას გასათვალისწინებელია პროდუქციის გასაღების ადგილი გასაღების ბაზარი.

საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებს – მიეკუთვნება კომპანიის ზოგადი მმართველობითი დანახარჯები, სამდივნოს, საბუღალტრო განყოფილების, ადმინისტრაციული მომსახურების ხარჯები, იმ ხარჯების გამოკლებით, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება წარმოებას, მარკეტინგს, გამოკვლევებს ან დამუშავებას.

საერთო ანაზღაურება – ნიშნავს ყველა ფულადი გაცემების თანხასა და მომუშავეზე გაწეულ შეღავათებს.

საერთო ბაზარი – საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, რომელიც აღინიშნება ხელშეკრულების ხელმოწე-

რით, სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის „ოთხ თავისუფლებას“ რომ მოიცავს – საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანებისათვის. ამ შემთხვევაში ინტეგრაციულ პროცესში ერთვება წარმოების ფაქტორები და გარკვეულ დონემდე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზაცია.

საერთო ბაზარი (Comnon Market) – ევროკავშირის წინამორბედი, დაარსდა 1957 წელს საერთო (ევროპული) ბაზრის სახელწოდებით საფრანგეთის, ბელგიის, გფრ-ის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდის მთავრობების მიერ ხელმოწერილი რომის ხელშეკრულების საფუძველზე. ითვალისწინებდა საბაჟო კავშირის შექმნას, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას, საერთოსამეურნეო და სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებას. 1973 წელს დაემატა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი, 1982 წელს-საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს - პორტუგალია და ესპანეთი. 1967 წლის საერთო ბაზარი შეერწყა ნახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებებს (EASC) და ატომური ენერგიის სფეროში ევროპული გაერთიანების (EAEC) სტრუქტურებს, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ევროპული გაერთიანება, ხოლო 1993 წლის ბოლოს ევროგაერთიანებამ მიიღო ევროკავშირის სახელწოდება.

საერთო ბაზარი – გულისხმობს თავისუფალ ვაჭრობას, ერთიან საბაჟო ტარიფებს, კაპიტალსა და შრომითი რესურსების თავისუფალ გადაადგილებას.

საერთო ბანკის კაპიტალი – წარმოადგენს საბანკო საქმიანობის განხორციელების და მისი სტაბილური ზრდის, ბანკის საიმედობის და მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ბაზას. მისი მიზანია უზრუნველყოს საბანკო საქმიანობის წარმოება, გაამლიეროს ბანკის ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები, როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე მომავალში. ამასთან, იგი უნდა იძლეოდეს

მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების და ზარალის განეიტრალების საშუალებას.

საერთო გეგმის შემუშავების – დროს კომპანია იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, რომელთაგან აღსანიშნავია: ინტუიციური, გრაფიკული, მათემატიკური და სხვა.

საერთო დანიშნულების ავიაცია – სამოქალაქო ავიაციის შემადგენელი ნაწილია, რომელიც არ გამოიყენება სატრანსპორტო ავიაციის მიზნებისათვის. საერთო დანიშნულების ავიაცია შემდეგნაირად კლასიფიცირდება: სასწავლო ფრენები საქმიანი ფრენები გასართობი ფრენები სპეციალური საავიაციო სამუშაოები.

საერთო ეროვნული პროდუქტი – ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს საბოლოო საქონლისა და მომსახურების ერთობლივ ღირებულებას გამოხატულს საბაზრო ფასებში. როგორც წესი, საერთო ეროვნული პროდუქტი აღირიცხება გამოყენების და არა წარმოების ან განაწილების მიხედვით და მოიცავს მოსახლეობის მიერ მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, სახელმწიფო შესყიდვების, კაპიტალურ დაბანდებებს და საგადასახდელო ბალანსის სალდოს. საბაზრო ფასებით შეფასება ნიშნავს იმას, რომ საერთო ეროვნულ პროდუქტში ჩაირთვება ირიბი გადასახდელები, რომლებიც შედიან ფასში და გამოირიცხება სახელმწიფო სუბსიდიები.

საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება ნედლეულის, დაუმთავრებელი პროდუქციისა და საქონლის მარაგები. მათი სიდიდე წარმოების მასშტაბებზე და ტიპზეა დამოკიდებული.

საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი – გაიანგარიშება მიმდინარე აქტივების გაყოფით მიმდინარე ვალდებულებებზე.

საერთო ლიკვიდობის მაჩვენებელს ანგარიშობენ ლიკვიდური აქტივების შეფარდებით აქტივების მთელ თანხასთან. ამ

კოეფიციენტის მრიცხველშია ის აქტივები, რომლებსაც უახლოესი 30 დღის განმავლობაში დაფარვის ვადის მქონე აქტივები. მრიცხველში აქტივების მთელი თანხიდან გამოყოფილია ის აქტივები, რომელთა ამოქმედებაც საჭიროებს შემთხვევაში შესაძლებელია მეანაბრეებისა და კრედიტორების წინაშე არსებულ ვალდებულებათა შესასრულებლად. გარდა ამისა, ჯამური აქტივებიდან გამორიცხავენ ცენტრალურ ბანკში დეპონირებულ სავალდებულო რეზერვებს.

საერთო ლიკვიდობის ნორმატივს ანგარიშობენ ლიკვიდური აქტივობის პროცენტული შეფარდებით ბანკის ჯამურ აქტივებთან (რომელსაც აკლდება საწესდებო კაპიტალის ბანკის მიერ გამოსყიდული საკუთარი წილი, ძვირფას ლითონებზე და გაცემულ კრედიტებზე ვადაგადაცილებული პროცენტები, ცენტრალურ ბანკში გადარიცხული სავალდებულო რეზერვები, ჩეკებით ანგარიშსწორებისათვის შეტანილი ბანკის სახსრები, ბიუჯეტის შემოსავლები, უცხოური, ბიუჯეტის შემოსავლები, უცხოური ვალუტით და ძვირფასი ლითონებით არსებული სახსრები, ბანკის ხარჯები, წაგება, გამოყენებული მოგება, თამასუქებზე გადაუხდელი პროცენტები). ნორმატიკის დასაშვები მნიშვნელობაა 20%.

საერთო ოპერაციული გეგმა – გამოხატავს საქონლის წარმოების ტემპის, შრომის დანახარჯების და მარაგების საუკეთესო დონის განსაზღვრას. წარმოების ტემპში იგულისხმება დროის ერთეულში დამზადებული პროდუქციის რაოდენობა, შრომის დანახარჯების დონე გამოიხატება წარმოებაში დასაქმებული მომსახურეების რაოდენობით, ხოლო მარაგი განისაზღვრება საგეგმო პერიოდში პროდუქციის გამოუყენებელი ნარჩენებით.

საერთოზე პირადი ინტერესების დაქვემდებარება – საწარმოს ინტერესებს აქვს პრიორიტეტი ცალკეული პიროვნებების ინტერესთა წინაშე. გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა

იქნას მხოლოდ ორგანიზაციის და არა პიროვნების ინტერესების შესრულების თვალსაზრისით.

საერთო პირობები – სავაჭრო პრაქტიკისა და მიწოდების საბაზრო პირობების საფუძველზე შემუშავებული ხელშეკრულების იმ მუხლების ჩამონათვალია, რომლებიც კონტაჰენტებს შეაქვთ საკუთარ კონტრაქტებში ან უთითებენ მათ.

საერთო რეზერვი – რეზერვი, რომელიც იქმნება სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების შესაძლო დანაკარგებისათვის, მათ დაუკონკრეტებლად, არაიდენტიფიცირებული ზარალისათვის.

საერთო რისკები – მოსალოდნელია მოცემულ სოციალურ სფეროში, ადგილზე გეოგრაფიულ ოლქში და ა.შ. არსებულ ნებისმიერ ობიექტზე. ესაა ავარიები, ხანძრები, წყალდიდობები, მიწისძვრები, სხვა გეოკატაკლიზმები. ასევე ძარცვა, სოციალური ძვრები, ეპიდემიები და ა.შ. ჩვეულებრივი დაცვა რისკის ამ სახეობიდან მდგომარეობს პოტენციური საშიშროების წინასწარ გაანალიზებასა და პროექტზე უარის თქმაში, თუ რისკი ძალზე დიდია, ობიექტის ტექნოლოგიებში რისკის გათვალისწინებაში (სეისმოდაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, სიგნალიზაცია, სეიფები და ა.შ.), დაზღვევა – რისკის ეს სახე განსაკუთრებით სადაზღვევო ამოღებებისათვის.

საერთო ფასეულობა – წარმოადგენს ეკონომიკური, ფუნქციური და ფსიქოლოგიური სარგებლიანობის აღქმულ ფულად ღირებულებას, რომელსაც იგი ელოდება მიიღოს ამა თუ იმ საქონლის შეძენით.

საექსპედიციო კომპანიების კლასიფიკაციის პრინციპი – საერთაშორისო ვაჭრობაში საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებით.

საექსპერტო ლიზინგს მიეკუთვნება ის გარიგებები რომლებშიც სალიზინგო კომპანია მოწყობილობას ყიდულობს ეროვნული ფირმისაგან და შემდგომ გადასცემს უცხოეთში მყოფ არენდატორს.

საექსპერტო საქმიანობის გაფართოების (ექსპორტის) სტრატეგია – გულისხმობს ისეთი ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფირმის საქმიანობის გაფართოებასა და შესაძლებელი რისკების მინიმუმამდე დაყვანას.

საექსპორტო დათმობა – უცხოელი მყიდველისათვის შიდა ბაზარზე მყიდველთათვის არსებულ დათმობებთან ერთად დამატებით გათვალისწინებული დათმობაა. მისი მიზანია საგარეო ბაზარზე საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საექსპორტო კვოტა – საქონლის (და მომსახურების) ექსპორტის დამოკიდებულება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ან მთლიანი ეროვნული პროდუქტისადმი.

საექსპორტო კრედიტი (export credit) – კრედიტი, რომელიც გაიცემა საზღვარგარეთის ქვეყნების იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დაფინანსების მიზნით.

საექსპორტო კრედიტი – ეს სესხები გაიცემა საზღვარგარეთ იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე საქონლის (მომსახურების) ექსპორტის დაფინანსების მიზნით.

საექსპორტო ლიზინგი (export lease) – მანქანების, მოწყობილობებისა და სხვა ქონების არენდა, გაცემული უცხოელ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე.

საექსპორტო საკომისიო ფირმები (export commission houses). – წარმოადგენენ გამყიდველს ან მყიდველს. გამყიდველის წარმომადგენლები (selling merchant) ფირმები ასრულებენ საკუთარი ქვეყნის მწარმოებელთა (ექსპორტიორთა) დავალებებს: მათ საქონელს ყიდიან უცხოეთის ბაზრებზე. ასეთ მომსახურებაზე იღებენ საკომისიოებს.

საექსპორტო მომსახურებანი – იყოფა ორ დიდ კლასად ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით მატერიალური და საინფორმაციო მომსახურებანი.

საექსპორტო მომსახურებათა – ეს კომპლექსი შეესაბამება საქმიანი ლოგისტიკის მეორე საინფორმაციო ქვესისტემას

და უნდა დაგეგმარდეს და განახორციელდეს მისი მეთოდიკების და საერთო პრინციპების საფუძველზე.

საექსპორტო ფირმები (export merchants, sxport firms) – სავაჭრო საწარმოებია, რომლებიც საკუთარი სახელით ყიდულობენ საქონელს ქვეყნის შიდა ბაზარზე და უცხოეთში ყიდიან საკუთარი სახელით.

საექსპერტო ქალიშვილ-კომპანიები – აწარმოებენ დედა-კომპანიის საწარმოების მიერ გამოშვებული საქონლის ექსპორტს მასთან შეთანხმებული ფასებით, ახორციელებენ ტვირთების ტრანსპორტირებას და ა.შ. ხშირად მსხვილ ფირმებში იქმნება რამდენიმე საექსპორტო ქალიშვილ-კომპანია.

საექსპორტო შეფასება – ამ პროცესებისა და მოვლენების რაოდენობრივი ან რიგობრივი შეფასება, რომლებიც არ ექვემდებარებიან უშუალო გაზომვას, ემყარება სპეციალისტების (ექსპერტების) აზრს.

სავალდებულო რეზერვები – ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია და წარმოადგენს საბანკო სისტემის საერთო ლიკვიდობის რეგულირების მექანიზმს.

სავალდებულო რეზერვების – დონის შემცირება (ან და მათზე საპროცენტო გადასახადების გადიდება) ბანკებისათვის დახმარების გაწევის კიდევ ერთი ხერხია.

სავალდებულო რეზერვების ნორმა (სრნ) (norm of obligary reserves) – ფულადი თანხა, რომლის სესხად გაცემის უფლებაც კომერციულ ბანკებს არა აქვთ და რომელიც თავიანთ ანგარიშზე უნდა იქონიონ ცენტრალურ ბანკში. ინფლაციურ სიტუაციაში როდესაც აუცილებელია მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდის შენელება ცენტრალური ბანკი ამაღლებს **სრნ**-ს; როდესაც აუცილებელია მიმოქცევაში ფულადი მასის ზრდის შენელება, ცენტრალური ბანკი ამაღლებს სრნ-ს; როდესაც აუცილებელია მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაზრდა ცენტრალური ბანკი დაბლა სწევს **სრნ**-ს და ამის საფუძველზე შესაძლებლობას

აძლევს კომერციულ ბანკებს, თავიანთი სახსრების დროებით „გაყინული“ ნაწილი კრედიტად აქციონზე.

სავალდებულო რეზერვების ნორმატივები – ცენტრალურ ბანკში კომერციული ბანკების ანაბრების სავალდებულო ნორმა, რომელიც დგინდება კანონმდებლობით საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო შესაძლებლობების შეზღუდვისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნებისათვის.

სავალდებულო რეზერვების ფონდი – შექმნილია იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს კომერციული ბანკების მიერ თავისი კლიენტების წინაშე ადრე მოზიდული ფულადი სახსრების დროულად დაბრუნების ვალდებულებები.

სავალდებულო სოციალური დაზღვევა (obligatory social insurance) – მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა გულისხმობს დაზღვევას დროებით შრომისუუნარობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, უბედური შემთხვევისა და უმუშევრობის გამო. მასში შეიძლება შევიდეს რისკის უფრო კონკრეტული სახეები, გამოწვეული შემოსავლების დაკარგვით დაქირავების დროებითი შრომისუნარიანობის და ა.შ. გამო. ეყრდნობა შესაბამის კანონს და ვრცელდება მთელ მოსახლეობაზე. ხორციელდება ხელფასის ფონდიდან ანარიცხების ხარჯზე. სავალდებულო სოციალური დაზღვევა ცალკე განყოფილებად შედის გაეროს **სსდკ**-ის მესამე ვარიანტის სტრუქტურაში.

სავალდებულო ღონისძიებები – საბანკო ლიცენზიების მქონე ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე საქართველოს საბანკო კანონმდებლობით ბანკის მიმართ გამოსაყენებელი ზომები და სანქციები.

სავალდებულო შეთანხმებები – ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფორმა, რომლის დროსაც სახაზო ხელმძღვა-

ნელები ვალდებული არიან განიხილონ სათანადო საკითხები მანამ, სანამ რაიმეს მოიმოქმედებენ ან წინადადებას წარუდგენენ უმაღლეს ხელმძღვანელობას.

სავალო ვალდებულება გამოყენებული კანონმდებლობის შესაბამისად მყიდველის მიერ გამოწერილი დოკუმენტია, რომელიც შეიცავს მის ცალმხრივ ვალდებულებას ბრძანებაზე აღნიშნული თანხის გადახდის შესახებ.

სავალო ვალდებულება - დოკუმენტი, გაცემული სესხის ამღების მიერ კრედიტორზე სესხის მიღების დროს. მასში მითითებულია კრედიტის თანხა და მისი დაფარვის ვადა. ხელს აწერს ფიზიკური ან თანამდებობის მქონე პირი იურიდიული პირის სახელით, რომელმაც მიიღო კრედიტი.

სავალო ინსტრუმენტი – ნებისმიერი მიმოქცევადი სავალი საბუთის და ამ საბუთის ეკვივალენტური სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, აგრეთვე ნებისმიერი მიმოქცევადი საბუთი, რომელიც იძლევა სხვა სავალო ინსტრუმენტის შეძენის უფლებას ხელმოწერის ან გაცვლის გზით; მიმოქცევად სავალო ინსტრუმენტს შეიძლება ჰქონდეს სერთიფიკატების ან საბუღალტრო ჩანაწერების ფორმა.

სავალუტო ანაზღაურება (currency srlf-repayment) – საწარმოთა და ორგანიზაციათა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პრინციპი რომელიც ითვალისწინებს მათი დანახარჯების ვალუტით ანაზღაურებას საკუთარი სავალუტო შემოსავლებიდან.

სავალუტო ანაზღაურება (currency srlf-repayment) – საწარმოთა და ორგანიზაციათა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის პრინციპი რომელიც ითვალისწინებს მათი დანახარჯების ვალუტით ანაზღაურებას საკუთარი სავალუტო შემოსავლებიდან.

სავალუტო არბიტრაჟი (currency arbitrage) – უცხოური ვალუტის ყიდვა ერთ ვალუტის ბაზარზე იმავდროულად მეორეზე მისი გაყიდვის მიზნით სხვადასხვა ბაზარზე ვალუტის კურსის სხვაობის საფუძველზე მოგების მისაღებად.

სავალუტო არბიტრაჟი – სავალუტო ოპერაცია, რომელიც მოიცავს უცხოური ვალუტის ყიდვას (გაყიდვას) კონტრგარიგების შემდგომი გაფორმებით; მიზანი – სხვადასხვა სავალუტო ბაზარზე ვალუტის კურსებს შორის სხვაობით მიღებული მოგება (სივრცობრივი არბიტრაჟი); ან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში სავალუტო კურსების ცვლილებით (დროითი არბიტრაჟი) დარჩენილი მოგება.

სავალუტო აქტივებისა და პასივების მოძრაობის შესახებ – ანგარიშის დანიშნულებაა საანგარიშო პერიოდში ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის წარმოებულ ოპერაციებში კომერციული ბანკების საზღვარგარეთული აქტივებისა და პასივების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. ანგარიშში მოყვანილ ინფორმაციას იყენებენ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შედგენის მიზნით. იგი კონფიდენციალური ხასიათისაა და საჯაროდ არ აქვეყნებენ.

სავალუტო ბაზარი – არამატერიალური ბაზარია, სადაც ხდება ეროვნულ ვალუტაში შეფასებული უცხოური ვალუტების მოთხოვნა-მიწოდების შეწონასწორება.

სავალუტო ბაზარი. ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასს, გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში, გაცვლითი (სავალუტო) კურსი ეწოდება.

სავალუტო ბაზარი – საკრედიტო ორგანიზაციების და ოფიციალური ცენტრების ერთობლიობა, სადაც თავმოყრილია (ხდება) ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე სავალუტო ბაზარი, როგორც ინსტიტუციური მექანიზმი, ბანკების, ვალუტის ბირჟების, სავალუტო განყოფილებების, მსხვილი, პირველ ყოვლისა, ტრანსეროვნული კორპორაციების სპეციალიზებული საბროკერო ფირმების ერთობლიობაა.

სავალუტო ბაზარი – წარმოადგენს საკონვერსიო ოპერაციათა ერთობლიობას, რომელიც ამ ბაზრის მონაწილეებს შორის, კონკრეტული პირობების (თანხა, გაცვლითი კურსი, ვალუ-

ტირების თარიღი) დაცვით, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს მოიცავს. თავის მხრივ, საკონვერსიო ოპერაციები უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორებას, სესხების გაცემასა და სხვა მიზნებს ემსახურება. სავალუტო სისტემა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო სავალუტო სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ფუნქციებით, როლით, ამოცანებითა და რეგულირების მეთოდებით.

სავალუტო ბაზრები – თანამედროვე საფინანსო ბაზრების ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურ და ლიკვიდურ სეგმენტს წარმოადგენს. მისი, როგორც კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის მთავარ მიმართულებად განიხილება.

სავალუტო გადარიცხვა – სახელმწიფო საწარმოებისათვის დაიტოვოს თავისთვის სავალუტო შემოსავალის ნაწილი (განსაზღვრული პროცენტი); დანარჩენი ნაწილი გადაეცემა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაზე მიყიდვის სახით.

სავალუტო-გაცვლითი ოპერაციები – ნაღდი უცხოური ვალუტის ან საგადამხდელო დოკუმენტები უცხოურ ვალუტაში ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები.

სავალუტო დათქმა – ამ დათქმის შესაბამისად, ფულად ვალდებულებათა თანხა იცვლება კურსების იმ თანაფარდობის ცვლილებაზე დამოკიდებულებით, რომელიც ყალიბდება გადახდის ვალუტასა და დათქმის ვალუტად დადგენილ რომელიმე სხვა, უფრო მყარ ვალუტას (ვალუტების ჯგუფს) შორის. დათქმის ვალუტა შესაძლოა იყოს გარიგების ვალუტა ან მესამე ვალუტა. მცურავი სავალუტო კურსების პირობებში დათქმის ვალუტად იყენებენ რამდენიმე ვალუტის ამა თუ იმ კომბინაციას (სავალუტო კალათას), დათქმას კი მრავალვალუტიანს უწოდებენ.

სავალუტო დემპინგი (currency dumping) – საქონლის გატანა გაუფასურებული ვალუტის მქონე ქვეყნიდან მტკიცე ან ნაკლებად გაუფასურებელი ვალუტის მქონე ქვეყანაში მსოფლიო ფასზე დაბალი ფასით.

სავალუტო ინტერვენცია (currency dumping) – ვალუტის ბაზარზე სახელმწიფოს მიერ ეროვნული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიერ გაცვლით კურსზე ზემოქმედების მიზნით.

სავალუტო ინტერვენციები – როცა ქვეყნის ცენტრალური ბანკი ყიდის უცხოურ ვალუტას სახელმწიფო ოქროს რეზერვებიდან ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას სავალუტო ბაზარზე. ეს ინტერვენციები იმ მიზნით ხორციელდება, რომ ზემოქმედება მოახდინონ ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციაზე, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ვალუტების გაცვლითი კურსის რეგულირებისათვის.

სავალუტო ინტერვენციებში – იგულისხმება ცენტრალური ბანკის მიერ ვალუტის გაყიდვა (ან შესყიდვა) საგარეო სავალუტო ბაზრებზე, რის შედეგად გაცვლის კურსი მცირდება (ან იზრდება).

სავალუტო კასა – უცხოურ ვალუტაში ქვეყნის შემოსავლის და გადასახდელების ერთობლიობა. სსრკ-ში მიღებული იყო „სავალუტო კასის ერთიანობის“ პრინციპი, რომლის თანახმად ვალუტა შეიძლება შენახული იქნას მხოლოდ საგარეო ეკონომიკურ ბანკში, რომლის ბალანსი ფაქტობრივად ემთხვეოდა ქვეყნის საგადასახადო ბალანსს.

სავალუტო კლირინგი (currency clearing) – სამთავრობათაშორისო შეთანხმება შემხვედრი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლის შესახებ საქონლის მიწოდებისა და გაწეული მომსახურების ღირებულებათა ტოლფასოვნების საფუძველზე.

სავალუტო კონტროლი (exchange contril) – სისტემა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ახორციელებს უცხოური ვალუტისა და ოქროს კონტროლს ყველა ან ზოგიერთ იმ ოპერაციაზე რომელშიც მონაწილეობს ამ ქვეყნის მოქალაქე. სავალუტო კონტროლი გამოიყენება საგადასახდელო ბალანსის დასაცავად აგრეთვე ვალუტის კურსის დაცემის თავიდან ასაცილებლად სავალუტო ოპერაციების სრული თავისუფლების პირობებში. სავალუტო კონტროლი პირველად შემოიღეს დიდ ბრიტენეთში 1939 წელს.

1950 წელს იგი საგრძნობლად შესუსტდა ხოლო მთლიანად ლიკვიდირებული იქნა 1979 წელს, როდესაც უარყვეს უცხოურ ვალუტასთან და ოქროსთან დაკავშირებული ყველა შემზღუდავი ღონისძიება.

სავალუტო კონტროლის დეკლარაცია (ექსპორტი) – ექსპორტიორის (გამყიდველის) მიერ შევსებული დოკუმენტია, რომლის საფუძველზე კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია სავაჭრო გარიგების შედეგად უცხოურ ვალუტაში მიღებული თანხის ქვეყანაში გაგზავნის კონტროლის განხორციელება გადახდის პირობებისა და სავალუტო კონტროლის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავალუტო კონტროლის დეკლარაცია (იმპორტი) –იმპორტიორის (მყიდველის) მიერ შევსებული დოკუმენტია, რომლითაც კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია, უცხოური ვალუტის გამოყოფის საფუძველზე განხორციელებული სავაჭრო გარიგებებისა და გადახდის პირობებისა და სავალუტო კონტროლის მოქმედი წესების შესაბამისად, გაგზავნილი ფულის კონტროლი.

სავალუტო კონტროლი – ღონისძიებებისა და ნორმატიული წესების ერთობლიობა განვითარებულ და განვითარებად კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, რომელიც დადგენილია საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული სახით და მიმართულია ვალუტასთან, ოქროსთან და სხვა სავალუტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

სავალუტო კრედიტები (foreign exchange/currency lean) – კრედიტი უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო კრედიტი (foreign exchange loan) – უცხოური ვალუტით აღებული კრედიტი.

სავალუტო კურსი (ინგლ.exchange rete) ფულის ერთეულის ფასი რომელიც გამოსახულია მეორე ფულის ერთეულში; საბაზრო ეკონომიკის პირობებში სავალუტო კურსი განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედებით. იგი ასახავს ეკონომიკის მდგომარეობას (მათ შორის ფასების დონეს).

სავალუტო ლიცენზია – ცენტრალური ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც უცხოური ვალუტით ოპერაციების ჩატარების უფლებას აძლევს კომერციულ ბანკს.

სავალუტო ლიცენზია – კომპენტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტია, რომლითაც იმპორტიორს (მყიდველს) ეძლევა ექსპორტიორთან (გამყიდველთან) ანგარიშის გასასწორებლად უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარკვეული თანხის გაგზავნის უფლება.

სავალუტო მონოპოლია (foreige exchange monopoly) – სახელმწიფო მონოპოლია (მისი ორგანოების სახით) სავალუტო ოპერაციებზე და მთლიანად ვალუტაზე. სავალუტო მონოპოლია წარმოადგენდა სსრკ საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპს 1987 წლამდე.

სავალუტო ოპერაციები (foreign exchange transaction) – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა (ერთი ვალუტის გადაცვლა მეორეზე); სავალუტო ოპერაციები შეიძლება იყოს ნაღდი (სპიტი) და ვადიანი (ფორვარდი).

სავალუტო ოპერაცია „სვოპი“ (“SWP”currency operations) – ოპერაცია რომელიც გულისხმობს ერთ-ერთი ვალუტის გაყიდვას განსაზღვრული დროის შემდეგ იმავე რაოდენობითა და გარიგების მომენტში ფიქსირებული კურსით უკან დაბრუნების პირობით.

სავალუტო ოპციონი – პირობა, რომელიც ჩართულია საბირჟო სასწრაფო გარიგებებში, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს განსაზღვრული უფლებით ან უარი თქვას მასზე (მაგალითად ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის უფლება).

სავალუტო ოფციონი – ვადიან სავალუტო ბაზარზე დადებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე (გამყიდველი) ყიდის, ხოლო მეორე (მყიდველი) ყიდულობს საბაზრო ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის უფლებას, ხელშეკრულების პირობებით.

სავალუტო ოფციონი – შეთანხმებაა, რომლის ყიდვის შემთხვევაში ერთი მხარე (მაგალითად, ბანკი, ფირმა ან ფიზი-

კური პირი) გარკვეული გასამრჯელოს (პრემიის) საფუძველზე მეორე მხარეს უფლებას აძლევს იყიდოს (ოფციონი „კოლი“) ან გაყიდოს (ოფციონი „პუტი“) ვალუტა შეთანხმებული კურსით გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ამერიკული ოფციონი) ან დადგენილ ვადაში (ევროპული ოფციონი).

სავალუტო პარიტეტი – ან ოფიციალური სავალუტო კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულების შეფარდებას საკანონმდებლო წესით და სამთავრობათაშორისო დონეზე; 1978 წლამდე განისაზღვრებოდა ვალუტებში ოქროს შინაარსით, ხოლო შემდეგ საერთშორისო სავალუტო ფონდის წესდებით ნასესხები სპეციალური უფლებების ბაზაზე, 1979 წელს მოქმედება დაიწყო ევროპის სავალუტო კავშირმა, რომელშიც დაფიქსირებულია ამ კავშირის წევრი ქვეყნების ვალდებულებები შეინარჩუნონ ეროვნული ვალუტის სავალუტო პარიტეტი დაწესებულ საზღვრებში და არ დაუშვან ეროვნული ვალუტის საბაზრო კურსის ურთიერთგადახრა შეთანხმებული ნორმებიდან.

სავალუტო პოზიცია (currency position) – უცხოურ ვალუტაზე ბანკის მოთხოვნებისა და ვალდებულებების თანაფარდობა. თუ ისინი ტოლია, სავალუტო პოზიცია ითვლება დახურელად (ჩაკეტილად) ხოლო სხვა შემთხვევაში ღიად.

სავალუტო პოლიტიკა – არის ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებები მათი საპროგრამო მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

სავალუტო რეგულირებაში – გამოიყენება შემდეგი საბაზო ცნებები: 1. „რეზიდენტები“ (მოცემული ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირები) და „არარეზიდენტები“ (უცხო სახელმწიფოთა იურიდიული და ფიზიკური პირები); 2. მიმდინარე „სავალუტო ოპერაციები“ და „კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სავალუტო

ოპერაციები“. სავალუტო ოპერაციების რეჟიმი რეზიდენ-ტებისა და არარეზიდენტებისათვის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, რეგულირების სხვადასხვა რეჟიმშია აგრეთვე მიმდინარე სავალუტო ოპერაციები-სათვის კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სავალუტო ოპერაციებისათვის.

სავალუტო რეგულირება – სავალუტო კურსის რეგულირება გატარებული ფულადსაკრედიტო პოლიტიკისა და სავალუტო ინტერვენციებით, ანუ ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვით ფულის ერთეულის კურსზე და ფულის ჯამურ მოთხოვნასა და წინადადებებზე ზემოქმედებისათვის. სავალუტო ინტერვენციის სახსრების წყაროა ოფიცია-ლური სავალუტო (ხანდახან ოქროს) რეზერვები და სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის შეთანხმების საფუძველზე მიღებული კრედიტები.

სავალუტო რეგულირება – გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ეროვნული ვა-ლუტის სრული კონვერტირებადობის მიღწევა. აღნიშნული გულისხმობს ამ უკანასკნელის „სხვა ვალუტაზე შეუზღუ-დავად გადაცვლის უფლებას მოქმედი გაცვლითი კურსით”.

სავალუტო რეგულირების ფონდი – უცხოურ და ნაციონალურ ვალუტაში სახსრები, რომლებიც გამიზნულია ინვესტი-ციების დახმარებით სავალუტო კურსების რეგულირები-სათვის.

სავალუტო რეზერვი (extemal reserve) – საერთაშორისო დონეზე აღიარებული საგადასახდელო დეფიციტის დასაფარავად და საკუთარი ვალუტის კურსის ცვლილებების კონტრო-ლის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. ასეთ რეზერვს წარმოადგენს ძირითადად ოქრო და ის უცხოური ვალუტა (ვალუტები), რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშო-რისო ვაჭრობასა და ანგარიშსწორებაში. ისტორიულად მთავარი ვალუტები იყო გირვანქა სტერლინგი და აშშ

დოლარი. გირვანქა სტერლინგის, როგორც სავალუტო რეზერვის როლი ძლიერ დაეცა XX საუკუნის 60-იან წლებში ხოლო დოლარი ისევ რჩება მთავარ საერთა-შორისო სარეზერვო ვალუტად. 2002 წლის 1 იანვრიდან საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის როლს დოლართან ერთად ასრულებს ევროც.

სავალუტო რეზერვის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მაშინ როდესაც ქვეყანა ახორციელებს სავალუტო კურსის სტაბილიზაციას, ამ მიზნით იგი უნდა იყოს მზად განახორციელოს ინტერვენცია ვალუტის ბაზრებზე თავისი ვალუტის კურსის შენარჩუნებისათვის. ამ ღონისძიების გასატარებლად კი ქვეყანას უნდა ჰქონდეს სავალუტო რეზერვი.

სავალუტო რისკი (risk of currency depreciation) – სავალუტო დანაკარგების საშიშროება, რომელიც წარმოიქმნება საგა-რეო-სავაჭრო, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების ჩატარებისას და უკავშირდება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებას.

სავალუტო რისკი – არის იმის ალბათობა, რომ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა მისი აქტივებისა და პასივების საბაზრო ღირებულების ცვლილება და შესაბამისად, ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს.

სავალუტო რისკი foreign exchange risk) – დაკარგვის საშიშროება საგარეო-სავაჭრო სავალუტო და სხვა ოპერაციების გატარების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უცხოური ვალუტის კურსის შეცვლასთან დაკავშირებით (მაგალითად, კონტრაქტის დადებისა და მისი შესრუ-ლების პერიოდებს შორის) რისკი შეიძლება დაიფაროს ვალუტის დროულად შეძენით ან კრედიტის მოზიდვით, აგრეთვე სავალუტო გამორიგებაზე დაზღვევის მეშვეობით (იხ. ოპერაციული რისკი, ტრანსლიაციური რისკი).

სავალუტო რისკის მატარებელნი – შედარებით დიდი მოცუ-ლობის ბანკები არიან, რადგანაც ეს რისკი უცხოურ ვალუ-ტაში ოპერაციებთან არის დაკავშირებული. სხვადასხვა

ვალუტების კურსები დამოკიდებულია ბაზრის მიმდინარე პირობებზე. ბანკები,რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს უცხოური ვალუტით, თავისთავზე იღებენ სავალუტო ბაზარზე ფასების არასასურველი მოძრაობის რისკს როგორც მოწოდების, ასევე მოთხოვნის მხრიდან.

სავალუტო რისკ-შანსი – უკავშირდება სავალუტო საპროცენტო განაკვეთების გაურკვევლობას, რომლებიც სავალუტო კურსების რყევაზეა დამოკიდებული.

სავალუტო სალარო (currency fund) – ქვეყნის ფულადი გადასახადებისა და შენატანების ერთობლიბა გამოხატული უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო სვოპი – წარმოადგენს ვალუტის შეძენას და იმავდროულად მის ფორვარდულ გაყიდვას (დეპორტი) ან პირიქით, ვალუტის გაყიდვას და იმავდროულად მის ფორვარდულ ყიდვას (რეპორტი).

სავალუტო-საპროცენტო სვოპი – სვოპი (ინგლ. Swap, swop - გაცვლა) შეცვლა სუბიექტების მიერ ვალდებულებების ან აქტივობის გაცვლის სავალუტო ოპერაციაა – ტრადიციული სვოპებია სავალუტო და საპროცენტო.

სავალუტო საპროცენტო სვოპი – წარმოადგენს როგორც ვალუტის, ისე პროცენტების გაცვლას. ამგვარი სვოპი რამდენიმე მონაწილეს შორის შეიძლება იყოს დადებული.

სავალუტო სისტემა – წარმოადგენს ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც მსოფლიო მეურნეობის წარმოების სხვადასხვა აგენტებს შორის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახადო საანგარიშსწორებო ოპერაციების გამასაშუალებელი საშუალება.

მეთოდი სხვა ვალუტების განსაზღვრულ ნაკრებთან შეფარდებით, ვალუტების რაოდენობა ნაკრებში, მათი შემადგენლობა და სავალუტო კომპონენტების (თითოეული ვალუტის ერთეულის რაოდენობა ნაკრებში) სიდიდე დგინდება საშუალო შეწონილი კურსის მიხედვით. ასეთ კალათაში, თუ მისი მიზანია „ჰეჯირება“, შეირჩევა ისეთი ვალუტები, რომელთა კურსები ჩვეულებრივ

,,ცურავენ“ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით, რითაც აწონასწორებენ თავისი ,,ცურვის“ შედეგს და მთელი ,,კალათის“ ერთობლივ ღირებულებას უფრო სტაბილურს ხდიან. ,,სავალუტო კალათა“, როგორც ვალუტის საშუალო შეწონილი კურსის დადგენის მეთოდი სხვა ვალუტების გარკვეულ ნაკრებთან მიმართებაში, ამცირებს გადასახდელი თანხის მკვეთრი ცვლილებების ალბათობას. ამასთან სავალუტო რისკის თვალსაზრისით, ორივე კონტრაგენტი თანაბარ პირობებში იმყოფება.

სავალუტო სისტემა (exchange system) – ვალუტის ფლობასა და განკარგვასთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციული ფორმა, რომელიც მოიცავს ფულად-საკრედიტო მიმოქცევას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროს. იგი აყალიბებს იმ მარეგულირებელ გარემოს რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ახორციელებს სავალუტო პოლიტიკას. სავალუტო ურთიერთობების სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვალუტის კურსის განსაზღვრის რეჟიმი, მისი კორექტორებისა თუ ცვლილების წესი, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანოების საქმიანობის გათვალისწინება სავალუტო რეგულირების სფეროში და სხვ.

საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში ისტორიულად ყველაზე მნიშვნელოვანია ოქროს სტანდარტის ბრეტონ-ვუდსისა და თანამედროვე (იამაიკის) სავალუტო სისტემა.

სავალუტო სპეკულაცია (currency speculations) – ბანკების ფირმების იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ოპერაცია რომელიც ითვალისწინებს მოგების მიღებას, სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა ბაზარზე ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად, აგრეთვე წინასწარ განზრახვით სავალუტო რისკს.

სავალუტო ურთიერთობანი – ეს არის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის (ფუნქციების) ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყ-

ნებს შორის სამეურნეო კავშირების სხვადასხვა ფორმებს: საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სესხის გაცემას, სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლას, ტურიზმს, სახელმწიფო და კერძო გადარიცხვებს.

სავალუტო ურთიერთობების – ობიექტური საფუძველია ისეთი საზოგადოებრივი კვლავწარმოქმნის პროცესები, რომლებიც წარმოშობენ საქონელს, ფულისა და შრომის საერთაშორისო გაცვლას. სავალუტო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის, მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე.

სავალუტო ფიუჩერსი – საბირჟო კონტრაქტი, რომლის მიხედვით ერთი მხარე (გამყიდველი) ვალდებულებას იღებს მიყიდოს მეორე მხარეს (მყიდველი) უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობა მომავალში, განსაზღვრული მომენ-ტისათვის იმ ფასით, რომელიც მოცემული კონტრაქტის გაფორმების მომენტისათვის არის დაფიქსირებული.

სავალუტო ფონდის – ფორმირება ისეთ საწარმოებში ხორციელდება, რომლებიც საექსპორტო ოპერაციებიდან სავალუტო ამონაგებს ღებულობენ, ან იმპორტული ოპერაციებისათვის ვალუტას შეიძენენ.

სავალუტო ფორვარდი – ვადიანი სავალუტო გარიგების კონტრაქტი, რომლის დროს ერთი მხარე (გამყიდველი) თავის თავზე იღებს მიყიდოს მეორე მხარეს (მყიდველს) განსაზღვრული ოდენობის უცხოური ვალუტა მომავალში განსაზღვრულ მომენტში, მაგრამ შეთანხმების დადების მომენტში დაფიქსირებული ფასით.

სავალუტო შეზღუდვა (foreign exchange restrictions) – სახელმწიფოს საგარეო გადასახდელების რეგულირების ინსტრუმენტები; შეზღუდვა და გადასახდელების წესის განსაზღვრა საგარეო-სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებზე, ინვესტიციაზე, სავალუტო ოპერაციებზე და ა.შ.

სავალუტო შეზღუდვა (exchange restrictions) – სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული გზით სავალუტო ოპერაციების შეზღუდვის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა სისტემა გამოიყენება საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორების ქვეყნის ვალუტის კურსის დაცვისა და სავალუტო რესურსების კონცენტრაციისათვის. ითვალისწინებს: 1. ოქროს, ფულადი ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების საზღვარგარეთ გატანას გზავნილებისა და ფულადი გადასახადების რეგულირებას; 2. უცხოური ვალუტის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვას აკრძალვას; 3. უცხოური ვალუტის აუცილებლად ჩაბარებას ცენტრალურ ბანკში და გაცვლას ეროვნულ ვალუტაზე ოფიციალური კურსით. სავალუტო შეზღუდვა სავალუტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პასიურს ხდის საგადასახდელო ბალანსს და იწვევს ოქროს რეზერვების შემცირებას. ამ დროს უცხოური ვალუტით ჩასატარებელი ოპერაციები თავს იყრის ცენტრალურ ბანკში. უცხოური ვალუტით გამოხატული სატელეგრაფო გზავნილები ჩეკები, თამასუქები საგადასახადო ვალდებულებები ამ ბანკის მეშვეობით იყიდება.

სავალუტო შესწორება (currency reservation) – პირობა საერთაშორისო ვაჭრობაში, საკრედიტო ან სხვა შეთანხმებაში, რომელიც ითვალისწინებს ფულადი გადასახადის გადასინჯვას ვალუტის კურსის ცვლილების პროპორციულად, ვალუტის გაუფასურების რისკისაგან ექსპორტის ან კრედიტორის დაზღვევის მიზნით.

სავალუტო ან სხვა სახის გარიგებისას – ისეთი ანგარიშსწორება, რომელიც გარიგებიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე სრულდება.

სავაჭრო აგენტი – ეწოდება ისეთ აგენტს, რომელიც მისთვის მინიჭებული უფლებებით საქონელს ინახავს საწყობში ან იქიდან ყიდის მას.

საქონლის გაყიდვის განსაკუთრებული უფლება გულისხმობს შუამავლის მონოპოლიურ უფლებას ხელშეკრუ-

ლებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შეთანხმებული საქონლის რეალიზაციაზე.

სავაჭრო აგენტების ერთობლივი აზრი – მოთხოვნილების პროგნოზირების მეთოდი გასაღების განყოფილების პერსონალის ,,წინათგრძნობის" რეალიზაციის ხელმძღვანელისა და ზოგიერთი სავაჭრო აგენტის აზრის მიხედვით.

სავაჭრო ამონაგები. აქ ნაჩვენებია ის ნაღდი ფული, რომელსაც სავაჭრო ორგანიზაციები აბარებენ ბანკებს. ეს მთელი ნავაჭრი კი არაა, არამედ მისი მხოლოდ ნაწილია, რადგან სავაჭრო ორგანიზაციები საქონლის ნაწილს უნაღდო ანგარიშსწორებით ყიდიან, ნაწილს კი კრედიტით. გარდა ამისა, ნავაჭრის თანხას ნაწილობრივ იყენებენ ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის გასასტუმრებლად, ხოლო მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ნაღდ ანგარიშზე საქონლის შეძენას ხმარდება. ნაღდი ფულადი ნავაჭრის გამოუყენებელ ნაშთს ბანკში ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშს რიცხავენ.

სავაჭრო ბალანსი (balance of trade) – საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ბალანსი, რომელიც გამოხატავს სასაქონლო ოპერაციების დადებით ან უარყოფით სალდოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო ბალანსი (ინგლ. balance of trade) – 1. ქვეყნის ექსპორტი და იმპორტი განსაზღვრული პერიოდის ან თარიღისათვის; 2. რეზიდენტების ყველა სავაჭრო ოპერაცია არარეზიდენტებისათვის; 3. საგადასახდელო ბალანსის ნაწილი.

სავაჭრო ბალანსი დადებითი სალდო (trade surplus) – სიტუაცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც ექსპორტით მიღებული შეჯამებული შემოსავლები აღემატება იმპორტზე გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო ბალანსის დეფიციტი (deficit of the trade balanse) – სიტუაცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს, როდესაც შეჯამებული დანახარჯები იმპორტზე აღემატება ექსპორტით მიღებულ შემოსავლებს.

სავაჭრო ბარიერი (trade barrier) – სავაჭრო პროდუქციონიზმი ანუ საქონლისა და მომსახურების გაცვლის შეზღუდვა ბაჟის, კვოტის, სავალუტო კონტროლის დახმარებით.

სავაჭრო ბარიერი (trade barrier) – სავაჭრო პროტექციონიზმი, ანუ საქონლისა და მომსახურების გაცვლის შეზღუდვა ბაჟის, კვოტის, სავალუტო კონტროლის საშუალებით.

სავაჭრო გარიგებებს – მიეკუთვნება მატერიალური და არამატერიალური ფირმის საქონლის გაცვლასთან დაკავშირებული გარიგებები. გარიგების სავაჭრო ხასიათის აღიარებისას მასზე ვრცელდება სამოქალაქო სამართლისა და სპეციალური სავაჭრო სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ მის დადებისა და შესრულების წესებს.

სავაჭრო დათმობა(trade disccunt) – საქონელზე ფასდაკლება, რომელსაც ბითუმად მოვაჭრე აძლევს საცალო მოვაჭრეს ან მუდმივ კლიენტს (დამოკიდებულია) დაკვეთის სიდიდესა და სხვა პირობებზე.

სავაჭრო კვირები – ჩვეულებრივ ეწყობა მსხვილი ქალაქების უნივერსალურ მაღაზიებში. აქ ხდება სამომხმარებლო საქონლის ჩვენება და გაყიდვა.

სავაჭრო მარკა (trade mark) – სავაჭრო საწარმოს სახელწოდება, ნიშანი – სიმბოლო ან ემბლემა. საფირმო მარკისაგან განსხვავებით, ნაწარმი სავაჭრო მარკით შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ იმ საწარმოს სავაჭრო ქსელიდან, რომლის მარკითაც არის გამოშვებული საქონელი.

სავაჭრო მარკები (merchandise mark) **და სავაჭრო ნიშნები** – არის დარეგისტრირებული სიმბოლოები, ნიშნები, სიტყვები და გამოთქმები, რომელიც მის მფლობელებს განსაზღვრული პროდუქტის ან მომსახურების გამოყოფაზე, ან იდენტიფიცირებაზე განსაკუთრებული უფლებამოსილება გააჩნიათ. სავაჭრო მარკა ან სავაჭრო ნიშანი საწარმოს მიერ შეიძლება სახელმწიფო დაწესებულებაში იქნეს დარეგისტრირებული, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მის იურიდიულ დაცვას უზრუნველყოფს.

სავაჭრო მარკების კონკურენცია – ფირმები მეტოქეებად განიხილავენ ანალოგიური საქონლის (მომსახურების) მიმწოდებლებს, რომლებიც სთავაზობენ იმავე მიზნობრივ მომხმარებლებს ანალოგიურ საფასო დიაპაზონში. Volkswagen-ის ავტომობილებისათვის ეს შეიძლება იყოს მოდელები, რომლებსაც აწარმოებენ ფირმები Toyota ან Honda, ან სხვა ავტომობილები, რომლებსაც სთავაზობენ საშუალო საფასო დიაპაზონში და არა მარკები Mercedes ან Hyndai.

სავაჭრო რაუნდი – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (გენერალური შეთანხმება ტარიფებია და ვაჭრობის შესხებ) მოლაპარაკებები, კონფერენციები, რომელთა მიზანია შეიმუშაონ შეთანხმებანი ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შემცირების შესახებ. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების არსებობის მანძილზე ამ შეთანხმების კონფერენციებმა საბოლოო ანგარიშით დაიკავეს 25 წელი 1994 წლამდე გაიმართა რვა სავაჭრო რაუნდი.

სავაჭრო სახლი (trade house) – სპეციალიზებული ფირმა, რომელიც ვაჭრობს ერთი ან რამდენიმე სახის საქონლით, კლიენტთა დავალებით ან თავისი ფულით.

სავაჭრო სახლები (merchant hauses, merchants, tradinge merchants) მსხვილი მრავალპროფილიანი სავაჭრო ფირმებია, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ მწარმოებლებთან, ბანკებთან და სავაჭრო შუამავლებთან. მათი ფუნქციაა საკუთარი ქვეყნის მწარმოებლებისაგან ან ბითუმად მოვაჭრეთაგან, ნაყიდი საქონლის უცხოეთში გაყიდვა ან უცხოეთში ნაყიდი საქონლის რეალიზაცია თავიანთი ქვეყნის ბითუმად ან საცალოდ მოვაჭრეებზე.

სავაჭრო სახლების – საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება: საკუთარი სახელითა და ძირითადად საკუთარი ხარჯებით საექსპერტო-საიმპორტო, საქონელგაცვლითი და სხვა სახის საგარეო ეკონომიკური ოპერაციების განხორციელება, აგრეთვე საკუთარი სახსრების დაბან-

დება არსებულ ან მომავალ საწარმოო და გასაღების ინფრასტრუქტურაში.

სავაჭრო სერვისი – მას სთავაზობს საცალო გამყიდველი, რომელსაც არა აქვს ცალკე მაღაზია და ემსახურება თავის მუდმივ კლიენტურას (როგორც წესი, მსხვილი ორგანიზაციების მუშაკებს), რომელიც ლოიალობის ,,სანაცვლოდ" ღებულობს უფლებას გარკვეულ დათმობებზე.

სავაჭრო რეესტრი – სამართლებრივი მნიშვნელობის მონაცემების ჩასაწერად განკუთვნილი სააღრიცხვო წიგნია.

სავაჭრო ჩვეულება – საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებული ერთგვაროვანი და საყოველთაოდ აღიარებული წესია, რომელიც შეიცავს მოცემული საკითხის მკაფიოდ განსაზღვრულ დებულებას.

სავაჭრო წარმომადგენელი – მოიცავს თანამდებობათა ფართო სპექტრს. გამოყოფენ სავაჭრო მუშაკების ექვს ტიპს სავაჭრო საქმიანობის შემოქმედებითი შემადგენლობის გაძლიერების კვალობაზე.

საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების (ზარალის) განეიტრალებისა და სხვადასხვა სახის (საკრედიტო, საპროცენტო, საბაზრო და ლიკვიდობის) რისკებისგან დასაცავად.

საზოგადოებრივი აზრის ორგანიზაცია – მმართველობითი ფუნქცია, რომლის დროსაც შეფასდება პიროვნების ან ორგანიზაციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, მისი პრინციპისა და ხერხების საზოგადოებრივ ინტერესებთან შესატყვისობა, შედგება გეგმა და ცხოვრებაში გატარდება მოქმედების ისეთი პროგრამა, რომლითაც მოიპოვებენ ისინი საზოგადოების გაგებასა და მხარდაჭერას.

საზოგადოებრივი დანიშნულების ტრანსპორტი – სახალხო მეურნეობის დარგი, რომელიც აკმაყოფილებს მეურნეობის ყველა დარგისა და მოსახლეობის მოთხოვნებს ტვირთე-

ბის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის საკითხებში. საზოგადოებრივი დანიშნულების ტრანსპორტი შეიძლება მოიცავდეს სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო, საჰაერო, მილსადენ, საბაგირო და სხვა სახის ტრანსპორტს.

საზოგადოებრივი მარკეტინგი – პროგრამების შემუშავება, ცხოვრებაში გატარება და შესრულებაზე კონტროლი, რომლებსაც მიზნად აქვთ, რომ მიზნობრივმა ჯგუფმა (ან მიზნობრივმა ჯგუფებმა) აღიქვან საზოგადოებრივი იდეა, მოძრაობა ან პრაქტიკა საზოგადოებრივი მარკეტინგის პროცესში, მიზნობრივი ჯგუფის მაქსიმალური საპასუხო რეაქციის მიღწევის მიზნით მიმართავენ ბაზრის სეგმენტებად დაყოფას, მომხმარებლის შესწავლას, ჩანაფიქრის შემუშავებას, კომუნიკაციის შემუშავებას, შეთვისების შემსუბუქების ხერხებს, სტიმულებს და გაცვლის თეორიის ხერხების გამოყენებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები (social sciences) – ყოველი მეცნიერება ბუნების ან საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს სწავლობს. თითოეულ მათგანს თავისი თავისებურებები აქვს. ამიტომ ასეთ მრავალფეროვან სამყაროს არა ერთი, არამედ ბევრი სხვადასხვა მეცნიერება შეისწავლის. ბუნების საიდუმლოებებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ასტრონომია, ბიოლოგია, ფიზიკა და ა.შ.) იკვლევს, ხოლო საზოგადოების განვითარებას, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს – საზოგადოებრივი მეცნიერებები, მათ რიცხვს ეკონომიკური მეცნიერებებიც მიეკუთვნება. გარდა ეკონომიკისა, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა მიმართულებას შეისწავლის ისტორია, სამართალმცოდნეობა, ენათმეცნიერება, სოციოლოგია და ა.შ.

ეკონომიკურ მეცნიერებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის. ეს აიხსნება მისი კვლევის სფეროს განმსაზღვრელი როლით.

ამიტომაცაა, რომ მას საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეფედ აღიარებენ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებია – პოლიტიკური პარტიები, პროფესიული ორგანიზაციები, ეკლესია და სხვა რელიგიური საზოგადოებები, სხვადასხვა კავშირი, ბლოკი და ორგანიზაცია ახორციელებენ ნებაყოფლობით საქმიანობას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები – შედარებით „ახალგაზრდაა“ მაგრამ საკმაოდ ძლიერად მომუშავე საინფორმაციო არხია. თავისი საქმიანობის საწყის ეტაპზე ის აგროვებდა და ფართოდ ავრცელებდა ინფორმაციას რეალურ ხანდახან კი პოტენციურად „პრობლემურ ბანკებზე, ფირმებსა და კომპანიებზე, სადაც სჭარბობდა თაღლითური, პროფესიული თვალსაზრისით სუსტი ან ზედმეტად რისკიანი მენეჯმენტი. ამ საქმიანობის მიზანია, გააფრთხილოს პოტენციური კლიენტები „პრობლემურ“ სტრუქტურებთან კონტაქტების საშიშროებით, ხოლო რეალური კლიენტები – მათგან ჩამოშორების აუცილებლობის შესახებ.

საზოგადოებრივი ოპტიმუმი (social optimum) – საზოგადოების რესურსების ისეთი განლაგება, წარმოებისა და პროდუქციის განაწილების ისეთი სტრუქტურა, რომელიც „საუკეთესოა“ დასახული მიზნების მისაღწევად. ეს ცნება ფართოდ გამოიყენება კეთილდღეობის ეკონომიკურ თეორიაში, როდესაც განიხილება არჩევანი სხვადასხვა სიტუაციას შორის, რომელთაგანაც თითოეული ოპტიმალურია პარეტოს მიხედვით (ე.ი. თითოეულ ამ სიტუაციაში ერთი ინდივიდის კეთილდღეობის ზრდა არ აქვეითებს მეორის კეთილდღეობის დონეს). საზოგადოებრივი ოპტიმუმი არის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია, გამოხატოს საზოგადოების კეთილდღეობა მთლიანად, ისე, როგორც მისი შემადგენელი ინდივიდებისა. პარტიის მიხედვით, ყველა ოპტიმალური სიტუა-

ციიდან შეიძლება აირჩეს საუკეთესო, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ოპტიმუმს.

საზოგადოებრივი საზღვაო პორტი – ნაპირის ნაწილი მიმდებარე წყლის რეგიონით, მოწყობილობებითა და ნაგებობებით, დატვირთვა-განტვირთვისათვის, შენახვისა და სხვა ოპერაციებისათვის სატრანსპორტო საშუალებებით და ტვირთებით.

საზოგადოებრივი სარგებლობა განათლებისაგან (social returns to education) – დამატებითი სარგებლობა განათლებისაგან სხვა დამატებით შემოსავლებთან ერთად. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს განათლების ფასეულობა ა სეთ მნიშვნელოვან სფეროებში, სადაც შემოსავალი განათლებისგან არ ექვემდებარება რაოდენობრივ შეფასებას (დემოკრატია და პირადი თავისუფლება, საზოგადოების სოციალური სიჯანსაღე, მაგალითად, დანაშაულის შემცირების შესაძლებლობა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება და სხვ.) და არა მხოლოდ გაითვალისწინოს განათლებისაგან მთლიანი შემოსავლები და განათლებაზე სახელმწიფო (კერძო) ხარჯები. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია განათლების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინვესტიციები განათლებაში ისეთი ფონდებიდან გაიცემა, რომელთა გამოყენება სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მოხმარებისათვის.

საზოგადოებრივი საქონელი (public goods) – საქონელი და მომსახურება, რომლებსაც სახელმწიფო მოაქცევს არასაბაზრო სექტორში, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი ეკონომიკური სივრცის არქონა და ბაზრის უუნარობა. ეს გამოწვეულია როგორც პოლიტიკური, სოციალური და სხვა მიზეზებით, ისე საბაზრო მექანიზმის მოქმედების საზღვრების შეზღუდვით. საზოგადოებრივი საქონელი გამოირჩევა ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: განუყოფელობა, მოხმარების კოლექტიური ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება და საკუთრების სახელმწიფო

ფორმის უპირატესი ხვედრითი წონა. გარდა ამისა, იგი თითქმის ყველა მომხმარებლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია, რაც მისი მითვისებისას გამორიცხავს მეტოქეობას, ე.ი. ერთი ინდივიდის მიერ საზოგადოებრივი საქონლის მოხმარება არ ზღუდავს მის მოხმარებას სხვა ინდივიდის მიერ.

მოხმარების ხასიათიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი საქონელი, ისევე როგორც კერძო საქონელი, იყოფა ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარების საქონლად. პირველს მიეკუთვნება, მაგალითად, სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლიების საქონელი (მარილი, თამბაქო და სხვ.), ხოლო მეორეს-სოციალურ-კულტურული მომსახურება, სახელმწიფო მმართველობის, უშიშროების ორგანოების (ეროვნული თავდაცვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სახანძრო დაცვის) მომსახურება, ეროვნული საინფორმაციო სისტემა, ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, კომუნიკაციის ეროვნული ქსელი, ფუნდამენტური მეცნიერება, ამინდის ეროვნული სამსახური, ეროვნული პარლამენტი და სხვ.

საზოგადოებრივი საქონლის მთელი დიაპაზონი შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: პირველ კატეგორიას შეადგენს **წმინდა საზოგადოებრივი საქონელი**, რომლის შინაგანი სპეციფიკაც გამორიცხავს მიწოდების საბაზრო ფორმას. მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი საქონლის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი. წმინდა საზოგადოებრივი საქონლის ეკონომიკური მითვისების ფორმაა სახელმწიფო საკუთრება და შესაბამისად, საყოველთაო უფასო სარგებლობის იურიდიული უფლება. მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სახელმწიფოს პრეროგატივაა. მეორე კატეგორიას ეკუთვნის **შერეული საზომთა მეტრული სისტემა** (metric system of measutes) – ერთეულთა სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეტრი (სიგრძის ერთეული) ან კილოგრამი (მასის ერთეული).

საზოგადოებრივი საქონელი – რომელიც ძირითადად ექცევა საბაზრო მექანიზმის გავლენის ქვეშ, მაგრამ მისი მიწოდებისას ბაზარი ავლენს თავის არასრულყოფილებას. მას ახასიათებს საზოგადოებრივი საქონლის ისეთი ნიშნები, როგორიცაა მოხმარების კოლექტიური და თანაბარი ხასიათი, მაღალი სოციალური დანიშნულება, მაგრამ არ ახასიათებს მოხმარებისაგან განუყოფლობა, რის გამოც ზოგჯერ კერძო საქონლისკენ გადაიხრება. ამიტომ შერეული საზოგადოებრივი საქონელი (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.), ერთი მხრივ, ქმნის ეკონომიკის არასაბაზრო სექტორს, რომელიც არ ექვემდებარება ბაზრის კანონებს და მოსახლეობას ეძლევა უფასოდ ან დაბალი, დოტაციური, ფასით, მეორე მხრივ კი, წმინდა საბაზრო ურთიერთობაში ჩაერთვის და ბაზრის კანონებს ემორჩილება. ამრიგად, მის მიმართ გამოიყენება მითვისების როგორც უფასო, ისე ფასიანი ფორმა. ამ შემთხვევაში ბაზარი არასრულყოფილია, ანუ შედარებით უუნაროა და ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი გამოიხატება ისეთი პრობლემების გადაჭრით, რომელთა მიმართაც საბაზრო მექანიზმი უძლურია. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოიყენება შერეული საზოგადოებრივი საქონელი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივისა და კერძოს თანაარსებობასა და ამ უკანასკნელისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერასა და დახმარებას. მესამე კატეგორიას შეადგენს ის საქონელი და მომსახურება, რომლისთვისაც, მისი თავისებურებებიდან და ბაზრის ტერიტორიული შეზღუდულობიდან გამომდინარე, **ბუნებრივი მონოპოლია** გარდაუვალია. ამასთან, თეორიულად ის კვაზისაზოგადოებრივი საქონელია. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ენერგო-, თბო-, წყალ- და გაზმომარაგება, სარკინიგზო მიმოსვლა, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირგაბმულობა და სხვ.

საზოგადოებრივი საქონლის ეს კატეგორიები მთლიანობაში ქმნიან მკვეთრად გამოხატულ სპეციფიკურ სახეს, რომელიც მათ კერძო საქონლისაგან განასხვავებს.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის მკვლევართა ასოციაცია (Association for studics of public Economy-ASPE) – დაფუძნდა 2000 წლის 2-3 ივნისს სანკტ-პეტერბურგში საზოგადოებრივი სექტორის რეფორმებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე. ASPE საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი სექტორის (ეკონომიკური) პრობლემების შესწავლა. იგი არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც თავის საქმიანობას ახასიათებს სტოკჰოლმის უნივერსიტეტისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ჩარჩოებში და ითვალისწინებს: ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას; ასოციაციის ორგანიზებას; ასოციაციის სამეცნიერო მოხსენებების გამოქვეყნებას; სემინარების მოწყობას; უცხოელი სპეციალისტების ლექციების ორგანიზებასა და ა.შ.

საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო – არის სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ საქონლის დასამზადებლად წარმოების საზოგადოებრივად ნორმალურ პირობებში შრომის დახელოვნებისა და ინტენსივობის საზოგადოებრივად საშუალო დონეზე.

საზღვაო (გემის) აგენტი – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს გემების მომსახურებას და წარმოადგენს გემთმფლობელის ინტერესებს.

საზღვაო გადაზიდვების დოკუმენტაცია – სავაჭრო და საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია ზღვით ტვირთების გადაზიდვაზე.

საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულება – შეთანხმება, რომელიც ადგენს ზღვით ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის პირობებს. ამ ხელშეკრულების თანახმად გადამზიდავი ვალდებულებას იღებს მიიღოს ტვირთი, მიიტანოს იგი დანიშნულების ადგილამდე და

ჩააბაროს, ხოლო გამგზავნი ვალდებულებას იღებს გადაიხადოს გადაგზავნის თანხა. საზღვაო გადამზიდავის ხელშეკრულება შეიცავს დატვირთვასა და განტვირთვის პირობებში მხარეთა უფლებებს და მოვალეობებს. მხარეთა პასუხისმგებლობის საზღვრების, ფრახტის გადახდის პირობებს, დავისა და პრეტენზიის გადაჭრის გზებს. ხელშეკრულების გაფორმება წარმოებს წერილობით. კანონმდებლობის მიხედვით ხელშეკრულების არსებობა და შინაარსი შეიძლება დადასტურებულ იქნას კონოსამენტით, ჩარტერით და სხვა წერილობითი ვალდებულებებით.

საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების პირობები – სატრანსპორტო ნაოსნობა გადმოცემულია ჩარტერში, რომელიც წარმოადგენს შეთანხმების საგანს ტვირთმფლობელსა და გადამზიდავს შორის. სახაზინო ნაოსნობაში საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების პირობები დადგენილია გემთმფლობელის მიერ ცალმხრივი წესით და გადმოცემულია კონოსამენტში.

საზღვაო პორტი – ნაპირის ნაწილი მიმდებარე წყლის რაიონით, მოწყობილობებითა და ნაგებობებით, დატვირთვა-განტვირთვისათვის, შენახვისა და სხვა ოპერაციებისათვის სატრანსპორტო საშუალებებითა და ტვირთებით.

საზღვაო პროტესტი – დადგენილი წესით გაფრთხილებული გემის კაპიტანის წერილობითი განცხადება. განცხადება გემთმფლობელების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც გემის ცურვის ანდა დგომის დროს ადგილი აქვს შემთხვევას (ავარია). ავარია შეიძლება იყოს გემთმფლობელისათვის ქონებრივი მოთხოვნილებების წარდგენის საფუძველი.

საზღვაო ტრანსპორტი – საკონტინენტთაშორისი გადაზიდვების საშუალება; დიდ მანძილზე ტვირთის დაბალი თვითღირებულება; მაღალი გამტარობის შესაძლებლობები.

სათაო დაწესებულება (სათაო ორგანიზაცია) – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირი.

სათავო კომპანია (parent company) – დედა-კომპანია დიდი, როგორც წესი, ტრასეროვნული კორპორაციისა, რომელიც ფლობს მასში შემავალი შვილობილი კომპანიებისა და ქვეგანყოფილებების აქციების საკონტროლო პაკეტებს. სათავო კომპანია ტრანსეროვნული კორპორაციის შტაბ-ბინაა, რომელიც სტრატეგიული მართვის ფუნქციებს ასრულებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა წარმოება, გასაღება, ფინანსები, მეცნიერული კვლევა და სხვა, თუმცა შვილობილ კომპანიებს საწარმოო საგამსაღებლო საქმია-ნობის ოპერაციული საკითხების გადაჭრაში დამოუკი-დებლობა აქვთ მინიჭებული.

სათამასუქო კრედიტის – დროს ექსპორტიორი საქონლის გადატვირთვის შემდეგ გამოსწერს ვადიან ტრატას (გადა-საგზავნ თამასუქს) და გადასცემს თავის ბანკს სხვა საქო-ნელთან მხლებ დოკუმენტებთან ერთად. იმპორტიორი თავისი ბანკისაგან დოკუმენტებს იღებს მხოლოდ ტრატის აქცეპტის შემდეგ. ერთ წლამდე ვადით გამოწერილი თამასუქები რჩება იმპორტიორის ბანკში, ხოლო 1 წელზე მეტ ვადიანები გადაეცემა ექსპორტიორის ბანკს.

სათამასუქო კრედიტის – არსი იმაში მდგომარეობს: რომ გამყიდველი საქონლის გაყიდვის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე აფორმებს გადასაპირებელ თამასუქს და წარუდგენს მყიდველს, ეს უკანასკნელი კი ახდენს მის აქცეპტირებას ანუ იძლევა წერილობით თანხმობას, რომ ფულს გადაიხდის თამასუქზე მითითებულ ვადაში.

სათამაშო ბიზნესი (gambling industry) – ბიზნესი, რომლის მიზანია თამაშების ინდუსტრიის საფუძველზე, აზარტუ-ლი თამაშების ორგანიზებით, მოგების მიღება.

სათბობი – არის დამხმარე მასალების ნაირსახეობა, მაგრამ თა-

ვისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო აღრიცხვაში იგი მასალების ცალკე ქვეჯგუფად გამოიყოფა.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი – ყველა სახეობის სათბობის (სათბობი მრეწველობა) მოპოვებისა და გადამუშავების ელექტროენერგიის წარმოებისა და მისი ტრანსპორტირების დარგების (ელექტროენერგეტიკა) ერთობლიობა.

სათემო და სადაბო საწარმოები – მრეწველობისა და მომსახურების სფეროს საწარმოები ჩინეთში, რომლებიც უშუალოდ სოფლებში იქმნება. მათი მთავარი ფუნქციაა სოფლად ჭარბი მუშახელის დასაქმების უზრუნველყოფა.

საიდუმლო ანუ მუნჯი – სააუქციონო ვაჭრობა ითვალისწინებს მყიდველის მიერ აუქციონისათვის ფასის აწევაზე თანხმობის შესახებ წინასწარ განსაზღვრული ნიშნების მიცემას. საერთაშორისო გამოფენები და ბაზრობები ასრულებენ ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის ცენტრების როლს.

საიმედო ინფორმაცია – არის ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა მისი მიმღებისათვის. იგი სასარგებლოა, თუ მის მიმღებს შეუძლია დაეყრდნოს მას გადაწყვეტილებების მიღებისას.

საიმპორტო დეპოზიტი – გულისხმობს იმპორტიორის მიერ უცხოური საქონლის შესყიდვის წინ ბანკში გარკვეული თანხის (გირაოს) შეტანას. ეს თანხა ჩვეულებრივ განისაზღვრება იმპორტული საქონლის ღირებულების პროცენტებში.

საიმპორტო დეპოზიტები – იმპორტიორის მიერ უცხოური საქონლის შესყიდვისთვის თავის ბანაკში უცხოურ ან ადგილობრივ ვალუტაში შესატანი გირაოს ფორმაა. თანხა განისაზღვრება იმპორტული საქონლის ფასის პროცენტები.

საიმპორტო ინფლაცია (imported inflation) – ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია გარე ფაქტორებით – ქვეყანაში უცხოური ვალუტის ჭარბი მოზიდვით და იმპორტის ფასების ზრდით.

საიმპორტო კვოტების – მიზანია უცხოელი მეწარმეებისაგან ეროვნული მეწარმეების დაცვა. მათგან განსხვავებით საექსპორტო კვოტები განკუთვნილია ნედლეულის გატანის შესაზღუდად (ადგილზე მისი გადამუშავების მიზნით ან მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნის შემცირების გამო), ექსპორტის შეზღუდვა შიდა ბაზარზე მოცემული საქონლის ფასის ზრდის გამოსარიცხად; სამხედრო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და სხვა პრობლემის გადასაჭრელად.

საიმპორტო ლიზინგის – დროს არენდაგამცემი უცხოური ფირმისაგან ყიდულობს მოწყობილობას და გადასცემს თავისი ქვეყნის არენდატორს.

საიმპორტო ლიცენზია კომპეტენტური ორგანოების მიერ იმპორტზე დაწესებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული დოკუმენტია, რომლის თანახმად დასახელებულ მხარეს ეძლევა მითითებული საქონლის შეზღუდული რაოდენობის ან ასეთი საქონლის შეუზღუდავი რაოდენობის შეტანის ნებართვა მასში დათქმული პირობების შესაბამისად და დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

საიმპორტო საკომისიო ფირმები (import commision houses) – გამოდიან თავიანთი ქვეყნის მყიდველთა წარმომადგენლობის როლში. ისინი მოქმედებენ საკუთარი სახელით, მაგრამ თავიანთი ქვეყნის კომიტენტების ხარჯზე. ამ ფირმების ფუნქციაში შედის მყიდველთა შეკვეთების განთავსება უცხოეთში.

საიმპორტო ოპერაციების დიდი მოცულობის – შემთხვევაში ფირმები ქმნიან საკუთარ საიმპორტო განყოფილებებს. ეს განყოფილებები ორი სახისაა: შემსყიდველი და ადმინისტრაციული. პირველის ფუნქციაში შედის: მიღებული ნიმუშების დამუშავება, წარმომადგენელთა გაგზავნა უცხოეთში საქონლის შესასყიდლად, უცხოურ შემსყიდველ კანტორებთან კავშირის დამყარება. მეორე სახის განყოფილებების ფუნქციებში შედის: საბაჟოებში საქონ-

ლის გაფორმება, უცხოელი მომხმარებლების ინფორმირება საქონლის ტარიფების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების შესახებ, ფინანსური დოკუმენტების გაფორმებისა და ფულის გადაგზავნაზე მეთვალყურეობა, იმპორტირებული საქონლის გადაყიდვა ნავმისადგომიდან ან საბაჟო საწყობიდან მიწოდებით. ეს განყოფილებები ძირითადად პორტებშია განლაგებული.

საიმპორტო ფირმები (import merchanis) – საკუთარი ხარჯით ყიდულობენ საქონელს უცხოეთში და ყიდიან საკუთარი ქვეყნის ბაზარზე.

საინვესტიციო ბანკი – სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ახდენს გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მობილიზაციას და შემდეგ გასცემს მას ობლიგაციების ან სხვა სახის სასესხო ვალდებულებათა გამოშვებისა და გავრცელების გზით.

საინვესტიციო ბანკები – წარმოადგენენ ფირმებს, რომელთა ძირითადი ფუნქციაა დაეხმარონ კერძო კომპანიებს, მთავრობას და სხვა ორგანიზაციებს, მათი საქმიანობისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების მოზიდვის საქმეში. ამ მიზნით, საინვესტიციო ბანკებში ორგანიზაციას უწევენ თავიანთი კლიენტების ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, ზოგჯერ კი გვევლინებიან ფირმების გაერთიანების ან ერთი ფირმის მიერ მეორის შთანთქმის ინიციატორებად.

საინვესტიციო ბანკები – ისეთი სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტებია, რომლებიც ეწევიან საემისიო-სადამფუძნებლო საქმიანობას: უშვებენ ფასიან ქაღალდებს და უზრუნველყოფენ მათი რეალიზაციის საფუძველზე კაპიტალის მოზიდვას.

საინვესტიციო ბანკები – შუამავლებად გამოდიან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

საინვესტიციო გადაწყვეტილებად – ითვლება გადაწყვეტილებები, რომლებიც შეძენას ეხება: ასეთებია მატერიალური აქტივები. შენობების, მოწყობილობებისა და სხვათა სახით.

არამატერიალური აქტივები: პატენტები, სავაჭრო მარკე-ბის და სხვათა სახით; ფინანსური აქტივების: აქციების, სახაზინო ზონების, ობლიგაციების და სხვათა სახით.

საინვესტიციო კაპიტალი (investment capital) – დროის ხანგრძ-ლივი პერიოდით ინვესტიციებში დაბანდებული კაპი-ტალი.

საინვესტიციო კომპანიები – სამეწარმეო საქმიანობის შერეული ფორმის შემდეგ სახეობას საინვესტიციო კომპანიები (Invest ment company) წარმოადგენენ. მათ მიეკუთვნება: ფულადი ბაზრის ამერიკული საერთაშორისო ფონდები (money market mulual funds, MMMES), ინგლისური საპატიო ტრესტები (unit trust, UT) და ევროპული ქვეყნების საინვესტიციო ფონდები (European Investment funds) – კომპანიები შეზღუდული პასუხისმგებლობით (Limited Libility Comdany, LLC). სამეწარმეო საქმიანობის ასეთი ფორმა ამჟამად უკვე 47 შტატშია გავრცელებული.

საინვესტივიო კომპანიები – რამდენიმე უფრო ფართოა საინვეს-ტიციო კომპანიების საქმიანობის სფერო (და, შესაბამისად, საბანკო კონკურენციაში მათი მონაწილეობის დონე) მასში შედის ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზაცია და მათ განთავსებაზე გარანტიების გაცემა მესამე პირების სასარგებლოდ; სახსრების დაბანდება ფასიან ქაღალდებში; ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარჯით, მათ შორის ფასიანი ქაღალდების კოტირების გზით (გარკვეულ ფასიან ქაღალდებზე „გამყიდველის ფასისა“ და „მყიდველის ფასის“ გამოცხა-დება, რომლებითაც მათი ყიდვა-გაყიდვის ვალდებულე-ბას კისრულობს საინვესტიციო კომპანია).

საინვესტიციო კომპანიები – საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუ-ტების ნაირსახეობა, რომლებიც აკუმულაციას უკეთებენ კერძო ინვესტორების ფულად საშუალებებს საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით და მათ ათავსებენ თავისი ქვეყნის ან საზღვარგარეთული კაპიტალისტური საწარმოების აქციებსა და ობლიგაციებში.

საინვესტიციო ოპერაციები – ბანკის მიერ თავისი სახსრების დაბანდება სხვა იურიდიული პირების აქციებსა და პაიებში (ე. ი. საწესდებო კაპიტალებში) იმ ერთობლივი სამეურნეო-კომერციული საქმიანობის მიზნით, რომელიც დივიდენდების სახის მოგების მიღებაზეა გათვლილი.

საინვესტიციო საქმიანობა – ბრუნვის გარეშე აქტივებისა და ინვესტიციის სხვაობა ობიექტების შეძენაში და გაყიდვაში მდგომარეობს, რომლებიც ფულად ეკვივალენტს არ მიეკუთვნება.

საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში – აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიან აქტივებთან. მნიშვნელოვანია მათი ცალკე გამოყოფა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომელმაც უნდა შექმნას სამომავლო შემოსავალი და ფულადი სახსრების ნაკადები.

საინვესტიციო ფონდები – ეს ისეთი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც საკუთარი აქციების ემისიის გზით თავს უყრის წვრილი ინვესტირების სახსრებს და უზრუნველყოფს თავისი სახელით მათ დაბანდებას სხვა ემიტენტების ფასიან ქაღალდებში, აგრეთვე საბანკო ანგარიშებში და ანაბრებში.

საინვესტიციო ფონდები – საინვესტიციო ინსტიტუტი აქციონერული საზოგადოების ფორმით, რომლის რესურსები საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მათი გაყიდვის გზით, წვრილ ინვესტორებზე მოსახლეობის ფართო ფენების დანაზოგების მოზიდვის მიზნით ყალიბდება. სახსრები ჩაიდება ინვესტორის სახელზე სახელმწიფოს, სხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებში, საბანკო ანაბრებში.

საინვესტიციო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ინვესტორი აძლევს სხვა პირს ფულს ან სხვა უფლებას საკუთრებაზე ეკონომიკურ საქმიანობაში დასაბანდებლად შესაძლო შემოსავლის მიღების მიზნით.

საინიციატივო ორგანიზაცია – მოცემულ შემთხვევაში ადამიანებს მიდრეკილება აქვთ ისეთი სამუშაოებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია სხვებზე გავლენის მოხდენასთან. ასეთებია: მენეჯერები, ადვოკატები, პრესმდივნები და სხვა.

საინკასო დავალება – დოკუმენტია, რომელითაც ბანკს ეძლევა ინსტრუქცია ან დავალება დაამუშაოს ფინანსური და/ან კომერციული დოკუმენტები აქცეპტისა და/ან ფულის მიღების მიზნით, ან წარმოადგინოს დოკუმენტები მასში მითითებული სხვა პირობებით.

საინოვაციო მენეჯმეტი – სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულება.

საინოვაციო ბანკი (innovation bank) – სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულება, რომელიც შექმნილია შორეულ ეფექტზე გათვლილი სარისკო პროდუქციების დასაკრედიტებლად. ძირითადად აწარმოებს ტექნოლოგიური პროცესის, უახლესი დამუშავებისა და სიახლეების დაკრედიტებას.

საინჟინრო მომსახურების ანაზღაურება – ითვალისწინებს იმ მომსახურების ხარჯების დაფარვასა და გარკვეული მოგების მიღებას.

საინფორმაციო ლოგისტიკა – ლოგისტიკური სისტემის მუშაობის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

საინფორმაციო-მმართველობითი სისტემა – ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის სისტემა იმ ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისათვის.

საინფორმაციო ნაკადი – არის ლოგისტიკური ოპერაციების მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი, ლოგისტიკურ სისტემასა და გარემოს შორის ცირკულირებადი შეტყობინებების ერთობლიობა.

საინფორმაციო საქმიანობის – სწორი ორგანიზაციის შედეგად ბირჟები მდიდარ ინფორმაციას ფლობენ ფასების დინამიკის, სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბირჟაზე ფასების

კოტირებას, რასაც ახდენს სპეციალური კომისია წინა ვაჭრობების შედეგების მიხედვით. კომისია განსაზღვრავს საქონლის ტიპიურ, საცნობარო ფასს, რომელიც გამოხატავს ბაზრის კონიუქტურას ვაჭრობის დღეს. მოცემული საქონლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებით სიმრავლის შემთხვევაში ტიპიურია დადებული გარიგებათა საშუალო ფასი. თუ გარიგებათა რიცხვი მცირეა, მაშინ ტიპიური ფასი განისაზღვრება სპეციალური მეთოდიკით, რომლის მიზანიც შემთხვევითი ფაქტორების გავლენის გამორიცხვაა. გარდა საინფორმაციო და საანგარიშო ნორმების მომსახურებისა, საქონლის ბირჟა ვაჭრობის მონაწილეებს აძლევს გარკვეულ გარანტიებს. საქონლის ბირჟის საქმიანობაზე, როგორც წესი, რეგულირდება კანონით ,,საქონლის ბირჟისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“

საინფორმაციო საექსპედიტორო მომსახურებებს – მიეკუთვნება სამუშაოთა ყველა სახე, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის შეკრებასთან, დამუშავებასა და გადაცემით.

საინფორმაციოა ის დეპოზიტური ოპერაციები – რომლებიც გულისხმობენ დეპოზიტ-ანგარიშების, პირადი დეპო-ანგარიშების შესახებ ანგარიშებათა და სხვა კარტოთეკებისა და ცნობარების, აგრეთვე, დეპოზიტური საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციის შედგენას.

საიჯარო ხელშეკრულებას აქვს შემდეგი კონკრეტული ფორმები: – 1. **ხელშეკრულება-დავალება.** იგი იმით გამოისახება, რომ ერთი მხარე (რწმუნებული) სახელითა და მისივე (მეორე მხარის) ხარჯებით ვალდებულებას იღებს შეასრულოს გარკვეულის სამუშაოები. 2. **საავტორო ხელშეკრულება.** იგი გულისხმობს რომ ავტორი ვალდებულია, შექმნას და დამკვეთს გადასცეს შეკვეთილი ნაწარმოები გამოსაყენებლად, ხოლო გამომყენებელი ვალდებულია გამოიყენოს ან დაიწყოს ამ ნაწარმოების გამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. 3. **ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულების შესახებ.** მოცემულ

შემთხვევაში შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, ჩაატაროს დავალებით გათვალისწინებული მეცნიერული კვლევა, შეიმუშაოს ახალ ნაკეთობათა ნიმუშები და მასზე საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია, დამკვეთი კი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო და აანაზღაუროს იგი.

საკადრო პოლიტიკა – პერსონალთან მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრული თეორიული შეხედულებების, იდეების, მოთხოვნილებების და პრინციპების სისტემა, მისი ფორმები და მეთოდები. იგი განსაზღვრავს კადრებთან მუშაობის გენერალურ მიმართულებას და საფუძვლებს, მათდამი წაყენებულ ზოგად და სპეციფიკურ მოთხოვნებს. ტერმინი ,,საკადრო პოლიტიკა'' იხმარება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, საკადრო პოლიტიკაში იგულისხმება ადამიანური რესურსების ორგანიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მომყვანი წესებისა და ნორმების სისტემა. ვიწრო გაგებით, საკადრო პოლიტიკაში – ესაა ადამიანებისა და ორგანიზაციებს ურთიერთდამოკიდებულებაში კონკრეტული წესების, სურვილებისა და შეზღუდვების ნაკრები.

საკადრო მუშაობის შემადგენელი ნაწილებია – პერსონალზე მოთხოვნილების მიმდინარე დაგეგმვა; დაქირავება, პროფესიული ორიენტაცია, ადაპტაცია, ატესტაცია, საკადრო გადაადგილებების ორგანიზაცია, მუშაობა რეზერვთან; დახმარება კარიერის ორგანიზაციაში; საშტატო განრიგების დამუშავება; შესწორების შეტანა კადრების მომზადების, განაწილებისა და გამოყენების გეგმებში; კვალიფიკაციის ამაღლების, სწავლებისა და განვითარების მოტივაცია; კონფლიქტების გადაწყვეტა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა.

საკადრო პოლიტიკის განხორციელების პრინციპებია – საკადრო პოტენციალის შენარჩუნება და გაზრდა; მწარმოებლური შრომის ეფექტური სტიმულირება; კადრების მაქსიმალური ურთიერთშენაცვლების მიღწევა; გუნდური

მუშაობის სფეროს მუდმივი გაფართოება; სამართლიანობა (ერთნაირი დამოკიდებულება ყველას მიმართ, მიუხედავად თანამდებობისა); თანმიმდევრობა; ინოვაციურობა (განუწყვეტელი სწავლება, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა); შრომითი კანონმდებლობის გათვალისწინება; დისკრიმინაციის გამორიცხვა ასაკის, ეროვნებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

საკადრო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმი – საკადრო პრობლემების გადაწყვეტასა და პერსონალზე ორგანიზაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმართული გეგმების, ნორმებისა და ნორმატივების, ორგანიზაციული, ადმინისტრაციული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა სახის ღონისძიებების სისტემით.

საკადრო პოლიტიკის ფორმირების ეტაპებია – პერსონალთან მუშაობის მიზნებისა და პრინციპების შეთანხმებულობა მთელი ორგანიზაციის ფუნქციონირების პრინციპებთან და მიზნებთან; ადამიანური რესურსების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობის, ანალიზი და შეფასება; დღევანდელი და მომავლისათვის პროგნოზირებული სიტუაციის გათვალისწინებით; საკადრო პროგრამების, პროცედურებისა და ღონისძიებების ფორმირება.

საკადრო პოლიტიკის ძირითადი სახეობების კლასიფიკაციას ასეთი სახე აქვს – 1. მიმართულების მიხედვით (ორგანიზაციის გარეთ და შიგნით); 2. ობიექტის მიხედვით (ორგანიზაციული საქმიანობა, პერსონალი, მენეჯმენტი, ნორმები და ნორმატივები შრომის სფეროში და ა.შ.); 3. რეალიზაციის ხასიათის მიხედვით; **პასიური** ხელმძღვანელობა ვერ ფლობს საკადრო სიტუაციას; არ არსებობს პერსონალზე მოთხოვნილების პროგნოზი, ასევე პერსონალის შეფასების მეთოდები და მოქმედებათა კონკრეტული პროგრამები; საკადრო სამსახურის ქმედება დაიყვანება ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად მიმდინარე მუშაობაზე; **რეაქტიული** პერსონალის სამსახურებს აქვთ საკადრო სიტუაციის კონტროლისა და ანალიზის

საშუალებები, რაც უზრუნველყოფს არსებული პრობლემების გადაწყვეტისა და საფრთხის თავიდან აცილების გზების პოვნას; **პრევენციული** არის საკადრო სიტუაციის პროგნოზირება, მაგრამ არ არის მისი განვითარების პერსპექტიული მიზნობრივი პროგრამები. პერსონალის მართვის სამსახურებს აქვს პერსონალის დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების ინსტრუმენტები და ისინი ადგენენ გრძელვადიან და მოკლევადიან პროგნოზებს; აქტიური (რაციონალური). ხელმძღვანელობას აქვს პერსონალის დიაგნოსტიკისა და მისი მდგომარეობისა და მოთხოვნილებების პროგნოზირების საშუალებები საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ფლობს ადამიანურ რესურსებზე გავლენის საშუალებებს. **ავანტურისტული** არ არსებობს საკადრო სიტუაციისა და მისი განვითარების ტენდენციების ხარისხიანი პროგნოზი, მაგრამ არის მასზე გავლენის მოხდენის მისწრაფება. პერსონალის მართვის სამსახურები არ ფლობს დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების საშუალებას და ისინი მოქმედებენ გემებისა და სიტუაციის ანალიზის უქონლობის პირობებში. 4. **გახსნილობის მიხედვით ღია.** უშვებს სამუშაოზე ყველას მიღებას ვისაც აქვს აუცილებელი კვალიფიკაცია (ხშირად გამოიყენება ახალ ორგანიზაციებში); **დახურული** დასაშვებია ახალბედების მიღება მხოლოდ დაბალი დონის თანამდებობებზე და მაღალ თანამდებობებზე ხდება თავისი ხალხის დანიშვნა.

საკადრო პოლიტიკის ძირითადი ფუნქციებია – პერსონალთან მუშაობის მეთოდოლოგიური პრინციპების დასაბუთება; პერსონალისადმი და მასზე დანახარჯებისადმი ზოგადი მოთხოვნილებების განსაზღვრა; ადამიანებთან მუშაობის ცალკეული მიმართულების მიხედვით პოზიციების გამომუშავება (მოზიდვა, გადაადგილება, შეფასება, დათხოვნა, შრომითი კონფლიქტების მოწესრიგება, სტიმულირება, სოციალური პარტნიორების მოგვარება, ადაპტაცია, სწავლება, განვითარება და ა.შ.); ადამიანური რესურსების

მართვის ინფორმაციული მხარდაჭერა; პერსონალის კონტროლი.

საკადრო საქმისწარმოება – თანამშრომელთა ანკეტური მონაცემების, სტაჟისა და ა.შ. შეკრება, აღრიცხვა და შენახვა.

საკალკულაციო ანგარიშგება – ეწოდება ისეთ ანგარიშებს, რომლებიც თვითღირებულების განსაზღვროს (გაანგარიშების) საშუალებას იძლევა. საკარკულაციო ანგარიშები თავიანთ დებეტში თავს უყრიან ყველა დანახარჯს, რომლებიც გაეწევა მატერიალურ ფასეულობათა შეძენა-მომარაგებას, პროდუქციის წარმოებაზე ან შესრულებულ სამუშაოებსა და მომსახურებაზე, პროდუქციის რეალიზაციაზე და ა.შ., რითაც საანგარიშო პერიოდის დამთავრებისას შესაბამისი საკარკულაციო ობიექტის თვითღირებულების გაანგარიშების საშუალებას იძლევიან.

საკარანტინო მოწმობა (სერთიფიკატი) – ექსპორტიორი ქვეყნის საკარანტინო ან მცენარეთა დაცვის ოფიციალური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს შესაბამისი მასალების მავნებლებითა და დაავადებებით დაუსნებოვნებასა და მათი წარმოშობის რაიონების უსაფრთხოების კარანტინის თვალსაზრისით. საკარანტინო ზედამხედველობას ექვემდებარება: თესლი, ტუბერები, ბოლქვები, ნერგები, ხამი ბამბა, ბამბის ბოჭკოები, ჩირი, ხამი თამბაქო, შალი და სხვა საქონელი, რომელიც შეიძლება იყოს მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და ა.შ. ტვირთის გადამტანი.

საკვანძო ლოგისტიკური ოპერაციებია – მომხმარებელთა მომსახურების სტანდარტების დაცვა, შესყიდვების მართვა, ტრანსპორტირება, მარაგების მართვა; შეკვეთების პროცედურების მართვა, საწარმოო პროცედურების მართვა, ფიზიკური განაწილება და სხვა.

საკვანძო ფიგურა – არის ხელმძღვანელი, დირექტორი, საწარმოს ძირითადი მფლობელი დ დამფუძნებელი, რომელიც თავს უყრის მომწოდებლებისა და მყიდველების პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან კონტრაქტებს. აღნიშნული ხელმ-

ძღვანელის დირექტორის თანამდებობიდან წასვლა საწარმოს გაკოტრების ტოლფასია.

საკლასიფიკაციო საზოგადოებები – დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ გემების კლასიფიკაციას და მათზე ზედამხედველობას.

საკმარისი მარჟა – შეიძლება გავიანგარიშოთ განვლილი პერიოდების ფაქტობრივი მონაცემებისა და საგარეო პერიოდის საპროგნოზო სიდიდეების საფუძველზე.

საკომისიო და გასამრჯელო ტრანსპორტისათვის – ფირმებს შეუძლიათ მიიღონ საკომისიო გასამრჯელო ტრანსაქციისათვის მესამე მხარეებს შორის. მაგალითად, გამყიდველები ერთიანდებიან საკომისიოს მიღებით 5%-მდე თითოეული გარიგებისთვის.

საკომისიო ოპერაციებს – ახორციელებენ კომისიონერები, რომლებიც გარიგებებს დებენ საკუთარი სახელით, მაგრამ მოქმედებენ მეორე მხარის - კომიტენტის დავალებითა და მის ხარჯზე. კომიტენტსა და კომისიონერს შორის ფორმდება კომისიის (საკომისიო) ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია კომისიონერთა მოქმედების ზღვრები.

საკომისიოა ისეთი ოპერაციები – რომელსაც ბანკი ასრულებს თავისი კლიენტების დავალებით და ამისათვის საზღაურს ახდევინებს მათ საკომისიოების სახით. ამ ოპერაციების რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობს, არადა მათ განხორციელებაზე ბანკს არ უხდება საკუთარი ან მოზიდული სახსრების მოცდენა. საკომისიო ოპერაციებია: საანგარიშსწორებო-საკასო ოპერაციები, სატრასტო ოპერაციები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები, საინფორმაციო მომსახურება.

საკომისიო ფირმები – ასრულებენ კომიტეტთა ერთჯერად დავალებებს. ისინი მოქმედებენ საკუთარი სახელით, მაგრამ გამყიდველის ხარჯზე. შესასრულებელი ოპერაციებითა და კომიტენტთან ურთიერთობების ხასიათით ეს ფირმები შეიძლება იყოს საექსპორტო ან საიმპორტო.

საკომპესაციო გარიგება (compensatory trancsaction) – ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ფორმა. გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში და ითვალისწინებს საქონელთა ურთიერთმიწოდებას თანაბარი ფასით. ბარტერისაგან განსხვავების, საკომპენსაციო გარიგება მოითხოვს შეძენილი საქონლის ღირებულების ნაწილობრივ მაინც დაფარვას.

საკომპენსაციო გარიგებები – მოცემულ შემთხვევაში გამყიდველი ღებულობს საზღაურის ნაწილს ფულადი ფორმით, ხოლო დანარჩენს – საქონლით.

საკომპესაციო ლიზინგი – არენდის ისეთი ფორმაა რომელშიც არენდის ღირებულების გადახდა წარმოებს საარენდო მოწყობილობის მიერ წარმოებული პროდუქციის მიწოდებით.

საკონსულო ფაქტურა ექსპერტიორის მიერ თავის ქვეყანაში მომზადებული იმპორტიორი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში საკონსულო მოსაკრებლების გადახდის საფუძველზე დასამტკიცებელი დოკუმენტია, რომელიც უნდა წარადგინოს იმპორტიორმა ანგარიშში მითითებული საქონლის შეტანისას.

საკონსულტაციო აპარატი – როცა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინაშე წარმოიშობა პრობლემა, რომლის გადაჭრა სპეციალურ ცოდნასა და კვალიფიკაციას მოითხოვს, ის ქმნის დროებით ან მუდმივ საკონსულტაციო აპარატს. ასეთი აპარატი უფრო მეტად იქმნება სამართლის უახლესი ტექნოლოგიის, სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, კადრებთან მუშაობისა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად.

საკონსულტაციო გადასახდელები – ითვალისწინებენ ტექნოლოგიის ყიდვასა და მის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციაში დაწეული კონსულტაციების (საფინანსო იურიდიული, მარკეტინგული და ა.შ). ხარჯების ანაზღაურებას.

საკონსულტაციო ინჟინერინგი (consulting enginering) – ძირითადად დაკავშირებულია ფიზიკური და იური-

დიული პირების მიერ განხორციელებულ მომსახურე-ბასთან რომელიც თავის მხრივ ხორციელდება ობიექტების დაპროექტების მშენებლობის გეგმების დამუშავებისა და სამუშაოთა წარმოებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით (მასში შედის ტექნიკური კონსულტირება და პროექტის ექსპერტიზა); იგი სპეციალურ სამართლებრივ დაცვას არ საჭიროებს.

საკონტაქტო ასიგნებები – სამთავრობო შეკვეთების ფორმა კერძო კაპიტალისტურ ფირმებზე; მრავალწლიანი ასიგნებების სახესხვაობა.

საკონტაქტო აუდიტორია – ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც გამოიჩენს რეალურ ან პოტენციურ დაინტერესებას ორგანიზაციის მიმართ ამ გავლენას ახდენს მის უნარზე მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

საკონტაქტო აუდიტორიას – შეადგენენ ის ცალკეული პირები და საწარმოები, რომელთაც რეალურად აინტერესებთ მოცემული საწარმოს საქმიანობა და გავლენას ახდენენ მის უნარზე - მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

საკონტაქტო დაქირავება – არენდის სპეციალური სახეა რომლითაც არენდატორს შეიძლება მიეწოდოს სასოფლო-სამეურნეო და სარემონტო-სამშენებლო ტექნიკის ავტო–სატრანსპორტო საშუალებების კომპლექტური პარკები.

საკონტეინერო ტერმინალი – ესაა გადამტვირთავი სასაწყობო კომპლექსი, რომელიც შექმნილია სპეციალურად საკონ-ტეინერო ტვირთების გადასამუშავებლად.

საკონტეინერო ტერმინალებში გამოყენებული – ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობების სახეები დამოკიდებუ-ლია გადასამუშავებელი კონტეინერების – საშუალოტო-ნაჟიანი ან მსხვილტონაჟიანი კონტეინერების ტიპისაგან.

საკონტროლო ანგარიში – ანგარიში მთავარი ანგარიშების წიგნში, რომელიც გვიჩვენებს საერთო სალდოს მისი შესაბამისი ყველა სუბანგარიშის მიხედვით.

საკონტროლო-საანგარიშო უფლებამოსილება – ადამიანების უფლებამოსილება, ოფიციალურად დადგენილი წესებით

განახორციელონ ხელმძღვანელთა და შემსრულებელთა საქმიანობის კონტროლი და ანალიზი.

საკონტროლო-საანგარიშო უფლებამოსილებაში – იგულისხმება შესაძლებლობა ამ უფლების მქონე პირებმა ოფიციალურად დადგენილი წესებით განახორციელონ ხელმძღვანელთა და შემსრულებელთა საქმიანობის კონტროლი და ანალიზი.

საკონტროლო ფუნქციის – საფუძველს წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების წარმოებაზე და რეალიზაციაზე, ფულადი ფონდების ფორმირებაზე გაწეული დანახარჯების ღირებულებითი აღრიცხვა. ფინანსები ობიექტურად გამოხატავენ საწარმოს ეკონომიკის მდგომარეობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათი მეშვეობით საწარმოების საქმიანობაზე აქტიური ზემოქმედება და კონტროლის განხორციელება არის შესაძლებელი.

საკოორდინაციო უფლებამოსილება – ადამიანების უფლებამოსილება, მოახდინონ მმართველობითი სტრუქტურის ცალკეულ პირთა საქმიანობის კოორდინაცია ორგანიზაციული მიზნების შესასრულებლად.

საკოორდინაციო უფლებამოსილებათა – რეალიზება ხდება ერთობლივ გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების პროცესში. მის მფლობელებს შეუძლიათ მოახდინონ მმართველობითი სტრუქტურის ცალკეულ პირთა საქმიანობის კოორდინაცია ორგანიზაციული მიზნების შესასრულებლად.

საკორესპოდენტო ანგარიში – ისეთი ანგარიშია, რომლიდანაც ანგარიშწორებას ერთი ბანკი ახორციელებს მეორე საკრედიტო დაწესებულების დავალებით და ამავე დაწესებულების ხარჯზე. საკორესპოდენტო ანგარიშს ხსნიან საკორსპოდენტო ურთიერთობების შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ეს ანგარიშები ორგვარია: „ნოსტრო“ („თქვენთან გახსნილი ჩვენი ანგარიში“) და „ლორო“ („ჩვენთან გახსნილი თქვენი ანგარიში“). „ნოსტროს“ ტიპის ანგარიშებს რომელიმე ბანკი ხსნის

კორესპოდენტ ბანკებში, „ლოროს“ ტიპის ანგარიშებს კი მისი კორესპოდენტი ბანკების სახელზე. ეს ანგარიშები შესაძლოა გახსნილი იყოს ცალმხრივადაც და ორმხრივ საფუძველზეც. ამასთან, ერთ საკრედიტო დაწესებულებაში გახსნილი „ნოსტრო“ ანგარიში „ლორო“ ანგარიშიდან გვევლინება კორესპოდენტ ბანკში.

საკორესპოდენტო ანგარიში – საბანკო ანგარიში, რომელშიც აისახება ერთი საკრედიტო დაწესებულების მიერ წარმოებული ანგარიშსწორება მეორეს დავალებით და ანგარიშზე საკორესპოდენტო ხელშეკრულების საფუძველზე.

საკორესპოდენტო ანგარიშებს – ნებაყოფლობით საფუძველზე ხსნიან ის საბანკო დაწესებულებები, რომლებიც იურიდიულად დამოუკიდებლები არიან. ცენტრალურ ბანკთან კომერციულ ბანკების საკორესპოდენტო ურთიერთობების აგება შედარებით უფრო მკაცრ საფუძველზე ხდება.

საკორესპოდენტო ურთიერთობებს – უწოდებენ ორ ან რამდენიმე საკრედიტო დაწესებულებას შორის აგებულ ურთიერთობებს ერთ-ერთი მათგანის მიერ გადახდებისა და ანგარიშსწორების განხორციელების დროს მეორის დავალებითა და მისსავე ხარჯზე. ბანკებს შორის ასეთი ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. საკორესპოდენტო ურთიერთობებით ბანკები შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ უამრავ საკრედიტო დაწესებულებასთან.

საკორესპოდენტო ურთიერთობების, ფილიალთაშორისი და ბანკთაშორისი – ანგარიშსწორების და სავალუტო ოპერაციების ფუნქციები ბანკში ორგანიზაციულად შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სტრუქტურით, თანაც ეს ფუნქციები დანაწილებული იყოს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის.

საკორესპოდენტო ურთიერთობებს – უწოდებენ ორ ან რამდენიმე საკრედიტო დაწესებულებას შორის აგებულ ურთიერთობებს ერთ-ერთი მათგანის მიერ გადასახადებისა და

ანგარიშსწორების განხორციელების დროს მეორის დავალებითა და მისსავე ხარჯზე.

საკორესპოდენტო ურთიერთობები – გადასახადების განხორციელებისა და კლიენტთა საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებისათვის ბანკებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის დაამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობები, ე. წ. საკორესპოდენტო ურთიერთობები.

საკრედიტო – ბანკის მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

საკრედიტო ასოციაციები და საკრედიტო ინფორმაციის სააგენტოები – ეს ორგანიზაციები გარკვეული თანხის საფასურად, დამოუკიდებლად აფასებენ ფირმის გადახდისუნარიანობას და შეიძლება მათგან მოკლე მონაცემების მიღება რეგულარულად.

საკრედიტო აუქციონები – წარმოადგენს ცენტრალური ბანკების მიერ საკრედიტო რესურსების გაცემის ფართოდ გავრცელებულ ხერხს. საკრედიტო აუქციონის ჩატარებისას პოტენციური მსესხებლები ცენტრალურ ბანკში აგზავნიან განაცხადებს საჭირო კრედიტების მოთხოვნით და საპროცენტო განაკვეთის დონის ჩვენებით. მიღებული განაცხადების საფუძველზე ცბ ადგენს აუქციონის კრედიტების საერთო თანხას, საპროცენტო განაკვეთის დონეს, ასევე აუქციონის ჩატარების ხერხს.

საკრედიტო ბაზარი – აერთიანებს გარიგებებს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მფლობელებსა და მათ მსესხებლებს შორის, რომელთა როლის შესრულება შეუძლიათ კერძო პირებს, საწარმოო და არასაწარმოო დაწესეულებებსა და ორგანიზაციებს და სახელმწიფოს.

საკრედიტო ბარათი – შეიცავს ინფორმაციას კლიენტის გადახდისუნარიანობის შესახებ, მფლობელის სახელს, მისი საბანკო ანგარიშის ნომერს, ბანკის განყოფილების შიფრს, გადახდათა იმ ელექტრონული სისტემების სიმბოლოებს,

რომელშიც მოცემული სახეობის ბარათებს იყენებენ, გოლოგრამას, ბარათით სარგებლობის ვადას და მის უკან გვერდზე (მაგნიტურ ბოდიზე) – კლიენტის ხელმოწერას.

საკრედიტო ბარათი (credit card) – პლასტიკური ბარათი, სახელობითი ფულადი დოკუმენტი, გაცემული საკრედიტო დაწესებულების მიერ, რომელიც აძლევს მის მფლობელს უფლებას შეიძინოს საქონელი ან მომსახურება ნაღდი ფულის გადახდის გარეშე.

საკრედიტო დაბანდება – არის ბანკის ყველა ვადიან და ვადაგადაცილებულ სასესხო და ოვერდრაფტების ანგარიშებზე რიცხული თანხები.

საკრედიტო დაწესებულება – (ბანკი) ლიზინგის მიმღების მიერ ქონების შეძენის დაფინანსებას ახორციელებს.

საკრედიტო დოკუმენტაცია – ეს არის კლიენტისა და ბანკის მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომლებსაც სამართლებრივი სტატუსი აქვს და თან ახლავს საკრედიტო გარიგებას კლიენტის მიერ განაცხადის შეტანიდან კრედიტის დაფარვამდე.

საკრედიტო მონიტორინგი – არის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და კრედიტის ხარისხის სხვა შემადგენელების ცვლილებებზე ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა იმის განსაზღვრის მიზნით, თუ პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში რა ქმედებები უნდა იქნეს განხორციელებული. იგი მსესხებლის შესახებ ოპერაციული ინფორმაციის მიღებაზე და ანალიზზეა დაფუძნებული. პრაქტიკაში ტერმინები „საკონტროლო მონიტორინგი“, „საკრედიტო ადმინისტრაცია“ და „საკრედიტო განხილვა“ ურთიერთდაკავშირებულ სინონიმებადაა მიჩნეული.

საკრედიტო ორგანიზაცია – იურიდიული პირია და უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს და დაადგინოს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში.

საკრედიტო ორგანიზაციის – რესტრუქტურიზაცია იმ ღონისძიებათა კომპლექსია, რომლებიც მიმართულია ამ ორგანი-

ზაციის აღდგენისაკენ ან ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცედურების განხორციელებისაკენ.

საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობა – განუყოფელი კომპონენტია ეკონომიკისა, რომელშიც საბანკო სისტემა მთავარ როლს თამაშობს. მისი ეს როლი მდგომარეობს ანგარიშსწორებათა განხორციელებაში, ფულადი დანაზოგების მობილიზებასა და განაწილებაში.

საკრედიტო პოლიტიკა – არის როგორც ბანკის ღონისძიებათა სისტემა მისი კლიენტების დაკრედიტების დარგში, რომელსაც ბანკი თავისი სტრატეგიისა და ტაქტიკის რეალიზაციის მიზნით ახორციელებს.

საკრედიტო პოლიტიკა – არის ეკონომიკური პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც სახალხო მეურნეობის დაკრედიტების სფეროს ღონისძიებათა სისტემას წარმოადგენს. საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში საკრედიტო პოლიტიკას განმარტავენ როგორც დაკრედიტების დროს თანმიმდევრულად დაკავშირებული მოქმედების განსაზღვრისა და მისი განხორციელების ხერხების საფუძველს.

საკრედიტო პორტფელი – არის კრედიტების გაცემაში ბანკის საქმიანობის ის შედეგი, რომელიც მოიცავს ბანკის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში გაცემული ყველა კრედიტის რაოდენობას.

საკრედიტო პორტფელი – არის ბანკის მთლიანი საკრედიტო დაბანდება.

საკრედიტო რეიტინგების სისტემა – არის მოდელი, რომელიც პოტენციური და არსებული მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხის მიხედვით რანჟირებისათვის გამოიყენება.

საკრედიტო რისკი – ბანკები გასცემენ კრედიტებს და სამაგიეროდ იღებენ ფასიან ქაღალდებს, რომელიც მეტი არაფერია, თუ არა გადახდის დაპირება. თუ მსესხებლები მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ იხდიან დაპირებულ პროცენტებს და კრედიტის თავდაპირველ თანხას, ეს იწვევს

ზარალს, რომელსაც საბოლოოდ შეუძლია შეამციროს ბანკის კაპიტალი, რადგანაც ეს კაპიტალი არ აღემატება კრედიტებისა და სარისკო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 10%-ს.

საკრედიტო რისკი – გამოწვეულია პარტნიორის უუნარობით ან არასასურველობით იმოქმედოს ხელშეკრულების პირობებით. საკრედიტო რისკი ძირითადი რისკია, რომელსაც ბანკი აწყდება თავის საქმიანობის პროცესში. იგი წარმოიქმნება საკრედიტო ოპერაციების, აგრეთვე ფასიან ქაღალდებთან, სხვა ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ გარიგებებთან დაკავშირებით, ბანკის მიერ გარანტიების გაცემისას, სააქცეპტო და სხვა ოპერაციების ჩატარების დროს.

საკრედიტო რისკი – არის რისკი მსესხებლისმიერ ძირითადი ვალის და პროცენტების არგადახდის რისკი ან საკრედიტო გარიგების კონტრაჰენტის უუნარობა იმოქმედოს ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად.

საკრედიტო რისკი – ბანკის ზარალის გაჩენის პოტენციური შესაძლებლობაა.

საკრედიტო რისკი – შეგვიძლია განვმარტოთ როგორც კრედიტორის დაეჭვება იმაში, რომ მსესხებელი (დებიტორი) შეიძლებს და დააპირებს თავისი ვალდებულებების შესრულებას სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებით და სახსრების სესხად აღების ხარჯების გასტუმრებას საკრედიტო ხელშეკრულების ვადებისა და პირობების შესაბამისად.

საკრედიტო რისკი – პირდაპირაა დამოკიდებული საკრედიტო პორტფელის ხარისხზე. საკრედიტო პორტფელი არის კრედიტების გაცემაში ბანკის საქმიანობის ის შედეგი, რომელიც მოიცავს ბანკის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში გაცემული ყველა კრედიტის ერთობლიობას. საკრედიტო პორტფელის რისკის ხარისხობრივად შეფასება აქტუალური ხდება ბანკის მიერ თავისი ოპერაციების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით.

საკრედიტო რისკი – ეს არის რისკია, როდესაც კრედიტორი დაეჭვებულია რომ მსესხებელი (დებიტორი) შეძლებს და დააპირებს თავისი ვალდებულებების შესრულებას სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებით და სახსრების სესხად აღების ხარჯების გასტუმრებას საკრედიტო ხელშეკრულების ვადების და პირობების შესაბამისად.

საკრედიტო რისკი – ისეთი რისკია, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვეევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას.

საკრედიტო რისკი, – რომ სავალი ფასიანი ქაღალდების გამომშვები ემიტენტი ვეღარ შეძლებს მათზე პროცენტების და (ან) ვალის ძირითადი თანხის გადახდას.

საკრედიტო რისკის არსის შესახებ – საკითხის განხილვისას იგი აუცილებლად უნდა განვიხილოთ როგორც კრედიტის მოძრაობასთან დაკავშირებული რისკი, საკრედიტო რისკის არსი განუყოფელად უკავშირდება კრედიტის კატეგორიას (ე.ი. სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმას). მაშასადამე საკრედიტო რისკის წარმოშობის სფერო შეიძლება იყოს გასესხებული ღირებულების მოძრაობის ერთ-ერთი სტადია.

საკრედიტო რისკი და გაურკვევლობა – ის ურთიერთდაკავშირებული ორი ცნებაა, რომლებიც ბანკის საქმიანობას ახასიათებს საკრედიტო ოპერაციების ბაზარზე, რადგან საკრედიტო გარიგების შესახებ გადაწყვეტილებებს ბანკები ხშირად გაურკვევლობის პირობებში იღებენ.

საკრედიტო რისკის წარმოშობის სფეროა – გასესხებული ღირებულების მოძრაობის პროცესი, მისი მიზეზები კი - მრავალგვარი რისკწარმომქმნელი ფაქტორები.

საკრედიტო (სასესხო) ოპერაციები – მსესხებელზე ფულის გაცემა საბანკო კრედიტის სახით. იმ საკრედიტო ოპერაციებს, რომელთა პროცესშიც ბანკები იძენენ (ანაღდებენ) თამასუქებს ან გირაოდ იღებენ მათ, სააღრიცხვო-სასესხო ოპერაციებს უწოდებენ.

საკრედიტო სისტემა – საბანკო სისტემაზე უფრო ფართო და ტევადი ცნებაა, რადგანაც საბანკო სისტემა მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი ბანკების ერთობლიობაა.

საკრედიტო სისტემა – 1. წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის ძირითად ელემენტს, საკრედიტო ურთიერთობებისა და ამ ურთიერთობებზე აგებული ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ფულადი დანაზოგების და სხვადასხვა არხებით მიღებული შემოსავლების აკუმულაციას და მათი კრედიტის სახით განთავსებას ფორმას, სახელმწიფოსა და მოსახლეობაში. 2. საკრედიტო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა ხასიათდება საკრედიტო დაწესებულებათა მრავალფეროვნებით და იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ცენტრალური (ეროვნული) ბანკი, კომერციული ბანკები, სპეციალური საკრედიტო დაწესებულებები. პირველი დონე – საქართველოს ეროვნული ბანკი – ქვეყნის მთავარი ბანკია. იგი დამოუკიდებელია ხელისუფლების განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოებისაგან და ეკონომიურად დამოუკიდებელი დაწესებულებაა.

საკრედიტო სისტემა – ეყრდნობა რთული ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციას და იგი მოიცავს ორ ცნებას: ა) საკრედიტო ურთიერთობების დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა (ფუნქციური ფორმა); ბ) იმ საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც თავს უყრიან თავისუფალ ფულად სახსრებს და სესხად გასცემენ მათ.

საკრედიტო სისტემის ორ ცნებას განასხვავებენ: 1. საკრედიტო ურთიერთობების დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა (ფუნქციური ფორმა). 2. იმ საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ერთობლიობა რომლებიც თავს უყრიან თავისუფალ ფულად სახსრებს და სესხად გასცემენ მათ (ინსტიტუციური ფორმა).

საკრედიტო ფული (credit money) – საემისო ბანკების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომელიც შეიცავს

განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულებებს. მისი სახეებია: თამასუქი, ბანკნოტი, საბანკო ჩეკი, ობლიგაცია და სხვა.

საკრედიტო ფული – არის საემისიო ბანკების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეიცავენ ვალდებულებებს გარკვეული ფულადი თანხის გადახდისათვის. იგი ისევე, როგორც ქაღალდის ფული, მონაწილეობს ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში და ძირითადად ასრულებს მიმოქცევისა და გადახდის საშუალებათა ფუნქციებს.

საკრედიტო ხაზი – დაკრედიტების ისეთი სახესხვაობაა, რომლის დროსაც მსესხებელს სესხს აძლევენ დათქმულ ფარგლებში და ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში ფულად სახსრებზე წარმოქმნილი მოთხოვნილების და მიხედვით.

საკუთარი კაპიტალი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შედეგად.

საკუთარი კაპიტალი – კაპიტალი, რომელიც დაბანდებულია ფირმის მფლობელის მიერ. სხვაობა ფირმის ერთობლივ აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

საკუთარი კაპიტალი – საწარმოს ნაწილი, რომელიც ეკუთვნის მფლობელს. ესაა სხვაობა აქტივებსა და პასივებს შორის, ყალიბდება საწარმოში მისი მფლობელის შენატანებისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

საკუთარი კაპიტალი – არის ვალდებულებების დაფარვის შემდეგ საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი აქტივების ნაწილი.

საკუთარი კაპიტალის – ანგარიშები ანუ ძირითადი პასიური ანგარიშები განკუთვნილია მათი არსებობისა და მოძრაობის აღსარიცხავად. ანგარიშთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება: საწესდებო კაპიტალის ანგარიში; საემისიო კაპიტალის ანგარიში, რეზერვების ანგარიში, გაუნაწილებელი მოგების ანგარიში. ამ ჯგუფის ყველა ანგარიში პასიურია.

საკუთარი კაპიტალი – არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. იგი შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად: სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალის შენარჩუნებას, ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

საკუთარი კაპიტალი (stockholders eguity) – განიხილება როგორც აქტივების ნაშთი, მისგან ყველა ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ. ზოგჯერ საკუთარ კაპიტალს სუფთა (ანუ ვალებისაგან განთავისუფლებული) აქტივებს უწოდებენ. საკუთარი კაპიტალი საწარმოს მფლობელის ინვესტიციებისაგან და სამეურნეო საქმიანობას შედეგად მიღებული და საწარმოსათვის დატოვებული (რეინვესტირებული) მოგების სიდიდისაგან შედგება.

საკუთარი კაპიტალის გამოყენების და მდგომარეობის და ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლებია – ა) საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის და დინამიკის კოეფიციენტები; ბ) საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი; გ) საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი – ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი; ვალდებულებების საკუთარი კაპიტალი; დ) საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი; ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი.

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი – საწარმოს მიერ საკუთარი სახსრების თითოეულ ლარზე მიღებული მოგების სიდიდის მახასიათებელია.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი – საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების არსებობის მახასიათებელია და იგი გაიანგარიშება როგორც საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ბრუნვის გარეშე აქტივებს შორის სხვაობის შეფარდებას მისი საბრუნავი აქტი-

ვების ფაქტიურ ღირებულებასთან. მოცემული მაჩვენებლის ნორმატიური მნიშვნელობა 0,1 და მეტის ტოლია.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი – გამოითვლება ორივე მაჩვენებელი და მათი ფარდობა, მოცემული საწარმოს საქმიანობის აქტივობისა და ეფექტიანობაზეა დამოკიდებული.

საკუთარი კაპიტალი – არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მას წილობრივ ინსტრუმენტს უწოდებს.

საკუთარი კაპიტალის საფუძველს – შეადგენს ბანკის საწესდებო ფონდი და სხვა ფონდები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა მიზნებისათვის.

საკუთარი საბრუნავი სახსრების – მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები გაიანგარიშება ფულადი საშუალებების გაყოფით საკუთარ საბრუნავ სახსრებზე.

საკუთარი სახსრები – აქციონერული და სარეზერვო კაპიტალი, აგრეთვე გაუნაწილებელი მოგება.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა – შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სააქციო კაპიტალი, საემისო კაპიტალი, მოგების შექმნილი რეზერვები, გადაფასების რეზერვი და გაუნაწილებელი მოგება. ასეთი კლასიფიკაცია სასარგებლოა წილობრივი ინსტრუმენტების მართვისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

საკუთარი კაპიტალის ფორმირება – ხდება მესაკუთრეების (ან აქციონერების) მიერ საწარმოში განხორციელებული თავდაპირველი ინვესტირების დროს და შემდეგ, რეინვესტირების შედეგად.

საკუთარი კაპიტალის ფორმირების – (შექმნის) გზებია: ა) ახალი აქციების გამოშვება აქციების განთავსებით, საჯარო შეთავაზებით ან უფლებითი ემისიით; ბ) შიდა აკუმულირებული (დაგროვილი) კაპიტალი – საემისო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებელი მოგება.

საკუთრება – რაიმეს ფლობის, სარგებლიანობის და განკარგვის უფლება, კანონიერი შესაძლებლობა. მაგალითად სახელმწიფოს რისი ფლობაც, სარგებლიანობაც და განკარგვაც შეუძლია მისი საკუთრებაა, ხოლო კერძო პირებს, რისი ფლობაც, სარგებლიანობაც და განკარგვაც შეუძლია კერძო საკუთრებაა და ა.შ.

საკუთრება – საკუთრებაში მოიაზრება უძრავი ქონებაც და ფინანსებიც (ფასიანი) ქაღალდებიც. საკუთრება ყიდვა-გაყიდვის ობიექტია, რომელიც საჭიროებს განსაზღვრულ მარკეტინგულ ძალისხმევას შესაბამისი ფირმებისაგან (კომპანიებისაგან).

საკუთრება (property, ownership) – ადამიანთა შორის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების გამომხატველი კატეგორიით; წარმოების განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ჩამოყალიბებული ობიექტური კავშირების სისტემა, მატერიალური დოვლათის მითვისების განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური ფორმა. საკუთრება საზოგადოების გამომხატველი კატეგორიაა და ისეთივე ცვალებადია, როგორც საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა.

ადამიანი ბუნებას იყენებს არა როგორც ცხოველი, რომელიც ეუფლება ბუნების ნაბოძებს და ითვისებს მას ბუნებასთან ურთიერთობის გაცნობიერების გარეშე, არამედ მასთან ექცევა ეკონომიკური სისტემით განპირობებულ ურთიერთობაში გარკვეული საზოგადოებრივი ფორმით.

ეკონომიქსი საკუთრებას განიხილავს, როგორც ადამიანის დამოკიდებულებას ნივთისადმი. ამის საპირისპიროდ ეკონომიკური თეორია საკუთრებას განიხილავს როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობას, ჩამოყალიბებულს რესურსებისა და მათი მეშვეობით შექმნილი დოვლათის მითვისების გამო.

საკუთრების რეალიზაციის ფორმებია: **სარგებლობა, მფლობელობა, განკარგვა (სრული საკუთრება)**. სარ-

გებლობის უფლება წარმოქმნის საშუალებების ან სხვა ქონების ექსპლუატაციისა და მისგან სარგებლობის მიღების შესაძლებლობა იძლევა; მფლობელობის უფლება წარმოების საშუალებების ან სხვა ქონების ფაქტობრივად დაუფლებისა და საკუთარ მფლობელობაში ქონის შესაძ-ლებლობაა. მფლობელობა მოიცავს სარგებლობას, როგორც დაქვემდებარებულ მარტივ მომენტს. განკარგვის (სრული საკუთრების) უფლება მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს იმოქმედოს თავის შეხედულებისამებრ და თვითონ განსაზღვროს საკუთრების ობიექტი: თავის საკუთრებაში დაიტოვოს თუ გაასხვისოს, გაყიდოს. სრული საკუთრება მოიცავს სარგებლობასა და მფლობელობას.

საკუთრება ადამიანთა შორის – საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების გამომხატველი კატეგორიაა. იგი არის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ჩამოყალიბებული ობიექტური კავშირების სისტემა. პირველი ყოვლისა, წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების განსაზღვრული ფორმით მითვისება და ამის საფუძველზე ადამიანებს შორის წარ-მოშობილი ურთიერთობები. ე.ი. საკუთრება მატერიალუ-რი დოვლათის მითვისების განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაა.

საკუთრების უფლება (property rights) – უფლება, რომელიც გნსაზღვრავს რესურსების, მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათისა და მომსახურების გამოყენების ნებართვას. საკუთრების უფლება აქტივებზე მოიცავს მათ გამოყე-ნებას, ფორმისა და შინაარსის შეცვლას, აგრეთვე უფლების გადაცემას მათი გაყიდვის გზით. აქტივებზე საკუთრების უფლება არ არის შეუზღუდავი, ვინაიდან არსებობს კანონითა და ხელშეკრულების პირობით განსაზღვრული შეზღუდვები.

საკურსო ანუ საბაზრო ფასი – ეწოდება ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე აქციის გაყიდვის ფასს. აქციის კურსის

მის ნომინალურ ღირებულებაზე მეტობას ეწოდება ლაჟი ანუ აჟიო, ხოლო ნაკლებობას - დიზაჟიო.

სალაროს გასავლის ორდერი – სალაროს გასავლის ორდერი იწერება ერთ ცალად. იგი წარმოადგენს მოლარისადმი დავალებას, რომ სალაროდან გასცეს ფული. დოკუმენტში იწერება ვისზე გაიცა ფული, რა დანიშნულებით და თანხის მიმღების პირადი მონაცემები.

სალაროს გასვლის ორდერი წარმოადგენს – ბრძანებას მოლარისადმი, რომ მან სალაროდან გასცეს ფულადი საშუალებანი. მსგავსად სალაროს ორდერისა ისიც იწერება ერთ ცალად, მელნით ან ბურთულიანი კალმით. მასში აღნიშნულია ვისზე გაიცა ფული და რა დანიშნულებით. სალაროს გასავლის ორდერს, დამუშავებისას უნდა გაუკეთდეს აღნიშვნა, როგორ აისახოს ბუღალტრულ აღრიცხვაში ორდერით გაფორმებული თანხა.

სალაროს მეთოდი – ეს არის კრედიტორი ბანკის მიერ დარიცხულ პროცენტებს შემოსავლის ანგარიშებს მხოლოდ სახსრების რეალურად შემოსვლისას აწერენ (ე.ი. გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების საკორესპოდენტო ანგარიშზე ჩარიცხვის ან სალაროში სახსრების შემოსვლის თარიღისათვის.

სალაროს ოპერაციად მიჩნეულია – ბანკის ისეთი საქმიანობა, რომელიც ნაღდი ფულის ინკასაციას, შენახვასა და გაცემას უკავშირდება.

სალაროს სიტყვა – მიჩნეულია ბანკის ისეთი საქმიანობა, რომელიც ნაღდი ფულის ინკასაციას, შენახვასა და გაცემას უკავშირდება.

სალაროს შემოსავლის ორდერი – ბრძანებაა მოლარისადმი, სალაროში ფულადი საშუალებების მისაღებად. იგი იწერება ერთ ცალად მელნით ან ბურთულიანი კალმით. მისი რეკვიზიტებია: სალაროს შემოსავლის ორდერი, №, ვისგან არის მიღებული სალაროში ფული და რა დანიშნულებით, თანხა (როგორც ციფრებით, ასევე სიტყვებითაც). სალაროს შემოსავლის ორდერს ხელს აწერს მთავარი ბუღალტერი

და მოლარე - ფულის მიღებაზე. შემდეგ მოცემული ორგანიზაციის დასახელება და მითითება, ბუღალტრული ჩანაწერის შესახებ, თუ სად უნდა რეგისტრირდეს სალაროს შემოსავლის ორდერით გაფორმებული თანხა.

სალაროს შემოსავლის ორდერი – ეს დოკუმენტი გამოიყენება სალაროში ფულადი საშუალებების მიღებისას, იწერება ერთ ცალად. სალაროს შემოსავლის ორდერს ხელს აწერს მთავარი ბუღალტერი და მოლარე თანხის მიღებაზე. დოკუმენტს მარჯვენა მხარეს აქვს მოსახევი ქვითარი, სადაც იგივე რეკვიზიტებია მოცემული. ეს ქვითარი მთავარი ბუღალტრის და მოლარის ხელმოწერის და მრგვალი ბეჭდის დასმის შემდეგ ეძლევა ფულის შემომტანს, როგორც გამამართლებელი საბუთი.

სალდო – სხვაობა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ფულის შემოსავალსა და გასავალს შორის. ბუღალტერიაში სხვაობა დებეტისა და კრედიტის, აგრეთვე აქტივისა და პასივის ჯამობრივ თანხას შორის.

სალდო (saldo) [იტალ. Saldo ანგარიში, ნაშთი] – სხვაობა საწარმოს ფულად შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში; საერთაშორისო ვაჭრობაში - სხვაობა ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის ღირებულებას შორის (სავაჭრო ბალანსის სალდო) საერთაშორისო საგადასახადო ანგარიშსწორებაში – სხვაობა ქვეყნის საზღვარგარეთულ გადასახდელებსა და შემოსავლებს შორის (საგადასახდელო ბალანსის სალდო).

სალიზინგო კომპანიები – 1950-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში, ხოლო 60-იანი წლებიდან ევროპაში გაჩნდა ახალი სახის საწარმეო საქმიანობა-ლიზინგი. სალიზინგო კომპანიებმა დაიწყეს მანქანების, მოწყობილობების და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და ამ ქონების 5-8 წლით და მეტი ხნით არენდით გადაცემა არენდატორ ფირმებზე, რომლე-ბიც თანდათანობით ფარავდნენ დავალიანებას ქონების გამოყენების შესაბამისად.

სალიზინგო კონტრაქტების – პირობებით საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ სალიზინგო კონტრაქტის სამ სახეს: კონტრაქტის ვადის გაგრძელების ან ქონების ყიდვის უფლებითა და კონტრაქტის გაგრძელების უფლებით.

სალიზინგო ოპერაციებში – გამოიყენება სხვადასხვა სახის გარანტიები. ასეთი გარანტიის მქონე ლიზინგს უწოდებენ **ღია ტიპის არენდას**, ხოლო ასთი გარანტიის არარსებობისას **არენდა დახურული ტიპისაა.** არსებობს ლიზინგის კიდევ ერთი სახე – ლიზინგი მოწყობილობის დარჩენილ ღირებულებაზე, რომელიც გამოიყენება ნახმარი მოწყობილობისათვის. ასეთი ლიზინგის მოქმედების ვადა 1-4 წელია.

სალიკვიდაციო ბანკის ბალანსი – ესაა, 1. რომელსაც მისი ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დაწესებული ვადის შემდეგ ადგენენ კრედიტორების მოთხოვნების გამოვლენისა და ამ მოთხოვნების რეესტრის შედგენის მიზნით. 2. არის კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ შედგენილი ბალანსი. იგი ასახავს ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს საქმიანობის შედეგებს.

სალიკვიდაციო კონტროლი – ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების კრიზისული მდგომარეობის იდენტიფიკაციისა და დაფიქსირების უფლება და მექანიზმი, როდესაც მათი საქმიანობაზე არა მარტო საფრთხეს აჩენს, არამედ პირდაპირ საგრძნობლად აზარალებს კლიენტებსა და საბანკო სისტემას, ამის გამო კი მთელი ქვეყნის ეკონომიკას და მის სტაბილურობას აყენებს ზიანს.

სალიკვიდაციო ღირებულება – ფულის ის თანხაა, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს ყველა აქტივის გაყიდვის პროცესში.

სალიკვიდო საშუალებები – ფულადი საშუალებები და სხვა აქტივები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავალო ვალდებულებების დასაფარავად. კუთვნილებისადმი დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ ბანკების, სახელმწიფოს ლიკვიდურ საშუალებებს.

სალიცენზიო ანაკრები – იმპორტიორებისა და ექსპორტიორების დაბეგვრის სახესხვაობა საზღვარზე საქონლის გატანისათვის ოფიციალური დაწესებულების წერილობითი ნებართვის მიღების დროს. როგორც წესი, წარმოადგენს მცირე თანხას, რომელიც მიდის ჩვეულებრივ ნებართვის გაცემის გაფართოებაზე ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარავად.

სალიცენზიო მოსაკრებელი – ლიცენზიის მაძიებლისათვის კანონით განსაზღვრული ოდენობით დაკისრებული გადასახდელი.

სალიცენზიო სისტემა – გულისხმობს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ იმ საქონლის საგარეო სავაჭრო ოპერაციების წარმოებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემას, რომელიც ჩართულია ექსპორტისა და იმპორტის სალიცენზიო სიაში.

სალიცენზიო სისტემა (licencing sistem) – საგარეო ვაჭრობის ოპერაციების რეგულირება საქონლის შემოტანასა და გატანაზე სახელმწიფო ნებართვისათვის (ლიცენზიის გაცემით).

სალიცენზიო შეთანხმება – ითვალისწინებს ერთი მხარის (ლიცენზიის მიმცემის ანუ ლიცენზიარის) მიერ მეორისათვის (ლიცენზიის მიმღებისათვის ანუ ლიცენზიატისათვის) გამოგონების ან სხვა ტექნიკური მიღწევის გამოყენების უფლების მიცემას რაზედაც მეორე მხარე იხდის შესაბამის თანხას.

სალომბარდო კრედიტი – არის სესხის ცენტრალურ ბანკებში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები გირაოთი. სხვაგვარად ეს არის მოკლევადიანი კრედიტი, გამოყოფილი ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო ორგანიზაციებისათვის, ფასიანი ქაღალდების გირაოთი ლიკვიდურ სახსრებზე ბანკების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საბანკო სისტემის ლიკვიდურობის დაცვის და რეგულირების მიზნით.

სალომბარდო ოპერაციები – ბანკში სესხების მიღება ფასიანი ქაღალდების ან საქონლის გირაოს სახით.ტერმინი წარმოქმნილია იტალიური სიტყვიდან „ლომბარდი“, ასე იწოდებოდნენ მევახშეები, რომლებიც ლომბარდში ცხოვრობდნენ.

სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის – როლში გვევლინებიან ფირმები, რომლებიც, როგორც წესი, რეგისტრირებულნი არიან ქვეყნის სავაჭრო რეესტრში და აქვთ იურიდიული პირის უფლება.

სამართლებრივი თვალსაზრისით – ორი ან მეტი იურიდიული პირის შერწყმა წარმოადგენს მათ შორის იმგვარ ურთიერთდამოკიდებულებათა პროცესს, რომლის შედეგადაც თითოეული მათგანის უფლებები და მოვალეობები ახლად შექმნილ იურიდიულ პირს გადაეცემა.

სამართლებრივი საკითხების სამმართველო – თავის საქმიანობას ახორციელებს ბანკის ფინანსური მდგომარეობის განსამტკიცებლად სამმართლებრივი საშუალებების გამოყენების მიმართულებით, იცავს ბანკის უფლებებს და ინტერესებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებთან, კლიენტებთან, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობებში, სამართლებრივ დახმარებას უწევს ბანკის საბჭოს და გამგეობას.

სამართლებრივი რისკი – მოიცავს აქტივების გაუფასურებიდან ვალდებულებების გაფართოების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია არასწორი იურიდიული გადაწყვეტილებებით, ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესებთან დაკავშირებული კანონმდებლობაც.

სამართლებრივი წესების ანალიზის – დროს მთავარია კონსტიტუციური სამართალი, რომელითაც განისაზღვრება კანონებისა და სხვა საკანონმდებლო კანონების შემქმნელი და გამაუქმებელი ორგანო, აგრეთვე კანონის მოქმედების წესი და ყოველი ცალკეული პიროვნებისათვის მიცემული ძირითადი უფლებები.

სამარკო კაპიტალი – დამატებითი ღირებულებაა, რომელსაც სავაჭრო მარკა ანიჭებს საქონელს. ეს ღირებულება

შეიძლება აისახოს იმაში, რომ თუ მომხმარებლები როგორ ფიქრობენ, გრძნობენ და იქცევიან საქონლის მიმართ, აგრეთვე მის ფასზეც, ბაზრის წილზეც და შემოსავლების დონეზეც, რომელიც მოაქვს მარკას ფირმისთვის. სამარკო კაპიტალი წარმოადგენს მნიშვნელოვან არახელშესახებ აქტივს, რომელიც ფირმას ანიჭებს ფსიქოლოგიურ და ფინანსურ ფასეულობას.

სამარკო ნიშანი (ემბლემა) – მარკის ნაწილი, რომლიც გამოიცნობა, მაგრამ მისი სიტყვიერად წარმოთქმა შეუძლებელია. მაგალითად, სიმბოლო, გამოსახულება, განსხვავებული შეღებვა ან სპეციალური შრიფტული გაფორმება.

სამარკო სახელწოდება – მარკის ნაწილი, რომლის წარმოთქმა შეიძლება გასაგონად.

სამარკო შეპირება – ეს არის მყიდველის მიერ დანახვა იმისა, რა უნდა იყოს და რა უნდა გააკეთოს მარკამ მომხმარებლებისათვის.

სამგზავრო ბილეთი – დადგენილი წესით გაფორმებული საბუთი, რომელიც იძლევა მგზავრობის უფლებას და წარმოადგენს გადაზიდვასა და მგზავრს შორის ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.

სამგზავრო დოკუმენტებს მიეკუთვნება – TCT – Pasenger Ticket and Bsggage Check (ბილეთი და საბარგო ქვითარი); EBT – Excess Baggage Ticket (ზენორმატიული ბარგის ქვითარი); MCO – Miscellaneouse Charge Order (სხვადასხვა მოსაკრებლის ორდერი); MPD – Multipler Purpose Document (მრავალმიზნობრივი დოკუმენტი).

სამდინარო ზედნადები – მდინარით ტვირთგადამზიდავის მიერ ტვირთგამგზავნზე გაცემული სატრანსპორტო დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს გადაზიდვისათვის ტვირთის მიღებას და გადამზიდავის ვალდებულებას დანიშნულების პორტში ტვირთმიმღებზე ტვირთის გადაცემის შესახებ.

სამდინარო ტრანსპორტი – მაღალი გამტარობის შესაძლებლობები ღრმა მდინარეებსა და წყალსაცავებზე; გადაზიდვების დაბალი ღირებულება; დაბალი კაპიტალდაბანდება.

სამეურნეო აღრიცხვა – არის სამეურნეო საქმიანობის პროცესში მომხდარი ცვლილებების გარკვეული საზომებით რიცხობრივი ასახვა და თვისებრივი დახასიათება მისი შესწავლის, გამოყენებისა და კონტროლის მიზნით.

სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის შედეგები – რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიური მახასიათებლების მიხედვით, ამგვარ ფართო დაჯგუფებას უწოდებენ ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს.

სამეურნეო სამართალი – ცნება, რომელიც მოიცავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტიპიურ ეკონომიკურ მონაცემებს (მაგალითად, კოოპერაციული სამართალი) და ყოველდღიულ სამეურნეო საქმიანობას (მაგალითად, ხელშეკრულებები მიწოდებაზე, გადავადება, გარანტია და მათი ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან იძულების გზით).

სამეურნეო ორგანიზაციები აწარმოებს – პროდუქტებსა და მომსახურებას. მათ მიეკუთვნება: წარმოებრივი, სამეცნიერო-წარმოებრივი, საშუამავლო და სხვა ორგანიზაციები.

სამეურნეო მექანიზმი – ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა.

სამეურნეო საქმიანობა – არის მატერიალური დოვლათის წარმოების, მოხმარების და დაგროვების მიზნით, ადამიანთა მიზანშეწონილი საქმიანობა.

სამეურნეო სუბიექტების – ფინანსური ურთიერთობები მათი ფულადი ურთიერთობების ის ნაწილია, რომლის დროსაც ადგილი აქვს ფულადი სახსრების რეალურ მოძრაობის ფულადი ფონდების შექმნის ან მათი სიდიდის შეცვლის მიზნით.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები – სამუშაოები, რომელთა მიზანია მეცნიერული იდეების შემუშავება და რეალიზაცია.

სამეცნიერო რესურსები (სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი) – ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც მოცემულ ქვეყანასა და დარგში ტექნიკური პროგრესის მდგომარეობასა და შესაძლებლობებს. შეიცავენ მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზარს სამეცნიერო კადრებს, აღმოჩენათა, გამოგონებათა დაგროვილ ფონდს, ტექნიკასა და ტექნოლოგიის ნიმუშებს, მეცნიერული კვლევის ორგანიზაციისა და დაფინანსების სისტემას.

სამეურნეო ციკლი – სამეურნეო კონიუნქტურის რყევა რომელიც რეგულარულად მეორდება (ყოველ 4-7 წელიწადში) და რომლის დროს ეკონომიკა გადის ოთხ ფაზას: კრიზისს (რეცესია), დეპრესიას, გამოცოცხლებასა და აღმავლობას (ბუმი).

სამეურნეო ცხოვრების ტრანსნაციონაზაცია – მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსეროვნულ კორპორაციათა როლის გაძლიერების პროცესი.

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა (scientife-technical cooperation) – საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა მოიცავს: ერთობლივ სამეცნიერო დამუშავებებს, ლიცენზიებით ვაჭრობას, მსხვილი ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებას, ობიექტების ერთობლივ მშენებლობას, ეროვნული კადრების მომზადებას, რელიგიურ - საძიებო სამუშაოების წარმოებასა და ა.შ.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი – სტპ (scientific- technical progress) – მეცნიერებისა და ტექნიკის ერთიანი, ურთიერთგანპირობებული თანმიმდევრული განვითარება. სტპ-ის I ეტაპი უკავშირდება მანუფაქტურულ წარმოებას (XVI-XVIII სს.), II ეტაპი - მანქანური ინდუსტრიის განვითარებას (XVIII ს-ის ბოლოდან), III ეტაპი - სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას (XXI-ის 50 წლებიდან), რომლის

საფუძველზე მოხდა საზოგადოებრივი წარმოების არნახულ დივერსიფიკაცია. თანამედროვე პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი **სტპ**-ის განვითარებული ფორმაა.

სამეწარმეო ორგანიზაცია – იგი ხასიათდება: შედარებით მარტივი სტრუქტურით, მენეჯმენტის განუვითარებელი იერარქიით, საქმიანობის უმნიშვნელო ფორმალიზაციით, მცირე სიდიდით, სწრაფი განახლების უნარით. ასეთ ორგანიზაციაში დიდია ლიდერის როლი, რომელიც ახორციელებს მისი საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

სამეწარმეო რესურსი (სამეწარმეო პოტენციალი, სამეწარმეო უნარი, მეწარმეობა) – ისეთი ეკონომიკური რესურსების ურთიერთმოქმედების ეფექტიანი ორგანიზაციის უნარი, როგორიცაა შრომა, მიწა, კაპიტალი, ცოდნა, სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის. სამეწარმეო რესურსების შემადგენლობაში შედიან მისი მატარებლები (მეწარმენი), ინფრასტრუქტურა (საბაზრო ინსტიტუტები), ეთიკა, კულტურა.

სამთავრობო ორგანიზაციებს – მიეკუთვნება უშუალოდ მთავრობასთან, მისი პოლიტიკის განხორციელების მიზნით შექმნილი ორგანიზაციები. ესენია სხვადასხვა ფონდი, კომიტეტი, და კომისია, რომლებიც იქმნება მეწარმეობის, მცირე ბიზნესისა და სხვათა მხარდასაჭერად და ა.შ.

სამთავრობათშორისო (სახელმწიფოთაშორისი) ორგანიზაცია – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც წინათ მოქმედებდა საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს სახელით. ამუშავებს და ავრცელებს ერთიან საბაჟო პრინციპებსა და წესებს მსოფლიო საქონელბრუნვის დაჩქარების, საქონლისა და ფიზიკურ პირთა საბაჟო საზღვრების გავლით გადაადგილების უნიფიკაციისა და შემსუბუქების მიზნით, როცა უზრუნველყოფილია საბაჟოს საკონტროლო და ფისკალური ფუნქციები.

სამიმოსვლო გზები – გარემო, რომელშიც ან/და რომლის მიხედვითაც მოძრაობს სატრანსპორტო საშუალება თავისი ფუნქციის შესრულების დროს.

სამისამართო სია (mailing list) – საქონლის ან მომსახურების პოტენციურ მყიდველთა მისამართების სია, რომელიც დგება პირდაპირი საფოსტო რეკლამის მიხედვით სარეკლამო ან საინფორმაციო მასალების დაგზავნის მიზნით.

სამომხმარებლო ბაზარი – ცალკეული პირები ან საოჯახო მეურნეობები, რომლებიც შეისყიდიან ან სხვა წესით შეიძენენ საქონელს და მომსახურებას პირადი მომსახურებისათვის.

სამომხმარებლო ბიუჯეტი – ოჯახის შემოსავლის და გასავლის ბალანსი (საშუალო სტატისტიკური), რომელიც ახასიათებს მოსახლეობის ოჯახების ცალკეული ჯგუფების ჩამოყალიბებული ცხოვრების დონეს.

სამომხმარებლო კალათა (basket of goods, consumer's basket) – ადამიანის ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ნაკრები. წარმოადგენს ბაზას მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის, მინიმალური ხელფასის, პენსიის, დახმარების, სტიპენდიის და ა.შ. განსაზღვრისათვის.

საქონლისა და მომსახურების ნაკრები სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისათვის დიფერენცირებულია ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობაზე. სამომხმარებლო კალათაში შედის საქონლისა და მომსახურების სხვადახვა ნაკრები: პური და პურპროდუქტები, ხორცი და საქონლის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი და თევზის პროდუქტები, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, ზეთი, მარგარინი, კარაქი, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი, სხვა პროდუქტები; ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი, წამალი, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები; ავეჯი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საგნები;

საცხოვრებელი ბინა, კომუნალური მომსახურება; კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურება; საყოფაცხოვრებო მომსახურება; ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა; სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურება. სამომხმარებლო კალათის შეფასება ხდება საპრეისკურანტო ფასებით განსაზღვრული პერიოდით. სამომხმარებლო კალათაში შესული საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტი ასახავს ხალხის ცხოვრების დონეს. რაც უფრო მრავალფეროვანია „კალათაში" შემავალი კვების პროდუქტებისა და არასასუსართო საქონლის ჩამონათვალი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე.

სამომხმარებლო კოოპერაცია – საცალო ვაჭრობის საწარმოები, რომლებიც მონაწილეობენ მოგებაში ან იძენენ საქონელს შეღავათიან ფასებში.

სამომხმარებლო კრედიტი – კრედიტის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს საქონლის გაყიდვას უშუალოდ მომხმარებლის მიერ საფასურის განვადებით გადახდის პირობით.

სამომხმარებლო კრედიტი – იგი ეძლევა მოსახლეობას სამომხმარებლო საქონელის შესაძენად ან მომსახურების ანაზღაურებისათვის და გულისხმობს საქონლის (მომსახურების) გაყიდვას მომხმარებლების მიერ საფასურის განვადებით გადახდის პირობით. სამომხმარებლო კრედიტი უშუალოდ სავაჭრო ფირმების მიერ გაცემული კრედიტია.

სამომხმარებლო კრედიტი (consumer credit) – სამომხმარებლო საქონლის შესაძენად გაცემული მოკლევადიანი კრედიტი. კრედიტორები შეიძლება იყოს: ბანკები, ლომბარდები, გამქირავებელი პუნქტები, საცალო ვაჭრობის ობიექტები, ფირმები და სხვა.

სამომხმარებლო კრედიტი – მიმდინარე მომენტში ნაღდი ფულის ან საქონლის მიღება, რომელსაც მისი ღირებულების გადახდა გათვალისწინებული აქვს მომავალ პერიოდში.

სამომხმარებლო ლოდინის მოდელი – პროგნოზი, რომელიც ეფუძნება ორგანიზაციის მომხმარებელთა შესწავლას.

სამომხმარებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების სერვისი – წარმოადგენს მომხმარებლების უზრუნველყოფის დონის კომპლექსურ მახასიათებელს.

სამომხმარებლო მოთხოვნის თეორიაში – სამუელსონის მიდგომა საპირისპირო იყო იმ დროს დამკვიდრებული მიდგომისა, რომელიც მდგომარეობდა დედუქციური მეთოდების საფუძველზე სამომხმარებლო ქცევის თეორის დამუშავებაში. მომხმარებელთა ქცევის დამკვიდრების საფუძველზე გამოვლენილი უპირატესობით სამუელსონმა განსაზღვრა სამომხმარებლო უპირატესობა. **კეთილდღეობის ეკონომიკურ თეორიაში** ცნობილია სამუელსონის კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ცვლილებების გავლენას კეთილდღეობის დონეზე. ყველა დანარჩენი კრიტერიუმი ამ ზოგადი კრიტერიუმის კერძო შემთხვევაა. **ეკონომიკური დინამიკის თეორიაში** სამუელსონმა გამოიკვლია ეკონომიკური სისტემის ცვლილებები წონასწორობის არარსებობის პირობებში და ეკონომიკის გადასვლა ერთი ფაზიდან მეორეში. მან განსაზღვრა ეკონომიკური სისტემის მდგრადობის პირობები, რომლებიც ხშირად ემთხვევა სტატისტიკური მდგრადობის პირობებს. სტატისტიკურსა და დინამიკურს შორის ფორმალურ დამოკიდებულებას სამუელსონმა შესაბამისობის პრინციპი უწოდა. თავის ნაშრომში ,,მულტიპლიკატორის ანალიზისა და აქსელერაციის პრინციპის ურთიერთდამოკიდებულება“ (1939) მან გააანალიზა პროცესი, რომელიც საფუძვლად დაედო **ეკონომიკური ციკლის ანალიზს.**

60-იან წლებში სამუელსონი იცავდა კაპიტალის ნეოკლასიკურ კონცეფციას (თუმცა ვერ მიაღწია სრულ წარმატებას), აგრეთვე დეტალურად დაამუშავა ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკური პირობები.

სამუელსონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **საერთაშორისო ეკონომიკის თეორიაში.** სტოლპერთან ერთად დაამუშავა თეორია, რომელსაც მათი სახელი მიენიჭა ამ თეორიის მიხედვით თავისუფალი ვაჭრობა ამცირებს

შეზღუდული წარმოების ფაქტორებით მიღებულ შემოსავალს. ამ დებულებიდან გამომდინარე მან გამოავლინა წარმოების ფაქტორთა ფასების გამოთანაბრების პირობები ჰეკშერ-ოლინის სისტემაში. ცნობილია მისი კლასიკური განმარტება ,,ტრანსფერების პრობლემების" შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 50-იანი წლების დასაწყისში, სამუელსონმა თავისი გახმაურებული ნაშრომის – ,,ეკონომიქსის" გამოცემით (რომელიც 1998 წელს უკვე მეთექვსმეტედ გამოიცა ვ. ნორდჰაუსის თანაავტორობით) დიდი როლი შეასრულა ეკონომიკური განათლების სფეროში, განსაკუთრებით **კეინზიანური თეორიის განზოგადებაში.** სტოკჰოლმის სკოლისა და საკუთარი თეორიების შესახებ ცოდნის გავრცელებაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული ,,ეკონომიქსი" პერმანენტულად გამოდის სხვადასხვა ენაზე. დაისტამბა მილიონობით ეგზემპლარი. ამით პოლ სამუელსონი არა მხოლოდ ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი გახდა, არამედ სამეცნიერო წრეში ყველაზე შეძლებულიც.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (consumer price indx) – მაჩვენებელი, რომელიც ასახავს საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო ცვლილების გავლენას ფიქსირებული სამომხმარებლო კალათაზე. იგი გამოიყენება ეკონომიკაში ფასების ცვლილებების და მასთან დაკავშირებული პროცესების ანალიზსა და პროგნოზისათვის.

სამომხმარებლო ხარჯები (consumer expenditures) – მოხმარებაზე გაწეული ხარჯები, მაკროეკონომიკაში მოიცავს შინამეურნეობათა ყველა საბოლოო დანახარჯს, გარდა საცხოვრებელი ბინის მშენებლობის ან ყიდვისათვის გაწეული ხარჯებისა.

სამოქალაქო ავიაცია – ეროვნული მეურნეობის დარგი, რომელიც მიზნობრივი გამოყენების მიხედვით იყოფა სატრანსპორტო და საერთო დანიშნულების ავიაციად. სამოქალაქო ავიაცია. სამოქალაქო ავიაცია რომელიც გამოიყენება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განსახო-

ციელებლად მიეკუთვნება სატრანსპორტო ავიაციას. სამოქალაქო ავიაცია არ გამოიყენება სატრანსპორტო ავაციის მიზნებისათვის მიეკუთვნება საერთო დანიშნულების ავიაციას.

სამოქალაქო საზოგადოება (civil society) – სამოქალაქო მოწყობის ისეთი ტიპი, რომელიც გამოირჩევა დემოკრატიის მაღალი დონით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. ამ ურთიერთობების პლურალიზმით საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი პერიოდიდან, როდესაც ცივილიზებულ ქვეყნებში ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებლობა წარმოიქმნა.

ახალი დრო ყოველთვის წარმოქმნის თავის პრიორიტეტს. თანამედროვეობის ასეთი პრიორიტეტი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაა. ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად განაპირობა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე მსოფლიო წარმოებაში მიმდინარე მძლავრმა პროგრესულმა ცვლილებებმა, რაც უპირველეს ყოვლისა მომსახურების სფეროს პრიორიტეტულ განვითარებაში გამოიხატა. არანაკლები როლი შეასრულა ახალი ეკონომიკური თეორიების ჩამოყალიბებამ და მსოფლიოში ტონის მიმცემი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში მათი გამოყენების მასშტაბების ზრდამ მსოფლიო ეკონომიკურმა განვითარებამ ახალი თვისებრიობა შეიძინა. კერძო კაპიტალისტური საკუთრების პრიორიტეტზე დაფუძნებულმა გაბატონებულმა ურთიერთობებმა ევოლუციური გზით, საკუთრების პლურალიზმზე დაფუძნებულ ურთიერთობებს დაუთმო ადგილი. საკუთრების სწორედ ასეთმა ტრანსფორმაციამ გაბატონებულ კერძო საკუთრებით ურთიერთობაზე დამყარებულ კაპიტალიზმს ტრაექტორია შეუცვალა და მისი ახალ თვისებრიობაში გადაზრდა დააჩქარა. ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკა, სადაც „პირველი ვიოლინოს“ როლი ბაზარს დაეკისრა. კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა.

ბაზარმა სრულიად სხვა შინაარსი შეიძინა. იგი აღიარებული იქნა ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვრად. საკუთრებით ურთიერთობებში განხორციელებულმა რადიკალურმა და ამავე დროს, უაღრესად პროგრესულმა ცვლილებებმა, ეკონომიკის სახელწიფოებრივ რეგულირე–ბასთან ერთად, განაპირობა კაცობრიობის მრავალსაუკუ-ნოვანი არსებობის მანძილზე პირველად ბაზრის, როგორც მეურნეობის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბება. ასეთმა ბაზარმა, შრომის მოტივაციის ეფექტიანი სისტემა შექმნა და მეწარმეობის განვითარებას ფართო შესაძლებლობები მისცა. მან, ჰორიზონტალური კავშირების გაფართოება-განმტკიცების საფუძველზე, საგრძნობლად გაამარტივა მმართველობის იერარქიული სტრუქტურა, განაპირობა კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაახლოება და საბოლოო ანგარიშით, წარმოქმნა ისეთი ობიექტური კანონზომიერება, რომელმაც გამოხატულება თვისებრი-ვად სრულიად ახალ ეკონომიკურ ზრდაში პოვა. ამ გარემოებამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივ გარდაქმნებს ახალ ამპლუაში და დადებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოების პოტენციალის ზრდაზე. ყურადღება გამახვილდა ახალი საზოგადოების პოტენ-ციალის ზრდაზე. ყურადღება გამახვილდა ახალი საზო-გადოების ფორმირებაზე, რამაც ხელი შეუწყო საზოგა-დოებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებასა და ჰუმანიზაციის პროცესების გაღრმავებას. დაიწყო სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებისა და ქველ-მოქმედების ორგანიზაციების ფართოდ შექმნის პროცესი. განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო სოციალური დაცვის მიზნობრივ პროგრამებს მიეცა. ეს პროგრამები რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს გან-ხორციელდა, ითვალისწინებდა უმუშევრობის დაზღვევას,

საპენსიო უზრუნველყოფას, ავადმყოფების გამო დახმარებას, წარმოებაში უბედური შემთხვევის გამო დახმარებას, სამედიცინო დაზღვევას ან უფასო სამედიცინო დაზღვევას ან უფასო სამედიცინო მომსახურებასა და ა.შ.

სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით სახელმწიფომ „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნები შეიძინა. განვითარებულმა სამყარომ, შეიძლება ითქვას, მიიღო ახალი დროის გამოწვევა. საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. კაცობრიობის განვითარების განვლილ პერიოდთან შედარებით, ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი და ახალი სიტყვა უფრო მაღალი სოციალური და ამავე დროს, მსოფლიო წესრიგის დამყარების თვალსაზრისით.

ეკონომიკისათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარი და სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია.

სამოქალაქო სამართლის სისტემა – ანუ კოდიფიცირებული სამართლებრივი სისტემა ეფუძნება დეტალურად დამუშავებულ და კოდექსში თავმოყრილ კანონების კოდექსს.

სამრეწველო პოლიტიკა – სახელმწიფოს აქტიური ჩარევა დარგებს შორის რესურსების განაწილებასა და დარგების ორგანიზაციაში მრეწველობის გარკვეული სტრუქტურის ფორმირების მიზნით.

სამრეწველო ციკლი (business cycle) – ეკონომიკის განვითარების არარეგულარული გამეორებადი პერიოდი. შედგება საერთო საქმიანი აქტიურობის აღმავლობისა და დაცემის პერიოდებისაგან.

სამსახურებრივი ინსტრუქცია – ორგანიზაციულ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია საწარმოს ლოგისტიკური სამსახურის თანამშრომლის ძირითადი ფუნქციები, მოვალეობანი, უფლებები და პასუხისმგებლობა მისთვის განსაზღვრულ თანამდებობაზე პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას.

სამსახურებრივი მოვალეობანი – თანამშრომლის მოვალეობებია ორგანიზაციის კონკრეტულ ქვედანაყოფის ამოცანებისა და ფუნქციების გათვალისწინებით მისი პროფესიული საქმიანობის ძირითად მიმართულებათა დაწვრილებითი გადმოცემა.

სამსახურებრივი-პროფესიონალური დაწინაურება – სხვადასხვა თანამდებობების მიხედვით წინსვლითი გადაადგილების სერია, რომელიც ხელს უწყობს როგორც ორგანიზაციის, ისე პიროვნების განვითარებას. გადაადგილებები შეიძლება იყოს როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური.

სამსუნგი – არის კორეაში დაფუძნებული ელექტროსაქონლის, ქიმიური და მძიმე ტექნიკის მწარმოებელი კომპანია, ასევე არქიტექტურული და კონსტრუქციების სერვისის პროვაიდერი. ,,სამსუნგის" კონცეფცია ციფრული კონვერგციული მოძრაობის წარმართვაა, თავის მხრივ, ეს კონცეფცია განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზნებს.

სამუელსონი პოლ ენტონი (1915-2009) (Samuelson, Paul A.) – XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი ეკონომისტ-თეორეტიკოსი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1970).

სამუელსონის ნაშრომები მოიცავს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების თითქმის ყველა განყოფილების ფართო სპექტრს. მიუხედავად იმისა, რომ მეტად ნაყოფიერი ავტორია, მან დაწერა მხოლოდ ორი წიგნი – ,,ეკო - ნომიკური ანალიზის საფუძვლები" (1948) და ცნობილი სახელმძღვანელო ,,ეკონომიქსი" (1945). სამუელსონს მიენიჭა ნობელის პრემია იმ ნაშრომებისათვის, რომლებმაც მათემატიკური მეთოდების გამოყენებაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკური მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური დონის ამაღლებაში. **სახელმწიფო ფინანსების თეორიაში** ფუძემდებელი გახდა სამუელსონის სახელმწიფო ხარჯების წმინდა

თეორია, რომელიც ეხება რესურსების ოპტიმალურ განაწილებას როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ საქონელთან მიმართებაში.

სამუშაო ანალიზი – სამუშაოს სისტემატური კვლევის პროცესია, რომლის მიზანია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებისა და მოცემული სამუშაოს შესრულებისადმი წაყენებული მოთხოვნილებების განსაზღვრა.

სამუშაოს აღწერილობა – კონკრეტული სამუშაოს მონაცემებისა (მოვალეობების, უფლებების, პასუხისმგებლობების) და მისი პარამეტრების ფიქსაცია.

სამუშაოს გარდაქმნა – პროგრესულ ორგანიზაციებში - ეს არის თანამდებობრივი ინსტრუქციების და ფუნქციური მოვალეობების გაფართოების (რისი მიზანიც არის მეტი შინაგანი წახალისების უზრუნველყოფა) გზით მიზნებისა და ამოცანების ხელახალი ფორმულირების პროცესი.

სამუშაოს გაღრმავება – შრომის რეორგანიზაცია შესასრულებელ სამუშაოთა შინაარსის გაღრმავებით.

სამრეწველო დემოკრატია – მუშების მონაწილეობა საწარმოს მართვაში, როდესაც მუშებს ნიშნავენ დირექტორთა საბჭოში, ან დირექტორთა საბჭოს ირჩევს კომპანიის ყველა თანამშრომელი.

სამუშაო ადგილის აღწერილობა – სამუშაო ადგილზე მუშაობის მოთხოვნებზე, დატვირთვასა და შინაარსზე გამოიყენება პერსონალის შერჩევისა და დაქირავების, სამუშაო ადგილებისა და მომუშავეთა ატესტაციისას.

სამუშაო დრო (working time) – წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობის მიერ გამომუშავებული საათების რაოდენობა.

სამუშაო დრო – დროის მონაკვეთი გაფრენის წინა მზადების დაწყებიდან ფრენის დამთავრებამდე (საჰაერო ხომალდის დაფრენიდან 30 წუთის შემდეგ).

სამუშაო დრო – დროის ის ნაწილი, როდესაც პიროვნება იმყოფება სამუშაო ადგილზე სამუშაოს შესასრულებლად. სამუშაო დროის ხანგრძლივობა დგინდება სახელმწიფოს მიერ, რაც საქართველოში რვა საათით განისაზღვრება.

სამუშაო დროის საათების მთლიანი რაოდენობა (total working hours) – სამუშაო დროის საათების საშუალო რაოდენობა გამრავლებული დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობაზე.

სამუშაო დროის საათების საშუალო რაოდენობა (average working hours) – სამუშაო დროის საათების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებულია ერთი საშუალო სტატისტიკური მუშაკი.

სამუშაო დღეები – სამუშაო დღეები, რომლებშიც ჩვეულებრივ წარმოებს სატვირთო სამუშაოები. სადღესასწაულო და კვირა დღეები სამუშაო დღეებს არ მიეკუთვნება და გემის დგომის დროში არ შედის. მონაცემი სამუშაო დღის შესახებ ქვეყნდება მსოფლიოს პორტებში ყოველწლიურად სპეციალურ ცნობარში.

სამუშაო კაპიტალის მართვა – არის როგორც მოკლევადიანი აქტივების, ასევე მოკლევადიანი ვალდებულებების მართვა. მისი მიზანია სააწარმოს გაკოტრების რისკის მინიმიზაცია. აქტივების ბრუნვადობის მაქსიმიზაციის გზით.

სამუშაო მასშტაბი – უშუალოდაა დაკავშირებული შინაარსობრივ მხარესთან. ამ უკანასკნელში იგულისხმება ამოცანების ან ოპერაციების რაოდენობა, რომლებიც უნდა შეასრულოს სამუშაოზე პასუხისმგებელმა მომუშავემ.

სამუშაო ძალა (labour force) – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა, რომელიც მოიცავს დასაქმებულებს, სამხედრო მოსამსახურეებსა და რეგისტრირებულ უმუშევრებს. ოფიციალურ სტატისტიკაში სამუშაო ძალად განისაზღვრება ადამიანთა ის ჯგუფი 16 წლიდან პენსიაზე გასვლის ასაკამდე, რომლებიც მუშაობენ ან უმუშევრები არიან. სამუშაო ძალის კატეგორიას არ მიეკუთვნებიან სტუდენტები, პენსიონრები, დიასახლისები, ის პირები, რომლებმაც დაკარგეს სამუშაოს შოვნის იმედი და ამიტომ აქტიურად აღარ ეძებენ მას.

სამუშაო ძალა – კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის გაგებით, სამუშაო ძალაა ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობ-

ლიობა, რომელიც რეალიზდება ბაზარზე, ზოგჯერ მასში გულისხმობენ რეალურ და პოტენციურ მომუშავეებს, რაც იგივე ,,შრომითი რესურსებია". ხშირად ამ ცნებას იყენებენ ვიწრო გაგებით და მასში იგულისხმება მომუშავეთა საერთო რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით, ეკონომიკის რომელიმე კონკრეტულ დარგში ან ქვეყნის რომელიმე რეგიონში.

სამუშაო ძალა – ეს არის ძალა, რომელიც მოდის მუშაობიდან ან სხვა საქმიანობიდან, რასაც სამსახურში აკეთებთ. ალბათ იცით, რომ ადამიანებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან შეაფერხონ სხვების ძალისხმევა სამუშაო ძალის გამოყენებით.

სამუშაო ძალა – არის ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობათა ერთობლიობა, მისი შრომის უნარი და წარმოების მთავარი პირობა. ნებისმიერ საზოგადოებაში იგი წარმოების პიროვნული ფაქტორია.

სამუშაო ძალის საერთაშორისო ბაზარი – შრომის ემიგრაციისა და შრომის იმიგრაციის ერთიანობა.

სამუშაო ძალის წილი (მაჩვენებელი) (labour forse participation rate) – მომუშავეთა და უმუშევართა პროცენტი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში.

სამუშაოს ანალიზი – ესაა სამუშაოს სისტემატური კვლევის პროცესი, რომლის მიზანია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასათებლებისა და მოცემული სამუშაოს შესრულებისადმი წაყენებული მოთხოვნილებების განსაზღვრა.

სამუშაოს ანალიზისას სამი ძირითადი მეთოდი გამოიყენება – ესენია: დაკვირვება, გასაუბრება, კითხვარები. 1. **დაკვირვების** მეთოდი კარგ შედეგს იძლევა, როცა საქმე გვაქვს ღია სამუშაოსთან და ვიზუალურად ნათლად ჩანს, რას აკეთებს მომუშავე. ასეთია სამუშაოები, რომელთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე დაბალია (მაგალითად, ხელით სამუშაოები). **2. გასაუბრება.** იგი უმეტეს შემთხვევაში, გვევლინება ინდივიდუალური ტიპის გასაუბრების სახით. საქმე გვაქვს პირდაპირ დიალოგთან

ანალიტიკოსსა და მომუშავეს ან მის ხელმძღვანელს შორის. როცა საქმე გვაქვს იდენტურ სამუშაოთა დიდ რაოდენობასთან, შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯგუფური ინტერვიუ, ანუ გასაუბრება ერთი და იმავე სამუშაოს შემსრულებელ მომუშავეთა ჯგუფთან. **3. კითხვარები.** მათ დიდი მნიშვნელობა აქვს. კითხვარების უპირატესობა ისაა, რომ მოიცვას სამუშაო ოპერაციების ერთობლიობა. გასაუბრებაც შეიძლება იყოს სტრუქტურირებული, მაგრამ მისი ჩატარებისას შეიძლება გადახრებიც შეიმჩნეს. კითხვარების ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ იგი სხვადასხვა სამუშაო ადგილზე მომუშავე დიდი რაოდენობის ადამიანებისაგან ინფორმაციის შეგროვების ეკონომიკური მეთოდია. შედგენილი კითხვარი ხარისხიანად ითვლება, თუ მასში კითხვების უმეტესობა შემდეგი ტიპისაა: რა? ვინ? როგორ? როდის.

სამუშაოს აღწერილობა – ესაა კონკრეტული სამუშაოს მონაცემებისა (მოვალეობების, უფლებების, პასუხისმგებლობის) და მისი პარამეტრების ფიქსაცია.

სამუშაოს გარე ფასეულობა – ანუ მისი საბაზრო განაკვეთები.

სამუშაოს მოცულობა – ერთი მუშის მიერ შესრულებული სხვადასხვა ოპერაციების რაოდენობა და მათი განმეორების სიხშირე.

სამუშაოს მოცულობის გადიდება – შრომის ორგანიზაცია შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებით.

სამუშაოს პარამეტრებში – იგულისხმება მისი მასშტაბი, სირთულე და პასუხისმგებლობა. სამუშაოს აღწერილობას ადგენენ მუშაობის ანალიზის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე. სამუშაო მასშტაბი უშუალოდ არის დაკავშირებული შინაარსობრივ მხარესთან. ამ უკანასკნელში იგულისხმება ამოცანების ან ოპერაციების რაოდენობა, რომლებიც უნდა შეასრულოს სამუშაოზე პასუხისმგებელმა მომუშავემ.

სამუშაოს შიდა ფასეულობა – ანუ შრომის შიგა ბაზარზე სამუშაოს შეფარდებითი ფასეულობა. იგი დგინდება

მოცემული ორგანიზაციისათვის სამუშაოს შეფასების გზით.

სამუშაოს შინაარსი – ესაა შრომითი ფუნქციონირებისა და მომუშავის მოქმედების შემადგენლობა და მოცემულობა. სწორედ სამუშაოს შინაარსითაა განპირობებული მომუშავისადმი წაყენებული პროფესიონალურ-საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სამუშაოს შინაარსი – შრომითი ფუნქციონირებისა და მომუშავის მოქმედების შემადგენლობა და მოცულობა. სწორედ სამუშაოს შინაარსითაა განპირობებული მომუშავისადმი წაყენებული პროფესიონალური-საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სამუშაოს შინაარსიანობა – შეფარდებითი ხარისხი იმ გავლენისა, რომელიც მუშას შეუძლია მოახდინოს თვით სამუშაოზე და საწარმოო გარემოზე.

სამუშაოს შინაარსის ანალიზი – შესასრულებელ ამოცანათა განსაზღვრა, აგრეთვე ასეთი სამუშაოს ინდივიდუალურ-სოციალური მახასიათებლების განხილვა მუშაკთა უფრო მიზანშეწონილი და ეფექტიანი დაქირავების უზრუნველყოფისათვის.

სამუშაოს ჯგუფი – ჯგუფი, რომელიც შედგება ერთად მომუშავე პირებისაგან.

სამუშაოების ანალიტიკოსები – ისინი სამუშაოს აღწერილობისათვის აგროვებენ და ამოწმებენ ინფორმაციას სამუშაოს შესახებ.

სამშენებლო (საერთო) ანუ სუბსანარდო ინჟინერინგი (constructing engineering) – დაკავშირებულია მოწყობილობის დაპროექტებასა და მიწოდებასთან აგრეთვე მის მონტაჟთან, ტექნიკურ გამოცდასთან და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში იგი მოიცავს საინჟინრო სამუშაოებს.

სამშენებლო-შემნახველი ბანკები – აფინანსებენ ინდივიდუალური ბინების შეძენას კრედიტისა და მეანაბრეთა საკუთარი დანაზოგების კომბინირების მეშვეობით.

სამხედრო ბიუჯეტი – სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია სამხედრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ამ სიტყვის ფართო გაგებით. სამხედრო ხარჯებში შედის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ომებთან და სამხედრო მოთხოვნილებათა უზრუნველყოფასთან. არაპირდაპირს მიეკუთვნება ომის ვეტერინალთა პენსიები, სამხედრო ვალების ანგარიშსწორება, რეპარაციათა გადახდა.

სამხედრო (თავდაცვითი) მრეწველობა – უპირატესად იარაღისა და ტყვია-წამლის გამოშვებით დასაქმებული დარგები. თავდაცვითი კლასიფიკაცია ეფუძნება წარმოებული პროდუქციის ხასიათს (ავიასარაკეტო, ჯავშანსატანკო, საარტილერიო, სამხედრო ხომალდმშენებლობა, ტყვია-წამლისა და სხვა). მას განეკუთვნება აგრეთვე დარგები, რომლებიც ორმაგი დანიშნულების (სატრანსპორტო საშუალებების, კომპიუტერების, კავშირგაბმულობის საშუალებების) პროდუქციის შექმნაზე არიან დასაქმებული.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი – სამრეწველო საწრმოების, კვლევითი ორგანიზაციების, კავშირგაბმულობის საშუალებების, სატრანსპორტო კომუნიკაციების, მართვის ორგანოების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ იარაღისა და სამხედრო ტექნიკის გამოშვებას. ამ კომპლექსს არ აქვს ზუსტი ორგანიზაციული სტრუქტურა. მისი განმასხვავებელი ნიშანია სამხედრო საჭიროებისათვის წარმოებული პროდუქციის ფუნქციური დანიშნულება.

სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზარი – (MERKOCYR) ინტეგრაციული გაერთიანება არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაისა და ურუგვაის შემადგენლობით

სანარდო კონტრაქტის – საგანი, როგორც წესი, შემკვეთის ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით დამ–ზადებული საქონელია. იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს გარკვეული სახის სამუშაოს სახით, რომელიც

აგრეთვე მოითხოვს შემკვეთის ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებას.

სანარდო ხელფასი – მუშაკს ეძლევა შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ამ შემთხვევაში საწარმოში გეგმავენ ანაზღაურების განაკვეთს პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ერთეულზე, დახარჯული დროის მიუხედავად.

სანაცია – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ტარდება საწარმოს (ფირმის) ინტერესებისათვის მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, გაკოტრების თავიდან აცილების, ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით (მაგალითად, აუდიტი, ახალი აქციების გამოშვება, რეორგანიზაცია, ტექნოლოგიების განახლება, საბანკო კრედიტების გადიდება და ა.შ.).

სანაცია (Sanitation) – ბანკების მიერ (ხშირად სახელმწიფოს მონაწილეობით) გატარებული ზომების სისტემა (სუბსიდიები შეღავათიანი კრედიტები, შეღავათიანი დაბეგვრა და ა. შ.) გაკოტრების თავიდან აცილებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

სანაცია – გაუმჯობესება.

სანედლეულო საქონელში – იგულისხმება მომპოვებელი მრეწველობის, სასოფლო და სამეურნეო, სატყეო მეურნეობის პროდუქცია, რომლის ღირებულება უმნიშვნელოდაა დაკავშირებულ დამუშავების დონეზე.

სანიტარულ-ჰიგიენური ადაბტაციის პროცესში – მომუშავე ითვისებს შრომითი, წარმოებრივი და ტექნოლოგიური დისციპლინის ახალ მოთხოვნებს, აგრეთვე შრომით განაწესს. იგი ეჩვევა, სამუშაო ადგილი მოამზადოს შრომითი პროცესისათვის (ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული წარმოების პირობებში), დაიცვას სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, ტექნიკის უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვის ნორმები და სხვა.

სანქცია (Sanction) [ლათ. sanctio) მკაცრესი დადგენილება] – 1. ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო ღონისძიებები

გამოყენებული საერთაშორისო სამართალში იმ სახელმ-წიფოების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს საერთაშო-რისო ხელშეკრულებები; 2. ნებართვა, თანხმობა, დადას-ტურება, მოწონება.

საოპერაციოს უწოდებენ საბანკო ოპერაციისათვის გამოყოფილ დროს. როგორც წესი, იგი 3,5-4 სთ-ის ტოლია.

საოპერაციო ანგარიშები – ასახავენ აქტივების წრებრუნვას, რომელიც სამეურნეო პროცესებით არის გამოწვეული. საოპერაციო ანგარიშები გამოიყენება დანახარჯებისა და შემოსავლების აღსარიცხავად, თვითღირებულების გან-საზღვრისათვის.

საოპერაციო დანახარჯები – ისეთი ხარჯებია, რომლებიც საწარმოთა ძირითადი ანუ მაპროფილებელი საქმიანობის განხორციელებაზე იხარჯება.

საოპერაციო მოგება – ეს არის სხვაობა მთლიან მოგებასა და ხარჯებს შორის.

საოპერაციო რისკი – გამოწვეულია შიდასაბანკო კონტროლის პროცესისა და ბანკის მართვაში დარღვევების გამო, აგრეთვე შესაძლო ჩავარდნებით ოპერაციულ სისტემაში, განსაკუთრებით იმ სფეროში, სადაც ხდება გადახდები და მონაცემთა ელექტრონული დამუშავება.

საოპერაციო საქმიანობა – საკრედიტო კავშირის ძირითიდი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ინვესტიციებთან.

საოპერაციო საქმიანობა – ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა, რომელიც ითვალისწინებს: სახსრების ანაბრებში და დეპოზიტებში მოზიდვას; საანგარიშსწო-რებო-საკასო მომსახურებას; ბანკში ბუღალტრულ აღრიც-ხვას; ინფორმაციის დამუშავებას და ინფორმაციული ტექ-ნოლოგიების გამოყენებას; ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციების რეალიზაციის საქმიანობას.

საოპერაციო საქმიანობა – არის საწარმოს მთავარი საქმიანობა, რომელიც ბიზნესისათვის არის დამახასიათებელი,

ძირითადად მასზეა კონცენტრირებული დანახარჯები და მოაქვს მთავარი შემოსავლები.

საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში – აისახება საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტან საქმიანობასთან დაკავშირებით შემოსული და გასული ფულადი სახსრები.

საოპერაციო შემოსავლები – საპროცენტო შემოსავალი და არასაპროცენტო შემოსავალი სტაბილური ხასიათის მქონე საბანკო მომსახურებისთვის მიღებული კომისიების სახით; ბაზარზე შესრულებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებია. სასურველი არაა, რომ სახსრების შემოსავლის ეს მეორე ჯგუფი განსაზღვრავდეს ბანკის საერთო შემოსავლის სიდიდის ზრდის ტემპს.

საოპერაციო შემოსავლები – (შემოსავლები საოპერაციო საქმიანობიდან) მოიცავენ: საპროცენტო შემოსავლებს – ბანკის მიერ მიღებული პროცენტები: 1. გაცემულ კრედიტებსა და სესხებზე (ბანკს ამავდროულად შეუძლია მიიღოს საკომისიოც); 2. დეპოზიტებზე, რომლებიც მან განათავსა სხვა ბანკებში, მ.შ. ცენტრალურში (სხვა კომერციული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშებზე ბანკის სახსრებზე პროცენტის ჩათვლით); 3. სალიზინგო ოპერაციებზე (ბანკი ამავდროულად იღებს სალიზინგო გადასახადებს და საკომისიოებს).

საოპერაციო ხარჯები – ის ხარჯებია, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საბანკო ოპერაციებს.

საოპერაციო ხარჯებს – მიეკუთვნება პროდუქციის დამზადებაზე ან მომსახურეობის გაწეული და შრომითი დანახარჯები კომერციული (მარკეტინგის) ხარჯები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.

საოპერაციო ხარჯებს ეკუთვნის – პირველ რიგში, პროცენტების გადახდა ბანკის მიერ სადეპოზიტო და საკრედიტო ოპერაციების საფუძველზე მოზიდულ რესურსებზე და ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე. მეორე კომისია,

რომელსაც ბანკი იხდის ფასიან ქაღალდებზე და უცხოურ ვალუტაზე წარმოებულ ოპერაციებზე, საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაციებზე და ინკასაციისათვის. მესამე სხვა საოპერაციო ხარჯები (დისკონტური ხარჯები, დისკონტური ხარჯები თამასუქებზე, ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტით მოცემული ანგარიშების გადაფასებით მიღებული უარყოფითი შედეგი, ფასიანი ქაღალდების გაყიდვით და ძვირფას ლითონებზე შესრულებული ოპერაციებით გამოწვეული ხარჯი (ზარალი). ამგვარად, საოპერაციო ხარჯები ის ხარჯებია, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საბანკო ოპერაციებს.

საორგანიზაციო – სტრუქტურებისა და პერსონალის უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა.

საოფციონო გადასახდელი გარკვეული დროით ტექნოლოგიის რეალიზაციის გადავადების კომპენსაციაა. ეს დრო პოტენციურ მყიდველს სჭირდება დამატებითი ტექნიკური და კომერციული ინფორმაციის მისაღებად.

საოჯახო მეურნეობების ფინანსები – გამოიხატება ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშობიან ცალკეული ოჯახების (მოქალაქეების) შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირების პროცესში და რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათი კვლავწარმოების პროცესს.

საოჯახო ფერმები – რომელთა მესაკუთრეები ერთი ოჯახის წევრები არიან და ერთად ეწევიან საქმიანობას.

საპილოტო არე – ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიბრტყეებით შემოფარგლული საგანგებოდ გამოყოფილი საჰარეო სივრცის ნაწილი, რომელიც გამოიყენება საჰაერო ხომალდების გამოსაცდელად ეკიპაჟების საფრენოსნო წვრთნისათვის.

საპნის ბუშტი – კომპანია, რომელიც არავითარ საქმიანობას არ ეწევა და შექმნილია იმისათვის, რომ შეაცდინოს ინვენსტორი.

საპორტფელო ინვესტიციები – დაკავშირებულია „პორტფელის" ფორმირებასთან და ითვალისწინებენ ფასიანი ქაღალდე-

ბისა და სხვა აქტივების შეძენას. პორტფელი ეწოდება მეანაბრის კონკრეტული საინვესტიციო მიზნის მისაღწევად განკუთვნილ და ერთად თავმოყრილ სხვადასხვა საინვესტიციო ფასეულობათა ერთობლიობას.

საპრივატიზაციო ჩეკი (privatizacion check, voucher) – 1. მიზნობრივი დანიშნულების ნომინალური ღირებულების მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, რომელიც გამოიყენება როგორც საგადამხდელო საშუალება საპრივატიზაციო ობიექტების შესაძენად.

საპროექტო კონვერსიული სისტემა – კონვერსიული პროცესის ტიპი, რომელშიც ყოველი გამოშვებული ნაწარმი ან მომსახურება უნიკალურია თავისი არსით, გადასაჭრელი ამოცანებით, გამოყენების სფეროებით.

საპროექტო ორგანიზაციული სტრუქტურა – დროებითი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის ფორმირება ხდება კონკრეტული, მკვეთრად გამოხატული მიზნის მიღწევისათვის.

საპროდუქტო-საბაზრო სტრატეგია – ითვალისწინებს ფირმის მიერ დასამუშავებელი კონკრეტული პროდუქტისა და ტექნოლოგიის, გასაღების სფეროებისა და მეთოდების, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების ხერხების განსაზღვრას.

საპროტესტო მოსაკრებლები – ფულადი მოსაკრებლები, ტვირთი და გემთმფლობელებისაგან, დაწესებული საპორტო და საქალაქო ხელისუფლების მიერ, საბაჟო და სხვა ორგანოების მიერ პორტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის, მასთან მისასვლელი გზების, შუქურების მშენებლობის ხარჯების დასაფარავად.

საპროცენტო – მოზიდულ და განთავისუფლებულ ფულად რესურსებზე დაწესებული საბაზო პროცენტების რყევის რისკი (ბანკისათვის არასასურველი მიმართულებით).

საპროცენტო განაკვეთს – უწოდებენ გასესხებულ რესურსებზე შეპირებული შემოსავლიანობის (ან შემოსავლის) განაკვეთს. სესხის განსხვავებულ ტიპს თავისი საპროცენტო

განაკვეთი შეესაბამება. მაგალითად, ადამიანი, რომელმაც ფული სახლის საყიდლად ისესხა, იხდის ე.წ. გირავნობის საპროცენტო განაკვეთს, ხოლო სარგებელს, რომლებსაც ბანკები ფირმისგან იღებენ უწოდებენ კომერციული კრედიტის საპროცენტო განაკვეთს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – ისეთი რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – წარმოადგენს საბანკო ოპერაციების ისეთ ასპექტს, რომლის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება. კონკურენციის გამკაცრება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საპროცენტო განაკვეთების რიშიდა კონტროლის სამსახურის პროფილის შეცვლისადმი, ბანკის მოქნილობას, რომელიც ჰეჯირებისა ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებიდან მოგების მიღებისათვის აუცილებელი ახალი ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით უფრო სრულყოფილი ხდება. საპროცენტო განაკვეთის რისკი განისაზღვრება როგორც ბანკის მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისადმი. საპროცენტო განაკვეთის აწევის ან დაწევის დროს, დაწესებულების საპროცენტო განაკვეთებით გამოწვეული რისკი შეიძლება განიხილოს როგორც პოტენციური ცვლილებები მის ოფიციალურად გამოცხადებულ წმინდა მოგებაში ან მის საბაზრო ღირებულებაში.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი – არის რისკი იმისა, რომ ბანკის მოგებაზე საპროცენტო განაკვეთების საერთო დონეში გაუთვალისწინებელი ცვლილებები მოგებაზე უარყოფით ზემოქმედებას მოახდენდა.

საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსი – არის ფინანსური ფიუჩერსი, რომელიც ვაჭრობის ობიექტია სპეციალურ ფიუჩერსულ ბაზარზე, ფიუჩერსულ ბირჟაზე.

საპროცენტო განაკვეთებისადმი ბანკის წმინდა მოგების მგრძნობიარობა – წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის

რისკის საბუღალტრო ასპექტს, რაც გულისხმობს იმის დადგენას თუ როგორ შეიცვლება ორგანიზაციის წმინდა მოგება, საპროცენტო განაკვეთის შეცვლის შემთხვევაში, ანუ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას შეიცვლება პროცენტების მომტანი აქტივებიდან მიღებული შემოსავლები და პროცენტული ხასიათის დეპოზიტებზე გაწეული ხარჯები, რის შედეგადაც შეიცვლება ბანკის წმინდა საპროცენტო მოგება.

საპროცენტო განაკვეთებისადმი ბანკის წმინდაღირებულების მგრძნობიარობა – წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის ეკონომიკური ასპექტის შეფასებას. ბანკის წმინდა ღირებულება, ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ყველა იმ მოსალოდნელი ნაღდი თანხების ნაკადების მიმდინარე წმინდა ღირებულებას, რომლებიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

საპროცენტო პოლიტიკა – საპროცენტო განაკვეთები ცენტრალური ბანკის ოპერაციებზე. ცენტრალური ბანკი არეგულირებს საპროცენტო განაკვეთების დონეს რეფინანსირების განაკვეთის ფიქსაციის და საკრედიტო დაწესებულებების განაკვეთებზე კონტროლის გზით.

საპროცენტო რისკი – განპირობებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებით საკრედიტო და საფინანსო ბაზრებზე.

საპროცენტო რისკი – ბანკების რისკი მათ მარჟასაც ეხება (მარჟა არის სხვაობა ბანკის მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთსა და ანაბრებზე გაცემულ პროცენტს შორის). საპროცენტო რისკი იმის საშიშროებაა, რომ შემცირდება მოგების მომტანი აქტივების შემოსავლიანობა, ან მნიშვნელოვნად მოიმატებს პროცენტების გაცემაზე გაწეული ხარჯები და თანაც შემცირდება ბანკის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა, ე.ი. წმინდა მოგება.

საპროცენტო რისკი – იმის რისკი, რომ ბანკის მიერ მოზიდული სახსრების, ე.ი. დეპოზიტების და სესხად აღებული ფულის – კრედიტის გაცემასთან დაკავშირებულმა საშუალო ღირებულებამ შესაძლოა კრედიტის მოქმედების ვადის მანძილზე გაუსწროს კრედიტებზე პროცენტის საშუალო განაკვეთს.

საპროცენტო რისკის მართვა – მოიცავს როგორც ბანკის აქტივების (კრედიტებისა და ინვესტიციების), ისე ვალდებულებების (ნასესხები სახსრების) მართვას. ამ მართვის თავისებურება ისაა, რომ მას გააჩნია საზღვრები.

საპროცენტო სვოპი – ორ მხარეს შორის საკონტრაქტო შეთანხმება – დასავლეთის ბანკებს შორისაა გავრცელებული.

საპროცენტო სვოპი – სასესხო სახსრების საპროცენტო განაკვეთების გაცვლაა. სვოპის ამ ორი სახეობის შერწყმა იძლევა სრულიად ახალ საფინანსო ოპერაციას – სავალუტო საპროცენტო სვოპს.

საპროცენტო ხარჯები – მოიცავს ბანკის მიერ აღებული კრედიტებისათვის გადახდილ პროცენტებს, მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების იმ ანგარიშებზე სახსრების ნაშთებს, რომლებიც ფიზიკური და იურიდიული პირებისთვისაა გახსნილი (ბანკების ჩათვლით), საპროცენტო გადასახდელებს გამოშვებულ თამასუქებზე, ობლიგაციებზე, დეპოზიტებზე და შემნახველ სერთიფიკატებზე. ბანკები ხარჯებს სწევენ ფასიან ქაღალდებზე და უცხოურ ვალუტაზე ოპერაციების ჩატარებისათვის, სალარო და საანგარიშსწორებო მომსახურებისათვის, ინკასაციისათვის, გარანტიების მიღებისათვის და ა. შ. კომისიის გადახდასთან დაკავშირებით.

საჟურნალო ჩანაწერებად – იწოდება ჩანაწერები, რომელიც ერთ, ცალკე აღებულ ოპერაციას შეესაბამება.

სარგებელმიმღები (ბენეფიციარი) – ის ვინც იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.

სარგებლიანობის თეორია (theory of utility) – თეორიული მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელიც

განავითარეს ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებმა XIX–XX საუკუნეებში. ეყრდნობა სარგებლიანობის ბაზისურ, სუბიექტურ გაგებას, რომელი აღიქმება როგორც სიამოვნება, რომელსაც ადამიანი იღებს დოვლათის მოხმარების შედეგად. სარგებლიანობის თეორიის ძირითადი პრინციპი ეყრდნობა კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონს, რომლის მიხედვით სარგებლიანობის მატება კლებულობს ერთი ერთეული დამატებითი დოვლათის (სიკეთის) მიღების შედეგად.

სარგებლიანობის თეორია – სარგებლიანობის თეორიად წოდებულ ერთ ინტეგრალურ მაჩვენებელზე ობიექტის მრავალ თვისების (მაჩვენებლის) დაყვანის მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებენ შესასწავლი მოვლენების, ეკონომიკის ბუნების პროცესების, პოლიტიკისა და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროების ფასეულობის რაოდენობრივ შეფასებათა მიღებისთვის. მისი აგების ამოსავალი მონაცემებია ადამიანების მიერ რაიმესათვის უპირატესობის მინიჭება, ე.ი. შესასწავლი ობიექტების ფასეულობის შესახებ სუბიექტური აზრები, რომელსაც ისინი გამოხატავენ ან სხვა ობიექტების მიმართ, ან ერთი და იმავე ობიექტების მიმართ, ოღონდ განსხვავებულ სიტუაციებში.

სარეზერვო ვალუტა – წარმოადგენს მსოფლიოში ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების სავალუტო პარიტეტისა და სავალუტო კურსის განსაზღვრის საფუძვლად და ასრულებს საერთაშორისო მასშტაბით საგადასახდელო და სარეზერვო საშუალების ფუნქციას.

სარეზერვო ვალუტა (reserve currency) – უცხოური ვალუტა, რომელსაც სახელმწიფო ინახავს როგორც თავისი სავალუტო რეზერვების ნაწილს საერთაშორისო ვაჭრობაში გამოსაყენებლად. სარეზერვო ვალუტა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ა) უნდა ჰქონდეს სტაბილური ღირებულება; ბ) უნდა იყოს იმ ქვეყნის ვალუტა, რომელიც

მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობაში; გ) უნდა იყოს თავისუფლად კონვერტირებადი. სარეზერვო ვალუტის როლს უმეტესად ასრულებს აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი და შვეიცარული ფრანკი.

სარეზერვო ვალუტა – 1. ვიწრო გაგებით ქვეყნის ვალუტა, რომელშიც სხვა სახელმწიფოების ცენტრალური ბანკები სარეზერვო საშუალებებს აგროვებენ ან ინახავენ საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის; 2. ფართო გაგებით – წამყვანი სახელმწიფოების ეროვნული საკრედიტო ფული, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორების მომსახურებისათვის (საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, კაპიტალის მოძრაობა, ფასების დადგენა).

სარეზერვო კაპიტალი – სააქციო საზოგადოებისა და ზოგიერთი სხვა საწარმოების საკუთარი საშუალებების ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე; გამოიყენება ოპტიმალური საქმიანობის გამო დანაკარგების დასაფარავად, ძირითადი კაპიტალის შესავსებად და დივიდენდების გასაცემად, როდესაც მიმდინარე მოგება ამისათვის არასაკმარისი აღმოჩნდება.

სარეზერვო კაპიტალი – არის საწარმოს ფულადი ფონდი, რომელიც მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე წარმოიშობა. მისი ძირითადი დანიშნულებაა ზარალის დაფარვა, ხოლო აქციონერულ საზოგადოებებში ასევე საზოგადოების ობლიგაციების დაფარვა და მისი აქციების გამოსყიდვა.

სარეზერვო მარაგების – მიზანია სხვადასხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში საწარმოო ან სავაჭრო პროცესის მასალებითა და საქონლით უწყვეტი უზრუნველყოფა. საწარმოო ან სავაჭრო პროცესების გეგმაზომიერი შესრულების შემთხვევაში სადაზღვევო მარაგები, მიმდინარე მარაგებისაგან განსხვავებით არ იცვლება.

სარეზერვო პასივები – ვალდებულებათა სახით განსაზღვრული პასივები, რომელთა მიხედვითაც დაცული უნდა იყოს რეზერვები ეროვნული ბანკის მარეგლამენტირებელი დებულებით.

სარეზერვო ფონდები – ცენტრალური ბანკის საცავებში მოთავსებული იმ ბაკნოტებისა და მონეტების მარაგებია, რომლებიც მიმოქცევაში არაა გაშვებული და ფულის რეგულირების საჭიროებებს ემსახურება. მათ ხარჯზე ცენტრალური ბანკი ოპერატიულად განაახლებს მიმოქცევაში მყოფი ნაღდი ფულის მასას, ინარჩუნებს კუპიურების სათანადო შემადგენლობას და ამცირებს ქვეყნის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის გადატანისა და შენახვის ხარჯებს.

სარეკლამო მიმართვის დახასიათება – ინფორმაციის საშუალებების არჩევაზე გავლენას ახდენენ აგრეთვე საპასუხო რეაქციაზე აუცილებელი მიმართვის დრო და შინაარსი. რეკლამა, რომელშიც ცხადდება უახლოეს დღეებში გაყიდვების შესახებ, უნდა გადაიცეს რადიოთი, ტელევიზიით ან განთავსდეს გაზეთებში. მიმართვა რომელიც შეიცავს ტექნიკური მონაცემების მნიშვნელოვან რაოდენობას, მიზანშეწონილია განთავსდეს სპეციალიზებულ ჟურნალებში ან საფოსტო გზავნილებში.

სარეკლამო სააგენტო (advertising agency) – შუამავალი ორგანიზაცია, რომელიც თავის კლიენტებს უწევს მომსახურებას რეკლამის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და გამოყენებისათვის, აგრეთვე პრესით, რადიოთი და ტელევიზიით მისი გავრცელებისათვის. სარეკლამო სააგენტოები არსებობს მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების მფლობელთა და კლიენტთა ჰონორარების საკომისი გასამჯელოს ხარჯზე.

სარეკომენდაციო უფლებამოსილება – ადამიანის უფლება, ხელმძღვანელებს ან უშუალო შემსრულებლებს მისცენ რჩევები, როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი, თუმცა მათი შესრულება სავალდებულო არაა. ეს უფლებები აქვთ სხვადასხვა სახის სპეციალისტებს, რეფერენტებს, კონსულტატებს და ა.შ.

სარეკომენდაციო უფლებამოსილებათა მფლობელებს –შეუძლიათ ხელმძღვანელებს ან უშუალო შემსრულებლებს მისცენ რჩევები, როგორ გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი, თუმცა შესრულება სავალდებულო არაა. ეს უფლებები

აქვთ სხვადასხვა სახის სპეციალისტებს, რეფერენტებს, კონსულტანტებს და ა.შ.

სარისკო დაფინანსების კომპანიები – საინვესტიციო ფონდების ერთგვარი სახესხვაობაა. სარისკო დაფინანსების კომპანიები (ფონდები) – წილობრივი მონაწილეობის საზოგადოებები და ვენჩერული ფირმები.

სარისკო კაპიტალი – ტერმინი, რომელიც მიღებულია კაპიტალდაბანდების რისკის გამოსახატავად. სარისკო დაფინანსებისათვის საშუალებების აკუმულაცია ხდება სპეციალიზებული ინსტიტუტების მიერ და ინვესტირდება ერთმანეთს შორის დაუკავშირებელი პროექტები, რომლებიც რამდენადმე სწრაფად უნდა იქნენ გამოსყიდული.

სარკინიგზო ზედნადები – ან საერთაშორისო მიმოსვლის ზედნადები და მისი ასლი – დუბლიკატი სატრანსპორტო დოკუმენტია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვებში. ზედნადები ტვირთის გაგზავნასა და რკინიგზის ადმინისტრაციას შორის დადებული გადაზიდვის ხელშეკრულების დოკუმენტური გაფორმებაა.

სარკინიგზო გზავნილები – კომბინირებული გზავნილება (ნაკრები) ტვირთის წვრილი პარტიები, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა ტვირთმფლობელებს, შეკრებილია ერთ სავაგონო პარტიაში და იგზავნება ერთი საგადასა–ხადო დოკუმენტით.

სარკინიგზო ზედდებული – დოკუმენტი, რომლითაც ფორმდება ხელშეკრულება ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვების შესახებ. გამოიყენება შიგა ვაჭრობის ტვირთების გადასაზიდად და საგარეო ვაჭრობის ტვირთებისათვის საზღვაო პორტებამდე და მის შემდეგ.

სარკინიგზო ტრანსპორტი – მაღალი გამტარობის შესაძლებლობები; არ არის დამოკიდებული დღე-ღამის მონაკვეთზე, წელიწადის დროზე და კლიმატურ პირობებზე. გადაზიდვების მაღალი რეგულირება; დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების შესრულების ეფექტური ორგანიზა-

ციების საშუალება; შედარებით დაბალი ტარიფები; სატრანზიტო გადაზიდვებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებები (შეღავათები); დიდ მანძილზე ტვირთის მიწოდების მაღალი სიჩქარე.

სასაზღვრო სარკინიგზო შეთანხმებები – შეთანხმებები, რომლებიც დადებულია მოსაზღვრე ქვეყნების რკინიგზებს შორის და ეხება მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების წესსა და ხასიათს. ე.ი. ტვირთებისა და მოძრავი შემადგენლობის გადაცემას, სადგურების საჭირო აღჭურვილობას, ურთიერთმომსახურების ანგარიშებს, ერთიან დოკუმენტაციას, მათ შორის კომერციულ-სამართლებრივს და ა.შ.

სასარგებლო – აღნიშნავს სარგებლის მოტანას ან განსაზღვრული მიზნისთვის გამოსადეგს.

სასარგებლო წიაღისეულთა დაზვერილი მარაგი – საერთო (საბოლოო) ამოსაღები რესურსები, რომლებიც გეოლოგიური ძიების მეშვეობით ტერიტორიულად დაკონკრეტებული და დაფიქსირებულია.

სასარგებლო წიაღისეულთა პროგნოზული (გეოლოგიური) მარაგი – საორიენტაციო მარაგი, რომელიც განსაზღვრულია თეორიული გაანგარიშებებისა და შერჩევითი მეთოდოლოგიური გამოკვლევების ბაზაზე.

სასარგებლო წიაღისეულთა სარწმუნო მარაგები – ტექნიკის განვითარების თანამედროვე ამოღებული მარაგები, რომლებიც განსაზღვრულია ტერიტორიულად და შეფასებულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებით.

სასაქონლო აკრედიტივი – ბანკის მიერ იმ სასაქონლო აკრედიტივის გახსნის დამადასტურებელი დოკუმენტია, რომლითაც ბენეფიციარმა უნდა მიიღოს გადასახდელი, დადასტურება ან ტრაქტების ანაზღაურება გარკვეული პირობების შესაბამისად და დათქმული დოკუმენტების წარდგენის სანაცვლოდ, აგრეთვე ტრაქტების სანაცვლოდ, თუ ეს დათქმულია დოკუმენტში. აკრედიტივი შეიძლება

იყოს სხვა ბანკის მიერ დადასტურებული ან დაუდასტურებელი.

სასაქონლო აკრედიტივის საგარანტიო წერილი – დოკუმენტია, რომელშიც სასაქონლო აკრედიტივის ბენეფიციარი კისრულობს პასუხისმგებლობას აკრედიტივის გამოუყენებელ პირობებზე და იღებს პროცენტებთან და დანარიცხებთან ერთად აკრედიტივით მიღებული ფულის კომპენსაციის ვალდებულებებს.

სასაქონლო არბიტრაჟი – 1. ოპერაცია ორ ან რამდენიმე ბაზარზე ერთდროულ ყიდვასა და გაყიდვაზე ერთი და იმავე საქონლის ფასების სხვაობისგან მოგების მიღების მიზნით. ფასებში განსხვავება შეიძლება წარმოიშვას ცალკეულ ბაზრებზე მოთხოვნის და მიწოდების მერყეობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ჩართვით, სავალუტო ფაქტორების გავლენით, პოლიტიკური სიტუაციის შეცვლით და ა.შ. 2. მიწოდების განსხვავებულ ვადებში ერთი და იგივე ან ორი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული, საქონლის ფიუჩერული კონტრაქტების ერთდროული ყიდვა და გაყიდვა; 3. ურთიერთდაკავშირებული საქონლის ფიუჩერული კონტრაქტების ერთდროული ყიდვა და გაყიდვა გადასახდელი გადასახადების შემცირების მიზნით (საგადასახადო სპრედი); 4. ერთი ტიპის **ოფციონების** (მაგრამ განსხვავებული საბაზისო ფასების ან ოფციონის ვადის გასვლის განსხვავებული პერიოდის) ერთდროული ყიდვა და გაყიდვა.

სასაქონლო ასორტიმენტი – საქონელთა ჯგუფი, რომელიც მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული ან იმით, რომ მათი ფუნქციონირება მსგავსია, ან იმით, რომ მათ ყიდიან ერთი და იგივე კლიენტების ჯგუფზე, ან ერთი და იგივე სავაჭრო დაწესებულებიდან, ან ფასების და იგივე დიაპაზონის ჩარჩოებში.

სასაქონლო კოდი – სხვადასხვა ციფრებისა და ზოგიერთ შემთხვევში ციფრებისა და ასოების შეხამებაა. მისი მანქანით

წაკითხვის მიზნით იყენებენ ორ ხერხს: კოდი იბეჭდება ციფრებით და ასოებით და მას აღიქვამენ წამკითხველი ავტომატები: კოდი გამოისახება სიმბოლოთი, რომელსაც ადვილად აღიქვამს ელექტრონული აპარატურა.

სასაქონლო მარაგი – საქონლის მასა, რომელიც იმყოფება მიმოქცევის სფეროში წარმოების სფეროდან მომხმარებელთან გადანაცვლების პროცესში. სასაქონლო მარაგების არსებობა განპირობებულია საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობით.

სასაქონლო მარაგი – არის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს მზა პროდუქციის მარაგი, აგრეთვე მარაგი მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე საქონლის მიწოდების პერიოდში (მარაგები საბითუმო, წვრილი საბითუმო და საცალო ვაჭრობის საწარმოებში, პროდუქციის მწარმოებელ ორგანიზაციებში და ტრანსპორტირების პერიოდში.

სასაქონლო მარაგები – დამახასიათებელია სავაჭრო საწარმოებისათვის. არის საქონელი, რომელიც შემდგომში სარეალიზაციოდაა განკუთვნილი.

სასაქონლო მარაგები – საქონლის მასა რომელიც იმყოფება მიმოქცევის სფეროში წარმოების სფეროდან მომხმარებელთან გადანაცვლების პროცესში. სასაქონლო მარაგების არსებობა განპირობებულია საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობით.

სასაქონლო მარკირება – ჩვეულებრივ ტვირთის მიმღებისათვის საჭირო აღნიშვნებია. მასში შედის ტვირთის მიმღებისა და გამგზავნის დასახელებები ან პირობითი ნიშნები, ბრუტო და ნეტო წონები, კონტრაქტისა და განაწესის ნომრები, მოცემული ადგილის ნომერი.

სასაქონლო-მატერიალური – მარაგი არის საწარმოს მიერ გამოსაყენებელი რესურსების და საგნების მარაგი, რომელიც კომპანიას სჭირდება გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგი (inventories) – წარმოებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუსაღებელი პროდუქცია, რომელიც

მწარმოებლებისა და საბითუმო ვაჭრობის საწყობებში ინახება.

სასაქონლო-მატერიალურ მარაგში – შეიძლება შევიდეს მიმწოდებლებისაგან შესყიდული კომპონენტები, ნედლეული, საფუთავი მასალები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები (ფასეულობები) – 1. ეს ის ფასეულობებია, რომლებიც აუცილებელია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ორ ჯგუფად იყოფა: საწარმოო მარაგები და სასაქონლო მარაგები. 2. მათ მიეკუთვნება: საქონელი, მასალები, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების – ამსახველი ანგარიშებია: საქონლის ანგარიში, მასალების ანგარიში, დაუმთავრებელი წარმოების ანგარიში, მზა პროდუქციის ანგარიში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (Inventories) – საწარმოს ერთ-ერთ მეტადმნიშვნელოვან აქტივს და მისი ამონაგების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ქვეშ საწარმოს ისეთი სახის აქტივები გაიგება, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში იქნება გაყიდული, ან საწარმოს პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის მიზნით იქნება გამოყენებული.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგ-ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა მარაგები – მატერიალური რესურსების მარაგები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას; წარმოიქმნებიან წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში. მარაგებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობა დროებით შეჩერებულია.

სასაქონლო ნიშანი (trademark) – დადგენილი წესით რეგისტრირებული, ორიგინალურად გაფორმებული გრაფიკული, ასოებრივი ან სხვაგვარი ნიშანი. გამოიყენება სხვადასხვა საწარმოთა მიერ წარმოებული ერთგვაროვანი საქონლის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სავაჭრო ნიშნის ორი სახე: 1. სავაჭრო მარკა (trade mark) – ნიშანი – სიმბოლო, სიტყვა ან ამ უკანასკნელთა შეერთება, რომელიც მიუთითებს საქონლის მწარმოებელზე; 2. სავაჭრო სახელწოდება (trade name) – საქონლის მწარმოებლის სახელწოდება, რომელიც ეკუთვნის არა გამოშვებულ პროდუქციას, არამედ თვით ფირმას. სასაქონლო ნიშნები დაცულია კანონით.

სასაქონლო პოლიტიკა – სასაქონლო პოლიტიკა (საბანკო პროდუქტის დაგეგმვა) მდგომარეობს გასაწევი მომსახურების ხასიათისა და ასორტიმენტის (ასორტიმენტული პოლიტიკა), მისი ხარისხისა (ხარისხის პოლიტიკა) და მიწოდების მოცულობის (მოცულობის პოლიტიკა) განსაზღვრასა და შეცვლაში.

სასაქონლო პოლიტიკა – ითვალისწინებს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ოპტიმალური ნაკრების განსაზღვრას მოგების ზრდის დინამიკის მიმართ, რისკის ელემენტების გათვალისწინებით. სასაქონლო პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია საქონლის კონკურენტუნარიანობაზე, აგრეთვე ეკონომიკურად ეფექტიანი სასაქონლო ასორტიმენტის შერჩევაზე.

სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებული – დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია პროდუქციის მოძრაობის აღრიცხვისა და გადაზიდვის ანგარიშსწორებისათვის. სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებული აგრეთვე მოიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვების აღრიცხვიანობისათვის: გადაზიდვის სახე (ცენტრალიზებული, კონტეინერული, პაკეტური და სხვა), ტვირთის სახე და მისი წონა, მოცდენის ხანგრძლივობა დატვირთვა-განტვირთვის ქვეშ, გადაზიდვის მანძილი.

სასწრაფო დაფრახტვა – დაფრახტვა, რომლის თანახმადაც გემი მზად უნდა იყოს დატვირთვისათვის მაშინვე ანდა საფრახტო გარიგების გაფორმების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში.

სასაწყობო ლოგისტიკა – საწყობებში ტვირთების განთავსების, მათი შენახვისა და კომპლექტაციის, სასაწყობო მეურნეობების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციების ერთობლიობა.

სასაწყობო მოწყობა – დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს შენახვისა და შენახვაზე პროდუქციის მიღების ხელშეკრულების დადებას. მოწმობის მფლობელი იღებს პროდუქციის განკარგვის უფლებას იმ დროს, როდესაც პროდუქცია იმყოფება შენახვაზე.

სასაწყობო ხელწერილი – (ვარიანტი) პროდუქციაზე გამოიყენება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი სასაქონლო ბირჟებზე ოპერაციების განხორციელების დროს, როდესაც საბირჟო საქონელი თავსდება სპეციალურ შემნახველში, ხოლო ბაზრობებზე გამოდის მითითებული სასაწყობო ხელწერილი. სასაწყობო ხელწერილი საშუალებას იძლევა მივიღოთ კრედიტი საწყობში მოთავსებული საქონლის წინაპირობის ქვეშ.

სასესხო ბიზნესი – ორ ელემენტს მოიცავს: კლიენტებისთვის (იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის) სესხების მიცემას და სხვა კომერციული ბანკებისთვის დროებით სარგებლობაში თავისუფალი სახსრების გადაცემას პროცენტით. სასესხო ბიზნესის მეორე ნაწილს შესაძლოა ქონდეს ბანკთაშორისი კრედიტის ან სხვა ბანკში ვადიანი დეპოზიტის ფორმა.

სასესხო ვალდებულება – ფასიანი ქაღალდი ან სხვა რაიმე სავალო ინსტრუმენტი ან დოკუმენტი, რომელიც ფულადი სახსრების პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებ-გაცემის უფლებას ან ვალდებულებას ადასტურებს.

სასესხო კაპიტალი – ფულადი კაპიტალი გაცემული სესხად პროცენტის სახის საფასურით დაბრუნების პირობით.

სასესხო კაპიტალების ბაზარი – ფინანსური ბაზრის ნაწილი, სადაც ფორმირდება მოთხოვნა და მიწოდება საშუალო და გრძელვადიან სასესხო კაპიტალზე.

სასესხო კაპიტალის ბაზარი (credit market) – საკრედიტო ურთიერთობების სპეციფიკური სფერო, სადაც მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ყალიბდება გარიგება სესხად გასაცემ ფულად კაპიტალზე.

სასესხო კაპიტალის ბაზარი – ბანკები ერთი მხრივ, თავიანთი მეანაბრეებისგან ყიდულობენ ფულის რესურსებზე არსებულ დროებით უფლებებს, ხოლო მეორე მხრივ, გამყიდველებად გვევლინებიან სესხების გაცემის დროს.

სასესხო პროცენტი – დროებით სარგებლობისთვის ნასესხებში ღირებულების ერთგვარ ფასად გვევლინება.

სასესხო პროცენტი – კრედიტორის მიერ სესხის ამოღებისაგან მიღებული საფასური გასესხებული ფულის ან მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისათვის სესხის სიდიდის, ხასიათისა და ვალის მიხედვით.

სასესხო პროცენტი დროებით სარგებლობისთვის ნასესხებში ღირებულების ერთგვარ ფასად გვევლინება – სასესხო პროცენტის კლასიფიკაცია ეყრდნობა კრედიტის ფორმებს (კომერციული კრედიტი, საბანკო, სამომხმარებლო და ა.შ.), საკრედიტო დაწესებულებების სახეობებს (ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო პროცენტი, საბანკო, სალომბარდო). სესხების ვადებს (მოკლევადიანი სესხების ანუ ფულის ბაზრის განაკვეთების მიხედვით), სესხების სახეობებს (პროცენტი საბრუნავ სახსრებში გამოყენებული სესხებისათვის, ოვერდრაფტისთვის, თამასუქების აღრიცხვისთვის, მიზნობრივი სესხებისთვის და ა.შ.), ოპერაციათა სახეობებს (პროცენტი სესხებისთვის, ბანკთაშორისი კრედიტებისთვის, დეპოზიტური), დარიცხვის წესის მიხედვით (უბრალო და რთული პროცენტები, ჩვეულებრივი და ზუსტი და ა.შ.).

სასინჯი კოდი – გამოიყენება ბანკში გადარიცხვის დავალების იდენტურობის დასადგენად. იგი არის რიცხვი, რომელიც

გამოითვლება კოდების სპეციალურ წიგნში მოყვანილი კოდების საშუალებით. მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია ისეთ ცვლილებებზე, როგორიცაა თარიღი, დრო, მიმღები ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და გადასარიცხი თანხის მოცულობა. ეს რიცხვები შეჰყავთ სპეციალურ ფორმულაში და მის მიხედვით გამოითვლიან სასინჯ კოდს. კლიენტი, ბანკი ან კორპორაცია აწვდის გადამრიცხავ ბანკს დავალებას, რომელსაც აქვს სასინჯი კოდი. ბანკში ახდენენ აგრეთვე ამ კოდის გამოანგარიშებას და უდარებენ ერთმანეთს ორ ციფრს, თუ ორივე რიცხვი ემთხვევა ერთმანეთს, დავალებები მიიჩნევა იდენტურად და სრულდება. სასინჯი კოდების წიგნი უნდა ინახებოდეს სათანადო პირობებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი არაკეთილსინდისიერი გამოყენების შესაძლებლობა.

სასოფლო დასახლება (rural settlement) – დასახელებული პუნქტი, რომელიც არ შეესაბამება მოცემულ ქვეყანაში დადგენილ საქალაქო დასახელების კრიტერიუმებს. სასოფლო დასახლების მაცხოვრებლები ძირითადად დასაქმებულია სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, მისდევენ ნადირობას, რეწვასა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები; ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები; გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები; დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით; ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახელე-

ბათა ფარგლებში მდებარე მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება ნებადართულია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. ვ) სამელიორაციო ქსელებით დაკავებული მიწები; ზ) სხვა მიწა, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი – კრედიტის ეს ფორმა ემსახურება უშუალოდ სოფლის მეურნეობის განვითარებას. იგი იყოფა მოკლევადიან (1 წლამდე), საშუალოვადიან 1დან 3 წლამდე და გრძელვადიან (ზოგჯერ რამდენიმე ათეული წელი) კრედიტად. გრძელვადიანი კრედიტის გაცემისას ბანკები, მოითხოვენ უძრავი ქონების გირაოს (მიწა, ტყე, ნაგებობა და ა.შ) სასოფლო-სამეურნეო კრედიტს გასცემენ კომერციული, იპოთეკური ბანკები, სპეციალური საკრედიტო კოოპერაციები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომარაგებელი და გამსაღებელი ფირმები.

სასოფლო-სამეურნეო ლაგი (agricultural lag) – გარღვევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცემულობას შორის. ძირითადად წარმოიქმნება განვითარებად ქვეყნებში. თუ ქალაქის მოსახლეობის მატებასთან ერთად, კვების პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლელულის მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მათ მზარდ მოთხოვნებს, მაშინ წარმოიქმნება ამ პროდუქციის დეფიციტი, რაც ზრდის მის იმპორტს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – მრავალწლიანი ნარგავები (ბაღები, ვენახები, პლანტაციები), ბუნებრივი მდელოები და საძოვრები.

სარეზერვო ფონდს – აყალიბებს მოგებიდან გადარიცხვის ხარჯზე და იგი ბანკის ძირითადი საქმიანობის დროს წარმოქმნილი ზარალის დაფარვას ემსახურება. ამ ფონდის მინიმალური სიდიდე საწესდებო კაპიტალის 15%-ია.

სატელეფონო საუბრის ეთიკა – სატელეფონო საუბარი საქმიანი საუბრის ერთ-ერთი სპეციფიკური სახეა. სატელეფონო საუბარს პირისპირ საუბრისაგან განსხვავებით გარკვეული თავისებურებანი აქვს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მოსაუბრენი ერთმანეთს ვერ ხედავენ და ხშირად სატელეფონო საუბარი დგება ერთ-ერთი მხარისათვის მოულოდნელად. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ სატელეფონო საუბარი უმეტეს შემთხვევაში ასრულებს წინასწარი შეთანხმების როლს მომავალი პირდაპირი შეხვედრისას. სატელეფონო საუბრისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსაუბრე (როგორც წესი, ის, რომლის ინიციატივით არ ხდება სატელეფონო საუბარი) ამ დროს შეიძლება იმყოფებოდეს კოლეგებისა და მიღებაზე მომსვლელთა გარემოცვაში, რაც მას გულახდილი საუბრის საშუალებას არ აძლევს.

სატვირთო ადგილი – Unit body - ტვირთი საძირეზე ან წინასწარ შეფუთული სატვირთო ერთეული, რომლის ზომები პერიმეტრზე შეესაბამება საძირის პარამეტრებს და რომელიც შეიძლება მოთავსებულ იქნას ინტერმოდალური სატრანსპორტო ერთეულში.

სატვირთო გეგმა – გემის სატვირთო სათავსოში ტვირთის განლაგების გეგმა. საჭიროა ტვირთების სწორი განთავსებისათვის (მათი თვისებების გათვალისწინებით). გემის ზიდვის უნარიანობის სრულად გამოყენებისათვის, დატვირთვა-განტვირთვისათვის, პორტებში სატვირთო სამუშაოთა სწორი ორგანიზებისათვის, გემის ნაოსნობის უზრუნველსაყოფად.

სატვირთო გზავნილება – ტვირთი, რომელიც გაგზავნილია გადაზიდვის ერთი ხელშეკრულების საფუძველზე რამოდენიმე სატვირთო გზავნილის ქვეშ. სრულ პარტიაში იგულისხმება სატვირთო პარტიების კონსოლიდაცია ანუ გამსხვილება.

სატვირთო დოკუმენტაცია – მიეკუთვნება: AWB-Airway Bill (სატვირთო ზედდებული).

სატვირთო ერთეული – კონტეინერი, ან მოსახსნელი ძარა.

სატვირთო კონტეინერები – ესაა არასტანდარტული სატრანსპორტო მოცულობა შინაგანი მოცულობით 1მ^3 მეტი, განკუთვნილია მრავალჯერადი გადაზიდვისათვის და გამოიყენება ტვირთების შენახვისათვის.

სატვირთო მანიფესტი – დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ყველა კონოსამენტური პარტიები, რომელიც დატვირთულია გემზე. საჭიროა გემისა და ტვირთის საბაჟო გაწმენდისათვის პორტში. დოკუმენტში მოყვანილია ყველა ძირითადი მონაცემები გემის ბორტზე არსებული ტვირთის შესახებ.

სატვირთო მარკირება – ტვირთის გადამზიდავი ორგანიზაციისათვის საჭირო მონაცემებია. სატვირთო მარკირებას მიეკუთვნება: გაგზავნისა და დანიშნულების ქვეყნებისა და პუნქტების დასახელება, მარშრუტი გადაზიდვების შემთხვევაში.

სატვირთო ოპციონი – დამფრახტველის უფლება შეცვალოს სახელშეკრულებო ტვირთი ნაწილობრივ და მთლიანად.

სატვირთო სია – ტვირთების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება დატვირთვას მოცემულ გემზე. დგება გენერალური ტვირთების რამდენიმე პარტიის გადაზიდვის დროს.

სატვირთო ტერმინალების კლასიფიკაცია (სტვ) –ტრანსპორტის გადასამუშავებელი ტვირთების სახის, ორგანიზაციული სამართლებრივი სახის, ობიექტების შემადგენლობის, გენერალური გეგმის შეთანწყობისა და ტვირთნაკადების მიმართულებების მიხედვით.

სატვირთო ტერმინალის მოწყობილობები – იყოფა ორ ჯგუფად: 1) ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობები კონტეინერების გადასამუშავებლად და დასაწყობებისათვის (ამწეები, დამტვირთავები, ტვირთსაცავი მოწყობილობები); 2) საკონტეინერო ტერმინალის დამხმარე სამსახურებისა და ნაგებობათა მოწყობილობები (ელექტროტექნიკური, სანტექნიკური, რემონტის, დაცვის, კავშირგაბმუ-

ლობების მოწყობილობების, სიგნალიზაციის, ხანძრის-ქრობის და ა.შ.).

სატრანზიტოა ისეთი ლიზინგი – რომელშიც მიმწოდებელი იმყოფება A ქვეყანაში სალიზინგო ფირმა - B ქვეყანაში და არენდატორი C - ქვეყანაში.

სატრანზიტო ოპერაციები – საქონლის პირდაპირ ტრანზიტში იგულისხმება ერთი ქვეყნიდან მეორეში საქონლის ტრანსპორტირება მესამე ქვეყნის ტერიტორიის ან საჰაერო სივრცის გავლით. ეს ოპერაციები არ შედის არც ექსპორტ-სა და არც იმპორტში, ისინი აღირიცხება სატრანსპორტო საშუალებათა, გადასაზიდი ტვირთების რაოდენობის, გამგზავნი და დანიშნულების ქვეყნების მიხედვით.

სატრანსპორტო არამარკირებულ ტარაში – საქონლის პარტია გადაიქცევა სატრანსპორტო ტარაში მარკირებულ სატრანსპორტო პარტიად (მარკირების ოპერაცია).

სატრანსპორტო დერეფანი – ტვირთების დიდი მოცულობების გადაზიდვის მუდმივი მიმართულება, მსოფლიო ვაჭრო-ბის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. მისი მიმართულებით გადაადგილება დიდი ტვირთნაკა-დები ქვეყნებისა და ქვეყნების შიგნით რეგიონებს შორის. მიზანია დაჩქარდეს ტვირთნაკადების მოძრაობა საერთა-შორისო ვაჭრობაში და სრულყოფით გადაზიდვების ორგანიზაცია შესაბამისი მიმართულებით, აღინიშნება A,B - სატრანსპორტო დერეფნის საწყისი და ბოლო პუნქტები, G-D-შუალედური პუნქტები სატრანსპორტო დერეფანში; G-T- სატვირთო ტერმინალები სატვირთო დერეფანში; T სატრანსპორტო ტერმინალები სატრანსპორტო დერე-ფანში; L - სატრანსპორტო დერეფნის ან მისი უბნების სიგრძეები; Q - ტვირთების გადაზიდვის მიმართულებანი.

სატრანსპორტო დერეფანი – არის ეროვნული ან საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან სატვირთო გადაზიდვებს სხვადასხვა დემოგრაფიულ რაიონებს შორის.

სატრანსპორტო დერეფნები – ეროვნული ანდა საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან სატვირთო ანდა მგზავრთნაკადებს ცალკეულ გეოგრაფიულ რაიონებს შორის, მოიცავს მოცემული მიმართულებით მომუშავე ყველა სახის ტრანსპორტზე მოძრავ შემადგენლობასა და სტაციონალურ მოწყობილობებს, აგრეთვე ამ გადაზიდვების განხორციელების ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ პირობების ერთობლიობას.

სატრანსპორტო ლოგისტიკა – ტვირთების გადაადგილება მიმწოდებლებიდან მომხმარებლებამდე, საწარმოებიდან საწყობში, საწყობიდან-საწყობში, საწყობიდან მომხმარებელთან.

სატრანსპორტო ლოგისტიკა – შეკვეთების ლოგისტიკა (შლ), ტექნიკური საშუალებები.

სატრანსპორტო მარკირება – გადაზიდვის დროს საჭირო აღნიშვნებია, რომელშიც შედის, ვაგონებისა და ლუკების ნომრები, გემის დასახელება და სხვა.

სატრანსპორტო მომსახურების ფუნქცია – საორგანიზაციო სტრუქტურის პასუხისმგებლობის, პროცედურებისა და რესურსების ერთობლიობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის საერთო ხელმძღვანელობის განხორციელებას.

სატრანსპორტო ნაოსნობა – ნაოსნობა გარიგების გარეშე, რომელიც დაკავშირებული არაა ცურვის მუდმივ რაიონთან, არა აქვს წინასწარ დადგენილი გაგზავნისა და დანიშნულების პორტები. სატრამპო ნაოსნობაში გემთმფლობელის მიერ გემი იგზავნება იქ, სადაც დამფრახტველის მხრიდან არის მოთხოვნა ტონაჟზე.

სატრანსპორტო პაკეტი – ეს არის გამსხვილებული სატრანსპორტო ერთეული, რომელიც შედგება ცალობითი ტვირთების რამდენიმე ცალკეული ადგილისაგან პაკეტების საშუალებების გამოყენებით და გადაადგილდება როგორც ერთიან მთელი.

სატრანსპორტო საგარანტიო მოწმობა – ეროვნული საბაჟო დოკუმენტია, რომელიც იძლევა წინასწარ შეფუთვის, საიმპორტო ბაჟებისა და მოსაკრებლების გარეშე საბაჟო ტრანზიტით ტვირთების შესაძლებლობას. იგი, როგორც წესი, შეიცავს შეფასებისათვის აუცილებელ მონაცემებს, საჭიროების შემთხვევაში, საიმპორტო ბაჟებსა და მოსაკრებლებს, აგრეთვე გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებას დანიშნულების ადგილის საბაჟოში დაუზიანებელი ბეჭდებითა და პლომბებით ტვირთების წარდგენის შესახებ.

სატრანსპორტო - საექსპედიციო ოპერაციები (მომსახურება)– რიგი დამატებითი და დამხმარე ოპერაციები საქონლის გადაზიდვასთან მიმართებაში, რომელიც აერთიანებს: გადაზიდვის ტარიფების ანგარიშს, მიწოდების მიზანშეწონილი ბაზისების განსაზღვრას, შეფუთვისა და მარკირების სამუშაოებს, საზღვრის გავლით პროდუქციის საბაჟო გაფორმებას, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებს, ტვირთის მიტანას სხვადასხვა მიმღებთან, ანდა სხვაგვარ საწარმოებთან (პორტებს, სადაზღვეო კომპანიებს, ბანკებს და ა. შ.), რომლებიც ჩართულნი არიან საქონლის მოძრაობის პროცესში დამამზადებლიდან მომხმარებლამდე.

სატრანსპორტო საშუალების ბრუნვა – სატრანსპორტო საშუალების მუშაობის სრული ციკლის დრო, გაზომილი მისი ერთი დატვირთვიდან შემდგომ განტვირთვამდე დღეებში და საათებში.

სატრანსპორტო საწარმო – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არსებობს საავტომობილო და სხვა სახის გზებზე ტვირთების გადაზიდვის პროფესიონალურ საქმიანობას, აქვს ლიცენზია სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებისათვის, გაცემული კომპეტენტური ორგანოების მიერ რეგისტრაციის ქვეყნებში.

სატრანსპორტო ტარაში – შეუფუთავი საქონელი გადაიქცევა შეფუთულ საქონლად (შეფუთვის ოპერაცია).

სატრანსპორტო ტვირთ ბარათი (way bill) – დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სარკინიგზო ან საავტომობილო ტრანსპორტით გადასაზიდი საქონლის აღწერა; კონოსამენტის ანალოგი, რომელიც ფასიანი ქაღალდი არ არის და რომლის ხელიდან ხელში გადაცემა არ შეიძლება.

სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემა – ტექნიკური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და კომერციული - სამართლებრივი ღონისძიებების შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა მაქსიმალური და უმცირესი დანახარჯებით გადავზიდოთ ტვირთები კონკრეტულ მიმართულებებზე გამგზავრებიდან მიმღებამდე.

სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემების სახეები – კონტეინერული – ტვირთების გადაზიდვა წარმოებს უნიფიცირებულ, სტანდარტულ და გამსხვილებულ სატვირთო ადგილებში; რევოლვერული - ტვირთების გადაზიდვა წარმოებს P_0-P_0 ტიპის გემებზე (დაგროვების ტიპის გემებზე); პაკეტური – ტვირთების გადაზიდვა წარმოებს სტანდარტულ უნიფიცირებულ მოედნებზე (საძირეებზე); ლიხტიორმზიდი – ტვირთების გადაზიდვა წარმოებს გემებზე – ლიხტიორმზიდებზე; საბორნე - ტვირთების გადაზიდვა წარმოებს გემებზე - ბორნებზე, დატვირთულ ვაგონებში და ავტოსატრანსპორტო საშუალებებში; მაგისტრალურ - ფიდერული - ტვირთი გადაიზიდება ჩქაროსნული გემებით (ძირითად მაგისტრალებზე) მსხვილ პორტამდე (Distribution Conter), სადაც ისინი გადაიტვირთება და გადაადგილდება უახლოეს პორტამდე მცირე გემებით (ფიდერებით).

სატრანსპორტო უზრუნველყოფა – პრაქტიკულად იგივეა, რაც სასაქონლო მოძრაობა.

სატრანსპორტო ჯაჭვი – არის ერთი ან რამდენიმე სახეობის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით ტვირთის განსაზღვრულ მანძილზე, დროის განსაზღვრულ მონაკ-

ვეთში გადაადგილების ეტაპები. მთელი ამ ხნის განმავლობაში, გადასაზიდი ტვირთი უცვლელი სახით რჩება.

სატრანსპორტო საჰაერო ხომალდი – საჰაერო ხომალდი, რომელიც კონსტრუირებულია მგზავრების გადასაყვანად და ტვირთების გადასაზიდად.

სატრანსფორმაციო დაქვეითება – სხვა ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ეკონომიკური დაქვეითება დამახასიათებელია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და განსაკუთრებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისათვის.

სატრასტო კომპანიები – სატრასტო მომსახურებაც ის სფეროა, სადაც კომერციული ბანკები კონკურენციას აწყდებიან Near-bank-ების მხრიდან. მაგალითად, აშშ-ში აქციების ინდივიდუალური პაკეტების და კორპორაციების საკუთრების მართვის რეგულარული ოპერაციების განვითარების დასაწყისში, XIX საუკუნეში, მათ სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ. XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება სპეციალიზებული სატრასტო კომპანიების განვითარებაც, რომლებიც საკუთრების მართვას ახდენენ მინდობით, როგორც ძირითად საქმიანობას.

სატრასტო კომპანიებთან (ბანკთან) – კლიენტები, ჩვეულებრივ, დებენ ხელშეკრულებას ტრასტ-ანგარიშის გაძღოლაზე (ფასიანი ქარალდების, ვალუტის ან კომბინირებულის), საიდანაც კლიენტი პროცენტებს (რწმუნებულის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს) მიიღებს.

სატრასტო მართვა – შეთანხმება ამა თუ იმ პირის სამართავად საკუთრების მიყიდვისათვის. მართვა ხორციელდება სხვა პირის ან ფირმის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ დათქმული პირობით.

სატრასტო მომსახურება – გარკვეული საზღაურის ფასად ბანკს შეუძლია მართოს ფირმებისა და კერძო პირების ფინანსური საქმეები და საკუთრება. საკუთრების მართვის ფუნქცია მინდობილობით ანუ სატრასტო მომსახურების ოპერაციის სახელითაა ცნობილი. სატრასტო განყოფილე-

ბის მეშვეობით ბანკები მართავენ თავიანთი კლიენტების ფასიანი ქაღალდების გამომშვებ კომპანიებს, ასრულებენ ანდერძით დანიშნულ მზრუნველის როლს.

სატრასტო მომსახურება – საბანკო მომსახურების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს კერძო პირებისაგან და ორგანიზაციებისაგან სახსრების, უძრავი ქონების, საპენსიო ფონდების და სხვა სახის ფასეულობის მიღებას დასაცავად და სამართავად გარკვეული სარგებლობის პირობებში.

სატრასტო მომსახურების ბაზრის – ჩამოყალიბება იმ გარე-მოებამ განაპირობა, რომ ორგანიზაციებსა და მოქალა-ქეებში გაჩნდა მოთხოვნილება, თავიანთი ფინანსური და იურიდიული საქმეების გაძღოლა მიენდოთ პროფესიონა-ლებისათვის, რომლებიც მათი საკუთრების დაცვას, ვალდებულებათა შესრულებასა და მაღალ შემოსავალს უზრუნველყოფდნენ. განვითარებული ქვეყნების ბაზრის ძირითად ნაწილს შეადგენს კლიენტის ფულადი სახს-რების, მისი ფასიანი ქაღალდების „პორტფელს“ გაწეული მომსხურება.

სატრასტო ოპერაციები – კლიენტებსა და ბანკს შორის შეთანხმება, რომლის მიხედვით უკანასკნელი კისრულობს ვალდებულებებს ქონების შენახვის თაობაზე.

სატრასტო ოპერაციები – კომერციული ბანკების და სპეციალური ფინანსური ინსტიტუტების ოპერაციებია, რომელთა დანიშნულებაა კლიენტის ქონების მართვისა და მათი სხვა სახის დავალებების შესრულება. სატრასტო ოპერაციებში ფიგურირებს კლიენტების სხვადახვა სახის ქონება.

საურავი წარმოადგენს – დამატებით გადასახდელს გადასახადის თანხების არათავისდროული ან არასრულყოფილი გადახდის გამო სახელმწიფო ხაზინის დანაკარგების კომპენსაციის მიზნით.

საფაქტურო ფასი (invoice price) – ფასი, რომელიც მითითებულია ანგარიშში (ფაქტურაში) მიწოდებულ საქონელზე. მიწო-დების საბაზისო პირობების მიხედვით, საფაქტურო ფასში შეიძლება შევიდეს საქონლის გადაზიდვასთან, დატვირ-

თვა - გადმოტვირთვასთან, დაზღვევასთან, საექსპორტო ბაჟის გადახდასთან და ა.შ. დაკავშირებული ხარჯები.

საფეხურებრივი კარიერა – კარიერის ისეთი სახეობაა, რომლის დროსაც ერთმანეთთანაა შეხამებული კარიერის როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური სახეების ელემენტები. ამ შემთხვევაში ერთდროულად ხდება მომუშავის როგორც ფუნქციონალური გადაადგილება, ისე თანამდებობრივი დაწინაურება. კარიერის სახე გვხვდება საკმაოდ ხშირად. მას შეიძლება ჰქონდეს როგორც შიგაორგანიზაციული, ისე ორგანიზაციათაშორისი ფორმა.

საფილიალთაშორისო და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების – ამოცანების მთლიანი ციკლის შესრულების მიზნით (ორგტექნიკის მომსახურების, საინფორმაციო კომუნიკაციების, პროგრამული უზრუნველყოფის, ახალი მომსახურების დამუშავებისა და დანერგვის ჩათვლით) ბანკში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სპეციალური ქვედანაყოფი საანგარიშსწორებო ცენტრი.

საფინანსო ანგარიშგება – უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია საინვესტიციო და საკრედიტო გადაწყვეტილებათა მისაღებად, ნაღდი ფულის მოძრაობის პერსპექტივებისა და საწარმოს რესურსებისა და მათზე მოთხოვნის შესაფასებლად.

საფინანსო ბაზრებზე მიმოქცევაში საჭირო ფულის მასის განსაზღვრისათვის გამოიყენება ფულის აგრეგატები – ამ ანგარიშებზე მოთავსებული სახსრების ნაღდ ფულად გადაქცევის სიჩქარის მიხედვით იგი წარმოადგენს საბანკო ანგარიშების დაჯგუფებას. საფინანსო ბაზარზე იყენებენ ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა ლიკვიდობა მაღალია და ფულზე არანაკლები მნიშვნელობის დაგროვების საშუალებას წარმოადგენს. დაგროვების ამგვარ ლიკვიდურ საშუალებებს მიაკუთვნებენ: ფულის ბაზრის ზიარ (ერთობლივ) ფონდებს; ფულის ბაზრის დეპოზიტურ ანგარიშებს; ერთდღიან შეთანხმებებს უკან გამოსყიდვის პირობით და ევროდოლარებში ერთდღიან სესხებს.

საფინანსო ინსტრუმენტები – ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ვალდებულებები და უფლებები დოკუმენტურ ფორმაში. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: ფასიანი ქაღალდები, ფულადი ვალდებულებები, ვალუტა, ფიუჩერსები, ოფციონები და ა.შ.

საფინანსო კომპანიები – საინვესტიციო ინსტიტუტების ჩამოთვლილი ტიპების გარდა განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბაზარზე ერთგვარად გავრცელდნენ ე.წ. საფინანსო კომპანიები, თუმცა მათი საწესდებო საქმიანობისა უფრო დეტალურად გაცნობა იმას მოწმობს, რომ ისინი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებიან საინვესტიციო კომპანიებისაგან. ჰოლდინგური კომპანიებისაგან განსხვავებით, საფინანსო და საინვესტიციო კომპანიებს, როგორც წესი, არა აქვთ მათ მიერ დაფინანსებული კორპორაციების აქციათა საკონტროლო პაკეტები.

საფინანსო რისკების ცნებისათვის – საფინანსო რისკები უნდა გავიგოთ, როგორც შემოსავლების კლების, მოგების შემცირებისა და დანაკარგების გაჩენის რეალური შესაძლებლობა (არანულოვანი ან უმოქმედობის) ნებისმიერი იმ ფაქტორის (მათ შორის არასწორი მოქმედების) შედეგად, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის პირობებსა და შედეგებზე მოქმედებენ.

საფინანსო რისკების ფაქტორები – ბანკისათვის არსებითი რისკების ფაქტორები საზოგადოდ ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: შიდა და გარე ფაქტორებად.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები და ჰოლდინგები – საბანკო ბაზარზე ჯგუფური კონკურენციის უკანასკნელი ორგანიზაციული ფორმაა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები და ჰოლდინგები. საერთო საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებად მიიჩნევენ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საკრედიტო-საფინანსო და საინვესტიციო ინსტიტუტების დარეგისტრირებულ ჯგუფს, რომლის ჩამოყალიბების მიზანია მის მონაწილეთა მატერიალური და ფინანსური რესურსების გაერთიანება კონკურენტუნარიანობისა

და წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, რაციონალური ტექნოლოგიური და კორპორაციული კავშირების შესაქმნელად, საექსპერტო პოტენციალის გასადიდებლად, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, თავდაცვის საწარმოთა კონვერსიისათვის და ინვესტიციების მოსაზიდად.

საფინანსო-საკრედიტო მომსახურება – წარმოადგენს პროდუქციის საფასურის დაფარვის ყველანაირი ვარიანტის, ფასდაკლების და შეღავათების სისტემის ერთიანობას.

საფინანსო შუამავლობა ეწოდება – საფინანსო შუამავლის მეშვეობით არაპირდაპირი დაფინანსების პროცესს.

საფინანსო საქმიანობა – რომლის შედეგადაც რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების კაპიტალი.

საფინანსო-საშედეგო ანგარიშები – ისეთი ანგარიშებია, რომლებიც ასახავენ საწარმოების სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგს, მოგებას ან ზარალს. საფინანსო-საშედეგო ანგარიშს წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში.

საფინანსო საქმიანობა ისეთი სფეროა, – რომელიც იწვევს რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ საშუალებებში.

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში –აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს პარტნიორებისა და კრედიტორებისაგან სახსრების მოზიდვასა და მათთვის თანხების გადახდასთან. მათი ცალკე გამოყოფა მნიშვნელოვანია, რადგან ის სასარგებლოა სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმართ საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად.

საფინანსო სისტემა – კანონების, წესების, ნორმების ერთობ–ლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობასა და ურთიერთობებს (ფულადი სისტემა, საფინანსო დაწესებულებების სისტემა).

საფირმო მარკა (firm mark) – სახელწოდება ან ემბლემა, რომელიც მოცემული საქონლის სხვა საქონლის მასისაგან გამოყოფის საშუალებას იძლევა. საფირმო მარკა საქონლის „სახის“ განუყოფელი ელემენტია (იხ. იმიჯი). ნაწარმი, რომელიც თავისი საფირმო მარკის წყალობით მოიპოვებს აღიარებას ბაზარზე, მტკიცე პოზიციას იკავებს. სასაქონლო საფირმო მარკით ნებისმიერი სავაჭრო საწარმოდან იყიდება.

საფირმო მაღაზიები – მიეკუთვნება ფირმა მწარმოებლებს და ასეთ მაღაზიებში ძირითადად იყიდება მოცემული ფირმის პროდუქცია, მაგალითად ნიკორა.

საფისკალო ბაჟები – საბაჟო ბაჟები, რომლებიც დადგენილია სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით. საფისკალო ბაჟებით, როგორც წესი, იბეგრება სამომხმარებლო საქონელი, რომელიც არ არის წარმოებული მოცემულ ქვეყანაში (მაგალითად: თამბაქო, ბენზინი, ჩაი, ყავა).

საფონდო ანგარიშები – სპეციალური ანგარიშები, გახსნილი ბანკების მიერ, რომლებიც ბროკერების (მაკლერების) მეშვეობით ყიდიან ან ყიდულობენ აქციებს თავიანთი კლიენტებისათვის, ამ ოპერაციებისათვის.

საფონდო ბაზარი – ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილი; იქმნება დილერების ნაციონალური ასოციაციის წევრების მიერ. ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებით, ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორადი განლაგების (მოთავსების) მიზნით.

საფონდო ბაზრის ინსტრუმენტებს – ფასიან ქაღალდებს უწოდებენ.

საფონდო ბირჟა – სისტემატურად და რეგულარულად მოქმედი და სათანადო სახით აღჭურვილი დაწესებულებაა (ადგილია), სადაც ხორციელდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები.

საფონდო ბირჟა – როგორც ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული მეორეული ბაზარი ფუნქციონირებს დადგენილი წესის მიხედვით და კოტირების მექანიზმის მეშვეობით გან-

საზღვრავს ბირჟაზე მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეების – აქციებისა და ობლიგაციების საბაზრო კურსს. საფონდო ბირჟა, გარდა ფასიანი ქაღალდებისა, უცხოური ვალუტისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარულად მოქმედი ბაზარია. ამასთან იგი აქტებისა და ობლიგაციების ფართოდ გავრცელების, მათი საბაზრო ფასის ჩამოყალიბებასა და მაღალი კურსის მიღწევის საშუალებაა.

საფონდო ბირჟა – ორგანიზაცია, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევისა და რეგულირების საშუალებას.

საფონდო ბირჟა (stock excbange) – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული მეორეული ბაზარი, რომელიც ფუნქციონირებს დადგენილი წესების მიხედვით და კოტირების მექანიზმის მეშვეობით განსაზღვრავს ბირჟაზე მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების ძირითადი სახეობის - აქციებისა და ობლიგაციების საბაზრო კურსს, ფასს. საფონდო ბირჟაზე ავლენს ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნისა და მიწოდების დონეს და ახდენს მათს კონცენტრაციას.

საფონდო ბირჟა – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პირობებს.

საფონდო ბირჟა – თვითმმართველობითი ორგანიზაციაა. მისი უმაღლესი ორგანოა საბაჟო საბჭო. საფონდო ბირჟის შემოსავლები იქმნება შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან, ჯარიმებისა და საბირჟო საკომისიოსაგან. ვაჭრობის მონაწილენი არიან ბროკერები, დილერები და შესაბამისი სპეციალისტები. ზოგიერთ ბირჟაზე ვაჭრობაში სხვა შუამავლებიც მონაწილეობენ, მაგალითად, მაკლერები. როგორც წესი, ფასიანი ქაღალდები იყიდება ,,მსხვილკოტებად“. ბროკელი ან საბროკერო ფირმა დავალებას გადასცემს თავის წარმომადგენელს საბირჟო დარბაზში, რომელიც გარიგებას დებს სხვა ბროკერთან. გარიგება რეგისტრირდება ელექტრონული სისტემით.

თანხა აისახება საინფორმაციო ტაბლოზე. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხდება დადგენილი დროის მიხედვით (მაგალითად, აშშ-ში - 5 სამუშაო დღის განმავლობაში). ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ფასი ყალიბდება ორმაგი აუქციონის ან განცხადების რანჟირების მიხედვით შესასყიდი (ქვედა ზღვარი) და გასაყიდი (ზედა ზღვარი) ფასის ფარგლებში. ყოველი გარიგება ითვალისწინებს ახალ აუქციონს. საბირჟო ფასი დღეში რამდენჯერ ფიქსირდება და ყოველდღიურად ქვეყნდება პრესაში. საფონდო ბირჟების მსოფლიო ფედერაცია და ბირჟების ევროპული თანამშრომლობის ფედერაცია საფონდო ბირჟების შესახებ ცნობების ყოველწლიურ კრებულს უშვებენ.

საფონდო ბირჟაზე – აქციებისა და ობლიგაციების კოტირებისათვის გაშვება ხდება ემიტენტისადმი კონკრეტული მოთხოვნის წაყენებით. ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გამოტანა შეზღუდულია მსოფლიოს უდიდეს ბირჟებზე (ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს და ა.შ.) მიმოქცევა მხოლოდ რამდენიმე უმსხვილესი აქციონერული კომპანიის აქციები, რომლებიც საერთოდ მიმოქცევაში გაშვებული აქციების 75%-ზე მეტს შეადგენს. დანარჩენი კომპანიების ფინანსური აქტივები იყიდება სხვა საფონდო ბირჟებზე და მათს გარეთ. კოტირებული აქციების საერთო თანხისა და დადებული გარიგებების მოცულობის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე დიდი საფონდო ბირჟებია იაპონიის, აშშ-ის, ინგლისის და ტაივანის ფასიანი ქაღალდების ბაზრები. მაგ, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე დღეში 160 მლ-ზე მეტი აქცია მიმოიქცევა. საფონდო ბირჟის ყველაზე გავრცელებული მოდელია ანგლო-ამერიკული-კორპორაციული.

საფონდო ბირჟის – აქციონერული საზოგადოების იურიდიული სტატუსი აქვს. იგი აერთიანებს თანაბარუფლებიან წევრებს, რომლებსაც ნაყიდი აქვთ „ადგილი“ ოპერაციების წარმოებისათვის. მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ერთი ადგილი 200 ათასი დოლარი ღირს.

საფონდო ოპერაციები – ბანკის მიერ თავისი და კლიენტების სახსრების, როგორც წესი, მათივე განკარგულების შესაბამისად დაბანდება ფასიან ქაღალდებში ორგანიზებულ ან არაორგანიზებულ საბირჟო ბაზარზე.

საფონდო ცენტრის – ამოცანაა მოგების მიღება ფასიან ქაღალდებზე, უძრავ ქონებაზე, ძვირფას ლითონებსა და ქვებზე განხორციელებული ოპერაციებიდან. იგი ახდენს ბანკის ინტერესების რეალიზაციას ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის ბაზარზე.

საფრახტო ანგარიში – გაიცემა სატრანსპორტო ოპერატორის მიერ. მასში უჩვენებენ საფრახტო განაკვეთებსა და ტრანსპორტირების ხარჯებს, აგრეთვე ანგარიშსწორების პირობებს.

საფრახტო ინდექსები – ტვირთების საზღვაო გადაზიდვაზე ფასების დონის ცვლილების ფარდობითი მაჩვენებელი, რომელიც საბაზისო პერიოდის ფასებთან, ანდა ფიქსირებულ განაკვეთებთან შედარებით, მიღებულია 100%-ად.

საფრახტო ბაზარი (freight market) – სატრანსპორტო პროდუქციის მიმოქცევის სფერო. არსებობს ღია და დახურული საფრახტო ბაზარი. ღია ბაზარზე საზღვაო გადაზიდვების ფასი მსოფლიო ფასს უთანაბრდება, თავისუფლად წესდება მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადობის გავლენით. მის წილად მოდის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის მოცულობის არაუმეტეს 10-15%-ისა. ტვირთის დანარჩენი რაოდენობა გადაიზიდება დახურული საფრახტო ბაზრის მეშვეობით, რომელიც დაცულია ღია ბაზრის ზემოქმედებისაგან სპეციალური სახელმწიფო აქტებით.

საფრახტო განაკვეთი (freighr rate) – საზღვაო გადაზიდვის ფასი, რომელიც მოიცავს დანახარჯებსა და საშუალო მოგებას.

საფრახტო საანგარიშო ერთეული – ფრახტი, რომელიც დადგენილია მასის (ტონა), მოცულობის ($მ^3$ კუბ ფუტი და სხვა მოცულობითი ზომები) ერთეულზე, ადგილისათვის (კასრის, ყუთის და სხვა), განსაკუთრებით ღირებულე-

ბითი ტვირთების (ად-ვალ-გრომის) ღირებულების პროცენტისაგან.

საფრენოსნო დავალება – დადგენილი ფორმის საბუთი, რომელიც შეიცავს აუცილებელ მონაცემებს ეკიპაჟის, საჰაერო ხომალდისა და ფრენის შესახებ.

საფრენოსნო დავალება – დადგენილი ფორმის საბუთი, რომელიც შეიცავს აუცილებელ მონაცემებს ეკიპაჟის შემადგენლობის, საჰაერო ხომალდის და შესასრულებელი ფრენის მიზნით.

საფრენოსნო ეკიპაჟის წევრი – მოწოდების მქონე ეკიპაჟის წევრი რომელსაც ფრენის დროის განმავლობაში საჰაერო ხომალდის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები აკისრია.

საფრენოსნო სამუშაო – საფრენოსნო დავალების შესასრულებლად ეკიპაჟის მიერ ჩატარებული სამუშაო.

საფუთავი ფურცელი – (ინგლ. –packing list, case conens note; contents list; ფრ-specificationde colis გერ. – Packrettel) აუცილებელია ერთ ყუთში სხვადასხვა საქონლის ჩაწყობისას. იგი შეიცავს ყოველ სასაქონლო ადგილში (კოლოფში, ყუთში, კონტეინერში) არსებული ყველა სახისა და სორტის საქონლის ჩამონათვალს. საფუთავი ფურცელი ყუთში ან კონტეინერში იდება ადვილად დასანახ ადგილას ან საფუთავის გარე მხარეს განლაგებულ სპეციალურ ჯიბეში. საფუთავ ფურცელში მითითებულია ყოველი სორტის საქონლის რაოდენობა (საფუთავში ცალების რაოდენობა), საფუთვის (ადგილის) ნომერი.

საქაერონავიგაცია – სახაზინო საწარმო, სადაც ძირითადად განლაგებულია საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემა.

საქართველოს ეროვნული ბანკი – საბანკო საქმიანობის ლიცენზიებს გასცემს მხოლოდ დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე, მათი განაღდებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა, საბანკო საქმიანობისათვის დაკავებულ ფართობი, კომერციული ბანკის დირექტორების მუშაობის გამოცდილება და კვალიფიკაცია, აგრეთვე

წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა შეესაბამება ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ დადგენილ შეფასებათა კრიტერიუმებს და საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი – არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის და საბაზრო ურთიერთობაზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში - „ეროვნული ბანკი“) – არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს ბანკის ვალდებულებებზე ისევე, როგორც ცენტრალური ბანკი არ აგებს პასუხს სახელმწიფოს ვალდებულებებზე, თუ კი თვითონ არ იღებს ასეთ ვალდებულებას. კანონის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, სახელმწიფო სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ ცენტრალური ბანკის საქმიანობაში. ასეთი ჩარევის შემთხვევაში ბანკი ატყობინებს პარლამენტს და პრეზიდენტს და მას უფლება აქვს სასამართლო წესით დაიცვას თავისი სტატუსი და უფლებამოსილებანი.

საქართველოში მასობრივი ინფრასტრუქტურისა და რეკლამის თანამედროვე საშუალებები – წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხელმისაწვდომ, არარეგლამენტირებულ, მაგრამ

ძალზე დაბალხარისხოვან ინფორმაციის არხს. შემოსული მონაცემები წინააღმდეგობრივია, სუბიექტურია, კომერციალიზებებულია და საბანკო გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად მიუღებელი, თუმცა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც გარემოს საერთო ფონი და დამატებითი მონაცემები შედარებითი ანალიზისათვის.

საქართველოს საჰაერო სივრცე – სახმელეთო ტერიტორიისა და მასთან მიმდებარე შავი ზღვის ტერიტორიული წყლების თავზე არსებული სივრცე.

საქართველოს შიდა სავალუტო ბაზრის სტრუქტურა – დღეისათვის, ფაქტობრივად, წარმოგვიდგება ოთხი სეგმენტით – შიდა საბანკო სავალუტო ბაზარი; ბირჟის გარეშე ბანკთაშორისი სავალუტო ანუ სადილინგო ბაზარი; თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა; უცხოური ვალუტის გადამცვლელი საბანკო და არასაბანკო პუნქტები.

საქმიან ურთიერთობათა კრიტიკის წესები – დიდი ყურადღება ექცევა, კრიტიკას ის უნდა იყოს კონკრეტული. მან არ უნდა შელახოს გასაკრიტიკებელი ადამიანის ღირსება. სხვისი გაკრიტიკებისას აუცილებელია, გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფრთხილე და კორექტულობა. ამ ზოგადი პრინციპების რეალიზება ხდება უფრო კერძო პრინციპების რეალიზაციით. კრიტიკის წესები შემუშავებულია ადამიანურ ურთიერთობათა გამოცდილების საფუძველზე. კრიტიკის წესების იგნორირება და არცოდნა გასაკრიტიკებელ მხარეში იწვევს ე.წ. ,,დაცვით ბარიერს“, წყენას და ღირსების შელახვის გრძნობას. ამის შედეგად სასარგებლო და ობიექტური კრიტიკაც კი არ მიიღება კოსტრუქციულად.

საქმიანი ადამიანი – ბიზნესმენის მახასიათებელი პოლიტიკურად სწორი ტერმინი.

საქმიანი ადამიანის გარეგნობა (იერი) – საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამსახურებრივი მდგომარეობა გარკვეულ მოთხოვნებს აყენებს საქმიანი ადამიანის გარეგნობის (ჩაცმულობის) წინაშე. მოდის სამყაროში დიდი ხანია

ჩამოყალიბებულია ცნება – „საქმიანი კოსტუმი“. იგი ითვალისწინებს ტანსაცლის მოდელირების ტენდენციებს, მაგრამ, ამასთან ერთად, გარკვეული ხარისხით მკაცრი და კონსერვატიულია. კოსტიუმის არჩევისას საქმიანმა ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ზოგადი წესებით: 1. სტილის ერთიანობა; 2. სტილის შესაბამისობა კონკრეტულ სიტუაციასთან; 3. ფერადი გამოსხივების გონივრული მინიმიზაცია (ე.წ. „სამი ფერის წესი); 4. ფერებისა და ფერადი გამოსხივების შესადარისობა; 5. ტანსაცმლის სხვადასხვა კომპონენტზე ნახატის ხასიათის შესაბამისობა.

საქმიანი ანგელოზები – მათში, უმეტესად, იგულისხმება მმართველობითი პერსონალი, რომელიც გვევლინება სარისკო ინოვაციური პროექტების ინვესტორის როლში. მისი (ინოვაციური პროექტების) მთავარი უპირატესობაა ასეთი კრედიტის სიიაფე საბანკოსთან შედარებით.

საქმიანი აქტიურობის ციკლი (trade cycle) – იხ. ეკონომიკური ციკლი.

საქმიანი აქტიურობის (ბრუნვადობის) –კოეფიციენტი საწარმოს აქტივების ცალკეული მუხლების, ასევე მისი ერთობლივი აქტივების ეფექტურად გამოყენების განსაზღვრაში გვეხმარება.

საქმიანი ბანკები – ამუშავებენ საინვესტიციო პროექტებს.

საქმიანი თამაში (business game) – სხვადასხვა წარმოებრივ სიტუაციაში რეალური ობიექტის მოდელზე სამმართველო გადაწყვეტილებათა შემუშავების იმიტაციის მეთოდი.

საქმიანი კარიერა – პიროვნების წინსვლითი მოძრაობა საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, ჩვევების, უნარის, საკვალიფიკაციო შესაძლებლობებისა და საქმიანობასთან დაკავშირებული წახალისებების მატება. მასში იგულისხმება, აგრეთვე, წინსვლა საქმიანობის უკვე არჩეულ გზაზე, ცნობილ პიროვნებად გახდომა, დიდების მოპოვება, სულიერი გამდიდრება. მაგალითად, დიდ უფლებამოსილებათა და მაღალი სტატუსის მიღება, უფრო მეტი

ხელფასის დანიშვნა და ა.შ. კარიერაზე ლაპარაკი შეიძლება დასაქმების სახით და საქმიანობის მიხედვით. მაგალითად, მენეჯერის კარიერა, მასწავლებლის კარიერა, სპორტული კარიერა, სამხედრო კარიერა და ა.შ.

საქმიანი კარიერა – ესაა პიროვნების წინსვლითი მოძრაობა საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, ჩვევების, უნარის, საკვალიფიკაციო შესაძლებლობებისა და საქმიანობასთან დაკავშირებული წახალისების მატება. მასში იგულისხმება, აგრეთვე წინსვლა საქმიანობის უკვე არჩეულ გზაზე, ცნობილ პიროვნებად გახდომა, დიდების მოპოვება სულიერი გამდიდრება.

საქმიანი ლოგისტიკური პრინციპი – განსაზღვრული რაოდენობის და ხარისხის საქონელი მიტანილი უნდა იქნას საჭირო ადგილზე მოთხოვნილ დროში მინიმალური დანახარჯებით შესაბამის მომხმარებელთან თითოეული შეკვეთის პერსონალური მოთხოვნილებების შესაბამისი საქმიანი ლოგისტიკის კომპლექსური პრინციპის თანახმად.

საქმიანი პროტოკოლი – ეწოდება საქმიანი შეხვედრების ჩატარების წესს.

საქმიანი საუბრის წარმოება – საქმიანი საუბარი - ერთ წარმოებრივი და სხვა საკითხების გადაწყვეტისაკენ მიმართული ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური (არა სიტყვიერი) კავშირების გამოყენებით ურთიერთობის პროცესი.

საქმიანი საუბრის წარმოების ჩვევები მუშავდება – როგორც პროფესიული საქმიანობის პროცესში, ისე ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ვითარებაში. მიმართავენ საქმიანი საუბრის მოდელირებას. მასში იგულისხმება საქმიანი საუბრის ჩატარების მოსალოდნელი სქემის აგება.

საქმიანობის სოციალური ასპექტის შეფასება – ორგანიზაციის საქამიანობის და პროგრამების სოციალური ზემოქმედების შეფასება სათანადო ანგარიშის შედგენით.

საქმიანობის ღირებულების შეფასება – დანახარჯების შემცირების პროცედურა. გულისხმობს კომპანიის ყველანაირი საქამიანობის შედეგად მიღებული ღირებულების ოდენობის ანალიზს.

საქმიანობის შეფასება – თანამშრომლის მუშაობის შეფასების ფორმალური პროცედურა, რომელიც ძირითადად ხდება მასზე (თანამშრომელზე) დაკისრებული ამოცანების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვების გზით.

საქონელი – წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც შექმნილია მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. **საქონელი** (goods) – ყველაფერი, რაც იყიდება ბაზარზე, ე.ი. რაზეც მოთხოვნაა. უფრო ზუსტად, საქონელია შრომის პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას და წარმოებულია გაცვლისათვის, ბაზარზე გასაყიდად. საქონლის სპეციფიკური ფორმაა მომსახურება.

საქონელი – ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ზოგადად განისაზღვრება როგორც ბაზარზე სარეალიზაციო პროდუქტი, ყიდვა-გაყიდვის ობიექტი; 2. პროდუქტის ძირითადი სამომხმარებლო მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც აკმაყოფილებენ მყიდველის განსაზღვრულ მოთხოვნილებებს.

საქონელი – არის შესყიდული მარაგ-ნაწილები, რომლებიც პროდუქციის დამზადების და გაყიდვის პროგრამაშია ჩართული.

საქონელი – პროდუქტი, რომლის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება. მატერიალური და არამატერიალური ქონება, მათ შორის ელექტრო და თბოენერგია, გაზი, წყალი.

საქონელი – ყველაფერი, რამაც შეიძლება დააკმაყოფილოს საჭიროება ან მოთხოვნილება და შემოთავაზებულია ბაზარზე ყურადღების მიქცევის, შეძენის, გამოყენების, ან მოხმარების მიზნით, ფიზიკური ოპერაციების, მომსახურების, პირების, ადგილის ორგანიზაციებისა და იდეების ჩათვლით.

საქონელია – ყველაფერი, რამაც შეიძლება დააკმაყოფილოს საჭიროება ან მოთხოვნილება და მიეწოდება ბაზარს ყურადღების მისაპყრობად, შესაძენად, გამოსაყენებლადან მოსახმარად.

საქონელმოძრაობა – მასალების და მზა პროდუქციის წარმოშობის ადგილიდან მათი გამოყენების ადგილამდე ფიზიკური გადაადგილების დაგეგმვის ცხოვრებაში გატარების და კონტროლის საქმიანობა იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს მომხმარებლის საჭიროებები და საკუთარი სარგებლის მიღება.

საქონელმწარმოებელთა შესაძლებლობებისა და ბაზარზე – არსებული სიტუაციის შესაბამისობაში მოყვანა მარკეტინგის სტრატეგიაა. იგი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: 1. სასაქონლო პოლიტიკა; 2. ფასების პოლიტიკა; 3. მიმოქცევის არხებში საქონელმოძრაობის ანუ გასაღების პოლიტიკა; 4. მოთხოვნის ფორმირებისა და გასაღების სტიმულირების პოლიტიკა.

საქონელი გაფართოებით – გარანტიები, სერვისი, მიწოდება (მაგალითად, სარეცხი მანქანის სააბონენტო მომსახურება ბინაზე).

საქონელი და მომსახურება, რომლითაც ვაჭრობენ და რომლითაც არ ვაჭრობენ – საქონელი და მომსახურება რომლებიც მონაწილეობენ და არ მონაწილეობენ საერთაშორისო ვაჭრობაში.

საქონელი მარკირებულ სატრანსპორტო ტარაში – დაწყობილი ქვესადგამზე, მაგრამ შეუკვრელი ქვესადგამთან ერთად, ერთ მთლიანად გადაიქცევა მოსახერხებელ სატვირთო პაკეტად შემდგომი გადამუშავებისათვის (პარკირების ოპერაცია).

საქონელი რეალური შესრულებით – გარეგანი სახე, დამზადების მასალა, ერგონომიკა, ესთეტიკა (მაგალითად, სარეცხი მანქანის გაბარიტი, წონა და გარეგანი სახე).

საქონელი ჩანაფიქრის მიხედვით – საქონლის ფუნქციურ-

მახასიათებელთა ნაკრები (მაგალითად, სარეცხი მანქანის რეცხვის, გაწურვის, გაშრობის თვისება და სხვა).

საქონლის ბაზარი (Commodity market) – მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა. საქონლის ბაზარი მოიცავს წარმოების საშუალებებისა (საწარმოს შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, დანადგარების, ნედლეულის, სათბობის და ა.შ.) და საბოლოო მოხმარების საგნების (როგორც ყოველდღიური, ისე ხანგრძლივი მოხმარების საგნების) ფართო სპექტრს და, შესაბამისად, იყოფა ცალკეულ, უფრო ვიწრო ბაზრებად. საბოლოო მოხმარების საგნების ბაზარზე მოთხოვნის კონცენტრატის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე წარმოების საშუალებების ბაზარზე. სამაგიეროდ პირველი ხასიათდება უფრო მაღალი მოთხოვნის ელასტიკურობით. ამასთან საბოლოო მოხმარების საგნების ბაზარზე საქონლის რეალიზაციას ნაკლები შუალედური რგოლი სჭირდება, ვიდრე წარმოების საშუალებების ბაზარზე.

საქონლის ბაზრის – კონიუქტურაზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ფასების დონე, ფულის მიმოქცევის მდგომარეობა, მოსახლეობის შემოსავლების დინამიკა, საბანკო პროცენტის დონე, და კრედიტების რეჟიმი, დაბეგვრის ხასიათი, საინვესტიციო ბაზრის მდგომარეობა და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორს: საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქონლის ბაზრის დეფიციტის დაძლევასა და ინფლაციის დონის დაქვეითებას.

საქონლის ბირჟა – განსაზღვრავს საბირჟო გარიგებების (ხელშეკრულებების) რეგისტრაციისა და გაფორმების წესებს, აგრეთვე სანქციებს იმ მონაწილეთა მიმართ, რომლებიც ბირჟაზე ახერხებენ გარიგებების დადებას ,,კულისებში“, ე.ი. ღია ვაჭრობის გვერდის ავლით.

საქონლის ბირჟა (commodity cexchange) [ლათ. bursa საფულე] – საქონლის ბაზრის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი

რგოლი, ბაზრის ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა საბი-თუმო საქონლის ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილე-ბელი პირობების შექმნა. საქონლის ბირჟა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. იგი უზრუნველყოფს საბითუმო გარიგებებს და ორგანიზაციას უწევს საბირჟო ვაჭრობას, თვითონ არც ვაჭრობს და არც საშუამავლო საქმიანობას ეწევა. საბირჟო გარიგებები არ შეიძლება დაიდოს ბირჟის სახელით და მის ხარჯზე. ამგვარ გარიგებებს ბირჟის წევრები დებენ. საქონლის ბირჟის მომსახურეები არ შეიძლება იყვნენ მისი წევრები, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველო-ბის ორგანოები, ბანკები, სადაზღვევო საინვესტიციო კომპანიები, თუმცა ამ კომპანიებს უფლება აქვთ ითვლებოდნენ საქონლის ბირჟის საფონდო და სავალუტო განყოფილებების წევრებად.

უძრავი ქონება და ინტელექტუალური საკუთრება არ არის საბირჟო საქონელი. საბირჟო ვაჭრობისას შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გარიგებები: რეალური საქონლის ყიდვა-დაუყოვნებელი მიწოდებით; რეალური საქონლის ყიდვა-განვადებით მიწოდებით, ე.ი. მომავალი საქონლის, მაგალითად, მომავალი მოსავლის შეძენა; საქონლის მიწოდებაზე სტანდარტული კონტრაქტების, ე.ი. არა საქონლის, არამედ საქონლის მიწოდების შესახებ კონტრაქტების ყიდვა; მომავალში კონტრაქტის დადების უფლების ყიდვა.

საქონლის ბირჟაზე – მყიდველებისა და გამყიდველების სახელითა და დავალებით მოქმედებენ შუამავლები საბროკერო კანტორები, საბროკერო ფირმები და დამოუ-კიდებელი ბროკერები, დილერები. საქონლის ბირჟაზე ფასები თავისუფლად ფორმდება ვაჭრობის პროცესში. ფასების დონის ან მისი საზღვრების დადგენა საბირჟო ვაჭრობაში აკრძალულია. საქონლის ბირჟაზე დამოუკ-იდებლად განსაზღვრავენ იმ გადასახდელების სიდიდეს, რომელსაც იღებენ საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთაგან

გაწეული მომსახურებისათვის, შუამავლებისაგან საკომისიო სახით, აგრეთვე ჯარიმის საბირჟო ვაჭრობის წესების დარღვევისათვის და განასხვავებენ სპეციალიზებულ და უნივერსალურ ბირჟებს. სპეციალიზებული ბირჟებია: ფერადი ლითონების ბირჟა, ნავთობის ბირჟა, ბამბის ბირჟა და ა.შ.

საქონლის გადასაცემი ორდერი – საქონლის შემნახველზე გაცემული დოკუმენტია. იგი გაიცემა იმ მხარის მიერ, რომელსაც აქვს დოკუმენტში მითითებული საქონლის გაცემაზე განკარგულების გაცემის უფლება.

საქონლის გავრცელების მეთოდებში – იგულისხმება ის შესაძლო ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის მიტანას მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

საქონლისა და მომსახურეობის ბალანსი (balance of goods and services) – საქონლისა და მომსახურების (ტურიზმის, ტრანსპორტისა და ა.შ.) ექსპორტი, იმპორტი და სალდო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო წარმოება – როცა ტრანსევროპული კორპორაციების დედისეული კომპანიები და მათი საზღვარგარეთული ფილიალები პროდუქციას უშვებენ წარმოების ინტერნაციონალიზაციის ბაზარზე სახელმწიფო საზღვრის გადაღმა, ტექნოლოგიური ციკლების გაერთიანების და სხვადასხვა ქვეყნების ტრანსეროვნულ კორპორაციათა სისტემაში შემავალ საწარმოთა შორის საწარმოო ურთიერთობის გეოგრაფიულ მიმართულებათა გაფართოების გზით.

საქონლის დეკლარაცია საბაჟო ტრანზიტისათვის – დოკუმენტია, რომლითაც ტვირთის გამგზავნი იტყობინება საბაჟო ტრანზიტისათვის საჭირო მონაცემებს საქონლის შესახებ.

საქონლის ექსპორტის დროს – ხდება ნივთობრივი ფორმის საქონლის გატანა უცხოეთში, ხოლო იმპორტი ითვალისწინებს მის შემოტანას.

საქონლის თავისუფალი არჩევანი – მყიდველები თვითონ ეძებენ საქონელს თაროებზე, თუმცა შეუძლიათ დახმარებისთვის

საჭირო პერსონალს. ყიდვის პროცესი სრულდება მომხმარებელთა მიერ საქონლის ანაზღაურების მომენტში.

საქონლის კონკურენტუნარიანობა – ფარდობითი მახასიათებელი მაჩვენებელია. იგი მოიცავს საქონლის ხარისხობრივი და ეკონომიკური პარამეტრების კომპლექსურ შეფარდებას, რომელიც ხორციელდება ბაზრის მოთხოვნების ან სხვა საქონლის თვისებების მიმართ. კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს საქონლის პოზიციას ბაზარზე და შესაბამისად, იგი განიხილება მომხმარებლის თვალსაზრისით.

საქონლის კონკურენტუნარიანობის – ქვეშ იგულისხმება მისი უნარი იყოს მომხმარებლისათვის უფრო მიმზიდველი ანალოგიური სახის და დანიშნულების სხვა ნაკეთობასთან შედარებით, ვინაიდან მისი ხარისხობრივი და ღირებულებითი მახასიათებლები გაცილებით მეტად შეესაბამება მოცემული ბაზრის მოთხოვნებს და სამომხმარებლო შეფასებას.

საქონლის მახასიათებლები – ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებები ფლობენ სხვადასხვა შესაძლებლობებს დემონსტრაციის, თვალსაჩინო პრეზენტაციის და სხვა მიმართულებით. ქალის კაბები უკეთესია წარმოდგენილ იქნეს სრულფერადოვან ჟურნალებში, ხოლო ფოტოაპარატების დემონსტრირება ტელევიზიით.

საქონლის მიღება – ითვალისწინებს ხელშეკრულებაში მითითებულ მაჩვენებლებსა და ტექნიკურ პირობებთან საქონლის შესაბამისობის შემოწმებას.

საქონლის მიღების ხელწერილი (სასაწყობო ქვითარი) – პორტის, საწყობის (დეპოს) ან ტერმინალის ოპერატორის მიერ გაცემული დოკუმენტია, რომლითაც დასტურდება მასში მითითებული საქონლის შესანახად მიღება, დოკუმენტში აღნიშნული პირობების შესაბამისად, ან იმ პირობებით, რომლებიც მითითებულია (შენახვის ვადა, ანაზღაურება). ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ შესანახად მიღებული საქონელი შეტანილია საწყობის

წიგნში და იგი გაიცემა ან თვით მფლობელზე ან გადასაცემ წარწერაში მითითებულ პირზე.

საქონლის მიწოდება – ხელშეკრულების შესრულების მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელზედაც წარმოებს საქონლის (პროდუქციის ანდა მომსახურების) გამყიდველის (მიმწოდებლის) მიერ მყიდველზე საკუთრების გადაცემა (შემკვეთზე). საქონლის მიწოდების მიმართ მოთხოვნილებით (ხელშეკრულებით) ჩვეულებრივ გათვალისწინებულია მიწოდების საბაზისო პირობები, ტრანსპორტის სახე, გადაზიდვის ხერხი, საქონლის ჩაბარება, მიწოდების ვადები.

საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები (basis of deliveries) – სპეციალური პირობები საგარეო-სავაჭრო გარიგებებისას, რომელიც განსაზღვრავს და ერთმანეთისაგან გამიჯნავს საქონლის გადაზიდვისას გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებებს, ამასთან ადგენს მიწოდების ვადებს და საქონლის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში გამყიდველისაგან მყიდველზე რისკის გადასვლის მომენტს.

საქონლის მიწოდებაში – იგულისხმება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მისი ფლობის უფლების გადაცემა.

საქონლის მიმწოდებელი – ცნობილია კონსიგნანტის სახელწოდებით, ხოლო საწყობიდან საქონლის გამყიდველ შუამავალს ეწოდება კონსიგნატორი.

საქონლის მიმწოდებელი და მომხმარებელი – წარმოადგენს ორ მიკროლოგისტიკურ სისტემას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან განაწილების არხებით.

საქონელმოძრაობა – ტვირთის წაროშობის ადგილიდან გამოყენების ადგილამდე მისი ფიზიკური გადაადგილების დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის პროცედურასთან დაკავშირებული საქმიანობა, მომხმარებელთა საჭიროების დაკმაყოფილების და გადამზიდავისათვის მოგების მიღების მიზნით.

საქონელმოძრაობის ლოგისტიკა (მლს) – როგორც ლოგისტიკის ერთ-ერთი დარგი, სწავლობს მაკროლოგისტიკურ პროცესებს საქონელმოძრაობის სფეროში. დაკავშირებულია

სასაქონლო-მატერიალური და მათი თანმხლები საინფორ-მაციო, ფინანსური და სერვისული ნაკადების წინს-ვლასთან სასაქონლოსა და მომსახურების მწარმოებლიდან საბოლოო მომხმარებლამდე.

საქონლის და მომსახურების მსოფლიო ბაზარი - ფართო განსაზღვრით - საქონლისა და მომსახურების ეროვნული ბაზრების ერთობლიობა, ვიწრო განმარტებით - მხოლოდ იმ საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა რომელსაც ჰყიდიან და ყიდულობენ საგარეო ბაზარზე .

საქონლის მრავალფეროვნება – საქონლის ასორტიმენტის ფართო არჩევანი, რომელსაც უზრუნველყოფს მარკეტინ-გული არხი.

საქონლის მულტიატრიბუტიული მოდელი – წარმოადგენს საფუძველს მისი სრულყოფისათვის გადაწყვეტილებათა მისაღებად.

საქონლის პოზიციაში – იგულისხმება ადგილი, რომელსაც ის იკავებს მომხმარებლის ცნობიერებაში კონკურენტების ანალოგიურ საქონელთან შედარების საფუძველზე.

საქონლის პოზიციონირების – პროცესში მარკეტინგის სპეცია-ლისტები გამოვყოფთ პოზიციონირების შემდეგ სტრატე-გიებს: 1. პოზიციონირება საქონლის მახასითებლების მიხედვით; 2. პოზიციონირება მომხმარებლისთვის შეთა-ვაზებული სარგებლის მიხედვით; 3. პოზიციონირება კონკურენტების მიხედვით; 4. პოზიციონირება ფასისა და ხარისხის მიხედვით; 5. პოზიციონირება მომხმარებელთა განსაზღვრული ჯგუფების მიხედვით; 6. პოზიციონირება საქონლის წარმოშობის ქვეყნის მიხედვით; 7. პოზიციო-ნირება საქონლის ჯგუფისადმი მიკუთვნების მიხედვით; 8. პოზიციონირება საქონლის შემადგენლობის მიხედვით.

საქონლის პოზიციონირებაში – იგულისხმება სხვებისაგან მკვეთრად განსხვავებული საქონლისთვის ბაზარზე და მიზნობრივი მომხმარებლის ცნობიერებაში სასურველი ადგილის დაკავება.

საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საბაზრო ფასი – განისაზღვრება ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციის მომენტისათვის იდენტურ (ერთგვაროვან) საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე) დადებულ შესაბამის გარიგებათა შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

საქონლის საბოლოო ჩაბარება-მიღება – ითვალისწინებს დადგენილ ადგილსა და ვადაში მიწოდების ფაქტობრივ შესრულებას.

საქონლის საერთაშორისო – ყიდვა-გაყიდვაში მიწოდების ადგილი და დრო განისაზღვრება მიწოდების საბაზისო პირობებით. თუ საქონელზე არაა გაცემული კონოსამენტი, მყიდველისათვის საქონლის მიწოდების დამადასტურებელი ფაქტია გადამზიდავისათვის მისი ჩაბარება მყიდველისათვის მისი გადაცემის მიზანია.

საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტში – იგულისხმება მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. შესაბამისად, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი კომერციული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მხარეთა შორის ხელშეკრულებას საქონლის მიწოდების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე მათ შორის შეთანხმებული თანამდე მომსახურების განზომილების შესახებ.

საქონლის საშვი – დოკუმენტია, რომელიც იძლევა პორტის ან საბოლოო პუნქტის დაცული ტერიტორიიდან მასში მითითებული საქონლის გატანის უფლებას.

საქონლის სასიცოცხლო ციკლი – არის ბაზარზე საქონლის გამოჩენის მომენტიდან მისი სხვა უფრო სრულყოფილი საქონლით გამოდევნის მომენტამდე ანუ მისი მორალური ცვეთის პერიოდი.

საქონლის სასიცოცხლო ციკლი – დროის განსაზღვრული პერიოდი (ციკლი), რომელიც ასახავს ბაზარზე საქონლის გაყიდვის დინამიკას მისი წარმოებიდან, მოგების მიღებამდე (ხუთი ეტაპი). საქონლის დამუშავება, დანერგვა ბაზარზე, გაყიდვების მოცულობის ზრდა, სიმწიფის

(გაჯერების ეტაპი), გაყიდვების დაცემის ანუ ბაზრიდან საქონლის ელიმინაციის ეტაპი.

საქონლის სასიცოცხლო ციკლი – საქონლის გაყიდვებისა და მოგების მიღების განვითარების პროცესი, რომელიც შედგება 4 ეტაპისაგან: ბაზარზე გამოტანის (დანერგვის), ზრდის, სიმწიფის, გაჯერებისა და შემცირების ეტაპები.

საქონლის სრულყოფა – ფირმის საქმიანობა გასაღების გაზრდაზე ახალი ან გაუმჯობესებული საქონლის შექმნის გზით თავის არსებულ ბაზრებზე.

საქონლის სრულყოფის კონცეფცია გულისხმობს შემდეგს – მომხმარებლები ამჯობინებენ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას (საქონელს), რომელიც ფლობს საუკეთესო ან ახალ საექსპლოატაციო თვისებებს.

საქონლის სრულყოფის კონცეფცია – ეს არის მტკიცება იმისა, რომ მომხმარებელი კეთილგანწყობილია იმ საქონლისადმი, რომელიც ავლენს უმაღლეს ხარისხს, საუკეთესო საექსპლუატაციო მონაცემებს და თვისებებს; შესაბამისად ორგანიზაციამ თავისი ენერგია უნდა წარმართოს საქონლის მუდმივი სრულყოფისათვის.

საქონლის შემტანი – ქვეყნის მიერ აკრეფილი ბაჟი, შესატანი ბაჟი, ხოლო იმ ქვეყნის მიერ აკრეფილი ბაჟი, რომელზედაც ხდება საქონლის გადაზიდვა – სატრანსპორტო ბაჟია.

საქონლის ჩაბარებაში – იგულისხმება ექსპორტიორის (გამყიდველის) მიერ იმპორტიორის (მყიდველის) მფლობელობაში საქონლის გადაცემა ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობების შესაბამისად.

საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი (მოწმობა) – (ზოგადი ტერმინი) ექსპორტიორის ქვეყანაში კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული განსაკუთრებული დოკუმენტია, რომელიც იძლევა საქონლის განსაზღვრის შესაძლებლობას და რომელშიც ხელისუფლების ორგანოები ან მის გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანოები მკაფიოდ ადასტურებენ მოცემულ სერთიფიკატში მითითებული საქონლის კონკრეტული ქვეყნიდან წარმომავლობას. ეს სერთიფი-

კატი შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს დამამზადებლის, მწარმოებლის, მიმწოდებლის, ექსპორტიორის ან სხვა კომპეტენტური პირის დეკლარაციას. ტერმინში „ქვეყანა“ შეიძლება იგულისხმებოდეს ქვეყანათა ჯგუფი, რეგიონი ან ქვეყნის რომელიმე ნაწილი.

საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი – წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ცალსახად მოწმობს იმის შესახებ, რომ მითითებული პროდუქცია წარმოშობილია შესაბამისი ქვეყნიდან და შეიცავს: 1) გამგზავნის წერილობითი განცხადება იმის შესახებ, რომ პროდუქცია აკმაყოფილებს წარმოშობის შესაბამის კრიტერიუმს; 2) გამოტანის ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წერილობითი მოწმობა, რომელმაც გასცა სერთიფიკატი იმის შესახებ, რომ სერთიფიკატში მოყვანილი მონაცემები შეესაბამება სიმართლეს.

საქონლის ხარისხი – ტექნოლოგიური დონე (სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობა) და სამომხმარებლო საქმიანობა (საქონლის სამომხმარებლო თვისებები).

საქონლის ხარისხი (quality of products) – პროდუქციის ტექნიკურ ეკონომიკური და ესტეთიკური თვისებების ერთობლიობა, რომელიც მისი ვარგისიანობის დონეს განსაზღვრავს.

საქონლით ანაზღაურების კონტრაქტებში – ერთი ან რამდენიმე სახის საქონლის გაყიდვა ხდება სხვა საქონლის სანაცვლოდ. ამ სახის კონტრაქტებს მიეკუთვნება საქონელგაცვლის და საკომპენსაციო შეთანხმებები.

საყოველთაო ანუ მაკროეკონომიკური – წონასწორობა არის ერთდროულად ყველა ბაზარზე დამყარებული ეკონომიკური წონასწორობა.

საყოველთაო წონასწორობა (general eguilibrium) – სიტუაცია, როდესაც ქვეყანაში არსებული ყველა ბაზარი ერთდროულად იმყოფება წონასწორობის მდგომარეობაში, ანუ მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის ტოლია, ხოლო ფასები და გამოშვებული საქონლის რაოდენობა – უცვლელი.

ეკონომიკური სისტემების ანალიზისას ტრადიციულად გამოიყენება ორი მიდგომა.

1. **პირველი მიდგომა,** რომელიც შედარებით მარტივია, დაკავშირებულია ა. მარშალის სახელთან, ნაწილობრივ წონასწორობის, ანალიზთან და გულისხმობს ეკონომიკური სისტემის ელემენტის, მაგალითად, მარცვლეულის ბაზრის წონასწორობას.

2. **მეორე მიდგომა** გაცილებით რთულია, როგორც კონცეპტუალური, ისე მათემატიკური აპარატის გამოყენების თვალსაზრისით. იგი დაკავშირებულია ლ. ვალრასის სახელთან და გულისხმობს ეკონომიკური სისტემის, როგორც მთლიანის, შიგნით წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების რაოდენობისა და ფასების განსაზღვრას.

საშემოსავლო გადასახადი (income tax) – როგორც წესი, პროგრესული გადასახადი, რომლითაც იბეგრება დაუბეგრავ მინიმუმს ზევით ფიზიკურ პირთა გასული წლის ერთობლივი შემოსავლები. აიკრიფება ერთჯერადი გადახდის სახით. მისი განაკვეთი წლიური შემოსავლის სიდიდის მატებასთან ერთად იზრდება. საქართველოში 2005 წლის 1 იანვრიდან აღარ არსებობს დაუბეგრავი მინიმუმი, საშემოსავლო გადასახადი აღარ არის პროგრესული გადასახადი, მისი განაკვეთი იყო ფიქსირებული 12%. 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი, ხოლო საშემოსავლო გადასახადი გახდა 25%, ხოლო 2009 წლის 1 იანვრიდან -20%.

საშემოსავლო გადასახადის – თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს არამედ მთელი ოჯახის შემოსავალი ექვემდებარება გადასახადს.

საშიში ტვირთების – შეფუთვისა და მარკირებისათვის მიღებულია სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებები: ATR – საერთაშორისო შეთანხმება ტვირთების ტრანსპორტირების შესახებ; IMDG – საერთაშორისო საზღვაო კოდი საშიში ტვირთებისათვის; LATA – საერთაშორისო შეთანხმება საჰაერო გზით გადასაზიდი საშიში ტვირთების

მარკირებისათვის, საშიში ტვირთების შესახებ გაეროს გამოქვეყნებული აქვს ე.წ. „ნარინჯისფერი წიგნი“.

საშიში ტვირთი – ტვირთები, რომლებიც მათთან არასწორი მოპყრობისას გადაზიდვის, გადატვირთვის ანდა შენახვის დროს შეიძლება გახდეს აფეთქების, ხანძრის, ქონების დაზიანების, ადამიანის სიკვდილის მიზეზი. აკრძალულია ამ ტვირთების გადაზიდვაზე ჩვეულებრივი ტვირთების სახით წარდგენა. მაგალითად, თუ ასეთი ტვირთი სპეციალური შეტყობინების გარეშე იქნა გადატვირთული გემის ბორტზე, მაშინ კაპიტანს შეუძლია გადმოტვირთოს იგი ნებისმიერ პორტში, გაუვნებელყოს იგი, ანდა გაანადგუროს, მფლობელისათვის მათი ღირებულების რაიმე ანაზღაურების გადახდის გარეშე. მით უმეტეს, კაპიტანის მსგავსი მოქმედებები ანაზღაურებული უნდა იქნეს ტვირთის მფლობელის მიერ. კაპიტანმა შეიძლება აგრეთვე მიიღოს მსგავსი ზომები საშიში ტვირთების მიმართაც, რომელიც დატვირთულია გემზე მისი განკარგულების გარეშე.

საშუალო ინგლ. Average costs (AC) ეწოდება ხარჯებს – რომელიც მოდის წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. საშუალო ხარჯები(AC) იანგარიშება დანახარჯების (TC) გაყოფით წარმოებული პროდუქციის (Q) რაოდენობაზე.

საშუალო დანახარჯი (average cost-AC) – დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე, გამოითვლება მთლიანი დანახარჯის (TC) გაყოფით წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე. საშუალო დანახარჯი იყოფა მუდმივ საშუალო (AFC) და ცვალებად საშუალო (AVC) დანახარჯებად. **მუდმივი საშუალო დანახარჯი** გაიანგარიშება მუდმივი დანახარჯის გაყოფით წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობაზე. ფორმულით გამოისახება ასე: $AFC = \frac{FC}{Q}$; **ცვალებადი საშუალო დანახარჯი** გაიანგარიშება ცვალებადი დანახარჯის გაყოფით წარმოებული

პროდუქციის მთლიან მოცულობაზე. ფორმულით გამოისახება ასე: $AVC = \frac{VC}{Q}$.

საშუალო დონე – განისაზღვრება წელიწადნახევრის მანძილზე და ქვედა დონე განისაზღვრება 1 წლიდან 6 თვის მანძილზე.

საშუალო რგოლის ხელმძღვანელი – წარმოადგენს თავისებურ ბუფერს უმაღლესი და დაბალი რგოლის ხელმძღვანელებს შორის და პასუხს აგებს ოპერატიული გეგმების დამუშავებასა და რეალიზაციაზე.

საშუალო რემონტი – ეწოდება უფრო რთული და მეტი მოცულობის საგეგმო რემონტს.

საშუალო კურსი – ნაღდი უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი, რომელიც გამოითვლება როგორც მყიდველისა და გამყიდველის კურსების საშუალო არითმეტიკული.

საშუალო ნაკადს უჭირავს შუალედი – მსხვილსა და წვრილს შორის. მათ მიაკუთვნებენ ნაკადებს, რომლებიც წარმოქმნის ტვირთს და ეს ტვირთი მოდის ერთეული ვაგონებით ან ავტომობილებით. კუთრი წონის მიხედვით წარმოქმნილ ტვირთების ნაკადს მატერიალური ნაკადები ყოფს მძიმეწონიანად და მსუბუქწონიანად.

საშუალო ხარჯები – AC (Average Cost) ანუ ხარჯები პროდუქციის ერთეულზე, უდრის მთლიანი ხარჯების ჯამს გაყოფილს წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე.

საცდელი ბალანსი – წარმოადგენს მთავარი წიგნის ყველა ანგარიშის უბრალო ჩამონათვალს შესაბამისი სალდოს მითითებით. საცდელი ბალანსის შედგენის მიზანია, თავი მოუყაროს ყველა ანგარიშს და ამით გაადვილოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მეორე, შეამოწმოს დებეტებისა და კრედიტების ჩანაწერების ტოლობა.

საცალო ვაჭრობა – პროდუქტების გაყიდვა ცალობით ან მცირე რაოდენობით, უშუალოდ მომხმარებელზე.

საცალო ვაჭრობა (retail trice) – საქონლის მცირე რაოდენობით ან ცალობით უშუალოდ მომხმარებაზე მიყიდვა.

საცალო ფასი (retail price) – წესდება მოხმარებისათვის მცირე რაოდენობით გასაყიდ საქონელზე. საცალო ფასებით ვაჭრობენ არა მხოლოდ საცალო ქსელის ფუნქციებში, არამედ საამანათო წესით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე. საცალო ფასი აისახება საფირმო პრეისკურანტებში, მასობრივი მყიდველისათვის გამიზნულ ილუსტრირებულ კატალოგებში. საცალო ფასების მოძრაობა ყოველთვის არ ემთხვევა საბითუმო და საგარეო-სავაჭრო ფასებისას; ზოგჯერ მას შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულება ჰქონდეს.

საცალო ფასი – მოიცავს მრეწველობის გასაყიდ ფასსა და სავაჭრო დანამატს (კლებას).

საცალო ფასი – პროდუქტების რეალიზაციის ფასი უშუალოდ მომხმარებელზე. საბითუმო ფასს დამატებული იურიდიული ან ფიზიკური პირების ფასნამატი. სტრუქტურულად წარმოგვიდგება: წარმოების ხარჯებს+მოგება+ +საცალო ფასნამატი.

საცალო ფირმები (retailers) – ხშირად თვითონ (საიმპორტო და საბითუმო ფირმების გარეშე) ახორციელებენ საქონლის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს.

საცნობარო ფასი (published price) – ფასი, რომელიც ქვეყნდება ცალკეულ პერიოდულ გამოცემებში (საერთო-ეკონომიკურ და დარგობრივ ჟურნალებში, ბიულეტენებში, გაზეთებში), პრეისკურანტებში გამომცემლობების, სააგენტოების, ასოციაციების, მსხვილი კომპანიების მიერ გამოცემულ კატალოგებში. ჩვეულებრივ გამოითვლება როგორც ფაქტობრივი გარიგებების გასაშუალებული სიდიდე განსაზღვრულ ვადაში საექსპორტო შეფასების გათვალისწინებით. წარმოადგენს ორიენტირს გარიგების დადებისას. ამასთან საცნობარო ფასი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს სახელშეკრულებისაგან, რასაც განსაზღვრავს მოცემული საქონლის ბაზრის კონკრეტული პირობები.

საცნობარო ფასებს – მიეკუთვნება გაზეთებში, ჟურნალებში, სპეციალურ ბიულეტენებსა და საექსპორტო პრეისკურან-

ტებში გამოქვეყნებული საბითუმო ან საგარეო ვაჭრობის ფასებში.

საძირე – Pallet - ასაწევი, როგორც წესი, ხის ბაქანი, რომელიც აადვილებს ტვირთის გადატვირთვას. საძირეებს აქვთ სატრანსპორტო ზომები. ყველაზე ხშირად ევროპაში გამოიყენება საძირეები შემდეგი გაბარიტებით: 1000x1200 მ (ISO) და 800x1200მმ (CIN).

საწარმოს მმართველი პერსონალის – კადრების განყოფილების, საფინანსო განყოფილების, რეკლამის მუშაკთა ხელფასები არასაწარმოო ანუ პერიოდის ხარჯია და მოგება-ზარლის ანგარიშზე ჩამოიწერება.

საწარმოს ჯგუფს – უწოდებენ ძირითად და შვილობილ საწარმოებს ერთად.

საწესდებო კაპიტალად – იწოდება ის აქტივები, როდესაც სახელმწიფო საწარმოს დაარსებისთანავე გამოიყოფა საჭირო აქტივები ხანგრძლივი სარგებლობისათვის, მატერიალური და ფულადი ფორმით და ჩაიწერება ახლად დაარსებული საწარმოს წესდებაში.

საჭდე დამატებითი – ნაპოვნი, შეფერხებული ან მცდარი მისამართით გაგზავნილი ბარგის გასაფორმებლად და გასაგზავნად გაცემული საბუთი.

საჭდე ხაზთაშორისი – (საერთაშორისო საბარგო იდენტიფიკაციური საჭდე რამდენიმე გადამზიდველზე), ეძლევა მგზავრს გადამზიდველის მიერ აღრიცხული ბარგის ამოსაცნობად და მასში მითითებულია ერთ გადამზიდველზე მეტი.

სახაზინო თამასუქი – მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდია, რომელსაც მთავრობა საკუთარი ხარჯების დასაფარავად უშვებს.

სახელმწიფო ბიუჯეტი – სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი. მასში ნაჩვენებია სახელმწიფო შემოსავლების წყაროები და სახსრების ხარჯვითი არხები. სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის რეგულირების მთავარი ინსტრუმენტია. იგი ასრულებს

ალოკაციურ, გამანაწილებელ და სტაბილიზაციურ ფუნქციებს და შედგება შესაბამისი განყოფილებებისაგან.

სახელმწიფოს ლიკვიდური სახსრები – მოიცავს ცენტრალური ბანკისა და სტაბილიზაციის ფონდის რეზერვებს, რომელიც აუცილებელია საზღვარგარეთ დაგეგმილი სასაქონლო და საკრედიტო ოპერაციების მომსახურებისათვის. ოფიციალურ რეზერვებს მიეკუთვნება ოქროს მარაგი და კონვერტირებადი უცხოური ვალუტა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების სარეზერვო პოზიცია (ფონდის კაპიტალში ამ ქვეყნების შესატანი წილი, რომელიც შეიძლება გაასესხონ) და სახელმწიფოთაშორისი მოკლევადიანი კრედიტის სპეციალური სახე.

სსგ-ს წიგნაკი – საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ამარტივებს **სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას** ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ (ტვირთის სრული შემოწმების გარეშე).

სახელმწიფო საწარმოს მიეკუთვნება – სამრეწველო, სავაჭრო საწარმოები და მომსახურების სფეროს საწარმოები, რომლებიც ცენტრალურ-რესპუბლიკურ, სამხარეო, რაიონულ, მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენენ. სახელმწიფოს წილი მოცემულ საწარმოებში 100%-ს შეადგენს.

სახეობითი კონკურენცია – იმ საწარმოებს შორის ხორციელდება, რომელთა მიერ გამოშვებული საქონელი ერთი სახისაა (ე.ი. ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება), მაგრამ განსხ–ვავდება არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე პარამეტ–რით. ამის მაგალითია ერთი კლასის ავტომობილები, რომელთაც განსხვავებული სიმძლავრის ძრავა აქვთ. სახეობითი კონკურენცია ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე საგნობრივი.

სახიფათო ტვირთი – ნაწარმი ან ნივთიერება, რომელსაც ჰაერით გადაზიდვისას შეუძლია ჯანმრთელობის ან ქონებისათვის შექმნას მნიშვნელოვანი საფრთხე.

სახიფათო ტვირთები – ეწოდება ისეთ ტვირთებს, რომლებიც სახიფათოა და საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისა-

თვის, წარმოადგენს ლპობად და დასნებოვნებულ მასალებსა და საგნებს.

სახსრების საერთო ფონდის მეთოდი – ბანკის ლიკვიდობის მართვის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ბანკის სახსრების ყველა წყაროს გაერთიანებაში შემდგომში მათ მოსათავსებლად სახსრების საერთო ფონდში ისე, როგორც ამას ბანკი ამჯობინებს.

საწარმოო დანიშნულების საქონლის – სეგმენტაციის ძირითადი ფაქტორებია: 1. გეოგრაფიული; 2. ქცევითი; 3. ორგანიზაციული; 4. შესყიდვის პრაქტიკა.

საწარმოო დანიშნულების საქონლის მყიდველთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორებია – 1. გარე გარემოს ფაქტორები; 2. ორგანიზაციული ფაქტორები; 3. პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ფაქტორები; 4. პიროვნული ფაქტორები.

საწარმოო ზედნადები – ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც უშუალოდ პროდუქციის დამზადების პროცესის მომსახურებასა და მართვაზე იხარჯება. ასეთია: ძირითადი მანქანა-დანადგარების ცვეთისა და მოვლის ხარჯები, ძირითადი განყოფილებების მმართველი პერსონალის ხელფასი, საწარმოო დანიშნულების შენობის ცვეთისა და ექსპლუატაციის ხარჯები.

საწარმოო კონცეფცია – ერთ-ერთი საბაზრო თეორია, რომლის თანახმად მომხმარებლები ამჯობინებენ ხელმისაწვდომ პროდუქციას, როგორც ბაზარზე მისი არსებობის, ასევე ფასის მიხედვით.

საწარმოო ლოგისტიკა – არის პროდუქციის წარმოების, სამეურნეო ხელშეკრულებების შესაბამისად, ხარისხიანი, დროული და კომპლექსური უზრუნველყოფა, საწარმოო ციკლის შემცირება და წარმოებაზე დანახარჯების ოპტიმიზაცია.

საწარმოო ლოგისტიკა – წარმოებაში მატერიალური ნაკადების დაგეგმვა და კონტროლი.

საწარმოო მარაგი – არის ის მარაგი, რომლებიც საწარმოო დანიშნულებისათვის მატერიალური წარმოების სფეროს

ყველა დარგის საწარმოს მოეპოვება. საწარმოო მარაგების შექმნის მიზანია საწარმოო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

საწარმოო მარაგები – ნედლეულის, მასალებისა და სათბობის მარაგი, რომელიც იმყოფება საწარმოში და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის. აუცილებელი პირობაა საწარმოო პროცესის მსვლელობის უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის.

საწარმოო მასალები – ის მასალებია, რომლებიც მზა პროდუქციაში შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს, მონაწილეობს უშუალოდ ან ირიბად პროდუქციის გამოშვებაში.

საწარმოო მოხმარება – ესაა საზოგადოებრივი პროდუქტის მიმდინარე გამოყენება საწარმოო გამოყენებისათვის შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების სახით.

საწარმოო ოპერაციების ანალიზი – საწარმოო დავალებების სამუშაოს სოციალური და პირადი მახასიათებლების განსაზღვრა შრომის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

საწარმოო ფუნქცია – ორგანიზაციის საქმიანობის სახეები, რომელთა მეშვეობით იწარმოება საქონელი და მომსახურება გარე სამყაროსათვის მიწოდების მიზნით.

საწარმოო პერიოდის – ის ნაწილი, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ პროცესს, წარმოადგენს ტექნოლოგიურ დროს, ხოლო ტექნოლოგიური პროცესი ეწოდება პროცესს, რომელსაც შრომის საგანში შეაქვს ფიზიკურ-ქიმიური ან ფიზიკურ-მექანიკური ცვლილებები.

საწარმოო პროცესი – არის სამუშაო პროცესი, რომელიც უკავშირდება პროდუქციის წარმოებას. ხოლო მომსახურების სფეროს სამუშაო პროცესები კი უკავშირდება მომსახურების განხორციელებას. ხშირად მათ სერვისულ პროცესებსაც უწოდებენ.

საწარმოო პროცესის – ძირითადი შემადგენელი ნაწილია საწარმოო ოპერაცია. საწარმოო ოპერაცია ეწოდება საწარმოო პროცესის იმ ნაწილს, რომელიც ხორციელდება ერთ სამუშაო ადგილზე, მუშის ან მუშათა ჯგუფის მიერ.

საწარმოო პროცესის – დასრულების შემდეგ წარმოება იძულებულია შეინახოს საქონელი მის გადატვირთვამდე. ეს გამოწვეულია იმით, რომ წარმოების და მოხმარების ციკლები როგორც წესი იშვიათად ემთხვევა.

საწარმოო პროცესებში – პროდუქტის დამზადება სახის მიხედვით, ეს არის შეკვეთებზე და მარაგებზე ორიენტირებული. შეკვეთებზე ორიენტირებული პროცესები ფაქტიურად ხორციელდება საწარმოში მიღებული შეკვეთების მიხედვით, საწარმოო პროცესებისათვის აუცილებელია სტანდარტულად პროდუქციის დამზადებისათვის რესურსების მარაგების შექმნა, რის შედეგადაც მოხდება მომხმარებელთა მოთხოვნების შეკვეთების სწრაფად დაკმაყოფილება.

საწარმოო ციკლი – ესაა დროის პერიოდი წარმოების პროცესის დაწყების მომენტიდან დამთავრების მომენტამდე კონკრეტული პროდუქციის მიმართებაში ლოგისტიკური სისტემის ჩარჩოში.

საწარმოო ციკლი – ეწოდება დროს, რომელიც მოიცავს ნედლეულის ან ძირითადი მასალების წარმოებაში ჩაშვებით და მზა პროდუქციის დამზადებაზე განვლილ პერიოდს.

საწარმოო ციკლის – გაანგარიშება საშუალებას იძლევა გავითვალოთ პროდუქციის დამზადების დროს შემცირების მაჩვენებელი და დავსახოთ ამ მაჩვენებლის გამოყენების ღონისძიებები.

საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის – თანახმად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ინფორმაცია მხოლოდ საწარმოს ფინანსური ოპერაციების შესახებ.

საწარმოს ანგარიშსწორების – ანგარიშზე პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურებიდან მიღებული ამონაგები არა მარტო დანახარჯების ანაზღაურების წყაროს სახით, არამედ სახსრების დაგროვების წყაროს სახითაც გვემსახურება.

საწარმოს გასაყიდი – ფასი მოიცავს პროდუქციის მთლიან თვითღირებულებას და საწარმოს მოგებას.

საწარმოს ეფექტიანობა – გვიჩვენებს საწარმოო პროცესის ფაქტიური შედეგის დამოკიდებულებას შესაბამის ნორმასთან, საწარმოო პროცესის დახასიათებისათვის გამოიყენება დროის დანახარჯები, ესენია: დროის, ტექნოლოგიური ციკლის, ნაკეთობის დამზადების დრო, მოსამზადებელი, ოპერაციული დრო და სხვა.

საწარმოს ლიკვიდობის – ქვეშ გაიგება არსებული მოკლევადიანი ვალდებულებების აღსრულების შესაძლებლობა. საწარმო ითვლება ლიკვიდურად, თუ მას მიმდინარე აქტივების ხარჯზე შეუძლია თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულება.

საწარმოს მარკეტინგულ შესაძლებლობად – ითვლება მარკეტინგული ძალისხმევის ის მიმართულება, რომელიც მას უპირატესობას მოუტანს კონკურენტულ ბრძოლაში.

საწარმოს მოგების – სიდიდეზე, რომელიც მისი ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, სუფთა მოგების მეშვეობით უშუალოდ დაკავშირებული, ასევე კავშირის არ მქონე მრავალრიცხოვანი ფაქტორებით ახორციელებენ ზემოქმედებას.

საწარმოს მომწოდებლებია – სხვა საწარმოები და კერძო პირები, რომლებიც საწარმოს და მის კონკურენტებს ამარაგებენ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად საჭირო მატერიალური, ადამიანისტული და ფინანსური რესურსები.

საწარმოს პოლიტიკა – არის ჩამოყალიბებული დასკვნა, კონცეფცია რომელიც წარმართავს გადაწყვეტილებების მიმღებთა აზროვნებას.

საწარმოს რიტმული – მუშაობის ორგნიზაცია მოითხოვს საწარმოო პროგრამის ისეთ კალენდარულ განახლებას, რომელიც უზრუნველყოფს მარაგების საჭირო რაოდენობას.

საწარმოს საქმიანობის აქტიურობის ცნების ქვეშ – იგულისხმება საწარმოში არსებულ რესურსებში წინასწარ გაღებული, ანუ ავანსირებული, ანუ წინასწარ დაბანდებული სახსრების გამოყენების ტემპი, სიჩქარე.

საწარმოს ფინანსები – როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთავარი ინსტრუმენტი, გამოიყენება საბაზრო ეკონომიკაში დარგობრივი პროცენტების რეგულირებისათვის, ცალკეული დარგების განვითარების დაჩქარებისათვის, კვლავწარმოქმნის პროცესის და მისი მოთხოვნილების რეგულირებისათვის.

საწარმოს ფინანსები – თავისთავად ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნული შემოსავლის და მთლიანი შემოსავლის, ფულადი დაგროვებისა და ფინანსური რესურსების შექმნასთან, განაწილებასთან და გამოყენებასთან არის დაკავშირებული.

საწარმოს ფინანსები – იგივე ფუნქციებს ასრულებს, რასაც სახელმწიფო ფინანსები ახორციელებენ, როგოროცაა: განმანაწილებელი და საკონტროლო, მაგრამ ამასთან მათი საქმიანობის სფერო უფრო ფართოა.

საწარმოს (კორპორაციის) ფინანსები – ეკონომიკური და ფულადი ურთიერთობებია, რომელიც უშუალოდ ფულის მოძრაობის შედეგად წარმოიშობა და მის საფუძველზე საწარმოებში სხვადასხვა სახის ფულადი ფონდები იქმნება.

საწარმოს ფინანსების ფუნქციებს – მიეკუთვნება: საწარმოს ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის ფუნქცია, განმანაწილებელი ფუნქცია, რომლებიც მთლიანობაში ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

საწარმოს ფინანსური ანალიზი – არის საწარმოს ფინანსების მართვის სისტემა, რომელსაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად წარმოების საბოლოო შედეგებზე მათი ეფექტური ზემოქმედების მიზნით, ფულადი სახსრების ფონდების შექმნისა და ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის დანიშნულება გააჩნია.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს – მისი გადახდის უნარიანობისა და მომგებიანობის უნარს. საწარმოს ფინანსური სტაბილურობა მის მყარ ფინანსურ მდგომარეობას ნიშნავს. თუკი საწარმო გამუდმებით (მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში) შეუფერხებლად ფარავს დავალიანებებს და არის მომგებიანი, მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და მასთან ურთიერთობა ყველა სფეროში უსაფრთხოა.

საწარმოს ფინანსური მექანიზმი – არის საწარმოს ფინანსების მართვის სისტემა, რომელსაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად წარმოების საბოლოო შედეგებზე მათი ეფექტური ზემოქმედების მიზნით, ფულადი სახსრების ფონდების შექმნისა და ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის დანიშნულება გააჩნია.

საწარმოს ფულადი სახსრებით – უზრუნველყოფის ფუნქცია მჭიდრო კავშირშია საწარმოს ფინანსების განმანაწილებელ ფუნქციასთან, რომელიც ფინანსური მექანიზმების მეშვეობით ხორციელდება.

საწარმოს ღირებულება – რამდენადაც თითოეული საწარმოს მიზანს საკუთარი ღირებულების მაქსიმიზაცია წარმოადგენს, ფინანსისტის როლი მდგომარეობს ფასეულობების შემქმნელი კაპიტალდაბანდებებისა და სახეობის ინვესტიციებისა და დაფინანსების ხერხების მოძიებაში, რომლის მეშვეობითაც საწარმოს უფრო მაღალი ღირებულების უზრუნველყოფა იქნება მიღწეული.

საწარმოს ღირებულების მაქსიმიზაცია - ნიშნავს საწარმოს ხელმძღვანელობამ ისეთი სახის ფინანსური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, რომლებიც საწარმოს ღირებულების მაქსიმალურ გადიდებას უწყობს ხელს.

საწარმოები საკუთრების შერეული ფორმით – შეიძლება შექმნილი იქნეს სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე, სადაც მონაწილეობას ღებულობს კერძო, უცხოური, ან სამამულო კაპიტალი. ამასთან სახელმწიფო შეიძლება 51% და მეტი

მოცულობის აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობდეს, ან თავის კაპიტალით საწარმოს საქმიანობაში უბრალოდ მონაწილეობდეს.

საწარმოთა ვერტიკალური კომბინირება – გულისხმობს ფირმის შემადგენლობაში საწარმოო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე მყოფი საწარმოების გაერთიანებას. ჰორიზონტალური კომბინირების დროს ყველა საწარმო წარმოების ერთ სტადიაზე იმყოფება, ხოლო კონგლომეტარული ფირმები მოიცავენ სხვადასხვა დარგებსა და ბაზრებზე მოქმედ საწარმოებს.

საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების – შესადარისობა თვით საწარმოების შესადარისობაზეა დამოკიდებული. რაც უფრო განსხვავდება საწარმოები ერთმანეთისაგან წარმოებული პროდუქციის სახეების მიხედვით, მით ნაკლებია შესადარი მაჩვენებლების რაოდენობა შედარებისათვის.

საწარმოთა მოწყობილობა – პროდუქციის დამზადების და ა.შ. რესურსების გამოყენების შესაძლებლობები განსაზღვრავენ ამ რესურსის სამსახურის ვადას. საქმიანობის რენტაბელობა – მოგების დახარჯულ კაპიტალთან შეფარდების შედეგის შეფასების სიდიდე.

საწარმოთა შემოსავალზე გადასახადი – საქართველოში მოგების გადასახადის გადამხდელებია ყველა სამეურნეო სუბიექტი მიუხედავად საკუთრების ფორმებისა. აღნიშნული გადასახადის დაბეგვრის ობიექტია საწარმოს საბალანსო მოგება. კანონის თანახმად, გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებულია ინვალიდთა დაწესებულებები, საქართველოს საპატრიარქო, თავდაცვის ფონდი, ახლად შექმნილი ყველა საწარმო რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ 50% -მდე და ა.შ. გარდა ამისა, მოგება მცირდება იმ დარჩენილი მოგებიდან. შეღავათები ეწევათ იმ საწარმოებს, რომლებ-

მაც წლიური საბუღალტრო ანგარიშის მიხედვით წინა წელს ნახეს ზარალი და ა. შ.

საწარმოთა შესადარისობის ხარისხი – მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის სახეობებით და ტექნოლოგიით განისაზღვრება, რადგან იგი გავლენას ახდენს ყველა ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

საწარმოთაშორისი ანალიზი წარმოადგენს – საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის გაგრძელების დამასრულებელ საფეხურს, როგორც კომპანიების, ისე სამინისტროების და დეპარტამენტების დონეზე. იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც რომელიმე ინვესტორს სურს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება ახალი პროექტების განხორციელებისათვის, ალტერნატივებიდან არჩევანის გაკეთებისათვის, საქმიანი ურთიერთობების დასაწყებად საწარმოს შერჩევისათვის და ა.შ.

საწარმოში ლოგისტიკის საინფორმაციო უზრუნველყოფა – ინფორმაციის გადამუშავების, აღრიცხვის, ანალიზისა და პროგნოზის სამუშაოთა კომპლექსი წარმოადგენს მართვის სისტემის ელემენტების დაგეგმვის, კონტროლისა და რეგულირების ინტეგრაციის ინსტრუმენტს.

საწესდებო კაპიტალი – საწარმოს საკუთარი სახსრების ძირითადი წყაროა.

საწესდებო კაპიტალი – არის მფლობელის მიერ ბიზნესში ჩადებული (ჩვეულებრივ ნაღდი ფულით) ინვესტიცია. მაგალითად, თუ თქვენი ფირმა გაყიდის კომპანიის აქციებს საჯარო შეთავაზების საფუძველზე, ფული, რომელსაც აქედან მიიღებს, იქნება საწესდებო კაპიტალი.

საწესდებო კაპიტალი (nominal capital) – ფულადი სახსრები ან ფულადი ფორმით გამოხატული მატერიალური და არამატერიალური ფასეულობები, რომლებსაც დამფუძნებლები აბანდებენ საწარმოთა შესაქმნელად. მასში შედის: შენობანაგებობები, მოწყობილობები, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, ინტელექტუალური საკუთრების

ობიექტები - პატენტები, ლიცენზიები, პროექტები და ა.შ. საწესდებო კაპიტალი ბალანსის პასივში აისახება.

საწყობი – შენობა, აღჭურვილობა, მოწყობილობა და ა.შ., სადაც დროებით ათავსებენ და დროებით ინახავენ მატერიალურ მარაგს, რომელიც შემდეგ გარდაიქმნება მატერიალურ ნაკადად.

საწყობები – არის შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომლებიც საქონლის განვითარების, შენახვის, მოხმარებისათვის სათანადო ფორმით მომზადებისა და მომხმარებლამდე მიწოდებისათვის არის განკუთვნილი.

საწყისი დანახარჯები – მოიცავს დანახარჯებს მომუშავეთა მოძიებაზე, დაქირავებასა და საწყის სწავლებაზე. შერჩევასა და დაქირავებაზე დანახარჯებში იგულისხმება დანახარჯები, რომლებიც გაწეულია ორგანიზაციაში მიღებული მომუშავის მოძიებასა და შერჩევასთან, მისთვის სამუშაო ადგილის მიცემასთან და მომზადებასთან, სამუშაოს დაწყებასთან დაკავშირებულ პროცესებთან.

საწყისი ფასის შენარჩუნება – ლიდერს შეუძლია მიბაძოს კონკურენტს, თუ: 1. დანახარჯების სიდიდე მცირდება წარმოების დაცემასთან ერთად; 2. არსებობს ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკარგვის საშიშროება, ვინაიდან მყიდველები მგრძნობიარენი არიან ფასის მიმართ; 3. ბაზრის წილის აღდგენას თან ახლავს დიდი სიძნელეები, მაგრამ ფასების შემცირება გამოიწვევს ლიდერის მოგების შემცირებას მოკლევადიან პერიოდში მაინც.

საწყისი ფასის შენარჩუნება – ლიდერ კომპანიას შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ფასი და მოგების სიდიდე, თუ ჩათვლის, რომ: 1. ფასის შემცირება გამოიწვევს მოგების მკვეთრად შემცირებას; 2. ფასის შენარჩუნება არ გამოიწვევს ბაზრის წილის მნიშვნელოვან დაკარგვას; 3. აუცილებლობის ბაზრის წილის სწრაფად დაბრუნება წინანდელ პოზიციაზე. საწყისი ფასის შენარჩუნების ნეგატიურ შედეგებს განეკუთვნება შემდეგი: შემტევი (აგრესიული)

კომპანია იძენს რწმენას თავის მოქმედებებში, სავაჭრო პერსონალი აღმოჩნდება დემორაზილებული და ლიდერი კარგავს ბაზრის დიდ ნაწილს, ვიდრე იგი ვარაუდობდა. ლიდერი იწვევს პანიკას, ამცირებს ფასს, რომ დაიბრუნოს წინანდელი პოზიციები და აქ გებულობს, რომ საბაზრო პოზიციების აღდგენა უფრო რთულია, ვიდრე მას ეჩვენება.

საჭიროება, – რომელიც სპეციფიკურ ფორმას იღებს ინდივიდის კულტურული დონის და პიროვნების ხასიათის მიხედვით, არის მოთხოვნილება.

საჭიროება მარკეტინგის – ამოსავალი იდეაა. საჭიროებაში იგულისხმება ადამიანის მიერ რაიმეს ნაკლებობის განცდილი გრძნობა.

სახელმწიფო ავიაცია – ავიაცია, რომელიც გამოიყენება სამხედრო, საპოლიციო და საბაჟო მომსახურების მიერ.

სახელმწიფო აქცია (refistered chare, stock) – აქცია, რომლის მფლობელი მითითებულია აქციაზე და მფლობელის სახელით შეტანილია აქციონერული საზოგადოების რეესტრში. მისი მოძრაობა ფიქსირდება აქციონერული საზოგადოების აქციების რეგისტრაციის ბლანკზე. აქციონერული საზოგადოების წესდება შეიძლება მოიცავდეს დამატებით წესებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოების მიერ გამოშვებული სახელობითი აქციების მოძრაობას.

სახელმწიფო ბიუჯეტი (state budget) – ფინანსური სისტემის ცენტრალიზებული ფონდი, სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეული პერიოდისათვის. მასში ნაჩვენებია სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯვითი არხები. სახელმწიფო ბიუჯეტს ადგენს მთავრობა, მიიღება და მტკიცდება უმაღლესი საკანომდებლო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტი – წარმოადგენს სახელმწიფოს ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მიმდინარე წლის ძირითად ფინანსურ გეგმას რომელსაც კანონის ძალა აქვს.

სახელმწიფო ბიუჯეტის – შემოსავალი იქმნება შემდეგი ძირითადი წყაროების ხარჯზე. პირდაპირი გადასახადი მოგებაზე; შრომის ანაზღაურების სიდიდეზე დამოკიდებულებით ამოღებული გადასახადი (მათ შორის ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი); **დღგ**-ზე გადასახადი; აქციზი; ლიცენზირებისა და რეგისტრაციის მოსაკრებლები; საქონელსა და მომსახურებაზე გადასახადი; საგარეო ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების გადასახადი (მათ შორის, საბაჟო გადასახადი იმპორტზე); სპეციალური გადასახადი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების სტიმულირებისათვის (მიზნობრივი საბიუჯეტო ფონდებიდან); სხვა გადასახადები და მოსაკრებლები; არასაგადასახადო შემოსავლები (შემოსავლები სახელმწიფო მმართველობის სუბიექტების საქმიანობიდან; სახელმწიფო ქონების, მათ შორის, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო მარაგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი; მიწისა და არამატერიალური რესურსების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავალი; კაპიტალური ტრანსფერების შემოსულობანი არასახელმწიფო წყაროებიდან; ადმინისტრაციული გადასახადები; საჯარიმო სანქციები; სპეციალურ მომსახურებაზე მოსაკრებელი; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლები; საგადასახადო ორგანოების ანგარიშზე შემოსულობანი; სხვა არასაგადასახდო შემოსავლები) აუნაზღაურებელი გადარიცხვები: არარეზიდენტებიდან, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებიდან, სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასვლის – (ხარჯების) ძირითადი არხებია: სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ხარჯები; სასამართლო ხელისუფლების ხარჯები; ეროვნული თავდაცვის ხარჯები; სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სამართლდამცავი ორგანოების ხარჯები; მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობის ხარჯები; მრეწველობის

ენერგეტიკისა და მშენებლობის ხარჯები; სოციალური პროგრამების და ფინანსების ხარჯები; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ხარჯები; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯები; საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები; განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის ხარჯები; სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები; მიზნობრივი საბიუჯეტო ფონდები და ა.შ.

სახელმწიფო დაკვეთა (state order) – ეკონომიკური და სოციალური განვითარების ნაწილი, რომელსაც დირექტიული ხასიათი აქვს. სახელმწიფო ამ გზით ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. სახელმწიფო დაკვეთა ეძლევათ არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ საკუთრების სხვა ფორმით არსებულ საწარმოებსაც. სახელმწიფო დაკვეთისას გარანტირებულია პროდუქციის რეალიზაცია.

სახელმწიფო დახმარება განვითარებისათვის – ტრანსფერტი (გადაცემა) განვითარებად ქვეყნებში შეღავათიან პირობებში ან უსასყიდლოდ ფინანსური თუ სხვა რესურსებისა სახელმწიფოთაშორისი პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო დონეზე პერსონალზე დანახარჯებს –გამსხვილებულად ასეთი სახე აქვს: ეკონომიკაში დასაქმებულთა ხელფასის ფონდი, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან გაწეული დანახარჯები მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკურ განვითარებაზე, პროფესიული კვალიფიკაციის მიღებასა და ამაღლებაზე, გადახდებზე ავადმყოფობისას, მარტოხელა დედებზე და ა.შ.

სახელმწიფო ვალი (state debt) – სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი, სავალო ვალდებულებათა ჯამი მათზე საპროცენტო გადასახდელებით, რომელიც მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის. არსებობს სახელმწიფო შიგა და საგარეო ვალი.

სახელმწიფო კანონიერების დაცვის პრინციპი. მენეჯმენტის სისტემა მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს და პასუხობდეს სახელმწიფო კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სახელმწიფო კრედიტი – ერთი მხრივ სახელმწიფოს, კერძოდ, მის სახელისუფლებო და მმართველობით ორგანოებს, და მეორე მხრივ ფულადი ურთიერთობების სისტემაა რომელშიც სახელმწიფო გამოდის მსესხებლის აგრეთვე კრედიტორისა და გარანტიის როლს. სახელმწიფო კრედიტი, როგორც ფინანსური კატეგორია ორ ძირითად - ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებს. ზოგიერთი მეცნიერი-ეკონომისტი მას მესამე და მეოთხე კერძოდ, განმანაწილებლობით და კონტროლის ფუნქციასაც აკუთვნებენ.

სახელმწიფო კრედიტი – ფულად (ეკონომიკურ) ურთიერთობათა სისიტემაა რომელიც ყალიბდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების სესხად გაცემისას ერთი მხრივ სახელმწიფოს კერძოდ მის სახელისუფლებო და მმართველობით ორგანოებსა და მეორე მხრივ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის ვადიანობის უკან დაბრუნების სარგებელის მიღებისა და უზრუნველყოფის (მატერიალური ან არა მატერიალური აქტივებით) პირობებით.

სახელმწიფო კრედიტი – არის სახელმწიფოსა, მისი სახელისუფლებო და მმართველობითი ორგანოების სახით, ერთი მხრივ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის და მეორე მხრივ ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომლის დროსაც სახელმწიფო მსესხებლის, კრედიტორებისა და გარანტორის როლში გამოდის.

სახელმწიფო კრედიტი – კრედიტის ეს ფორმა გამოხატავს საკრედიტო ურთიერთობების ისეთ ერთობლიობას, რომელშიც კრედიტორის როლში სახელმწიფო გამოდის. სახელმწიფო კრედიტი სასესხო კაპიტალის მოძრაობის ერთ-ერთი ფორმაა. იგი უმთავრესად ემსახურება ფულადი სახსრების მიზიდვას სამხედრო ხარჯების, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად და ა.შ. სახელმწიფო კრედიტი განაპირობებს სახელმწიფო ვალის ზრდას.

სახელმწიფო კრედიტი – როგორც ეკონომიკური კატეგორია ფინანსებისა და კრედიტის შესაყარზე იმყოფება და იგი მათ თვისებებს ათავსებს.

სახელმწიფო კრედიტი – როგორც ფინანსური სისტემის რგოლი ცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირებას ემსახურება. როგორც ფინანსური კატეგორია სახელმწიფო კრედიტი ასრულებს როგორც გამანაწილებელ, ასევე საკონტროლო ფუნქციასაც.

სახელმწიფო კრედიტის – მართვას საქართველოში ერთობლივად ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი ახორციელებენ.

სახელმწიფო მოხმარება (state consumption, expenditures) – სახელმწიფო სამომხმარებლო ხარჯები. მოიცავს კერძო სექტორში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების გარკვეულ ნაწილს, საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვისათვის, თავდაცვისა და დაზღვევისათვის გაწეულ ხარჯებს.

სახელმწიფო რეგულირება (state control) – სახელმწიფო მიზანმიმართული ზემოქმედება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე გარკვეული პროცესების შენარჩუნების, ეკონომიკური მოვლენების შეცვლის ან მათი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით. ამისათვის გამოიყენება ღონისძიებათა სისტემა, რომლითაც შეიძლება სამეურნეო სუბიექტების ქცევის პირდაპირი რეგლამენტირება ან ზემოქმედება საზოგადოებრივ წარმოებაზე არაპირდაპირი გზით, ეკონომიკური მეთოდების სისტემის მეშვეობით. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზემოქმედების ადმინისტრაციულ მეთოდებთან, ხოლო მეორეში – ეკონომიკურ რეგულატორებთან (ფასი, გადასახადები, საბანკო პროცენტი, პრეფერენციები, სანქციები და სხვა).

სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულება (state promissory note) – სახელმწიფოს ვალი მოსახლეობისადმი. მიმოქცევაში გაშვებული სამთავრობო ქაღალდების ერთობლიობა. იყოფა საბაზრო და არასაბაზრო კატეგორიებად. საბაზრო

კატეგორიას მიეკუთვნება ხაზინის თამასუქი, საშუალო ვადიანი ხაზინის თამასუქი და ხაზინის ობლიგაცია. არასაბაზრო საგადასახადო ვალდებულებებიდან (არასაბაზრო ფასიანი ქაღალდები) ყველაზე გავრცელებული ფორმაა შემნახველი ობლიგაცია. ამ ვალდებულებებს მიეკუთვნება აგრეთვე სამთავრობო ანგარიშების სერიები, უცხოური სამთავრობო სერიები, ხელშეკრულების ადგილობრივი ორგანოების სერიები და ა.შ.

სახელმწიფო საკუთრება – არის ქვეყნის მოქალაქეთა საერთო კუთვნილება, რომელსაც ხალხის სახელით განაგებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოები.

სახელმწიფო სესხები – რიგი ნიშნების მიხედვით შეიძლება იქნეს კლასიფიცირებული: განთავსების ადგილის მიხედვით – შიდა და გარე განსათავსებელი, სუბიექტების მიხედვით – მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი, შემოსავლის განსაზღვრის მეთოდის მიხედვით - ვალდებულება მყარი ან მცურავი შემოსავლით.

სახელმწიფო სუბსიდიებში – იგულისხმება საქონელმწარმოებელთა დანაკარგების კომპენსაცია ფულადი სახსრების პირდაპირი გაცემით, მაგრამ ხშირად იგი ხორციელდება სხვა სახის დახმარებით.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები – წარმოადგენენ გრძელვადიან სავალო (სასესხო) ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიცემა მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად.

სახელმწიფო ფინანსები (public finane) – ტრადიციული სახელწოდება მთავრობის საქმიანობისა ფულადი სახსრების აკრეფასა და ხარჯვასთან დაკავშირებით. ჩვეულებრივ ასეთი საქმიანობა მოიცავს სულ ცოტა სამ ფუნქციას: რესურსების ალოკაციას, შემოსავლების განაწილებას და სტაბილიზაციას. სახელმწიფო ფინანსები დაკავშირებულია სახელმწიფო სექტორის მრავალმხრივ ეკონომიკურ საქმიანობასთან. უკანასკნელ პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფო ხარჯებისა და შედეგების

ანალიზმა და გამოსაშვები პროდუქციის ფინანსურმა დაგაგმვამ.

სახელმწიფო ფინანსები – ეს არის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ყალიბდება სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების განხორციელებისას გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად საჭირო ფულადი ფონდების შექმნის მიზნით ერთობლივი ეროვნული პროდუქტის განაწილებისა და მოხმარების პროცესში.

სახელმწიფოს ფინანსური სისტემა – არის სხვადასხვა სფეროს ფინანსური ურთიერთობის ერთობლიობა, რომელთა პროცესში ფულადი სახსრების ფონდების შექმნა და გამოყენება ხორციელდება.

სახელმწიფო შიგა ვალი – სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისაგან აღებული ვალია. სახელმწიფო საგარეო ვალი სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთ, სხვა ქვეყნებისაგან აღებული ვალია, რომელიც გულისხმობს მსესხებელი ქვეყნის სავალო ვალდებულებას გამსესხებელი ქვეყნის მიმართ.

სახელმწიფოს ვალი – ეს არის ფედერალური მთავრობის ბიუჯეტების ყველა დადებითი სალდოს საერთო დაგროვილი თანხა ყველა დეფიციტის გამოკლებით, რომელიც ქვეყანაში იყო. ბიუჯეტური დეფიციტის წარმოქმნის დროს მთავრობამ დამატებით უნდა დაბეჭდოს ფული ან „ისესხოს“ მოსახლეობისაგან. დაგროვილ ნასესხებ თანხას სწორედ მთავრობის ანუ სახელმწიფო ვალი ეწოდება.

სახელმწიფოს ლიკვიდური სახსრები (state liguidity of assets) – მოიცავს ცენტრალური ბანკისა და სტაბილიზაციის ფონდის რეზერვებს, რომლებიც აუცილებელია საზღვარგარეთ დაგეგმილი სასაქონლო და საკრედიტო ოპერაციების მომსახურებისათვის. ოფიციალურ რეზერვებს მიეკუთვნება ოქროს მარაგი კონვერტირებადი უცხოური ვალუტა, საერთაშორისო ფონდის წევრი ქვეყნების სარეზევრო პოზიცია (ფონდის კაპიტალში ამ ქვეყნების შესატანი წილი, რომელიც შეიძლება გაასესხონ) და სახელმწი-

ფოთაშორისო მოკლევადიანი კრედიტის სპეციალური სახე.

სახელმწიფოს როლი სოციალურ-შრომით ურთიერთობებში – განპირობებულია შემდეგი ფუნქციებით: საკანონმდებლო, უფლება დამცველი, მარეგულირებელი, დამქირავებელი, მშვიდობის მყოფელ-გამაწონასწორებელი.

სახელმწიფოს ფიასკო (govemment failure) – სიტუაცია, რომლის დროსაც სამთავრობო პოლიტიკა იწვევს რესურსების არაეფექტიან გამოყენებას.

სახელმწიფოს შემოსავალი ფულის ბეჭდვისაგან (seigniorage) – წმინდა შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, მიღებული მიმოქცევაში დამატებითი ფულადი სახსრების გამოშვების გზით. ჰიპერინფლაციის პერიოდში, ინტენსიური ფულადი ემისიის შედეგად, აღწევს ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქციის მოცულობის 12%-ს.

სახელმწიფო შესყიდვა (government purchases) – საქონლისა და მომსახურების შესყიდვა სამთავრობო სექტორის მიერ, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტის გასვლის მუხლებში.

სახელმწიფოებრივი ბანკროტობა – სახელმწიფოს სრული ან ნაწილობრივი უარი საგარეო და საშინაო ვალების გადახდაზე; სახელმწიფო ფინანსების კრიზისის გამოვლენის უფრო მკაფიო ფორმა. ძირითადი მიზეზები – სახელმწიფო ფინანსების მოშლა, რომელიც გამოწვეულია განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებით (მაგალითად, ომით), ციკლური კრიზისებით, ჭარბწარმოებით, პასიური სავაჭრო და საგადასახადო ბალანსებით.

სახელმწიფოთაშორისო საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი – ტრანსეროვნული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა შექმნეს სამთავრობათაშორისი შეთანხმების ბაზაზე.

სახელშეკრულებო ვერტიკალური მარკეტინგული სისტემა (ვმს) დამოუკიდებელი ერთობლიობა დაკავშირებული

სახელშეკრულებო დამოკიდებულებით და თავიანთი საქმიანობის საკორდინაციო პროგრამებით ერთობლივი დიდი ეკონომიკის და ან დიდი კომერციული შედეგების მისაღწევად, რასაც ისინი ვერ მიაღწევდნენ ცალ-ცალკე.

სახელობითი მისამართიანი საჭდე – ბარგის მფლობელის ამოსაცნობად გამოყენებული საერთაშორისო საჭდე.

სახეობითი კონკურენცია – ფორმა თავის კონკურენტებად მიიჩნევს ყველა ფირმას, რომლებიც იბრძვიან ერთი და იგივე მომხმარებლების ფულისათვის. ამ პოზიციიდან Volkswagen-ის მეტოქეა ყველა ფირმა, რომლებიც ყიდიან ხანგრძლივი გამოყენების სამომხმარებლო საქონელს და ახალ სახელებს. ფულის ინკასაციას, შენახვასა და გაცემას უკავშირდება.

საჯარო ანგარიშგება – საწარმოს (ფირმის), კომპანიის ღია ბუღალტრული ანგარიშგება.

საჯარო ბირჟები –დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის.

საჯარო ფასიანი ქაღალდები – ფასიანი ქაღალდები, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.

საჰაერო გადამყვან-გადამზიდველი – საავიაციო საწარმო (საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი), რომელიც იჯარით ან საკუთრების უფლებით თავის გამგებლობაში ფლობს საჰაერო ხომალდს, ახორციელებს ფრენას ექსპლუატანტში მითითებული პირობების შესაბამისად და აქვს სათანადო ლიცენზია.

საჰაერო კოდექსი (1996 წ) – ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც შეიცავს საჰაერო სივრცის გამოყენების, საჰაერო მიმოსვლისა და ფრენის უსაფრთხოების რეგულირების ნორმებს. საჰაერო სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება საერთაშორისო კონვენციები, კერძოდ ჩიკაგოს კონვენციით საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ (1944 წ) და ორმხრივი შეთანხმებები. **საჰაერო მოძრაობა** - ჰაერში მყოფი და აეროდრომის სამიმოსვლო ფართობზე მოძრავი ყველა საჰაერო ხომალდი.

საჰაერო მოძრაობის არე – დადგენილი ზომების საჰაერო სივრცე, სადაც საჰაერო მოძრაობის ორგანო ახორციელებს თავის დანიშნულებას.

საჰაერო სატრანსპორტო საშუალებები – თვითმფრინავები, შვეულმფრენები, დირიჟაბლები, პლანები, საჰაერო ბურთები, სამაშველო პარაშუტები, საფრენი აპარატები და სხვა საფრენად განკუთვნილი საშუალებები.

საჰაერო სივრცის ზედამხედველი – სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებელია საკუთარი მიწაწყლის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეში ჰაერნაოსნობაზე.

საჰაერო ტრასა – დედამიწის ზედაპირის ზემოთ დადგენილი საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებში სრულდება ფრენები, უზრუნველყოფილია აეროდრომებითა და საჭირო სახმელეთო სამსახურებით.

საჰაერო ტრანსპორტი – ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა რომელსაც გადაჰყავს მგზავრები, გადააქვს ტვირთი და საფოსტო გზავნილები ასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. საჰაერო ტრანსპორტი ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წ.) წლებში გაჩნდა.

საჰაერო ტრანსპორტი – ტვირთის მიწოდების ყველაზე მაღალი სიჩქარე; უსაფრთხოება.

საჰაერო ხაზი – ორ ან მეტ პუნქტს შორის სატრანსპორტო თვითმფრინავების რეგულარული ფრენების დამტკიცებული მუდმივი მარშრუტი, რომელიც უზრუნველყოფილია თვითმფრინავების ფრენების და საჰაერო გადაზიდვებისათვის აეროდრომებითა და საჭირო სახმელეთო მოწყობილობებით.

საჰაერო ხაზი – სატრანსპორტო თვითმფრინავების რეგულარული ფრენის დადგენილი მარშრუტი, რომელიც უზრუნველყოფილია აეროდრომებითა და უსაფრთხო აფრენა-დაჯდომისათვის აუცილებელი მიწისზედა მოწყობილობებით (რადიოშუქურები, გამოსაცნობი ნიშნები და სხვა.

საჰაერო ხომალდი – ნებისმიერი აპარატი, რომელიც ატმოსფეროში მდებარეობას ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად ინარჩუნებს, დედამიწიდან არეკლილ ჰაერთან ურთიერთქმედების გამოკლებით. საჰაერო ხომალდები გადაზიდვის სახეების მიხედვით დაჯგუფებულია შემდეგნაირად: სამგზავრო საჰაერო ხომალდები, რომლებიც ძირითადად კონსტრუირებულია და გაწყობილია ადამიანებისა და მასთან თანმხლები ბარგის გადასაყვან-გადასაზიდად; წმინდა საჰაერო ხომალდები, რომლებიც გაწყობილია ადამიანებისა და მასთან თანმხლები ბარგის გადასაყვან-გადასაზიდად; წმინდა სატვირთო საჰაერო ხომალდები, რომლებიც გაწყობილია მხოლოდ ტვირთის გადასაზიდად (თუმცა ასევე შეიძლება გადაყვანილი იქნეს ტვირთის თანმხლები პირებიც); კომბინირებული საჰაერო ხომალდი, რომელსაც შეუძლია გადაზიდოს, როგორც მგზავრები, ასევე ტვირთი.

საჰაერო ხომალდის გატაცება – სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტი, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვეციებით კვალიფიცირებულია, როგორც მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული. საჰაერო ხომალდის გამტაცებლის გადაცემას დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ან უსათუოდ მის დასჯას სისხლის სამართლის წესით ითვალისწინებს ჰააგის (1970 წ) და მონრეალის (1971 წ) კონვენციები.

საჰაერო ხომალდის ეკიპაჟი – პირები რომელთაც საფრენოსნო დავალების შესრულებისას საჰაერო ხომალდის მართვა და მომსახურების განსაზღვრული მოვალეობები აკისრიათ.

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სტატუსი – მოცემულ სახელმწიფოში რეგისტრირებულ ავიაკომპანიის სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრული ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ.

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სტატუსი – მოცემულ სახელმწიფოში რეგისტრირებული ავიაკომპანიის სამართ-

ლებრივი მდგომარეობა, განსაზღვრული ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ.

საჰაერო ხომალდის მეთაური – შეფ-პილოტი, რომელიც ფრენის შესრულების დროს პასუხს აგებს საჰაერო ხომალდის მართვასა და მის უსაფრთხოებაზე.

საჰაერო ხომალდის ოპერაცია – ეს მაჩვენებელი არის აეროპორტში საჰაერო ხომალდის აფრენა-დაფრენა. აეროპორტის მეშვეობით გადაზიდვების მოცულობის აღრიცხვისთვის ერთი ჩამოსვლა და ერთი გამგზავრება ითვლება, როგორც ორი ოპერაცია.

საჰაერო ხომალდის რეესტრი – ყველა სამოქალაქო საჰაერო ხომალდის, რომელიც ეკუთვნის ექსპლუატანტს და გამოიყენება სამოქალაქო ავიაციის მიზნებისათვის ოფიციალურად ტარდება სახელმწიფო რეესტრში.

საჰაერო ხომალდის რეესტრი – ყველა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების ოფიციალური სახელმწიფო რეესტრი რომლებიც ეკუთვნის ექსპლუატანტებს და გამოიყენება სამოქალაქო ავიაციის მიზნებისათვის.

საჰაერო ხომალდები – კლასების მიხედვით დაჯგუფებულია შემდეგნაირად: პირველი კლასის, რომლის მაქსიმალური ასაფრენი წონა აღემატება 75 ტონას; მეორე კლასის, მაქსიმალური ასაფრენი წონა შეადგენს 30-დან 75-მდე ტონას; მესამე კლასის, რომლის მაქსიმალური ასაფრენი წონა შეადგენს 10-დან 30-მდე ტონას; მეოთხე კლასის, რომლის მაქსიმალური წონა არ აღემატება 10 ტონას.

სეზონური მარაგები – წარმოიქმნება წარმოების პროდუქციაზე მოთხოვნილებების ან ტრანსპორტირების სეზონური ხასიათის შემთხვევაში.

სეზონური უმუშევრობა – დაკავშირებულია ეკონომიკის ზოგიერთ დარგში წარმოების სეზონურ ხასიათთან (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება, მათი პირველადი გადამუშავება და ა.შ.).

სეგმენტი – აღნიშნავს ბაზრის ნაწილს (რეგიონს, მომხმარებელთა ჯგუფს, საქონლის ან მომსახურების ჯგუფს), რომელიც

საერთო ნიშან-თვისებებით შეგვიძლია დავახასიათოთ. სეგმენტაციას საფუძვლად უდევს მეტად განსხვავებული ნიშან-თვისებები: სამართლებრივი, ეკონომიკური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ქცევითი და სხვა. იურიდიული სტატუსის მიხედვით ყველაზე უფრო საფუძვლიანია ბაზრის სეგმენტაცია. იგი გულისხმობს საწარმოებისა (იურიდიული პირები) და მოსახლეობისათვის (ფიზიკური პირები) განკუთვნილი მომსახურების ბაზრების გამოყოფას. დასავლეთის ქვეყნების მრავალი საკრედიტო ინსტიტუტი შემდეგ ინსტიტუციურ ჯგუფებს გამოყოფს: 1) მოსახლეობა (საოჯახო მეურნეობა); 2) საწარმოები; 3) საზოგადოებრივი ორგანიზაციები; 4) ფინანსური ინსტიტუტები.

სეგმენტს, – რომელსაც საწარმო ანიჭებს უპირატესობას და რომელშიც იწყებს მუშაობას, მიზნობრივი სეგმენტი ჰქვია.

სეგმენტირება დემოგრაფიული ნიშნის – მიხედვით ნიშნავს ბაზრის დაყოფას სხვადასხვა ჯგუფებად ისეთი ცვლილებების (ფაქტორების) შესაბამისად როგორიცაა ასაკი, ოჯახის სიდიდე, მისი სასიცოცხლო ციკლი, სქესი, შემოსავლის დონე, საქმიანობის სახე, განათლება, რელიგიური რწმენა, ეროვნულობა და სხვა.

სეგმენტირების უკანასკნელ დონეზე – განიხილავენ „ერთი ადამიანის სეგმენტს“ „კასტომიზირებულ მარკეტინგს: ანუ პერსონალურ მარკეტინგს“.

სეკვესტრი – რაიმე სახის ქონებაზე სახელმწიფოს მიერ დადებული ყადაღა, მისი გამოყენების აკრძალვა ან შეზღუდვა.

სეკვესტრი (sequester) – 1. სპეციალური საბიუჯეტო მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ბიუჯეტის დეფიციტის დონის გადაჭარბების შემთხვევაში და გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯების (გარდა დაცვითი მუხლებისა) პროპორციულ შემცირებას მიმდინარე ფინანსური წლის დარჩენილი დროის განმავლობაში; 2. რაიმე ქონებით სარგებლობის ან განკარგვის აკრძალვა ან კიდევ სახელმწიფო ან სასამართლო ორგანოების მიერ.

სეკიუტერიზაცია – (ინგლ. securties - ფასიანი ქაღალდი) - ფასიანი საქაღალდეების გამოყენების გაფართოება რეგულირებისა და სასესხო კაპიტალის მოძრაობის ინსტრუმენტად.

სელექციური რისკი – ფასიანი ქაღალდების ხარისხს ეხება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო კონკრეტული ფასიანი ქაღალდის შერჩევის პოლიტიკა ფასიანი ქაღალდების პორთფელის ფორმირების დროს.

სელექციური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა –შესაძლებლობას აძლევს ცენტრალურ ბანკს მოახდინოს არჩევითი ზემოქმედება მოცემული მიმართულებით. მისი ჩატარებისას პრაქტიკაში გამოიყენება ინსტრუმენტების შემდეგი ნაკადები, ან მათი შეხამების მრავალფეროვნება: სააღრიცხვო და გასანაღდებელი ოპერაციების (მაგალითად დარგების რეგიონების მიხედვით და ა.შ.) ლიმიტების დადგენა; ბანკების (მათი დაჯგუფებების) ოპერაციების ცალკეული სახეების ლიმიტირება; სხვადასხვაგვარი ფინანსური საკრედიტო ოპერაციების ჩატარებისას მარჟის დადგენა; მსესხებელთა ცალკეული კატეგორიებისათვის სესხების ცალკეული სახეების გაცემის პირობების რეგლამენტაცია; საკედიტო ზღვრების დადგენა და ა.შ.

სემანტიკა – სიტყვების და მათი მნიშვნელობის გამოყენების ხერხის შესწავლა.

სემანტიკური ბარიერები – 1. ინფორმაციის გადაცემისას იყენებენ გარკვეულ სიმბოლოებს – სიტყვებს, ჟესტებს, ინტონაციებს. ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლა სწორედ ამ სიმბოლოებით ხორციელდება. ინფორმაციის გამგზავნი შეტყობინებას ვერბალური და არავერბალური სიმბოლოების დახმარებით ახორციელებს. მოცემულ შემთხვევაში, სიმბოლოების მაგივრად სიტყვების გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს; 2. სემანტიკა სიტყვებისა და მნიშვნელობების გამოყენების საშუალებებს სწავლობს. მისი ცოდნა აუცილებელია, რადგან სხვადასხვა ხალხისათვის ერთნაირ სიტყვებს (სიმბოლოებს)

სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, 79-მდე მნიშვნელობა აქვს სიტყვა „round”-ს (წრე მრგვალი...); 3. სემანტიკური ვარიანტები ხშირად ხდება არასწორი გაგების მიზეზი, რადგან ბევრ შემთხვევაში ის მნიშვნელობა, რომელიც სიმბოლოს მიენიჭა, ზუსტად განსაზღვრული და გასაგები არ არის. მაგალითად, თუ ხელმძღვანელი თავის ხელქვეითს ეუბნება, რომ მისი ანგარიში „ადექვატურია“, მას შეიძლება მხედველობაში ჰქონდეს, რომ ანგარიში სრულიად პასუხობს მიზნებს. ხელქვეითმა კი სიტყვა „ადეკვატური“ შეიძლება ვერ გაიგოს, კერძოდ, მას შეიძლება დაებადოს კითხვა, რისი ადეკვატურია იგი (კარგი ანგარიშის თუ ცუდად შესრულებული ანგარიშის); 4. სემანტიკური ბარიერები უამრავ პრობლემას ქმნის იმ კომპანიებში, სადაც მრავალი და განსხვავებული ეროვნების ადამიანი მუშაობს. საქმე ის არის, რომ ერთიდაიგივე სიტყვა სხვადასხვა ეროვნების ადამიანის მიერ ერთნაირად არ აღიქმება. მაგალითად, ფირმა „ჯენერალ მოტორსმა“ ლათინური ამერიკის ბაზარზე გასაყიდად გაიტანა თავისი ახალი მოდელი „ჩევი ნივა“ რომელსაც გასაღების მხრივ პრობლემები შეექმნა. როცა ამის გამო გამოკვლევები ჩატარდა, გაირკვა, რომ სიტყვა „ნოვა“ ესპანურად ნიშნავს - „იგი არ მოძრაობს“. იაპონელები ხშირად იყენებენ სიტყვას „ხაი“, რომელიც ითარგმნება როგორც „დიახ“, რაც სინამდვილეში ნიშნავს „მე თქვენ გაგიგეთ“ და არა „მე თქვენ გეთანხმებით“. ამიტომაა, რომ კულტურათა შორის განსხვავებანი (სემანტიკური ბარიერები) საქმიან მოლაპარაკებებს სერიოზულად ართულებენ.

სერვისი – ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მანქანების, მოწყობილობების, ტრანსპორტის საშუალებების გასაღებისა და ექსპლუატაციის მომსახურების კომპლექსს.

სერვისული ბიზნესი – წარმოადგენს კლიენტებთან კონკრეტული მომსახურებას ან მომსახურების ნაკრების შეთავაზებას

მაგალითად, ასეთი სერვისული კომპანიებია: ბანკები, საავადმყოფოები, ავიახაზები, იურიდიული ფირმები, რესტორნები და სხვა. სერვისულ ბიზნესში შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის მოსახურება: პირველი სერვისული მომსახურება საწარმოს გარემოში და მეორე მომსახურება კლიენტის გარემოში – ე. ი. ამ შემთხვევაში მომსახურება სრულდება კლიენტის მუდმივ ადგილსამყოფელში.

სერვისული ლიზინგისას – მოწყობილობის გამართვას, მომსახურებას და სპეციალისტების სწავლას ლიზინგგამცემი უზრუნველყოფს.

სერვისული ობიექტი – საწარმო, რომელიც ასრულებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვას, რემონტს, დიაგნოსტიკურ და სხვა სამუშაოებს.

სერიული წარმოება – სამრეწველო წარმოების ტიპი, რომელიც გამოირჩევა გამოშვებული ნაწარმის ვიწრო ნომენკლატურით, ერთგვაროვანი პროდუქციის დიდი რაოდენობითა და რეგულარული დამზადებით. ხასიათდება სამრეწველო ნაწარმის შეფარდებით შეზღუდული და პერიოდულად განმეორებადი ან ცვალებადი ნომენკლატურის დამზადებით.

სერთიფიკატი – არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ბანკში შეტანილი ანაბრის ოდენობას და მეანაბრის (სერთიფიკატის მფლობელობას) უფლებას, დაწესებული ვადის ამოწურვის შემდეგ მიიღოს ანაბრის თანხა და სერთიფიკატით განპირობებული პროცენტები სერთიფიკატის გამცემ ბანკში ან მის ნებისმიერ ფილილში.

სერთიფიკატი – განსაზღვრული საქმიანობის უფლების მიმნიჭებელი სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა (მოწმობა).

სერთიფიკატი (UNCTAD) – საქონლის წარმოშობის განსაკუთრებული სერთიფიკატია, რომელიც მოიცავს პრეფერენციების საერთო სისტემის ჩარჩოში გათვალისწინებული პრეფერენციული რეჟიმის მოქმედებას დაქვემდებარებულ საქონელს (შეიცავს საქონლის წარმოშობის დეკლარაციისა და სერთიფიკატის გაერთიანებულ ბლანკს, A ბლანკი).

სერთიფიკატი – 1. საქონლის წარმოების სერთიფიკატი (მოწმობა), რომელიც ადასტურების საქონლის მწარმოებელ ქვეყანას, ანუ რომელი ქვეყნიდან შესრულდა ექსპორტი; 2. მოწმობა, რომელიც ადასტურებს საქონლის ხარისხს, მის შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან.

სერთიფიკატი (certificate)[ლათ. certum- სწორი უტყუარი, faccre – კეთება] – 1. საფინანსო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მისი მფლობელი აქციის, ობლიგაციის და სხვა ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ, რომლებიც ინახება ან საკრედიტო დაწესებულებაში, ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმში, ან კიდევ დაცულია ჩანაწერების სახით შესაბამისი დაწესებულებების წიგნებში (არასაბაზრო ფასიანი ქაღალდები); 2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აქციონერული საზოგადოების რეგისტრაციას შესაბამის სახელმწიფო საფინანსო ორგანოებში; 3. საკრედიტო დაწესებულებების საანაბრო მოწმობა ამ დაწესებულებაში ფულადი სახსრების დეპონირების შესახებ (დეპოზიტური სერთიფიკატი), გაიცემა მეანაბრის სახელზე. მასში მითითებულია მეანაბრის უფლება დეპოზიტზე, დეპოზიტის ოდენობა, მისი ვადა და პროცენტის (სარგებლის) სიდიდე; 4. მთავრობის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ობლიგაციური სესხების სახეობა, გამოშვებული მცირე კუპიურებით, შემნახველი სერთიფიკატი, რომელსაც ავრცელებენ შემნახველი დაწესებულებები; 5. სადაზღვევო სერთიფიკატი – დოკუმენტი, რომელსაც გასცემს მზღვეველი დამზღვევის სახელზე სადაზღვეო პოლისის ნაცვლად; 6. სინჯის სერთიფიკატი – ძვირფასი ლითონის სინჯის დამადასტურებელი მოწმობა; 7. საგარეო ვაჭრობის პრაქტიკაში – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აქცეპტის ან სასაქონლო დოკუმენტების გადახდისათვის აუცილებელი საქონლის ამა თუ იმ პარამეტრებს, ხარისხის სერთიფიკატი, საქონლის წარმოების სერთიფიკატი, წონის სერთიფიკატი და ა.შ. ბოლო ხანს ძალზე გაიზარდა საქონლის

ხარისხის სერთიფიკატის მნიშვნელობა ნაწარმის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. სერთიფიკატის საერთაშორისო და ევროპულ ცენტრებში ხარისხის სერთიფიკატის მიღება მნიშვნელოვანი რეკლამაა და ხელს უწყობს ექსპორტის გაფართოებას; 8. საინვესტიციო სერ-თიფიკატი – ფასიანი ქაღალდი ,,კაპიტალური" ფასიანი ქაღალდების ჯგუფიდან, რომელიც წარმოადგენს წილს (მონაწილეობას) საინვესტიციო ფონდში ანუ ფასიანი ქაღალდების პორტფელში. საინვესტიციო სერტიფიკატის მფლობელი იღებს გასაშუალებულ შემოსავალს საინვეს-ტიციო ფონდში თავისი წილიდან, ამასთან იგი დაცულია პროცენტთან, დივიდენდთან და ვალუტის კურსთან დაკავშირებული რისკისგან, რომელიც განსაკუთრებით დიდია ფასიან ქაღალდებში სახსრების არაპროპორციული დაბანდებისას, აგრეთვე სახსრების ინვესტირებისას ფასიანი ქაღალდების ერთ რომელიმე სახეობაში.

სერთიფიკაცია (cerification)[ლათ. certum - სწორი, უტყუარი, facere - კეთება] – რწმუნებული ორგანოების მიერ სტან-დარტების სავალდებული მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დოკუმენტური დადასტურება.

სერიულობა – დაკავშირებულია სტანდარტულობასთან, როდე-საც შეიძლება ფასიანი ქაღალდების გამოშვება ერთგვარო-ვანი სერიებით და კლასებით.

სენიორაჟი (seigniorage) [ფრანგ. sagniorage ბაჟი ფულის ბეჭვდის უფლებისათვის] – მოგება, რომელსაც ხაზინა იღებს ფულის გამოშვების შედეგად. უდრის ფულის ნომინალურ ღირებულებასა და ემისიის ხარჯებს შორის სხვაობას. ფაქტობრივად, მოსახლეობის ხელთ არსებულ ფულზე გადასახადი. ჰიპერინფლაციის პირობებში სახელმწიფოს შემოსავლის მთავარი წყარო.

განვითარებულ ქვეყნებში სენიორაჟი **მშპ**-ის 1-1,5%-ს შეადგენს. ინფლაციურ ეკონომიკებში იგი დიდ საფრთხეს ქმნის, რადგან მაღალი ინფლაცია ნაკლებად მიმზიდველს

ხდის ვალუტას და ამცირებს სენიორაჟით მისაღები მომავალ შემოსავალს.

სესხი (berrowing) – ფულადი სახსრების მიღება ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ვადით და უკან დაბრუნების პირობით. განასხვავებენ უპროცენტო, შეღავათიან და კომერციული პირობით გაცემულ, აგრეთვე შიგა და საგარეო სესხებს. სესხი ფართოდ გამოიყენება სახლმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაგალითად, უცხოეთის ქვეყნებისაგან აღებული კრედიტებით იქმნება სახელმწიფოს საგარეო ვალი.

სესხი – აქტივების მაჩვენებელი (კოეფიციენტი) Debt/Assets Ratio ეს კოეფიციენტი ზომავს თუ სესხის რა წილი მოდის აქტივებზე.

სესხის მარყუჟი – სიტუაცია, როცა ახალ საგარეო სესხებს მეტწილად იყენებენ წინათ აღებული სესხების, კრედიტებისა და ვალის დასაფარად.

სესხი უძრავ ქონებაზე – ან იპოთეკური ობლიგაციები მათი მფლობელებისათვის მიცემული დამატებითი გარანტიებია, ვინაიდან მათი უზრუნველყოფისათვის გამოიყენება იპოთეკა ფირმის მთელ საკუთრებაზე ან მის ნაწილზე. პირველი იპოთეკური ობლიგაცია ითვლება კაპიტალის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო და პირველი კლასის დაბანდებად. თუ ობლიგაციების ჩაქრობის ვადისათვის ფირმას ნაღდი სახსრები არ გააჩნია, პირველი იპოთეკური ობლიგაციების მფლობელებს სხვა კრედიტორებთან შედარებით კანონით აქვთ უპირატესობა. გასაყიდად განკუთვნილ დაგირავებულ აქტივებზე, რომელთა გაყიდვიდან ამონაგები თანხა უნდა წავიდეს ვალის დასაფარავად.

სესხი ფიქსირებული გადასახადით – ასე ეწოდება მსესხებელზე გაცემულ თანხას, რომელიც თანაბარი წილის სახით უნდა იქნეს გადახდილი ყოველ თვე დადგენილი დროის განმავლობაში. ამასთან გადასახდელის ყოველი წილი შედგება ნომინალისა და პროცენტის ნაწილისაგან.

სესხების რეპატრიაცია (repatriation of loans) – ქვეყანაში ემიტირებული იმ ობლიგაციების დაბრუნება, რომლებიც გავრცელებული იყო უცხოელ მსესხებლებს შორის, ამ ობლიგაციების სახელმწიფოს ან მისი მოქალაქეების მიერ გამოსყიდვის გზით.

სესხების სპეციალური უფლება CDP – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მისი მონაწილე ქვეყნებისათვის ემიტირებული სპეციალური საერთაშორისო ვალუტა სახელმწიფოთა შორის ანგარიშსწორებისათვის. მაგრამ სესხების სპეციალურმა უფლებებმა ვერ შეავიწროვეს დოლარი და სხვა საკვანძო ვალუტები საერთაშორისო სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობა და ოფიციალურ რეზერვებში.

სექიურიტიზაცია – ფასიანი ქაღალდების გამოყენების გაფართოების პროცესი ინსტრუმენტის სახით, რომელიც გამოხატავს სასესხო კაპიტალის მოძრაობას. უფრო კონკრეტულად ეს არის ტრადიციული საბანკო კრედიტებისა და მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდების დეპოზიტების შეცვლა სესხებით, დეპოზიტური სერთიფიკატებით და კომერციული ქაღალდებით.

სექტორი – სახალხო მეურნეობის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია სხვა დარგებისაგან სოციალური თავისებურების ან საკუთრების ფორმით. მაგალითად, კერძო ან საზოგადოებრივი სექტორი და სხვა.

სექტორული ეკონომიკა (sectoral economy) – განსაზღვრული ეკონომიკური ნიშნებით ცალკეულ სექტორებად დაყოფილი ეკონომიკა. მაგალითად, დარგობრივ ჭრილში – აგრარული სექტორი, ინდუსტრიული სექტორი, მომსახურების სექტორი; საკუთრების ფორმების მიხედვით – სახელმწიფო სექტორი, კერძო სექტორი, შერეული სექტორი; როგორც სამეურნეო საქმიანობის, ისე თეორიული თვალსაზრისით – მიკროეკონომიკა, მეზოეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მეგაეკონომიკა.

სვიტჩი – კონტრაქტებით მიწოდების (დამზადების) ვადის შეცვლა ურთიერთხელსაყრელ პირობებში.

სვიფტი – ბანკთაშორისი ფინანსური კომუნიკაციების მსოფლიო საზოგადოება – წარმოადგენს წევრი ბანკების ასოციაციას, რომლის მიზანი არაა მოგების მიღება. ასოციაციის მთავარი ოფისი განლაგებულია ქ. ბრიუსელში.

სვოპი – ორ მხარეს შორის შეთანხმება ფულადი გადახდების გაცვლის შესახებ მომავალში განსაზღვრული პერიოდისათვის. სვოპი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მხარეებს შორის დადებული მოცემული შეთანხმების ფორვარდული კონტრაქტების პორტფელი.

სვოპი (swap)[ინგ. swap გაცვლა] – 1. ეროვნული ვალუტის უცხოურზე გაცვლის ოპერაცია განსაზღვრულ ვადაში უკუგაცვლის ვალდებულებებით. ახორციელებენ ცენტრალური ბანკები; 2. ფასიანი ქაღალდების ერთდროული გაცვლითი ოპერაცია.

სვოპი (swap) – ეწოდება მიმდინარე (ნაღდ) ბაზარზე განხორციელებულ ვალუტის გაცვლას, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებას მომავალ პერიოდში ამ ვალუტის უკუგაცვლის შესახებ.

სვოპ გარიგება – იყიდება ეროვნული ვალუტის შესახებ იმ პირობით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება შებრუნებული ოპერაცია.

„სვოპ“ ტიპის ოპერაციები – ასეთი ოპერაციები გულისხმობს უცხოური ვალუტის ყიდვას ,,სპოტ“ პირობით და იმავდროულად საპირისპირო ოპერაციის განხორციელებას ,,ფორვარდ“ პირობით. ამ გარიგების შედეგად ბანკები იძენენ ვალუტას, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის და ამავე დროს ახორციელებენ თავიანთი სავალუტო რეზერვების დივერსიას, ინარჩუნებენ რა „დახურულ“ სავალუტო პოზიციებს.

სვოპების შენახვა – სვოპების შენახვა. (ინგლ. Warehousing of swaps) არის სვოპის შესახებ ბანკთან ხელშეკრულების დადება და მისი დაზღვევა (ჩვეულებრივ, ფიუჩერსებით)

იმ მომენტამდე, ვიდრე ბანკი არ გამოძებნის სვოპის შესახებ ხელშეკრულების მეორე მხარეს. გარიგებას დებენ მოთხოვნით და ამიტომ მისი დადების მომენტში მეორე მხარის არსებობა აუცილებელი არაა.

სიახლეთა კონკურენცია – ე.ი. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საქონლის სამომხმარებლო თვისებების სრულყოფა. ამ სახის კონკურენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს იმ პირობებში, როცა მუდმივად ხდება საქონლის ასორტიმენტის განახლება, კარგად ჩანს საქონლის სიცოცხლის ციკლის შემცირების ტენდენცია. ამის გამო მონოპოლისტს არ შეუძლია უსაფრთხოდ გრძნობდეს თავს, რადგანაც კონკურენციის საფრთხე სრულიად მოულოდნელი მხრიდან შეიძლება გაჩნდეს. ამიტომ იგი ისევე უნდა ზრუნავდეს საქონლის ხარისხის სრულყოფაზე, როგორც მისი წარმოების ახალი, უფრო ეკონომიკური ხერხების დანერგვაზე და ფასების დაწევაზე.

სივრცობრივი კონცენტრაციის კოეფიციენტი (concentration coefficient of space) – ეკონომიკური აქტიურობის გეოგრაფიული კონცენტრაციის სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც მოქცეულია რაღაც ჩარჩოებში, მაგალითად, ქვეყნის მასშტაბით. დარგის კონცენტრაციის კოეფიციენტი შეიძლება გამოითვალოს როგორც დამოკიდებულება ქვეყნის რეგიონებში ამ დარგის განაწილებასა და რაიმე სხვა მახასიათებლის (მაგალითად, მოსახლეობის სიმჭიდროვე) განაწილებას შორის. თუ მრეწველობის განლაგების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელზე, მაშინ ამბობენ, რომ მრეწველობას აქვს სივრცობრივი კონცენტრაცია. სივრცობრივი კონცენტრაციის კოეფიციენტი გამოისახება ასე: $\sum j.|Paj-Pij|$, სადაც Paj – a დარგის პროცენტული წილია j რეგიონში, ხოლო Pij – i მახასიათებლის (მაგალითად, მომსახურების) პროცენტული წილი j რეგიონში. როდესაც კოეფიციენტი ნულის ტოლია, დარგის განაწილება მთლიანად შეესაბამება მომსახურეობის განაწილებას. რაც უფრო მაღალია

კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია დარგის გეოგრაფიული კოეფიციენტის დონე.

სიმბოლოები – რაიმეს სიმბოლიზირება: სამსახურში წინსვლით, ოფისის ადგილმდებარეობა, თანამდებობა

სიმდიდრე (weafth) – ყველაფერი, რასაც აქვს საბაზრო ფასი და შეიძლება მისი გაცვლა ფულზე ან დოვლათზე, შეიძლება განვიხილოთ როგორც სიმდიდრე. იგი მოიცავს ფიზიკურ დოვლათსა და აქტივებს, უნარ-ჩვევებსა და ა.შ., ანუ ყველაფერს, რასაც შეუძლია შემოსავლის მოტანა. ყველა ეს ელემენტი ითვლება სიმდიდრედ მაშინ, როცა ხორციელ-დება მათი ყიდვა-გაყიდვა საქონლის ან ფულის ბაზარზე. სიმდიდრე შეიძლება დაიყოს ორ სახედ ნივთობრივ სიმდიდრედ, რომელსაც კაპიტალი ეწოდება და არანივ-თობრივ სიმდიდრედ, რომელსაც ადამიანისეული **კაპიტალი** ეწოდება

სიმპათია – სხვა პირისადმი შეუცნობადი, ირაციონალური დამოკიდებულება. ერთმანეთისადმი სიმპათიურად განწ-ყობილი ადამიანები მუშაობენ შეთანხმებულად და ეფექ-ტიანად.

სიმწიფის ეტაპი (maturify) – პერიოდი, რომელიც იწყება საქონლისა და მომსახურების გასაღების ზრდის ტემპების შენულებით.

სინდიკატი (syndicate) [ბერძ. Syndikos ერთობლივად მოქმედი] – მონოპოლიის ერთ-ერთი ფორმა რომელიც ახორციელებს მთელ კომერციულ საქმიანობას, თუმცა მასში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ წარმოებრივ და იურიდიულ დამოუკიდებლობას.

სინდიკატი გაერთიანება – მონოპოლისტური გაერთიანების ფორმა, რომელშიც შეკვეთების განაწილება, ნედლეულის შესყიდვა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ერთიანი გამსაღებელი კანტორის მეშვეო-ბით. სინდიკატის მონაწილეები ინარჩუნებენ საწარმოო დამოუკიდებლობას, მაგრამ კარგავენ კომერციულს.

სინდიკი – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ფირმების, კორპორაციების წარმომადგენლობა, რომელიც უფლებამოსილია საქმის წარმოებაზე.

სინდიცირებული კრედიტები – კონსორციუმის კრედიტები - ეძლევა ერთ მსესხებელს ორი ან მეტი კრედიტორის – სინდიკატბანკების (კონსორციუმების) მიერ. იძლევა რა კრედიტს, კრედიტორბანკების ჯგუფი აერთიანებს გარკვეული ვადით დროებით თავისუფალ საშუალებებს ჯგუფი აერთიანებს გარკვეული ვადით დროებით თავისუფალ საშუალებებს განსაზღვრული ობიექტის ან მსესხებლის.

სინეკურა – უზრუნველად შემოსავლიანი თანამდებობა, რომელიც დიდ შრომას არ მოითხოვს, მაგრამ ანაზღაურება მაღალია. თბილი ადგილი.

სინერგიზმი (ბერძ. ერთად მოქმედი) – საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა იმის შედეგად, რომ განხორციელდება ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შეერთება, ინტეგრირება, შერწყმა ერთ სისტემაში ე.წ. სისტემური ეფექტის ხარჯზე.

სინერგიული ეფექტი – მოქმედებათა შეთავსების ეფექტი. მაგალითად, როტორულ-კონვეიერულ ხაზებზე შეთავსებულია სატრანსპორტო და გადამამუშავებელი ფუნქციები. ფუნქციონალური ორგანიზაცია – ფუნქციონალური პრინციპებით აგებული ორგანიზაცია, საწარმოს ლოგისტიკური საქმიანობის ძირითადი სახეებიდან გამომდინარე: წარმოება, გასაღება, ლოგისტიკა და ა.შ. ის დაკავშირებულია რესურსების ნაკადებთან (დაწყებული ნედლეულის შესყიდვებიდან მზა პროდუქციის გასაღებით დამთავრებული), აგრეთვე მომხმარებელთა შეკვეთების შესრულების პროცესთან (შეკვეთების მიღებიდან მის შესრულებამდე).

სინერგიული კავშირი – ესაა კავშირი სისტემაში, რომელიც სისტემის დამოუკიდებელი ელემენტების ერთობლივი მოქმედებისას უზრუნველყოფს საერთო ეფექტების

გადიდებას მეტი სიდიდით, ვიდრე დამოუკიდებლად მოქმედი ეფექტების ჯამი, ე.ი. სისტემის ელემენტების გაძლიერებული კავშირი.

სინთეზური აღრიცხვის ორგანიზაცია – ბანკში სინთეზური აღრიცხვის ორგანიზაციისათვის იყენებენ სალაროს ჟურნალებს, შესამოწმებელ უწყისებს, ყოველდღიურ, ყოველთვიურ და წლიურ ბალანსებს.

სინქრომარკეტინგი (synchromarketing) - მარკეტინგის სახეობა; გამოიყენება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის მერყეობის შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის სტრუქ-ტურა ხასიათდება სეზონური ან სხვა ცვლილებებით და დროში არ ემთხვევა საქონლისა და მომსახურების მიწო-დების სტრუქტურას. სინქრომარკეტინგის ამოცანაა, შეის-წავლის და გამორიცხოს მოთხოვნის მერყეობის მიზეზები.

სირენა – რუსული წარმოების ავიამოცულობათა დაჯავშნის და რეალიზაციის ავტომატიზირებული სისტემა, ძირითადად დსთ ქვეყნების ავიაკომპანიების მიერ რეისზე გამოყენება.

სირენა – დსთ-ში ავიაკომპანიების რეისებზე ადგილის დაჯავშ-ნის სისტემა.

სირთულე – ანუ მენეჯმენტის ობიექტზე მორეაგირე მრავალ-რიცხოვან ფაქტორთა არსებობა, ამასთან წინასწარ უცნობია მათგან რომელი ფაქტორია პოტენციური და რომელი გამოვლინდება რეალობაში.

სირთულე – მომუშავეთა მხრიდან საკადრო მუშაობაში სიახ-ლეების გაგების, გამოყენებისა და ხელშეკრულების ხარისხი.

სირთულე – ე.ი. ელემენტების დიდი რაოდენობით არსებობა, ცალკეულ ელემენტებს შორის ურთიერთქმედების რთული ხასიათი, სისტემის მიერ შესასრულებელი ფუნქციების სირთულე, მართვის რთული ორგანიზაციის არსებობა, სისტემაზე შიგა რიცხვის ზემოქმედება.

სისტემა – ერთიანობა, შემდგარი ურთიერთდამოკიდებული ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს შეაქვს რაღაც კონკრეტული მთელის უნიკალურ მახასიათებლებში. ორგა-

ნიზაციები ითვლებიან ღია სისტემებად, რადგან ისინი დინამიურად ურთიერთზემოქმედებენ გარე სამყაროსთან.

სისტემა – ელემენტების მოწესრიგებული ერთობლიობა, რომელთა შორის არსებობს ანდა შეიძლება წარმოქმნილი იქნას განსაზღვრული კავშირები და დამოკიდებულებანი. სისტემის სახით შეიძლება განხილულ იქნას პრაქტიკულად ყველაფერი, რაც დაკავშირებულია რეალურად არსებულ ობიექტთან, რადგანაც ყოველთვის ადვილია აღმოვაჩინოთ ნაწილები ანდა ელემენტები, რომელთა შორისაც არსებობს რაღაც დამოკიდებულებანი, ე. ი. არსებობს რაღაც სტრუქტურა და მოწესრიგებულობა.

სისტემა – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მთლიანს, შედგენილს ნაწილებისგან, ანუ შეერთებას. ენციკლოპედიური ლექსიკონიდან „სისტემა“ არის ელემენტების სიმრავლე, რომლებიც იმყოფება ერთმანეთთან დამოკიდებულებაში და წარმოქმნის ერთ მთლიანობას.

სისტემატიზაცია – საგნების ან მათ შესახებ ცოდნის გაერთიანება, მათ შორის არსებული კავშირების, მთელის ნაწილებს შორის წესრიგის დამყარების გზით განსაზღვრული კანონზომიერებების, პრინციპების წესების საფუძველზე.

სისტემის არქიტექტურა – გამოსათვლელი ქსელების აგების კონცეფცია, რომელიც ზოგად შემთხვევაში უზრუნველყოფს ქსელში სხვადასხვა სახის გამოსათვლელი სისტემის ნებისმიერი რაოდენობის შესაძლებლობას.

სისტემის ელემენტი – ეს არის ობიექტი, რომელიც სისტემაში ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს. იგი პირობითად ერთგვაროვანია, პირველადია და არ ექვემდებარება დანაწევრებას შესასრულბელი ამოცანების ფარგლებში. ეს ელემენტებია: რკინიგზები, ავიაკომპანიები და სხვა მსხვილი სატრანსპორტო გაერთიანებები.

სისტემის თეორია. კონცეფცია, რომლის თანახმად მენეჯერმა ორგანიზაცია უნდა განიხილოს როგორც ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისაგან შემდგარი ღია სისტემა,

რომელიც ცდილობს მიაღწიოს მრავალფეროვან მიზნებს ცვლად გარე სამყაროში.

სისტემის ორგანიზაცია – ასახავს ელემენტებსა და პროცესებს შორის ურთიერთობების, კავშირების და ურთიერთკავშირების ერთობლიობათა განსაზღვრულ წყობას. რაც უფრო მაღალია სატრანსპორტო სისტემის ორგანიზებულობის დონე, მით უფრო ნათლად და გასაგებად გამოიხატება მისი სტრუქტურა.

სისტემური მიდგომა – მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტების, როგორც სისტემის განხილვა, რაც საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ ძნელად დასაკვირვებელი თვისებები და დამოკიდებულებანი. სისტემური მიდგომა გულისხმობს თანმიმდევრულ გადასვლას საერთოდან კერძოსკენ, როდესაც განხილვის საფუძვლად დევს კონკრეტული მიზანი, რომლისთვისაც იქმნება მთელი სისტემა. სისტემური მიდგომა ნიშნავს, რომ თითოეული სისტემა წარმოადგენს ინტეგრირებულ მთელს მაშინაც კი, როდესაც იგი შედგება ცალკეულის ქვესისტემისაგან.

სისტემური პრინციპი – ეხება ორგანიზაციას მთლიანად, როგორც ერთიან სისტემას მისი შინაგანი სტრუქტურული და გარეგანი ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების სრული გათვალისწინებით.

სისტემური რეფორმები – ერთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლის დროს განხორციელებელი რეფორმები.

სისტემური რეფორმების ერთსექტორიანი ტიპი – სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის ტიპი, რომლის დროს თავიდანვე ინგრევა გეგმიანი მექანიზმი და საბაზრო ეკონომიკა ხორციელდება მხოლოდ საბაზრო მექანიზმისა და ახალი პოლიტიკური სისტემის ბაზარზე.

სისტემური რისკი – კონკრეტულ ფასიან ქაღალდს კი არ უკავშირდება, არამედ მთლიანად ფასიანი ქაღალდების ბაზრის საერთო მდგომარეობის შედეგია.

სისტემურობა – მიზანმიმართულება, მოწესრიგებულობა და ორგანიზებულობა.

სიტუაციური მიდგომა – იგი გულისხმობს, რომ მართვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა შექმნილი სიტუაციით განისაზღვრება. კონკრეტულ სიტუაციაში, მართვის ყველაზე ეფექტიანი მეთოდია ის მეთოდი, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება მოცემულ სიტუაციას.

სიტუაციურ მიდგომაში – იგულისხმება ორგანიზაციის, როგორც ღია სისტემის, ისეთი მოქნილი მართვის აუცილებლობა, რომელიც ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს გარე გარემოს ცვლილებებთან და რომელიც ორგანიზაციას საშუალებას მისცემს, განახორციელოს თავისი წარმატებული საქმიანობა, გარე ფაქტორების მუდმივი ცვლილებების პირობებში.

სიტყვა „სტრატეგია“ მენეჯმენტში – სამხედრო საქმიდან შემოვიდა. იგი ბერძნულიდანაა წარმოშობილი და ნიშნავს „მხედართმთავრის ხელოვნებას“.

სიტყვა „სტრატეგია” – ეს არის ძირითადი დასახული მიზნისა და მიღწევების ერთობლიობა. 1. ეს კი ნიშნავს იმას, რომ განისაზღვროს წარმოების განვითარების მიმართულება დასახული მიზნების მისაღწევად. 2. სტრატეგია ადგენს წარმოების მოქმედების მიმართულებას გარკვეული დროის განმავლობაში: ზრდას, სტაბილიზაციას, ფინანსურ რესურსებს, შრომით საქმიანობას, ბაზრის მდგომარეობასა და კონკრეტულობას. 3. სტრატეგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც დეტალური გეგმა, რომელიც მიმართულია მიზნის განხორციელებისაკენ, მაქსიმალურ ეფექტიანობისაკენ და წარმოებაში სიახლეების შეტანისაკენ. 4. სტრატეგია ეს არის გადაწყვეტილებათა კომპლექსური და გამარჯვების მიღწევის კონცეფცია.

სიტყვა „ფაქტორინგი“ (faqtoring) ინგლისურიდან მომდინარეობს და „შუამავალს“, „აგენტს“ უკავშირდება. ფაქტორინგულ ოპერაციებში სამი მხარე მონაწილეობს: 1) ფაქტორ-შუამავალი, რომელიც შესაძლოა იყოს კომერციული

ბანკი ან სპეციალიზებული ფაქტორინგული კომპანია; 2) საქონლის მომწოდებელი; 3) საქონლის მყიდველი.

სიფ-ი (cost, insurance, freight – CIF – ღირებულება, დაზღვევა, ფრახტი) – საქონლის გაყიდვის საბაზისო პირობა. საერთაშორისო ვაჭრობაში საზღვაო გადაზიდვისას, რომლის თანახმადაც გამყიდველი ვალდებულია დაფრახტოს გემი, საქონელი გადაზიდოს პორტში, დააზღვიოს და გადაიტანოს გემზე დადგენილ ვადაში; კონტრაქტში **სიფ**-ის შემდეგ ჩვეულებრივ აღნიშნავენ კონკრეტული დანიშნულების პორტს.

სიღარიბე (poverty) – ადამიანის, ოჯახის, ქვეყნის ხელთ არსებული ქონებრივი ფასეულობების, ფულადი სახსრების უკმარისობა ნორმალური ცხოვრებისათვის. სიღარიბის ზღვარს უწოდებენ განსაზღვრული პერიოდისათვის ადამიანის, ოჯახის ფულადი შემოსავლების ნორმატიულად დაწესებულ დონეს, რომელიც მხოლოდ საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს. შეიძლება განხილული იქნეს როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სიღარიბე. **აბსოლუტური სიღარიბის** განსაზღვრისათვის საჭირო არსებობისათვის აუცილებელი შემოსავლის მინიმალური დონის განსაზღვრა, მაგალითად, შეფასებული უნდა იქნეს საკვებზე და აუცილებელი მოთხოვნილების საქონელზე მინიმალური მოთხოვნილება და მისი შეძენის შესაძლებლობები ყველაზე დაბალი ფასით. **შეფარდებითი სიღარიბე** განისაზღვრება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შედარებით. მაგალითად, თუ ინდივიდს აქვს შემოსავალი, რომელიც აღემატება საარსებო მინიმუმს, მაგრამ იგი გაცილებით დაბალია, ვიდრე საზოგადოების სხვა ჯგუფების შემოსავალი, მაშინ ეს ინდივიდი შედარებით სიღარიბეში იმყოფება. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება სიღარიბის ზღვარის განმსაზღვრელი შემოსავლების დონეც.

აბსოლიტური სიღარიბის დაძლევა შესაძლებელია. შეფარდებითი სიღარიბე ყველგან არის, თუმცა მისი

გამომწვევი მიზეზები და დონე განსხვავებულია. მთავარია სიღარიბე სოციალურად ასატანი იყოს. სიღარიბის სამი მაჩვენებელი არსებობს: **სიღარიბის დონე,** რომელიც გამოხატავს ღარიბთა წილს მთელ მოსახლეობაში; სიღარიბის სიღრმე, რომელიც გამოხატავს სიღარიბის ზღვრამდე ღარიბთა დაშორების წილს, ე.ი. რამდენად არის ღარიბთა შემოსავალი დაშორებული საარსებო მინიმუმს; **სიღარიბის სიმწვავე,** რომელიც გამოხატავს ღარიბთა შორის სიღარიბის უთანაბრობას.

სიღარიბის ზღვარი (poverty level) – განსაზღვრული პერიოდისათვის ცალკეული პირობის, ოჯახის ფულადი შემოსავლების ნორმატიულად დაწესებული დონე, რომელიც საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს.

სკონტი – შეღავათი (დაქვითვა) ანგარიშის თანხიდან ვადაზე ადრე ან ნაღდი ფულის მიღებისათვის.

სმარტ-ბარათები –გარეგნულად სმარტ-ბარათები მახსოვრობის ბარათებს ჰგავს, მაგრამ მათი მიკროსქემა „ლოგიკას“ შეიცავს. ისინი სწორედ ამით გამოიყოფიან ინტელექტუალური ბარათების (ინგლ. Smart-დან) ცალკე ჯგუფად. სმარტ-ბარათის მიკროსქემა წარმოადგენს მიკროკალკულიატორს, რომელსაც უნარი აქვს პერსონალური კომპიუტერის მსგავსად შეასრულოს ანგარიში.

სმარტ-რუკა - მინიატურული კომპიუტერული პროცესორით, მეხსიერებით, პროგრამული უზრუნველყოფით და ინფორმაციის შეყვანა-გამოყვანის (შეტანა-გამოტანის) სისტემით.

სმითი ადამ (1723-1790) (Smith Adam) – მრავალმხრივ განსწავლული შოტლანდიელი მეცნიერი, კლსიკური ეკონომიკური თეორიის ფუძემდებელი. განათლება მიიღო გლაზგოსა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. ფუნდამენტალურად ფლობდა ფილოსოფიას, ეკონომიკას, პოლიტიკურ მეცნიერებებს, მათემატიკას, ასტროლოგიას, იურისპუდენციას, სოციოლოგიას. შემდგომ კი გახდა გლაზგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი. მისი გამოკვლევები

მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, რომელთა ნაწილი ეხება ეკონომიკას. სწორედ ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილით დაიმკვიდრა ადამ სმითმა მაღალი რანგის მეცნიერის სახელი. სმითის ცნობილი ნაშრომი ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776 წ.) პირველი სრულმასშტაბიანი ტრაქტატია ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს წარმოებისა და განაწილების თეორიებს. ეს ნაშრომი კაცობრიობის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად არის მიჩნეული, რომელმაც მის ავტორს ,,ეკონომიკის მამამთავრის“ სახელი მოუტანა. ,,ხალხთა სიმდიდრის“ მთავარი კრედოა ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის, მოთხოვნა-მიწოდების კანონის შესაბამისად ჩამოყალიბებული თავისუფალი ფასების საფუძველზე საბაზრო თვითრეგულირების იდეა. ასეთ რეგულირებას ა. სმითმა ,,უხილავი ხელი“ უწოდა.

ა. სმითმა საფუძველი ჩაუყარა შრომითი ღირებულების თეორიას, გამოიკვლია შრომის მწარმოებლურობის არსი და მისი როლი ღირებულების შექმნაში, ჩამოაყალიბა მოძღვრება შემოსავლების შესახებ, შექმნა დაბეგვრის თეორია და ა.შ. იგი უმთავრესად დაინტერესებული იყო ეკონომიკური ზრდის პრობლემებით რის მამოძრავებელ ძალადაც შრომის დანაწილებას მიიჩნევდა. სმითმა დაასაბუთა შრომის როლი წარმოების ზრდაში, ტექნიკურ პროგრესსა და კაპიტალის დაგროვებაშიც კი. ეკონომიკური ზრდის მეორე ფაქტორად სმითი თვლიდა კაპიტალის დაგროვებას, რომლის საფუძვლად იგი მომჭირნეობას მიიჩნევდა. ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი სოციალური, ინსტიტუციური და იურიდიული სტრუქტურები და, როგორც სმითი ამტკიცებდა, ,,ბუნებრივი თავისუფლების ნათელი და მარტივი სისტემა“. ასეთ სიტუაციაში თითოეული ადამიანის მისწრაფება თავისი ინტერესების

დაკმაყოფილებისაკენ განაპირობებს საზოგადოების პროგ-
რესს მაშინაც კი, როდესაც ადამიანი არ ისახავს ასეთ
ამოცანას. სმითი ეყრდნობოდა თავისუფალი კონკურენ-
ტის სისტემას, რომელიც მოიცავს რეგულირების საკუთარ
საშუალებებს და როგორც შემდგომში დაადგინეს
ეკონომისტებმა, შეიძლება უზრუნველყოს რესურსების
ოპტიმალური ალოკაცია. მართალია, სმითი იყო Laissez –
faire-ის (დაე, წავიდეს თავისი გზით) მომხრე, მაგრამ იგი
ანარქიის სასტიკი წინააღმდეგი იყო და გარკვეულ
შემთხვევებში აღიარებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს
ჩარევის აუცილებლობას, მაგალითად, ტარიფების შემო-
ღების გზით მრეწველობის ახალი დარგების დაცვას,
აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სამი ფუნქციის (უსაფრთ-
ხოების უზრუნველყოფა, სამართლიანობის და საზოგა-
დოებრივი საქონლის წარმოება) განხორციელებას. სმითი
ეჭვის თვალით უყურებდა კერძო კაპიტალით მონოპო-
ლიების შექმნას, რადგან მათი მეშვეობით თამაშიდან
გამოდის კონკურენცია, ამიტომ, მისი აზრით, სახელმწი-
ფოს ამოცანაა კონკურენცია დაიცვას კაპიტალისტები-
საგან.

ა. სმითმა მაკროეკონომიკის საკითხების გარდა
დაამუშავა მიკროეკონომიკური პრობლემებიც. ის ასაბუ-
თებდა, რომ ფასები განისაზღვრება წარმოების დანახარ-
ჯებით. რენტა უფრო განისაზღვრება ფასით, ვიდრე იგი
გასაზღვრავს მას. სმითმა შექმნა ხელფასის რამდენიმე
თეორია, მათ შორის მოხმარების ფიზიკური მინიმუმის
თეორია (საარსებო მინიმუმი).

ა. სმითმა გამოიკვლია ეკონომიკური თეორიის
სხვადასხვა მიმართულება, აკრიტიკებდა მერკანტილის-
ტებსა და ფიზიოკრატებს და დაასაბუთა საერთაშორისო
ვაჭრობის აუცილებლობა. მან შექმნა აბსოლუტური
უპირატესობის თეორია.

ა. სმითმა თავისი ცნობილი ნაშრომის 1/4 მიუძღვნა
სახელმწიფო ფინანსების თეორიას, რომელშიც მნიშვნე-

ლოვანი ადგილი დაბეგვრის პრინციპებს მიანიჭა. მან გადადგა პირველი ნაბიჯი თავისუფალი კონკურენციის პირობებში რესურსების ოპტიმალური ალოკაციის თეორიის შექმნის გზაზე.

ა. სმითის მთავარი დამსახურებაა ის, რომ იგი ეკონომიკაში ლიბერალური იდეოლოგიის ბურჯი და პოლიტიკური ეკონომიის სკოლის ფუძემდებელია.

სმითის თეორემა (Smith theorem) – ნებაყოფლობითი გაცვლა, რომელიც ხელსაყრელია მისი მონაწილეებისთვის.

სოლიდარობა გულისხმობს პირად პასუხისმგებლობასა და თანხმობაზე, ერთსულოვნებასა და ინტერესთა ერთიანობაზე დამყარებული ადამიანთა ერთობლივ პასუხისმგებლობას. სოლიდარობის პრინციპი საშუალებას იძლევა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის დამყარდეს პარტნიორული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს.

სოლიდური პასუხისმგებლობა – ნიშნავს, რომ ამხანაგობის თითოეული წევრი მთლიანად თავისი ქონებით არის პასუხისმგებელი დამოუკიდებელად იმისა, ღებულობდა თუ არა იგი გარიგებაში ან სხვა ვალდებულებებში მონაწილეობას, რომელთა მიხედვით დადგა პასუხისმგებლობა თუ არა. ის ვინც ქონებრივ პრეტენზიებს უყენებს, უფლებამოსილია თვითონ აირჩიოს, თუ ამხანაგობის წევრებიდან რომელმა უნდა დააკმაყოფილოს ისინი.

სპს – განმსაზღვრელი ამ ტიპის საზოგადოებაში არის პარტნიორთა **სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების** კრედიტორების წინაშე. მეწარმეთა შესახებ კანონის 20,1 მუხლის შესაბამისად სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად ეწევა არა ერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდური მევალეები – უბრალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე.

სოლიდური პასუხისმგებლობის პრინციპი – მისი არსი ისაა, რომ აღნიშნულ პროცესში აუცილებლად მონაწილეობენ (მათ შორის – საკუთარი სახსრებით) და თავიანთი ძალისხმევის კოორდინირებას ახდენენ თვითონ ბანკებიც (უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრეები), მათი კრედიტორებიც და სახელმწიფოც. სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია საბანკო სისტემის რესტრუქტურირება

სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება – არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოებას ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდური მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ მთელ ვალდებულებებზე შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით.

სოლო-თამასუქი – თამასუქი ერთი პირის ხელმოწერით.

სოფლის მეურნეობა (agriculture) – მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების მნიშვნელოვანი დარგი; გაეროს ეროვნულ ანგარიშით სისტემის მიხედვით აგრარული სექტორის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, კვების პროდუქტებს საბოლოო მოხმარებისათვის და ნედლეულს - მრეწველობისათვის. მოიცავს მემცენარეობასა და მეცხოველეობას, რომლებიც დიფერენცირებულია ცალკეულ ჯგუფებად და სახეებად.

სოფტიზაცია (sof) [ინგ. soft - რბილი] – არამატერიალური რესურსების (მომსახურების, საზოგადოების ინტელექ– ტუალური პოტენციალის, მუშაკთა მომზადების დონის, სამმართველო გამოცდილების და ა.შ.) როლის ზრდის საერთო პროცესი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, მათი გადაქცევა საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ რესურსად.

სოციალიზაცია – პიროვნების ჩამოყალიბებისა და მოცემულ საზოგადოებაში მისი სოციალური მდგომარეობის

(სტატუსის) მოპოვებისათვის აუცილებელ ფასეულობათა განსაზღვრული სისტემის, სოციალური ნორმებისა და ქცევის ნიმუშების ათვისება ადამიანის მიერ. სოციალიზაცია მოიცავს ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის აუცილებელი კულტურისა და კომუნიკაციის ზიარების ყველა პროცესს.

სოციოლოგიური თეორიები – ისინი უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ჯგუფებისა და ორგანიზაციის შესახებ თეორიებში. ჯგუფებსა და ორგანიზაციის შესახებ სოციოლოგია, ანუ ორგანიზაციული სოციოლოგია, პირდაპირ კავშირშია ადამიანური რესურსების მართვასთან. იგი გვეხმარება ჯგუფური საქმიანობის კანონზომიერებათა ახსნაში.

სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგი – მარკეტინგული ღონისძიებების და პროგრამების ეთიკური, ეკოლოგიური, სამართლებრივი და სოციალური კონსტექსტების გაგება. ამ შემთხვევაში მარკეტინგი არ იზღუდება ფირმითა და მისი მომხმარებლებით, არამედ მთლიანად საზოგადოების სამსახურშია. სოციალური პასუხისმგებლობა აგრეთვე მოითხოვს ყურადღებას ბაზრის სუბიექტებისაგან იმ როლზე, რომელსაც ისინი ასრულებენ ან შეუძლიათ მათ შეასრულონ საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევაში. ეს მარკეტინგი ხოლისტიკური მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია.

სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფცია – ამტკიცებს, რომ ორგანიზაციის ამოცანაა საჭროებების, მოთხოვნილებების და მიზნობრივი ბაზრის ინტერესების დადგენა და სასურველი დაკმაყოფილების უზრუნველყოფა კონკურენტებთან შედარებით უფრო ეფექტიანი და უფრო პროდუქციული ხერხების გამოყენებით. ამასთან ერთად, მომხმარებლის და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის შენარჩუნებით ან მისი შემდგომი განმტკიცებით.

სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგის კონცეფციის – მიხედვით ორგანიზაციის (ფირმის) ამოცანებია მიზნობრივი ბაზრების (მომხმარებლების) საჭიროებათა, მოთხოვ-

ნილებათა და ინტერესების დადგენა და დაკმაყოფილება კონკურენტებთან შედარებით უფრო ეფექტიანი წესებით არა მარტო მომხმარებელთა, არამედ მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის შენარჩუნების ან ამაღლების პირობებში.

სოციალური ადაპტაცია ორგანიზაციაში – ახალი მუშაკებისათვის ორგანიზაციის წესების, პრაქტიკის და კულტურის გაცნობის პროცესი მათი ოფიციალური მომზადების და არაოფიციალური ურთიერთობების დროს.

სოციალური დაზღვევა (social insurance) – სოციალურად დაუცველი ფენების (დროებით შრომის უუნაროების, მოხუცებულების, ინვალიდებისა და ა.შ.) ფულადი და მატერიალური უზრუნველყოფის სისტემა.

სოციალური დიფერენციაციის მოდელები (social differentiation models) – არსებობს შემოსავლების დიფერენციაციის ოპტიმალური და ზღვრული დონეები. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ოთხ მოდელს: **ზეპოლარულს, ზომიერად პოლარულს, პოლარულს და ეგალიტარულს (არასაბაზროს).**

ზეპოლარული მოდელისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის დაბალი დონე, დამქირავებელთა და დაქირავებულთა ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება, მოსახლეობის უმრავლესობის უკიდურესი სიღარიბე, ქონებრივი დიფერენციაციის მაღალი დონე. ასეთი საზოგადოებისათვის შემოსავლების დიფერენციაციის დონე უკიდურესად დეტალურ ჯგუფებს შორის შეადგენს არანაკლებ 20-30:1 თან. ამჟამად ეს მოდელი დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ზომიერად პოლარული მოდელი წარმოიშვა XX საუკუნის პირველ ნახევარში და უკავშირდება სოციალური რეგულირების ელემენტების შემოტანას საზოგადოების განვითარებაში. მისი მიზანია შემოსავლების განაწილებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის

ამაღლება. ასეთ მოდელისათვის შემოსავლების დიფერენ-ციაციის დეტალური კოეფიციენტი არის 10-15:1-თან. ზომიერად პოლარული მოდელი ამჟამად დამახასიათე-ბელია ახალ ინდუსტრიული ქვეყნებისათვის.

ზომიერი მოდელისათვის ნიშანდობლივია საერთო კეთილდღეობის ზრდა და კონსოლიდირებული სოცია-ლური დიფერენციაცია. ეს მოდელი ამჟამად არსებობს განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ,,სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის მიხედვით. ეკონომიკა მაღალი ცხოვრების დონითა და მნიშვნელოვანი სოციალური დანახარჯებით განსხვავდება საკუთრივ სოციალური საბაზრო ეკონომიკისაგან. პირველია ლიბერალური საზოგადოებები, რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის უმაღლეს დონეს და ამიტომ შეუძლიათ გამოყონ სოლიდური სახსრები ღარიბების დასახმარებლად, ჯანდაცვის დაფინანსებისა-თვის, განათლებისა და სხვა სოციალური მიზნებისათვის. ასეთი საზოგადოების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აშშ (აგრეთვე კანადა). ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთ ევროპული მაჩვენებლებით ჩამორჩებიან აშშ-ს, ხასიათდებიან „სოციალური ეკონომიკის“ სიმწიფის გაცილებით მაღალი დონით. მათი სოციალურ-ეკონო-მიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები მიმართულია სოციალური თანხმობის მიღწევისა და მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებისაკენ. სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება ყველაზე მეტად ასოცირდება გერმანულ მოდელთან. მას საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება, როგორც პროგრესის, სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარი.

სოციალური დიფერენციის მეოთხე მოდელი – **არასა-ბაზრო, ეგალიტარული მოდელი** არსებობდა ექსკომუ-ნისტურ ქვეყნებში, ხოლო ამჟამად არსებობს კუბასა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს მოდელი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა მისთვის

დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის მეტად მიმზიდველი დონე -4:1- თან.

საქართველოსთვის დღეს დამახასიათებელია ზეპოლარული მოდელი. ძალზე მაღალია შემოსავლების უთანაბრობის, სოციალური დიფერენციაციის ხარისხი. შემოსავლების დიფერენციაციის დეტალური კოეფიციენტი საქართველოში შეადგენს 16:1-თან, მაშინ როდესაც უკრაინაში იგი არის 6:1-თან, ესტონეთში -10:1-თან, ხოლო რუსეთში - 11:1-თან.

სოციალური ინდიკატორები (social indicators) – თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურების – ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლის კრებსითი ინდექსი. სოციალური ინდიკატორები ეფუძვნება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას (შრომის პირობები, განათლების განვითარების დონე, ჯანდაცვისა და ტრანსპორტის მდგომარეობა და ხელმისაწვდომობა, შრომის უნარიანი მოსახლეობის დასაქმების საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობა, კალორიის მოხმარება, წყლით ხელმისაწვდომობა, ენერგიის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა და ა.შ.)

სოციალური ინფრასტრუქტურა – ორგანიზაციის მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრების ცხოველმყოფელობისათვის განკუთვნილი ობიექტის ერთობლიობა. მათ უნდა უზრუნველყონ სოციალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული და ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

სოციალური კომპეტენტურობა – კომუნიკაციური და ინტეგრაციული უნარი, ასევე ადამიანებთან ურთიერთობების, მათზე გავლენის მოხდენისა და დასახული მიზნის მიღწევის უნარი.

სოციალური კომპენტენტურობა – არის ადამიანებს შორის ურთიერთობები, გუნდსა და კოლექტივში მუშაობისა და სხვა მომუშავეებთან ეფექტიანი ურთიერთკავშირის უნარი.

სოციალური მაჩვენებლები, – რომელთა გამოყენება დაკავშირებულია საკრედიტო მეწარმეობის განსაკუთრებულ სოციალურ, საზოგადოებრივ სტატუსთან: პერსონალის დამოკიდებულება შრომისადმი; კვალიფიკაციის, პასუხისმგებლობისა და ანაზღაურების თანაფარდობა; დირექტორატის სოციალური ადეკვატურობა (პროფესიული მომზადება, კეთილსინდისიერება, ვალდებულებებისადმი ერთგულება, კონტრაქტებისადმი მზადყოფნა); სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ხარისხი და ადეკვატურობა.

სოციალური მომსახურება – ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად, ცალკე განყოფილებად შედის გაეროს **სსდკ**-ში.

სოციალური მომსახურება (social services) – გულისხმობს საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალური ორგანიზმის, მომსახურებას. პირად მომსახურებასთან ერთად ქმნის არამატერიალური მომსახურების ჯგუფს ბავშვებისა და მოხუცებულების მომსახურება საცხოვრებლის უზრუნველყოფით (უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები, გამოსასწორებელი სახლები, სახლები არასრულწლოვან სამართლდამრღვევთათვის, მოხუცებულებისათვის, გონებრივი ან ფიზიკური ნაკლის მქონეთათვის, მარტოხელა დედებისა და მათი შვილებისათვის), სოციალური მომსახურება საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე (საქველმოქმედო და აღმზრდელობითი საქმიანობა, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა, დევნილთა, ემიგრანტთა დახმარება და სხვ.).

სოციალური ორიენტაცია – ამ შემთხვევაში ადამიანებს მიდრეკილება აქვთ დასაქმების ისეთი კარიერისადმი, რომელიც დაკავშირებულია პიროვნებათა შორის ურთიერთობებთან. მაგალითად, დიპლომატიური სამუშაო, საპენსიო და სადაზღვევო სამსახურში მუშაობა და სხვა.

სოციალური პარტნიორობა – დამქირავებელს და დაქირავებულს შორის ურთიერთობათა ისეთი ტიპი და სისტემა, რომლის დროსაც სოციალური თანხმობის ფარგლებში მიიღწევა მათი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-შრომითი ურთიერ-

თობების შეხამება. პრაქტიკაში იგივე გვევლინება რომელიმე ფენის ან პიროვნების დიქტატურის ალტერნატივად. სოციალური პარტნიორობა არის სხვადასხვა დონეზე სოციალური კონფრონტაციის გადაწყვეტის ცივილიზებული მეთოდი.

სოციალური პასუხისმგებლობა – ორგანიზაციის მოქმედება საზოგადოების საკეთილდღეოდ, რომელსაც იგი ახორციელებს ნებაყოფლობით და არა კანონის მოთხოვნით.

სოციალური პოლიტიკა – ქვეყნის მთავრობის მიერ არჩეული სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება მოქალაქეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მათი ცხოვრების და შრომის სასურველ დონეს, მათ სოციალური დაცვას.

სოციალური სტრატიფიკაციის თეორია (theory of social stratification) – ამ თეორიის ფუძემდებელია ავსტრიელი ეკონომისტი და სოციოლოგი მაქს ვებერი (1864-1920). მის განვითარებაში წვლილი შეიტანეს ვ. პარეტრომ, ჯ. სტიგლიცმა და სხვებმა.

სოციალური სტრატიფიკაციის თეორია – იკვლევს სოციალური დიფერენციაციის პრობლემებს. როგორც ცნობილია, საზოგადოება შედგება მრავალი ფენისაგან (სტრატა), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ საკუთრების მიხედვით, არამედ სოციალური სტატუსით, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებითა და ა.შ. აღნიშნული თეორია სოცილურ უთანაბრობას განიხილავს როგორც საზოგადოებისათვის შინაგან დამახასიათებელს, რომლის კვლავწარმოებას ახდენს ყოველი ახალი თაობა. სოციალური სტრატიფიკაციის გასაღებად ფსიქოლოგიურ საწყისს თვლიან (პარეტი). ამიტომაცაა, რომ სიღარიბის მთლიანად დაძლევა შეუძლებელია. იგი ყველგან არის, თუმცა მისი გამომწვევი მიზეზები და დონე განსხვავებულია. მთავარია იგი სოციალურად ასატანი იყოს. სიტყვა ,,სოციალურობა“ მშვიდობას ნიშნავს. ეკონომიკი-

სათვის სოციალური ორიენტაციის მიცემა ქვეყნის მშვიდობიანი და ჰარმონიული განვითარების საწინდარია.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა – სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებებისა და შრომისუუნარობის შემთხვევაში, დედათა და ბავშვთა ყოველმხრივი უზრუნველყოფისათვის, სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობისათვის.

სოციალური ფსიქოლოგიის – დახმარებით ხდება ჯგუფური ქცევის ისეთი ასპექტების ახსნა როგორიცაა: ლიდერობა, დარაზმულობა, ფორმალური და არაფორმალური კომუ-ნიკაციები და ა.შ.

სოციალური ფსიქოლოგიური ადაპტაცია – გულისხმობს მომუშავის ჩართვას თავისი ტრადიციების, ცხოვრების ნორმების, ფასეულობითი ორიენტაციების მქონე ორგა-ნიზაციის წარმოებრივ და შრომით ურთიერთობებში.

სოციალური ჯგუფები – ადამიანთა შედარებით მდგრადი ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ საერთო ინტერესები, მორალური ფასეულობები და ქცევის ნორმები შექმნილი ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოების ფარგლებში.

სოციალურ-ეკონომიკური მოდელი – ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის ფორმირების ერთობლიობა, რომელიც ფლობს სხვა ქვეყნების შესაბამისი მოდელებისაგან განსხვავებული მახასიათებლების გარკვეულ შენარევს.

სოციალურ მომსახურებას – (საზოგადოების როგორც ერთიანი სოციალური ორგანიზმის მომსახურება) მიეკუთვნება ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტუ-რების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მომსახურება - სახელმწიფო მმართველობის თავდაცვის საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანი-ზაციების მომსახურება.

სოციალურ-კულტურული ფაქტორები – და მათ შორის ცხოვრებისეული ფასეულობანი და ტრადიციები, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ორგანიზაციებზე.

მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობა მხარს უჭერს ბიზნესის ეთიკური ნორმების დაცვასა და განვითარებას, არაეთიკურად და ამორალურად ითვლება ქრთამის აღება მომგებიანი კონტრაქტის მიღების მიზნით, კომპეტენტურობის ნაცვლად ფავორიტისადმი მხარდაჭერა და ა.შ. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ორგანიზაციის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული მომუშავეთა განწყობაზე, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია მრავალი ფაქტორით.

სოციალურ-შრომითი ურთიერთობები – ესაა შრომის პროცესში ამ ურთიერთობათა სუბიექტების ობიექტურად არსებული ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთქმედება, რომლითაც მიიღწევა შრომითი ცხოვრების ხარისხის დარეგულირება.

სპეკულაცია (speculation) – ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკა მოგების მიღების მიზნით, ფასების ან ვალუტის კურსის ცვლილების საფუძველზე. სპეკულაციას ახორციელებენ სპეკულიანტები და ჰეჯერები. სპეკულიანტი ჰეჯერისაგან განსხვავებით, ამჯობინებს რისკს და მხარს უჭერს ღია პოზიციას. ჰეჯერს ხელთ აქვს მომავალი აქტივები და ვალდებულებები, ხოლო სპეკულიანტს – მხოლოდ აქტივები, ან მხოლოდ ვალდებულებები, იმის მიხედვით, რომ კონტრაქტის დასრულებისას რა სიტუაცია ჩამოყალიბდება მის სასარგებლოდ. არსებობს სპეკულაციის ორი ძირითადი სახე – „შორტ-გაყიდვა“ და „შორტ-ყიდვა“, აგრეთვე მოგების მიღების მრავალი ხერხი, რომლებიც უკავშირდება როგორც ფასების ცვალებადობას, ისე რისკის დაზღვევას (ჰეჯირება). სპეკულაცია ხელს უწყობს ფასების გათანაბრებასა და სტაბილიზაციას, უზრუნველყოფს ლიკვიდურობას.

სპეკულაციური უმუშევრობა (speculative unemployment) – ფრაქციული უმუშევრობის ერთ-ერთი ელემენტი. უფრო სწორად მას შეიძლება ვუწოდოთ სპეკულაციური არასრული დასაქმება. ეს მოვლენა წარმოიქმნა ხელფასის დაცემის

შედეგად. ასეთ სიტუაციაში ზოგიერთი მუშა დროებით ამცირებს თავის სამუშაო დროის მიწოდებას, მომავალში შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი განაკვეთის მოლოდინის გამო. ეს მოვლენა შეიძლება შეფასდეს როგორც სამუშაო დროის დროებითი განაწილება ხელფასის დროებითი შემცირების საპასუხოდ.

სპენსი მაიკლ (დაიბ. 1943) (Spence Michael) – ამერიკელი ეკონომისტი, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი (2001წ.), ჯ. აკერლოვთან და ჯ. სტიგლიცთან ერთად. ნობელის პრემია მიენიჭა „ასიმეტრიული ინფორმაციის მქონე ბაზრების ანალიზისათვის“.

სპეცექსპორტიორები და სპეციმპორტიორები – კომპანიები ან ორგანიზაციები რომლებსაც მინიჭებული აქვთ ექსკლუზიური უფლება აწარმოონ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები გარკვეული საქონლით.

სპეციალიზაცია – საწარმოს ეწოდება სპეციალიზებული, თუ იგი ერთი ან რამდენიმე დასახელების პროდუქციას უშვებს.

სპეციალიზაცია (specialization) – შრომის დანაწილება მისი ცალკეული სახეობების მიხედვით; საქმიანობის თავმოყრა შედარებით ვიწრო მიმართულებებზე, ცალკეულ ტექნიკურ ოპერაციებზე; საქმიანობის კონცენტრაცია წარმოების იმ დარგებში, რომლებშიც ფორმას ან ინდივიდს აქვს ბუნებრივი თუ შეძენილი უპირატესობები. სპეციალიზაცია ვაჭრობასთან შეხამებით განაპირობებს გაცილებით მაღალ ცხოვრების დონეს იმ დონესთან შედარებით, რომელიც მიიღწევა ქვეყნის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვის პირობებში. სპეციალიზაციისაგან მიღებული სარგებლობა ილუსტრირებულია აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების თეორიებში, თუმცა ისინი შეიცავაენ დინამიური მდგომარეობის ელემენტებსაც, რაც გამომდინარეობს მწარმოებლურობის ზრდის თეორიიდან.

სპეციალიზაციის კოეფიციენტი (specialization coeficient of) – სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს რამდენად სპეციალიზებულია ეკონომიკური რეგიონი ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში. სპეციალიზაციის კოეფიციენტი გამოხატავს სხვაობას განსახილველი რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურასა და ეკონომიკის სტრუქტურას შორის, რომლის შემადგენელი ნაწილიც ეს რეგიონია. სპეციალიზაციის კოეფიციენტი გამოიხატება ფორმულით: $\sum |saj-san|$, სადაც saj-a დარგის წილია j რეგიონის ეკონომიკაში, ხოლო san-a დარგის წილი-ქვეყნის მთელ ეკონომიკაში (ორი ვერტიკალური ხაზი გამოხატავს აბსოლუტურ სიდიდეს, ე.ი. იგნორირებულია სხვაობის ნიშანი). კოეფიციენტის ნულთან ტოლობა ნიშნავს, რომ რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურა მთლიანად ემთხვევა ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურას. რაც უფრო მეტია კოეფიციენტის სიდიდე, მით უფრო განსხვავდება რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურა ქვეყნის საშუალო ეკონომიკური სტრუქტურისაგან და მით უფრო მაღალია მისი სპეციალიზაცია.

სპეციალიზებული (სპეციალური) ბანკი – თავის საქმიანობას თავს უყრის ერთი ან მცირე რაოდენობის მომსახურებაზე.

სპეციალიზებული კომერციული ბანკები – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც თავისი პოლიტიკით შეიმუშავებენ და პრაქტიკაში ახორციელებენ საქმიანობის განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

სპეციალიზირებული კარიერა – ხასიათდება იმით, რომ კონკრეტული მომუშავე თავისი პროფესიული საქმიანობის პროცესში გადის კარიერის სხვადასხვა სტადიას. ეს სტადიები მომუშავეს შეუძლია გაიაროს თანმიმდევრულად როგორც ერთი, ისე სხვადასხვა ორგანიზაციაში, მაგრამ იმ პროფესიის ჩარჩოებსა და საქმიანობის სფეროში, რომელშიც ხდება მისი სპეციალიზება.

სპეციალიზებული მაღაზია – საცალო დაწესებულება, რომელიც

სთავაზობს ვიწრო ასორტიმენტის საქონელს მნიშვნელოვანი სიღრმით.

სპეციალიზებული მაღაზიები – მათში წარმოდგენილია ღრმა ასორტიმენტის საქონლის ვიწრო სპექტრი – ტანსაცმლის, საიუველირო, სასპორტო საქონლის, ავეჯის, ყვავილის, წიგნის მაღაზიები. ტანსაცმლის მაღაზია სპეციალიზირებულია, მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზია – ვიწრო სპეციალიზებული, ხოლო მხოლოდ მამაკაცის პიჯაკებით მოვაჭრე მაღაზია – სუპერსპეციალიზებული.

სპეციალიზირებულ ორგანიზაციებს საწყობში –ოპერატორის მართვაში რადიოსიხშირის RFID და ხმოვანი ტექნოლოგიების გამოყენება.

სპეციალიზებული საერთაშორისო ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები – საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები რომელთა საქმიანობა მოიცავს მსოფლიო მეურნეობის ისეთ სხვადასხვა სექტორებს, როგორიცაა: მსოფლიოში სამრეწველო განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზაციის რთულ პრობლემათა გადაჭრა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება, დასაქმებისა და შრომის პირობების უზრუნველყოფა და სხვა.

სპეციალიზებულ საექსპერტო ფირმად – ითვლება ფირმა, რომლის გარიგებებში რომელიმე სასაქონლო ჯგუფზე მოდის გაყიდვების 50%-ზე მეტი.

სპეციალიზებული საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურები და ბიუროები. ახორციელებენ პროფესიულ კომერციულ საქმიანობას ძირითადი სამეწარმეო სტრუქტურების - რეალური და, რაც მთავარია, ბანკების პოტენციური კლიენტების შესახებ მონაცემთა საკმაოდ სრული კომპლექსის შეკრების, მუდმივი მონიტორინგის, დაჯგუფების, ანალიზის, რანჟირების სახით. მათი მუშაობის მიზანია დაინტერესებულ პირთათვის საინფორმაციო პროდუქტების სხვადასხვა სახის მომზადება და რეალიზაცია,

ისეთებისა, როგორიცაა: ბიზნეს – ცნობები; საკრედიტო - ანალიტიკური ცნობები; საგადასახადო – ანალიტიკური ცნობები; მარკეტინგული ცნობები; საქმიანი საცნობარო ლიტერატურა; პერიოდული ბიულეტენები კომერციულ რისკებსა და გადასახდელებზე; საინფორმაციო მიმოხილ-ვები და სხვა.

სპეციალისტთა შრომის შედეგები – განისაზღვრება მათზე გაპიროვნებული თანამდებობრივი მოვალეობების მოცუ-ლობის, სისრულისა და მათი დროული და ხარისხიანი შესრულების მდგომარეობიდან გამომდინარე.

სპეციალისტები –საწარმოო დანიშნულების საქონლის ყიდვის პროცესის რვა ეტაპს განიხილავენ ესენია: 1. ყიდვის საჭიროების გაცნობიერება; 2. საჭიროების ზოგადი მიმო-ხილვა; 3. საქონლის მახასიათებლების შეფასება; 4. მომწო-დებლის მოძიება; 5. საქონლის მოწოდების განაცხადის გამოთხოვა; 6. მომწოდებლის შერჩევა; 7. შეკვეთის გაფორმება; 8. მომწოდებლის მუშაობის ეფექტიანობის შეფასება.

სპეციალისტები – ეკონომისტები, იურისტები, ინჟინერ-ტექნი-კური მომუშავენი და ა.შ. ისინი მოწოდებულია, შექმნან და წარმოებაში დანერგონ თეორიული და გამოყენებითი ხასიათის იდეები. მათი ფუნქციაა, აგრეთვე ისეთი ცალ-კეული წარმოებრივი და მმართველობითი პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტების დამუშავება, რომელთა რეალი-ზაცია ხელმძღვანელთა კომპეტენციაში შედის. მომზადების დონიდან გამომდინარე, გამოყოფენ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები ახორციელებენ წარმოებ-რივ-ტექნიკური და შემოქმედებითი პროცესების ხელმ-ძღვანელობას.

სპეციალისტები იყოფა შემდეგ – სამ კატეგორიად: ,,მთავარი“, ,,წამყვანი“, და ,,უფროსი“. უფროს სპეცილისტს, თავის ჩვეულებრივ მოვალეობებთან ერთად, შეუძლია უხელმ-ძღვანელოს ცალკე დამოუკიდებელ ქვეგანყოფილებად

ჩამოყალიბებული რიგით შემსრულებელთა ჯგუფს. აღ-ნიშნული ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული ხასიათის არაა. იგი, როგორც წესი, გამოიხატება კოორდინაციასა და კონსულტაციაში. ამასთან ერთად, უფროსი სპეციალისტი შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული სამუშაოს ერთპიროვნული შემსრულებელი. ისე რომ არ ჰყავდეს ხელქვეითი. წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეცია-ლისტის ფუნქციებთან ერთად, ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას. რაც შეეხება მთავარ სპეციალისტს, იგი გვევლინება წამყვან და უფროს სპეციალისტთა კოორ-დინატორად.

სპეციალისტებს მიეკუთვნებიან – ეკონომისტები, იურისტები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და ა.შ. ისინი მოწოდებუ-ლია, შექმნან და წარმოებაში დააწესრიგონ თეორიული და გამოყენებითი ხასიათის იდეები. მათი ფუნქციაა, აგრეთვე ისეთი ცალკეული წარმოებრივი და მმართველობითი პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტების დამუშავება, რომელთა რეალიზაცია ხელმძღვანელთა კომპეტენციაში შედის. მომზადების დონიდან გამომდინარე გამოყოფენ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს. უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები ახორციელე-ბენ წარმოებრივ-ტექნიკური და შემოქმედებითი პროცე-სების ხელმძღვანელობას, ხოლო საშუალო კვალიფიკა-ციის სპეციალისტები უშუალო შემსრულებლებია.

სპეციალურ ბლანკზე წერილობითი ფორმით გაფორმებულ სააგენტო შეთანხმებას ჩვეულებრივ ლიცენზიას უწოდებენ – ლიცენზიაში ურთიერთობენ მისი მიმღები ფირმის დასახელებასა და მისამართს, ტურისტული მომსახურების სახესა და აგენტის საქმიანობის ტერიტო-რიას, პრინციპალის დასახელებასა და მისამართს.

სპეციალურ კომიტეტებს – უწოდებენ განსაზღვრული მიზნით შექმნილ დროებით ჯგუფებს. მაგალითად, რომელიმე ბანკი ან თვით აშშ-ის კონგრესიც კი რიგ შემთხვევაში ქმნის სპეციალურ კომიტეტს რომელიმე მნიშვნელოვანი

საკითხის შესასწავლად და გადაწყვეტილებების მისაღებად.

სპეციალური აღნიშვნებით – მითითებულია გადაზიდვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის, გზაში შენახვის დროს საქონლის მოპყრობის წესები.

სპეციალური დათმობები – ეძლევათ იმ მყიდველებს, რომელთა შეკვეთებით განსაკუთრებითაა დაინტერესებული გამყიდველი. იმ კატეგორიაში შედის დათმობები საცდელ პარტიებსა და შეკვეთებზე (მათი მიზანია მყიდველის დაინტერესება), აგრეთვე დათმობები ხანგრძლივი ურთიერთობებისათვის (ასეთი სახით ხდება მუდმივი კლიენტების შეძენა).

სპეციალური ეკონომიკური ზონები – ტერიტორიული კოპლექსები განსაკუთრებული შეღავავათიანი რეჟიმით უცხოელი ინვესტორებისაგან, რომლებიც ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებობს. მრეწველობის საექსპორტო მიმართულება აქ შეხამებულია სოფლის მეურნეობის საფინანსო სექტორის ტურიზმის განვითარებასთან და სხვ.

სპეციალური ლიზინგი – დაკავშირებულია მსხვილი სამრეწველო მშენებლობის განხორციელებასთან.

სპეციალური რეზერვი – რეზერვი, რომელიც იქმნება კონკრეტული სესხისა და მასზე დარიცხული მისაღები პროცენტების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, იდენტიფიცირებული ზარალისათვის.

სპეციალური უნარი – დაკავშირებულია საქმიანობის განსაზღვრულ სფეროსთან ან სახესთან. იგი, თავისი ხასიათის მიხედვით, ორი ტიპისაა: ინტერსოციალური და კონსტრუქციული. ინტერსოციალური უნარი ორიენტირებულია ადამიანია ურთიერთქმედების ორგანიზაციასა და მათ მართვაზე. ასეთი უნარი აუცილებელია ჰქონდეთ საშუალო და დაბალი დონის ხელმძღვანელებს, აგრეთვე მომუშავეებს, რომლებიც დაკავშირებული არიან რეკლა-

მასთან, მარკეტინგთან, მოლაპარაკებების წარმართვასთან და ფართო კონტაქტები აქვთ ადამიანებთან.

სპეციფიკაცია (ინგლ. – shipping, specifiation; ფრ. specification - გერ. – Spezifikation) შეიცავს მოცემულ პარტიაში შემავალი ყველა სახისა და სორტის საქონლის ჩამონათვალს ყოველი მათგანისათვის ადგილის, რაოდენობისა და წარმოშობის მითითებით. სპეციფიკაცია ჩვეულებრივ სხვადასხვა სორტისა და დასახელების მიწოდებული საქონლის ანგარიშის დამატებაა.

სპეციფიკური ადამიანური კაპიტალი – უნიკალური ცოდნა და ჩვევები, რომლებიც მოეთხოვება თითოეულ მუშაკებს კონკრეტულ საწარმოში ან სამუშაო ადგილზე მუშაობისას.

სპეციფიკურ გადასახადებს შორის გამოიჩევა მათანაბრებელი გადასახადი. ეს გადასახადი წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას, რომლის სიდიდე განისაზღვრება ცხრილით და დამოკიდებულია როგორც იურიდიული პირის კაპიტალ-ზე, ასევე მის საწარმოზე მომუშავე ადამიანთა რიცხვზე.

სპონსორი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ პროექტს.

სპონსორობა – 1. რეკლამის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც კომპა-ნია აფინანსებს სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს დადებითი იმიჯის მოპოვება-განმტკიცების მიზნით; 2. სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა კომპანიების მიერ.

სპოტი (spot) – სავალუტო ან სხვა სახის გარიგებისას ნაღდი, დაუყოვნებელი (ხელშეკრულების) დადებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში) ანგარიშსწორება.

სპოტი – არის შეთანხმება ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე, რომელიც ორ სამუშაო დღეში უნდა შესრულდეს.

სპოტი კურსი ვალუტის გასავლელი მიმდინარე კურსია, რომლის მეშვეობით წარმოებს ვალუტის ყიდვა-გაყიდ-ვასთან დაკავშირებული ოპერაციების ფორმირება.

სპორტული სავალუტო გარიგებები – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგება იმ პირობით, რომ ამ გარი-

გებაზე სახსრები მიეწოდება გარიგების დადებიდან არა უგვიანეს ორი საბანკო სამუშაო დღისა.

სპოტური – ნაღდი სავალუტო ოპერაციები ან სხვა გარიგებების სწრაფი ანგარიშსწორება დაუყოვნებლივ.

სპრედერი – ბირჟის ვაჭარი რომელიც ყიდულობს და იმავ-დროულად ყიდის ფიუჩერსულ კონტრაქტებს დროის სხვადასხვა პერიოდით.

სპრედი – 1. ფიუჩერსული კონტრაქტების იმავდროული ყიდვა-გაყიდვა ერთსა და იმავე საქონელზე მიწოდების სხვა-დასხვა ვადით; 2. ერთი ტიპის ოფციონების იმავდროული ყიდვა-გაყიდვა სხვადასხვა ფასში ან ვადის გასვლის სხვადასხვა პერიოდში; 3.ფასების მერყეობის გაქანება.

სპრედი – 1. ფიუჩერსული კონტრაქტების იმავდროულად ყიდვა და გაყიდვა ერთსა და იმავე საქონელზე მიწოდების სხვადასხვა ვადით; 2. ერთი ტიპის ოფციონურობის იმავდროული ყიდვა და გაყიდვა სხვადასხვა ფასში ან ვადის გასვლას სხვადასხვა პერიოდში;

სრული ამხანაგობა – ანუ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოება ყველა პარტნიორის პირად მონაწილეობაზე დაფუძნებული საწარმოს ორგანიზაციული ფორმაა.

სრული ამხანაგობა (General Partnership) – ისეთ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ ამხანაგობის ქონება ერთობლივი მეწარ–მეობის განხორციელების მიზნით, სრული და სოლიდა–რული ქონებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებზე ერთიანდება.

სრული ამხანაგობა – შეიძლება ორიდან რამოდენიმე ათეული პარტნიორისაგან შედგებოდეს (as in the case of Iarge Iaw and acceunting firms, brokerage hause, and advertising agencies) – ასეთი საწარმოები იმ პარტნიორების კუთვნი-ლებაა, რომლებმაც საწარმოში სახსრები (წილი) დააბან-დეს. საწარმოს საქმიანობისაგან მიღებული ამხანაგობის მოგება დაბანდებული ინვესტიციებისა ან დაბანდებების სიდიდეზეა დამოკიდებული.

სრული დანახარჯები – მუდმივი და ცვალებადი ხარჯების თანხაა წარმოების თითოეული კონკრეტული დონისათვის.

სრული დასაქმება – არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას. მის დროს დასაქმება მოიცავს სამუშაო ძალის 100%-ზე ნაკლებს, ხოლო უმუშევრობის დონე ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამის ტოლია.

სრული დასაქმება (full employment) – არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას. ამ დროს დასაქმება სამუშაო ძალის 100%-ზე ნაკლებს მოიცავს. სრულ დასაქმებას მაშინ აქვს ადგილი თუ იგი უმუშევრობის ბუნებრივი დონის ტოლია.

სრული ეკონომიკური ინტეგრაცია – (ეკონომიკური და სავალუტო კავშირი) ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა, რომელიც მოიცავს: თავისუფალი ვაჭრობის ზონას, საბაჟო კავშირებს და საერთოს. მისთვის დამახასიათებელია ერთიანი ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკა.

სრული ლიცენზის – დროს ლიცენზიატს ეძლევა პატენტზე დაფუძნებული ყველა უფლების გამოყენების შესაძლებლობა მისი მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

სრული პასუხისმგებლობა – ნიშნავს, რომ ამხანაგობის მონაწილენი აღნიშნული ამხანაგობის სახელით დადებულ ყველა ვალდებულებაზე მთლიანად თავისი ქონებით არის პასუხისმგებელი, დამოუკიდებლად იმისა, გამოიყენება თუ არა აღნიშნული ქონება ამხანაგობის მიზნებისათვის. კრედიტორების პრეტენზიები შეიძლება პირად ქონებაზეც იქნეს გადატანილი, გარდა იმ შემთხვევისა, რომელზეც კანონის შესაბამისად არ შეიძლება ყადაღა იქნეს დადებული (ზოგიერთი კერძო ნივთები და სხვა).

სრული რისკი – გულისხმობს ბანკის მიერ ოპერაციაში დაბანდებული სახსრების ტოლ ან მასთან შესადარის დანაკარგებს.

სრული სერვისი – სავაჭრო პერსონალი მზადაა აღმოუჩინოს დახმარება მყიდველს განახორციელოს სრული პროცესი: ,,მოძიება-შედარება-არჩევა“ ასეთ მაღაზიებს ამჯობინებენ მყიდველები, რომლებსაც მოსწონთ, როცა მათ ემსახურებიან.

სრული უარყოფითი კოლერაცია – ნიშნავს, რომ ერთი ცვლადის მნიშვნელობებს მეორე ცვლადით მცირე მნიშვნელობები შეესაბამება და პირიქით კავშირი უკუპროპორციულია.

სრულყოფა – ყველა ღირსების სისრულე, ხარისხიანობის რომელიღაც თვისების უმაღლესი ხარისხი.

სრულყოფილი დადებითი კოლერაცია – ნიშნავს, რომ ერთი ცვლადის მნიშვნელობები მეორე ცვლადის მაღალ მნიშვნელობებს იწვევს, ან ერთი ცვლადის მნიშვნელობები დაკავშირებულია მეორე ცვლადის მცირე მნიშვნელობებთან ანუ პირდაპირპროპორციულია.

სრულყოფილი კონკურენცია – ყოველმხრივ შეუზღუდავი კონკურენციაა, რომელიც ისეთ პირობებში ყალიბდება, როცა ბაზარზე მოქმედებს იდენტური (სტანდარტიზირებული, ერთგვაროვანი) საქონლის გამყიდველი ან ძალიან ბევრი წვრილი ფირმა. კონკურენციის თვალსაზრისით ისინი თანაბარ პირობებში იმყოფებიან და უპირატესად ფასისმიერი მეთოდებით ეწევიან კონკურენციას.

სრულყოფილი კონკურენცია – ტერმინი, რომელიც გამოიყენება საბაზრო მექანიზმთან დაკავშირებით და რომელიც ეფექტიანად ასრულებს წარმოების რეგულატორის ფუნქციას, სრულყოფილი კონკურენციის თეორია წარმოადგენს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების აბსტრაქტული მოდელის ან საბაზრო სტრუქტურის მოდელს. სრულყოფილი კონკურენციის ბაზრების დამახასიათებელი ნიშნებია: გამყიდველთა დიდი რაოდენობა, პროდუქციის სტანდარტიზაცია, ახალი მწარმოებლებისათვის შეზღუდვების უქონლობა, აგრეთვე მომხმარებლისა და მწარმოებლისათვის კარგი ინფორმაცია ბაზრის შესახებ, შრომისა

და კაპიტალის თავისუფალი გადადინება, სატრანსპორტო ხარჯების ტოლობა და ა.შ.

სრულყოფილი კონკურენცია (perfect competition) – იდეალური საბაზრო სიტუაცია, როდესაც არცერთი ფირმა ან მომხმარებელი ზემოქმედებას ვერ ახდენს საბაზრო ფასზე. ბაზრის ფუნქციონირების ეს ფორმა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მთლიანად გამორიცხულია საბაზრო ძალით, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფასების ჩამოყალიბებაზე. სრულყოფილი კონკურენციის ძირითადი მახასიათებლებია: გამყიდველებისა და მყიდველების მრავალრიცხოვანი რაოდენობა, რომელთაგანაც ვერც ერთი ვერ ფლობს სხვაზე მეტ ინფორმაციას, ყველას თანაბრად მიუწვდება მასზე ხელი, ამიტომ ეგუებიან ბაზრის მიერ ნაკარნახებ ნორმებს. თითოეული მეწარმე თანაბარ პირობებში აწარმოებს სტანდარტულ, ერთსახოვან, ურთიერთშემცვლელ პროდუქციას მცირე პარტიობით, რომლის წილი ანალოგიური პროდუქციის წარმოების მთლიან მოცულობაში უმნიშვნელოა და ამიტომ არსებით გავლენას ვერ ახდენს ბაზრის კონიუნქტურაზე. ეკონომიკას სახელმწიფო არ არეგულირებს; ამის საჭიროება არც არის ბაზრის წონასწორობის დაურღვევლად ფუნქციონირების გამო. პარტნიორთა შორის ეკონომიკური ურთიერთობა ხორციელდება ჰორიზონტალური კავშირების საფუძველზე, არსებითად გამორიცხულია ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება ფასწარმოქმნასა და საერთოდ, საბაზრო მექანიზმის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში. საბაზრო ფასები ყალიბდება მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების ოპტიმალური თანაფარდობის შესაბამისად. სრულყოფილი კონკურენციისათვის აუცილებელია აგრეთვე არჩევანის თავისუფლება.

სრულყოფილი კონკურენცია – წმინდა სახით მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს და არც არსებულა. იგი აბსტრაქციაა და შეიძლება მხოლოდ მისი იდეალურად

წარმოდგენა. სინამდვილეში საქმე გვაქვს არა სრულ-ყოფილ კონკურენციასთან.

სტაბილიზაციის მიზნები – იმ სასიკეთო ტენდენციების განსაზღვრა და შენარჩუნება, რომლებიც ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების განვითარებისა და საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე გამოვლინდა (საბანკო პროდუქტების გაფართოება და დაკომპლექტება; საბანკო პოლიტიკის წარმართვა კლიენტებთან პარტნიორულ ურთიერთობებზე და ა.შ.).

სტაბილიზაციური პოლიტიკა (stabization policy) – სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა ერთობლიობა, მიმართული ეკონომიკის ციკლური მერყეობის შენელებისაკენ. ჩვეულებრივ გამოიხატება სახელმწიფოს ცდაში, აღმოფხრას პოტენციური **მეპ**-ის ირგვლივ რეალურ **მეპ**-ის მერყეობის ინფლაციური და დეფლაციური შედეგები.

სტაბილიზაციური ფუნქცია (stabilization function) –სახელმწიფოს ფუნცია ფისკალური და ფულადსაკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისათვის ეკონომიკური აქტიურობის მაღალი და სტაბილური დონის შენარჩუნების მიზნით. ეს ფუნქცია სახელმწიფოს სამი ეკონომიკური ფუნქციიდან ერთ-ერთი, რომელიც დაადგინა რა მასგრეივმა. ეკონომისტთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ სტაბილიზაციური ფუნქცია გულისხმობს სახელმწიფოს აქტიურ პოლიტიკას, მაშინ როდესაც ეკონომისტთა ერთი ჯგუფის წარმომადგენლები, მაგალითად, მონეტარისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ცდილობდეს ეკონომიკაში ჩარევას და ამ გზით ბაზრის დათრგუნვას.

სტაგნაცია (stagnation) [ლათ. stagnum დამდგარი წყალი] – ეკონომიკის ერთ წერტილზე გაყინვა.

სტაგფლაცია (stagfation) – ეკონომიკის მდგომარეობა, როდესაც ერთმანეთს ერწყმის უძრაობა (სტაგნაცია) და ფულის გაუფასურება (ინფლაცია).

სტალიური დრო – ეწოდება იმ მაქსიმალურ პერიოდს, რომლის განმავლობაში დამფრახტავს, ჩარტერის ან საზღვაო

გადაზიდვის ხელშეკრულების პირობების საფუძველზე და ფრახტის გარდა სხვა რაიმე ანაზღაურების გარეშე, შეუძლია ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის პროცესზე გემის დაკავება.

სტანდარტი – დოკუმენტი, სადაც ჩაწერილია ტექნიკური მოთხოვნები, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ სახის პროდუქცია. მუშავდება და მტკიცდება სტანდარტების, ზომის და გამზომი ხელსაწყოების კომიტეტის მიერ. შეიცავენ ხარისხის მაჩვენებლებისადმი მაღალ მოთხოვნებს.

სტანდარტი – კონკრეტული მიზანი, რომლისკენაც წინსვლა ექვემდებარება გაზომვას.

სტანდარტი (standard) – ფართო გაგებით. ნიმუში, ეტალონი, მოდელი, რომელიც წარმოადგენს ამოსავალს მასთან სხვა ობიექტების შედარებისათვის. სტანდარტი, როგორც ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი, მოიცავს იმ ნორმირების, წესების კომპლექსს, რომელიც მოეთხოვება სტანდარტიზაციის ობიექტს. გადატანითი მნიშვნელობით -შაბლონი ტრაფარეტი, რომელშიც არ არის რაიმე ორიგინალური.

სტანდარტი ლიზინგის – დროს მოწყობილობის დამამზადებელი მოწყობილობას ჰყიდის საფინანსო ორგანიზაციაზე რომელიც, თავის მხრივ ამ მოწყობილობას არენდით გადასცემს მომხმარებელს.

სტანდარტიზაცია – წარმოების ან აწყობის პროცესში ერთგვაროვანი ურთიერთშენაცვლებადი დეტალების და კვანძების გამოყენება.

სტანდარტულობაში – იგულისხმება ის ფაქტი, რომ ფასიან ქაღალდებს უნდა ჰქონდეს სტანდარტულობა, მონაწილეების, ვადების, ვაჭრობის ადგილის, აღრიცხვის წესების, თვით ფასიანი ქაღალდის სტანდარტული ფორმა და სხვა.

სტაჟიორი – ახალ სამუშაოზე მოწყობილი პიროვნება. მისი შესაძლებლობებისა და უნარის შეფასებისა და გამოცდი-

ლების ათვისების მიზნით, იგი განსაზღვრული დროის პერიოდში მუშაობს შესაბამის ორგანიზაციაში.

სტატისტიკა (statistics) – 1. მეცნიერება აღრიცხვისა და ანალიზის სფეროში, რომელიც მათემატიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე შეისწავლის ტიპიურ, მასობრივ, სოციალური ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეებს, მათ ცვლილებას დროში, ე.წ. მაჩვენებელთა მწკრივებს; 2. როგორც პრაქტიკული საქმიანობის სფერო-საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესახებ მასობრივი მონაცემების შეკრება, გადამუშავება, ანალიზი და გამოქვეყნება.

სტატისტიკის ფორმულირების – ეტაპზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დონეებია კორპორაციული დონე და საქმიანი სფეროს დონე (ფუნქციონალურ და ოპერატიულ დონეებს უფრო მეტად სტრატეგიის რეალიზაციის ეტაპთან აქვს კავშირი).

სტატისტიკური ანალიზის მეთოდები – ამას ეკუთვნის კოლერაციული ანალიზი, რეგრესიული ანალიზი, დროებითი მწკრივების ანალიზი და ა.შ.

სტატისტიკური გაანგარიშებები – ახალი მაჩვენებლების გაანგარიშება არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რომელიც აფართოებს და ამდიდრებს ანალიზისა და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შეცნობის შესაძლებლობებს. იყოფა ორ ნაწილად: ცალკეული მაჩვენებლების გაანგარიშებები (გეგმის შესრულების, დისპერსიის, ინდექსის მაჩვენებელი) და მაჩვენებელთა სისტემის კომპლექსური გაანგარიშებები (დაჯგუფება, კორელაცია, საბალანსო მეთოდი).

სტატისტიკური და სხვა შიდა ადმინისტრაციული დოკუმენტები – საწარმოში სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით გაცემული დოკუმენტაცია.

სტატისტიკური ერთობლიობა – ობიექტების ან მოვლენათა ერთობლიობა, რომლებიც ხასიათდებიან ზოგიერთი

საერთო ნიშნების არსებობით. მაგალითად, საწარმოთა ჯგუფები, სოციალური ჯგუფები და სხვა.

სტატისტიკური შეფასება – დაკვირვების შედეგების ფუნქცია, რომელიც გამოიყენება შესასწავლი შემთხვევითი სიდიდეების უცნობი პარამეტრების ალბათობის განაწილების შეფასებისათვის.

სტატისტიკურ აღრიცხვაში ექსპორტს მიეკუთვნება – ქვეყანაში წარმოებული, გამოზრდილი ან მოპოვებული, აგრეთვე ადრე უცხოეთიდან შემოტანილი და ქვეყანაში გადამუშავებული საქონლის გატანა. ადრე შემოტანილი და საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავებული საქონლის გატანა. რეექსპორტი (ადრე უცხოეთიდან შემოტანილი და გადამუშავებას დაუქვემდებარებელი საქონლის გატანა). რეექსპორტის ოპერაციებს მიეკუთვნება აგრეთვე ქვეყანაში საქონლის შემოუტანლად განხორციელებული ოპერაციები.

სტატისტიკურ აღრიცხვაში იმპორტს მიეკუთვნება: უშუალოდ მწარმოებელი ქვეყნიდან და შუამავალი ქვეყნიდან უცხოური წარმოშობის საქონლის შემოტანა პირადი მოხმარებისათვის, ან სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოსაყენებლად ან გადასამუშავებლად, რომლის შედეგად იგი გამოიყენება ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის ან ექსპორტისათვის; საქონლის შემოტანა თავისუფალი ზონებიდან და მიწერილი საწყობებიდან; რეიმპორტი (ადრე გატანილი დამუშავებას დაუქვემდებარებელი სამამულო საქონლის შემოტანა); რეიმპორტს მიეკუთვნება აუქციონზე გაუყიდავი, საკონსიგნაციო საწყობებიდან დაბრუნებული, მომხმარებელთა მიერ დაწუნებული და სხვა საქონელი; საბაჟო კონტროლის ქვეშ გადასამუშავებლად შემოტანილი საქონელი.

სტატისტიკურს – შეძლებისდაგვარად მეტი პერიოდის სტატისტიკური მწკრივების ანალიზს ბანკისათვის დასაშვები და მიუღებელი რისკის ზონების განსაზღვრის მიზნით ამ მეთოდს, რომელსაც ბანკის სრულიად სხვადასხვა სახის რისკების შეფასების დროს იყენებენ, საფუძვლად უდევს

დანაკარგების წარმოქმნის ალბათობათა შედარებები მათი ფაქტიური წარმოქმნის სიხშირესთან.

სტატუსი – სოციალურ კავშირთა სისტემაში ადამიანის მიერ დაკავებული რეალური და მოსალოდნელი ადგილი, ანუ ინდივიდის რანგი. იგი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. პირველი განისაზღვრება დაკავებული თანამდებობებით, ხოლო მეორე – პიროვნული თვისებებით, როგორიცაა: ასაკი, ცოდნა, გამოცდილება, კულტურა, კავშირები, ზნეობრივი თვისებები და ა.შ.

სტერლინგი – (sterling) – 1. ძველებური ინგლისური ვერცხლის მონეტა, იჭრებოდა XII საუკუნიდან; 2. ინგლისური ვერცხლის და ოქროს მონეტების კანონით დადგენილი სინჯი.

სტერლინგი (sterling) – 1. ძველებური ინგლისური ვერცხლის მონეტა, იჭრებოდა XII საუკუნიდან; 2. ინგლისური ვერცხლისა და ოქროს მონეტების კანონით დადგენილი სინჯი; გირვანქა სტერლინგში – დიდი ბრიტანეთის ფულადი ერთეული, უდრის 100 ჰენსს.

სტივიდორი – (stivedore) პორტის მტვირთავი.

სტივიდორი (stevedore) [ეპ. estivador, estivar ტვირთის ჩალაგება] – საზღვაო პირი, რომელიც განაგებს საზღვარგარეთის პორტებში გემების დატვირთვისა და გადმოტვირთვას.

სტივიდორი – ეწოდება დამფრახტავის მიერ დანიშნულ პირს, რომელიც ახორციელებს ტრიუმში საქონლის ჩატვირთვას, დაწყობას (ან ტრიმინგს) და გადმოტვირთვას. აგენტები დამფრახტავის მიერ დანიშნული პირებია, რომლებიც ემსახურებიან გემს (მათ შორის ასრულებენ საბაჟო ფორმალობას) და ასრულებენ კაპიტნის მოთხოვნებს.

სტივიდორული დანახარჯი (stevedore expense) – პორტში დატვირთვა - გადმოტვირთვასთან დაკავშირებული დანახარჯი.

სტივიდორული ხარჯები – ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია პორტში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებთან.

სტიმული (ლათ.) – მისწრაფება, ბიძგი, ხალისის აღმძვრელი მიზეზი. მაგალითად, ეკონომიკური სტიმულირება - კარგი მუშაობისათვის დამატებითი ანაზღაურების მიცემა და ა.შ.

სტიმულირება – ადამიანის შრომითი ქცევის მართვის მეთოდი. იგი გულისხმობს ადამიანის საქმიანობის მამოძრავებელი მოტივების საშუალებით პერსონალის ქცევაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას.

სტიმულირება ანუ ეკონომიკური მეთოდი – იგი დაკავშირებულია თანამშრომელთა განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან.

სტიმულაციის მიზნები – ცალკეული ტიპებისა და სახეების ბანკების და ფინანსური დაწესებულებების, საბანკო საქმიანობის ცალკეული მიმართულებებისა და საბანკო გარიგებების, საბანკო პროდუქტების ხარისხობრივ მახასიათებელთა გეოგრაფიული და სოციალური შემადგენელი ელემენტების წახალისება და საქმიანობის განმტკიცება (ბანკების ინოვაციური სპეციალიზაციის, გრძელვადიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების, ბანკების მიერ კონვერსიული პროგრამების დაფინანსების და ა.შ. სტიმულირება).

სტორნო – შეცდომების გასწორების წესი საბუღალტრო აღრიცხვაში; შეცდომით შეტანილ ოპერაციას ხელმეორედ ჩაწერენ წითელი მელნით და ამორიცხავენ ანგარიშის ჯამობრივი თანხიდან.

სტოქისტები (stockists) – იმპორტიორის ქვეყანაში მოქმედი ფირმებია, რომლებიც ასრულებენ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს საკონსიგნაციო საწყობის შესახებ გაფორმებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე.

სტრატეგია – ფირმის მისიის განხორციელებისა და მიზნების მიღწევის საერთო, კომპლექსური გეგმა.

სტრატეგია – მოქმედებათა განზოგადოებული მოდელი, რომელიც აუცილებელია დასმული ამოცანების მისაღწევად წარმოების რესურსების კოორდინაციისა და გადაწყვეტი-

ლებების საჭირო წესების ერთობლიობა, რომლითაც ორგანიზაცია ხელმძღვანელობს თავის ლოგიკურ საქმიანობაში.

სტრატეგია – მიზნების მიღწევის საერთო ყოველმხრივი გეგმა.

სტრატეგია – არის ორგანიზაციის მოქმედების გენერალური მიმართულება, რომლის მიდევნებამ გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა მიგვიყვანოს მის მიზნებთან.

სტრატეგია – არის მოქმედებისა და რესურსების გამოყენების ზოგადი პროგრამა ფართო მიზნების მისაღწევად.

სტრატეგია მმართველობითი – სიტყვა ,,სტრატეგია" ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად ითარგმნება, როგორც გენერლის ხელოვნება. მმართველობით სტრატეგიაში იგულისხმება ორგანიზაციის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტისა და ამისათვის აუცილებელი შეზღუდული რესურსების განაწილების ზოგადი კონცეფცია. იგი, ისე როგორც ნებისმიერი სხვა სტრატეგია, უნდა იყოს შინაგანად ერთიანი, გარემოსთან შეთავსებადი, რესურსებით დაბალანსებული, რეალური, ზომიერად რისკიანი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მომცვლელი. პრაქტიკაში სტრატეგია ორგანიზაციის მისიის, მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისადმი მიმართული მმართველობითი და ორგანიზაციული გადაწყვეტილების სისტემაა.

სტრატეგიული ადაპტაციის პროგრამები – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული პროგრამები რომელთა მიზანია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღება და ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. შეიცავენ სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებას ვაჭრობის ლიბერიზაციას, მკაცრ საგადასახადო და ფინანსურ ღონისძიებებს, კლიმატს გაუმჯობესებას უცხოური ინვესტიციებისათვის.

სტრატეგიული გეგმა – 1. დეტალური კომპლექსური გეგმაა, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა ორგანიზაციის მისიის განხორციელება და საერთოდ მიზნების მიღწევა; 2. სტრა-

ტეგიული გეგმა ღრმა გამოკვლევებსა და დიდი მოცულობის ფაქტიური მონაცემების ანალიზს უნდა ემყარებოდეს; 3. სტრატეგიული გეგმა ფირმის ხელმძღვანელობას კარნახობს თუ რომელი პროფესიის და სპეციალობის კადრები უნდა მოიწვიოს სამუშაოდ და რომელი არა; 4. სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს მოქნილი, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდეს მისი მოდიფიკაცია და კორექტირება; 5. სტრატეგიული გეგმიდან ნათლად უნდა ჩანდეს თუ რა მიზანს (მიზნებს) ისახავს ორგანიზაცია, ეს გაადვილებს მისი რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას.

სტრატეგიული გეგმის დამუშავებაში ამა თუ იმ ფორმით ორგანიზაციის თითქმის ყველა ხელმძღვანელი მონაწილეობს, უშუალოდ გეგმის შედგენა კი მისი უმაღლესი ხელმძღვანელობის მოვალეობაა.

სტრატეგიული დაგეგმვა – ფირმის მიზნების, მისი პოტენციური შესაძლებლობების და მარკეტინგის სფეროს შორის სტრატეგიული შესაბამისობის მმართველობითი პროცესის შექმნა და შენარჩუნება.

სტრატეგიული დაგეგმვა – არის ორგანიზაციული ამოცანების დასახვის და ამ ამოცანების გადასაჭრელი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი.

სტრატეგიული დაგეგმვა – ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იმ მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ნაკრები, რომლებითაც შემუშავდება კონკრეტული სტრატეგიები, რომელთა დანიშნულება არის ის, რომ დაეხმარონ ორგანიზაციას მისი მიზნების მიღწევაში.

სტრატეგიული დაგეგმვა – არის ნებისმიერი ფირმის მიერ ბიზნესის სახეობის არჩევა. რადგან სტრატეგიული დაგეგმვა დაკავშირებულია დანახარჯებისა და შემოსავლების შეფასებასთან დროის ფაქტორის გათვალისწინებით, მას ფინანსურ გადაწყვეტილებათა რიცხვს მიაკუთვნებენ.

სტრატეგიული დაგეგმის – პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1. საწარმოს მისიის ფორმულირება; 2. მიზნებისა და

ამოცანების განსაზღვრა; 3. ბიზნეს-პორტფელის შედგენა; 4. ზრდის სტრატეგიების შერჩევა. საწარმოს მისიაში იგულისმება ის ძირითადი მიზანი, რისთვისაც შეიქმნა საწარმო.

სტრატეგიული ინფორმაცია – ძირითადად გამოიყენება დირექტორებისა და უფროსი მენეჯერების მიერ, ორგანიზაციის ერთიანი მიზნებისა და სტრატეგიის დაგეგმვისათვის და იმის შესამოწმებლად ნამდვილად იქნა თუ არა მიზნები მიღწეული.

სტრატეგიული მართვა – არის ორგანიზაციასა და მის გარემოს შორის კავშირის განსაზღვრისა და დადგენის პროცესი.

სტრატეგიული მართვა – არის ორგანიზაციის მისიის განხორციელების მიზნით, მის გარემოზე ზემოქმედების მართვის პროცესი.

სტრატეგიული მართვა – არის საწარმოს მართვისადმი მიდგომების ეკოლოგიური განვითარების შედეგი.

სტრატეგიული მართვა – არის ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად სტრატეგიის ფორმებისა და შესრულებისათვის შემუშავებული გადაწყვეტილებებისა და მოქმედების ნაკრები.

სტრატეგიული მართვა – ეს ორგანიზაციის ისეთი მართვაა, რომელიც ეფუძნება ადამიანურ პოტენციალს, როგორც ორგანიზაციის საფუძველს, წარმართავს საწარმოო საქმიანობას მომხმარებლის მოთხოვნებზე, შემოქმედებაში ახორციელებს ქმედით რეგულირებას და დროულ ცვლილებებს, რაც პასუხობს გარემოს მხრიდან გამოწვევებს და ხელს უწყობს კონკრეტული უპირატესობების მიღწევაში, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას და გრძელვადიან პერსპექტივაში მის ცხოველმოქმედებას.

სტრატეგიული მარკეტინგი – კომპანიის მიზნების მიღწევის საქმიანობა ბაზრისათვის ფასეულობათა მიწოდების გზით. სტრატეგიული მარკეტინგი ორიენტირებულია უმთავრესად გრძელვადიანი მომგებიანობის უზრუნველ-

ყოფაზე. სტრატეგიული მარკეტინგის პრინციპია: „გამოიყენება რესურსები ფასეულობათა შესაქმნელად“ (მარტივი კომერციის პრინციპი: „იყიდება იაფად, გაყიდე ძვირად“).

სტრატეგიული მენეჯმენტი – ორგანიზაციის მართვა, რომელიც ემყარება სტრატეგიულად დაგეგმვას, გრძელვადიანი სტრატეგიების დამუშავებას და მათ რეალიზაციას დასახული მიზნების მისაღწევად.

სტრატეგიული მიზნების – საფუძველზე ხორციელდება კომპანიების სტრატეგიული მართვა, რომელიც ითვალისწინებს სამეურნეო საქმიანობის პრიორიტეტული მიზნების შესაბამისი საკვანძო პოზიციების განსაზღვრას.

სტრატეგიული მიდგომის პრინციპი – იმ სტრატეგიული საკითხის გარკვევას გულისხმობს, თუ როგორი საბანკო სისტემის მიღება სურს საზოგადოებას რესტრუქტურიზაციის შემდეგ (იმ პირობით, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს ახალ ეტაპზე ბანკების წინაშე დასმულ ახალ მიზნებსა და ფუნქციებს).

სტრატეგიული სამეურნეო ცენტრი – შიდა საფირმო ორგანიზაციული ერთეული, რომელიც პასუხს აგებს მეურნეობრიობის ერთ ან რამდენიმე ზონაში ფირმის სტრატეგიული პოზიციის გამომუშავებაზე.

სტრესი – ირგვლივ მყოფ გარემოში მოვლენებზე ადამიანის ფიზიკური, ქიმიური და სხვა რეაქციების კომპლექსი, რომელთა მოქმედებას წონასწორობიდან გამოჰყვეს ფიზიოლოგიური და ფსიქიკური ფუნქციები.

სტრესში იგულისხმება – ირგვლივ მყოფ გარემოში სტიმულებზე ადამიანის ფიზიკური, ქიმიური და სხვა რეაქციების კომპლექსი და ფსიქიკური ფუნქციები. სტრეს ადამიანისთვის შეიძლება ჰქონდეს, როგორც ნეგატიური, ისე წარმოებრივი დავალებებისა და პირადი მიზნების შესრულებაში. ცხადია, კონფლიქტების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასთან დაკავშირებული უარყოფით მოვლენებს.

სტრესების მართვის მეთოდები – სტრესების მართვა-ესაა

სტრესული სიტუაციისადმი პიროვნების ადაპტაციის მიზნით ორგანიზაციის პერსონალზე მიზანმიმართული ზემოქმედების პროცესი. მისი დანიშნულებაა სტრესის გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და ორგანიზაციის მთელი პერსონალის მიერ მათი ნეიტრალიზაციის მეთოდების დაუფლება.

სტრუქტურა – კორპორაცია შეიძლება ორგანიზაციული, საწარმოო და სხვა სახის სტრუქტურის სახით იქნეს წარმოდგენილი, რომელიც დასახული მიზნების მიღწევისათვის მისი საქმიანობის ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფაქტორებისა და ელემენტების ურთიერთმოქმედების მახასიათებელია. ორგანიზაციის სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციაში მისთვის დამახასიათებელი შრომის დაყოფასთან და კონტროლის სისტემის აგების მოთხოვნილებებთან.

სტრუქტურა – არის სისტემის შიდა მდგომარეობა, მისი ელემენტების და კავშირების განლაგება დროსა და სივრცეში. ეს სისტემის თავისებური ხასიათია, რომელიც ვლინდება მისი ფუნქციონირების პროცესში.

სტრუქტურული გარდაქმნების თეორია (strucsurel changes theory) – ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით ,,მესამე სამყაროს“ ქვეყნების სუსტი განვითარება განპირობებულია არსებული რესურსების გამოუყენებლობის მაღალი ხარისხით იმ სტრუქტურული და ინსტიტუციური დეფორმაციების გამო, რომლებიც წარმოიშვა შიგა და გარე მიზეზების ერთობლივი ზემოქმედებით.

სტრუქტურული დაბალანსება – იგი წარმოადგებს აქტივებისა და პასივების ისეთი სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზარალის დაფარვას მოგებით, რომელიც მიიღება ასეთივე ცვლილებებით ბალანსის სხვა პოზიციების მიხედვით. სხვაგვარად მსგავსი ტაქტიკის მიზანია, ბანკს „დახურული“ პოზიციების მაქსიმალური რაოდენობა ჰქონდეს. მაგრამ რამდენადაც ყველა პოზიციის

ყოველთვის დახურვა შეუძლებელია, ამიტომ ბანკები მუდამ მზად უნდა იყვნენ სტრუქტურული დაბალანსებისათვის.დაბალანსების ყველაზე მარტივი და გავრცელებული ხერხია სავალუტო ნაკადების შესაბამისობაში მოყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი კონტრაქტის დადებისას ბანკმა თავისი არჩევანი უნდა შეაჩეროს იმ ვალუტაზე, რომელიც საშუალებას მისცემს სრულად ან ნაწილობრივ ,,დახუროს" არსებული და სავალუტო პოზიციები.

სტრუქტურული კოეფიციენტი – გვიჩვენებს შემადგენელი ნაწილის ხვედრით წილს მთელის მიმართ.

სტრუქტურული მეთოდები ზემოქმედებს – იმ ორგანიზაციული კონფლიქტების მონაწილეებზე, რომლებიც გამოწვეულია ფუნქციების, უფლებებისა და პასუხისმგებლობათა არასწორი განაწილებით, შრომის ცუდი ორგანიზაციით, მომუშავეთა მოტივაციისა და სტიმულირების უსამართლო სისტემით და ა.შ.

სტრუქტურული რისკი – მთლიანად ბანკის ბალანსის მიხედვით, რასაც იწვევს ფულის ბაზარზე მომხდარი ცვლილებები საპროცენტო განაკვეთების საპროცენტო განაკვეთების რყევასთან არის დაკავშირებული.

სტრუქტურული უმუშევრობა (structural unemployment) – იძულებითი უმუშევრობა, გამოწვეული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნით, მოძველებული დარგებისა და პროფესიების ლიკვიდაციით, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონით და ა.შ.

სტრუქტურული უმუშევრობა – წარმოიშობა წარმოების მოთხოვნებასა და ტექნოლოგიის სტრუქტურაში ძვრების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში სამუშაო ძალა, პროფესიულ-საკვალიფიკაციო დახასიათებით, არ შეესაბამება ეკონომიკის ახალ მოთხოვნებს. სტრუქტურული უმუშევრობისას ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, რის გამოც იცვლება სამუშაო ძალის ხარისხზე მოთხოვნები.

სტრუქტურიზებულობა – გულისხმობს ლოგისტიკური სისტემის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობას, რომელიც შედეგზე მართვის ურთიერთდაკავშირებული ობიექტებისა და სუბიექტებისგან მოცემული მიზნის რეალიზაციისთვის.

სუბარენდა (sublease) – არენდირებული ქონების ნაწილის გადაცემა მესამე პირისათვის არენდით. ამ შემთხვევაში არენდატორი მეარენდის როლში გამოდის.

სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება – გამოსაშვები პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, შრომის წარმადობის დონე, მზა პროდუქციაზე ფასების დონე, პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე ჩამოყალიბებული დანახარჯების დონე, წარმოებაში მენეჯმენტის ხარისხი.

სუბვენცია (subvention)[ლათ.subvenire დახმარების გაწევა] – სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ან მეურნეობის ცალკეული დარგებისადმი, გაწეული განსაზღვრული მიზნისათვის; მიზანდასახული დოტაცია.

სუბორდინირებული ვალი არის ისეთი ვალი, რომელსაც სხვა დეპოზიტებსა და სესხებთან შედარებით აქვს გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი, ანუ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული ვალის კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ ყველა სხვა კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

სუბორდინაციული სესხი – სპეციალური უვადო სესხი, რომლის მიხედვით რესურსების მოზიდვა ხდება სასესხო კაპიტალის ბაზრიდან და სესხის პირობების მიხედვით გათანაბრებულთა მსესხებლის საკუთარ საშუალებებთან. გამოიყენება საწარმოებისა და ბანკების მიერ საკუთარი საშუალებების შესავსებად კრედიტუნარიანობის თანაფარდობის გაუმჯობესების მიზნით.

სუბორდინირებული ვალდებულებები – ესაა იმ საგარეო ინვესტირების მიერ დაბანდებული გრძელვადიანი სასესხო კაპიტალი, რომელთა წინაშე ბანკის ვალდებულებები მნიშვნელობის მხრივ მეორე ადგილზეა მეანაბრეებთან შედარებით, მაგრამ პირველია აქციონერებთან შედარებით. ასეთი სავალო ვალდებულებები შესაძლოა კონვერტირებული იყოს, ე.ი. მომავალში გაიცვალოს ბანკის აქციებზე.

სუბმოიჯარე – ნამდვილი გადამზიდავი, მესამე მხარე, რომელიც ახორციელებს მთლიან ან ნაწილობრივ გადაზიდვას.

სუბსიდია (subsidy) – დოტაცია, სახელმწიფოს უსასყიდლო დახმარება ფიზიკური და იურიდიული პირებისადმი, ადგილობრივი ორგანოებისადმი, სხვა ქვეყნებისადმი. იგი ხორციელდება როგორც პირდაპირი ასიგნების (გრანტის) ფორმით, ისე სახელმწიფო გარანტიის, საგადასახადო შეღავათების, ინვესტიციებისა და ა.შ.

სუბსიდირება ემყარება პირად – პასუხისმგებლობას. მისი საშუალებით შეიძლება შემცირდეს ჰატერნალიზმის უარყოფითი მხარეები მათი ფორმირებისას. სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად, გარედან დახმარებისას ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ,,თვითდაცვას". სუბსიდირების პრინციპი უზრუნველყოფს თვითპასუხისმგებლობისა და თვითრეალიზაციისაკენ ადამიანის შეუნელებელ სწრაფვას და გამორიცხავს პასუხისმგებლობის გადატანას საზოგადოებაზე.

სუბსტიტუტი საქონლის არსებობა – რაც უფრო მეტია ამა თუ იმ საქონლის შემცვლელობა, არჩევნის მით უფრო მეტი შესაძლებლობები უჩნდება მომხმარებელს და მით უფრო დიდია მისი გავლენა ბაზრის პირობებზე. ურთიერთშემცვლელია, ძირითადად სხვადასხვა საბანკო დარგის პროდუქტები. მაგალითად, ვადიან ანაბარზე ფულადი სახსრების შეტანის შემცვლელია ბანკისათვის დავალების მიცემა, დააბანდოს ისინი ფასიან ქაღალდებში ან ძვირფას ლითონებში (მონეტებში, სხმულებში) და ა.შ. მაგრამ

მთლიანად საბანკო საქმის მიმართ ეს შემცვლელობა შინაგანია, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში შემცვლელი მომსახურების მიწოდება „ერთსა და იმავე ხელშია“ თავმოყრილი. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად „გარე“ (არასაბანკო) სუბსტიტუტების მქონე ერთადერთი საბანკო მომსახურებათა დაკრედიტება. მის არასაბანკო შემცვლელებად გვევლინება სასაქონლო კრედიტი და საბიუჯეტო კრედიტი.

სუვერენიტეტი – (sovereignty) [ფრანგ. souverainete] - სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებისაგან საშინაო საქმეებსა და საგარეო ურთიერთობებში; ეროვნული სუვერენიტეტი – უფლებათა ერთობლიობა, გამოხატული სოციალური და პოლიტიკური წყობის თავისუფლად არჩევაში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაში, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაში და ა.შ.

სუპერმარკეტები – მსხვილი სავაჭრო საწარმოები უფრო ნაკლები (ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით) სავაჭრო დარიცხვებით. ვაჭრობის ძირითადი მეთოდია თვითმომსახურება, მთავარი ამოცანაა კვების პროდუქტებზე ძირითადი მოთხოვნის, აგრეთვე ზოგიერთ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სუპერმაღაზიები (სუპერრესტორნები)– სავაჭრო ფართობი შეადგენს საშუალოდ 3-5 ათას კვ.მ; ტრადიციულად მოწოდებული არიან დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნა კვების პროდუქტებსა და სხვა საქონელზე. როგორც წესი, ასეთ მაღაზიებში ხორციელდება მომსახურეების ისეთი სახეები, როგორიცაა რეცხვა, ქიმწმენდა, ფეხსაცმლის შეკეთება და სხვ. აქ მოიაზრებიან კომბინირებული მაღაზიები (სურსათი, აფთიაქი და სხვ., აგრეთვე ჰიპერმარკეტები).

სუპერსმარტ-ბარათები – მათი ნიმუშია Toshiba-ს მრავალმიზნობრივი ბარათი, რომელსაც Visa-ს სისტემაში იყენებენ. ჩვეულებრივი სმარტ-ბარათების შესაძლებლობებისაგან დამატებით მათ გააჩნია პატარა დისპლეი და მონაცემების

შესაყვანი დამხმარე კლავიატურა. ეს ბარათი აერთიანებს საკრედიტო და სადებეტო ბარათებს, თანაც ასრულებს საათის, კალენდარის, კალკულატორის ფუნქციებს, ახორციელებს ვალუტის კონვერტაციის გაანგარიშებებს, შეგვიძლია ჩანაწერებისთვის მისი გამოყენება.

სუროგატი (substitute) [ლათ. surrogatus სხვის მაგივრად დადგმული, ჩადგმული] – შემცვლელი, რომელსაც აქვს შესაცვლელი საგნის, პროდუქტის ზოგიერთი თვისება.

სუფთა კონოსამენტი – არ შეიცავს გადამზიდავის არავითარ აღნიშვნას, რომელსაც გადააქვს ტვირთი. სუფთა კონოსამენტის წარდგენის საჭიროება წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ჩვეულებრივ პირობას, რომლის გარეშეც გამყიდველს არ შეუძლია ბანკში მიიღოს საქონელზე მისი კუთვნილი თანხა. აღნიშვნები იმის შესახებ, რომ ტარა იყო მოხმარებაში მისი არადამაკმაყოფილებელი მდგომრეობის აღნიშვნის გარეშე, არ გარდაქმნიან კონოსამენტს ,,ჭუჭყიანში".

სუფთა საპროცენტო მარჟა – რომელიც ბანკის საქმიანობის მახასიათებელი უმნიშვნელოვანესი კოეფიციენტია და იგი სუფთა პროცენტული მარჟის შემოსავლიანი (მომუშავე) აქტივებისადმი თანაფარდობით გაიანგარიშება.

სუფთა ტვირთამწეობა – ტვირთის, მზა საწვავის, წყლის, შესაზეთი მასალების, გემის აღჭურვილობის, ეკიპაჟის, მგზავრობისა და ბარგის მასის გარეშე.

სუფთა ჩარტერი – ხელმოწერილია გემთმფლობელისა და დამფრახტველის მიერ სტანდარტული ფორმით ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, რომელთაც შეეძლოთ რაიმე ზარალის მოტანა დამქირავებელი მხარესთვის.

სუფსიდირება – ფულადი ან ნივთიერი დახმარება.

სფრედი – ბანკის ყიდვა-გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა.

სწავლებაში – იგულისხმება გამოცდილების დაგროვების პროცესის შესაბამისად, ადამიანთა ქცევაში განხორციელებული ცვლილებები.

სწავლულების გადინება – კვალიფიციური სპეციალისტების ემიგრაცია სხვა ქვეყნებიდან, მეტწილად განვითარებული წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, ემიგრანტ-სპეციალისტები. – ესაა ძირითადად ექიმები და საშუალო სამედიცინო პერსონალი, მეცნიერ-მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მასწავლებლები, მაღალკვალიფიციური მუშები. იმ ნეგატიური ეფექტის გათვალისწინებით, რომლებსაც ახდენენ „სწავლულების გადინება“ განვითარებადი ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალზე,მათ ინტელექტუალურ დასუსტებაზე, აგრეთვე იმ უპირატესობების გამო, რომლებსაც ამასთან ერთად ღებულობენ განვითარებული ქვეყნები, „სწავლულების გადინებამ“ მიიღო სახელწოდება „ტექნოლოგიების უკან გადაცემა“.

სწრაფი სტარტის ეფექტი (catch effect) – ორი ქვეყნის ეკონომიკაში თანაბარი ინვესტიციების პირობებში წარმოების ზრდის ტემპი უფრო მაღალი იქნება იქ, სადაც პოტენციალი იყო დაბალი.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი – გაიანგარიშება ფულადი თანხების და მოკლევადიანი მოთხოვნების ჯამი გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებაზე.

სხვა აქტივები – ამ ჯგუფს ეკუთვნის ის აქტივები, რომლებიც უკვე დასახელებულ ჯგუფში არ შევიდა და ლიკვიდური არ არის: ვადაგადაცილებული კრედიტები და მათზე დარიცხული პროცენტები, უიმედო (პრობლემური) ვალები (მაგალითდ, მრავალგზის პროლონგირებული კრედიტები), დებიტორებთან ანგარიშსწორება. ამ ჯგუფის შინაარსიდან გამომდინარე, ბანკი თავის აქტივებში მისი მინიმიზებისკენ უნდა ისწრაფოდეს.

სხვა გადასაზიდ დოკუმენტაცია – მიეკუთვნება: PTA-Prepaid Ticket Advice (შეტყობინება ბილეთის წინასწარ გადახდის შესახებ) RIM-Flight Interupt Manifest (გადაზიდვის შეწყვეტის შესახებ მანიფესტი) ARV-Agent Refund Vaucher (ავიაკომპანიისა და აგენტის ურთიერთანგარიშსწორებისათვის გამოყენებული დოკუმენტი).

სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება („other public social and personal services") – გაეროს **სსდკ**-ის მიხედვით სპეციალური განყოფილება, რომელშიც შედის: კანალიზაცია და ნარჩენების ლიკვიდაცია, სანიტარული გადამუშავება და სხვა მომსახურება (ქუჩებისა და გზების დაგვა, მორწყვა, ავტოსტრადებისა და აეროპორტების გაწმენდა თოვლისა და ყინულისაგან და ა.შ), კომერციული, სამეწარმეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მომსახურება, რელიგიური, პოლიტიკური ორგანიზაციების, სხვა საწევრო ორგანიზაციების (ომის ვეტერანთა, ახალგაზრდობის, სტუდენტური, კინომოყვარულთა, მებაღეობის მოყვარულთა, მუსიკისა და მხატვრობის მოყვარულთა ასოციაციები და სხვ.), საქმიანობა, დასვენებისა და გართობის კულტურისა და სპორტის ორგანიზაცია (კინო და ვიდეოფილმების გადაღება და გავრცელება, კინოფილმების დემონსტრაცია საქმიანობა რადიოს და ტელევიზიის სფეროში, ხელოვნების, კულტურის სფეროში ბეჭდვითი სააგენტოების საქმიანობა, სპორტული საქმიანობა, დასვენებასა და გართობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა), საფეიქრო და ბეწვეულის ნაწარმის რეცხვა მშრალი წმენდა და ღებვა საპარიკმახეროებისა და კოსმეტიკური სალონების მომსახურება, დაკრძალვის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული მომსახურება საუნების თურქული და ორთქლის აბანოების, მასაჟის კაბინეტების სტრესული მდგომარეობის მოხსნის კაბინეტების, წონაში დაკლების სალონების, საქორწინო ბიუროების და სხვა მომსახურება.

სხვა ფირმების საქმიანობის – მაკონტროლებელ ფირმას ჩვეულებრივ დედა-კომპანიას ან მეთაურკომპანიას უწოდებენ. დედა-კომპანიის კუთვნილი კაპიტალის ზომით, მასზე დაქვემდებარების დონითა და სამართლებრივი მდგომარეობით ფირმაში შემავალი კომპანიები იყოფა შემდეგ სახეებად: ფილიალები (branh), ქალიშვილ-კომპანიები

(subsidiary) და ასოცირებული კომპანიები (associated company ინგლისში და offiliated compsny აშშ-ში).

სხვა შემოსავლები – ესაა ბანკის მიერ გაწეული არასაკრედიტო ხასიათის მქონე მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი, ე.ი. საზღაური საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებისთვის, კლიენტების საფოსტო-სატელეგრაფო და სხვა ხარჯების ანაზღაურებისთვის, წინა პერიოდების პროცენტისა და კომისიის მიღება, ჯარიმები, საურავები და პირგასამტეხლოები.

სხვა შემოსავლებს შეიძლება მივაკუთვნოთ – ა) ბანკის საინფორმაციო, სასწავლო, საკონსულტაციო, მომსახურე-ბიდან მიღებული შემოსავლები; ბ) გაუთვალისწინებელი, შემთხვევითი (არარეგულარული) ხასიათის შემოსავლები.

სხვა ხარჯების ბიუჯეტი - ამ ბიუჯეტში შედის ყველა სხვა ხარჯი, რაც კომპანიას ნორმალური მუშაობისთვის ესაჭიროება. ეს შეიძლება იყოს მგზავრობის, სწავლების, საოფისე მოწყობილობებისა და სხვა ხარჯები.

სხვადასხვა გადასახადების ორდერი (MCO) – გადამზიდველის მიერ გაცემული საგადასახადო საბუთი, რომელიც შეიცავს ზენორმატიული ბარგის საზღაურის ქვითრის გაცემის ან მასში მითითებული პირისათვის სხვა, გადაზიდვასთან დაკავშირებული, მომსახურების გაწევის თხოვნას.

სხვადასხვა დარგისა და საწარმოს – საქმიანობის ძირითადი პრინციპია ორიენტაცია კონკრეტული მომხმარებელი მოთხოვნაზე.

სხვადასხვა ეროვნების პირთათვის დამახასიათებელია გარ-კვეული **ადამიანური თავისებურებანი,** რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინოა **გარეგნობა.** გარეგნულ თავისებუ-რებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ადვილად აღიქმება, მაგრამ ეროვნების ზუსტი დადგენა შესაძლებელია მთელი რიგი ნიუანსების ცოდნით, რასაც უცხოელი ჩვეულებრივ ვერ ამჩნევს.

სხვადასხვა სიჩქარეთა ინტეგრაცია – დამოუკიდებელ სახელ-მწიფოთა თანამეგობრობისა და სხვა გაერთიანებების

ფარგლებში ინტეგრაციული თანამშრომლობის პრაქტიკა, რომლის დროს იდება შეთანხმებანი მათ ცალკეულ წევრებს შორის, გარკვეულ დარგებში ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებასა და გაღრმავებას რომ ითვალისწინებენ.

სხვადასხვა ხალხის ფიზიკურ თავისებურებებზე აუცილებელია ყურადღების გამახვილება, ვინაიდან ამა თუ იმ ქვეყნის ბაზრისათვის განკუთვნილ პროდუქციას უნდა ჰქონდეს იქაური მომხმარებლისთვის მისაღები პარამეტრები. მაგალითად, მაგიდის, ჩარხის ზომა, რომელიც მისაღებია ევროპელისათვის, მიუღებელია იაპონელებისათვის.

სხვადასხვაგვაროვან საწარმოებს შორის შესადარისი მაჩვენებლების რაოდენობა – მინიმალურია, რადგან, ისინი ფონდტევადობით, შრომატევადობით და რენტაბელობით ბუნებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, მანქანათმშენებელი ქარხნის, პურის ქარხნის, ღვინის ქარხნის, ფეხსაცმლის ფაბრიკის და ჩაის ფაბრიკების მომგებიანობის მაჩვენებლებს შორის გადახრები ვერ უპასუხებს კითხვას: რომელი უფრო უკეთესი ეფექტიანობით მუშაობს.

სხვაობას საბრუნავ აქტივებსა და ფირმისმოკლევადიან ვალდებულებებს შორის – წმინდა საბრუნავ კაპიტალს უწოდებენ.

ტ

TEU – ერთეული, რომელიც ფუტის ეკვივალენტურია, სტანდარტული ერთეული, რომელიც წარმოადგენს LSO კონტეინერის სიგრძით 20^1 – ფუტი (6,1 მ) და გამოიყენება სტატისტიკური გაზომვისათვის, რომელიც ეხება სატრანსპორტო ნაკადებს ან გამშვებუნარიანობას. ერთი სტრატეგიული 40^1 – ფუტიანი კონტეინერი სერიის 1 LSO ტოლია 2REU.

ТКП (Транспортная Клиринговая Палата) – სატრანსპორტო საკლირინგო პალატა, დსთ-ს ქვეყნების საჰაერო ხაზებზე

გადაზიდვების გაყიდვაში ავიაკომპანიებსა და სააგენტოებს შორის ურთიერთანგარიშსწორების ფინანსური სისტემა. ТКП იურიდიული პირია და შექმნილია 1992 წელს რუსეთისა და დსთ-ს წამყვანი ავიაკომპანიების მიერ.

ტაბელი – არის დოკუმენტი იმის შესახებ, რომ მომუშავემ დახარჯა სამუშაო დრო მომსახურე პერსონალზე და დამხმარე მუშებზე ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად გაიცემა დასწრების ტაბელი, რომელშიც თავად მომუშავე წერს ყველა ინფორმაციას შესრულებული სამუშაოსა და დახარჯული დროის შესახებ. ხელს აწერს ოსტატი. შეკვეთის სააღრიცხვო ბარათებისაგან განსხვავებით დასწრების ტაბელი უზრუნველყოფს სრული ჩანაწერს იმის შესახებ, თუ რაზე დახარჯა მომუშავემ სამუშაო დღე ან კვირა.

ტაიმ ჩარტელი – დროში გემის დაქირავების შესახებ ხელშეკრულება. ამ დროს გემთმფლობელი ინახავს გემს ნებისმიერ მდგომარეობაში, უხდის ეკიპაჟს შენახვის ფულს, ხოლო დამფრახტველი იხდის ყველა დანარჩენ ხარჯებს (საწვავი, საპორტო მოსაკრებელი და ა.შ. გემთმფლობელს უხდიან დაქირავების გადასახადს.

ტაიმშეტი – ტვირთის დატვირთვა-განტვირთვის დროის, ტვირთით დგომის დროის აღრიცხვის უწყისი. ორმხრივი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დროის გონივრულ გამოყენებას დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებზე საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად.

ტაიმ-შიტი (Time sheet) – საზღვაო დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად არის ფიქსირებული საზღვარგარეთის ქვეყნებში საზღვაო გადაზიდვისას ჩასატვირთ-გადმოსატვირთი დროის დანახარჯში.

ტაიმ-ჩარტერი (Time-charter) – საზღვაო ხელშეკრულება სავაჭრო გემის ან მისი ნაწილის გარკვეული ვადით არენდის შესახებ.

ტალმანური ოპერაციები – დატვირთვისა და განტვირთვის დროს ტვირთის აღრიცხვის ოპერაციები, რომლებიც სრულდება ტალმანების მიერ. ტალმანურ ანგარიშში

ასახულია გემზე დატვირთული ტვირთის ფაქტიური რაოდენობა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (დღე-ღამეში, ცვლაში და ა.შ.).

ტარა (Packing, tare) – ნაკეთობა, ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია საქონლის შეფუთვის, შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის.

ტარა და ტარა მასალები – გამოიყენება პროდუქციის შესაფუთად. პროდუქციის სახეობის მიხედვით ტარაც განსხვავებულია. ტარად ჩაითვლება მინისა და ლითონის ქილები, კასრები, ყუთები და სხვა.

ტარა-ცალობით ტვირთს – აქვს ყველაზე განსხვავებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, კუთრი წონა, მოცულობა. ეს შეიძლება იყოს ტვირთი კონტეინერებში, ყუთებში, ტომრებში, ტვირთი ტარის გარეშე, გრძელრიტმული და არაგაბარიტული ტვირთი.

ტარგეტირება – ფულადი სისტემის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა, ფულის მასის ნამატის რეგულირება, რასაც თავის პოლიტიკაში იყენებენ ცენტრალური ბანკები.

ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tariffs and Trade – GATT) – 1947 წელს შექმნილი ორგანიზაციული სტრუქტურით განმტკიცებული შეთანხმება მსოფლიო ვაჭრობაში ტარიფების შემცირების გზებისა და მეთოდების შემუშავების მიზნით. 1947-1962 წლებში ჩატარებული 7 კონცეფციით **GATT**-მა ვერ მიაღწია ხელშესახებ შედეგებს. წარმატება მხოლოდ 1967 წელს მოვიდა ე.წ. კენედის რაუნდის პერიოდში, როდესაც შესაძლებელი გახდა სანედლეულო საქონელზე სატარიფო განაკვეთების მკვეთრი შემცირება. **GATT**-ს 1995 წლის 1 იანვრიდან ეწოდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო).

მსო – (World Trade Organization WTO) საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანოა, რომლის ძირითადი ფუნქციებია: მასში შემავალ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაცია და ერთიანი სტანდარ-

ტების შექმნა; საბაჟო პროცედურების ერთიანი უნიფიცირებული სისტემის შექმნა; ცალკე განკერძოებული შეღავათების არსებობა. საქართველო 2000 წლიდან მსო-ს სრულუფლებიანი წევრია.

ტარიფი-გამჭოლი (გამოქვეყნებული) – გაგზავნის აეროპორტიდან დანიშნულების აეროპორტამდე განსაზღვრული ავიატარიფი და მოსაკრებელი რომელიც განთავსებულია სატარიფო ცნობარში. თუ ორ პუნქტს შორის არსებობს გამოქვეყნებული ტარიფი, მაშინ გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ ტარიფით.

ტარიფი – მომსახურების (მგზავრთა გადაყვანის, ბარგის გადატანის) ფასების განაკვეთების ოფიციალური ნუსხა;

ტარიფი – სამოქალაქო ავიაციაში სახელმწიფო ფასების სისტემა, რომლის მიხედვით ხდება საჰაერო გადაზიდვების მომსახურება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტარიფი ძირითადად საბაზრო ღირებულებების გათვალისწინებით დგინდება.

ტარიფი (tariff) [ფრანგ. tarif] – 1. განაკვეთთა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა მომსახურების საფასურის ოდენობას. 2. შრომის ანაზღაურების განაკვეთთა სისტემა.

ტარიფი გამჭოლი (გამოქვეყნებული) – გაგზავნის აეროპორტიდან დანიშნულების აეროპორტამდე განსაზღვრული ავიატარიფი და მოსაკრებელი, რომელიც განთვსებულია სატარიფო ცნობარში. თუ პუნქტს შორის არსებობს გამოქვეყნებული ტარიფი, მაშინ გადაგზავნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ ტარიფით.

ტარიფი სატვირთო – ტარიფის ტიპი, რომელიც გამოიყენება სატვირთო გადაზიდვებისათვის. იგი კლასიფიცირდება შემდეგი ტიპების მიხედვით: მინიმალური მოსაკრებელი; ძირითადი ტარიფი; სპეციალური ტარიფი; კლასიანი ტარიფი.

ტარიფი საფოსტო – ტარიფის ტიპი, რომელიც გამოიყენება საფოსტო გადაზიდვებისათვის. მას მიეკუთვნება: საფოსტო ბარათები (უბრალო და დაკვეთილი); წერილები (უბრა-

ლო, დაკვეთილი, გამოცხადებული ფასით); ამანათები, გაზეთები, ჟურნალები, დაზღვეული, ტომრები, კორესპონდენტებით, დეპეშები საერთაშორისო საფოსტო გზავნილებით.

ტარიფი, სამოქალაქო ავიაციაში – სახელმწიფო ფასების სისტემა, რომლის მიხედვით ხდება ავიაგადაზიდვების მომსახურება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტარიფი ძირითადად დგინდება საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

ტარიფის დონე – ტარიფის მნიშვნელობა, გამოხატული აბსოლუტურ სიდიდეში ან აბსოლუტურ სიდიდესთან პროცენტებში.

ტგმ – სატრანსპორტო დერეფნები – ტვირთების გადაზიდვის მუდმივი მიმართულება გადაზიდვის დიდი მოცულობით.

ტაქტიკა – მიზნის მისაღწევი მოკლევადიანი სტრატეგია, რომელიც, ჩვეულებრივ, შემუშავდება საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის დონეზე.

ტეზავრაცია (thesauration) [ბერძ. Thesaurus განძი, მარაგი] – კერძო პირების მიერ მიმოქცევიდან ძვირფასი ლითონების, მონეტებისა და მონეტებისა და ბანკნოტების ამოღება მათი დაგროვების მიზნით.

ტელეტრენინგი და ვიდეო კონფერენცია – ტელეტრენინგის დროს ტრენერი ცენტრალური ადგილიდან ასწავლის დასაქმებულთა ჯგუფებს სხვადასხვა ადგილზე სატელევიზიო კავშირების დახმარებით.

ტელექსი – რამოდენიმე ტელეკომუნიკაციური კომპანია სთავაზობს მსოფლიო ან შიდა მომსახურება, რომელიც მოიცავს ყოველი გაგზავნილი შეტყობინებისათვის დაბეჭდილი ჩანაწერების წარმოებას. იმ ბანკებისათვის, რომლებიც არ არიან ჩართული სვიფტის სისტემაში. ტელექსი წარმოადგენს შეტყობინების გაგზავნის უმთავრეს საშუალებას.

ტელექსის – სისტემაში არ შედის კომუნიკაციების უსაფრთხოების სისტემა, რის შედეგადაც გამოიყენება გაგზავნილი

ინფორმაციის კოდირება. შეტყობინების გამგზავნი ბანკი ვალდებულია, საგადასახადო დავალების შესრულების დავალების შეტყობინებას დაურთოს საკონტროლო შეტ-ყობინება. მიმღები ბანკი ვალდებულია, სეიფში შეინახოს ყოველი გამგზავნის საკონტროლო შეტყობინების კოდის გასაღები (Test Key) და მოახდინოს ყოველი გამოგზავნილი საკონტროლო შეტყობინების გაშიფრვა. გაშიფრვა გამიჯ-ნული უნდა იყოს ტელექსის მომსახურებისა და თანხების გადახდისაგან და უნდა წარმოებდეს ცალკე ადგილას.

ტელექსის – სისტემაში შეღწევა ხდება ნომრის აკრეფვის ან სპეციალურად გამოყოფილი ხაზების საშუალებით. სის-ტემაში გამოიყენება სხვადასხვა კომპანიების მიერ წარ-მოებული ტელეპრინტერები. ასეთი სახის მომსახურების უდიდესი ნაწილი წარმოებს Western Union-ის, RCA Globe-ისა და TT Wold Communication-ის მიერ.

ტემპერამენტი – ადამიანის ფსიქიკური თვისებების ერთობ-ლიობა, რომელიც განსაზღვრავს მისი ქცევის ფორმებს: ემოციურობას, გაწონასწორებულობას ან გაუწონასწორე-ბილობას, სიმარდეს ან ინერტულობას, აქტიურობას ან პასიურობას, გრძნობების ძალას და ა.შ. განსაზღვრული ზომით იგი მოქმედებს მუშაობის ხასიათსა და სტილზე, ირგვლივ მყოფთა ურთიერთობებზე.

ტემპერამენტი – ადამიანის ფსიქიკის დინამიური თავისებურე-ბაა, ე.ი. ფსიქიკური პროცესების ტემპი, რიტმისა და ინტენსიურობის მიმდინარეობა.

ტენდერი – შეთავაზება რაიმე პროდუქტის, პროდუქციის დამუშავების თაობაზე, საქონლის მიწოდების, მომსახუ-რების გაწევის, ობიექტების მშენებლობის შესახებ საჯარო ვაჭრობის (აუქციონის) ჩატარებით. პირობები მუშავდება ვაჭრობის მოწყობების მიერ და ეგზავნება სავარაუდო მონაწილეებს. საწარმოები (ფირმები), რომლებიც თანახ-მანი არიან მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, ავსებენ ტენდერის ფორმას (ბლანკს), უჩვენებენ თავიანთ ფასებს და უგზავნიან სხვა სავაჭრო დოკუმენტებთან ერთად

ვაჭრობის მომწყობებს (ორგანიზატორებს) შემოსული სატენდერო მასალების გულმოდგინედ შემოწმების შემდეგ ტენდერში გამარჯვებულ ფირმას (ოფერენტს) ეგზავნება უწყება.

ტენდერი – წერილობითი წინადადება, განაცხადი; განაცხადი ფასიანი ქაღალდების ხელმოწერაზე, ვაჭრობაზე.

ტენდერი (tender) [ინგ.tender, tend მომსახურება] – საწარმოს მიერ მყიდველისათვის შეთავაზებული ფასი, რომლის განსაზღვრის დროსაც ამოსავალია არა საკუთრი საქონლის დანახარჯების დონე ან მასზე მოთხოვნა, არამედ კონკურენტთა მიერ დადებული ფასი.

ტერიტორია (მიწა-წყალი) – ტერიტორიად იგულისხმება ხმელეთი და მასთან მიმდებარე ტერიტორიული წყლები, რომელიც ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება.

ტერიტორიული ფინანსები – ესაა ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეროვნული შემოსავლის განაწილება და გადანაწილება ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით. სახელმწიფო მართვის დემოკრატიზაციასთან ერთად სულ უფრო ფართოვდება ტერიტორიული ფინანსების, როგორც სახელმწიფო ფინანსური რესურსების შემადგენელი ნაწილის, როლი.

ტერიტორიული წყლები – ზღვის სანაპირო ზოლი, რომელზედაც ვრცელდება მოსაზღვრე სახელმწიფოს სუვერენიტეტი და რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი ტერიტორიის გაგრძელება. ტერიტორიული წყლების სიგანე ჩვეულებრივად შეზღუდულია 12 მილით.

ტერმინალი (Terminal) – ადგილი, რომელიც მოწყობილია ინტერმოდალური სატვირთო ერთეულების გადატვირთვისა და შენახვისათვის.

ტერმინი „გარეგანი გარემო“ – იგულისხმება ეკონომიკური პირობები, მომხმარებლები, პროფკავშირები, სამთავრობო აქტები, კანონმდებლობა, კონკრეტული ორგანიზაციები,

საზოგადოებრივი შეხედულებები, ტექნიკა და ტექნოლოგია და ა.შ.

ტერმინი „კაპიტალის საკმარისობა“ – გამოხატავს ბანკის საიმედობის ზოგად შეფასებას, მასზე რისკის დამუქრების დონეს.

ტერმინი „კომერციული ბანკი“ – საბანკო საქმის განვითარების ადრეულ ეტაპზე იშვა, როცა ბანკი ძირითადად ვაჭრობას (commerce), საქონელგაცვლის ოპერაციებს და გადასახადებს ემსახურებოდა. მისი ძირითადი კლიენტურა ვაჭრები იყვნენ (აქედან მოდის სახელწოდება „კომერციული ბანკი“) ბანკები აკრედიტებდნენ საქონლის მიმოქცევასთან დაკავშრებულ ტრანსპორტირებას, შენახვასა და სხვა ოპერაციებს.

თანამედროვე კომერციული ბანკი არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვისათვის და საკუთარი სახელით მათი განთავსებისათვის დაბრუნების, საზღაურის გადახდისა და ვადიანობის პირობებით. ბანკის ძირითადი დანიშნულებაა კრედიტორებიდან მსესხებლებისკენ და გამყიდველებიდან მიყიდველებისკენ ფულადი სახსრების გადაადგილებაში შუამავლობა.

ტერმინი „კონტეინერი“ – მოიცავს ტვირთის პარტიის ფორმირებისათვის გამოყენებულ ყველა ტიპის კონტეინერსა და (ან) პლატფორმას იმისდა მიუხედავად, მოწონებულია ისინი ISO-ს (International Organisation for Standardisation) მიერ თუ არა. ესაა ტრაილერები, მოწყობილობა წაგორების მეთოდით ჩატვირთვისათვის და ტრანსპორტირების ყველა ხერხისათვის გამოყენებული სხვა სამარჯვები.

ტერმინი „მართვა“– სხვადასხვა საქმიანობის კოორდინაციის პროცესს ნიშნავს დასახული ამოცანების შესრულების, მათი მიზნების, პირობებისა და ეტაპების გათვალისწინებით.

ტერმინი „მეწარმე“ – შემოღებულ იქნა ფრანგი ეკონომისტის რ. კანტილონის მიერ XVIII ს-ში. იგი გულისხმობს კაცს, რომელიც თავისთავზე იღებს ახალი საწარმოს შექმნის,

ახალი პროდუქციის ან მომსახურების ათვისების რისკს. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ტერმინები „მენეჯერი“ და „მეწარმე“ სინონიმები არ არიან. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილ მეწარმეთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ჯონ როკფელერი (ნავთობი), ჯონ მორგანი (ფოლადი, ბანკები), ენდროუ მელონი (ალუმინი), არისტოტელე ონასისი (გემთმშენებლობა), ჯონ მაკარეტური (დაზღვევა) და სხვები, რომლებმაც ფაქტიურად შექმნეს ბიზნესის სხვადასხვა სფეროში წარმატებით მოღვაწე მეწარმის სახე. მენეჯმენტი რამდენადაც ყველა მეწარმე ორგანიზაციის მიზნების ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობს, მართავს მას, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მენეჯერებს წარმოადგენენ. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მეწარმე თავისი მმართველობითი საქმიანობით გამოირჩევა არა მხოლოდ ორგანიზაციის განვითარების საწყის ეტაპზე, არამედ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აგრძელებს მას.

ტერმინი „მმართველობა“ – ან მმართველი ორგანო იმ სახით, რა სახითაც იგი გამოიყენება წინამდებარე პრინციპებში, მოიცავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მმართველობის სტრუქტურათა სხვადასხვა ეროვნულ მოდელს.

ტერმინი „მმართველობა“ – ან მმართველი ორგანო წინამდებარე მიზნებისათვის შეესაბამება „სამეთვალყურეო საბჭოს“, მაშინ როდესაც ტერმინი „მთავარი თანამდებობის პირები“ შეესაბამება ადმინისტრაციას.

ტერმინი „რისკი“ – განმარტებულია, როგორც „შესაძლო საფრთხე, ალალბედზე მოქმედება წარმატების იმედით“, აგრეთვე „გარისკვა – მთელი პასუხისმგებლობის, რაიმეს მთელი შედეგების აღება საკუთარ თავზე“. ე.ი. რისკს საფუძვლად უდევს მომავლის რწმენის უქონლობა. ტრადიციულად გამოყოფენ რისკის ორ განმარტებას. პირველი ეყრდნობა რისკის მიზეზებს და მათ გაურკვევლობას (მაგალითად: მე არ ვიცი, როგორ შეიცვლება პროცენტი)

მეორე განმარტება ეყრდნობა თვითონ რისკზე ზემოქმედებას.

ტერმინი „საკადრო პოლიტიკა“ – გამოიყენება ვიწრო და ფართო გაგებით, ფართო გაგებით საკადრო პოლიტიკაში იგულისხმება ადამიანური რესურსების ფირმის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მომყვანი წესებისა და ნორმების სისტემა.

ტერმინი „ფინანსები“ – მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „finansia”, რაც ნიშნავს შემოსავალს, გადასახადს. თავის მხრივ, სიტყვა „finansia”, წარმოიშვა ძველი ლათინური “figo”-დან (გავყოთ) და “finis”-დან (დამთავრება, საზღვარი, ბოლო). როგორც ცნება, ფინანსები ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნავს.

ტერმინი მომსახურების მომხმარებელთან კონტაქტი – ასახავს სისტემაში კლიენტის ფიზიკურ მონაწილეობას, ხოლო ტერმინი – მომსახურების გაწევა ასახავს მომსახურების გაწევისათვის შესრულებულ სამუშაო პროცესს.

ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის მიზანია – 1. საწარმოში გამოყენებული ტექნიკის, ნედლეულის გადამუშავებისა და პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა; 2. იკვლევს დეტალურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს რესურსების გამოყენების ხარისხზე.

ტექნიკურ-ეკონომიკური შემფასებელი მაჩვენებლებს მიეკუთვნება – სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარე, ტვირთამწეობა, გადაზიდვის თვითღირებულება, სატრანსპორტო კვანძების სიმძლავრე და სხვა.

ტექნიკური დახმარება – საქმიანობის გარკვეულ სფეროებში, ჩვეულებრივ, ეკონომიკისა და მართვის დარგში ცოდნისა და ჩვევების შეძენაში დახმარება. ფულადი სახსრები, რომლებსაც საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და ცალკეული ქვეყნები გამოყოფენ ტექნიკური დახმარების ფარგლებში, უშუალოდ მიმღები მხარის განკარგულებაში კი არ ხვდება, არამედ ხმარდება შესაბამისი კონსულ-

ტანტ სპეციალისტთა გასამრჯელოს ანაზღაურებასა და სამუშაოს ორგანიზაციას.

ტექნიკური დახმარების ანაზღაურება – მნიშვნელოვანწილად ემსგავსება საინჟირინგო მომსახურების ანაზღაურებას, ვინაიდან მის საფუძველშიც ჩადებულია გამყიდველის ხარჯების დაფარვის პრინციპი ვაჭრობის მოწყობების მიერ და ეგზავნება.

ტექნიკური დირეტორი – არის ხელმძღვანელი, რომელიც მხოლოდ საწარმოო საკითხების გადაწყვეტით არის უფლებამოსილი, ყველა ფინანსური საკითხების გადაწყვეტა საწარმოს მფლობელების უფლებამოსილებას წარმოადგენს.

ტექნიკური დოკუმენტაცია – საჭიროა მოწყობილობებისა და ხანგრძლივი მოხმარების ტექნიკური სამომხმარებლო საქონლის მიწოდებისას მათი დროული მომართვისა და სწორი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად. ტექნიკურ დოკუმენტაციას მიეკუთვნება: პასპორტი, ფორმულიარები და ნაწარმის აღწერა, მონტაჟისა და ექსპლუატაციის ინსტრუქციები, სხვადასხვა სქემები, ნახაზები, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტების, სამარჯვების უწყისები და ა.შ. სავაჭრო ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამონათვალი ჩვეულებრივ მოცემულია სტანდარტულ ან ტექნიკურ პირობებში, რომელიც კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია. ტექნიკური დოკუმენტაცია მზადდება მყიდველის ქვეყნის ენაზე ან მყიდველის მიერ მითითებულ სხვა ენაზე. სერიული წარმოების საქონელზე ტექნიკური დოკუმენტაცია აუცილებლად ტოპოგრაფიული წესით უნდა იყოს დაბეჭდილი.

ტექნიკური დონე – ტექნიკური დონის ქვეშ იგულისხმება პროდუქციის ხარისხის ფარდობითი მახასიათებელი, რომელიც ემყარება შესაფასებელი პროდუქციის ტექნიკური. სრულყოფილობის დამახასიათებელი მაჩვენებლების მნიშვნელობების შედარებას საბაზო მაჩვენებლების მნიშვნელობებთან.

ტექნიკური ინფორმაცია – გამოიყენება მენეჯერთა მიერ მართვის ყველა დონეზე, მაგრამ ძირითადად საშუალო დონეზე დაგეგმვისა და მენეჯერული კონტროლისათვის საქმიანობის ისეთ სფეროში, როგორიცაა ფასების დადგენა, შესყიდვა, განაწილება და სასაწყობო საქმიანობა.

ტექნიკური კონსულტანტი – ვაჭრობის მუშაკი, რომელიც შემოქმედებითი მეთოდის გამოყენებით ყიდის მატერიალურ საქონელს (მტვერსასრუტები, საოჯახო საქონელი) ან მომსახურება (დაზღვევა, სარეკლამო ან საგანმანათლებლო მომსახურება).

ტექნიკური მენეჯმენტი – მისთვის დამახასითებელია ბუნდოვანი მიზანდასახულობანი, რეალური სიტუაციისათვის არაადექვატური ზომების მიღება. მაგრამ ტექნიკური მენეჯმენტის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა - არაადეკვატური პოლიტიკა, შიდა კონტროლის ნაკლებობა და სუსტი დაგეგმარება, პერსონალის გაუმართლებელი ზრდა და ა.შ.

ტექნიკური მომსახურების ციკლი – ლოგისტიკური პროცესების დამთავრება სავარაუდო, დაგეგმილი შედეგით;

ლოგისტიკური სისტემის განვითარების განსაზღვრული პროცესების განმეორებადობა;

ლოგისტიკური პროცესების შემადგენელი ნაწილების ანდა სტადიების ჩაკეტილობა მოწესრიგებულობა;

განმეორებადი და დამთავრებული ჩაკეტილი პროცესი, რომელსაც გადაჰყავს მიზანი (მოთხოვნების დაკმაყოფილება) მომსახურების განსაზღვრული შედეგში (პროდუქციაში, საგანში, ობიექტში);

ტექნიკური პროგრესი (technical progress) – ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ფაქტორი; იძლევა მეტი პროდუქციის გამოშვების საშუალებას წარმოების პროცესში გამოყენებული კაპიტალის უცვლელი რაოდენობის პირობებში. ტექნიკური პროგრესი განვითარდება ძირითად კაპიტალში. **იყოფა შრომადამზოგველი, ნეიტრალურ და კაპიტალდამზოგველ ტექნიკურ პროგრესად.**

ტექნოლოგია – ანუ კორპორაციის საქმიანობის მექანიზმი არის შრომის საწყისი ელემენტების ჯამურ (საბოლოო) შედეგებში გარდაქმნის საშუალება (ნედლეულის საქონლისა და მომსახურებაში გარდაქმნის ხერხი).

ტექნოლოგია – აშშ-ში ტექნოლოგიაში იგულისხმება როგორც საწარმო ისე არასაწარმოო. აგრეთვე შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა სფერო, ტექნიკა, პროცესები, მეთოდები. იგი ერთდროულად გვევლინება, როგორც შინაგანი ცვლადი და დიდი მნიშვნელობის გარეგანი ფაქტორი. ტექნოლოგიური სიახლის დანერგვა ხელს უწყობს ეფექტიანობის ამაღლებას. უდიდესი მნიშვნელობის ტექნოლოგიური (მეცნიერულ-ტექნიკურ) სიახლეებს მიეკუთვნება კომპიუტერული, ლაზერული ტექნოლოგიები, თანამგზავრული კავშირი და ა.შ.

ტექნოლოგია – საწყისი მასალის (ადამიანები, ინფორმაცია, ფიზიკური მასალები) გარდაქმნის ნებისმიერი საშუალება, რომლის მიზანია სასურველი პროდუქციის მიღება ან მომსახურების გაწევა.

ტექნოლოგიები – სპეციფიკური საქონელია, რომელიც მიეკუთვნება ინტელექტუალურ საკუთრებას. ზოგადი სახით ტექნოლოგიაში იგულისხმება წარმოების პროცესში გამოყენების მასალების დამუშავების, დამზადების მათი ფორმისა და თვისებების ცვლილებათა მეთოდები. ეკონომისტთა ცნებით კი ტექნოლოგია წარმოების ფაქტორების პროდუქტად გარდაქმნის ხერხით.

ტექნოლოგიებით საერთაშორისო ვაჭრობა – ამ ვაჭრობაში იგულისხმება უცხოელი კონტრაჰენტისათვის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის სამეცნიერო ტექნიკური საქმიანობის შედეგების გადაცემა კომერციულ საფუძველზე.

ტექნოლოგიების გადაცემის ძირითადი ფორმაა – ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობა.

ტექნოლოგიების გადაცემა – სამეცნიერო-ტექნიკური ნამუშევ-

რების ან შექმნილი საწარმოო ტექნოლოგიური პროცესე-ბის ყიდვა-გაყიდვა.

ტექნოლოგიის რეალიზაციის შედეგად მიღებული დამატებითი მოგების სიდიდე – თავისი არსით, მიწის რენტის ანალო-გიურია, ამიტომ ხშირად ამ მაჩვენებელს ტექნოლოგიურ რენტას უწოდებენ. ამასთან მისი მიღების შესაძლებლობა განპირობებულია მფლობელის ტექნოლოგიური მონოპო-ლიით.

ტექნოლოგიური დუალიზმი (technological dualisim) – კაპიტალინტენსიური მძიმე მრეწველობის შერწყმა სხვა დარგების შრომა ინტენსიურ მეთოდებთან ჭარბი სამუშაო ძალის გამოყენების მიზნით. მძიმე მრეწველობის მოდერ-ნიზაციისა და წარმოებრივი ინფრასტრუქტურის შექმნის პროცესში სხვა დარგები „ისრუტავენ“ ჭარბ სამუშაო ძალას.

ტექნოლოგიური ინჟინერინგი – ითვალისწინებს შემკვეთისა-თვის ტექნოლოგიის გადაცემას კონკრეტულ საწარმოო გამოცდილებასთან და (ან) ცოდნასთან. „ნოუ-ჰაუსთან“, პატენტთან ერთად.

ტექნოლოგიური კონტროლის რუკა – ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა გაკონტ-როლდეს პროდუქციის ან მომსახურების ხარისხი წარ-მოების ან მომსახურების გაწევის პროცესში კორექტი-რების ზომები მიიღება რაიმე გადახრის გამოვლინების-თანავე.

ტექნოლოგიური პროგნოზირება – გულისხმობს ტექნოლოგიუ-რი პროცესების განვითარების მოსალოდნელ დონეს, რო-მელიც ახალი პროდუქციის შექმნის საფუძველს წარმოად-გენს.

ტექნოლოგიური საფუძვლები – არის მომსახურების სახეების (პლატფორმები, დატვირთვა-განტვირთვის მექანიზმები) არჩევის დასაბუთების გაანგარიშებისათვის მასალათა მოძრაობის ეტაპების მოდულირება.

ტექნოლოგიური უმუშევრობა (technological unemployment) – წარმოებაში შრომადამზოგველი ტექნოლოგიის დანერგ-

ვით წარმოშობილი უმუშევრობა. ნეოკლასიკოსები ასეთ სიტუაციას დროებითად მიიჩნევენ და უმუშევრობის ამ ფორმას სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლივობა – ეწოდება იმ დროს, რომლის განმავლობაში ნედლეული გაივლის ტექნოლოგიური პროცესის ყველა ოპერაციას და მიიღება მზა პროდუქცია.

ტექნოპარკი (industrial park) – მაღალტექნოლოგიური პარკი. სათავეს იღებს XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც აშშ-ში, კალიფორნიის შტატში სტენფორდის უნივერსიტეტთან შეიქმნა სამეცნიერო პარკი და საფუძველი ჩაეყარა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამჟამად აშშ-ში 160-ზე მეტი ტექნოპარკია, რაც მსოფლიოში არსებული ტექნოპარკების 30%-ს შეადგენს.

ევროპაში ტექნოპარკები გამოჩნდა 70-იანი წლების დასაწყისში. ერთ-ერთი პირველთაგანები იყვნენ ედინბურგში ჰერიოტუაიტის უნივერსიტეტის კვლევითი პარკი, ტრინიტის სამეცნიერო პარკი კემბრიჯში და ა.შ.

80-იანი წლებიდან ტექნოპარკები იქმნება კანადაში, სინგაპურში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, იაპონიასა და ჩინეთში. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ჩინეთში, სადაც 50-ზე მეტი ტექნოპარკია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ განვითრებას. ეროვნულ ტექნოპარკებს მილიარდობით მოგება მოაქვთ ქვეყნისათვის. ტექნოპარკებს ზოგჯერ **კლასტერებსაც** უწოდებენ.

ტექნოპოლისი (სამეცნიერო პარკი) – მეცნიერებატევადი პროდუქციის შემუშავებისა და წარმოების სამეცნიერო-საწარმოო ტერიტორიული კომპლექსი.

ტვინის შტურმის მეთოდი – გამიზნულია გადაწყვეტილებათა მიღების ახალი ვარიანტების შემუშავებაზე. ამ მეთოდით მოლაპარაკებისათვის მომზადება წარმოებს კოლექტიურად მასში მონაწილეთა მიერ მაქსიმალურად შესაძლებელი ვარიანტების წამოყენებით და ჩაწერით, ნებისმიერი,

თუნდაც აბსურდული და არანორმალური იდეის ყოველ-
გვარი კრიტიკის გარეშე.

ტვირთამწეობა – მსუბუქწონიანი ნაკადის 1 ტონა ტვირთი იკავებს 2მ-ზე მეტ მოცულობას – 19. მაგალითად, თამბაქოს ნაწარმი ტრანსპორტირების პროცესში ქმნის მსუბუქწონიან ნაკადებს.

ტვირთამწეობა – ტვირთის რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიიღოს საზღვაო გეგმა, ნორმალური ცურვის პირობების შენარჩუნების პირობებში;

ტვირთბრუნვა – შესრულებული ტონა-კილომეტრები, საავიაციო ტრანსპორტის ძირითადი პირობით – ნატურალური ეკონომიკური მაჩვენებელი. იგი გაიანგარიშება გაგზავნილი ტვირთის რაოდენობის (ტონობით) გადაზიდვის მანძილზე (კგ) გამრავლებით. იზომება ტონა კილომეტრებში.

ტვირთგამგზავნი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული გადამზიდველთან, რომლის დასახელება ან გვარი ნაჩვენებია სატრანსპორტო ზედდებულში, როგორც ამ ხელშეკრულებაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის.

ტვირთების ამოცნობის რადიოსიხშირულ ბაზებში (EFLD ინტერნეტტექნოლოგიების დამუშავება) – ტვირთების მეთვალყურეობის ამ ტექნოლოგიებს ატარებენ აუთსორსინგზე.

ტვირთების კონსისტენციის მიხედვით – არსებობს ყრილი, ზვინური, ტარაცალობითი, ჩამოსასხმელი მატერიალური ნაკადები.

ტვირთი – საჰაერო ხომალდზე გადასაზიდი ქონება, საბორტო კვებისა და ბარგის გარდა.

ტვირთი სასწრაფო – ტვირთგამგზავნის განცხადებით რიგგარეშედ გაგზავნილი ტვირთი;

ტვირთის გადაზიდვების მიხედვით პირდაპირი საექსპლუატაციო ხარჯებია – სატვირთო მატარებლების მიღებაგაშვებასთან, ფორმირება-განფორმებისგან, ლოკომოტივების და ვაგონების შეკეთებასთან, სალოკომოტივო ბრიგა-

დების ექსპლოატაციასთან, სატვირთო ოპერაციების განხორციელებასთან, ვაგონების დასატვირთად მომზადებასთან დაკავშირებული მატერიალური და შრომითი ხარჯები, აგრეთვე სატვირთო მატარებლების ხარჯები.

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება – ესაა შეთანხმება ტვირთგამგზავნსა და გადამზიდველს შორის, რომლის შესაბამისადაც გადამზიდავმა უნდა მოიტანოს ტვირთი დადგენილ ადგილზე და დროში, ხოლო გამგზავნმა უნდა მიაწოდოს ტვირთი და გადაიხადოს ტრანსპორტირების ღირებულება.

ტვირთის დაზღვევა – დაზღვევის სახეთა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს დამზღვევის ვალდებულებებს სადაზღვევო გადასახადების მიხედვით დაზღვევის ობიექტზე მიყენებული ზარალის სრული ანდა ნაწილობრივი კომპენსაციით.

ტვირთის დასახელება და მისი მარკირება – ადგილების რიცხვი ანდა ტვირთის რაოდენობის აღნიშვნა, ზოგჯერ საჭიროების შემთხვევაში აღინიშნება – მონაცემები ტვირთის გარე სახის მდგომარეობის და ტვირთის თვისებების შესახებ. ყველა სახის კონოსამენტის დაბეჭდილ ბლანკზე მითითებულია, რომ ტვირთი მიღებულია გარეგნულად კარგ მდგომარეობაში. თუ ნამდვილად ტვირთის ანდა ტარის გარეგნული სახე კარგია, მაშინ კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. შენიშვნის გარეშე კონოსამენტს ეწოდება სუფთა (clear), შენიშვნებით – არასუფთა, ანუ დაჭუჭყიანებული (not clean ანდა didrty). შენიშვნებით, რომელიც ხაზს უსვამს დეფექტებს საქონლის ან შეფუთვის მდგომარეობაში, კონოსამენტს ბანკი არ იღებს გადახდაზე.

ტვირთის დეკლარაცია – (ზოგიერთ შემთხვევაში მას ფრახტის დეკლარაციას უწოდებენ) ზოგადო ტერმინით, რომელიც აღნიშნავს კომერციული სატრანსპორტო საშუალებებით გადასაზიდი ტვირთის (ფრახტის) შესახებ საბაჟოსათვის საჭირო მონაცემების შემცველ დოკუმენტებს.

ტვირთის კორეიტი – ტვირთის დასახელების განმსაზღვრელი ციფრობრივი კოდური ნიშანი.

ტვირთის მანიფესტი – დოკუმენტია, რომელშიც მოცემულია რომელიმე სატრანსპორტო საშუალებით ან სატრანსპორტო ერთეულით გადასაზიდი ტვირთის შემადგენელი საქონლის ჩამონათვალი. სატვირთო მანიფესტში ურთიერთობენ საქონლის კომერციულ მონაცემებს, კერძოდ, სატრანსპორტო დოკუმენტების ნომრებს, ტვირთის გამგზავნისა და ტვირთის მიმღების დასახელებებს, მარკირებებს, სატვირთო ადგილების რიცხვსა და სახეს, აგრეთვე საქონლის აღწერასა და რაოდენობას.

ტვირთის მიღების ხელწერილი – გადამზიდავის ან მისი აგენტის მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს გადაზიდვისათვის დასახელებული ტვირთის მიღებას დოკუმენტში ნაჩვენები პირობებით ან იმ პირობებით, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში და რომელიც გადამზიდავს აძლევს სატრანსპორტო დოკუმენტის გამოწერის შესაძლებლობას.

ტვირთის პარტია – ტვირთის ერთი ან რამდენიმე ადგილი, რომელიც გადამზიდველს მიღებული აქვს ერთი ტვირთგამგზავნისაგან, ერთი ტვირთმიმღების მისამართზე და გაფორმებულია გადაზიდვის ერთი სატვირთო ზედდებულზე.

ტვირთის სატარიფო კოდი – კოდი, რომელიც გამოიყენება სატვირთო ზედნადებში ტარიფის ტიპის საჩვენებლად (M – მინიმალური მოსაკრებელი; H – ნორმალური ტარიფი; B – რაოდენობრივი ტარიფი; D – დამატებითი ტარიფი; L – შეღავათიანი ტარიფის კლასი, ანუ შემცირებულკლასიანი ტარიფი C – სპეციალური ტარიფი).

ტვირთმიმღები – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ნაჩვენებია სატრანსპორტო ზედდებულში, რომელსაც ნაჩვენებ მისამართზე ეგზავნება ტვირთი.

ტვირთტევადობა – გემის სათავსოს საერთო მოცულობა, რომელიც განკუთვნილია ტვირთის გადაზიდვისთვის. იგი

იზომება m^3-ში. მარცვლის ტვირთტევადობა – ტრიუმის საერთო მოცულობა ნაყარი სახით ნებისმიერი ტვირთის გადაზიდვის დროს.

ტვირთტევადობა – გემის სათავსოს საერთო მოცულობა, რომელიც განკუთვნილია ტვირთის გადაზიდვისთვის. იგი იზომება m^3-ში. ტვირთტევადობა – გემების ტრიუმების საერთო გადაზიდვის გენერალური ტვირთების დროს, განსხვავდება ამ ორ მოცულობას შორის შეადგენს 5-10%-ს.

ტიპიური კონტრაქტი – სანიმუშო ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს ერთი საქონლის ან სასაქონლო ჯგუფის ყიდვა-გაყიდვის უნიფიცირებულ, სტანდარტულ პირობებს. ტერმინი **„სატრასპორტო ტერმინალი“** აღნიშნავს რკინიგზის ტერმინალს, რკინიგზის სატვირთო სადგურს, კონტეინერების ტერმინალ ან დასახარისხებელ სადგურს, წვრილ საბითუმო ტვირთების ტერმინალსა და ნებისმიერ მსგავს პუნქტს.

ტიპიური ჩარტერები – პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ჩარტერის ფორმები, რომლებიც დამუშავებულია ტვირთის სახისა და გადაზიდვის მიმართულების გათვალისწინებით, ახალი ტვირთნაკადებისა და პირობების გამოჩენასთან ერთად შემოდის ახალი ტიპის ჩარტერები.

ტირაჟი – ფიზიკური ერთეულების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ რეკლამას.

ტმეკ-ის ნებართვები – ტმეკ-ის წევრ ქვეყანაში დაქირავებით, ანდა ფულადი ანაზღაურების სხვა ფორმით, სატრან–სპორტო საწარმოების, ორგანიზაციების ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების მრავალმხრივი ნებართვები, კვოტირების სისტემის საფუძველზე სატრანსპორტო ოპერაციებზე, რომელიც სრულდება ტმეკ-ის წევრ ქვეყანებს შორის და ტრანზიტით ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე. სატრანსპორტო საშუალებები რეგისტრირებული უნდა იქნას ტმკ-ს წევრ ქვეყანაში. ტმკ-ს ნებართვა უმოქმედოს სატრანსპორტო ოპერაციებისათვის, წევრ ქვეყნებსა და მესამე ქვეყნებს შორის.

ტოკიო-რაუნდი – საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ სახელმწიფოთა გენერალური შეთანხმება, რომელიც ძირითადად საერთაშორისო ტარიფებს, ბაჟებსა და ვაჭრობას ეხება.

ტონა – მასის ერთეული საზომ მეტრულ სისტემაში ტონა უთანაბრდება 1000 კგ-ს;

ტონაჟი – საჰაერო ხომალდის ტვირთამწეობა, ტვირთტევადობა.

ტოტალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – ამ დროს ცენტრალური ბანკის ღონისძიებები ვრცელდება საბანკო სისტემის ყველა დაწესებულებაზე, სელექციურისას კი - ცალკეული საკრედიტო ინსტიტუტებზე ან მათ ჯგუფებზე, ან საბანკო საქმიანობის განსაზღვრულ სახეებზე.

ტრადიცია – სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები, რომლებიც გადაიცემა თაობიდან თაობას და განსაზღვრულ საზოგადოებაში, სოციალურ ჯგუფებში და ა.შ. დაცულია ხანგრძლივ პერიოდში.

ტრადიციული მარკეტინგის კონცეფცია – 1. ჩამოყალიბდა 1950 წლების შუა პერიოდში სამი განხილული კონცეფციის საუკეთესო ასპექტების გათვალისწინებით. იგი ემყარება დებულებას იმის თაობაზე, რომ სამომხმარებლო ფასეულობათა შექმნისას მათი დაყვანა მიზნობრივ ბაზრამდე (მომხმარებლამდე) ხორციელდება კონკურენტებთან შედარებით უფრო ეფექტიანი მეთოდებით, სტრატეგიებით და პოლიტიკით, რაც ფირმის წარმატების საწინდარია. 2.ტრადიციული მარკეტინგის კონცეფცია ემყარება ოთხ ე.წ. ვეშაპს: მიზნობრივ ბაზარს, მომხმარებელთა მოთხოვნას (გადახდისუნარიან მოთხოვნილებას), ინტეგრირებულ მარკეტინგს და მომგებიანობას. თითოეულმა ფირმამ უნდა აირჩიოს მიზნობრივი ბაზარი (ბაზრები) და მოამზადოს მარკეტინგის შესაბამისი სპეციალური პროგრამა.

ტრადიციული სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობა – ამ საქმიანობის მასშტაბების ზრდით და უცხოეთში საქმიანობის სფეროს გაფართოებით შეიქმნა უმსხვილესი ტრანსნაციონალური სავაჭრო კორპორაციები, რომელთაც გაბატონე-

ბული ადგილი დაიკავეს ცალკეული საქონლის მსოფლიო ბაზრებზე.

ტრივალიზმი (trivalisim) [ინგ trabal სატომო, ტომობრივი] – ტომობრივი სეპარატიზმი საზოგადოებაში, რომელსაც შენარჩუნებული აქვს გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფის გადმონაშთები.

ტრანზიტი – (ლათ.Transitus - გავლა) ტვირთის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა ქვეყნის შიგნით, ერთი პუნქტიდან (სადგურიდან) მეორეში შუალედური პუნქტების გავლით, აგრეთვე ერთი ქვეყნიდან მეორეში, სხვა ქვეყნის ტერიტორიის გავლით.

ტრანზიტი – მგზავრობა ქვეყნის ტერიტორიის გავლით, რომელშიც არ წარმოებს საქონლის არც დატვირთვა და არც განტვირთვა.

ტრანზიტი (transit) [ლათ. Transitus გატარება] – ტვირთის გადაზიდვა გადაგზავნის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე შუალედურ პუნქტებში გადმოუტვირთავად.

ტრანზიტის აეროპორტი – შუალედური აეროპორტი, რომელიც რეისის მარშრუტზე მდებარეობს და ავიაბილეთსა და საბარგო ქვითარზე არ არის აღნიშნული.

ტრანზიტული მომარაგება-მომხმარებელი – საწარმოს მომარაგება უშუალოდ საწარმო-მომწოდებლის მიერ მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციების გვერდის ავლით. ჭარბობს წარმოების საშუალებების მიწოდებაში და გამოიყენება მხოლოდ გაგზავნის მინიმალური სატრანზიტო ნორმების დაცვის შემთხვევაში.

ტრანსაქცია – 1. გარიგება, გაცვლა, რომელსაც თან ახლავს ურთიერთდათმობა; 2. საბანკო ოპერაცია – ფულადი სახსრების გადაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე.

ტრანსაქცია (transaction) [ლათ. Transaction გარიგება, შეთანხმება] – 1. საბანკო ოპერაცია, რომელიც გულისხმობს ფულადი სახსრების გადაგზავნას (მათ შორის საზღვარგარეთ) რაიმე მიზნით; 2. საკუთრებისა და თავისუფლების დაცვა.

ტრანსაქციული ხარჯები (transaction cost) – შეთანხმების დადებისა და მისი განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ხარჯები, გაწეული მოლაპარაკების მონაწილე მხარეთა მიერ.

ტრანსაქციული ხარჯი – (Travsaction costs) ხარჯი მიმოქცევის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადაცემასთან (ინფორმაციის მოპოვების, მოლაპარაკებებისა და კონტრაქტის დადების, სპეციფიკაციისა და საკუთრების უფლებების დაცვის, გაზომვისა და სხვა ხარჯებია).

ტრანსდორტი – ბანკის გზავნილი ან წერილობითი ბრძანება თავის კორესპოდენტებისადმი ბრძანებაში მითითებული პირის სახელზე გარკვეული თანხის გაცემის შესახებ.

ტრანსდორტი (transfer) – ბანკის გზავნილი ან წერილობითი ბრძანება თავისი კორესპოდენტებისადმი ბრძანებაში მითითებული პირის სახელზე გარკვეული თანხის გაცემის შესახებ.

ტრანსეროვნული (ტრანსნაციონალური) კორპორაცია (transnational (multinational) corporation MNC) – მსხვილი სამეურნეო გაერთიანება, საერთაშორისო, მრავალნაციონალური კორპორაცია, რომელსაც შტაბბინა აქვს მსოფლიოს ერთ-ერთი ქვეყანაში და ფლობს ფილიალების დიდ რაოდენობას როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ასეთი კორპორაციების მაგალითად გამოდგება „ფილიპსი“. „ჯენერალ მოტორსი“, „კოკა-კოლა“. „რენო“ ბრიტიშ პეტროლიუმი“ და ა.შ. მათი რიცხვი მსოფლიოში 60-ათასზე მეტია. **MNC** – ახორციელებს ეკონომიკურ ექსპანსიას სხვა ქვეყნებში თავისი განყოფილებების, ფილიალების ფართო ქსელის შექმნით. ტრანსეროვნული კორპორაციების თანამედროვე განვითარების დამახასიათებელი ნიშანია შიგასაფირმო ურთიერთობათა კომპლექსის ინტენსიფიკაცია, რომელიც გულისხმობს კაპიტალის, ტექნოლოგიის, მზა და შუალედური პროდუქციის მოძრაობას შვილობილ კომპანიებს შორის. საქონლითა და

მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 1/5-დან 1/3-მდე ტრანსეროვნული კორპორაციების შიგასაფირმო არხებით წარმოებს.

ტრანსეროვნული კომპანიის საზღვარგარეთული ფილიალი – წამოწყება, რომელშიც მეთაური კომპანია - სხვა ქვეყნის რეზიდენტი ფლობს მონაწილეობის წილს (ჩვეულებრივ აქციათა 10%-ზე მეტს ან მათ ეკვივალენტს), რომელიც შესაძლებლობას აძლევს კონტროლი გაუწიოს მის საქმიანობას.

ტრანსეროვნული კორპორაცია – საწარმოთა გაერთიანება, რომელშიც შედიან მეთაური კომპანიები და საზღვარ-გარეთული ფილიალები.

ტრანსეროვნული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი – საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს იურიდიულ პირებს და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობ-რობის წევრ სახელმწიფოთა იურისდიქციაში იმყოფებიან.

ტრანსნაციონალური კომპანია – ფირმა, რომელიც თავისი ოპერაციების ძირითად ნაწილს განახორციელებს თავისი ქვეყნის გარეთ.

ტრანსპორტაბელური – რის ტრანსპორტირებაც შესაძლებელია, გადასაზიდად მოსახერხებელი ტვირთი.

ტრანსპორტი – არის წარმოების დარგი, რომელიც ახორციელებს მოსახლეობის გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას. საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში ტრანსპორტი მიეკუთვნება მატერიალური მომსახურების წარმოების სფეროს.

ტრანსპორტი – ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, ემსახურება ადამიანების გადაყვანას, ტვირთებისა და სხვათა გადაზიდვას.

ტრანსპორტი – სამომავლო გზებისა და გადაზიდვის მოძრავი საშუალებების, აგრეთვე სხვადასხვა ნაგებობებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველ-ყოფს მათ ნორმალურ მუშაობას;

ტრანსპორტი ეწოდება – სატრანსპორტო საშუალებათა იმ კომპლექსს, რომელიც საწარმოების განკარგულებაშია და რომელთა დანიშნულებაა მათი მომსახურება. სამრეწველო ტრანსპორტი ახორციელებს საწარმოო კავშირს საწყობებსა და სამუშაო ადგილებს შორის, იგი საწარმოო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ორგანული ნაწილია, ამიტომ საწარმოო პროცესის შეუფერხებელი მუშაობის ერთ-ერთი პირობაა შეთანხმებულობა საწარმოო პროცესისა და სატრანსპორტო ოპერაციებს შორის, საწარმოში შრომის საგნების შეუფერხებელი მოძრაობა, წარმოების ნორმალური მსვლელობისა და ხარისხიანი პროდუქციის დამზადების უმნიშვნელოვანესი პირობაა ე.ი. სატრანსპორტო საშუალებები ესენია ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილების სხვადასხვა საშუალებები, ფირმის შიგნით და გარე სამყაროსთან სატრანსპორტო კავშირებისათვის.

ტრანსფერ-აგენტები, დეპოზიტარიუმები, რეგისტრატორები – ტრანსფერ-სააგენტო და სადეპოზიტო მომსახურების ნაწილში ბანკებს კონკურენციას უწევენ საინვესტიციო ინსტიტუტები (კერძოდ, საინვესტიციო კომპანიები) და სპეციალიზებული ტრანსფერ-აგენტები და დეპოზიტარიუმები – იურიდიული პირები, რომლებიც ოპერაციებს ასრულებენ ფასიან ქაღალდებზე, ახდენენ მათი მოძრაობის აღიცხვას და სხვა ფუნქციებსაც ასრულებენ ემიტენტებთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. გარდა ამისა, სააგენტო მომსახურების დარგში საქმიანობენ დამოუკიდებელი რეგისტრატორები – ფირმები, რომელთა მოვალეობაში შედის ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრის წარმოება.

ტრანსფერი (transfer) [ლათ. Transferre გადატანა] – 1. ფულის გადაგზავნა ერთი საფინანსო დაწესებულებიდან მეორეში ან ქვეყნიდან ქვეყანაში; 2. სახელობითი ფასიანი ქაღალდების გადაფორმება ერთი მფლობელიდან მეორეზე; 3. გარიგების გადატანა ერთი ანგარიშიდან მეორეზე; 4 სახელ-

მწიფო ბიუჯეტის სახსრების გადანაწილების ერთ-ერთი ფორმა. ფულადი გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ხელმოკლე მოქალაქეებზე სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით. ტრანსფერს გასცემენ აგრეთვე ფირმები და კერძო პირები საქველმოქმედო შენატანების სახით. ტრანსფერული გადასახდელი წარმოებრივ საქმიანობას არ უკავშირდება.

ტრანსფერის აეროპორტი – შუალედური აეროპორტი, აღნიშნულია ავიაბილეთზე და საბარგო ქვითარზე, როგორც პუნქტი, სადაც მგზავრი და მისი ბარგი გადაეცემა ერთი რეისიდან მეორეზე, იმავე ან სხვა გადამზიდველს.

ტრანსფერტი – არის ფინანსური რესურსები, რომლებიც ცენტრალური ბიუჯეტიდან, სხვადასხვა რეგიონებში საბიუჯეტო უზრუნველყოფის ფაქტიური დონის გათანაბრების მიზნით, ადგილობრივ ბიუჯეტებს გამოეყოფათ.

ტრანსფერტი – ერთ მხარის მიერ მეორე მხარეზე რაიმეს გადაცემა ნაცვალგების გარეშე (საჩუქარი, სუბსიდია და სხვა.)

ტრანსფერტი – ერთი საფინანსო დაწესებულებიდან მეორეში (ან ერთი ქვეყნიდან მეორეში) ფულის გადარიცხვა, ან კიდევ, სახელობით ფასიანი ქაღალდების ერთი მფლობელიდან მეორეზე გადაფორმება.

ტრანსფერტი – ფრანგული სიტყვაა (TRANSFERT) და ნიშნავს გადაადგილებას, გადატანას.

ტრანსფერული ფასი (transfer price) – შიგასაფირმო საანგარიშსწორებო ფასი, რომელსაც იყენებენ ანგარიშსწორებისას „დედა“ და „შვილობილი“ კომპანიებს ან საზღვარგარეთულ ფილიალებს შორის. შიგასაფირმო მიწოდების ფასები კონფიდენციალურია.

ტრანსფერენტული გადასახდელი – გადასაცემი გადასახდელები, კაპიტალისტური ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კერძო მეწარმეებსა და მოსახლეობაზე გადახდა, რომელთა წყაროს შეადგენს გადასახადები. საფინანსო პოზიციიდან ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებების შემოსავლებში მობილიზებული ნაწილის გადანაწილების ფორმა, მათში

გამოიყოფა სამი კატეგორია: მეწარმეთა სუბსიდიები; სახელმწიფო ვალზე პროცენტების გადახდა; მოსახლეობის პენსიები და დახმარებები სოციალური საჭიროებისათვის.

ტრასა – ხაზი, რომელიც აღნიშნავს გზის მიმართულებას;

ტრასანტი – (drawer) [იტალ. trassante] - პირი, რომელიც გასცემს გადასაპირებელ თამასუქს.

ტრასანტი – გადასაყვანი თამასუქის წარმომდგენი პიროვნება, ე.ი. პირი რომელმაც გასცა განკარგულება, თამასუქის წარმომდგენის სასარგებლოდ გადაიხადონ გარკვეული თანხა, ხოლო იმ პირს, რომელმაც თანხა უნდა გადაიხადოს თამასუქის წარმოდგენის სასარგებლოდ, ტრასტი ეწოდება.

ტრასანტი და რემიტენტი, ან ტრასატი და რემიტენტი – შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი, მაგრამ როდესაც ტრასატი და ტრასანტი ერთი და იგივე პირია, ასეთი თამასუქი, მისი მქონეგლის სურვილით, შეიძლება იყოს უბრალო და გადასაგზავნი. უბრალო თამასუქში გადამხდელია თამასუქის გამომღები, ხოლო გადასაგზავნში (ტრატაში) – სხვა პირი, რომელიც აქცეპტით კისრულობს გადასაგზავნი თამასუქის დადგენილ ვადაში ანაზღაურებას.

ტრასატი – გადამხდელი (მოვალე), გადასატან თამასუქზე (ტრატზე) ტრასტის მითითება წარმოადგენს გადასატანი თამასუქის აუცილებელ რეკვიზიტს. ტრასატი პასუხისმგებელი პირი ხდება მხოლოდ თამასუქზე აქცეპტის გაკეთების შემდეგ, რომლის ძალითაც ის იღებს თავის თავზე ვალდებულებას გადაიხადოს ის დადგენილ ვადაში.

ტრასატი – გამოდის კრედიტორის (მევალის) როლში.

ტრასატი – პირია, რომელმაც ტრასანტის ბრძანებით უნდა გადაიხადოს გარკვეული თანხა, ე.ი. მოვალეა.

ტრასატი (drawee) [იტალ. trassare] – პირი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს თანხა გადასაპირებელი თამასუქის მიხედვით.

ტრასეკა TRACECA – (Transportation Corridor Europe – Caucasus Asia) ევროპა აზიის სატრანსპორტო დერეფანი, პროექტი, რომელიც გულისხმობს საავტომობილო და რკინიგზების, ნავსადგურების, ნავთობსადენების, საჰაერო ტრასების ქსელების შექმნას.

„ტრასეკას“ მიზანია დააკავშიროს ევროპისა და აზიის სახელმწიფოები. „ტრასსეკას“ პროექტის რეალიზაციით საქართველო რეალურად ერთვება შეისწავლოს გლობალური ინტერესთა სფეროში. „ტრასსეკა“ დერეფნის ამოქმედების პროცესში საქართველოს ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი ხდება. „ტრასეკას“ პროექტი 1993 წელს წამოაყენა ევროკავშირმა აშშ-ს ადმინისტრაციის დახმარებით.

ტრასპორტაბელური – რის ტრანსპორტირებაც შესაძლებელია გადასაზიდად მოსახერხებელი ტვირთი.

ტრასპორტი – ეს ელემენტი, როგორც დანარჩენები, თვითონ არის რთული სისტემა. ის თავის თავში მოიცავს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომლის დახმარებითაც გადაიზიდება ტვირთის ოდენობა, აგრეთვე ინფრასტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას.

ტრასტის დამფუძნებელი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ქონების მესაკუთრეა ან კანონის ძალით (მესაკუთრის დავალებით) განკარგავს მას.

ტრატა – (იტალ.tratta) გადასაგზავნი თამასუქი, საგარეო ვაჭრობის ძირითადი საანგარისშწორებო დოკუმენტი.

ტრატა (bill of exchange, draft) [იტალ. trattar] – თანამედროვე საბანკო და კომერციულ პრაქტიკაში გადასაპირებელი თამასუქის სინონიმი. განასხვავებენ 1. სავაჭრო ტრატას, რომელსაც გამყიდველი გადაცემს მყიდველზე; 2. საბანკო ტრატა, რომელსაც გამყიდველი გასცემს ბანკზე; 3. საფინანსო ტრატას, რომელსაც ბანკი გასცემს ბანკზე. განსაკუთრებით გავრცელებულია საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში.

ტრაქტატი (treatise) [ლათ. Tractate განხილვა] – საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება. ტრაქტაცია (tractation) – წი-

ნადადებების შეთავაზება საქონლის გაყიდვის ან ყიდვის შესახებ იმ შესაძლო მყიდველების ან გამყიდველების გამოვლენის მიზნით, რომლებიც გარიგების დადებით იქნებიან დაინტერესებულნი.

ტრეველერს ჩეკი – საგზაო ქვითარი, ფულის აკრედიტივის განსაკუთრებული სახეობა, რომლითაც სარგებლობენ მოგზაურობის დროს, ამ დოკუმენტით ფულის გამოტანა შეიძლება ნებისმიერ პუნქტში, სადაც ბანკი არსებობს.

ტრეიდერი (trader) – 1. ვაჭარი სოვდაგარი; 2. საბირჟო მაკლერი-საბროკერო კანტორის ან საფინანსო დაწესებულებების თანამშრომელი, რომელიც საფონდო ბირჟაზე გამოდის სპეკულიანტის როლში – საკუთარი ფულით ყიდულობს და ყიდის ფასიან ქაღალდებს; 3. სავაჭრო გემი.

ტრენდი – გაყიდვების ზრდის ან შემცირების გრძელვადიანი მოდელი, რომელიც დამოკიდებულია ძირითად ცვლადებზე დემოგრაფიაში, კაპიტალის ფორმირებასა და ტექნოლოგიაში.

ტრენდის (ტენდენციის) უბრალო ანალიზი – ფირმა აკეთებს გასაღების პროგნოზს ამასწინანდელი ან მიმდინარე მაჩვენებლების საფუძველზე. მაგალითად, თუკი ბოლო ხუთი წლის მანძილზე ფირმის გასაღება წელიწადში საშუალოდ 10%-ით მატულობდა, მაშინ მომავალ წელს მისი ზრდა 10%-ით გადააჭარბებს წლევანდელ მონაცემებს, ან გარკვეული პერიოდისათვის აგებენ ინფლაციის ტემპების გრაფიკს და მისი გაგრძელების (ექსტრაპოლაციის) გზით ახდენენ ინფლაციის პროგნოზირებას უახლოეს მომავალში.

ტრენდული ანალიზი – არის ანგარიშგების თითოეული პოზიციის რიგი, ადრინდელ პერიოდთან შედარება და მაჩვენებლის დინამიკის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა, რომელიც ცალკეული პერიოდების შემთხვევითი ზემოქმედებისა და ინდივიდუალური თავისებურებებისაგან გასუფთავებული იქნება. ტრენდის მეშვეობით მომავალში

მაჩვენებლების შესაძლო მნიშნელობების ფორმირება და პერსპექტიული საპროგნოზო ანალიზი ხორციელდება.

ტრენინგი – ორგანიზაციის წევრთან კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის გამიზნული სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, რაც ემსახურება კომპანიის ეფექტიანობის ზრდას.

ტრენინგი – გულისხმობს ახალი და მიმდინარე დასაქმებულებისათვის იმ გამოცდილების გადაცემას, რაც მათ ესაჭროებათ სამუშაოს შესრულებაში.

ტრენინგის სპეციალისტები – ისინი გეგმავენ და ორგანიზაციას უკეთებენ დასაქმების ჩატარებას.

ტრესტი – (trest) მეწარმე გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შემავალ საწარმოში კარგავენ წარმოებრივ, კომერციულ და იურიდიულ დამოუკიდებლობას და ერთიან მმართველობას ექვემდებარებიან.

ტრესტი – აერთიანებს ერთი დარგის საწარმოებს, ხოლო კონცერნი სხვადასხვა დარგის საწარმოებს.

ტრესტი – მონოპოლისტური გაერთიანების ფორმაა, რომლის დროსაც მასში შემავალი ყველა საწარმო კარგავს თავის კომერციულ და საწარმოო დამოუკიდებლობას და ერთიან მართვას ექვემდებარება.

ტრიპარტიზმი – სამმხრივობის (სახელმწიფო, პროფკავშირები, დამქირავებელთა წარმომადგენლობა) პრინციპებზე აგებული პარტნიორობა.

ტსლ-ტრანსპორტის ლოგისტიკა – წარმოადგენს საქონელმოძრაობის ლოგისტიკის ერთ-ერთ საკვანძო განყოფილებას და მოიცავს ლოგისტიკურ საქმიანობას, დაკავშრებულს მატერიალური რესურსებით ნახევარფაბრიკატისა და მზა პროდუქციის გადაადგილებასთან. ეს გადაადგილება ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებით ლოგისტიკურ ქსელში (არხში) და შედგება ლოგისტიკური ფუნქციების კომპლექსისგან, რომელიც მოიცავს ექსპედირებას, გადაზიდვას, ტვირთდაგროვებას, ტვირთგადამუშავებას, შეფუთვას დაზღვევას, საბაჟო დამუშავებას, მატერიალუ-

რი ნაკადების წინსვლის საინფორმაციო თანხლებას, ტვირთმფლობელების სერვისულ მომსახურებას, მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებას და სხვა ლოგისტიკურ ფუნქციებს.

ტურიზმი (tourism) – 1. თანამედროვე მსოფლიო ეკონოიკის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიკურად განვითარებადი დარგი; 2. ადამიანთა ნებაყოფილობითი, დროებითი გადაადგილება თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების (მკურნალობის), შემეცნებითი დონის ამაღლებისა და ა.შ. მიზნით;

ტურისტების უზრუნველყოფა მომსახურების სრული კომპლექსით – ჩვეულებრივ ხორციელდება ე.წ. ინკლუზივ ტურების (Inclusive tour) ან პეკიჯ ტურების (package tour) გაყიდვით. ინკლიუზივ ტურები ძირითადად ითვალისწინებენ საჰაერო ტრანსპორტით მომსახურებას. ტურისტთა გადაყვანა ორივე მიმართულებით წარმოებს სპეციალურად შემუშავებული ინკლიუზივ-ტარიფების საფუძველზე, რომლებიც ჩვეულებრივ ტარიფებზე ორჯერ ნაკლებია.

ტურისტული მომსახურება – როგორც უხილავი საქონელი ხორციელდება უშუალოდ დანიშნულების ქვეყანაში, ამასთან ძირითადად მინიმალური დანახარჯებითა და როგორც წესი უცხოური ვალუტის გამოყენების გარეშე.

ტურისტული ფირმა – ლიცენზირებული კომპანია, რომელიც ჩაბმულია ტურისტულ ბიზნესში, როგორც ორგანიზატორი ან შუამავალი ტურისტული მოგზაურობის ბილეთების დაჯავშნასა და გავრცელებაში.

ტყიანობა – ტყეებით დაფარული ქვეყნის (კონტინენტის) ტერიტორიის წილი (პროცენტობით). ამ მაჩვენებლით გამოიყოფიან ძლიერტყიანი (50-20%), საშუალოტყიანი (10-50%) და მცირეტყიანი (10%-ზე ნაკლები) ქვეყნები.

უ

უარყოფითი გადასახადი – ტერმინი, რომელიც ახასიათებს მდგომარეობას, რომლის დროსაც სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებების ან სახელმწიფოს სპეციალური ფონდების ხარჯზე მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფების მიერ მიღებული ეკონომიკური დოვლათის სიდიდე აღემატება სახელმწიფოსათვის საგადასახადო გადასახადებს. წარმოიშობა მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად შეძლებული ფენის სხვადასხვაგვარი გადასახადებიდან.

უარყოფითი გადასახადი (negative tax) – დოტაცია, სუბსიდია.

უარყოფითი გეპი – გვიჩვენებს, რომ ბანკი მგრძნობიარეა პასივების ხაზით. როდესაც საპროცენტო განაკვეთი მატულობს დროის გარკვეულ პერიოდში, ბანკი უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთში იხდის ყველა გადაფასებულ პასივზე და მეტ მოგებას იღებს ყველა გადაფასებულ აქტივზე.

უარყოფითი ეფექტების შემცირების ხარჯები (abatement cost) – არასასურველი ეფექტების (გარემოს დაბინძურება, სატრანსპორტო ქსელის გადატვირთვა, ავტომობილის ძრავის მუშაობით გამოწვეული ხარჯები და ა.შ.) შემცირების ხარჯები. გარემოს დაბინძურების შემცირების კვალობაზე ხარჯების მრუდი იზრდება სწრაფი ტემპით. ეს აიხსნება იმით, რომ მაგალითად, გარემოს დაბინძურებული სივრცის გარკვეული მონაკვეთის გაწმენდა შედარებით იაფია, მაგრამ დაბინძურების მთლიანად აღკვეთა გაცილებით ძვირი უჯდება საზოგადოებას. ასეთივე სიტუაციის მაგალითად გამოდგება ავტომობილის ძრავის მუშაობით გამოწვეული ხმაურის აღკვეთა. ერთი მანქანის ძრავის დაფარვა ხმაურსაწინააღმდეგო მასალით საგრძნობლად ამცირებს მის ხმაურს და ამისათვის გაწეული ხარჯებიც არ არის დიდი, მაგრამ ასეთი ტიპის მანქანებისაგან ხმაურის მთლიანად აღკვეთა მოითხოვს ძრავის

კონსტრუქციულ გადაკეთებას, რაც დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი (negative income tax) – სახელმწიფო ანაზღაურების სისტემა იმ ოჯახებისთვის, რომელთა შემოსავალი და დაუბეგრავი საშემოსავლო გადასახადის მინიმუმზე ნაკლებია.

უარყოფითია აქცეპტის ისეთი ფორმა – რომლის დროსაც გადამხდელი წერილობით აუწყებს ბანკს მხოლოდ აქცეპტზე თავისი უარის შესახებ. თუ წინასწარ მოლაპარაკებულ ვადაში გაცხადებული არაა უარი, მაშინ ბანკი ამას მიიჩნევს გადამხდელის თანხმობად გადახდაზე.

უახლესი ელექტრონული ტექნიკა – ამ ტექნიკის გამოყენებით ბანკების კლიენტების მომსახურების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მათთვის ელექტრონული მომსახურების გაწევა მაღაზიებში. სავაჭრო ორგანიზაციებში ფულადი სახსრების ბანკთშორისი ელექტრონული გზავნილების სისტემებში ხორციელდება ფულადი სახსრების გადარიცხვა მყიდველის ანგარიშიდან გამყიდველის ანგარიშზე საქონლის ყიდვის მომენტში. მყიდველის სურვილის შესაბამისად შესაძლებელია ფულის გადახდის განვადებაც. ოპერაციების უმრავლესობა პლასტიკური ბარათის მეშვეობით სრულდება, რომლებშიც დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების საგადასახდელო ბრუნვის ორგანიზაციებში მოწინავე პოზიციებს იკავებენ და თანდათან დევნიან ჩეკებს და წიგნაკებს. ბოლო წლებში მიმდინარეობს მუშაობა მრავალმიზნობრივი ბარათების დასანერგად, რომლებსაც გამოიყენებენ როგორც საკრედიტო, საგადამხდელო და საგარანტიო საჩეკო ბარათებად.

უახლოესი პერიოდისათვის ცენტრალური ბანკის ერთიანი სახელმწიფო ფულად – საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ყალიბდება ღრმა ზოგადეკონომიკური კრიზისის რთულ პირობებში.

უბილეთოს პრობლემა (“free-rider” problem) – ურთიერთხელსაყრელი კოლექტიური მოქმედების შეფერხება ისეთ

ვითარებაში, როცა ეკონომიკურ აგენტებს საშუალება ეძლევათ სარგებლობა მიიღონ საერთო ხარჯებში მონაწილეობის გარეშე.

უბრალო არბიტრაჟის დროს – ვალუტას ყიდულობენ დაბალი კურსის ბაზარზე და ყიდიან მაღალი კურსის ბაზარზე.

უბრალო თამასუქი – გამოყენებული კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული და ხელმოწერილი თამასუქია, რომელიც შეიცავს თამასუქის გამცემის უპირობო, ვალდებულებას მოთხოვნისთანავე ან ზუსტად დადგენილ ვადაში ამ დოკუმენტის სანაცვლოდ თანხის გადახდის შესახებ.

უბრალო ლიცენზია – გულისხმობს ლიცენზიარის მიერ ლიცენზიატისათვის გამოგონების გამოყენებაზე უფლების მიცემას ხელშეკრულებით დადგენილ ზღვრებში და, ამასთან, მისი გამოყენების უფლების შენარჩუნებით. ლიცენზიარს უფლება აქვს გასცეს ლიცენზია ნებისმიერი რაოდენობის პირებზე, ხოლო ლიცენზიატს არ შეუძლია სუბლიცენზიის გაცემა.

უბრალო ლიცენზიისგან განსხვავებით – განსაკუთრებული ლიცენზია – გაიცემა ლიცენზიატისათვის გამოგონების გამოყენებაზე განსაკუთრებული უფლების მიცემით, რის შედეგად პატენტის მფლობელი უარს ამბობს იმავე ტერიტორიაზე მის დამოუკიდებელ გამოყენებაზე და სხვა პირისათვის მის გადაცემაზე.

უვადო პრივილეგირებული აქცია – ისეთი პრივილეგირებული აქცია, რომელსაც არა აქვთ დაფარვის კონკრეტული ვადა და რომლის (მფლობელს არა აქვს უფლება მოსთხოვოს ბანკს ასეთი აქციის რაიმე ფორმით უკან გამოსყიდვა.

უზანცია – ვაჭრობისადმი მიდრეკილება, ჩვევა.

უზარალობის ანალიზი – მეთოდი, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებათა მიღების დროს, რათა გაირკვეს საქმიანობის მდგომარეობა, როდესაც საერთო შემოსავალი ტოლია ერთობლივი დანახარჯებისა.

უზრუნველყოფის ქვესისტემა – ორგანიზაციის ქვედანაყოფი, რომელიც ასრულებს საწარმოო ქვესისტემის მუშაობისათვის აუცილებელ ფუნქციებს.

უკუდემპინგი (reverse dumping) – საქონლის გაყიდვა საზღვარგარეთ შიგა ფასზე უფრო ძვირად მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგების ამოღების მიზნით;

უკუკავშრი – სამართავი სისტემის მმართველ სისტემაზე ურთიერთქმედება, ანუ გამოხმაურება, პირდაპირ კავშირზე რეაქცია.

უკუკავშირი – რეაქცია შეტყობინებაზე, რაც ეხმარება ინფორმაციის მიმწოდებელს (წყაროს) განსაზღვროს – აღქმულია თუ არა მის მიერ გაგზავნილი ინფორმაცია.

უკუკავშირის სისტემა – ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების მიღებას იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც გამოიყენებენ ხელმძღვანელები დასახული გეგმიდან გადახრების კორექტირებისათვის.

უმაღლესი დონე – სტრატეგიული დაგეგმვით და პროგნოზით საქონლის მთელ ასორტიმენტზე განისაზღვრება 3 წლის მანძილით.

უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი – ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება მთელს ორგანიზაციას, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს.

უმუშევრობა – ეკონომიკის ისეთი მოვლენაა, რომელიც ნათლად ასახავს მოცემული ქვეყნის სპეციფიკასა და, იმავდროულად, მისი განვითარების კონკრეტულ სტადიასაც. თითოეულ ქვეყანაში უმუშევრობის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ტრადიციები და სოციალურ-ეკონომიკური განვითრების სპეციფიკა.

უმუშევრობა (unemployment) – სიტუაცია ეკონომიკაში, როდესაც შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ შეუძლია თავისი ამ უნარის გამოყენება და შრომის სარეზერვო არმიად იქცევა. ძლიერდება ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიის პერიოდში სამუშაო ძალაზე

მოთხოვნის მკვეთრად შემცირების შედეგად.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით უმუშევარი არის 15 და მეტი წლის პირი, რომელიც საკვლევი კვირის განმავლობაში არ ეწევა საქმიანობას და ეძებს სამუშაოს, ან არ ეძებს, რადგან გადაეწურა მისი შოვნის იმედი, თუმცა სამუშაოს შემოთავაზების შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას.

რეგისტრირებული უმუშევარი არის დასაქმების სამსახურში რეგისტრირებული პირი.

უმუშევრობის განსაზღვრული დონე – სამუშაო ძალის რიცხოვნობის 6-7%-ნორმალურ მოვლენად ითვლება და იწოდება უმუშევრობის ბუნებრივ დონედ.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე – (natural rate of unemployment) უმუშევრობის დონე სრული დასაქმების პირობებში. უმუშევრობის ბუნებრივი დონე დამახასიათებელია ეკონომიკური განვითარების ისეთი პერიოდისათვის, როდესაც **მეპ-ის** რეალური და პოტენციური დინამიკა ერთმანეთს ემთხვევა და არ არის დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების რეალურ ტემპებზე. **გაიანგარიშება, როგორც ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის მაჩვენებელთა ჯამი გაყოფილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნებაზე.** მისი შემცირება შეუძლებელია ერთობლივი მოთხოვნის გაზრდით. ფილიპსის ვერტიკალური მრუდი გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის შემცირების ნებისმიერი მცდელობა მის ბუნებრივ დონეზე დაბლა იწვევს ინფლაციის დაჩქარებას.

გამოიყენება აგრეთვე ტერმინი უმუშევრობის არამზარდი დონე (non-acelerating rate of unemloyment), რომელიც გამოხატავს უმუშევრობის დონეს ინფლაციის სტაბილური ტემპების პირობებში რეალური და პოტენციური **მეპ-ის** დინამიკების დამთხვევის დროს.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე 60-იანი წლების დასაწყისში შეადგენდა 4%-ს, ხოლო 80-იანი წლებიდან 6-7%-ია.

უმუშევრობის ბუნებრივი დონის – ჰიპოთეზა (natural rate of unemployment hypothesis) ნეოკლასიკოსთა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკას ახასიათებს ტენდენცია ავტომატურად მიაღწიოს წონასწორობას უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში, ე.ი. წარმოების პოტენციურად სრული მოცულობის პირობებში.

უმუშევრობის ბუნებრივი დონის ჰიპოთეზას მხარს უჭერენ მონეტარიზმის მომხრეებიც.

უმუშევრობის დონე –ეკონომიკური აქტიურობის ინდიკატორი, რომელიც გვიმუშავებს შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებას იმ ადამიანთა რაოდენობასთან, რომლებიც სამუშაოს ეძებენ შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტი, რომლებიც დაუსაქმებელია და სამუშაოს ეძებს.

უმუშევრობის დონე – შრომის ბაზრის მდგომარეობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებელია. იგი განისაზღვრება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან და გამოისახება პროცენტებში. უმუშევრებს მიეკუთვნება შრომისუნარიან ასაკში მყოფი შრომისუნარიანი პირები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში არ მუშაობდნენ, მზად იყვნენ შედგომოდნენ მუშაობას და აქტიურად ეძებდნენ მას. არსებობს ცნება „უმუშევრობის ბუნებრივი დონე“. დასავლეთის ქვეყნებში იგი მერყეობს 4-6%-ის ფარგლებში. ჩვენში მიზანშეწონილად მიაჩნიათ ამ მაჩვენებლის ვარირება 5-7%-ფარგლებში.

უმუშევრობის დონე (unemployment rate) – დაუსაქმებელი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წონა. შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნებაში. არსებობს ფრიქციული, სტრუქტურული, ფარული, ციკლური, ინსტიტუციური, დემოგრაფიული და ა.შ. უმუშევრობა.

უმუშევრობის მასშტაბი – ახასიათებს მოცემულ პერიოდში უმუშევრობის სტატუსის მქონეთა საერთო რაოდენობას.

იგი განისაზღვრება პერიოდის დასაწყისისათვის აღრიცხვაზე მყოფებისა და მოცემულ პერიოდში უმუშევრად აღიარების შეჯამებით.

უმუშევრობის რიცხოვნების შედარება – ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: რამდენ კაცს ჰქონდა ეს სტატუსი პერიოდის დასაწყისისათვის, რამდენი ახალი პირი აიყვანეს აღრიცხვაზე პერიოდის ბოლოსათვის. ასეთი მოძრაობა გაიანგარიშება, როგორც მთლიანად, ისე ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით.

უმუშევრობის სტატუსი – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით, უმუშევრებს მიეკუთვნება შრომისუნარიან ასაკში მყოფი შრომისუნარიანი პირები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში არ მუშაობენ, მზად იყვნენ შესდგომოდნენ მუშაობას და აქტიურად ეძებდნენ მას.

უმუშევრობის ხანგრძლივობა – არის სიდიდე, რომელიც საშუალოდ ახასიათებს განსახილველი პერიოდის ბოლოს უმუშევრის სტატურსის მქონე პირებს, აგრეთვე, მოცუმულ პერიოდში დასაქმებული ყოფილი უმუშევრების მიერ სამუშაოს ძებნის ხანგრძლივობას.

უმცირესი დანახარჯით გადაწყვეტა – პრინციპი, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი დაფუძნებულია ბანკისადმი კანონიერი მოთხოვნის მქონე პირის შესაძლო გასაწევი ხარჯი (ზარალის) მინიმიზაციის მისაღწევად.

უნარი – ადამიანები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან უნარის მიხედვით. ისისნი მკვეთრად განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ამა თუ იმ პროფესიისა თუ სპეციალობისადმი.

უნარი – განასხვავო მთავარი არამთავრისაგან - მოცემულ შემთხვევაში ამოცანა თითქოს მარტივია, მაგრამ როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ამის გაკეთება მეტად რთულია. მეორეხარისხოვანისაგან მთავარის გარჩევა ნებისმიერ ადამიანს ეხმარება, გამოძებნოს კონფლიქტებში ქცევის სწორი გზა.

უნარი – კონკრეტული სახის საქმიანობის წარმატებით შესასრულებლად თვისებათა ერთობლიობა, უნარი შეიძლება იყოს: 1. ზოგადი (შეგრძნების, აღქმის, აზროვნების, სწავლის, მუშაობის და ა.შ.): 2. ელემენტარული კერძო (შეუპოვრობა, აზროვნება და სხვა); 3. რთული კერძო. აქ ცალკე გამოყოფენ პროფესიონალურ და სპეციფიკურ უნარს. უნარის საფუძველია ნიჭი, ანუ ფსიქოფიზიოლოგიური თვისებები, რომლებიც გამოვლინდებიან საქმიანობის განსაზღვრული სახეებისადმი ბუნებრივ მიდრეკილებაში. გამოვლენის ფორმის მიხედვით ნიჭი ორი სახისაა: რეპროდუქციული (ინფორმაციის მიღება და დამუშავება) და შემოქმედებითი. დიაპაზონის მიხედვით გამოყოფენ უნარის სამ დონეს: ნიჭიერებას, ტალანტს და გენიალურობას.

უნაღდო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება, რომელიც ხორციელდება მხარეებს შორის ნაღდი ფულის გარეშე ბანკის მეშვეობით ფულის გადარიცხვის საფუძველზე. ანგარიშსწორების ეს ფორმა გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ბიზნესის ოპერაციების განხორციელებისას.

უნაღდო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება, რომელიც ხორციელდება საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშიდან ანგარიშზე გადარიცხვის გზით ან ურთიერთმოთხოვნისა და ვალდებულებების ჩათვლით. გამოიყენება როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

უნაღდო ანგარიშსწორება – ისეთი ფულადი ანგარიშსწორებაა, რომლის დროსაც გადახდები ხორციელდება ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე, გადამხდელის ანგარიშიდან ფულის მიღების ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის გზით.

უნაღდო ანგარიშსწორება – ხორციელდება საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშებზე გადარიცხვისა და მოთხოვნათა ურთიერთჩათვლის მეშვეობით; გამოიყენება როგორც

სახელმწიფოებს შიგნით, ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში.

უნაღდო ანგარიშსწორება (setting by written order) – ანგარიშსწორება ნაღდი ფულის გარეშე, რომელიც ხორციელდება ბანკის მიერ გადამხდელის ანგარიშიდან მიღების ანგარიშზე გადარიცხვის გზით ან ურთიერთმოთხოვნისა და ვალდებულებების ჩათვლით. გამოიყენება როგორც ქვეყნის ფარგლებში ისე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში. განვითარებული ქვეყნების ფულად მიმოქცევაში უნაღდო ანგარიშსწორების წილი ნახევარზე ბევრად მეტია.

უნაღდო ანგარიშსწორების ეკონომიკური ბაზა – ეს არის მატერიალური წარმოება. ამის გამო საგადამხდელო ბრუნვის მეტი წილი (დაახლოებით სამი მეოთხედი) მოდის სასაქონლო ოპერაციებისთვის შესრულებულ ანგარიშსწორებაზე, ე.ი. გადატვირთული საქონლის შესრულებულ სამუშაოსა და გაწეული მომსახურებისათვის განხორციელებულ გადახდაზე.

უნაღდო მიმოქცევა – არის ღირებულების მოძრაობა ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე და მათ მიერ ბანკნოტების, მონეტებისა და საკრედიტო ინსტრუმენტების (თამასუქები, ფულადი ჩეკები, საკრედიტო ბარათები) მეშვეობით მიმოქცევის საშუალების ფუნქციის შესრულება.

უნივერსალური ბაზრობების ექსპონანტები – მოიცავენ სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებსა და სახეებს, სპეციალიზებულ ბაზრობებსა და გამოფენებზე კი ჩვეულებრივ წარმოდგენილია რომელიმე ჯგუფის საქონლის ან რომელიმე გამოყენებითი მეცნიერების მიღწევები.

უნივერსალური ბანკი – ახორციელებს ყველა ან თითქმის ყველა სახის საბანკო მომსახურებას, ემსახურება სრულიად სხვადასხვა საწარმოებს და ორგანიზაციებს, აგრეთვე მოსახლეობას.

უნივერსალური კომერციული ბანკები – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ საბანკო საქმიანობის (ოპერაციებისა და გარიგებების) სრულ კომპლექსს.

უნივერსალური საექსპორტო ფირმები – ამ ტიპის ფირმებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა დარგის პროდუქციის (უმეტესწილად მასობრივი მოხმარების საქონლის) ფართო ასორტიმენტი.

უნივერსალური ფსიქოლოგიური კანონი ეკონომიკაში (universal psychological low in economy) – ფორმულირებულია ჯონ მეინარდ კეინზის მიერ, რომლის მიხედვით შემოსავლის გადიდების კვალობაზე იზრდება მოხმარება, მაგრამ არა იმ მოცულობით რა მოცულობითაც იზრდება შემოსავალი. მათ შორის სხვაობა ადიდებს დანაზოგის მოცულობას.

უნივერსალურობა და სავალდებულობა – ზედამხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მომუშავე ყველა საკრედიტო ორგანიზაცია გამონაკლისის გარეშე, თანაც ზედამხედველობაზე თანხმობა და საზედამხედველო ორგანოთა მოთხოვნების შესრულება უნდა იყოს აუცილებელი პირობა არა მხოლოდ საბანკო ლიცენზიის მისაღებად, არამედ საბანკო ოპერაციების შესასრულებლად. ზოგიერთი ქვეყნის ბანკი არ გასცემს ლიცენზიას და არ უწევს ზედამხედველობას არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს.

უნიტარიზმი (unitarism) [ფრანგ. unitarisme] – სახელმწიფო მოწყობის სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა და გამოცალკევებული (დამოუკიდებელი) სახელმწიფო წარმონაქმნების არარსებობა.

უნიტარული სახელმწიფო (unitary state) [ფრანგ. Unitare ლათ. Unitas მთლიანობა] – ერთიანი, გაერთიანებული; მთლიანი უნიტარული სახელმწიფო – სახელმწიფო სისტემის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოს, ფედერაციისგან განსხვავებით, თავის შემადგენლობაში არა აქვს ფედერაციული ერთეულები (შტატები და ა.შ.) და მისი ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (რაიონები, ოლქები და ა.შ);

უნიფიკაცია (unification) [ლათ. Uni ერთი და facere კეთება] – ერთიან სისტემაში მოქცევა. მაგალითად, მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესის უნიფიკაცია რაც გლობალიზაციისთვისაა ნიშანდობლივი.

უპატენტო ლიცენზია (non-patent licence) – ლიცენზია „ნოუ-ჰაუს“ გამოყენებაზე, გამოგონებაზე პატენტის გარეშე.

უპირატესობის მინიჭების ლიკვიდურობა – მომხმარებელთა არჩევანი, თავიანთი დანაზოგის რა ნაწილი იქონიონ ფულადი ფორმით და რა ნაკლებად ლიკვიდური სახსრების სახით (ფასიანი ქაღალდები, მატერიალური ნივთობრივი აქტივები და ა.შ.)

უპირატესობის მინიჭების ლიკვიდურობა (liquidity preference) – მომხმარებელთა არჩევანი, თავიანთი დანაზოგის რა ნაწილი იქონიონ ფულადი ფორმით და რა ნაკლებად ლიკვიდური სახსრების სახით (ფასიანი ქაღალდები, მატერიალურ-ნივთობრივი აქტივები და ა.შ.).

ურბანიზაცია (urbanization) – მოსახლეობის თავმოყრის პროცესი ქალაქებსა და ეკონომიკურ ცენტრებში საპირისპიროა რურალიზაცია.

ურთიერთდაკავშირებულობა – კავშირურთიერთობათა ხასიათი, მათი ძალა და სისწრაფე, რომელთაც გარემოს ერთი ფაქტორის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა ფაქტორების გამოვლინებაზე, როგორც მათი მოქმედების გაძლიერებით, ასევე ნეიტრალიზებით.

ურთიერთმიმართულების მარკეტინგი – ფირმის საკვანძო საბაზრო პარტნიორებთან (მყიდველებთან, მიმწოდებლებთან, დისტრიბუტორებთან და სხვა) გრძელვადიან ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობათა დალაგების პრაქტიკა ხანგრძლივი პრივილეგიური ურთიერთობების დამყარების მიზნით. ურთიერთმიმართულების მარკეტინგი მიმართულია პარტნიორებთან მჭიდრო ეკონომი-

კური, ტექნოლოგიური და სოციალური კავშირების დამყარებაზე.

ურთიერთობა – თუ მეორე მხარე თქვენ არ გისმენთ, ეცადეთ მასთან კონსულტაციების ჩატარებას. ამით შესაძლებელია ურთიერთობათა გაუმჯობესება.

ურთიერთობათა მარკეტინგი – ემსახურება სამი ამოცანის გადაწყვეტას. 1. ფასეულობის განსაზღვრა (კვლევები, პოზიცირება) 2. ფასეულობის შექმნა და განვითარება (სარგებლიანობა, მოგება, აღქმული ფასეულობა); 3. ფასეულობის მიწოდება კლიენტზე (გავრცელება, ხელსაყრელობა, ინფორმირებულობა).

ურთიერთობათა მარკეტინგი – იგი ახალი კონცეფციაა, რომლის პრიორიტეტია სამომხმარებლო ფასეულობაა. ამასთან წარმოადგენს ახალ ფასეულობათა შექმნის პროცესს მწარმოებლისა და მომხმარებლის მჭიდრო ურთიერთქმედებაში ამისგან მიღებული სარგებლის ერთობლივი გამოყენებისათვის.

ურთიერთობათა მარკეტინგის – მიზანია პარტნიორული ურთიერთობათა განვითარება ერთობლივი სარგებლის მისაღებად ფასეულობათა შექმნის ერთობლივ ძალისხმევათა საფუძველზე, ამ მოდელის ძირითადი მექანიზმია, ინდივიდუალიზებული მიდგომა (კასტომიზაცია – დამზადება შეკვეთით), მუდმივი ფასეულობა, მომხმარებლის პრობლემების გადაწყვეტა, კლიენტის ლოიალობა, ურთიერთობათა ჯაჭვის ფორმირება, რომელიც ორიენტირებულია მოთხოვნაზე. მიქსი გარდაიქმნება სარგებლიანობის, აღქმული ფასეულობის, ხელსაყრელობის, ინფორმირებულობის ელემენტებად. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ სრულყოფილი საქონელი და ხელმისაწვდომი ფასი.

ურთიერთობათა ფსიქოლოგია – გამოიყენება ოპტიმალური პიროვნებათშორისი კომუნიკაციის მისაღწევად ორგანიზაციული მიზნების შესრულებისთვის.

ურთიერთობები ინვესტორებთან (აქციონერებთან) – აქციონერებისათვის (მფლობელებისათვის) მაღალი დივიდენდების უზრუნველყოფა ერთ-ერთი აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

აქციონერებსა და ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობები ბევრად არისს დამოკიდებული აქციონერების რაოდენობაზე და იმაზეც, თუ ისინი ვის წარმოადგენენ კერძო მეწარმეებს, თუ სახელმწიფო ორგანიზაციებს.

ურთიერთობები კლიენტებთან – კლიენტების შენარჩუნების მთავარ ფაქტორს შედარებით დაბალი ფასებით მომსახურების მაღალი სერვისის უზრუნველყოფა წარმოადგენს. რას ნიშნავს დაბალი ფასები? თუ კი ხელშეკრულების დადებისას თითოეულ შემთხვევაში თქვენ ფასების გადიდებას ახორციელებთ, მაშინ უფრო მეტად სტაბილური მყიდველები სხვა მომწოდებლებთან გადავლენ. აღნიშნული ურთიერთობები, მათი ურთიერთსარგებლიანობა მნიშვნელოვნად განაპირობებს კორპორაციის საქმიანობის წარმატებას.

ურთიერთობები მომწოდებლებთან – ცნობილია, რომ მომწოდებლებისაგან თუნდაც მაღალ ფასებში ნედლეულისა და მასალების უწყვეტად შეძენა რეალობას წარმოადგენს (ის ვინც ნედლეულს იძენს ფასების დონე მაღალი ეჩვენება, ხოლო იმას ვინც ყიდის – დაბალი ჰგონია). სავაჭრო-სამრეწველო კორპორაციებისათვის აღნიშნული ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი რისკის მაღალი ხარისხით ხასიათდება.

ურთიერთობის ძალა – სამსახურში ყველას აქვს ურთიერთობა ადამიანებთან. ეს ინტერაქციები ხელს უწყობს იმ ურთიერთობების ძალას, რომლებიც ორგანიზაციებში ჰყავთ. ურთიერთობების ძალის წყარო მოიცავს ახლო მეგობრობას ხელმძღვანელობასთან, პარტნიორებთან, ადამიანებთან, რომლებსაც თქვენს წინაშე ვალდებულებები აქვთ, თანამშრომლებს, რომლებიც ინფორმაციებს და მოსაზრებებს გაწვდიან, რაც ჩვეულებრივად არ გექნებოდათ.

უსაფრთხოება – როგორც კარიერული მომენტი, გულისხმობს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების მცდელობას, იპოვონ საიმედო და სტაბილური სამუშაო. ისინი მზად არიან გააკეთონ ყოველივე ის, რაც უზრუნველყოფს სამუშაოს შენარჩუნებას, მაღალშემოსავალს და მომავალში ნორმალურ საპენსიო უზრუნველყოფას.

უსაქონლო საანგარიშსწორებო დოკუმენტი – საგადასახდელო მოთხოვნა, საგადასახდელო დავალება, ჩეკი, რომლებიც გამოწერილია მომწოდებლის ან გადამხდელის მიერ და წარმოდგენილია ბანკში მატერიალური ფასეულობების გადასახდელად, რომლებიც ფაქტობრივად სრულად ან ნაწილობრივ არ იყო გადმოტვირთული (გაშვებული) მყიდველებზე ან მომსახურება არ იყო გაწეული.

უსახსრობა (გაკოტრება) – არის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ აღიარებული ან მოვალის მიერ გამოცხადებული უუნარობა, სრული მოცულობით დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით და/ან შეასრულოს სავალდებულო გადახდათა მოვალეობები.

უტარიფო რეგულირება – საქონლის შეტანაზე და გადმოტანაზე შეზღუდვების სისტემა ლიცენზიის კვოტებისა და ა.შ.

უტილიზაცია – (utilization) [ლათ. Utilis სასარგებლო] გამოყენება, გადამუშავება, სარგებლიანი მოხმარება.

უტყუარობა – არ მისცეთ ყალბი ინფორმაცია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამას აკეთებს მეორე მხარე. ასეთი ქცევა ასუსტებს არგუმენტაციის ძალას, აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს რეპუტაციაზე.

უფლებამოსილება – ესაა დელეგირებული, განსაზღვრული, თანამდებობისთვის მინიჭებული უფლება, გამოიყენოს ორგანიზაციის რესურსები.

უფლებამოსილება – თანამდებობის პირისათვის ოფიციალურად მინიჭებული უფლებები და მოვალეობები – დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, გასცეს განკარგულებანი და განახორციელოს ესა თუ ის მოქმედებანი. უფლება-

მოსილებანი განისაზღვრება მუშაობის დამოუკიდებელ უბანზე პასუხისმგებელი პირებისათვის. გამოყოფენ თანამდებობრივ უფლებამოსილებათა შემდეგ სახეებს: 1. საგანმკარგულებლო; 2. სარეკომენდაციო; 3. საკოორდინაციო; 4. საკონტროლო; 5. შემათანხმებელი.

უფლებამოსილება – ორგანიზაციის რესურსების გამოყენების და დავალებების შესასრულებლად თანამშრომელთა ძალისხმების წარმართვის განსაზღვრული უფლება.

უფლებამოსილება – წარმოადგენს მუშაკის ნათლად განსაზღვრულ უფლებამოსილებას გამოიყენოს ორგანიზაციის რესურსები კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

უფლებამოსილებაში იგულისხმება – ორგანიზაციის ინტერესებისათვის თანამდებობის პირისათვის ოფიციალურად მინიჭებული უფლებები და მოვალეობები.

უფლებამოსილების საზღვრები – უფლებამოსილების მოცულობა განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით. ინსტრუქციებში გათვალისწინებული ნორმების დარღვევა ან უფლებამოსილების გადაჭარბება დაუშვებელია.

უფლებამოსილი საზედამხდველო სამსახური – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭო და საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველო.

უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შეთანწყობის პრინციპი – ამ პრინციპის მიხედვით, ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს აქვს კონკრეტული უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. იგი ვალდებულია მასზე დაკისრებული ამოცანების შესახებ ხელმძღვანელობას პერიოდულად წარუდგინოს ანგარიში.

უცხო გამსაღებელი აგენტი – (Sales agent) ისეთი ფორმაა, რომელსაც სხვა ქვეყნის კომპანიის მიერ მიცემული აქვს მისი სახელითა და ხარჯით უცხო სახელმწიფოს გარკვეული ტერიტორიაზე დადგენილი ნომენკლატურის საქონლის გასაღების უფლება.

უცხოეთის ბაზრებზე – შიდა ბაზრების ფასებთან შედარებით

ბევრად იაფად ზოგიერთ შემთხვევაში თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად საქონლის გაყიდვას ეწოდებს დემპინგი.

უცხოეთში ინვესტირების (პირდაპირი ინვესტიციების) სტრატეგია – ითვალისწინებს უცხოეთში საკუთარი საწარმოო სიმძლავრეების შექმნას.

უცხოელ სპეციალისტთა მოსაზრებით – არსებობს ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის სამი მოდელი: პროცედურული (აშშ-ში), ინსტრუმენტალური (დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში); ნორმატიული (გერმანიაში) (იხილეთ თითოეული შესაბამის ალფავიტებში).

უცხოური ვალუტა – (foreign exchange, foreign currency) საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშნები, აგრეთვე უცხოური ფულადი ერთეულით გამოხატული საკრედიტო და საგადასახადო დოკუმენტები (თამასუქი, ჩეკი და სხვ.), გამოყენებული საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენას ეწოდება კოტირება – უცხოური ვალუტის ეროვნული ან სხვა კონვერტირებად ვალუტაზე ყიდვა-გაყიდვას ვალუტით ვაჭრობა ეწოდება.

უცხოური ინვესტიცია (foreign investment) – ნებისმიერი ინვესტიცია სხვა ქვეყანებში, განხორციელებული სახელმწიფოს, კერძო კომპანიის ან კერძო პირის მიერ. უცხოური ინვესტიციების განვითარებად ქვეყნებში დაბანდების შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ზოგი ამტკიცებს, რომ ასეთი ინვესტიციები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური კოლონიალიზმის გამოვლენაა და ემსახურება ამ ქვეყნებში კონტროლის განხორციელებას. ამასთან, უცხოური ინვესტიციები ხშირად დაკავშირებულია მოძველებული ტექნოლოგიების იმპორტთან, რაც იმპორტიორი ფირმებისათვის ადგილობრივ იაფ სამუშაო ძალის დაქირავებასთან ერთად, დიდი მოგების მიღების საშუალებაა. უცხოური ინვესტიციების მომხრეები კი

ასაბუთებენ, რომ ასეთი სახის ინვესტიციებმა შესანიშნავი შედეგი მისცა დასავლეთის მრავალ ქვეყანას და ისინი სხვა ქვეყნებსაც წარმატებას მოუტანენ.

უცხოური შემსყიდველი სააგენტო – ფირმის (buying agent) ფუნქციაში შედის პრინციპალისათვის უცხოეთში საქონლის შესყიდვა.

უძრავი ქონება – უძრავ ქონებაში შედის მიწა, შენობები, ობიექტები, რომელთაც თქვენი ორგანიზაცია ფლობს და აკონტროლებს. მაგალითად, საოფისე შენობები, მწარმოებელი ფაბრიკები, საწყობები, გაყიდვების ოფისები, ქარხნები, ფერმები და სხვა უძრავი ქონება.

უძრავი ქონების ბაზარი – აქ ბანკები ყველაზე უფრო ხშირად გამოდიან როგორც ფინანსური შუამავლები (იპოთეკური დაკრედიტება) და შედარებით იშვიათად – როგორც მყიდველები (მიწის ნაკვეთებისა და საოფისე ნაგებობების) ან გამყიდველები (დაუბრუნებელი იპოთეკური კრედიტის გირაოს რეალიზაცია).

უწესრიგობის აქტი – საბუთი გაფორმებული გადამზიდველის მიერ მგზავრის თანდასწრებით, იმ ბარგის ან ტვირთისათვის მიყენებული ზიანის აღმოჩენისთანავე, რისი გადაზიდვაც განხორციელებულია ერთი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ საჰაერო ხომალდებით. აქტი ხელმოწერილი უნდა იქნას გადამზიდველისა და მგზავრის ან ბარგის გამგზავნის მიერ.

უწყება (ტვირთის) გადაზიდვაში წარმოქმნილი დაბრკოლებების შესახებ – დოკუმენტით, რომლითაც გადამზიდავი ტვირთის გამგზავნს ან საჭიროების შემთხვევაში ტვირთის მიმღებს სთხოვს ინსტრუქციას იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა მოექცეს ტვირთის მოცემულ პარტიას გაგზავნამდე ან მისი გაგზავნის შემდეგ გადაზიდვაში წარმოქმნილი დაბრკოლების გამო.

უწყება (ტვირთის) მიწოდებაში წარმოქმნილი დაბრკოლებების შესახებ დოკუმენტაცია – რომლითაც გადამზიდავი ტვირთის გამგზავნს, ან საჭიროების შემთხვევაში ტვირთის

მიმღებს, ეკითხება, თუ როგორ უნდა მოექცეს ტვირთს მის მიწოდებაში წარმოქმნილი დაბრკოლებების გამო, ვინაიდან სატრანსპორტო დოკუმენტში არაფერია ნათქვამი ტვირთის გამგზავნისათვის საქონლის დაბრუნების შესახებ.

უწყება (ტვირთის) მიწოდების შესახებ – გადამზიდავის მიერ ტვირთის გამგზავნისათვის მისი თხოვნით გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებას მიწოდების ფაქტობრივი თარიღის შესახებ.

უწყება (ტვირთის) შემოსავლის შესახებ – გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებისათვის წერილობით, ტელეფონით ან სხვა საშუალებებით (შეკვეთილი წერილი, ტელექსი, დეპეშა და ა.შ) გაცემული ცნობაა იმის შესახებ, რომ მისთვის განკუთვნილი საქონლის პარტია მას გადაეცემა გარკვეული დანიშნულების პუნქტში ან მალე იქნება მის განკარგულებაში.

უწყება გაგზავნის შესახებ – დოკუმენტაცია, რომლის მეშვეობით გამყიდველი ან ტვირთის გამგზავნი ტვირთის მიმღებს აუწყებს საქონლის გაგზავნას.

უწყება გაგზავნის შესახებ – ტვირთის გამგზავნისაგან მისი აგენტის მიერ გადამზიდავისათვის, შერეული გადაზიდვის ოპერატორისათვის, ტერმინალის მმართველთათვის ან სხვა მიმღებისათვის გაცემული ცნობაა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას გასაგზავნად წარდგენილი ტვირთების შესახებ და აუცილებელ ხელწერილებსა და განცხადებებს პასუხისმგებლობის შესახებ (მხედველობაშია მრავალმიზნობრივი დოკუმენტები ტვირთის გადატვირთვის შესახებ.

უწყება დოკუმენტების განაწილების შესახებ – დოკუმენტი, რომელშიც საგარეო-სავაჭრო დოკუმენტების კომპლექტის გამოწერაზე პასუხისმგებელი მხარე უთითებს ამ დოკუმენტების ორიგინალებისა და ასლების მიმღებ პირებს, აგრეთვე ყოველი მათგანისათვის გასაგზავნი ეგზემპლიარების რიცხვს.

უწყებათა გადატვირთვისათვის მზადყოფნის შესახებ დოკუმენტაცია – რომლითაც მიმწოდებელი მყიდველს

აუწყებს შეკვეთილი საქონლის გადატვირთვისათვის მზადყოფნას.

უწყვეტობა – ნიშნავს, რომ შრომის საგნები წარმოებაში უწყვეტი დინებით გადიოდეს საწარმოო ყველა პროცესს. ე.ი. ყველა პროცესი მიმდინარეობს ავტომატიზირებულად.

უწყვეტობის პრინციპი – ემყარება მოსაზრებას, რომ საწარმო იფუნქციონირებს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. უწყვეტობის პრინციპი გარკვეულწილად კავშირშია ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითად დაშვებასთან „ფუნქციონირებადი საწარმოო“.

უჯეგები – მოტივაცია.

ფ

ფაბრიკა – (ლათ. სახელოსნო), საწარმო, ფირმა, რომელიც უპირატესად აწარმოებს მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქტებს.

ფაინდერი – პირი, რომლის ფუნქციებში შედის სიახლეთა ძიება წარმოების, გასაღებისა და მოხმარების დარგში. ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა გასაღების გაფართოების მიზნით და სხვა.

ფაინდერი – 1. სიახლის მაძიებელი, ახალი პროფესიის წარმომადგენელი ადამიანი, მისი ფუნქციების: გასაღების ახალი ბაზრების მოპოვება, საქონლის გასაღების ხელშეწყობა და სხვ. ასეთი პროფესია. 2. სია მოითხოვს ფართო დიაპაზონის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ცოდნას, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკებების წარმოების, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საქმიანი კონტრაქტების დამყარების უნარს.

ფარდობითი მაჩვენებლები – ასახავენ რაიმე სახის რესურსის გამოყენების დონეს. იგი მიიღება რომელიმე აბსოლუტური მაჩვენებლების შეფარდებით. მაგალითად, ნედლეულის ხარჯვის დონე პროდუქციის ერთეულზე (დახარჯული მასალები რაოდენობა შეფარდებული გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან), ფონდუკუგება (გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შეფარდებული ძირი-

თადი საშუალებების ღირებულებასთან), მოგების ნორმა (მოგება შეფარდებულ შემოსავლებთან) და ა.შ.

ფარული (იმპლიციტური) დანახარჯი – (imlicit expense) - ფირმის მესაკუთრის ან ფირმის როგორც იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული რესურსების გამოყენების ალტერნატიული დანახარჯები, რაც აშკარა დანახარჯის მსგავსად, არ არის გათვალისწინებული კონტრაქტში და არც სავალდებულოა იყოს. ეს დანახარჯი არ ანაზღაურდება. მაგალითად, ფირმა, რომელიც იყენებს კუთვნილ შენობას და ამისათვის, როგორც მესაკუთრე, გადასახადს არ იხდის, იმავდროულად უარს ამბობს ამ შენობის არენდით გაცემის შემთხვევაში, შესაძლო შემოსავალზე. იმპლიციტური დანახარჯი ფირმის საბუღალტრო ანგარიშებში არ აისახება.

ფარული (ჩახშობილი) ინფლაცია – (hidden, suppressed inflation), ინფლაციური პროცესების სპეციფიკური გამოვლენა მკაცრად რეგულირაბად ან ფიქსირებული ფასების მქონე ეკონომიკაში. თუ ფასების დირექტიულად დადგენილი დონე შენარჩუნებულია, ინფლაცია გამოვლინდება მიმოქცევაში ჭარბი ფულის მატებასა და მისი მსყიდველობითი უნარის გაუფასურებაში, როგორც საქონლისა და მომსახურების მზარდი დეფიციტისა და მათზე აჟიოტაჟური მოთხოვნის, აგრეთვე მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნის დაგროვების შედეგი.

ფარული ეკონომიკა – (underground, hidden economy). 1. კანონსაწინააღმდეგო ეკონომიკური საქმიანობა (კონტრაბანდა, ნარკობიზნესი, ბრაკონიერობა და სხვა) 2. არაკანონსაწინააღმდეგო, მაგრამ არალეგალური, ოფიციალურად არარეგისტრირებული, სტატისტიკურად აღურიცხავი ეკონომიკური საქმიანობა.

ფარული კარიერა – კარიერის ისეთი ფორმა, რომელიც ირგვლივ მყოფთათვის ყველაზე უფრო ბუნებრივია. იგი მისაწვდომია მომუშავეთა ვიწრო წრისთვის, რომელსაც საკმაო ცოდნა და ფართო კავშირები აქვს ორგანიზაციის გარეთ.

ფარული სალიცენზიო გადასახდელებს (კონვერტაციას) – ადგილი აქვს მაშინ, როდესაც გამყიდველს ტექნოლოგიაზე გადასახდელი შეაქვს მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ფასში.

ფარული უმუშევრობა – (hidden, latent, concealed disguised unemployment) არასრული დასაქმება, რომელიც თავს იჩენს ეკონომიკური აღმავლობის დროს. აქედან გამომდინარე, ფარული უმუშევრობა უნდა დაემატოს უმუშევრობის ოფიციალურ მონაცემებს, რათა მიღებულ იქნას შრომის ბაზრის რეალური სურათი.

ფარული უმუშევრობა – იგულისხმება მომუშავეთა ის კონტიგენტი, რომელიც წარმოების დაცემის ან მასში სტრუქტურული ცვლილებების გამო ზედმეტია, მაგრამ ფორმალურად ირიცხება როგორც დასაქმებული და რომელიც გარკვეულ პირობებში (საწარმოთა ფინანსური და სხვ. მდგომარეობის ცვლილებებისას ან მომუშავის სურვილით) გამოთავისუფლდა და შეავსებს შრომის ღია ბაზარს, ან გადავა ფაქტობრივად დასაქმებულებში.

ფარული ფასისმიერი კონკურენციის დროს – ფირმები უშვებენ არსებითად გაუმჯობესებული სამომხმარებლო თვისებების მქონე ახალ საქონელს, ფასს კი არაპროპორციულად მცირედ უმატებენ. ეკონომიკის საბანკო სექტორში ფასისმიერი კონკურენციის თავისებურებაა საქონლის (საბანკო მომსახურების) სახმარ ღირებულებასა და მის ფასს შორის მკაფიო ურთიერთკავშირის არარსებობა. ამის გამო ღია და ფარული ფასისმიერ კონკურენციას შორის ზღვარი მკვეთრი არაა და ის ფარგლებშიც საკმაოდ გაჭიმულია, რომლებშიც ბანკს საპროცენტო განაკვეთებით, საკომისიო ჯილდოს დონითა და მომსახურების ტარიფებით მნიშვნელოვანი მანევრირების საშუალება აქვს.

ფასგარეშე (არასაფასო) კონკურენცია – კონკურენციული ბრძოლის ფორმა, იგი ფასების კონკურენციის სახეშეცვლილი ფორმაა და დაფუძნებულია საქონლის ხარისხზე, რეკლამაზე, მომსახურებაზე და ა.შ.

ფასგარეშე კონკურენცია – საკონკურენციო ბრძოლის ფორმა, რომელშიც ფასების კონკურენციისგან განსხვავებით, ფასების გაწევრიანების გამოყენება ისეთი საშუალებებით, როგორიცაა რეკლამა, ტექნიკური უპირატესობის, ნაწარმის ხარისხისა და საიმედოობის უზრუნველყოფა, გასაღების მეთოდების სრულყოფა, მომსახურების გაწევა, მომხმარებლის გარანტიები და შეღავათები.

ფასდაკლება – (discount on a price, allowance ao a price) – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც გამყიდველი საქონელს საბაზრო ფასზე იაფად უთმობს მყიდველს ტარიფების პირობებიდან გამომდინარე და არსებული ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით. ჩვეულებრივ აქვს მიზნობრივი დანიშნულება. მაგალითად, ნაღდი ფულის გადახდის, მასობრივი სერიული წარმოების საქონლის მიწოდების მოცულობის გადიდების შემთხვევაში, მუდმივ მყიდველებთან მყარი საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, რეკლამისათვის, ახალი მყიდველის მოზიდვისათვის, ჩაწოლილი საქონლის გასაღებისათვის და ა.შ. ზოგ შემთხვევაში საქონლის ფასდაკლებით გაყიდვა ფარულად ხდება. ფასდაკლების ყველა სახეს თავისი პირობითი აღნიშვნები აქვს: მარტივი, რთული, დილერული, სეზონური, პროგრესული, სპეციალური და ა.შ. იგი გვიჩვენებს, რამდენად შეიცვლება ფასები დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ზოგიერთ საქონელზე.

ფასებზე კონტროლი – (price control), ამ ტერმინებში იგულისხმება ფიქსირებულ ფასებზე მთავრობის მიერ კანონის ძალით კონტროლის განხორციელება. როგორც წესი ეს ხდება ექსტრემალურ სიტუაციებში, მაგალითად, ომების დროს, როგორც ანტიინფლაციური პოლიტიკის ნაწილი, თუმცა ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, თავისთავად ეს ღონისძიება არ არის ინფლაციისგან განკურნების და მისგან თავის დაღწევის საშუალება.

ფასებით მანიპულირება – კონკურენციის ყველაზე უფრო ძველი მეთოდია და ყველაზე იოლია ტექნიკური შესრულების

თვალსაზრისით, მაგრამ აქაც არსებობს ნიუანსები. ეკონომიკაში ფასისმიერი კონკურენცია შესაძლოა იყოს: 1) ღია (პირდაპირი) და 2. ფარული.

ფასების (საფასო) პოლიტიკა – ფასებისა და ფასწარმოქმნის მართვის ღონისძიებებისა და სტრუქტურების ერთობლიობა. საქონელზე (მომსახურებაზე) ისეთი ფასებისა დაწესების (დადგენის) ხელოვნება, რომელიც შეესაბამება დანახარჯებს წარმოებაზე, ბაზრის კონიუნქტურას, აკმაყოფილებს მყიდველებს და მოაქვს გეგმიური მოგება. ფასების პოლიტიკა განიხილება მხოლოდ ფირმის საერთო პოლიტიკის კონტექსტში (ე.ი. მიკროეკონომიკური და არა მაკროეკონომიკურ ასპექტში).

ფასების გაანგარიშება – „პირდაპირ დანახარჯებს პლუს მოგება“ საქონლის თვითღირებულებაზე სტანდარტული დანარიცხები.

ფასების გაანგარიშება უზარალობის პრინციპების საფუძველზე – ფასწარმოქმნა, გამომდინარე საქონლის წარმოების, მარკეტინგისა და განაწილების დანახარჯებიდან და სასურველი მოგების მიღების გათვალისწინებით.

ფასების დადგენა დახურული ვაჭრობის საფუძველზე – ფასების გაანგარიშება კონკურენტების მიერ მოსალოდნელი ფასების წამოყენების შესაბამისად და არა არსებული დანახარჯების მაჩვენებლის და მოთხოვნის გათვალისწინებით. გამოიყენება ვაჭრობის იჯარისთვის ბრძოლის შემთხვევებში.

ფასების დადგენა მიმდინარე ფასების დონის საფუძველზე – გაანგარიშების საფუძვლად გამოიყენება ძირითადი კონკურენტების ფასი და არა საკუთარი ფირმის დანახარჯები.

ფასების დაწესება გასაღების სტიმულირებისათვის – საქონელზე დროებითი ფასების დაწესება საპრეისკურანტო და ზოგჯერ თვითღირებულებაზეც დაბალია.

ფასების დაწესება საბაზისო დანიშნულების პუნქტამდე – ფასების დაწესება გეოგრაფიული პრინციპით, როცა გამყიდველი ირჩევს ამა თუ იმ ქალაქს, როგორც საბაზისო

პუნქტს და ყველადამკვეთს ახდევინებს სატრანსპორტო ხარჯებს იმ თანხის ოდენობით, რომელიც ტოლია ამ ქალაქიდან საქონლის მიტანის ღირებულების მიუხედავად მისი ფაქტობრივი განტვირთვის ადგილისა.

ფასების დონის ეფექტი – კეინსი მიიჩნევდა, რომ ადამიანებს ძალიან აღელვებთ, საქონლისა და მომსახურების შესაძენად რა რაოდენობის ფული აქვთ რეალურ გამოხატულობაში, როდესაც ფასების დონე მატულობს ფულის ნომინალური ღირებულებაზე უკვე აღარაა საკმარისი საქონლის და მომსახურების ადრინდელი მოცულობის შესაძენად. თავიანთი ფულადი დანაზოგების რეალურ გამოხატულებაში ფლობის მიზნით ადამიანები ეცდებიან ჰქონდეთ ნომინალური ფულის უფრო მეტი რაოდენობა, ამიტომ ფასების დონის ზრდა მიგვიყვანს ფულზე მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებასთან.

ფასების ინდექსი – (price index) მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების თანაფარდობას ორ სხვადასხვა პერიოდში. გამოითვლება მიმდინარე წლის ფასების საბაზისო პერიოდის ფასებზე გაყოფით.

ფასების ინიციატიკურ შემცირებას – განაპირობებს რამდენიმე მიზეზი – ერთ-ერთი მათგანია საწარმოს სიმძლავრეების დატვირთვის დაბალი დონე. ამ შემთხვევაში აუცილებელია ბრუნვის დაჩქარება, ვინაიდან დასახული მიზნის მიღწევა გასაღების ძალისხმევათა ინტენსიფიკაციის, საქონლის სრულყოფისა და სხვა ღონისძიებათა ხარჯზე შეუძლებელია.

ფასების ინიციატიური გაზრდა – ამ მეთოდმა შეუძლია კომპანიას მოუტანოს მნიშვნელოვანი მოგება. ძირიათადი ფაქტორი, რომელიც იწვევს ფასების ზრდას, არის ხარიხის ინფლაცია. ფასების გაზრდის სხვა ფაქტორია **ჭარბი მოთხოვნა,** როდესაც კომპანიას არ შეუძლია უზრუნველყოს საქონლით ყველა პოტენციური მყიდველი, მას შეუძლია გაზარდოს ფასები, შეზღუდოს საქონლის გამოშვების

მოცულობა ერთ მყიდველზე გაანგარიშებით ან გააკეთოს ერთიც და მეორეც.

ფასების კორექტირება – (price adjustment) საბაზრო სიტუაციის ცვალებადობასთან ფასების თვითშეგუების პროცესი.

ფასების მაკრატელი – (price scissore) ფასების დონისა და დინამიკის დაშორება საქონლის ცალკეული ჯგუფებისაგან, პირველ ყოვლისა, მზა პროდუქციისა და სათბობ-სანედლეულო საქონლისაგან.

ფასების მაკრატელი – მოვლენა, რომელიც ახასიათებს იმ საქონელზე ფასების დინამიკას, რომელსაც ყიდის და ყიდულობს საქონელმწარმოებელი (საწარმოები, დარგები, ქვეყნები, ქვეყნების ჯგუფები) განსაზღვრულ პერიოდში და გამოხატავს ამ ფასებს შორის სხვაობას („მაკრატელს“). უფრო ხშირად გამოვლინდება პროდუქციის მოძრაობის შესწავლისას გაცვლის სფეროში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ფასების მასშტაბი – ოქროს ან ვერცხლის წონითი რაოდენობა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მიღებულია ფულის ერთეულად ან მის ჯერად ნაწილად.

ფასების პოლიტიკა – განსაზღვრავს საქონლის რეალიზაციისგან მისაღები მოგების ზომას, ამიტომ მიზანმიმართული ფასების საერთაშორისო პოლიტიკას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფასების საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავება – ფაქტობრივად გულისხმობს ყოველი ქვეყნისთვის საქონლისა და მომსახურების ოპტიმალური გასაყიდი ფასის დადგენას, ხოლო შემდგომ ფასების ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით ხდება მისი კორექტირება.

ფასების საერთო დონე – (general price level) განისაზღვრება ნომინალური ფულადი მასის შეფარდებით ფულზე რეალურ მოთხოვნასთან. ფასების საერთო დონის ცვლილება როგორც სამომხმარებლო ისე საინვესტიციო საქონელზე იზომება მეპ-ის დეფლატორით, მაშინ როდესაც

საცალო ფასების ინდექსით იზომება სამომხმარებლო ფასები.

ფასეულობანი – გარემო პირობებისადმი დამოკიდებულება კონკრეტული რწმენის ან გრძნობის გამოვლენა, ფასეულობანი კი საერთო რწმენის გამოხატულებაა, იგი ყალიბდება კარგი თუ ცუდი მოვლენის, ფაქტის საერთო შეფასების საფუძველზე.

ფასეულობანი, ისევე როგორც მრავალი სხვა ინდივიდუალური მახასიათებელი სწავლით შეიძინება. მას ასწავლიან სკოლებში, ოჯახში, რელიგიურ დაწესებულებებში, ფასეულობა ყალიბდება სხვადასხვა სახის სოციალური კონტაქტების დროს.

ფასეულობაზე ორიენტაციის პრინციპი – გულისხმობს, რომ მენეჯმენტი წარმოადგენს მისი გარემომცველი იმ საზოგადოებრივი სამყაროს ნაწილს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ისეთი ფასეულობები, როგორიცაა: სტუმართმოყვარეობა, პატიოსანი მომსახურება, თანადგომა, ხელსაყრელი თანაფარდობა ფასებსა და მომსახურებას შორის და ა.შ.

ფასეულობათა შენახვა – შუა საუკუნეებში ბანკებმა ხელი მოჰკიდეს თავიანთი კლიენტების ოქროს, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობათა შენახვას საკუთარ საიმედო საცავებში. ამჟამად ბანკებში ფასეულობათა უსაფრთხოდ შენახვის საქმეს ეწევიან საცავების არენდის განყოფილებები, სადაც კლიენტების ფასეულობები მანამდეა ჩაკეტილი, ვიდრე მათ თავიანთ საკუთრებასთან მისვლა არ მოუნდებათ.

ფასეულობის არჩევა – წარმოადგენს მარკეტინგის „საშინაო დავალებას“ რომელიც ხორციელდება საქონლის შექმნამდე. მარკეტინგის სამსახურმა უნდა მოახდინოს ბაზრის სეგმენტაცია, შეარჩიოს ყველაზე მოსახერხებელი სეგმენტი და განახორციელოს მასზე შეთავაზებული ფასეულობის პოზიცირება. ფორმულა „სეგმენტირება - მიზნობ-

რივი ბაზრების არჩევა – პოზიცირება“ გამოხატავს სტრატეგიული მარკეტინგის არსს.

ფასეულობის გადაცემას (მიწოდებას) – როგორც წესი, თან ახლავს მნიშვნელოვანი ინვესტიციები კომპანიის (ფირმის) ინფრასტრუქტურაში. კომპანიამ უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობები მყიდველებთან მომხმარებლებთან და პარტნიორებთან.

ფასეულობის მიწოდება ბაზარზე – ხდება მაშინ, როდესაც დეტალურად მუშავდება საქონლის ზუსტი მახასიათებლები, დგინდება ფასი, მუშავდება გავრცელების სისტემა.

ფასეულობის შესწავლა – რისთვისაც აუცილებელია „საფასეულო შესაძლებლობათა“ შესწავლის ზუსტად განსაზღვრული სტრატეგია. ასეთი სტრატეგია მოითხოვს სამი სივრცის ურთიერთკავშირის გარკვევას: 1) მყიდველთა სივრცის, 2) ფირმის კომპეტენციების სივრცისა და 3) პარტნიორების რესურსული სივრცის.

ფასეულობის შესწავლის აუცილებლობა „საფასეულო შესაძლებლობათა“ შესწავლის ზუსტად განსაზღვრული სტრატეგია – ასეთი სტრატეგიის დამუშავება მოითხოვს სამი სივრცის ურთიერთკავშირის გარკვევას: (1. მყიდველთა სივრცე, 2. ფირმის კომპეტენციების სივრცისა და 3) პარტნიორების რესურსული სივრცე).

ფასეულობის შექმნის ჩვევები – ბაზრის სუბიექტებმა უნდა იცოდნენ: მყიდველებისთვის ახალი სარგებლის გამოვლენა, საპარტნიერო სისტემიდან ბიზნეს-პარტნიორების შერჩევა; რომ შექმნას მყიდველისათვის ახალი სარგებელი, ფირმამ უნდა გაიგოს, რაზე ფიქრობს მყიდველი, რა სურს მას, რა აწუხებს. აუცილებელია გაირკვეს აგრეთვე რა აღაფრთოვანებდა მყიდველებს, ვისთან ურთიერთობენ, ვინ ახდენს მათზე გავლენას.

ფასეულობის წინ წაწევა – ეს არის მესამე ფაზა, რაც გამოისახება სავაჭრო პერსონალის, გასაღების სტიმულირების, რეკლამისა და კომუნიკაციის სხვა წესების (საშუალებების)

ორგანიზაციის გზით, რომლებიც გამიზნულია საქონლის შესახებ ინფორმაციის ბაზრამდე დაყვანაზე.

ფასეულობის წინ წაწევა – სავაჭრო პერსონალის, გასაღების სტიმულირების, რეკლამისა და კომუნიკაციის სხვა წესების (საშუალებების) ორგანიზაციის გზით, რომელიც გამიზნულია საქონლის შესახებ ინფორმაციის ბაზრამდე დაყვანაზე.

ფასზე მარკეტინგ-მიქსის სხვა ელემენტების გავლენისას – საბოლოო ფასის დადგენა უნდა მოხდეს საქონლისა ხარისხისა და სარეკლამო კომპანიის ჩატარების გათვალისწინებით კონკურენტებზე ორიენტაციით. ხარისხი და საბაზრო მიწოდება სხვა უპირატესობები ფასზე უფრო მნიშვნელოვანია.

ფასზე წანამატი – (premium (bonus) to a price) წესდება მყიდველის განსაკუთრებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. კერძოდ, სპეციალური ინდივიდუალური შეკვეთების შესრულებისას, საქონლის ხარისხის ამაღლების შემთხვევაში, დამატებითი მომსახურებისთვის, ნაწილ-ნაწილ გადასახადისას და ა.შ. გამყიდველს თავისუფლად შეუძლია დააწესოს ფასზე წანამატი ჩვეულებრივ საქონელზე მისთვის ხელსაყრელი ბაზრის კონიუნქტურის პირობებში.

ფასი – 1. ღირებულების ფულადი გამოხატულება, ფულის თანხა, რომელიც უნდა გადაიხადონ მომხმარებლებმა საქონლის შეძენისთვის. ფირმის მიერ დაწესებული ფასი უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის გადახდისუნარიან მოთხოვნილებას ანუ მოთხოვნა-მიწოდების კანონის მოთხოვნებს. 2. მარკეტინგ-მიქსის, მარკეტინგის კომპლექსის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი.

ფასი – (free Alongside Ship FAS) „თავისუფლად გემის ქიმის გასწვრივ“, საქონლის მიწოდების საბაზისო პირობა საერთაშორისო ვაჭრობაში საზღვაო გადაზიდვისას, რომლის მიხედვითაც ექსპორტიორს თავისი ხარჯით გადააქვს საქონელი გემის მისადგომამდე, ხოლო შემდგომ ხარჯებს იმპორტიორი გაიღებს.

ფასი – (price) ერთეული საქონლისა და მომსახურების საყიდ-ლად გადახდილი ფულის რაოდენობა, ღირებულებისა და სარგებლის ფულადი გამოხატულება.

ფასი – განისაზღვრება ყველა ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მიერ მისი მთლიანი იმპორტის ანაზღაურების შესაძლებლობის შესაბამის დონეზე.

ფასი – განსაკუთრებით აქტიური ინსტრუმენტია ბაზრის ათვი-სებისა და მოგების უზრუნველყოფაში, როდესაც მისი როლი არაა გამოკვეთილი.

ფასი – ის თანხაა, რომელიც უნდა გადაიხადონ მომხმარებ-ლებმა საქონლის სანაცვლოდ.

ფასი – მარტო ეტიკეტზე აღნიშნული თანხა არ არის. იგი მრა-ვალმხრივი ფენომენია.

ფასი – მოთხოვნის - მყიდველის ბაზარზე არსებული ფასი.

ფასი – საქონლის ღირებულების ფულადი ფორმაა. ეროვნული შემოსავლის განაწილებასა და გადანაწილებამდე საქონე-ლი უნდა გაიყიდოს. ფასი წარმოადგენს ფულადი სახსრების სიდიდეს, რომელსაც მესაკუთრე პროდუქციის რეალიზაციიდან ღებულობს და, რომელიც, შემდგომი განაწილების ამოსავალ საფუძვლად გვევლინება. ფასების ზრდასთან ერთად, იზრდება მათი როლი ღირებულების გადანაწილების პროცესში.

ფასი (გარიგების) ვალუტა – (bargain currency) ვალუტა, რომლი-თაც დგინდება ფასი საგარეო-სავაჭრო კონტრაქტებში.

ფასი მარკეტინგის მიქსის – ერთადერთი ელემენტია, რომელსაც მოაქვს კომპანიისთვის მოგება, დანარჩენი ელემენტები ზრდიან ხარჯებს. ამავე დროს ფასი მარკეტინგული პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი ელემენტია: საქონლის, გავრცელების არხებით და წინ წაწევის პროგრამების მახასიათებლებისაგან განსხვავებით ფასი შეიძლება სწრაფად შეიცვალოს.

ფასი მონოპოლიური – ადგენენ მონოპოლიები წარმოების ფასზე უფრო მაღალ ან დაბალ დონეზე.

ფასი მსოფლიო – განისაზღვრება საქონლის სახეობასთან ერთად დამოკიდებულებით, ზოგიერთი საქონლის მიხედვით (ნედლეულის) ქვეყანა ექსპორტიორების ან ქვეყანა იმპორტიორების ფასების დონით, სხვა საქონლისათვის – ბირჟაზე, აუქციონებზე, ხოლო მზა პროდუქციაზე – მსოფლიოს წამყვანი ფირმების მიხედვით.

ფასი მტკიცე – დგინდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში და არ შეიძლება შეიცვალოს.

ფასი ნომინალური – ქვეყნდება პრეისკურანტებში ცნობარებში.

ფასი საგარეო – სავაჭრო ხელშეკრულებებში - (price in foreign trade) ერთ-ერთი არსებითი პირობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქონლის რაოდენობასა და ხარისხთან, მიწოდებისა და გადახდის ვადებთან და ა.შ. გამოიხატება ეროვნული ან საერთაშორისო ვალუტის ფულად ერთეულებში. სახელშეკრულებო ფასის დონე ყალიბდება გარიგების მონაწილეთაგან დამოუკიდებლად, ობიექტურ გარემოებათა გავლენით (საქონლის თავისებურებები, მისი კონკურენტუნარიანობა, ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, სავაჭრო პოლიტიკური პირობები, კონტრაჰენტთა ქვეყნები სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები, ბაზრის მონოპოლიზაციის დონე და ა.შ.) მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე კონტრაჰენტის, დროის, ადგილისა და ხელშეკრულებების დადების წესის შერჩევა, ბაზრის კონიუნქტურის კომერციული ცოდნა, გამოცდილება და სხვა.

ფასი საცალო – წარმოადგენს გასული პერიოდისათვის ფაქტობრივად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე დადგენილ ფასს და იყენებენ მოლაპარაკებების დროს.

ფასი შემდგომი ფიქსაციით – (price to be fixed) დგინდება ხელშეკრულების შესრულების მსვლელობაში, მაგალითად, საქონლის მორიგი პარტიის მიწოდების წინ, ხოლო ზოგ შემთხვევაში მიწოდების შემდგომაც. ხელშეკრულებაში განისაზღვრება ფასების ფიქსაციის წესი, სახელდობრ, ფიქსაციის პერიოდი, მყიდველის მიერ ფიქსაციის

დროის არჩევის უფლება ინფორმაციის გარკვეული წყაროს საფუძველზე ან ფასების შეთანხმების პირობებში მხარეებში მხარეებს შორის მოლაპარაკებისას.

ფასი წარმოების – ტოლია წარმოების დანახარჯებს პლუს ავანსირებულ კაპიტალზე საშუალო მოგების ჯამი.

ფასიან ქაღალდებზე აგებული ბიზნესი – შედგება შემდეგი ელემენტებისაგან. ფასიანი ქაღალდების გამოშვება თვით ბანკის მიერ და მათი რეალიზაცია ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების განთავსება დავალებით სხვა ელემენტების დაბანდება ფასიან ქაღალდებში მუდმივი შემოსავლის მიღების ან გაყიდვის მიზნით. პრივატიზების ხაზით მომსახურების გაწევა. ამგვარი კომერციის დროს ბანკის შემოსავალს აყალიბებს საკურსო განსხვავება ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დროს, დივიდენდები, საპროცენტო შემოსავალი სახელშეკრულებო ვალდებულებების მიხედვით.

ფასიან ქაღალდებზე გადასახადი – გამოიყენება როგორც 1. აქციების, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების ემისიაზე გადასახადი, რომლებსაც ახდევინებენ აქციონერულ კომპანიებს; 2. გადასახადი საბირჟო გარიგებებზე გადაეხდებათ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების გადაყვანის დროს.

ფასიან ქაღალდებზე სესხები – სესხები, რომლების მიეცემათ ბანკებს აქციებისა და ობლიგაციების საწინდარით. კომერციული და ინვესტიციური ბანკების საფონდო ოპერაციების სახე. ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ სესხების უზრუნველყოფის ფორმას, ისინი მსესხებლებს სამრეწველო კომპანიებს, კერძო პირებს, საბირჟო ბროკერებს უბრუნდებათ ბანკში დავალიანების დაფარვის შემდეგ.

ფასიანი ბარგის ქვითარი – საბუთი, რომელიც დამოწმებულია უფასო გადაზიდვის ზემოთ, ბარგის ან ისეთი საგნების გადაზიდვის საფასურის გადახდა, რომელთა გადაზიდვისთვისაც აუცილებელი გადასახადი, აგრეთვე, ბარგის გამოცხადებული ღირებულებისათვის გადასახადის გადახდა.

ფასიანი საბანკო საქმიანობა – საბანკო სისტემის ტიპი, რომელშიც ბანკები გაერთიანებული არიან მონაწილეობის სისტემითა (საკონტროლო პაკეტებით) და დირექტორების გადახლართვით.

ფასიანი ქაღალდები – (securities) დადგენილი ფირმის (ნიმუშის) საფინანსო დოკუმენტები. მათში აისახება მფლობელის გარკვეული ქონებრივი უფლებები, რომელთა რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ამ დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: საგადასახადო დოკუმენტები – ჩეკი, თამასუქი, აკრედიტივი და სხვ. საფონდო ფასეულობები – აქცია, ობლიგაცია და სხვა; ქონებრივი უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები – კონოსამენტი, ლომბარდის საგირავნო ბილეთები, შემნახველი ბანკის წიგნაკების ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა და ა.შ. ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს სახელობითი და წარმომადგენლობითი. პირველ შემთხვევაში ქონებრივი უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომლის გვარიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდზე (შემნახველი ბანკის წიგნაკები, ლომბარდის საგირავნო ბილეთები და სხვა) მეორე შემთხვევაში – პირს, რომელიც ფლობს ფასიან ქაღალდებს (ობლიგაციები, მოგებული ლატარიის ბილეთები და სხვა).

ფასიანი ქაღალდები და დაფარვა ფიქსირებული ვადით – (dated securities) ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი, მაგალითად, ობლიგაცია, რომლისთვისაც დაწესებულია დაფარვის ვადები. ჩვეულებრივ იყოფა მოკლე – საშუალო და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებად.

ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო ბაზარი – (over the counter market) აქციების ბაზარი, როგორც წესი, მცირე კომპანიებისა, სადაც ოპერაციები ხორციელდება ბირჟის გვერდის ავლით კავშირგაბმულობის საშუალებებით. ასეთი ბაზარი კარგადაა განვითარებული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი – (securities market) ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სფერო, რომლის საშუალებითაც

ხდება საწარმოთა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაცია ეკონომიკაში ინვესტირებისათვის. იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველად ბაზარზე იყიდება ახალგამოშვებული, ემიტირებული ფასიანი ქაღალდები. როგორც წესი, ფირმა – ემიტენტი თავის ფასიან ქაღალდებს ავრცელებს ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების შუამავლობით ხელმოწერის საფუძველზე (ღია ტიპის აქციონერული ტიპის აქციონერული საზოგადოება) ფასიანი ქაღალდების ემიტენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი. ფასიანი ქაღალდების მეორეულ ბაზარზე ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები და შუამავლები ვაჭრობენ იმ ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც ერთხელ უკვე გაყიდეს მათმა ემიტენტებმა. ინვესტორები არიან, როგორც ფიზიკური, ისე, იურიდიული პირები და სახელმწიფო. შუამავალთა ძირითადი კატეგორიებია ბროკერები, დილერები და მათი შესაბამისი ორგანიზაციები. აგრეთვე საკრედიტო ინსტიტუტები. მაგალითად ანგლო-ამერიკულ სისტემაში, როგორც წესი, ბანკები განსაკუთრებული სახის (სადაზღვევო, საპენსიო) ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ. მეორეულ ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენით დგინდება ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასი (კურსი). მეორეული ბაზარი იყოფა საბირჟო და ბირჟისგარეშე (ფინანსური აქტივებით ვაჭრობა „დახლზე“) ბაზრებად.

ქვეყნის საბირჟო სისტემა შეიძლება იყოს **მონოცენტრული** (ერთი მსხვილი ბირჟა, მაგალითად, კანადაში, გერმანიაში, ავსტრალიაში), **გარდამავალი** (ერთი უმსხვილესი და რამდენიმე ნაკლებად მსხვილი ბირჟა, მაგალითად, აშშ-ში, იაპონიაში).

ბირჟების რაოდენობის რეგლამენტირება ხდება სახელმწიფოს მიერ. ბირჟის გარეშე ბაზარზე ძირითადად მიმოიქცევა ის ფასიანი ქაღალდები, რომელთა კოტირებაც საფონდო ბირჟაზე არ ხდება, მაგალითად, თითქმის ყველა

ბანკის (ცენტრალურის გარდა) და სადაზღვევო კომპანიების აქციები, ყველა სახელმწიფო და მუნიციპალური ობლიგაცია და სხვა. ფასი ყალიბდება სახელშეკრულებო გზით. დილერის შემოსავალი დგინდება, როგორც ყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორის სხვაობა. ბირჟის გარე ბაზარზე შესაძლებელია ბროკერისა და დილერის ფუნქციების შეთავსება.

ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და მთელი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორია აქციების კურსის ინდექსები. არსებობს მრავალი სხვადასხვა სახის ინდექსი. მაგალითად, აშშ-ში ყველზე ცნობილია დოუ-ჯონსის ინდექსი.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი – ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სფერო, რომლის საშუალებითაც ხდება საწარმოთა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაცია ეკონომიკაში ინვესტირებისათვის, იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველად ბაზრებზე იყიდება ახალგამოშვებული, ემიტირებული ფასიანი ქაღალდები. როგორც წესი, ფირმა ემიტენტი თავის ფასიან ქაღალდებს ავრცელებს ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების შუამავლობით ხელმოწერის საფუძველზე (ღია ტიპის აქციონერთა საზოგადოება) ან აქციონერ-დამფუძნებელთა შეზღუდულ რაოდენობას შორის (დახურული ტიპის აქციონერთა საზოგადოება). ფასიანი ქაღალდების ემიტენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი. ფასიანი ქაღალდების მეორეულ ბაზარზე ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები და შუამავლები ვაჭრობენ იმ ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც ერთხელ უკვე გაყიდეს მათმა ემიტენტებმა. ინვესტორები არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და სახელმწიფო შუამავალთა ძირითადი კატეგორიებია – ბროკერები, დილერები და მათი შესაბამისი ორგანიზაციები, აგრეთვე საკრედიტო ინსტიტუტები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი – წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს, სხვადასხვა სახის საფონდო შუამავ-

ლებსა და საბოლოო ინვესტორებს შორის გარიგებათა დადების სფეროს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე – ინვესტორი, ემიტენტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, აუდიტი.

ფასიანი ქაღალდების ბირჟის გარეთ ბრუნვა – ფასიანი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა შუამავალი (დილერების) ფირმის მეშვეობით საფონდო ბირჟის გარეშე.

ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი – (securities depositary) [ფრანგ. Depositare – დეპოზიტორი შემნახველი], ორგანიზაცია, რომელიც კლიენტების დავალებით ინახავს ფასიან ქაღალდებს და ახდენს კლიენტის უფლების რეალიზაციას ამ ქაღალდებზე. დეპოზიტარიუმს, გარდა ფიზიკური ფორმით (რომელიც მიმოიქცევა ბაზარზე სერთიფიკატის სახით) გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისა, შეუძლია ემიტენტთან სპეციალური შეთანხმებით რეგისტრაციაში გაატაროს ის ფასიანი ქაღალდებიც, რომლებიც მათი გამოშვების პირობების მიხედვით არ ფორმდება, ანუ ისეთები, რომლებზეც საკუთრების უფლება დადასტურებულია სპეციალურ რეესტრში. ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი კლიენტს უხსნის სპეციალურ ანგარიშს, რომელშიც ფიქსირებულია მისი კუთვნილი ფასიანი ქაღალდები, ხოლო კლიენტი იღებს ანგარიშის ამონაწერს. ეს უკანასკნელი მხოლოდ ადასტურებს კლიენტის ფასიანი ქაღალდების შენახვისა და აღრიცხვის ფაქტს ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმში, მაგრამ თვით ფასიანი ქაღალდები არ არსებობს არ მიმოიქცევა ბაზარზე. გარდა ამ ფუნქციებისა, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტორიუმი ახორციელებს საინკასო ოპერაციებს ემიტენტებთან და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტორიუმში, მაგრამ თვით ფასიანი ქაღალდები არ არსებობს არ მიმოიქცევა ბაზარზე. გარდა ამ ფუნქციებისა, ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი ახორციელებს საინკასო ოპერაციებს ემიტენტებთან და ფასიანი ქაღალდების მფლობელებს შორის

ანაწილებს პროცენტების, დივიდენდების, გასანაღდებელი ობლიგაციების და ა.შ> თანხას (ფასიანი ქაღალდების „მომსახურების“ ფუნქცია). იგი ახდენს ერთი კლიენ-ტისაგან მეორისათვის ფასიანი ქაღალდების გადაცემის ფაქტის რეგისტრაციას, შესაბამისად ჩამოწერს მათ ერთი ანგარიშიდან და ჩარიცხავს მეორეზე. ასეთი სახის ანგარიშსწორებისას ფასიანი ქაღალდების სერთიფიკატე-ბის ფიზიკური მოძრაობა ქაღალდების დეპოზიტარიუმის ფარგლებში არ ხდება. აღნიშნულ ორგანიზაციას შეუძლია თავის თავზე აიღოს იმ ტექნიკური ფუნქციებისა და პროცედურების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლისგან განთავისუფლებაც დიდად უმსუბუქებს დატვირთვას ინვესტორებსა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის პრო-ფესიონალებს. მომსახურების ეს სახეობა დადიდ გავრცე-ლებულია განვითარებულ ქვეყნებში, რის გამოც ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი ნაწილი ფასიანი ქაღალდე-ბის დეპოზიტორიუმშია „ჩაწოლილი“. ამ პროცესმა საზღვარგარეთ „მობილიზაციის“ სახელწოდება მიიღო.

ფასიანი ქაღალდების ემისია (გამოშვება) – პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ემიტენტი განათავსებს ფასიან ქაღალდებს.

ფასიანი ქაღალდების ემიტენტი – იურიდიული და ფიზიკური პირების სახსრების მოზიდვაში კომერციული ბანკების კონკურენტად თეორიულად შეგვიძლია განვიხილოთ ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი ემიტენტი, რადგანაც იგი ზრდის საინვესტიციო შესაძლებლობათა მიწოდებას ბაზარზე (ობლიგაციების, თამასუქების და ა.შ.) ემიტენ-ტებს მაშინ, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ აქციების გამოშვება, არა მარტო მიწოდებას, არამედ მოთხოვნასაც ზრდის საბანკო ბაზარზე, კერძოდ მოთ-ხოვნას ბანკების საემისიო მომსახურებაზე (გარეშე ემიტენტების ფასიანი ქაღალდების ემისიასა და განთავ-სების ორგანიზაცია პირველად ბაზარზე.

ფასიანი ქაღალდების თავდაპირველი გაყიდვა – კერძო ან სახელმწიფო ინვესტორზე, რომლებიც გამოშვებულია

სამთავრობო ორგანოების ან კორპორაციის მიერ, პირველადი გათავსება ეწოდება.

ფასიანი ქაღალდების ნომინალური ფასი – ნომინალური ღირებულებები, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდებზე (აქციებზე, ობლიგაციებზე) ფასიანი ქაღალდების გაყიდვა და ყიდვა წარმოებს საბაზრო ფასით - ფასიანი ქაღალდების კურსით, რომელიც ყალიბდება მოთხოვნის და მიწოდების ზეგავლენით და ნომინალი ყოველთვის არ წარმოადგენს მისი ფორმირების განსაზღვრულ ფაქტორს.

ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა – მათი გამგებლობის ისეთი ხელოვნებაა, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ღირებულების შენარჩუნებასა და შემოსავალს ინფლაციის დონის მიუხედავად.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი – პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის.

ფასიანი ქაღალდების რეესტრი – რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ემიტენტი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და რომელშიც მოცემულია ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელებისა და მათ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

ფასიანი ქაღალდების რისკის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ბანკის სისტემური მუშაობა ამ რისკის რეგულირების მიმართულებით.

ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა – ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ანუ საფონდო ბირჟაზე. ფასიანი ქაღალდების ფასი მათზე მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად ყალიბდება და ხშირად მათი ნომინალური ღირებულებისაგან განსხვავდება.

ფასიანი ქაღალდი – (ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტი) წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა

მიღებულ იქნეს ემიტენტის მომავალი შემოსავლის ან მისი აქტივების ნაწილი (ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ემიტენტის მფლობელობაში ან მის საკუთრებაში იმყოფება).

ფასიანი ქაღალდი – დოკუმენტაცია რომელიც ადასტურებს საკუთრივ უფლებას, ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: სააქციო საზოგადოების აქციები; სახელმწიფო სასესხო ვალდებულებები; ნებისმიერი იურიდიული პირები ობლიგაციები; სადეპოზიტო და შემნახველი სერთიფიკატები; თამასუქები.

ფასიანი ქაღალდი წილობრივი – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის წილს საწარმოში.

ფასის დადგენა საქონლის ღირებულების შეგრძნების საფუძველზე – ფასწარმოქმნა, დამყარებული საქონლის ღირებულების მნიშვნელობის მყიდველისეულ აღქმაზე და არა გამყიდველის დანახარჯებზე.

ფასის დაწესება დაგვიანებით – კომპანია არ აწესებს საბოლოო ფასს იმ დრომდე, სანამ პროდუქცია არ არის გამოშვებული ან მიწოდებული. ფასის დაწესება დაგვიანებით ფართოდ გავრცელებულია დარგებში ხანგრძლივი საწარმოო ციკლით (სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, მძიმე მანქანათმშენებლობა).

ფასის ეფექტი – (price effect) საქონელზე მოთხოვნის ცვლილება მისი ფასის ცვლილების შედეგად. იგი შედგება შემოსავლისა და შენაცვლების ეფექტებისგან.

ფასის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება – იმისთვის, რომ მოხდეს დისტანცირება შემტევი მარკისაგან, ლიდერს შეუძლია ფასის დონის ამაღლება თავის საქონელზე და შექმნისას ახალი ბრენდი.

ფასის მაწონასწორებელი ფუნქცია – (price balancing function) საბაზრო სისტემაში წარმოების „მბრძანებელ-განმკარგულებელი“ არის მომხმარებლები. ეკონომიკის თვითრეგულირება ფასის მიერ მექანიზმზეა დამოკიდებული.

როდესაც ბაზარზე მომხმარებლები რაიმე არაფასისმიერი ფაქტორის ზეგავლენით შეიცვლის შეძენის სურვილს, ეს მაშინვე დაეტყობა საქონლის ფასს, ვინაიდან ფასი, ფაქტობრივად, მოთხოვნის მოცულობაა. მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად ფასი აიწევს ან დაიწევს. ბაზარზე ფასის ცვლილებიდან გამომდინარე, მწარმოებლები შეცვლიან წარმოების სტრუქტურას. საბაზრო სისტემის უნარს, **მიანიშნოს მწარმოებლებს მოთხოვნის ცვლილებაზე და გამოიწვიოს მათი შესაბამისი რეაქცია, ფასის მაწონასწორებელი ფუნქცია ეწოდება.**

ფასის ხვედრითი წილი მოხმარების ბიუჯეტში – რაც უფრო მაღალია მოცემულ საქონელზე დანახარჯების ხვედრითი წილი მოხმარების ბიუჯეტში, მით უფრო მაღალია მისი მგრძნობიარობა - საქონლის ფასის მიმართ, ე.ი. ბაზარზე მისი გავლენაც. თუ მომხმარებელი მოცემულ საქონელზე ხარჯავს თავისი ბიუჯეტის უმნიშვნელო ნაწილს, მაშინ მას არ სჭირდება თავისი ჩვევებისა და მიდრეკილებების შეცვლა ფასების ცვლილების დროს. საბანკო ბაზარზე ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან საბანკო მომსახურების უმრავლესობას ან იშვიათად იძენენ, ან ისინი შედარებით იაფია. გარდა ამისა ზოგიერთ შემთხვევაში მომსახურების ფასი აშკარა სახით საერთოდ არ არსებობს.

ფასისმიერი დისკრიმინაცია – (Price discrimination), არსებობს ფასისმიერი დისკრიმინაციის ორი ძირითადი ფორმა: პირველი გულისხმობს კომპანიების ისეთ პრაქტიკას, როცა მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისათვის განსხვავებული ფასები წესდება, მეორე გულისხმობს ერთი მომხმარებლისათვის განსხვავებული ფასების დაწესებას ერთი და იმავე საქონლის სხვადასხვა ერთეულზე. პირველ შემთხვევაში, როცა მომხმარებელთა თითოეულ ჯგუფს აქვს განსხვავებული მოთხოვნის ფასისმიერი ელასტიკურობა, ფირმას შეუძლია მომხმარებელთა თითოეული ჯგუფისგან მიღებული ზღვრული შემოსავლე-

ბის გათანაბრების გზით მიიღოს მეტი მოგება, ვიდრე თანაბარი ფასების პირობებში. მეორე შემთხვევაში ფირმამ იდეაში უნდა ამოიღოს მთლიანად სამომხმარებლო ნამატი ანუ მიიღოს ფასისმიერი დისკრიმინაციია დამატებითი სარგებლიანობა, რომელიც მომხმარებელს შეეძლო მიეღო იმ შემთხვევაში, თუ საქონელს მუდმივი ფასით შეიძენდა. ეს მიიღწევა პროდუქციის თითოეულ ერთეულზე იმ მაქსიმალური ფასის ტოლია ფასის დაწესებით, რომლის გადახდისთვისაც მომხმარებელი მზადაა მის მოთხოვნის შესაბამისად. ამ გზით ფირმას შეუძლია მიითვისოს მთელი სამომხმარებლო ნამატი. ფასისმიერი დისკრიმინაციის ეს ფორმა მოითხოვს ყველა მომხმარებლის მოთხოვნის მრუდის ზუსტ ცოდნას, ამიტომ იგი არასოდეს არ გამოიყენება ზემოთ აღწერილი ფორმით. ასეთი დისკრიმინაციის უფრო გავრცელებული ფორმაა გაზისა და ელექტროენერგიის მიმწოდებლების მიერ გამოყენებული ორი ნაწილისაგან შედგენილი ტარიფი, რომლიც დროსაც ყიდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქსელში ჩართვის უფლებისთვის რენტის გადახდის შემდეგ. ასეთი რენტული გადასახადით ხელში იგდებენ სამომხმარებლო ნამატის ნაწილს.

ფასისმიერი კონკურენცია – ხორციელდება შემოთავაზებულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილების (როგორც წესი, დაწევის გზით).

ფასს – სწორად შექმნილ და სწორად წინ წაწეულ საქონელზე ბევრად შეუძლია გადაამეტოს მის თვითღირებულებას და უზრუნველყოს დიდი მოგება.

ფასწარმოქმნა – (price formation) საქონლისა და მომსახურების ფასში ჩამოყალიბების პროცესი. განასხვავებენ **საბაზრო და სახელმწიფო (ცენტრალიზებულ) ფასწარმოქმნას.** საბაზრო ფასწარმოქმნა ხორციელდება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების საფუძველზე, ხოლო სახელმწიფო ფასწარმოქმნა – სახელმწიფო ორგანოების მიერ ფასების დაწესებით.

ფასწარმოქმნის ფასების მიმდინარე დონის საფუძველზე – საკმაოდ პოპულარული მეთოდია. კომპანიები ვარაუდობენ, რომ ასეთი მიდგომა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში როდესაც გართულებულია ხარჯების გაანგარიშება ან შუძლებელია კონკურენტების რეაქციის წინასწარ განჭვრეტა კომპანიების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მიმდინარე ფასების დონე დარგის კოლექტიური გონების განსახიერებაა.

ფაქტიური ვალდებულებები – წარმოიქმნება ხელშეკრულებების, კონტრაქტებისა და კანონმდებლობის საფუძველზე და მათი ზუსტად გაანგარიშება შეიძლება. ფაქტიურ დავალიანებებს მიეკუთვნება: მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები ანუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები, გაცემული თამასუქები. მიღებული ავანსები, გადასახდელი დივიდენდები, დარიცხული ხელფასი, გადასახდელი დღგ და აქციები, არსებული სესხები გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი.

ფაქტობრივი გარიგებებისა და კონტრაქტების ფასების გამოქვეყნება – იშვიათად ხდება, ამიტომ მსოფლიო ფასების დინამიკის ანალიზში მათი გამოყენება გართულებულია. ფაქტობრივად გარიგებებისა და კონტრაქტების ფასები შეიძლება იყოს: მოძრავი, მყარი, მომავალი პერიოდის მიხედვით ფიქსირებული და მცოცავი.

ფაქტობრივი მაჩვენებლები მიიღება – საწარმოს ფაქტიური საქმიანობის შედეგად, როცა სამოქმედო პერიოდი (თვე ან წელი) უკვე გასულია.

ფაქტორები (factors) – ეწოდება სავაჭრო შუამავლებს, რომლებიც ექსპორტიორის (პრინციპალის) სახელით ასრულებენ სხვადასხვა სახის საშუამავლო ოპერაციებს.

ფაქტორინგი – არის გადაუხდელობისაგან დაზღვევისა და კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების ინსტრუმენტი. მსოფლიო პრაქტიკაში ფაქტორინგის ქვეშ იგულისხმება რიგი საკომისიო-საშუამავლო მომსახურეობები გარიგება, რომელსაც „ფაქტორი“ კლიენტისათვის ახორციელებს ამ

უკანასკნელის მიერ საქონელზე და მომსახურებაზე ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში ახორციელებს და იგი, როგორც წესი, „მისი საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან არის დაკავშირებული.

ფაქტორინგი – გულისხმობს კომპანიის ვალის (დებიტორული დავალიანების) ამოღებაზე პასუხისმგებლობის გადაცემას სხვა სპეციალიზირებულ დაწესებულებაზე.

ფაქტორინგი – მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების დაფინანსების სფეროს შედარებით ახალი სახეა.

ფაქტორინგი – პირველყოვლისა მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების დაფინანსების სფეროს შედარებით ახალი სახეა.

ფაქტორინგი – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციების ნაირსახეობა, შერწყმული კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, რომლის დროსაც სპეციალიზებული კომპანია იძენს კლიენტის დებიტორულ დავალიანებას, რათა შემდეგში გადაახდევინოს იგი მევალეს. უფრო ხშირად ფაქტორ-კომპანია იძენს კლიენტის ანგარიშ-ფაქტურას იმ პირობით, რომ მიწოდების ღირებულების 20%-მდე გადაიხადოს დაუყოვნებლივ, დარჩენილი ნაწილი – მკაცრად დადგენილ ვადაში. ფაქტორ-კომპანია – კომპანიაა, რომელიც სპეციალიზებულია ფაქტორინგის ოპერაციებზე, გარდა საკრედიტო მომსახურებისა. ფაქტორ-კომპანიები ეწევიან საბუღალტრო, საკონსულტაციო, სარეკლამო, საინფორმაციო, სადაზღვევო, იურიდიულ და ა.შ. მომსახურებას.

აქედან გამომდინარე ფაქტორინგი აღიარებულია კლიენტის მომსახურების უნივერსალურ ფორმად. კლიენტი ფაქტობრივად ინარჩუნებს მხოლოდ წარმოებრივ ფუნქციას. ამის შედეგად დაზოგილი ფულადი თანხები ხმარდება საფაქტორინგო მომსახურების ამაღლების ანაზღაურებას. კლიენტი მიღებულ კრედიტზე პროცენტის გარდა იხდის საკომისიოს წლიური საბრუნავი თანხის 0,75-4%-ის ოდენობით. ფაქტორინგი აჩქარებს კლიენტის

კაპიტალის ბრუნვას და აფართოებს საბანკო კრედიტის მიზიდვის შესაძლებლობებს.

საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მოკლევადიან დაკრედიტებასა და საშუამავლო კომერციულ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ფაქტორინგი. ფაქტორ კომპანია ათავისუფლებს ექსპედიტორს საკრედიტო რისკისაგან (განსაკუთრებით-აუთვისებელ ბაზრებზე) და, აქედან გამომდინარე კრედიტის დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

ფაქტორინგი – ფინანსური მომსახურების სახეობა, რომელსაც კომერციული ბანკები, მათი შვილობილი ფაქტორ-ფირმები წვრილი და საშუალო ფირმებს (კლიენტებს) უწევენ. მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტორ-ფირმა კლიენტისაგან იღებს ვალების ამოღების უფლებას და ნაწილობრივ უნაღდება თავის კლიენტებს მოვალეობისადმი მოთხოვნებს ე.ი. უკან უბრუნებს ვალის 70 დან 90 %-მდე ოდენობით. ვალის დანარჩენი ნაწილი პროცენტის გამოკლებით უკან უბრუნდება კლიენტებს მოვალის მიერ მთელი ვალის დაფარვის შემდეგ. ყოველივე ამის შემდეგაც ფაქტორ-ფირმის კლიენტი შესაძლებლობას იღებს სწრაფად დაიბრუნოს ვალი, რისთვისაც იგი ფაქტორ-ფირმას განსაზღვრული ოდენობით პროცენტს უხდის. ფაქტორინგის განხორციელებისას კლიენტი ფაქტორ-ფირმას მოვალისგან ვალის ამოღების უფლებას აძლევს. ფაქტორინგი წარმოიშვა XVI-XVII საუკენეებში, როგორც მოვაჭრე შუამავლების ოპერაცია, ხოლო შემდეგ მან დაკრედიტების ფორმა შეიძინა.

ფაქტორინგი (factoring) – ინგლისურიდან მომდინარეობს და „შუამავალს“ „აგენტს“ უკავშირდება. ფაქტორინგულ ოპერაციებში სამი მხარე მონაწილეობს: 1) ფაქტორ-შუამავალი, რომელიც შესაძლებელია იყოს კომერციული ბანკი ან სპეციალიზებული ფაქტორინგული კომპანია; 2) საქონლის მიმწოდებელი; 3) საქონლის მყიდველი;

ფაქტორინგი (ინგ. factor ნიშნავს შუამავალს) – ეწოდება ფაქტორინგული კომპანიის ან ბანკის მიერ ვალის გადახდევინების უფლების ყიდვის ოპერაციას.

ფაქტორინგს – უწოდებენ ფაქტორის მიერ კლიენტისათვის გაწეული ისეთ საკომისიო-საშუამავლო მომსახურებას, რომლის განხორციელების პროცესშიც საქონლისა და მომსახურებისათვის შესრულებული ანგარიშსწორება მისი საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან არის შერწყმული.

ფაქტორინგული მომსახურების ძირითადი მიზანია თავისი კლიენტის დებიტორული ანგარიშების ინკასირება და მისი კუთვნილი გადასახდელების მიღება. ეს მომსახურება ფაქტორმა შესაძლოა კლიენტს გაუწიოს, როგორც დაფინანსების გარეშე, ისე დაფინანსებითაც.

ფაქტორინგული კომპანია – ამ მომსახურებაში იღებს საკომისიოების ე.ი. ფაქტორინგი მომსახურების სახეა, რომელიც ითვალისწინებს საექსპორტო ვაჭრობის განხორციელებას ღია კრედიტის პირობებით და რისკით 100%-იანი დაფარვით საერთაშორისო ფაქტორინგული კომპანიების მიერ განხორციელებული ინკასირებით. ფინანსურ ორგანიზაციას რომელიც ექსპორტიორს ათავისუფლებს საექსპორტო გარიგების ფინანსური ტვირთისგან, ეწოდება ფაქტორი.

ფაქტორინგული კომპანია – სხვა ფორმის ირიბი დაკრედიტება, რომელსაც ბანკებიც მიმართავენ და Near-bank-ებიც არის ფაქტორინგი. იგი იმაში გამოიხატება, რომ ფინანსური დაწესებულება მიმწოდებლისაგან იძენს საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის გამო წარმოქმნილი მოთხოვნის უფლებას და თავის თავზე იღებს ასეთი მოთხოვნების შესრულებისა და შემდგომში მათი ინკასაციის რისკებს.

ფაქტორინგული კომპანიასა და მის კლიენტს შორის – ურთიერთდამოკიდებულებების სამართლებრივი საფუძველია ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

ფაქტორ-კომპანია – (factor-company) კომპანია, რომელიც სპეციალიზებულია ფაქტორინგის ოპერაციებზე. გარდა საკრედიტო მომსახურებისა, ფაქტო-კომპანიები ეწევიან საბუღალტრო, საკონსულტაციო, სარეკლამო, საინფორმაციო, სადაზღვევო, იურიდიული და ა.შ. მომსახურებას.

ფაქტორული ანალიზი – არის გამოკვლევის დეტერმინირებული და სტოქასტური ხერხების მეშვეობით შედეგობრივ მაჩვენებელზე ცალკეული **ფაქტორების (მიზეზების)** ზემოქმედების ანალიზი. ფაქტორული ანალიზი უნდა იყოს როგორც პირდაპირი (საკუთრივი ანალიზი), როდესაც შემადგენელ ნაწილებად დაყოფენ, ასევე შებრუნებულიც (სინთეზი), როდესაც მისი ცალკეული ელემენტები საერთო შედეგობრივ მაჩვენებლებთა გაერთიანებული.

ფაქტორული კომპანიები – (ძირითადად კომერციული ბანკები) გამოდიან, როგორც შუამავალი საწარმოები, რომლებიც ახდენენ კლიენტის გაყიდვების რეგისტრის წარმოებას, უიმედო ვალებისგან 100%-იანი დაცვის უზრუნველყოფას, წინასწარ დაფინანსებას, რომლის გარანტი არის ამოსაღები დებიტორული დავალიანებებია ნაშთი. მომსახურებისთვის იღებენ სარგებელს გაყიდვების მოცულობიდან, შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთით.

ფაქტორული შემოსავალი – (factor-income), შემოსავალი მიღებული წარმოების ფაქტორების გამოყენების გზით, რენტის, ხელფასის, სარგებლისა და მოგების სახით.

ფაქტურა – (invoice, bill) [ლათ. Facture გადამუშავება, შედგენილობა] გამყიდველის მიერ მყიდველის სახელზე გამოწერილი და საქონლის ან მომსახურების და მათი ღირებულების ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ანგარიში.

ფაქტურირების ცხრილი – საწარმოში გაცემული დოკუმენტია, რომელშიც მოყვანილია მონაცემები გაყიდული საქონლის შესახებ და გამოიყენება კომერციული ანგარიშების შესადგენად.

ფედერალური ბიუჯეტი – საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი ფედერალური სახელმწიფო წყობილობის ქვეყნებში (აშშ, გფრ, შვეიცარია და სხვა)

ფედერალური სარეზერვო სისტემა – (federal Resene System) სისტემა, რომელიც შეიქმნა 1913 წელს აშშ-ში ცენტრალური ბანკის ფუნქციების განხორციელებისთვის. ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფსს) აერთიანებს 12 ფედერალურ სარეზერვო ბანკს. იგი პასუხისმგებელია ფულის ემისიაზე, ინახავე წევრი ბანკების რეზერვებს, მართავს საბანკო დეპოზიტებს, საპროცენტო განაკვეთის დონესა და სტრუქტურას, მონაწილეობს ღია ბაზარზე, იღებს პასუხისმგებლობას ფულადი მიმოქცევის რეგულირებას და კონტროლზე, ატარებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ქვეყნის შიგნით და ხაზინასთან ერთად ახორციელებს პოლიტიკას ვალუტის კურსის სფეროში და საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ ფსს-ის მმართველთა საბჭოს (და მის თავმჯდომარეს) ნიშნავს აშშ-ის პრეზიდენტი, აღნიშნული სისტემას მინიჭებული აქვს დამოუკიდებლობა პოლიტიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და თავის კომპეტენციაში ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში.

ფედვაირი – შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვების სისტემა უზრუნველყოფს ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირებას, ფედვაიერს და გვევლინება როგორც საკრილინგო ცენტრი ამ სისტემის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციებისთვის. ფედვაიერი უზრუნველყოფს დაუყოვნებლივი და გამოუთხოვარი ანგარიშსწორების მონაწილე ბანკებს შორის ელექტრონულ გადარიცხვებს და ასრულებს საანგარიშსწორებო და საკრილინგო საშუალების ფუნქციას. გადარიცხვების საშუალო დღიური მოცულობა აღემატება 1 ტრილიონ დოლარს.

ფერმერული მეურნეობა – (farma enterprise), ინდივიდუალური სასაოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც მეურნეობას ეწევა საკუთარ ან არენდით აღებულ მიწაზე.

ფერფეიტირება – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟაზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით. გარიგების შესრულებამდე გარანტიის სახით შეიტანება გარკვეული თანხა.

ფერფოიტერი – ბანკი ან საფინანსო კომპანია, რომელიც ექსპორტიორისაგან ყიდულობს გადასაპირებელ თამასუქს გარკვეული დისკონტით.

ფიდელური გადაზიდვები – მოკლე მანძილზე საზღვაო გადაზიდვა არაუმცირეს ორ პორტს შორის ტვირთების დაჯგუფებისა და განაწილების მიზნით (ჩვეულებრივ კონტეინერებს).

ფიდუციალური ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მის ხარჯზე (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად) მთელ რისკს კლიენტი იღებს, თავის თავზე, ხოლო ბანკი-საკომისიოს).

ფიზიკური კაპიტალი – ესაა შენობები, მანქანა-დანადგარები და სხვა რესურსები, რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესში.

ფიზიკური პირების ქონების გადასახადი – ამ გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები, რომელთა კერძო საკუთრებაშია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამ გადასახადით დასაბეგრი ობიექტები. აღნიშნული გადასახადით იბეგრება საცხოვრებელი სახლები, ბინები, აგარაკები და ა.შ. აგრეთვე სატრანსპორტო საშალებები.

ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი – საშემოსავლო გადასახადების გადამხდელები არიან საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის როგორც წესი მქონე, ისე არმქონე პირები. აღნიშნული გადასახადით იბეგრება ფიზიკური პირების მიერ მიღებული როგორც ფულადი, ისე ნატურალური შემოსავალი კალენდარული წლის

განმავლობაში. კანონით გათვალისწინებულია დაუბეგრავი შემოსავლების საკმაოდ დიდი ნუსხა.

ფიზიკური საქონელი – (physical goods), [ბერძ. Physis ბუნება + kratos ძალაუფლება], ეკონომიკური მიმართულება, რომელიც აღმოცენდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში. ფიზიოკრატმა შეცვალა მერკანტელიზმი. ფიზიოკრატები (ფ. კენე, ა. ტიურგი, ვ. მირაბო, გ. ლეტრონი, პ. დიუპონ დე ნემური და სხვა) სიმდიდრის ერთადერთ, წყაროდ სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებას მიიჩნევდნენ, ხოლო სამიწათმოქმედო შრომას ერთადერთ მწარმოებლურ შრომად თვლიდნენ. ფიზიოკრატებმა პირველად ისტორიაში, კვლევის სფერო მიმოქცევიდან მატერიალური წარმოების სფეროში გადაიტანეს. მათი დიდი დამსახურება ის არის, რომ სიმდიდრის წყაროს ეძებდნენ არა მიმოქცევის, არამედ წარმოების სფეროში.

ფიზიკური ცვეთა – ცვეთა, რომელიც იწვევს შრომის საშუალებების ტექნიკურ-საექსპლუატაციო თვისებების დაკარგვას.

ფიზიოკრატიზმი – ბერძნული წარმოშობისაა და „ბუნების ძალაუფლებას“ ნიშნავს.

ფილადელფიის საფონდო ბირჟა – სპეციალიზებულია ოფციონებზე, რომელშიც გამოიყენება შემდეგი ვალუტები: ბრიტანული ფუნტი სტერლინგი, ავსტრალიური და კანადური დოლარები, გერმანული მარკები, იაპონური იენები და შვეიცარული ფრანკები.

ფილდერის სიტუაციური მოდელი – მოდელი, რომელშიც გამოყოფილია ხელმძღვანელობის ეფექტიანობაზე მოქმედი სამი ფაქტორი: 1) ურთიერთობები ხელმძღვანელსა და კოლექტივის წევრებს შორის; 2) დავალების სტრუქტურა; 3) ხელმძღვანელისათვის თანამდებობით მინიჭებული ძალაუფლება, ანუ კანონიერი ძალაუფლება.

ფილიალი – **(ლათ)** იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფი.

ფილიპსის მრუდი – (phillips curve), ინფლაციური მოთხოვნის მოდელში ასახული მრუდი, რომელიც გამოხატავს ურთი-

ერთკავშირს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის; ფუნქცია, რომელიც ასახავს და გრაფიკულად გამოხატავს დამოკიდებულებას უმუშევრობის დონის დინამიკასა (აბცისის ღერძი) ფასების დონის დინამიკას (ორდინატის ღერძი) შორის. იგი შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების შემაერთებელი წრფეა. ფილიპსის მრუდი ასახავს უმუშევრობისა და ინფლაციის ალტერნატიულ ურთიერთკავშირს; ინფლაციის მაღალ ტემპს უნდა ახლდეს უმუშევრობის დაბალი დონე და, პირიქით. ამ ორ მაჩვენებელს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულების დასაბუთება ცნობილია „ფილიპსის მრუდის“ კონცეფციის სახით და ატარებს ინგლისელი ეკონომისტის, მაკროეკონომიკური თეორიის სფეროში თვალსაჩინო მკვლევარის ა.ვ. ფილიპსის სახელს. ფილიპსის მრუდი გამოხატავს რეალური მეპ-ის პოტენციურად გადახრას. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ფილიპსის მრუდის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მოკლე პერიოდის სიტუაციის რეგულირებისათვის. გრძელვადიან პერიოდში კი მისი გარე ეფექტი საწინააღმდეგოა: უმუშევრობის მაღალი დონის მიუხედავად, ინფლაცია ღრმავდება, ინფლაციის გადიდებას კი თან ახლავს უმუშევრობის ზრდა.

ფილოსოფიური პოზიციებიდან – ხარისხი ნიშნავს განსახილველი ობიექტის არსებით განსაზღვრულობას, რომლის გამოც ის ხდება სპეციფიკური და განსხვავდება სხვა ობიექტებისაგან.

ფილტრაცია – ინფორმაციის დამახინჯების ტენცენცია ორგანიზაციის ფარგლებში (ზემოთ, ქვემოთ ან ნებისმიერ დონეზე) მისი მოძრაობის დროს.

ფინანსები – ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც იმყოფება ავიასაწარმოს განკარგულებაში, აგრეთვე მათი ჩამოყალიბების, განაწილების ან გამოყენების სისტემა.

ფინანსები – (Finance), ფინანსური ურთიერთობების და მათი მარეგულირებელი ინსტიტუტების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მიზანდასა-

ხულ წარმოქმნასა, განაწილებასა და გამოყენებასთან. მოიცავს, ერთი მხრივ – შინამეურნეობებისა და ფირმების ფინანსებს, მეორე მხრივ – სახელმწიფო ფინანსებს.

ფინანსები – ესაა მეცნიერება შეზღუდული ფულადი რესურსების (შემოსავლებისა და ხარჯების) მართვის შესახებ, დროის გარკვეული პერიოდისათვის.

ფინანსები – თავისუფალ ფულად ფორმაში **ეკონომიკურ ურთიერთობებს** წარმოადგენს, რომელიც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების განაწილებისა და გადანაწილების პროცესში წარმოიშობა და რაც ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებასთან და გაფართოებულ კვლავწარმოებასთან, მატერიალურ სტიმულირებასთან, სოციალურ განვითარებასთან და სახელმწიფო ფუნქციის შესრულებასთან არის დაკავშირებული.

ფინანსები – ისტორიული კატეგორიაა, ის საზოგადოების კლასებად დაყოფისას სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა. მაგრამ თანამედროვე წარმოდგენა ფინანსების შესახებ მხოლოდ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად დაიწყო და ჩამოყალიბდა.

ფინანსები – არის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მიზანდასახულ წარმოქმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან.

ფინანსური შინაარსი დამოკიდებულია ეკონომიკური სისტემის ხასიათზე, გამოხატავს მისთვის დამახასიათებელ ურთიერთობებს და იცვლება მასთან ერთად.

ფინანსები არ მოიცავს ფულადი ურთიერთობების მთელ ერთობლიობას. ფულადი ურთიერთობები უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე ფინანსური ურთიერთობები. ეს უკანასკნელი მოიცავს მხოლოდ ისეთ ფულად ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ფონდების მოძრაობასთან. სხვა სახის ფულადი ურთიერთობები სცილდება ფინანსების საზღვრებს. ფინანსურ ურთიერთობებში მაგალითად, არ შედის ფულადი

აღრიცხვა და კონტროლი ყველა სახის დანახარჯზე, ფულადი მიმოქცევის რეგულირება და სხვა.

ფინანსები განისაზღვრება – როგორც ეკონომიკურ (ფულად) ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ყალიბდება ერთობლივი ეროვნული შემოსავლის (ან მთლიანი შიდა პროდუქტის) განაწილების, გადანაწილების და გამოყენების მეშვეობით.

ფინანსების გამანაწილებელი ფუნქცია – ფინანსების მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს და მისი საბოლოო მიზანია პირველადი და მეორადი შემოსავლების განაწილება, რაც საწარმოო ძალებისა და საბაზრო სტრუქტურების განვითარებაში, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში და მოსახლეობის მაღალი საყოფაცხოვრებო ხარისხის უზრუნველყოფაში გამოიხატება.

ფინანსების კატეგორია – ფინანსური კატეგორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **დაზღვევის ეკონომიკური კატეგორია,** რომლის განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხოლოდ გადამანაწილებელი ურთიერთობების სფეროს მოიცავს.

ფინანსების მარეგულირებელი ფუნქცია – საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ბერკეტების მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან სუბიექტების საქმიანობის ჩარევის აუცილებლობასთან არის დაკავშირებული, თუმცა აღნიშნული ფუნქციის შესრულება ქვეყანაში ჯერჯერობით სუსტადაა განვითარებული.

ფინანსების საკონტროლო ფუნქცია – ფულადი ფონდების განაწილებაზე და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებაში ვლინდება. ფინანსური კონტროლის ამოცანაში შედის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების დაცვისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

ფინანსების სოციალურ – ეკონომიკური არსი - განისაზღვრება იმით, თუ სახელმწიფო ვის ხარჯზე ღებულობს ფინანსურ რესურსებს და მოსახლეობის რომელ სოციალური ან

პროფესიონალური ჯგუფების ინტერესებში გამოიყენება აღნიშნული სახსრები.

ფინანსების უკუკავშირის არხის ფუნქციაა – სახელმწიფოსა და სხვა მეურნე სუბიექტისათვის ფულადი სახსრების წრე-ბრუნვის პროცესების მიმდინარეობის შესახებ ოპერატიუ–ლი ინფორმაციის მიღებისა და მისი საშუალებით თითოე–ული სუბიექტის საქმიანობაში შესაბამისი კორექტივების დროულად შეტანის შესაძლებლობას იძლევა.

ფინანსურ ანგარიშებში უცხოურ ვალუტაში – გამოსახული თანხების ეროვნულ ვალუტაში ან აშშ-ის დოლარებში კონვერსიის პროცესს ეწოდება გადაანგარიშება (translation), ხოლო ყველა ამ გადაანგარიშებული ფინანსური დოკუ-მენტების ერთ დოკუმენტში გაერთიანებას – კონსოლი-დაცია (comsolidation).

ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება – ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები და ნაწილობრივი ინსტრუ–მენტები.

ფინანსურ ლიზინგს – ძირითადი ფონდების სრულიად უკუგე-ბად ლიზინგს უწოდებენ.

ფინანსურ მარკეტინგს შეიძლება ორი განმარტება მიეცეს: **ფართე და ვიწრო** – ფინანსურ მარკეტინგში ფართე გაგე-ბით შეიძლება განისაზღვროს როგორც საფინანსო პოლი-ტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც კონკრეტულ პირობებთან და მიზნებთან ყველაზე უფრო მეტი ხარის-ხით შეესაბამება ფინანსური ინსტრუმენტების არჩევისა და მათი გამოყენების ხერხების უზრუნველყოფას ახორციელებს. ფინანსური მარკეტინგი ასეთი სახით ურთიერთდაკავშირებული წყვილის „ბაზრის სეგმენტი-ფინანსური ინსტრუმენტის“ არჩევანს მოიცავს.

ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის მიზანია – შეისწავლოს და შეაფასოს საწარმოს საქმიანობა საბოლოო ფინანსური შე-დეგის - მოგების, მომგებიანობის და ფინანსური სტაბი-ლურობის თვალსაზრისით.

ფინანსური ანალიზი – საწარმოს საქმიანობის (ბიზნესის) ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მიმართულებაა. ტრადიციული განსაზღვრებით, იგი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებასა და პროგნოზირებას გულისხმობს.

ფინანსური ანალიზის მიზანია – გამოიკვლიოს და გამოავლინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომგებიანობის ამაღლების ფარული შესაძლებლობები ანუ რეზერვები.

ფინანსური ანალიზის საგანია – 1) არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის მაჩვენებელთა ცვლილებები ანუ გადახრები. 2) ფინანსური ანალიზის მიზნებს ანალიტიკოსის ინტერესები უდევს საფუძვლად. 3) ფინანსური ანალიზის მიზანია არა მხოლოდ ფინანსური სტაბილურობის შეფასება, არამედ გამოავლინოს მისი გაუმჯობესების გზები და მომგებიანობის ამაღლების რეზერვები ანუ შესაძლებლობები.

ფინანსური ანგარიშგება – არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსურ ანგარიშგებაში გადმოცემულია საწარმოს საქმიანობის შედეგების ამსახველი და ურთიერთდაკავშირებული აბსოლუტური ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემა.

ფინანსური ანგარიშგება – პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნებს. თუმცა ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას, რომელიც სჭირდება მომხმარებელს გადაწყვეტილების მისაღებად, ვინაიდან ანგარიშებში წარმოდგენილია მხოლოდ გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები და ამასთან, ყოველთვის არ შეიცავს არაფინანსურ ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება – საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

ფინანსური ანგარიშგების – ელემენტების აღიარება ნიშნავს მათ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგება-ზარალის ანგარიშსწორებაში. მათი აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ამ მუხლებით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან გასვლა და გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომლის საიმედო შეფასება შეიძლება.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი – კლიენტის გადახდისუნარიანობის დასადგენად აუცილებელია მისი უკანასკნელი წლების (მინიმუმ სამი წელი) ფინანსური ანგარიშგების ანალიზი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზანია – შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მართავს ხელმძღვანელობა საწარმოს და რამდენად საიმედოა იგი პარტნიორებისათვის, საწარმოს საქმიან ურთიერთობებში მყოფი ყველა სუბიექტებისათვის. მისი მიზანია საიმედო დასკვნებით უზრუნველყოს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირები, ფირმის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსურ პოზიციებში ცვლილებების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია – საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენებს, რათა დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ანგარიშგებაში აგრეთვე ჩანს, ხელმძღვანელობის მიერ მასზე მინდობილი რესურსების მართვის უნარები და შედეგები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება – **(ptrepare financialstate ments)** – აღნიშნულ ეტაპზე დაგროვებული ბუღალტრული მონაცემები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოიყენება.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არიან ინვესტორები, დაქირავებული მომუშავეები, საფინანსო – საკრედიტო დაწესებულებები, სხვადასხვა კომპანიები, მთავრობები და მათი უწყებები და საზოგადოება მთლიანად. მათ

საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია სჭირდებათ, რათა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება დაამყარონ თუ არა ამა თუ იმ სახის საქმიანი ურთიერთობა მოცემულ კომპანიასთან.

ფინანსური ანგარიშგების სრული ნუსხა – მოიცავს: ბუღალტრული ბალანსის მოგება-ზარალის უწყისს, ფულის მიმოქცევის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას, აგრეთვე მათ შენიშვნებს და ანგარიშგების სხვა ახსნა-განმარტებით მასალას, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია. ფინანსური ანგარიშგებაში შეიძლება აღწერილი იყოს იმ რისკებისა და განუსაზღვრელი ფაქტორების ახსნა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.

ფინანსური ანგარიშების ძირითადი ფორმებია – 1. საბალანსო ანგარიში (balance sheet); ზოგიერთ შემთხვევაში მას უწოდებენ ანგარიშს ფირმის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (Statement of Financial Position); 2. ანგარიში მოგების შესახებ (income Statrment) ან ანგარიში მოგებისა და ზარალის შესახებ, ან ანგარიში დაგროვილი მოგების შესახებ, ან ანგარიში გაუნაწილებელი მოგების შესახებ. 3. ანგარიში ფინანსურ მდგომარეობაში ცვლილებების შესახებ (statement of changes in Financial Position): 4. ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (Statement of Cash Flows, Cash Flow Statement); 5. ანგარიში საკუთარი კაპიტალის შესახებ (Statement of Stockholders Equity, statement of Owners Equity.

ფინანსური აღრიცხვა – (financial accounting), რომელიც ფინანსური ანგარიშგების, განმკარგავი ორგანიზაციებისთვის საგადასახადო დეკლარაციისა (tex return) და სხვა ანგარიშგების (reports) მომზადებას მოიცავს.

ფინანსური აღრიცხვა თავის მხრივ, ოპერაციის რეგისტრაციაზე და კომპანიის საქმიანობის შედეგებზე სრულად არის გამახვილებული, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

ფინანსური ბუღალტერიის წარმოება საწარმოსათვის და კორპორაციისათვის სავალდებულოს წარმოადგენს.

ფინანსური აღრიცხვა – ბანკებში ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთო ფუძემდებლურ წესებს, ყველა ოპერაციის ასახვას აქტიურ და პასიურ ანგარიშებში ორმაგი ჩაწერის მეთოდით, აღრიცხვის უნიფიკაციას, ე.ი. ეკონომიკურად ერთგვაროვანი ოპერაციების განხორციელებისათვის ერთი და იმავე ანგარიშების გამოყენებას ყველა ბანკის მიერ. ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების მეთოდოლოგიური ცენტრია ქვეყნის მთავარი ბანკი, რომელიც კომერციულ ბანკებს უდგენს ანგარიშთა გეგმას და მათში ოპერაციების ასახვის წესს.

ფინანსური აღრიცხვის მიზანია – მოამზადოს ინფორმაცია გარე მომხმარებლებისათვის, ესენია აქციონერები, პოტენციური ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები, კრედიტორები, კლიენტები, სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. თუმცა იგი გამოიყენება შიგა მოხმარებისათვის, ფინანსური განყოფილებების მიერ, ფინანსური კოეფიციენტის ანალიზისა და მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავებისათვის.

ფინანსური ბაზარი – კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების სფეროა. იგი უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციას, განაწილებასა და გადანაწილებას, რითაც ხელს უწყობს ეკონომიკაში საქმიანი აქტიურობის გაძლიერებას, ინვესტირების გაზრდასა და მოგების მაქსიმიზაციას.

ფინანსური ბაზარი – ეს არის სხვადასხვაგვარი აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობა. ფინანსური ბაზარი არის ფინანსური აქტივებითა და ინსტრუმენტებით ვაჭრობის ორგანიზაციული და არაფორმალური სისტემა.

ფინანსური ბაზარი – ის ბაზარია, რომელზეც გარიგებები ხორციელდება ფინანსურ აქტივებზე. ე.ი. ნაღდი და უნაღდო ფორმის მქონე ფულზე და ფასიან ქაღალდებზე

განსახორციელებელი გარიგების ხასიათზე დამოკიდებულებით; მას ხშირად ყოფენ ორ ნაწილად: 1) ფულის ბაზარი და 2) კაპიტალის ბაზარი. **ფულის ბაზარი** – ფინანსური ბაზრის ის სეგმენტია, რომელზეც მოკლევადიანი გარიგებები ხორციელდება. **კაპიტალის ბაზარი** აერთიანებს გარიგებებს გრძელვადიან აქტივებზე.

ფინანსური ბაზარი – მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების, ინვესტიციების, ფასიანი ქაღალდების, ანაბრებისა და ა.შ. ერთობლიობა. ფინანსური ბაზარი მოიცავს კაპიტალების ბაზარს (საშუალო და მოკლევადიანი კრედიტები, ფასიანი ქაღალდები) და სავალუტო ბაზარს.

ფინანსური ბაზარი – ფართო გაგებით არის, სხვადასხვა აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობა. იგი ფინანსური აქტივებითაა და ინსტრუმენტებით ვაჭრობის ორგანიზებულ და არაფორმალურ სისტემას წარმოადგენს. ცალკეულ ფინანსურ ბაზრებში სხვადასხვა ფულადი ნაკადები ერთიანდებიან: სავალუტო ბაზარი, ფულადი სახსრების ბაზარი, ინვესტიციების ბაზარი და სხვა.

ფინანსური ბაზარი – წარმოადგენს საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობის წარმოებს ფულადი სახსრების ნაკადების გადადინება მესაკუთრეებიდან მსესხებლებისაკენ. ფინანსურ ბაზარს უწოდებენ ბაზარს, რომელზეც წარმოებს სახსრების გადაქაჩვა იმ პირებისგან რომელთაც მათი სიჭარბე შეენიშნებინათ, იმ პირებისაკენ რომლებიც სახსრების ნაკლებობას განიცდიან.

ფინანსური ბროკერები და საინვესტიციო კონსულტანტები – ფინანსური ბროკერები შუამავლის (აგენტის) ფუნქციებს ასრულებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაში, როცა ხორციელდება კლიენტის ხარჯზე და მისივე დავალებით კომისიის ან დავალებების შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფო ქონების ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პერიოდში მრავალი ფინანსური ბროკერი მუშაობას ეწეოდა ინვესტორების ფართო წრესთან „საფონდო მაღაზიების“ პრინციპით. საინვესტიციო კონსულტანტის საქმიანობა

შემოიფარგლება ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მიმოქცევაში საკონსულტაციო მომსახურების გაწევით.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი – არის ფარდობა საწარმოს აქტივებსა და საკუთარ კაპიტალს შორის. ამ კოეფიციენტების დაპირისპირება მართებულია როგორც ერთგვაროვან ისე არაერთგვაროვან საწარმოებს შორის, გარდა ბანკებისა, რადგან ბანკების აქტივებში საკუთარი კაპიტალის 10-15%-იანი წილი ნორმალურ მოვლენად ითვლება.

ფინანსური დახმარება – საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის ფინანსური რესურსების მიცემა უფრო შეღავათიანი პირობებით, ვიდრე კომერციულია, რომელთა დროს ჩვეულებრივ გარანტ-ელემენტი შეადგენს სულ ცოტა 25%-ს.

ფინანსური დერივატივები – (წარმოებული ინსტრუმენტები) არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელსაც საფუძვლად უფრო მარტივი, ფინანსური ინსტრუმენტი უდევს. ფინანსურ წარმოებული ინსტრუმენტებს ფართოდ იყენებენ როგორც ფასიანი ქაღალდების, ასევე რისკების მართვის ინსტრუმენტის სახით.

ფინანსური თვალსაზრისით ფრანშაიზინგი – არის კონვერტაციული ურთიერთობები, რომლებიც ერთი პირისათვის მის საქმეში მეორე პირის ინტელექტუალური საკუთრებით ან კომპლექსებზე საკუთრებისა და მოწყობილობით უზრუნველყოფა ხორციელდება, სანაცვლოდ ფინანსური რესურსების ნაწილზე და მოწყობილობით უზრუნველყოფა ხორციელდება, სანაცვლოდ ფინანსური რესურსების ნაწილზე და (ან) საქმიანობიდან შემოსავლის ნაწილზე.

ფინანსური ინჟინერინგი – ფინანსური კონსალტინგის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც წარმოადგენს ახალი აღმოჩენების, ახალი გამოგენების ფინანსურ წყაროს. იგი საშუალებას აძლევს ფინანსური ბაზრის მონაწილეებს ეფექტურად მოახდინონ რეაგირება მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებზე, გამოყოფენ უკვე არსებული ან დაამუშავონ ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და ოპერაციული

სქემები. ფინანსური ინჟინერინგის საშუალებით შეიმუშავებენ და შემოქმედებითად გამოიყენებენ ტექნოლოგიურ საშუალებებს კლიენტების ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად და მათი დაფარული ფინანსური შესაძლებლობების გამოსავლენად.

ფინანსური ინსტრუმენტები – მოიცავს როგორც პირველად ფინანსურ ინსტრუმენტს. მაგალითად, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებს და წილობრივ ფასიან ქაღალდებს, ასევე, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ფინანსური ოფციონი, ფიუჩერსები და ფორვარდები, საპროცენტო განაკვეთიანი სვოპები და სავალუტო სვოპი.

ფინანსური ინსტრუმენტი არის – ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთ საწარმოს ფინანსური აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან ნაწილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური კაპიტალი – (financial capital), ლიკვიდური აქტივები, რითაც იგი განსხვავდება მისი ფიზიკური აქტივებისგან. კომპანია შეიძლება ფლობდეს სხვადასხვა სახის ფინანსურ კაპიტალს. ძირითადად განასხვავებენ აქციონერულ და სასესხო ფინანსურ კაპიტალს.

ფინანსური კაპიტალი – ეს არის აქციები, ობლიგაციები და კრედიტები რომელთა მეშვეობითაც ფირმას შეუძლია კაპიტალის შეძენა.

ფინანსური ლევერიჯი – არის როლის ის მესამე კომპონენტი, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და მიუთითებს თუ რა სიდიდით არის საწარმოს აქტივები დაფინანსებული სესხებით.

ფინანსური ლევერეჯის კოეფიციენტი აერთიანებს ვალდებულებებისა და სააქციონერო კაპიტალის შემადგენელ ცალკეულ ერთეულების მაჩვენებლებსაც.

ფინანსური ლიზინგი – (financial lease), მანქანებისა და მოწყობილობების არენდა 10 დან 15 წლამდე ვადით და არენდის პერიოდში მათი სრული ამორტიზაციით.

ფინანსური ლიზინგი – არის ლიზინგური ხელშეკრულება ვადით, რომელიც მიახლოვებით აქტივების მომსახურეზის ვადის ტოლია. საოპერაციო ლიზინგისგან განსხვავებით აქტივის ტექნიკურ მომსახურებას ლიცენზიანტი იღებს თავის თავზე. ლიცენზი არის სახით მოცემული პრაქტიკის ჩარჩოებში, როგორც წესი, საფინანსო ინსტიტუტები გამოდიან.

ფინანსური ლიზინგი – შეიძლება გარიგების სპეციალური სახეობის სახით იქნეს განხილული, რომელსაც ერთი იურიდიული პირის მიერ სხვა იურიდიული პირის წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლებების გადაცემის მიზნით, ხანგრძლივობის მიხედვით განსაზღვრულ დროში ფინანსური რესურსების კონვერტაციის უზრუნველყოფა ხორციელდება. სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე ლიზინგი განიხილება როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დროებით თავისუფალი ან მოზიდული ფულადი სახსრების ქონებაში ინვესტირებას ითვალისწინებს, და იგი მისი სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენების მიზნით, გარკვეული ვადით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემას გულისხმობს.

ფინანსური ლიზინგი (finance liease) – თავის მხრივ სამი სახისაა: „სტანდარტი“ ლიზინგი, „ლიბ-ბეიკი“ ლიზინგი და ლიზინგი „მიმწოდებელს“.

ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი – მთლიანობაში კლიენტის საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის მახასიათებელია. მსესხებელი კაპიტალის საერთო მოცულობაში ნასესხები კაპიტალის წილი რამდენად მეტია, იმდენად დაბალია საწარმოს ფინანსური მდგრადობა. თუ საწარმო საკუთარი სახსრების თითოეულ ლარზე ერთ ლარზე მეტ ნასესხებ სახსრებს იზიდავს, აღნიშნული გარემოება მისი ფინანსური დამოუკიდებლობის სისუსტეზე მიუთითებს.

ფინანსური მდგრადობა – შეგვიძლია დავახასიათოთ ბანკის საქმიანობის ისეთი ინტეგრალური ფინანსურ-ეკონომიკური პარამეტრებითა და შედეგებით, როგორიცაა საკუთარი სახსრების მოცულობა და სტრუქტურა, შემოსავლებისა და მოგების დონე, საკუთარ კაპიტალზე მოგების ნორმა, ლიკვიდობის საკმარისობა, საკუთარი კაპიტალის მულტიპლიკაციური ეფექტიანობა და დამატებული ღირებულების შექმნა, აგრეთვე საქმიანობის ის პარამეტრები, რომლებიც ბანკის მართვის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას უკავშირდება.

ფინანსური მენეჯმენტი – განისაზღვრება, როგორც საფინანსო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც „მიზანი-რესურსები-ადამიანები"-ის სამკუთხედში ბალანსის მხარდაჭერისა და ფინანსური ბაზრის სეგმენტზე მარკეტინგის განხორციელებისას ფინანსური მარკეტინგის პროცესში არჩეული განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენებით დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის მთლიან საქმიანობას მოიცავს.

ფინანსური მექანიზმი – არის იმ ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია განაწილებითი და გადანაწილებითი ურთიერთობანი, შემოსავლებისა და დაგროვების შექმნის, ფულადი საშუალებები ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების.

ფინანსური მექანიზმი – არის ფინანსური ურთიერთობების, ფინანსური მეთოდებისა და ბერკეტების, ფინანსური დაგეგმვის მეთოდების, ფინანსების მართვის ფორმებისა და ფინანსური სისტემის ფინანსური კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობა.

ფინანსური მიზანი – არის ფინანსური საქმიანობის იდეალური ვარიანტი მომავალში. საფინანსო პოლიტიკის მიზანია – მოცემულ სახელმწიფოში არსებული სოციალური ურთიერთობების სისტემის განმტკიცება.

ფინანსური მიზანსწრაფვა – წარმოადგენს ფინანსური მიზნების განსაზღვრას, რომელიც განვითარების განსაზღვრული პერიოდისათვის სახელმწიფოს სოციალურ მიზნებს ყველაზე უკეთ პასუხობს.

ფინანსური პოლიტიკა – 1. სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს. საფინანსო პოლიტიკა თავის მხრივ შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც მიზანსწრაფვის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის ერთობლიობა; 2. ფინანსური პოლიტიკა – არის ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ გადანაწილებაზე და გამოყენებაზეა მიმართული საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში: ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, ან საერთაშორისო ურთიერთობებში; 3. ფინანსური პოლიტიკა – არის სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ელემენტი, რომელიც განსაზღვრული წყაროების ფინანსური რესურსების ფორმირების, მათი გამოყენების ფინანსური ინსტრუმენტებისა და მეთოდების, ასევე დასახული მიზნების მიღწევის პროცესში „მიზნები-რესურსები-ადამიანები“-ს სამკუთხედში ბალანსის მხარდაჭერის მეთოდების ერთობლიობას მოიცავს; 4. ფინანსური პოლიტიკა შეიძლება ისეთი სახის კატეგორიად იქნეს წოდებული, რომელიც ფინანსური ურთიერთობების, მიზნებისა, ინსტრუმენტებისა და ფინანსური მენეჯმენტის მეთოდების სოციალურ-ეკონომიკურ არსს მოიცავს.

ფინანსური რესურსები – არის საწარმოს საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განხორციელების საშუალებაც და მიზანიც.

ფინანსური რისკი – დაკავშირებულია აქტივების და პასივების მოცულობის შემოსავლიანობის ღირებულებების და სტრუქტურის გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან. ფინანსურ რისკს მიეკუთვნება: საკრედიტო რისკი. ლიკვიდობის

რისკი, ფასისმიერი რისკი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი, სავალუტო რისკი, საბაზრო რისკი.

ფინანსური საქმიანობა – არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგს საწარმოს საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების სიდიდეში და შემადგენლობაში ცვლილებები წარმოადგენს.

ფინანსური სისტემა -– ეს არის სახელმწიფოსა და საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა. მისი მთავარი ფუნქციაა ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

ფინანსური სისტემა – ფინანსური ბაზრებისა და იმ ფინანსური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ფინანსური გარიგებების დასადებად, აქტივებისა და რისკების გასაცვლელად.

ფინანსური სისტემის მეშვეობით – წყდება სტიმულირების ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა, როცა ფინანსური ოპერაციის ერთი მხარე ფლობს ინფორმაციას, რომელიც არა აქვს მის პარტნიორს, ან როცა ერთი მხარე წარმოადგენს მეორის აგენტს და იღებს გადაწყვეტილებას მისი სახელით.

ფინანსური სტაბილურობა – საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და გულისხმობს საწარმოს მყარ ფინანსურ დამოკიდებულებას.

ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლებია - საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის

$$\text{კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივის ჯამი}}$$

იგი ფინანსური სტაბილურობის ზოგადი დახასიათებისთვის გამოიყენება და საწარმოს ზოგად ფინანსურ სტრუქტურას ახასიათებს.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$ იგი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში. $\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ჰერმანენტულ კაპიტალთან}} =$

$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი-პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი}}{\text{აქტივები – მიმდინარე ვალდებულებები}}$;

ან $\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ჰერმანენტულ კაპიტალთან}} =$

$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი+გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{აქტივები – მიმდინარე ვალდებულებები}}$; ეს მაჩვენებელი გამოიყენება ბიზნესის რისკის ხარისხის შესაფასებლად; საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა=

$= \frac{\text{საკ. კაპ.+გრძელვადიანი ვალდებულებები-გრძელ.აქტივები}}{\text{აქტივები – მიმდინარე ვალდებულებები}}$.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი =

$= \frac{\text{აქტივების ჯამი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$ იგი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელია და გვიჩვენებს, აქტივი რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

$= \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივებთან}}$ იგი გვიჩვენებს, რა ოდენობის, ვალდებულებებია კონცენტრირებული ყოველი ერთი ლარი ქონების შეძენისათვის.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი

$= \frac{\text{სსს}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$ იგი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისათვის გამოყენებული საკუთარი კაპიტალის წილს.

გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურული კოეფიციენტი $= \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$ გვიჩვენებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარეშე ინვესტორების მიერ და რა ეკუთვნის საწარმოს მესაკუთრეებს.

მოზიდული კაპიტალის სტრუქტურული კოეფიციენტი =

$= \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{ვალდენულებები}}$ იგი ახასიათებს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრით წილს ვალდებულებები.

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი =

$= \frac{\text{მოგება\%-ისა და გადასახადის გადახდამდე}}{\text{აქტივების თანხა საპროცენტო თანხა}}$ ეს კოეფიციენტი პროცენტის უზრუნველყოფის ხარისხის ახასიათებს.

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი =

$= \frac{\text{დაფინანსების ნორმალური წყაროები}}{\text{აქტივებთან მატერიალური მარაგები}}$ მარაგების დაფარვის ნორმალური წყაროებია: საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულება მიწოდებიდან და მიღებული ავანსები.

საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფა =

$= \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{მატერიალური მარაგები}}$ იგი გვიჩვენებს მატერიალური მარაგების რა ნაწილი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

ფინანსური ტერმინოლოგია – დაზღვევამ უნდა გამორიცხოს ორი სახის „ღია პოზიცია“ უცხოურ ვალუტაში „გრძელი“ და „მოკლე“ პოზიცია გულისხმობს გაყიდვისათვის საჭიროზე მეტი აქტივების ფლობას უცხოურ ვალუტაში, ხოლო „მოკლე“ კი – საჭიროზე ნაკლები რაოდენობის უცხოური ვალუტის ფლობას „გრძელი“ და „მოკლე“ პოზიციების არარსებობისას პოზიცია გაწონასწორებულია.

ფინანსური უსაფრთხოების (თავდაცვლის) ინტერვალი – გაიანგარიშება ფულს, ფასიანი ქაღალდების და დებიტორების ჯამი გაყოფილი საშუალო დღიურ ხარჯებზე.

ფინანსური შუამავლები – ეწოდება ფირმებს, რომელთა მთავარი დანიშნულებაა ფინანსური მომსახურების წარმოება და ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ბანკები, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიები.

ფირმა – (firm) (იტალ.firma) ბიზნესის აბსტრაქტული ერთეული, მეწარმეობის ყველა ზოგადი სახელწოდება, მისი სიდიდის, ორგანიზაციული თუ საკუთრების ფირმის მიუხედავად. არსებობს ფირმის სამი სახე: **1. ერთპიროვნული; 2. პარტნიორული; 3. კორპორაციული.** ფირმების უმეტესი ნაწილი შექმნილია ერთპიროვნული საკუთრების საფუძველზე, ხოლო პროდუქციის ძირითად მასას კორპორაციები აწარმოებენ. მაგალითად აშშ-ში ერთპიროვნულ ფირმებზე მოდის ფირმების მთელი რაოდენობის 77%, პარტნიორულზე 8%, ხოლო კორპორაციებზე 15%, მაშინ როდესაც კორპორაციები ქმნიან მთლიანი ეროვნული პროდუქტის 85%-ს, ხოლო ერთპიროვნული ფირმები – მხოლოდ 10%-ს.

ფირმა – (იტალ) გამოიყენება ნებისმიერი საწარმოს აღსანიშნავად. ზოგიერთ ქვეყანაში ამხანაგობებსაც ფირმას უწოდე–ბენ. კონკრეტულობაში არის საწარმოო იურიდიული პირის სახით, რომლის სახელითაც იწარმოება და იყიდება პროდუქტი და ა.შ.

ფირმა – ეწოდება ეკონომიკურ სუბიექტს, რომლის ძირითადი ფუნქციაა საქონლის წარმოება ან მომსახურებაა.

ფირმა – სამეურნეო, სამრეწველო სავაჭრო საწარმო ან ცალკეული ბიზნესმენი, რომელიც სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. საწარმოს სამართლებრივ ფორმიდან გამომდინარე ფირმის შერჩევის დროს გაითვალისწინება სხვადასხვაგვარი წინასწარი პირობების შესრულება, აგრეთვე შეზღუდვების შეტანა.

ფირმები (კომპანიები) – არ ქმნიან ბაზრის სეგმენტებს; მათი ამოცანაა სეგმენტების იდენტიფიცირება და იმის გადაწყვეტა, რომელ სეგმენტს (სეგმენტებს) მოემსახურონ.

ფირმის თეორია – (theory of the firm), მიკროეკონომიკური თეორიის მნიშნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხსნის ფირმის ქცევას და ახდენს მისი საქმიანობის პროგნოზირებას, განსაკუთრებით ფასწარმოქმნასა და პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებით. იგი განიხილავს აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიცაა წარმოების ტექნოლოგიის შერჩევა, სარეკლამო საქმიანობა, პროდუქციის განახლება, საინვესტიციო და სადივიდენდო პოლიტიკა და ა.შ.

ფირმის კაპიტალის მოძრაობის ეფექტიანი მართვა – გულისხმობს მისი განვითარების გარკვეული მიზნების არსებობასა და მათი შესაბამისი ფინანსური გადაწყვეტილებების ეფექტიანობას.

ფირმის კაპიტალის ცვლილებას – ეწოდება კაპიტალის მოძრაობა.

ფირმის კომპეტენციათა სივრცე – შეიძლება დახასიათდეს სიფართოვითა (საქმიანობის ფართო ან ვიწრო სფერო) და სიღრმით (ფიზიკური ან ინფორმაციული უნარი).

ფირმის ლიკვიდური სახსრები – (Liquidity assets), სახსრები, რომელიც შედგება ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდების, ბანკში ანგარიშზე არსებული რესურსებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგის ზოგიერთი ელემენტებისაგან.

ფირმის მარკეტინგული გარე სამყარო – აქტიური სუბიექტებისა და ძალების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ ფირმის გარეთ და ზემოქმედებას ახდენენ მარკეტინგის სამსახურების ხელმძღვანელობის შესაძლებლობებზე, რათა მიზნობრივ კლიენტებთან დაამყარონ და განამტკიცონ წარმატებითი თანამშრომლობის დამოკიდებულება.

ფირმის მაჩვენებლები – ფირმის მაჩვენებლებს შორის ყველაზე გავრცელებულ მაჩვენებელს წარმოადგენს მწარმოებლურობა, რომელიც გამოიანგარიშება ფულად ერთეულში.

ფირმის მოგება – არის ფირმის მთლიან შემოსავალსა და წარმოების ხარჯებს შორის სხვაობა.

ფირმის ორგანიზაცია და მართვა – 1. მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიცირებული კადრები და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეში. 2. ფირმის ორგანიზაცია და მართვა, როგორც სასწავლო დისციპლინამ უნდა უზრუნველყოს ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სიღრმისეულად ჩასწვდნენ ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებებს და საწამოო კომერციული საქმიანობის ორგანიზაციას, დაგეგმვას და მართვის საკითხებს, პრინციპებს, ფორმებსა და მეთოდებს.

ფირმის სამართლებრივი სტატუსი – განისაზღვრება ფირმის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის ზომით. აგრეთვე იმით, თუ ვის ხელშია ფირმის სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ფირმის წარმომადგენელი (frims representative) – ეწოდება ექსპორტიორის მიერ დანიშნულ პირს ან კომპანიას, რომელიც გარკვეულ ბაზარზე ეძებს აგენტებს, დისტრიბუტორებსა და სტოქისტებს და მეთვალყურეობს მათ საქმიანობას.

ფისკალი – პეტრე პირველის მიერ დაწესებული თანამდებობა, რომელიც ხელისუფლების ან განკარგულების შესრულებას საფინანსო დისციპლინისა და წარმოების ზოგიერთი სფეროს თაობაზე საიდუმლო ცნობებს აწვდიდა მას. ფისკალური პოლიტიკა ნიშნავს, სახაზინო, საუწყებო ქონების პატრონობის ინტერესების დაცვას. ფისკალი სახელმწიფო ხაზინას ნიშნავს.

ფისკალური ბაჟები – საბაჟო გადასახდელები, რომელსაც უმთავრესად აწესებენ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მიზნით; როგორც წესი ფისკალური ბაჟი იმ სამომხმარებლო საქონელზე წესდება, რომელიც მოცემულ ქვეყანაში არ იწარმოება.

ფისკალური პოლიტიკა – (Fiscal policy), საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს გადასახადებითა და სახელმწიფო ხარჯებით ეკონომიკური აქტიურობის დონის რეგულირებას. თუ უმუშევრობის დონე დაუშვებლად მაღალია, უნდა შემცირდეს საშემოსავლო გადასახადი ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისათვის. ეკონომიკური აქტიურობა დამოკიდებულია გადასახადების ოდენობასა და მულტიპლიკატორზე. რაც შეეხება სახელმწიფოს ხარჯებს, იგი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 40%-ს (მ.ფრიდმანი) თუ სახელმწიფო ხარჯები დაუსაბუთებლად იზრდება, მაშინ იგი დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა.

ფისკალური პოლიტიკა – სახელმწიფოს მიერ გადასახადების, სამთავრობო ხარჯებისა და დეფიციტის მანიპულირების გზით ფინანსური რესურსების ეფექტიანი მობილიზაციისა და რაციონალური გამოყენების პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებში ვლინდება.

ფისკალური პოლიტიკა – სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებების გამოყენება გადასახადების დაწესებაზე და მიღებული შემოსავლების ხარჯვაზე. სახელმწიფო შემოსავლის გადიდების მიზნით იმპორტზე წესდება ფისკალური ტარიფები.

ფიტოსანიტარული მოწმობა – ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მცენარეთა, ნაყოფისა და ბოსტნეულის დაუსნებოვნებასა და მოხმარებისათვის ვარგისიანობას, შეიცავს მონაცემებს დეზინფექციის ან სხვა სახის დამუშავების შესახებ.

ფიუზელაჟი – (ფრანგ. Fuselage – fuseqo - თითისტარი) საფრენი აპარატის კორპუსი, რომელიც ზიდავს ფრთებს.

ფრიდმენ მილთონ – ((1912-2006) Friedman Milton) ჩიკაგოს სკოლის მთავარი წარმომადგენელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში (1976). იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეკონომისტი იყო.

ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს 1967 წელს. მისი ძირითადი ნაშრომებია: „დაბეგვრა ინფლაციის ალაგმვის მიზნით (1943), „ნარკვევები პოზიტიურ ეკონომიკაში“ (1953), „სამომხმარებლო ფუნქციის თეორია“ (1957), „ფასების თეორია“ (1962), „შეერთებული შტატების მონეტარული ისტორია 1867-1960 წლები“ (1963), „ინფლაციის მიზეზები და შედეგები“ (1963) და სხვა.

ფრიდმანი ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის შემუშავების პიონერია, ხოლო მისმა „სამომხმარებლო ფუნქციის თეორიამ“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პერმანენტული შემოსავლის ჰიპოთეზის ფორმულირებაში. პოზიტიური ეკონომიკის მეთოდოლოგიური დასაბუთებით, უმუშევრობის ბუნებრივი დონის ფორმულირებით, ეკონომიკაში ფულადი ფაქტორების ახლებური გააზრებით ფრიდმანი დაუპირისპირდა კეინზიანელობას და მკაცრად გააკრიტიკა იგი სტაბილიზაციის პოლიტიკაში. მაშინ როდესაც კეინზიანური ეკონომიკა თავის გამარჯვებას ზეიმობდა, მ.ფრიდმანი და მონეტარული სკოლის სხვა წარმომადგენლები ანგრევდნენ მის საფუძვლებს.

ანა შვარცთან ერთად, ფრიდმანმა დაწერა „აშშ-ის ფულადი მიმოქცევის ისტორია“, რომლემაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფულის რაოდენობრივი თეორიის განვითარებისა და ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის კეინზიანამდელი რწმენის გამოცოცხლებაში. ფიშერის განტოლებაში ისეთი ცვლადების ჩართვით, როგორიცაა სიმდიდრე, სარგებლის განაკვეთი და მოსალოდნელი ინფლაციის ტემპი, ფრიდმანმა განავითარა მონეტარული მიმართულება მაკროეკონომიკაში. ფრიდმანის მიმდევართა შორის გამოირჩევიან მონეტარიზმის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან თ. შულცი, ჯ. სტიგლერი და სხვები.

მონეტარისტები ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ფულად სფეროს ანიჭებენ და მოითხოვენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ყველა

ფორმის მკვეთრ შეზღუდვას. ფრიდმანისა და საერთოდ „ჩიკაგოს სკოლის“ თეორიაზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა მაკროეკონომიკური რეგულირების შესუსტებასა და საბაზრო ძალების გაძლიერებას, სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირებას (სოციალური პროგრამების შეკვეცის, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების შემცირების, ხელფასის მინიმალური განაკვეთის „გაყინვის“ გზით), პროფკავშრების შესუსტებასა და ა.შ.

მილტონ ფრიდმანის მონეტარული თეორიის ნაკლოვანებები ბოლო პერიოდში აისახა მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში. გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად მაკროეკონომიკური რეგულირების მკვეთრ შეზღუდვასა და საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების უკანა პლანზე გადაწევაში ხედავენ. ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საკრედიტო რეგულირების შესუსტებამ, თვითდინებაზე მიშვებამ და წინა პლანზე ფულის ფენომენის წამოწევამ გზა გაუხსნა ვირტუალურ ეკონომიკას და მსოფლიოს ფინანსური კრიზისისკენ უბიძგა. ამაში ფრიდმანის მონეტარული პოლიტიკის ფართომასშტაბიანმა და უპირობო გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა. მსოფლიო ფინანსური კრიზისი მეტ-ნაკლები ზომით აისახება ნებისმიერ ქვეყანაში, რაც პირველყოვლისა, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებასა და ერთობლივი მოთხოვნის დაცემაში გამოიხატება. ასეთ სიტუაციაში სავსებით ლოგიკურად, წინა პლანზე ისევ კეინზიანური თეორიის პოსტულატებმა წამოიწია. ეს გამოიხატება ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გააქტიურებაში, სახელმწიფო სოციალური ხარჯების გაზრდისა და გადასახადების შემცირებაში, ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერასა და ა.შ.

ფრთასხმოლობასა და შასის – ფიუზელაჟში მოთავსებულია ეკიპაჟის, მგზავრების კაბინები, სატვირთი ნაკვეთურები, მოწყობილობები. ზოგიერთი კონსტრუქციის თვითმფრი-

ნავებში ფიუზელაჟს ცვლიან კუდის კუჭებით ან აერთებენ ფრთასთან.

ფიუჩერსი – არის ისეთი კონტრაქტი რომლის თანახმადაც ერთ-ერთი მხარე კისრულებს ვალდებულებას, გარიგების დადებიდან გარკვეული დროით მეორე მხარეს მიჰყიდოს ან იყიდოს მისგან დათქმული ფასით გარკვეული რაოდენობის ფასიანი ქაღალდები (ან საბირჟო საქონელი). ე.ი. ფიუჩერსული გარიგება ფასიანი ქაღალდების წინასწარი შესყიდვაა, ამიტომ მასთან დაკავშირებული რისკი საგრძნობლად მაღალია.

ფიუჩერსულ კონტრაქტებში – ჩვეულებრივ ათანხმებენ ორ ძირითად პირობას: ფასსა და პოზიციას ანუ მიწოდების ვადას. ამასთან არჩევანის სრული თავისუფლებაა ფასის მიმართ, ხოლო ვადებისთვის იგი ნაწილობრივ შეზღუდულია. აღნიშნულის გამო, ფიუჩერსულ ბირჟებს ზოგჯერ „ფასების“ ბაზარსაც უწოდებენ. კონტრაქტის დანარჩენი პირობები სტანდარტულია და მკაცრადაა რეგლამენტირებული ბირჟის წესებით.

ფიუჩერსული – არის გარიგებები, რომლებიც საბირჟო საქონლის (საქონლური ფიუჩერსები) ან ფულადი სახსრების (ფინანსური ფიუჩერსები) მოწოდებაზე სტანდარტულ კონტრაქტებთან მიმართებაში უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაცემას ითვალისწინებს.

ფიუჩერსული გარიგება – გარიგების სახე, საქონლის ან საფონდო ბირჟებზე, გულისხმობს საქონლის, ოქროს, ვალუტის ან სხვა ფასიანი ქაღალდები წინასწარ შესყიდვას. ფიუჩერსული გარიგების პირობა ითვალისწინებს საქონლის (ფასიანი ქაღალდის) რეალიზაციის კონტრაქტში მითითებული ფასით გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. გარიგების შესრულებამდე მყიდველს მცირე ოდენობის საგარანტიო თანხა შეაქვს. უფრო ხშირად, ფიუჩერსული გარიგება იდება საქონლის არა საბოლოოდ ყიდვისა და გაყიდვის მიზნით, არამედ ნაღდი საქონლით მომავალი გარიგების დაზღვე-

ვის (ხარჯების) ან საქონლის შემდგომი გაყიდვის ხარჯზე მოგების მიღების მიზნით. ფიუჩერსული ასევე შეიძლება ეწოდოს გარიგების ჯერ კიდევ დაუმზადებელი საქონლის ნიმუშების მიხედვით.

ფიუჩერსული გარიგებები – ხორციელდება ბირჟის მიერ დადგენილ ერთ სტანდარტულ სახეზე – ე.წ. საბაზისო სორტზე. ზოგიერთ შემთხვევაში, საბაზისო სორტის გარდა, ბირჟა ადგენს საბაზისო სორტის შემცვლელ რამდენიმე სხვა სორტს.

ფიუჩერსული გარიგების მიზანია – სპეკულაცია ან დაზღვევა (ჰეჯირება). ეს ოპერაციები მოიცავენ ურთიერთსაწინააღმდეგო გარიგებას: ფიუჩერსულს და ოფსეტურს.

ფიუჩერსული გარიგებით ხდება – არარსებული საქონლის ყიდვა ან გაყიდვა, ოფსეტურით-გაყიდვა ან ყიდვა. ოფსეტური ოპერაციით ხორციელდება „ფიუჩერსული კონტრაქტის ლიკვიდაცია“.

ფიუჩერსული ვადიანი გარიგებებია – რომლებიც ითვალისწინებენ ვალუტის ყიდვა-გაყიდვას კონტრაქტების დადების მომენტში დაფიქსირებული კურსით. ფიუჩერსული კონტრაქტები ფორვარდული სავალუტო კონტრაქტებია, მაგრამ მათ აქვთ შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: მათი ანულირების შესაძლებლობა, გარიგება ვალუტის ფიქსირებულ თანხაზე, ოფიციალურ ბირჟაზე გაყიდვა, ფულადი მარჟის გაცემა.

ფიუჩერსული კონტრაქტი – არის შეთანხმება ინსტრუმენტების (ან საქონლის) მომავალში ყიდვაზე ან გაყიდვაზე დათქმულ ვადაში და დღეს (კონტრაქტის გაფორმების დროს) დადგენილი ფასით.

ფიუჩერსული კონტრაქტები – კონტრაქტები განსაზღვრული სორტის მკაცრად ფიქსირებული საქონლის რაოდენობაზე. ვალდებულება ფიუჩერსულ კონტრაქტებზე სრულდება გადახდის ან ფასში სხვაობის მიღების გზით და არა რეალური საქონლის მიწოდებით. ფიუჩერსულ კონტრაქტში ფართოდ გამოიყენება იმ საქონელთა ბაზრებზე,

რომელთათვის დამახასიათებელია ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება და რომლებსაც აქვთ ვაჭრობის დიდი მოცულობა. მათ მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო და სანედლეულო საქონელი (დაახლოებით 50 დასახელების), **ფასიანი ქაღალდები,** ბანკის ანაბრები, **ჰიპოთეზა** და ა.შ. ფიუჩერსული კონტრაქტი საშუალებას იძლევა შეამციროს ფასების მკვეთრი მერყეობით გამოწვეული რისკი, უფრო პროგნოზირებადი გახადოს სამეურნეო საქმიანობა და ა.შ.

ფიუჩერსული კონტრაქტი – შეთანხმება, რომ საქონელი მიწოდებული, გაყიდული იქნას, ან მიღებულ იქნას მიწოდება (საქონლის ყიდვა განსაზღვრული რაოდენობით და ფასით, რომელიც დათქმულია კონტრაქტის დადების დროს, მომავალში, კონტრაქტში აღნიშნულ ვადაში). ფიუჩერსული კონტრაქტები გაიყიდება და იყიდება ბაზარზე, როგორც ფასიანი ქაღალდები.

ფიუჩერსული კონტრაქტი – წარმოადგენს შეთანხმებას ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფასეულობის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარკვეული დროის შემდეგ წინასწარ შეთანხმებული ფასით.

ფიუჩერსული კონტრაქტი (Futures) – ორი მხარის დამაკავშირებელი კანონიერი შეთანხმებაა, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე თანახმაა მიაწოდოს, მეორე კი მიიღოს გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის კონკრეტული საქონელი.

ფიუჩერსული ოპერაციები – სასწრაფო გარიგებები ბირჟებზე, რომლებიც წარმოადგენენ სანედლეულო საქონლის, ვალუტის, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის გარიგების დადების მომენტში დაფიქსირებული ფასით, ოპერაციის შესრულებით დროის განსაზღვრული მონაკვეთის შემდეგ (2-3 წლამდე).

ფიქსირება – (fixation) [ლათ.fixus მყარი, მტკიცე, უცვლელი], დაადგინა განსაზღვრული ფასის კურსის, კურსის განაკვეთის და ა.შ.

ფიქსირებული – (fixed), წინასწარ განსაზღვრული ფასი, კურსი (ასევე განაკვეთი და ა.შ.), რომელიც ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ იცვლება.

ფიქსირებული აქტივები – ძირითადად შეიძინება საწარმოს საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. ამიტომ მათი ღირებულება თანდათანობით ამორტიზაციის სახით რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაში ჩაირთვება. კორპორაციების უმეტესობა ძირითადი საშუალებების მუხლში მათ საწყის ღირებულებას ასახავენ დაგროვებული ამორტიზაციის გამოკლებით. აღნიშნული ძირითადი საშუალებების ყველაზე მეტად გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს - საწყისი ღირებულება მინუს დაგროვებული ამორტიზაცია (depreciation Less).

ფიქსირებული აქტივები (ძირითადი კაპიტალი) – ან უძრავი ქონება, ნაგებობა და მოწყობილობა – ბალანსის მუხლი, რომელიც აერთიანებს აქტივებს, რომლებიც არ არიან განკუთვნილი გასაყიდად და გამოიყენებიან მუდმივად საქონლის წარმოების პროცესში, სასაწყობოდ, საქონლის ტრანსპორტირებისათვის და ა.შ. მოიცავს მიწას, შენობებსა და ნაგებობებს, საწარმოო მანქანებმა და მოწყობილობებს, ავეჯს, ოფისის მოწყობას, სატრანსპორტო საშუალებებს. მოცემული აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებებით, ბალანსის თარიღზე ამორტიზაციის დარიცხვის გამოკლებით.

ფიქსირებული აქტივების – ნაღდ ფულად კონვერტირებას ერთ წელზე მეტი სჭირდება. აქტივების ჩამონათვალში ფიქსირებული აქტივებია ტექნიკური აღჭურვილობა და უძრავი ქონება. თუ ბიზნესი კრიზისს განიცდის და ნაღდი ფული გჭირდებათ, ფიქსირებული აქტივები ამ დროს სარგებელს ვერ მოგიტანთ. შეგიძლიათ მათი გამოყენება სესხისთვის გირაოს სახით.

ფიქსირებული გაცვლითი კურსი – (fixed exchange rate) სისტემა, რომლის დროსაც ეროვნული ვალუტის თანაფარდობა უცხოურთან ოფიციალურად დადგენილი და უცვლელია.

ფიქსირებული კაპიტალი – (fictitious capital) კაპიტალი (აქციები, ობლიგაციები და ა.შ.), რომელიც, რეალური კაპიტალისგან (ფულის ან მოწყობილობის) განსხვავებით, გულისხმობს მხოლოდ შემოსავლის მიღების უფლებას.

ფიქსირებულპერიოდიანი სისტემა – მატერიალურ-ტექნიკური მარაგების დონის პერიოდული აღდგენის მეთოდი (მაგალითად, ორ კვირაში ერთხელ). ამასთან, შეკვეთის მოცულობაზე დამოკიდებულია მარაგების მოცულობაზე შეკვეთის მომენტისათვის.

ფიშერ ირვინგ – (1867-1947) (Ficher Irving), გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი, რომელსაც შუმპეტერმა 1948 წელს უდიდესი მეცნიერ-ეკონომისტი უწოდა. მან სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო როგორც მათემატიკოსმა, შემდეგ გადაერთო ეკონომიკურ თეორიაზე. ის იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი ეკონომეტრიკული საზოგადოების შექმნისა და გახდა მისი პირველი პრეზიდენტი 1930 წელს. მისი ნაშრომები გამოირჩევა მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების გზების ძიებით. ფიშერის აზრით, **„თეორია სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გამოიყენებითი მნიშვნელობისაა“.** მან დიდი წვლილი შეიტანა კაპიტალის, სარგებლისა და ფულის თეორიების კვლევის სფეროში. ფიშერის ცნობილი ნაშრომებია: „კაპიტალისა და შემოსავლის ბუნება“ (1906), „ფულის მსყიდველობითი უნარი“ (1911), „სარგებლის თეორია“ (1930) და ა.შ.

ფიშერი აღიარებულია თანამედროვე ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად. მათემატიკური მეთოდის მოშველიებით იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფულის ღირებულება მისი რაოდენობის უკუპროპორციულია, ხოლო საქონლის ფასები მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირპროპორციული. მან გამოიკვლია ურთიერთდამოკიდებულება ფულის მასასა და საქონლის ფასების დონეს შორის. ცნობილია ფიშერის გაცვლის ფორმულა, რომელიც ასახავს საქონლის შესაძენად გადახ-

დილი ფულის რაოდენობასა და გაყიდული საქონლის ფასებს შორის ტოლობას:

$$MV=EPQ$$

სადაც M ფულის საშუალო რაოდენობაა, რომელიც მიმოიქცევა წლის განმავლობაში, V ფულის ბრუნვის საშუალო რიცხვი, E – ფულის ის რაოდენობა, რომელიც დახარჯულია მოცემულ საზოგადოებაში საქონლის შესაძენად განსაზღვრულ წელს, P ცალკეული საქონლის საშუალო გასაყიდი ფასი, Q – ყველა გაყიდული საქონლის რაოდენობა.

ფიშერის განტოლება – (Fisher equation), განტოლება, რომელიც გვიჩვენებს, რომ სარგებლის ნომინალური განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს სარგებლის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ტემპის ცვლილებების საფუძველზე. ფორმულით გამოისახება ასე: i=r+n, სადაც I-სარგებლის ნომინალური განაკვეთია, r-სარგებლის რეალური განაკვეთი, ხოლო n – ინფლაციის ტემპი. ატარებს ამერიკელი ეკონომისტის ირვინგ ფიშერის სახელს. ფიშერის განტოლების თანახმად, ინფლაციის ტემპის 1%-ით გაზრდა იწვევს სარგებლის ნომინალური განაკვეთის გადიდებას 1%-ით. ინფლაციის ტემპსა და სარგებლის ნომინალურ განაკვეთს შორის ამ თანაფარდობას ფიშერის ეფექტი ეწოდება.

ფიშერის ეფექტი – (Fisher's effect), სარგებლის ნომინალური განაკვეთის ცვლილება ინფლაციის ტემპის ცვლილების შესაბამისად, თანაფარდობით „ერთი ერთთან“.

ფიჩერსები – არის წინასწარი შეთანხმება ვალუტის ან საქონლის გაცვლის შესახებ წინასწარ დადგენილი ფასით. იგი ფორვარდის მსგავსია, ოღონდ საბირჟო კონტრაქტია. მის მოპირადპირე მხარედ ყოველთვის ბირჟა გამოდის.

ფლაგმანური გადამზიდველი – ავიასაწარმო, რომელსაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს ფლაგმანური ავიაგადამზიდველის წოდება რეგულარული და არარეგულარული რეისების შესრულებისათვის.

ფლობადი შემოსავალი – (disposable income), შემოსავალი, რომელსაც ფლობენ ეკონომიკურ სუბიექტები და იყენებენ ხარჯებისა და დანაზოგებისათვის. განისაზღვრება როგორც სხვაობა შემოსავლებსა და პირდაპირ გადასახადებს შორის.

ფობ-ი (Free on board-FOB "თავისუფლად გემზე"), საქონლის გაყიდვის საბაზისო პირობა საზღვაო გადაზიდვისას საერთაშორისო ვაჭრობაში, რომლის მიხედვითაც ექსპორტიორი ვალდებულია, თავისი ხარჯით დროულად გადაიტანოს საქონელი იმპორტიორის მიერ დაფრახტულ გემზე და გადასცეს მას კონოსამენტი. საქონლის დაზღვევა იმპორტიორის ვალდებულებებში შედის.

ფოდუციალური ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მის ხარჯზე (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად) მთელ რისკს კლიენტი იღებს თავის თავზე, ხოლო ბანკი - საკომისიოს).

ფოკუსირების საბაზრო სტრატეგია – ვარაუდობს ფირმის მიერ ბაზრის სეგმენტის ამორჩევას და მასზე ზემოთჩამოთვლილ სტრატეგიასთან ერთ-ერთის გამოყენებას, მისი შესაბამისი ფუნქციონალური საკადრო სტრატეგია იქნება ერთ-ერთის გამოყენებას. მისი შესაბამისი ფუნქციონალური საკადრო სტრატეგია იქნება ერთ-ერთი ზემოაღნიშნულთაგან.

ფოკუსირებული სტრატეგია – იმას გულისხმობს, რომ ფირმა თავის ყურადღებას თავს უყრის ვიწრო ბაზარზე ან ბაზრის სეგმენტზე (მყიდველთა გარკვეულ ჯგუფზე, გარკვეული სახის პროდუქციაზე ან მომსახურებაზე, გარკვეული რეგიონზე). თუკი პირველი ორი სტრატეგიის გამოყენება პირველ რიგში უნივერსალურ ბანკებს შეუძლიათ, ეს სტრატეგია მისაღებია სპეციალიზებული საკრედიტო-ფინანსური ინსტიტუტებისთვის (მაგალითად, მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევაზე ორიენტირე-

ბული ბანკებისთვის, მსხვილი გაერთიანების „ჯიბის“ ბანკისთვის ან „ელიტარული“ კერძო ბანკისთვის.

ფორეიტორი – ბანკი ან საფინანსო კომპანია, რომელიც ექსპორტიორისაგან ყიდულობს გადასაპირებელ თამასუქს გარკვეული დისკონტით.

ფორექსი – (ინგ. სავალუტო ოპერაცია) საერთაშორისო ელექტრონული, ბანკთშორისო გარე საბირჟო ბაზარი, კლიენტის დავალებით სახსრების შეცვლა, ერთი ვალუტის მეორეთი.

ფორვარდები – არის გარიგებები, რომლებიც საქონლებთან ან ფულად სახსრებთან მიმართებაში, რომელთაც მიწოდების განვადებული ვადები აქვთ დადგენილი, უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაცემას ითვალისწინებს.

ფორვარდი – (forward), ანგარიშსწორება სავალუტო ან სხვა სახის გარიგებებისას ხელშეკრულების დადებიდან 1-3 და მეტი თვის შემდეგ, ხელშეკრულების დადებისას დათქმულ (პროგნოზებზე დაფუძნებული) კურსის მიხედვით.

ფორვარდული ბაზარი – (forward market), ნებისმიერი გარიგება, დაკავშირებული საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან შეთანხმებული ფასით განსაზღვრული დროისთვის მომავალში.

ფორვარდული გარიგებები – თანამედროვე პირობებში ფორვარდული გარიგება, როგორც „ჰეჯირების“ მეთოდი, ყველაზე ფართოდ გამოიყენება. ასეთი გარიგებები სავარაუდო რისკის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დროს მათ გარკვეულ ვადაში მიწოდებას ითვალისწინებს (იგი, როგორც წესი, უნდა აღემატებოდეს ორ დღეს), ფორვარდული გარიგებების ყველაზე გავრცელებული ვადებია 1, 2, 6, თვე, შეიძლება რამდენიმე წელიც. ასეთი გარიგების არსი არის, ის რომ იმპორტიორს, რომელიც გადასახდელი ვალუტის კურსის გაზრდას ვარაუდობს, უფლება აქვს წინასწარ მიმართოს ბანკს და იყიდოს მისგან ეს ვალუტა მიწოდების ვარაუდით გადასახდელ თანხასთან მიახლოებული კურსით, და პირიქით, თუ იგი ვალუტის კურსის აპრეციაციას

ვარაუდობს, მაშინ იგი დამატებით დანახარჯებზე წავა, რაც, არსებითად ასეთი დაზღვევის საზღაურია.

ფორვარდული ოპერაციების მეშვეობით სავალუტო რისკის დაზღვევა ექსპორტიორმაც შეიძლება განახორციელოს, ოღონდ იგი საპირისპირო გარიგებას ასრულებს და, კურსის მოსალოდნელი დაცემის შემთხვევაში, ყიდის მის კუთვნილ თანხას ეროვნულ ან სხვა უცხოურ ვალუტაზე გარკვეული ვადით, რითაც იგი ბანკს თავის რისკს გადააკისრებს.

ფორვარდული ვალუტის ბაზარი – (forward exchange market), ბაზარი, სადაც უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხდება მოცემულ მომენტში არსებული კურსით, ხოლო ამ ვალუტის მიწოდება მომავალში დადგენილი თარიღის მიხედვით.

ფორვარდული კონტრაქტები – არის სავალუტო ან სხვა სახის გარიგება, რომელიც უნდა შესრულდეს შეთანხმების დადებიდან ორი სამუშაო დღის შემდეგ, გარიგების დროს არსებული ფასით.

ფორვარდული ოპერაციები – ბირჟის გარეშე სასწრაფო სავალუტო გარიგებები, რომლებიც სრულდება ბანკებისა და სამრეწველო-სასაქონლო კორპორაციების მიერ, ტელეფონით ან ტელექსით შეთანხმების საფუძველზე.

ფორვარდული ოფციონი (Option) – იმ ორ კონტრაგენტს შორის დადებული კონტრაქტია, რომელთგან ერთ-ერთი გამოიწვევს და ყიდის ოფციონს (ამ დროს იგი ოფციონის გამყიდველად გვევლინება), მეორე კი ყიდულობს მას და უფლებას იძენს, ოფციონის პირობით დათქმულ ვადაში ან იყიდოს ოფციონის გამყიდველისაგან გარკვეული თანხის საზღვარგარეთული ვალუტა ფიქსირებული ფასით (ყიდვაზე სავალუტო ოფციონის შემთხვევაში), ან მიყიდოს ოფციონის გამყიდველს გარკვეული თანხის ვალუტა (ოფციონი ყიდვაზე).

ფორვარდული სავალუტო გარიგება – გულისხმობს მომავალ პერიოდში ვალუტის გარკვეული რაოდენობის ყიდვას ან გაყიდვას კონტრაქტის დადებისას დაფიქსირებული კურსით.

ფორმალური კონკურენცია – ფირმა თავის მეტოქეებად სთვლის ყველა ფირმას, რომლებიც აწარმოებენ ერთი და იგივე მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ პროდუქციას (საქონლის). ამ შემთხვევაში VOLLWAGEN კონკურენციას გაუწევდა არა მარტო მსუბუქი ავტომობილების მწარმოებლებს, არამედ მოტოციკლების, ველოსიპედების და სატვირთო მანქანების მწარმოებლებსაც.

ფორმალური ჯგუფი – რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზაციული პროცესის მეშვეობით. ფორმალური ჯგუფის მიზანი, ჩვეულებრივ, არის რაიმე კონკრეტული დავალების შესრულება.

ფორმალური ორგანიზაცია – სწავლება ადამიანებისა, რომლებიც ერთობლივად ახდენენ ზოგიერთი პროგრამის ან მიზნის რეალიზაციას და მოქმედებენ განსაზღვრული პროცედურებისა და წესების საფუძველზე, მათ შორის დამოკიდებულებების მკაცრი რეგლამენტაციისა და მათი სპეციალურ მითითებებში ფიქსაციის პირობებში.

ფორმალური ორგანიზაციები – არსებული კანონმდებლობისა და დადგენილი რეგლამენტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა. არაფორმალური ორგანიზაციების საქმიანობა კი არსებულ კანონმდებლობას არ ექვემდებარება.

ფორს-მაჟორული გარემოებები – სტიქიურ უბედურებათა და წინასწარ განუჭვრეტი მოვლენების შედეგია, რომლებიც ჩავარდნებს იწვევენ საგადამხდელო სისტემებში.

ფორს-მაჟორული მდგომარეობა – სტიქიური უბედურებათა სხვადასხვა სახეები (მიწისძვრები, წყალდიდობები, ვულკანების ამოფრქვევა, ტაიფუნები და სხვ.) ხანძრები, სახელმწიფო და სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები, სამხედრო მოქმედებები, სამოქალაქო მღელვარებები, გაფიცვები, ბანდიტური და პირადული მოქმედებები და სხვა.

ფორფეიტინგ – (forfeiting), საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის) დაკრედიტება მსხვილი ბანკების ან საფინანსო კომპანიების მიერ. ექსპორტიორისაგან გასაპიარებელი თამასუქის

ან სხვა საგადასახადო ვალდებულებების ყიდვის გზით რეგრესის უფლების გარეშე. ე.ი. თამასუქის მყიდველი თავისთავზე იღებს საკრედიტო რისკს (გადაუხდელობის მთელ რისკს) და არ შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს თამასუქის ადრინდელ მფლობელს.

ფორფეიტინგი – (ფრანგული გამოთქმით - oforfait) 1. კრედიტორისაგან იმ ვალის შეძენა მისთვის დაუბრუნებლად, რომელიც მიმოქცევადი დოკუმენტით – ჩვეულებრივი ან გადასაყვანი თამასუქითაა გამოხატული. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალის მყიდველი (ფერფოიტერი) კისრულობს თავის იმ უფლებაზე (ფორფეიტინგის) ვალდებულებას, რომ მას შეეძლოს კრედიტორისთვის რეგრესის მოთხოვნის წარდგენა მოვალისგან დაკმაყოფილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში. ბუნებრივი, რომ მიმოქცევადი ვალდებულებების შეძენა ფასჩამოკლებით მიმდინარეობს; 2. ფორფეიტირება საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსებაში არსებული ერთ-ერთი ალტერნატიული მიდგომაა. იგი გულისხმობს ფორფეიტერის (კომერციული ბანკის ან სპეციალიზებული საფინანსო კომპანიის) მიერ საექსპორტო მოთხოვნების შეძენას იმ პირობით, რომ ექსპორტიორზე გადაუხდელობის შემთხვევაში (ფორფეიტეიტისტზე) რეგრესიის უფლება გამორიცხულია; 3. ფორფეიტინგის განვითრების უმნიშნელოვანესი წინამძღვარია საერთაშორისო ინტეგრაციის გაძლიერება, ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, საექსპორტო ვაჭრობაზე სახელმწიფო შეზღუდვების მოხსნა, აგრეთვე, იმ რისკების ზრდა, რომლებიც ექსპორტიორს ემუქრება.

ფორფეიტინგი – ეწოდება ექსპორტიორის დაკრედიტების იმპორტიორის მიერ აქცეპტირებული თამასუქის ყიდვის გზით.

ფორფეიტინგული კომპანიები – ექსპორტიორ ფირმებს კომერციული ბანკები უწევენ ისეთი ფორმის ირიბ დაკრედიტებას, როგორიცაა ფორფეიტინგი (ფორფეიტირება) ესაა ექსპორტის დაკრედიტება კომერციული თამასუქებისა და

საგარეო-სავაჭრო გარიგებების დროს წარმოქმნილი სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით მყიდველზე მათი გადაყვანის გარეშე.

ფორფეიტინგში – საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის) დაკრედიტება მსხვილი ბანკების ან საფინანსო კომპანიების მიერ ექსპორტიორისაგან გასაპიარებელი თამასუქის ან სხვა საგადასახადო ვალდებულებების გზით რეგრესის უფლების გარეშე. ე.ი. თამასუქის მყიდველი თავის თავზე იღებს საკრედიტო რისკს (გადაუხდელობის მთელ რისკს) და არ შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს თამასუქის ადრინდელ მფლობელს.

ფორფეიტირება – (მთლიანად საერთო თანხით) საგარეო სავაჭრო გარიგებებზე ექსპორტის დაკრედიტება გამყიდველზე მობრუნების გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო მოთხოვნების ყიდვის გზით; კომერციული კრედიტის საბანკო ტრანსფორმაციის ფორმა.

ფორფეიტირება – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტიტუტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟაზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით. გარიგების შესრულებამდე გარანტიის სახით შეიტანება გარკვეული თანხა.

ფორფეიტორი – (forfeitor), ბანკი ან საფინანსო კომპანია, რომელიც ექსპორტიორისგან ყიდულობს გადასაბირებელ თამასუქს გარკვეული დისკონტით.

ფორფეტირება – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით. ამ ოპერაციის დროს გარანტად გამოდის იმპორტიორი ქვეყნის ბანკი.

ფრა – კონტრაქტი ბანკსა და ფირმას შორის, რომელიც განსაზღვრული ოდენობის თანხაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცვლელი პროცენტული განაკვეთის გარანტიას იძლევა.

ფრანგული სტილი – ფრანგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წინასწარ განხილვას. მოლაპარაკებებს, ამიტომ ცდილობენ საკითხების წინასწარ განხილვას. მოლაპარაკებებზე ცდილობენ ოფიციალურ ენად ფრანგულის გამოყენებას. თავიანთ არგუმენტაციაში ისინი ტრადიციულად ორიენტირებულნი არიან ლოგიკურ მტკიცებებზე და იყენებენ „ზოგად პრინციპებს“, მოლაპარაკებებს აწარმოებენ საკმაოდ მკაცრად და, როგორც წესი, არ გააჩნიათ „შემონახული პოზიცია“.

ფრანკო – (Free, franco)[იტალ. franco], საქონლის მიწოდების საბაზისო პირობა ვაჭრობაში. ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველი მყიდველს ათავისუფლებს ტრანსპორტირების ხარჯებისაგან გზის გარკვეულ მონაკვეთზე.

ფრანშზინგი – საქმიანობის ხერხია, რომელიც ითვალისწინებს ფრანშზერის (გამყიდველის) მიერ ფრანშიზისათვის (მყიდველისათვის) სავაჭრო მარკის გამოყენების უფლების გადაცემას. ფაქტობრივად ფრანშიზინგი ლიცენზირების სპეციალური ფორმაა, რომლის დროსაც ლიცენზიანტი ფუნქციონირებს ლიცენზიარის საფირმო სახელწოდებით.

ფრანშიზა – (franchise) [ფრანგ. Franchise შეღავათი, უპირატესობა] სადაზღვევო ხელშეკრულების პირობა. ითვალისწინებს დაზღვევის გათავისუფლებას ზარალის ანაზღაურებისგან, რომელიც განსაზღვრულ სიდიდეს არ აღემატება.

ფრანშიზი – ზარალის ნაწილი, რომელიც არ ექვემდებარება გადახდას დამზღვევის მიერ. ფრანშიზის გამოთვლა წარმოებს მთელი ტვირთის ან მისი ნაწილის სადაზღვევო თანხიდან.

ფრანშიზი ნატურალური – მაგალითად 200$-ზე ზევით ღირებულება, ესაა უპირობო ფრანშიზის მაგალითი.

ფრანშიზი პირობითი – პრეტენზიის განცხადება არ წარმოებს, თუ ზარალის სიდიდე არ აღწევს ფრანშიზის სიდიდეს.

ფრანშიზი პროცენტული – მაგალითად 1% ავტომობილის ღირებულებიდან.

ფრანშიზი უპირობო – სადაზღვევო ანაზღაურებიდან ყოველ შემთხვევაში გამოქვითული ფრანშიზია.

ფრანშიზის ხელშეკრულება – ითვალისწინებს ფრანშიზის გამცემის ტექნოლოგიით წარმოებული ან სავაჭრო მარკით დაცული ტურისტული მომსახურების გასაღების უფლებისა და პრივილეგიების ფრანშიზორზე გადაცემას.

ფრანჩაიზერი – (franchisor) მსხვილი მეთაური კომპანია, რომელიც მცირე საწარმოს – ფირმა – ოპერატორს აძლევს ლიცენზიას საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დროს საკუთარი სავაჭრო მარკებით სარგებლობისათვის.

ფრანჩაიზი – (ინგ. პრივილეგია) - დიდი და მცირე ბიზნესის ინტეგრაციის ფორმა. პრივილეგიების მინიჭების სისტემა. მაგ. მსხვილი ფირმა მცირე დამოუკიდებელ საწარმოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებით აღჭურავს. მას აძლევს უფლებას პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის დროს ისარგებლოს მსხვილი ფირმის სავაჭრო მარკებით და სხვა.

ფრანჩაიზინგი – გარიგების სპეციალური სახეობაა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების (ნოუ-ჰაუ), ერთი იურიდიული პირის (ფრანჩაიზერი) სასაქონლო და სავაჭრო მარკებისა და სხვა იურიდიული პირების, ან იურიდიული პირის შექმნის გარეშე მეწარმეების (ფრანჩაიზერები) საქონლის წარმოების სახსრების კომპლექსების გამოყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ასევე გაცვლის სანაცვლოდ ფრანჩაიზინგის შესახებ ხელშეკრულების ჩარჩოებში საქმიანობიდან შემოსავლის ნაწილზე, აგრეთვე, შესაძლოა, უკვე ფრანჩაიზინგის ობიექტის მიღების მომენტში ღირებულების ნაწილზე.

ფრანჩაიზინგი – (franchise), სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემა, რომლის საფუძველზეც მსხვილი ცნობილი

ფირმა განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურავს მცირე, დამოუკიდებლად მოქმედ ან ახალ შექმნილ საწარმოს, რაც კონკრეტულ გამოხატულებას ჰპოვებს გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დროს სავაჭრო მარკებით სარგებლობის უფლების მინიჭებაში. სახელშეკრულებო ურთიერთობა მათ შორის აგებულია შემდეგნაირად: მეთაური კომპანია საწარმოო ოპერატორისაგან მოითხოვს ერთდროულ თავდაპირველ გასამრჯელოს ბაზარზე მისი სახელით მოქმედების უფლებისათვის. რაც შეეხება კაპიტალდაბანდებას, იგი ხორციელდება როგორც მეთაური კომპანიის მიერ ძირითადი კაპიტალის ფირმა-ოპერატორისათვის არენდით გადაცემის გზით, ისე ამ უკანასკნელის საკუთარი ან ნასესხები საშუალებით. მეთაურ კომპანიას შეუძლია წვრილ მეწარმეს მისცეს კრედიტი 2-3 წლის ვადით, აიღოს მისთვის სესხი ბანკში ან იყოს მისი თავდები სესხის აღების დროს. გარდა ამისა ფრანჩაიზერი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესულ საწარმოებს უწევს საბუღალტრო და სტატისტიკურ დახმარებას. აძლევს რეკომენდაციებს სავაჭრო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით, ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებას და სხვ. თავის მხრივ, ფირმა-ოპერატორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხისათვის, სავაჭრო მარკის რეპუტაციისათვის და ა.შ.

ფრანჩაიზინგი – წარმოდგება ფრანგული სიტყვისაგან „ფრანშიზ“ (franshise) და ნიშნავს შეღვათს, უპირატესობას.

ფრანჩაიზინგის ბიზნესის ორგანიზაციის – ისეთ ტიპს წარმოადგენს, რომელიც ახალი ტექნოლოგიების (ნოუ-ჰაუ) და (ან) სავაჭრო მარკის გამოყენებით შექმნილი მოწყობილობის ბაზაზე ერთნაირი საწარმოების შექმნას ითვალისწინებს. ფრანჩაიზინგის ზოგიერთი სახეობები საჭირო მოწყობილობების არენდაში გადაცემას ითვალის-

წინებს. ერთნაერი საწარმოების სხვა ქსელს ფრანჩიზს უწოდებენ.

ფრახტი – 1. ქირა, რომელსაც იღებს სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის. ფრახტს ჩვეულებრივ იხდის დამფრახტველი, ე.ი. პირი, რომელმაც დადო ხელშეკრულება სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთან, მეფრახტესთან. მეფრახტე კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვა ერთი პუნქტიდან მეორეში. 2. დაფრახტული (დაქირავებული) გემზე გადასაზიდი ტვირთი, აგრეთვე თვით ასეთი გადაზიდვა.

ფრახტი – ხელშეკრულებით დადგენილი გადასახდელი, რომელიც ტვირთმფლობელმა ვალდებულია გადაიხადოს გემთმფლობელს დანიშნულებით გემზე ტვირთის გადაზიდვისთვის. ფრახტის განაკვეთი დგინდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სატრამპო ნაოსნობაში, ანდა განისაზღვრება ხაზობრივი ტარიფებით სახაზო ნაოსნობაში. აქვე შედის გადასახადი გემის დაქირავებისათვის.

ფრახტის ავანსი – ფრახტთან დაკავშირებული წინასწარი გადასახადი. თუ საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების პირობებით ფრახტის გადახდა წარმოებს დანიშნულების პორტში, ფრახტის ავანსი შეიძლება გაცემულ იქნას კაპიტანზე დატვირთვის პორტში გემის ხარჯების ანაზღაურებამდე კუთვნილი ფრახტის სიდიდის საერთო თანხის 1/3 ფარგლებში. ფრახტის ავანსის თანხა იწერება კონოსამენტში და დაიკავება ფრახტიდან, რომელიც ეკუთვნის გადამზიდავს დანიშნულების პორტში. თუ ტვირთზე გაცემულია რამოდენიმე კონოსამენტი, მაშინ ფრახტის ავანსი ნაწილდება თითოეულ კონოსამენტზე ფრახტის თანხის პროპორციულად.

ფრახტის იდეა – ფრახტის სამაგალითო სიდიდე, რომელიც ჩვეულებრივ შეესაბამება საბაზრო განაკვეთს. იგი გამოიყენება ორიენტირის სახით გემების დაფრახტვის დროს.

ფრახტის მანიფესტი – შეიცავს ტვირთის მანიფესტში მითითებულ მონაცემებს, აგრეთვე მონაცემებს, რომლებიც ეხება გადაზიდვის ანაზღაურებას, დანახარჯებს და ა.შ.

ფრახტის მფლობელი – გადამზიდავი, საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების მონაწილე, რომელიც თავის თავზე იღებს ვალდებულებას გადაზიდო ტვირთი დანიშნულების პორტში დადგენილი საფასურის სანაცვლოდ.

ფრენა – საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია ერთ ან რამდენიმე ფრენის ეტაპზე რეისის ნომრის შეცვლის გარეშე.

ფრენის გეგმა – საჰაერო ხომალდის დასახულ ფრენაზე ან მის ნაწილზე საჰაერო მოძრაობის მომსახურების ორგანოსათვის წარდგენილი სათანადო ცნობები.

ფრენის ეტაპი – საჰაერო ხომალდის ფრენა, აფრენის მომენტიდან დაჯდომის მომენტამდე. ფრენის ეტაპი კლასიფიცირდება საერთაშორისო და შიდა ფრენებად.

ფრენის ვარგისიანობის სერტიფიკატი – საბუთი, რომელიც ადასტურებს საჰაერო ხომალდის ფრენისათვის ვარგისიანობას.

ფრენის თვალსაზრისით – ფირმის ღირებულება არის მისი მომავალში მისაღები შემოსავლების მიმდინარე ღირებულება.

ფრენის საერთაშორისო ეტაპი – ფრენის ეტაპი ერთი ან ორივე საბოლოო პუნქტით, რომლებიც მდებარეობენ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც მოცემული ავიაკომპანია არაა რეგისტრირებული.

ფრენის სახიფათო არე – სახელმწიფოს ტერიტორიის ან ტერიტორიული წყლების თავზე არსებული დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც დროის გარკვეულ მონაკვეთებში შეიძლება განხორციელდეს საჰაერო ხომალდების ფრენისათვის ქმედება.

ფრენის უსაფრთხოება – გულისხმობს ფრენის უსაფრთხოების სახელმძღვანელო საბუთების მოთხოვნების შესაბამისად ფრენის უზრუნველყოფას, რაც გამოიხატება იმ მაქსიმალური გარანტიის მიცემაში, რომ არ მოხდება საფრენოსნო

შემთხვევებში, ზიანი არ მიადგებათ მგზავრებსა და კომერციულ ტვირთს.

ფრენის შეზღუდული არე – სახელმწიფო ტერიტორიის ან ტერიტორიული წყლების თავზე არსებული დადგენილი ზონის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც, საჰაერო ხომალდების ფრენა შეზღუდულია გარკვეული პირობებით.

ფრენის შიგა ეტაპი – ფრენის შიგა ეტაპში ჩართულია ფრენის ყველა ის ეტაპები, რომლებიც ხორციელდება აღნიშნულ სახელმწიფოებში რეგისტრირებული ავიაკომპანიების მიერ, იმ პუნქტებს შორის, რომლებიც მდებარეობენ სახელმწიფოს ნაციონალურ საზღვრებში.

ფრენისათვის აკრძალული არე – საქართველოს ტერიტორიაზე ან ტერიტორიული წყლების თავზე არსებული დადგენილი ზომის საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც საჰაერო ხომალდის ფრენა აკრძალულია.

ფრენშაიზინგი – მსხვილი და მცირე ფირმების სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემა ბიზნესის სფეროში. ხშირად ხშირი დამამზადებელი საწარმო (ფირმა) – ფრენშაიზერი შეუთანხმდება მცირე (წვრილ) ფირმას (ფრენშაიზი), რომელიც კისრულობს ფრენშაიზერის საქონლის გაყიდვის ვალდებულებას, ან მისთვის მომსახურების გაწევას.

ფრენჩეიზინგი – (ფრანგ. Franshare – პრივილეგია შეღავათი) მარკეტინგის ფორმაა, როდესაც დედა ავიაკომპანია შვილობილ ავიაკომპანიას აძლევს ბიზნესის წარმოების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში და გარკვეულ ადგილზე. ე.ი. საქმიანი ურთიერთობა მყარდება ფრენშეიზერსა (დედა საზოგადოებასა) და ფრენჩეიზს შორის (შვილობილ საზოგადოებას) შორის. ფრენჩეიზერი ფრენჩეიზს პირველ რიგში აძლევს საფირმო სახელწოდებას, სავაჭრო მარკას, ბაზარზე შეღწევის მარკეტინგულ სტრატეგიას, ფრენჩეიზერის გაყიდვის ფართო ქსელში ჩართვის უფლებას.

ფრენჩეიზინგი ავიაციაში მარტივად გავრცელებული ფორმაა. ფრენჩეიზერი ხდება უფრო მსხვილი გადამზიდველები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო მიმართულებაზე, ხოლო ფრენჩეიზი ქვეყნის რეგიონალური ავიაკომპანიები, რომლებიც ემსახურებიან აშშ-ს ტერიტორიას.

ფრენჩაიზინგი – ავიაციაში ნაკლებად გავრცელებული ფორმაა. ავიაციაში ფრანშიზინგის პიონერია აშშ, სადაც 20 წლის უკან ამოქმედდა ეს ფორმა. ფრანშაიზერი ხდება უფრო მსხვილი გადამზიდველები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო მიმართულებებზე, ხოლო ფრენჩეიზი ქვეყნის რეგიონალური ავიაკომპანიები, რომლებიც ემსახურებიან აშშ-ს ტერიტორიას. ევროპაში ამერიკული ესტაფეტა მიიღო „ბრიტიშ ეარვეის"-მა, რომლის ფრენჩეიზი 1993 წელს გახდა რეგიონალური ავიაკომპანია „სიტი ფლაიერი" დღევანდელი მდგომარეობით „ბრიტიშ ეარვეის"-ის შემადგენლობაში 9 ფრენჩეიზია.

ფრირაიდერის პრობლემა – (free rider's problem), პრობლემა, რომელიც უკავშირდება შემდეგ სიტუაციას: ხშირად ადამიანი სარგებლობს ისეთი პროდუქტით, რომლის წარმოებისთვისაც მას არავითარი ხარჯი არ გაუღია. ეს პროდუქტი მიეკუთვნება „წმინდა საზოგადოებრივ საქონელს", რომელიც ყველა მომხმარებლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. მაგალითად, შუქნიშანი, რომელიც არეგულირებს მგზავრებისა და მანქანების მოძრაობას, მწერების წინააღმდეგ მიღებული ზომები და ა.შ. ყოველივე ამით საზოგადოებას სახელმწიფო უზრუნველყოფს, დაფინანსება კი ხდება გადასახადების აკრეფის გზით.

ფრიტრედერობა – (free trade), თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა, ითვალისწინებს საბაჟო შეზღუდვების გაუქმებასა და თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლას, საპირისპიროა – პროტექციონიზმი.

ფრიქციონული უმუშევრობა – არის მოკლევადიანი (ერთ წლამდე) საფინანსო ინსტრუმენტების ბაზარი.

ფრიქციული უმუშევრობა – (frictional unemployment), დროებითი ნებაყოფილობითი დაუსაქმებლობა, რაც დაკავშირებულია ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლასთან, ან კიდევ, დროებით სამუშაოდან დათხოვნასთან.

ტრადიციულად განიხილება როგორც „უმუშევრობა სამუშაოს ძებნის დროს“ და იმ ვაკანსიების ტოლია, რომელიც არსებობს შრომის ბაზარზე მოცემულ პროფესიებში. იმისათვის, რომ მუშაკმა „იპოვოს“ თავისი სამუშაო, საჭიროა დრო, ამიტომ უმუშევრობა და შეუვსებელი ვაკანსიები ყოველთვის არსებობს ერთდროულად. უკანასკნელ პერიოდში ფრიქციული უმუშევრობის ფორმებად განიხილება სპეკულაციური და მოლოდინის უმუშევრობა.

სპეკულაციური უმუშევრობა წარმოიქმნება რეალური ხელფასის დროებითი დაცემის შედეგად. ასეთ სიტუაციებში ზოგიერთი მუშაკი, ელოდება რა შრომის ანაზღაურების უფრო მაღალ განაკვეთს, ამცირებს თავის სამუშაო დროის მიწოდებას. ეს მოვლენა განიხილება როგორც პასუხი რეალური ხელფასის დროებით შემცირებაზე. მოლოდინის უმუშევრობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სამუშაოს ხასიათი ან შრომის ხელშეკრულების ფორმა აიძულებს მუშაკს უარი თქვას შემოთავაზებულ სამუშაოზე, სხვა უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების გამო, რომელზედაც მოწყობა მას შეუძლია უფრო მოგვიანებით.

ფრიქციული უმუშევრობა – არის ყველაზე გავრცელებული უმუშევრობის ტიპი. ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი არსებობს ადამიანთა ნაკადები, რომლებიც იცვლიან სამუშაო ადგილს, კონტრაქტი აღებული სამუშაოს ან სასწავლებლის დამთავრებისას ეძებენ სამუშაოს.

ფსიქოანალიზი – გამოიყენება ტესტირების პროცესში ადამიანური რესურსების შესაფასებლად.

ფსიქოგრაფია – მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის და ახდენს მომხმარებელთა სტილის კლასიფიცირებას. ფსიქოგრაფიული სეგმენტირებისას მყიდველებს ყოფენ ჯგუფებად

ცხოვრების წესისა და პიროვნების თავისებურებების მიხედვით.

ფსიქოლოგიური თეორიები – ზოგადი ფსიქოლოგიის დასკვნებში მნიშვნელოვანია ადამიანის ბუნების, ხასიათის, მენტალიტეტის და სხვათა გასაგებად და გასათვალისწინებლად, ქცევის ფსიქოლოგიური თეორიები მოტივაციის თეორიის მეთოდოლოგიური საფუძველია.

ფსიქოფიზიოლოგიური ადაპტაცია – გულისხმობს ყველა იმ პირობების ერთობლიობის ათვისებას, რომლებიც შრომის პროცესში ფსიქოფიზიოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ მომუშავეებზე. ასეთი პირობებით: ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვა, შრომის მონოტონურობის დონე, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შრომის რიტმი, სამუშაო ადგილის მოხერხებულობა, ზემოქმედების გარე ფაქტორები (ხმაური, განათება, ვიბრაცია და ა.შ.).

ფულად საკრედიტო პოლიტიკა – 1. იხ ლექსიკონი 2. ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული კურსი და განხორციელებული ღონისძიებები ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სფეროში, მიმართული ეკონომიკის მყარი, ეფექტიანი უზრუნველყოფისაკენ, ფულადი სისტემის, სათანადო მდგომარეობაში არსებობისაკენ. ასეთი პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: ოპერაციები ღია ბაზარზე, განაღდების პოლიტიკა, აუცილებელი მინიმალური რეზერვების არსებობა.

ფულად საკრედიტო პოლიტიკა – ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული ნაწილია. იგი წარმოადგენს ნაღდი ფულის მიმოქცევაში გაშვებისა და მისი შეუფერხებელი მიმოქცევის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების მიერ დასახული და განხორციელებული ღონისძიებათა სისტემას საკრედიტო-რესურსების მობილიზაცია-გამოყენების მიმართ. საქართველოს ეროვნული ბანკი მთლიანად პასუხისმგებელია ფულად საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისთვის, რომლის ძრითადი მიზანია ეროვნული ეკონომიკისადმი ფინან-

სური მხარდაჭერა წარმოების ზრდის ტემპების მიღწევა, სრული დასაქმებისა და ინფლაციის მინიმალური დონის შენარჩუნება, ფასების სტაბილურობა.

ფულად საშუალებებს (სახსრებს) მიეკუთვნება – ნაღდი ფული და ფულის საბაჟო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნული ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს ყველაზე მაღალლიკვიდურ ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

ფულადი აგრეგატი – (monetary aggregate), ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამორიცხავს ფულადი მასის მოცულობასა და სტრუქტურას. იხ ფული M1; M2; M3; M4.

ფულადი აქტივი – არის ფლობილი ფული და ფიქსირებული ან განსაზღვრული ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივები. ამდენად, მოთხოვნა არის განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივი.

ფულადი ბაზა – (monetary base, high – powered money), ნაღდი ფულის რაოდენობა მიმოქცევაში, რომელიც მოიცავს საწარმოთა სალაროებში არსებულ ფულს პლუს კომერციული ბანკების რეზერვები ცენტრალურ ბანკში.

ფულადი ბაზის სერთიფიკატები – ბანკის მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დეპოზიტური სერთიფიკატების ნაირსახეობა დანაზოგების მოსაზიდად. მათზე პროცენტები როგორც წესი მაღალია, ვიდრე სხვა სახის დეპოზიტურ სერთიფიკატებზე. შეუძლია მიაღწიოს საშუალო დისკონტურ (სააღრიცხვო) განაკვეთს ექვსთვიანი სახაზინო თამასუქებისთვის.

ფულადი ბაზარი მქონე კომპონენტს – ფულზე მოთხოვნა წარმოადგენს. ფულზე მოთხოვნის ანალიზისათვის ერთმანეთისგან განსხვავებული თეორიული მიდგომები გამოიყენება.

ფულადი ბაზრის დეპოზიტური ანგარიში – ანგარიში, რომელსაც ბანკები და შემნახველი დაწესებულებები,

ხსნიან საინვესტიციო ფონდების აქციების მხრიდან კონკურენციის საპასუხოდ. ასეთ ანგარიშზე ბანკები და შემნახველი დაწესებულებები უფრო მაღალ სარგებელს გასცემენ, ვიდრე მიმდინარე ანგარიშებზე.

ფულადი ბაზრის ერთ-ერთი კომპონენტს – ფულის მიწოდება წარმოადგენს. მიწოდების ქვეშ იგულისხმება მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა, ანუ საგადასახადო საშუალებების ერთობლიობა, რომელიც მოცემული მომენტისათვის მიმოქცევა ქვეყანაში.

ფულადი გაზომვის კონცეფცია – (money measurement concept), მთლიანი ბუღალტრული აღრიცხვა ერთ სახეობის ფულად გამოსახულებაში უნდა ხორციელდებოდეს.

ფულადი ვალდებულებები – არის ვალი, რომელიც გმართებს კომპანიის გარეთ. ეს შეიძლება იყოს კერძო პირი, სხვა ბიზნესი, ბანკი და ასე შემდეგ.

ფულადი მასა მიმოქცევაში – განსაზღვრულ თარიღსა და განსაზღვრული პერიოდისათვის ფულის მოძრაობის რაოდენობრივი დახასიათება დამოკიდებულია ფულის ბრუნვის სიჩქარეზე.

ფულადი მულტიპლიკატორი – (money multiplier), ერთობლივი ფულადი მასის თანაფარდობა საბანკო სისტემის ერთობლივ რეზერვებთან. განსაზღვრავს ორი მაჩვენებელი: 1. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შეფარდება დეპოზიტების ჯამთან; 2. შეჯამებული საბანკო რეზერვების შეფარდება დეპოზიტების ჯამთან.

ფულადი ნაკადების მართვა – ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. კეინზის აზრით, ფულადი აქტივების მნიშვნელობა სამი ძირითადი მიზეზითაა განპირობებული: 1. რუტინულობა – ფულადი საშუალებები გამოიყენება რა მიმდინარე ოპერაციების შესრულებისთვის, შემოსულ და გასულ ფულად ნაკადებს შორის კი ყოველთვის არსებობს დროითი წყვეტები, ამიტომ, საწარმო იძულებულია ანგარიშზე ყოველთვის ჰქონდეს ნაღდი ფული; 2. სიფრთხილე – ვინაიდან საწარმოს

საქმიანობა წინასწარ მკაცრად განსაზღვრულ ხასიათს ატარებს, ამიტომ ფული გაუთვალისწინებელი გადასახადისთვისაა საჭირო. 3. სპეკულირება – ფულადი საშუალებები სპეკულაციური თვალსაზრისითაც საჭირო, რადგან მუდმივად არსებობს ალბათობა იმისა, რომ მოულოდნელად ხელსაყრელი ინვესტიცირების შესაძლებლობა წარმოშვას. ამასთან, რაიმე საინვესტიციო პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით ყოველთვის ადგილი აქვს ფულად დანაკარგებს. ამიტომ, ნებისმიერმა საწარმომ ორი ურთიერთგამომრიცხავი მოვლენა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს: მიმდინარე გადახდისუნარიანობის შენარჩუნება და დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობა თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირებიდან.

ფულადი ნაკადი – კი არის ფულის ის შემოსავალი (გასავალი), რომელიც მიიღება საწარმოს საოპერაციო ბიზნესის მომგებიანობა, საინვესტიციო (მომგებიანი აქტივების ბრუნვადობა) და ფინანსური საქმიანობიდან. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ანალიზის ძირითადი ფუნაციაა კომპანიის კრედიტუნარიანობის შეფასებაში აისახება.

ფულადი პოლიტიკა – (monetary policy), სახელმწიფოს მიერ ფულის ერთობლივ მიწოდებაში ცვლილებების გატარების პოლიტიკა. ფულის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე „მგრძნობიარე“ ელემენტის, მიმოქცევის ეფექტიან რეგულირებასა და ბაზრის ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შექმნას ემსახურება ქვეყნის ფულადი პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, იგი ეკონომიკური კონიუნქტურის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის სწორად წარმართვით ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში შესაძლებელის შემდეგი ძირითადი ამოცანის გადაჭრა: ფულზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, ფულის ბაზარზე ფულის წონასწორობის შენარჩუნება, მიმოქცევის სფეროში ფულადი მასის რეგულირება და კონტროლი, ეროვნული ვალუტის

კურსისა და ეკონომიკური ციკლის რეგულირება, ინფლაციის დონის მინიმიზაცია, ინვესტირების სტიმულირება და ა.შ. ამ ამოცანების რეალიზაციის გარეშე ფულადი პოლიტიკა მოწყვეტილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსა და ეკონომიკის დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა.

ფულადი რეფორმა – (monetary reform) სახელმწიფო საკანონმდებლო აქტი, მიმართული ქვეყნის ფულადი სისტემის განმტკიცებისაკენ. ფულადი რეფორმის საფუძველზე მიმოქცევიდან იღებენ გაუფასურებულ ქაღალდის ფულს, გამოიცემა ახალი, ანუ არსებული ფულის ნიშნები იცვლება ახალი ფულის ნიშნით, მისი ნომინალური ღირებულების შენარჩუნებით, ხორციელდება ერთი ფულადი სისტემის მეორეზე გადასვლა და ა.შ.

ფულადი საშუალებები – საწარმოსათვის გადახდისა და ყოველგვარი ანგარიშწორების საშუალებაა. ისინი მუდმივ ბრუნვაშია. ფულადი საშუალებების შემადგენლობაში აისახება ნაღდი ფულადი ნიშნები, მონეტები და ბანკნოტები საწარმოს სალაროში, ფული საწარმოს საბანკო ანგარიშებზე, ფულის ექვივალენტები და ყოველივე ის, რასაც ბანკი მიიღებს განძის სახით.

ფულადი სახსრების ბაზარი – ფინანსური ბაზარი ნაწილი, სადაც ხორციელდება ძირითადად მოკლევადიანი სადეპოზიტო – სასესხო ოპერაციები, იგი პირველყოვლისა ემსახურება ფირმების, დაწესებულებების, სახელმწიფოს და კერძო პირების ბანკების, მოკლევადიანი რესურსების საბრუნავი კაპიტალის მოძრაობას.

ფულადი სახსრების ბაზარი – ფულადი სახსრების ბაზარი ასოცირებულია საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმდინარე საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ასევე მოკლევადიანი დაბანდებების განსახორციელებლად. ფულად ბაზარზე ძირითად ოპერატორებს წარმოადგენენ კომერციული ბანკები.

ფულადი სახსრების დენადობის ანალიზის მიზანია – საწარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი თანხების შემოდინების გზების და მათი გამოყენების მიმართულებების შეფასება. საჭიროა იმ ფაქტების დადგენა, რომლებიც ფულის თავისუფალი შემოდინება-გადინებას ხელს უწყობდა ან აფერხებდა. ანალიზი ტარდება საწარმოს „ფულადი ნაკადების ანგარიშგების“ ინფორმაციის საფუძველზე, რომე\ლიც პირდაპირი მეთოდითაა შედგენილი, ვინაიდან ამ მეთოდით მომზადებულ ანგარიშგებაში მოცემულია საწარმოში შემოსული და გასული ფულის კონკრეტული გზები.

ფულადი სისტემა – (monetary system), სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქვეყნის ფულადი მიმოქცევის ორგანიზაციის ფორმა. სახელმწიფო განსაზღვრავს ფულად ერთეულს, ფასების მასშტაბებს, მიმოქცევაში ფულადი ნიშნების სახეებს და მათი ემისიის წესს, ფულის უზრუნველყოფის ხასიათს, უნაღდო საგადასახადო ბრუნვის ფორმებს, ეროვნული ვალუტის კურსს.

ფული1 – (M1) (narrow money) „ფული ვიწრო გაგებით“ – ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული პლიუს ანაბრები მოკითხვამდე, საგზაო ჩეკები და სხვა ანგარიშები; ფულის ერთობლივი რაოდენობა, რომელიც გამოიყენება მიმოქცევის საშუალებად და მომსახურებას უწევს მიმდინარე საგადასახადო ბრუნვას.

ფული2 (M2) (money 2) ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის M პლუს წვრილი ანაბრები (არასაჩეკო შემნახველი და წვრილ ვადიანი დეპოზიტები).

ფული3 (M3) (broad money) „ფული ფართო გაგებით“ – ფულადი აგრეგატი, რომელშიც შედის M2 პლუს (მსხვილი ვადიანი ანაბრები, აგრეთვე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები) და საბიუჯეტო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშებზე არსებული თანხა, ბიუჯეტის (სახელმწიფო

და ადგილობრივი) სახსრები; კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები.

ფული4 (M4) (money 4) ერთობლივ ფულად მასას M3 -ს პლუს ბანკებში არაფულადი ლიკვიდური სახსრები.

ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონის მაჩვენებელი – გვიჩვენებს, რამდენი დღის ხარჯით დაფარული ფულადი აქტივით ანუ არსებული და პოტენციური ფულით.

ფულადი შეფასების პრინციპი – ითვალისწინებს ბუღალტრულ აღრიცხვაში იმ მონაცემების გამოყენებას, რომელიც შეიძლება ფულით შეფასდეს. ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია მხოლოდ იმ მონაცემებზე, რომელთაც ფულადი ღირებულება გააჩნია, იგი ვერ იძლევა ამომწურავ პასუხს საწარმოს მდგომარეობის შესახებ.

ფულადი ჩეკები – იყენებენ მფლობელისთვის ნაღდი ფულის გადასახდელ ბანკში, მთლიანად, ხელფასისთვის, სამეურნეო საჭროებისთვის, სამივლინებო ხარჯებისთვის, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისთვის და ა.შ.

ფულადი ჩეკი – ჩეკს იყენებენ მფლობელისათვის ნაღდი ფულის გადასახდელ ბანკში, მთლიანად ხელფასისათვის, სამეურნეო საჭიროებისათვის, სამივლინებო ხარჯებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისათვის.

ფულადი ციკლი – არის ნაღდი ფული, რომელიც მოძრაობს გარიგებიდან დებიტორულ დავალიანებამდე, ანუ ეს არის ნაღდი ფულის ის ნაწილი, რომელიც ჯერ იხარჯება სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად, შემდეგ კი ივსება დებიტორული დავალიანების შეგროვებით (ანუ სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციით) ფულადი ციკლის მეშვეობით ხდება მხოლოდ მოკლევადიანი დავალიანების (კრედიტორული ანგარიშების განაღდება) გადახდა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – (monetary policy), ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ახორციელებს

ცენტრალური ბანკი ფულად სისტემაზე კონტროლის გზით ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა ფულადი მასის მოცულობა, საპროცენტო განაკვეთის დონე და სტრუქ-ტურა, აგრეთვე სხვა მაჩვენებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ კრედიტის ხელმისაწვდომობაზე და მიმართუ-ლია ისეთი უმნიშვნელოვანესი მიზნების მიღწევისაკენ, როგორიცაა დასაქმებისა და ფასების სტაბილიზაცია, ეკო-ნომიკური ზრდა, საგარეო გადასახადების ბალანსირება და ა.შ. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტე-ბია, პირველ რიგში ბანკთშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები, ოპერაციები ღია ბაზარზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ავ-კარგიანო-ბაზე, იმაზე თუ რამდენად არის იგი მისადაგებული ეროვნული ეკონომიკის განვითარებასთან და, აქედან გამომდინარე, როგორ ასრულებს თავის ამოცანებს, ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიკური წესრიგის დამყარება ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით ოპტიმალური შეხამების მიღწევის მეტად რთული პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – წარმოადგენს სამეურნეო კონიუნქტურის რეგულირებისა და მთელი რიგი ზოგად ეკონომიკური მიზნების – ფულის გამყარების, ფასების სტაბილიზაციის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქ-მნის, ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაბილიზაციის მიზნით ფულად-საკრედიტო სისტემის საქმიანობის მარეგლამენტირებელ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის – ორ ძირითად ტიპს გამოყო-ფენ: რესტრუქციულს და ექსპანსიონისტურს. პირველი მიმართულია კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერა-ციების მოცულობის შეზღუდვისა და საპროცენტო განა-კვეთების დონის ამაღლების გზით ფულად-საკრედიტო სისტემის მარეგლამენტირებელ ღონისძიებათა რეალიზა-ციაზე. მის გატარებას თან ახლავს გადასახადების

გადიდება, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ინფლაციის შეჩერებისკენ მიმართული ღონისძიებანი, აგრეთვე საგადასახადო ბალანსის გაჯანსაღება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანაა – ისეთი მოქნილი საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის ისეთნაირ დინამიკას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ისე წარმოების განვითარების სტიმულირება. ამის მიღწევა ძირითადად შესაძლებელია მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარებით, ბანკთა შორისი კრედიტების განვითარებით, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირებით, საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ეკონომიკური ღონისძიებები – ამ ღონისძიებებს მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე ცენტრალური ბანკის ოპერაციები. ღია ბაზრის პოლიტიკას უწოდებენ ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, ფულად ბაზარზე გავლენის მოპოვების მიზნით. ღია ბაზრის პოლიტიკის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს, რომ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნილებისა და წინადადებების რეგულირებით მიაღწიონ კომერციული ბანკებისაგან შესაბამის რეაქციას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმი – ნაღდი და უნაღდო საბანკო ოპერაციების რეგულირების ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდები და ინსტრუმენები, ფულის მასის, საბანკო საპროცენტო განაკვეთების და მაკრო და მიკრო დონეზე ბანკების ლიკვიდურების დინამიკაზე კონტროლის კონკრეტული ფორმები.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები – ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პროგნოზები, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტირები, პარამეტრები და ინსტრუმენტები.

ფულზე ერთობლივი მოთხოვნა – (aggregate demand for money), მოთხოვნა, რომელიც განპირობებულია საქმიან გარიგებებში ფულის გარიგებებში ფულის გამოყენებით (ტრანზიტული მოთხოვნა) და მოთხოვნა, რომელიც განპირობებულია ფულის დაზოგვით, სიმდიდრის დაგროვების სურვილით, ანუ სხვადასხვა ფინანსური სახსრების შესაძენად ფულის გამოყენებით (სპეკულაციური მოთხოვნა).

ფულზე რეალური მოთხოვნა – (real money demand), განისაზღვრება ნომინალური მასის შეფარდებით ფასების დონესთან. ფულზე რეალური მოთხოვნის მოცულობის დინამიკას საფუძვლად უდევს სამი ფაქტორი: ა) რეალური შემოსავლების ცვლილება; ბ) ფულის შენახვის ალტერნტიული ხარჯების სიდიდის ცვლილება; გ) ფინანსური ახალშემონაღებები და ცვლილებები რეგულატორებში (მაგალითად, საკრედიტო ბარათები).

ფული – (money) აქტივების ერთობლიობა, გამოყენებული გარიგებათა დასადგენად, აბსოლიტურად ლიკვიდური სახსარი, საყოველთაო ეკვივალენტი, რომელზედაც ხდება ყველა სხვა საქონლის გაცვლა;

ფული – ფინანსების არსებობის აუცილებელი პირობაა. მაგრამ ფინანსებს არა ყველა სახის ფულად ურთიერთობას მიაკუთვნებენ, არამედ მხოლოდ ისეთს, რომლის დროს საქონლის მოძრაობისაგან განცალკევებულად, ფულის კერძო ღირებულების გამოცალკევებით, ან მათი ჩამოშორებით, ფულადი სახსრების რეალური მოძრაობა ხორციელდება. ასეთი სახის ფულადი ურთიერთობები კვლავწარმოებითი პროცესის მეორე სტადიისათვის არის დამახასიათებელი, როდესაც საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების განაწილება ხორციელდება.

ფულით ანაზღაურების კონტრაქტებში – ანგარიშსწორებისთვის გამოიყენება მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვალუტა, გადახდის დათქმული ხერხი და ანგარიშსწორების ფორმა.

ფულის აგრეგატი – საბანკო ანგარიშების დაჯგუფებაა ამ ანგარიშზე მოთავსებული სახსრების ნაღდ ფულად გადაქცევის სიჩქარის მიხედვით. რაც უფრო სწრაფად გადაიქცევა ეს სახსრები ნაღდ ფულად, მით უფრო ლიკვიდურადაა მიჩნეული მოცემული აგრეგატი.

ფულის ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები – დეპოზიტურ ინსტიტუტებში გახსნილი, პროცენტის შემომტანი დეპოზიტები. ბაზრის სხვა საპროცენტო ნორმების ცვლილებების გათვალისწინებით, ამ ანგარიშზე გასაცემი პროცენტის კორექტირება ყოველკვირეული პროცედურაა.

ფულის ბაზრის ერთობლივ ფონდებად იწოდება – დამოუკიდებელი ფინანსური შუამავლები, რომელიც მოსახლეობას მიჰყიდის საკუთრების დამადასტურებელ სერთიფიკატებს, ხოლო განსახორციელებელი ოპერაციებიდან მიღებულ თანხებს იყენებს თითქმის ფიქსირებულ-პროცენტიანი, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შესასყიდად. გაწეული მომსახურებისათვის, უმნიშვნელო გადასახადის გამოკლებით, ამ ფასიან ქაღალდებს ძალიან მყარი ნომინალური ღირებულება გააჩნიათ, ფონდები უზრუნველყოფენ საკუთრების დამადასტურებელი ერთი სერთიფიკატის ღირებულების მუდმივობას.

ფულის ბაზრის ერთობლივი ფონდები – დამოუკიდებელი ფინანსური შუამავლები, რომელიც მოსახლეობას მიჰყიდის საკუთრების დამადასტურებელ სერთიფიკატებს, ხოლო განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ თანხებს იყენებენ ფიქსირებულ პროცენტიანი, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების შესაძენად.

ფულის ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო ფონდები – ცენტრალური ბანკის საცავებში მოთავსებული იმ ბანკნოტებისა და მონეტების მარაგებია, რომლებიც მიმოქცევაში არაა გამოშვებული და რეგულირებას საჭიროებებს ემსახურება. მათ ხარჯზე ცენტრალური ბანკი ოპერატიულად განაახლებს მიმოქცევაში მყოფი ნაღდი ფულის მასას, ინარჩუნებს კუპიურების სათანადო შემადგენლობას და

ამცირებს ქვეყნის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის გადატანისა და შენახვის ხარჯებს.

ფულის ბრუნვის პერიოდი – ფულადი მიმოქცევის მახასიათებელი, რომელიც გამოხატავს ფულის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობას, ფულის ბრუნვის სიჩქარის შებრუნებულ სიდიდეს.

ფულის ბრუნვის სიჩქარე – (velocity) უკუპროპორციულ დამოკიდებულება შუა ეკონომიკის განვითარების დონესა და ტემპებთან. რაც უფრო მაღალია ფულის ბრუნვის სიჩქარე, მით ნაკლებია ფულის სიჩქარე, მით ნაკლები ფულის მასაა საჭირო მშპ-ის მომსახურებისთვის. წარმოების დაბალი დონის პირობებში ფული სწრაფად ბრუნავს მიმოქცევაში, რაც ფასების ზრდის შედეგია: მიმოქცევაში გაშვებული ფულადი მასის სიდიდე ითვლება ფასების სტაბილიზაციის მადომინირებელ ფაქტორად.

საქართველოში ფულის ბრუნვის სიჩქარე, 2007 წლის მონაცემებით, M12-ის ფარგლებში იყო, რაც ეკონომიკის დაბალ დონეზე მიუთითებს (თუმცა 2003 წელს 16,3 იყო). ეს მაჩვენებელი ქვეყნებში 1-დან 2,5-ის ფარგლებშია, რუსეთში 8-მდე, ხოლო უკრაინაში 10-მდეა.

ფულის ბრუნვის სიჩქარე – ფულადი მიმოქცევის რაოდენობრივი დახასიათება, ტოლია საქონლის რეალიზაციის თანხა შეფარდებული იმ ფულის თანხაზე, რომლის მეშვეობითაც ის განხორციელდა. ფულის ბრუნვა წარმოებს სხვადასხვა სიჩქარით. ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, კერძოდ საქონლის სახეობაზე, რომლის გაყიდვასაც ისინი ემსახურებიან. ამიტომ გაანგარიშების დროს იღებენ საშუალო სიჩქარეს. ეს სიდიდე გამოხატავს საქონლის შემოსვლის სიჩქარეს მიმოქცევის სფეროდან მოხმარების სფეროში და მათ შეცვლას ამ სფეროში ახალი საქონლით.

ფულის ენდოგენური მიწოდება – (endogenous money), სიტუაცია, რომლის დროსაც მოწოდების დონე განისაზღვრება ისეთი შინაგანი ფაქტორებით, როგორიცაა სარგებლის განაკვეთი

და საქმიანი აქტიურობის დონე. ასეთ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი, არავითარ შეზღუდვებს არ აწესებს, მხოლოდ ახორციელებს იმას, რასაც მოითხოვს ბაზარი.

ფულის ერთობლივი მიწოდება – (aggregate money supply, money stock), ფულის ის რაოდენობა, რომელიც მომსახურებას უწევს მთელ ეკონომიკას მოცემულ მომენტში. მოიცავს მიმოქცევაში არსებულ ბანკნოტებს, მონეტებს, მოსახლეობის საბანკო დეპოზიტებს და სხვადასხვა ფასიან ქაღალდებს.

ფულის თეორიები – (theories of money), მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ძირითადად ცნობილია მეტალისტური, ნომინალისტური, რაოდენობრივი, კეინზიანური და მონეტარული თეორიები. **მეტალისტური თეორია** (ტაფორდი, მენი, ნორსი, კეინი, ლასბურგი, ლუქსი და ა.შ.) მოდიფიცირებულმა ფირმამ, ნეომეტალიზმის სახით XX საუკუნის 50-60-იან წლებში იჩინა თავი, როდესაც რიგი ეკონომისტებისა, როგორიც იყვნენ ჯ. რუეფი (საფრანგეთი), მ.ჰეილპერინი (აშშ) და სხვები გამოვიდნენ ოქროს სტანდარტის აღდგენის იდეით. ისინი, ძველი მეტალისტური თეორიისგან განსხვავებით, აღიარებდნენ ქაღალდის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების გამოყენების აუცილებლობას, მაგრამ მოითხოვდნენ ბანკნოტების ოქროზე თავისუფალ გადახურდავებას. ნომინალისტური თეორია – რომლის ფუძემდებელი არიან ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ბერკლი და შოტლანდიელი ეკონომისტი ჯ. სტიურატი, ფულის წმინდა საანგარიშო ერთეულად მიიჩნევს და მის ფუნქციებს მხოლოდ ქაღალდის ფულის ფუნქციებით ფარგლავს. გერმანელი ეკონომისტი გ. კნაბი თავის ნაშრომში – „ფულის სახელმწიფო თეორია“ (1905 წ - განავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ქაღალდის ფულს არავითარი კავშირი არა აქვს ოქროსთან და იგი ფულის უმაღლესი ფორმაა. კნაპის იდეები შემდეგ განავითარეს ჯ. კეინზმა, პ. სამოელსონმა, ტ. კრამპმა, ჯ. ჰოუტრიმ და სხვებმა. **ფულის რაოდენობრივი თეორია –** XVIII

საუკუნეში წამოაყენეს ფრანგმა შ. მონტესკიემ და ინგლისელმა – დ. იუმმა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში – დ. რიკარდომ. იგი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, რომლის მიხედვით საქონლის ფასები და ფულის ღირებულება განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით. ამასთან, საქონლის ფასები პირდაპირპროპორციულია, ხოლო ფულის ღირებულება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ფულის რაოდენობასთან. დ. იუმის მტკიცებით, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის დაუსაბუთებელი მატება არ ნიშნავს ქვეყნის სიმდიდრის ზრდას, იგი ხელს უწყობს მხოლოდ საქონლის ფასების ზრდას. სიმდიდრის ზრდას, იგი ხელს უწყობს მხოლოდ საქონლის ფასების ზრდას.

ფულის რაოდენობრივი თეორიის შემდგომი განვითარება ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ირვინგ ფიშერის სახელთანაა დაკავშირებული. თავის ნაშრომში „ფულის მსყიდველობითი უნარი“ (1911) იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფულის ღირებულება მისი რაოდენობის უკუპროპორციულია, ხოლო საქონლის ფასები – მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირპროპორციულია. ეკონომეტრიკული აპარატის გამოყენებით შექმნილი ფიშერის გაცვლის ფორმულა ასახავს ტოლობას საქონლის შესაძენად გადახდილი ფულის რაოდენობასა და გაყიდული საქონლის ფასების ჯამს შორის.

ამრიგად, ფულის რაოდენობრივი თეორია ფულსა და საქონელს შორის კავშირს მომოქცევის სფეროს პოზიციებიდან განიხილავს და უარყოფს წარმოების სფეროში მიმდინარე პროცესებს, რომელსაც ძირითადად შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული პირობებით განსაზღვრავს. ამ თეორიის მომხრეა აგრეთვე კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელი ა. პიგუ.

ფულის ერთ-ერთი თეორია ჯონ მეინარდ კეინზის სახელთანაა დაკავშირებული და **ფულის კეინზური თეორიის** სახელწოდებითაა ცნობილი.

კეინზის პირველი ნაშრომები ფულის პრობლემებს ეძღვნებოდა. 1912 წელს (ინდოეთში მოგზაურობის შემდეგ) მან გამოქვეყნა წიგნი „თანამედროვე ინდოეთის ფინანსები“, 1923 წელს – „ფულადი რეფორმა“ და „მოსაზრებები ფრამკის შესახებ“. 1930 წელს ჯ.მ. კეინზმა გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ტრაქტატი ფულის შესახებ“, ხოლო 1936 წელს მსოფლიოში გახმაურებული წიგნი, XX საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების შედევრი – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“. კეინზის მოძღვრება ფულის შესახებ ფულის რაოდენობრივი თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტია, რომლის მიხედვით, მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა, განსხვავებული ფასებით იყოფა ორ ნაკადად: სამომხმარებლო დოვლათისა და საინვესტიციო დოვლათის მოძრაობის მომსახურე ნაკადებად, რომელთა ფასების დონე ერთმანეთზე არის დამოკიდებული. კეინზის აზრით, სანამ არსებობს უმუშევრობა დასაქმება იცვლება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ფულის რაოდენობა, ხოლო თუ სრულია დასაქმება, მაშინ ფასები იცვლება იმ პროპორციით, როგორითაც ფულის ოდენობა.

კეინზი ფულს განიხილავდა, როგორც ლიკვიდურ ქონებას. იგი სასესხო სარგებელსა და მის ნორმას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის ეკონომიკაში. კეინზი სარგებლის ნორმას განიხილავდა როგორც ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს.

ფულად-საკრედიტო რეგულირების თეორიაში კეინზი უმუშევრობის მიზეზებს ფულად-საკრედიტო ფაქტორებს უკავშირებდა. **მისი აზრით, არსებული დასაქმების მიზეზი არასაკმაო ეფექტიანი მოთხოვნაა.** რაც ძირიადად განპირობებულია ინვესტიციების უკმარისობით. ამის მიზეზად კი კეინზი სარგებლის მაღალ ნორმას ასახელებდა და ინფლაციის და სარგებლის განაკვეთის შემცირების მომხრე იყო. იგი ფულად-საკრედიტო სისტემას სახელმწიფო რეგულირების, ქვეყნის კრიზისიდან დაცვისა და

მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტად განიხილავდა. მაგრამ **წინა პლანზე საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირებას აყენებდა.**

ჯ.მ. კეინზის თეორიის გამოძახილი და მისი ანდიპოდია მონეტარიზმი, რომელიც წარმოიშვა XXI საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში აშშ-ში. იგი იკვლევს ფულის მრავალწახნაგოვან ასპექტებს და მის გავლენას ეკონომიკაზე. მონეტარული სკოლის წარმომადგენლებმა დიდი წვლილი შეიტანეს კეინზიანური თეორიის დისკრეტიზაციაში. თანამედროვე მონეტარული თეორია ძირითადად ეფუძნება „ჩიკაგოს სკოლის“ დამაარსებლის მილტონ ფრიდმენის გამოკვლევებს. კეინზისაგან განსხვავებით იგი იცავს დებულებას ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების შესახებ, ხოლო ეკონომიკის არასტაბილურობას არამყარი ფულადი სისტემით ხსნის. მონეტარისტებისათვის ეკონომიკა, პირველ ყოვლისა, ბაზარია, რომელზედაც ზემოქმედება შესაძლებელია უპირატესად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით. მონეტარიზმი ეკონომიკაში მთავარ როლს ფულს ანიჭებს, ხოლო მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარ პირობად მიმოქცევადი ფულადი მასის მყარ ზრდას მიიჩნევს. წლიურ 3-5%-ის ფარგლებში. მ. ფრიდმანმა, ი. ფიშერის თეორიაზე დაყრდნობით, სიახლე შეიტანა ფულის რაოდენობრივ თეორიაში. მან ნაშრომებში – „ფულის რაოდენობრივი თეორია. ახალი ფორმულირება“, „ფულის მიმოქცევის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1867-1960 წლებში“ (ა. შვარცთან ერთად) დაასაბუთა ფულის ახალი როლი თანამედროვე ეკონომიკაში და ფულად-საკრედიტო რეგულირების პრიორიტეტი ეკონომიკის სტაბილიზაციაში: ნაშრომში „ფულადი ანალიზის თეორიული ჩარჩოები“ (1971) ფრიდმენი შეეცადა მოეძებნა კავშირი ფულადი მასის დინამიკასა და ეკონომიკის მერყეობას შორის. იგი უდიდეს როლს ანიჭებდა ფულად მასას ფასების დონის განსაზღვრაში. ფრიდმენის აზრით, ფულადი ფაქტორი

გადამწყვეტ გავლენას ახდენს ეკონომიკის ციკლურ ხასიათზე, ამასთან ფულის მიწოდებამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალურ მოცულობაში მოკლევადიანი ცვლილებები, მაგრამ ხანგრძლივ პერიოდში ფულის მიწოდების ცვლილება გავლენას ახდენს ფასების დონეზე. მონეტარული თეორიის თანახმად, ფულის მიწოდების სტაბილური გადიდება მთელ ეკონომიკას დააყენებს აღმავლობის რელსებზე, ეკონომიკურ სისტემას კი საშუალებას მისცემს გამოავლინოს თავისი ბუნებრივი დინამიზმი. თუ ეკონომიკა დაღმა წავა, შენიშნავს ფრიდმანი, მაშინ ფულის მიწოდების მუდმივი მატება მოხმარდება საბანკო რეზერვების გადიდებას, ხელს შეუწყობს იმას, რომ ბანკებმა გასცენ სესხები და, ამდენად ეკონომიკა გამოიყვანონ კრიზისიდან. თუ ქვეყანაში წარმოიქმნება ინფლაციის მაღალი პიკი, მაშინ ფულის მიწოდების მატების უცვლელი კოეფიციენტი თავისებური ლაგამი იქნება ინფლაციის შესაჩერებლად. მ. ფრიდმანის ამ დებულების და, საერთოდ მიწოდების თეორიის მიმართ სკეპტიციზმს გამოხატავენ რ. ჰაილბრონერი და ლ. თოროუ, მათი აზრით, ფრიდმანის ეს ვარაუდი ფატალურია. ფულის ესა თუ ის თეორია სხვადასხვა ეპოქასა და დროში აისახება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქვეყნის ფულად სისტემასა და შესაბამის პოლიტიკაში. მაგალითად **მეტალისტურმა თეორიამ** პრაქტიკული ასახვა პოვა ღირებულების ფორმების განვითრების უმაღლეს საფეხურზე, როდესაც აღმოცენდა მისი ფულადი ფორმა – ერთიანი საყოველთაო ეკვივალენტი და ეს როლი კეთილშობილმა ლითონებმა – ვერცხლმა და ოქრომ დაისაკუთრა. ეს იყო ბიმეტალიზმის ეპოქა. იგი გავრცელდა XVI-XVIII საუკუნეებში და არსებობდა XIX საუკუნეშიც. ამ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა თანდათან დაიწყეს ოქროს ვალუტაზე გადასვლა, რის გამოც ბიმეტალური ფულადი სისტემა მონეტარულით შეიცვალა. მაგალითად, აშშ-ში ეს მოხდა 1832 წელს, იაპონიაში-1897

წელს, გერმანიაში 1875 წელს, რუსეთში 1898 წელს, საფრანგეთში 1878 წელს, ავსტრია-უნგრეთში 1892 წელს, ბელგიასა და შვეიცარიაში ეს პროცესი განხორციელდა ფაქტობრივად XXI საუკუნის დასაწყისში. რაც შეეხება ინგლისს, იქ ეს მოხდა შედარებით ადრე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს. **ნეომეტალისტური თეორია** უკავშირდება მსოფლიო სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელმაც თავის განვითარებაში ოთხი ეტაპი განვლო I ეტაპზე რომელიც იწყება XIX საუკენის 70-იანი წლებიდან და გრძელდება პირველ მსოფლიო ომამდე, არსებობდა **ოქრომონეტარული სტანდარტი,** რომელიც გულისხმობდა არამხოლოდ ოქროს მონეტების მოჭრას, არამედ მათზე ღირებულების ნიშნების თავისუფალ გადახურდავებასაც. ოქროს სტანდარტის მეორე ფორმაც – **ოქროზოდური სტანდარტისთვისაც,** რომელიც მოქმედებდა I მსოფლიო ომიდან 30-იან წლებამდე (მსოფლიო სავალუტო სისტემის II ეტაპი), დამახასიათებელი იყო ღირებულების ნიშნების გადახურდავება ოქროს ზოდებზე. ზოგიერთ ქვეყანაში (მეტწილად კოლონიურ ქვეყანებში), ოქროს ფონდის სიმცირის გამო, შემოიღეს ოქროს დევიზური სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებდა ბანკნოტების უცხოურ ვალუტაზე გადახურდავებას.

„დიდი დეპრესიის“ წლებმა დიდი დარტყმა მიაყენა ოქროს სტანდარტს და საბოლოოდ დაუსვა წერტილი მის არსებობას. მსოფლიო სავალუტო სისტემის III ეტაპზე ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებამ განაპირობა **ოქროსსავალუტო სტანდარტის** შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა ქვეყნის სავალუტო კავშირების სახელმწიფოთშორის რეგულირებას. სავალუტო რეზერვს ოქროსთან ერთად წამყვანი ვალუტებიც შეადგენდა. მსოფლიო სავალუტო მექანიზმის განმსაზღვრელი ძირითადი ამერიკული დოლარი გახდა.

ნომინალისტური თეორია ძირითადი პოსტულატების პრაქტიკული რეალიზაცია უკავშირდება მსოფლიო სავა-

ლუტო სისტემის განვითარებაში IV ეტაპის დაწყებას, როდესაც სსფ ის გადაწყვეტილებით (1976) ოქროს პარიტეტი გაუქმდა 1978 წელს. იამაიკის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებით მოხდა ოქროს საბოლოო დემონეტიზაცია და იგი გამოვიდა საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან. ოქროს სავალუტო სტანდარტი დოლარის სტანდარტით (SDR) შეიცვალა. მთავარი ვალუტის სტანდარტი ამერიკულ დოლარს მიენიჭა. ეს ძირითადად განაპირობა აშშ-ის უდიდესმა ეკონომიკურმა პოტენციალმა და მსოფლიოში მისმა ყველაზე დიდმა ოქროს მარაგმა, რომელიც მსოფლიო მარაგის (35,8 ათას ტონა) თითქმის მეოთხედი და 8, 14 ათას ტონას შეადგენს. **ფულის რაოდენობრივი თეორია –** ნეოკლასკური თეორიის საფუძვლად აღიარებული, იმ თეორიისა, რომელსაც ნეოკეინზიანური თეორიის შემდეგ წამყვანი როლი ეჭირა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ფულის კეინზურმა თეორიამ – ეკონომიკური ზრდის კეინზურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა და სათანადოდ აისახა „კეინზურ რევოლუციაში“. ფულის მონეტარულმა თეორიამ, უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიო კრიზისის დაწყებამდე გადამწყვეტი როლი შეასრულა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში. მაკროეკონომიკურ რეგულირებაში მონეტარულ თეორიაზე დაფუძნებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკას „პირველი ვიოლინოს“ ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული, თუმცა 2008 წელს დაწყებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვა მოითხოვა და კეინზის „რეაბილიტაციის“ კონტურებში გამოისახა.

მელთონ ფრიდმანმა შეცვალა ჯონ მეინარდ კეინზის ფილოსოფია, ამ უკანასკნელმა კი ადამ სმიტის ფილოსოფია. დღეს მსოფლიო, ახალი გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, მილთონ ფრიდმანის ფილოსოფიის შეცვლის მოლოდონშია, რომლის კონკურენტებიც უკვე

გამოიკვეთა. სათავე სწორედ მილთონ ფრიდმანის სამშობლოში აშშ-ში აიღო.

ფულის მასა – მიმოქცევაში გამოშვებული ფულის სრული მოცულობა, ნაღდი ფულის, ანგარიშებზე შენახული ჩეკების, საწარმოებისა და მოსახლეობის ფულადი სახსრების ჩათვლით, აუცილებლად გადასახდელი ფულადი ვალდებულება.

ფულის მასა მიმოქცევაში – განსაზღვრულ პერიოდში, განსაზღვრული თარიღისათვის მოძრაობაში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა.

ფულის მასის ზრდის ორიენტირების დადგენა – ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრული ფულის მასის ერთი ან რამდენიმე მაჩვენებლის ზრდის მიზნობრივი ორიენტირი.

ფულის მიმოქცევა – წამოადგენს მათ მიერ თავისი ფუნქციების შესრულებისას ფულის მოძრაობის გამომხატველი ქმედება. ფული ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის გაცვლას როგორც ნაღდის, ასევე უნაღდო ფორმითაც ემსახურება.

ფულის მიწოდება ფულადი მულტიპლიკატორის საშუალებით გაიანგარიშება – იგი არის ჭარბი რეზერვების ნაწილი, რომელიც ახალი სესხების მიწოდების (ან ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით) კომერციული ბანკების სისტემას მიმოქცევაში ფულადი მასისა და მოთხოვნამდე ანაბრების მოცულობის გადიდებისათვის შეიძლება გამოიყენოს.

ფულის მიწოდების და მოთხოვნის ფუნქცია – ფულადი ბაზრის მათემატიკური მოდელი, რომელიც გამოიყენება, ერთობ–ლივი ფულის მასის რეგულირებისათვის და რომელიც ხორციელდება ფულის მიწოდების და მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორების ზეგავლენით. ფულზე მოთხოვნა ფორმირდება ერთობლივი პროდუქტის შექმნის პროცესში ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი შემოსავლებისა და გადახდების საფუძ-

ველზე; და დაკმაყოფილდება ფულად საკრედიტო ემისიის საშუალებით.

ფულის მიწოდების რეგულირება – (regulation of money supply), სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ეს ფუნქცია ძირითადად ცენტრალურ ბანკს აკისრია, რომელსაც ეკუთვნის პრიორიტეტული როლი მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის რაოდენობის განსაზღვრისა და ფულის ბაზრის ფორმირებაში, ამასთან, ამ პროცესში მთელი საბანკო სისტემა მონაწილეობს. მიმოქცევაში ფულადი მასის გაკონტროლებისათვის ცენტრალური ბანკი იყენებს ისეთ ძირითად რეგულატორებს, როგორიცაა: ბანკთშორისი კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებათა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ცენტრალური ბანკი ბანკთშორისი კრედიტის განაკვეთისა და სავალდებულო რეზერვების ნორმის რეგულირებით, არაპირდაპირი გზით ზემოქმედებს ფულად მიმოქცევაზე, ხოლო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციებით უშუალო გავლენას ახდენს მასზე.

ფულის მიწოდების ცვლილება – ფულის მიწოდების ზრდას, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ცენტრალური ბანკის გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, მივყავართ ფულის მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებასთან. ფულის მიწოდების ზრდას (სხვა თანაბარ პირობებში) მივყავართ საპროცენტო განაკვეთის შემცირებასთან.

ფულის მსყიდველობითი უნარი – (purchasing power), ფულადი ერთეულის უნარი გაიცვალოს საქონლისა და მომსახურების გარკვეულ ოდენობაზე.

ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობა – არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელზეც შეიძლება ფულადი ერთეული იქნეს შეძენილი, თუ კი ფასების დონის

გადიდებისას ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობა მცირდება და პირიქით.

ფულის რაოდენობრივი თეორია – (quantity theory of money), ფულზე მოთხოვნის თეორია, რომლის მიხედვითაც საქონლის ფასების დონე და ფულის ღირებულება განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით. ეს თეორია XVIII საუკუნეში წამოაყენა ფრანგმა შ. მონტესკიმ და ინგლისელმა დ. იუმმა, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა დ. რიკარდო.

ფულის რაოდენობრივი თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი განხილული აქვს ჯ. კეინზის ნაშრომში – „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“. კეინზიანური ვარიანტის მიხედვით, მიმოქცევაში არსებული ფულის მასა იყოფა ორ ნაკადად: „სამომხმარებლო დოვლათის“ და „საინვესტიციო დოვლათის“ მოძრაობის მომსახურე ნაკადებად, განსხვავებული ფასებით. კეინზის აზრით, ფულის რაოდენობის მატება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ფასებზე მანამ, სანამ არსებობს უმუშევრობა, ვინაიდან დასაქმება იზრდება მოთხოვნის გადიდების პროპორციულად, რაც გამოწვეულია ფულის რაოდენობის ზრდით. ამასთან სრული დასაქმების პირობებში მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლება. ასეთ შემთხვევაში ფულის რაოდენობისა და მოთხოვნის გადიდება ვეღარ გამოიწვევს დასაქმების გაზრდას, მაგრამ გამოიწვევს ფასების ამაღლებას. კეინზმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ფულის რაოდენობრივი თეორია: სანამ არსებობს უმუშევრობა, დასაქმება შეიცვლება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ფულის რაოდენობა, ხოლო თუ სრულია დასაქმება, მაშინ ფასები შეიცვლება იმავე პროპორციით, როგორითაც შეიცვლება ფულის რაოდენობა.

გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი ირვინგ შიფერი, რომელსაც თანამედროვე ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად თვლიან, თავის ცნობილ ნაშრომში

„ფულის მსყიდველობითი უნარი“ (1911) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფულის ღირებულება მისი რაოდენობის უკუპროპორციულია, ხოლო საქონლის ფასები მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირპროპორციული.

მ. ფრიდმენმა ი. ფიშერის თეორიაზე დაყრდნობით, ახალი მომენტები შეიტანა ფულის რაოდენობრივ თეორიაში. ნაშრომში „ფულადი ანალიზის თეორიული ჩარჩოები“ (1971) იგი შეეცადა მოეძებნა კავშირი კვლავწარმოების პროცესში ფულადი მასის დინამიკასა და ეკონომიკის მერყეობას შორის. მ. ფრიდმანი უდიდეს როლს ანიჭებდა ფულად მასას ფასების დონის განსაზღვრაში. მისი აზრით, ფულადი ფაქტორები გადამწყვეტ გავლენას ახდენა **მშპ**-ის დინამიკასა და ეკონომიკის ციკლის ხასიათზე. მონეტარული თეორია გვთავაზობს გაცვლის შემდეგ ფორმულას: MV=PQ სადაც M – არის ფულის მიწოდება, V – ფულის ბრუნვის საშუალო რიცხვი, P – ფასების დონე, Q – წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა.

მონეტარული შეხედულების თანახმად, ფულის მიწოდების M ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალურ მოცულობაში მოკლევადიანი ცვლილებები, მაგრამ ხანგრძლივ პერიოდში M-ის ცვლილება გავლენას ახდენს ფასების დონეზე.

ფულის რეფორმა – სახელმწიფოს ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია ფულადი სისტემის მოწესრიგებასა და განმტკიცებისაკენ.

ფულის ღირებულება – (volue of money), ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარი, საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ერთ ერთეულზე.

ფუნქცია – არის ამა თუ იმ ობიექტის ან სისტემის ელემენტის თვისებათა გამოვლენის სპეციფიურობა. სატრანსპორტო სისტემაში ეს თვისებები ჩვეულებრივ ვლინდებიან სისტემის ამა თუ იმ ელემენტის შიდა და გარე ურთიერთ-

ქმედებებში და ატარებენ განსაზღვრული სახის „საქმიანობის“ ხასიათს.

ფუნქციათაშორისი მუშა ჯგუფები – საწარმოს ფუნქციონალური ქვედანაყოფების რიგი სპეციალისტების ერთად თავმოყრა შემდეგი საქმიანობის გასაწევად: ლოგისტიკის სფეროში ისეთი ამოცანების გადაჭრა, რომლების მოითხოვენ საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფების მონაწილეობას; სტრატეგიულად დაკავშირებულ სამუშაოთა კოორდინაცია, რომლებიც მოითხოვენ რამდენიმე ქვედანაყოფების საქმიანობის სფეროს; ლოგისტიკის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში სპეციალისტთა ცოდნისა და ჩვევების გაერთიანების გზების ძიება;

ფუნქციონალური ორგანიზაცია განსხვავდება ქცევის შემდეგი ნიშნებით – მოქმედების პროგრამების შედგენისადმი მაღალი მიდრეკილება; – ინოვაციის წინააღმდეგ ქვესისტემების არაერთგვაროვნება; – ქვესისტემის გამოხატული სეგმენტაცია;

ფუნქციონალური რისკი – წარმოიშვება ნებისმიერი პროდუქტის შექმნის ან მომსახურების გაწევის დროს, როდესაც ვერ ხერხდება ფინანსურ-სამეურნეო პროცესის დროულად და სრული მოცულობით კონტროლი და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. აღნიშნული რისკი თითქმის ყველა ბანკს ახასიათებს. ფუნქციონალური რისკი ისეთივე სახიფათოა, როგორც ფინანსური რისკები, მაგრამ რთულია მათი იდენტიფიცირება და რაოდენობრივი განსაზღვრა. ფინანსურ რისკს მიეკუთვნება: სტრატეგიული რისკი; საოპერაციო რისკი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვის რისკი.

ფუნქციონალური სტრატეგია (functional Strategy) – განსაზღვრავენ კომპანიის თითოეული ფუნქციური სფეროებისათვის. მაგალითად წარმოება, გასაღება, ფინანსები.

ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის მიზანია – შეაფასოს ალტერნატიული პროექტები გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის წინ.

ფუნქციონირებადი საწარმო ანუ წარმოების უწყვეტობის პრინციპი – გულისხმობს, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას აგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც თუ კომპანია არ აპირებს და არ ითვალისწინებს ლიკვიდაციას.

ფუნქციური დათმობა – დათმობა, რომელსაც მწარმოებელი სთავაზობს საქონელმოძრაობის სამსახურს, რომელიც ასრულებს გარკვეულ ფუნქციას, ისეთს როგორიცაა საქონლის გაყიდვა, მისი შენახვა-აღრიცხვა.

ფუნქციური კონფლიქტი – კონფლიქტი, რომელიც იწვევს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

ფუნქციური ორგანიზაცია – მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაცია, როდესაც მარკეტინგის სხვადასხვა სპეციალისტი ხელმძღვანელობს მარკეტინგული საქმიანობის სხვადასხვა საქმიანობას და ექვემდებარება მარკეტინგის დარგში ვიცე-პრეზიდენტს.

ფუნქციური ორგანიზაციული სტრუქტურა – ითვალისწინებს ქვედანაყოფების შექმნას მუშაკთა მიერ შესასრულებელი სამუშაოების მიხედვითაა დამახასიათებელი სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიებისათვის, ვინაიდან მათი პროდუქციის ერთგვაროვნების გამო, წარმოებისა და მარკეტინგის მეთოდები ყველა ქვეყანაში ერთნაირია.

ფუნქციური ორგანიზაციული სტრუქტურა – ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპი, აგებული იმ სამუშაოთა სახეების შესაბამისად, რომელსაც ასრულებენ ცალკეული ქვედანაყოფები.

ფუნქციურ-მარეგულირებლი პრინციპი – საბანკო სისტემას ყოფს ცალკეულ სეგმენტებად, რისი საფუძველიცაა მისი ელემენტებისთვის მინიჭებული ფუნქციები, მათ მიერ და საბანკო ზედამხედველობის უფლებამოსილებათა სიმკაცრე.

ფუნქციური სფეროები – საქმიანობის სფეროები, რომლებშიც ფუნქციონირებენ ქვედანაყოფები მთელი ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს სფეროა: მარკეტინგი,

წარმოება, კადრების სწავლება, ფინანსური ოპერაციების დაგეგმვა.

ფუნქციური უფლებამოსილება – ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფორმა, რომლის დროსაც პერსონალს შეუძლია დაიწყოს მოქმედება ხელმძღვანელის მოქმედებების მითითების შესაბამისად, ამასთანავე, პერსონალს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაადოს ვეტო ხელმძღვანელის მითითებას.

ქ

ქალიშვილი კომპანიები – იურიდიულად დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ მეურნეობრივად ისინი დედა-კომპანიაზე არიან დამოკიდებულნი. ქალიშვილ-კომპანიები თვითონ აწარმოებენ გარიგებებს, აქვთ საკუთარი სახსრები და ქონება, მათი დოკუმენტაცია განცალკევებულია დედა-კომპანიისაგან. ამასთან მეთაური კომპანია არაა პასუხისმგებელი თავისი ქალიშვილი კომპანიების ვალდებულებებზე, ე.ი. მის კრედიტორებს არ შეუძლიათ მეთაური ფირმის აქტივებზე პრეტენზიის წაყენება.

ქალიშვილი საზოგადოება – მეთაური აქციონერული კომპანიის ფილიალი, რომელიც იმყოფება დედის საზოგადოების აქციების შესყიდვის მეშვეობით მონაწილეობის სისტემის საფუძველზე.

ქარიზმა – ეს არის ძალაუფლება, რომლებიც დამყარებულია არა ლოგიკასა და ძველ ტრადიციაზე, არამედ ლიდერის პირად თვისებებსა და შესაძლებლობებზე.

ქარიზმა – გავლენა, დაფუძნებული ხელმძღვანელის პიროვნულ თვისებებზე, ან მის უნარზე – შემოიკრიბოს მომხრეები.

ქაღალდის ფული – (paper money), სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფულადი ნიშანი, დეკრეტული ფული, რომლის გარანტი თვით სახელმწიფოა. იგი როგორც წესი ქვეყნებში არსებული ნაღდი ფულის 90-95%-ს შეადგენს. იბეჭდება სპეციალურ ქაღალდზე და დაცულია გაყალბებისგან.

ქეისი – პრაქტიკულიდან აღებული სიტუაცია სწავლებისთვის ამა თუ იმ დისციპლინის ათვისების პროცესში გადაწყვეტილებათა (მ.შ. მარკეტინგული) დამუშავებისა და მიღების მეთოდების შესასწავლად.

ქვედა – გავლენას ახდენს ბანკების საქმიანობაზე, მაგრამ ირიბად – ნაკლებად. ის იმყოფება „სისტემის გარეთ“ და წარმოდგენილია ბანკის შესაძლო კლიენტები, იურიდიული და ფიზიკური პირებით, რომლებიც საჭიროებენ ბანკების მომსახურებას და ჩვეულებისამებრ იძულებით ორიენტირებული არიან მათ პირობებზე.

ქვედანაყოფი – ფორმალური ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია მთელი ორგანიზაციისათვის საჭირო კონკრეტული ამოცანების შესრულებაზე.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა – მისი ერთ-ერთ მაჩვენებლად ტრადიციულად მიღებულია **ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ)** – წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულების ფულადი გამოსახულება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა (ეროვნული კონკურენტუნარიანობა) – მისი ფირმებისა და დარგების უნარი გაუსწრონ მეტოქეს საზღვარგარეთ ბაზრებზე პოზიციათა მოპოვებასა და განმტკიცებაში.

ქვეყნის რისკი – ქვეყანაში მიმდინარე და მომავალი პოლიტიკური ან ეკონომიკური პირობების იმ ზომით ცვლილებების რისკი, რომ ისინი გავლენას იქონიებენ ქვეყნის ფირმებსა და სხვა მსესხებლების მიერ საგარეო დავალიანების გადახდის უნარზე.

ქვეყნის რისკი – დანაკარგების შესაძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის და აქტივების განლაგებისას კონკრეტულ სახელმწიფოში. ქვეყნის რისკები სახვა ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული რისკების ფართო სპექტრს მოიცავს. ამიტომ აღნიშნული სახის რისკი შეიძლება

დაიყოს უფრო მარტივ შემდგენლებლად: პოლიტიკური რისკი, გეოგრაფიული რისკი.

ქვეყნის შემოსავლებსა და გასავლებს შორის სხვაობა – ამ სხვაობას ეწოდება საგადასახადო ბალანსის სალდო. იგი შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. **უარყოფითი სალდოს შემთხვევაში** ქვეყანა განიცდის საგადასახადო ბალანსის დეფიციტს და ადგილი აქვს ქვეყნიდან სავალუტო აქტივების წმინდა გადადინებას, რაც უარყოფითად მოქმედებს მისი ეროვნული კურსის სტაბილურობაზე. დადებითი სალდო ქვეყანაში შემოსული ლიკვიდური აქტივების წმინდა მატებაა.

ქვოტა – წარმოების, გასაღების, შემოსავლის და სხვათა მოცულობაში მონაწილეობის წილი.

ქვოტა – ხელშეკრულების საფუძველზე ავიაკომპანიებს შორის განსაზღვრული გადასაყვანი მგზავრის რაოდენობრივი ზღვარი.

ქონება – (property) 1. წარმოადგენს საკუთრების მატერიალურ ობიექტს, მაგალითად, ფული, მონეტები, ოქროს საზომი ზოდები, ფასიანი ქაღალდები და სხვა. 2. ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა შეუზღუდავად შეძენა და რომელთა ფლობა, განკარგვა და სარგებლობა შეუძლიათ პირებს. 3. წარმოადგენს საკუთრების მატერიალურ ობიექტს, მაგალითად, ფული, მონეტები, ოქროს საზომი ზოდები, ფასიანი ქაღალდები და სხვა. 4. ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის კუთვნილი მატერიალური ფასეულობების ქონებრივი ურთიერთობებისა და მასზე დაკისრებული ქონებრივი მოვალეობების ერთობლიობა; 5. ნივთი და მატერიალური ფასეულობათა ერთობლიობა (ქონების ვიწრო გაგებით), მაგალითად ყიდვა-გაყიდვის დროს. 6. ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მატერიალური ფასეულობა. განასხვავებენ მოძრავ და უძრავ (მიწა და მასზე განლაგებული ობიქტები) ქონებას.

ქონების თეორემა – (coase theorem), რ. ქოუზის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა (და არსებითად არა თეორემა), რომლის მიხედვითაც უარყოფითი გარე ეფექტები არ იწვევენ რესურსების არარაციონალურ ალოკაციას, თუკი არ არსებობს ტრანსაქციული ხარჯები. თუ მხარეები უდანახარჯოდ შეთანხმდნენ რესურსების განაწილებაზე, მაშინ ისინი გადაჭრიან გარე ეფექტების პრობლემას. განსაზღვრულ პირობებში გარე ეფექტებისა და ბაზრის არასრულყოფილების კორექტირება ხდება დაინტერესებული მხარეების მოლაპარაკების გზით.

ქონებრივი დაზღვევა – დამზღვევის ინტერესების – ქონების ფლობასთან, გამოყენებასთან და განაწილებასთან დაკავშირებული უფლებების დამცველია.

ქონების საერთო ღირებულება – კომპანიის ყველა აქტივები, ძირითადი ფონდების და საბრუნავი საშუალებების ჩათვლით.

ქონებრივი უფლება – ნიშნავს გარკვეული ქონების ფლობის, განკარგვისა და გამოყენების უფლებას. ქონებრივი უფლების ფორმის მქონე საბანკო პროდუქტს ეკუთვნის ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება, საკრედიტო შეთანხმება და სხვა.

ქონების უფლება – (ownership rights), სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ქონებრივ ურთიერთობებს, უფლებას ქონებაზე. მაგალითად, ნაანდერძევი ქონება, ფირმის ბალანსზე არსებული ქონება და ა.შ.

ქრემატიკა – (chrematistics), ფულის კეთების, ქონების მოპოვების ხელოვნება. სხვაგვარად კაპიტალის დაბანდებისა და დაგროვების ხელოვნება. არისტოტელე ქრემატიკას უპირისპირებს ეკონომიკას, როგორც ბუნებრივ-მეურნეობრივ საქმიანობას, დოვლათის შექმნის ხელოვნებას.

ქრონიკული ინფლაცია – (chronic inflation, ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია ინფლაციის მაღალი დონე.

ქრონობარათი – არის დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია მუშახელის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. იგი ივსება იმ მიზნით, რომ დაანგარიშებული იქნას მომუშავის მიერ ნამუშევარი ჯამური დრო.

ქრონომეტრაჟი – შრომის პროცესის შესწავლა დაკვირვებით, როდესაც აღინუსხება ცალკეული პროცესების და ოპერაციების ხანგრძლივობა.

ქსენოფონატი – (ძვ.წ.Vს.) (Xenomhon), ანტიკური ხანის ბერძენი მოაზროვნე. პირველმა გამოიყენა ტერმინი „ეკონომიკა“, რომელშიც ნაგულისხმევი იყო მონურ შრომაზე დამყარებული შინამეურნეობის გაძღოლის ხელოვნება. ისტორიაში შევიდა შემდეგი ნაშრომებით: „ჯიროპედია“, „საბერძნეთის ისტორია“, „მოგონებანი სოკრატეს შესახებ“ და ა.შ. ფულის ფუნქციებიდან ქსენოფონტი აღიარებდა მხოლოდ მის ორ ფუნქციას: ფულს, როგორც მიმოქცევის საშუალებასა და ფულს როგორც განძის დაგროვების საშუალებას. ქსენოფონატის შემოქმედება საინტერესოა იმითაც, რომ მას აღწერილი აქვს ქართველ ტომთა (მესხები, ტიბანერები, მოსინიკები, მაკრონები, ხალობები, კოლხები, სასპერები და ა.შ. ყოფაცხოვრება, წეს-ჩვეულებები, რაც მნიშვნელოვან მასალებს იძლევა მათი სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

ქცევა ადამიანის – პიროვნების პოზიცია, ანუ მისი საკუთარი ფუნქციების გაგებით განპირობებული სოციალურად მნიშვნელოვანი მოქმედების ერთობლიობა.

ღ

ღია – ეწოდება ისეთ ფაქტორინგს, რომლის დროსაც მყიდველს ატყობინებენ (ან შეიძლება შეატყობინონ) ფაქტორინგული შეთანხმების შესახებ. მისგან განსხვავებით, დასახული ფაქტორინგი კონფიდენციალური შეთანხმებაა ექსპორტიორსა და ფაქტორს შორის და იგი უცხოელი მყიდველისათვის არავითარი ინფორმაციის მიწოდებას არ ითვალისწინებს.

ღია ანგარიში – ანგარიშსწორების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც საკრედიტო ურთიერთობას ეფუძნება. მყიდველს გახსნილი აქვს ანგარიში, რომლისგანაც ჩამოიწერება გაგზავნილი საქონლის ღირებულება, როგორც კი გამყიდველი შესაბამის დოკუმენტს წარადგენს.

ღია ანგარიში (ინგლ. open accout) – საანგარიშსწორებო - საკრედიტო ურთიერთობის ფორმა გამყიდველსა და მყიდველს შორის, რომლის დროს გამყიდველი მყიდველს უტვირთავს საქონელს და მის სახელზე აგზავნის სასაქონლო დოკუმენტებს; მყიდველი რეგულარულად ფარავს დავალიანებას კონტრაქტში დათქმულ ვადებში.

ღია ანგარიშის გამოყენებისას – კონტრაქტში დათქმული უნდა იყოს: ძირითადი ვალის თანხა, პროცენტები, გადასახდელის საერთო თანხა, ვალის დაფარვა, ვადა და გრაფიკი. გადახდის ვადის დადგომისას იმპორტიორის ბანკი კრედიტორის ბანკს ურიცხავს შეთანხმებულ თანხას და პროცენტებს.

ღია ბაზრის პოლიტიკა – წარმოადგენს სწრაფ და მოქნილ ზემოქმედების იარაღს. ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის დროს ცენტრალური ბანკი ცდილობს, ხელსაყრელი პროცენტის შეთავაზებით ზემოქმედება მოახდინოს კომერციული ბანკების ლიკვიდობის სახსრების მოცულობაზე და, ამდენად, განახორციელოს მათი საკრედიტო ემისიის მართვა.

ღია ბაზრის პოლიტიკა – ცენტრალური ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ფულის ბაზარზე გავლენის მოხდენის მიზნით. ღია ბაზრის პოლიტიკის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა-მიწოდების რეგულირებით გამოიწვიოს კომერციული ბანკების შესაბამისი რეაქცია.

ღია ბაზრის პოლიტიკას – უწოდებენ ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, ფულად ბაზარზე გავლენის მოპოვების მიზნით.

ღია ბაზრის პოლიტიკის – ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნილებისა და წინადადებების რეგულირებით მიაღწიონ კომერციული ბანკებისაგან შესაბამის რეაქციას.

ღია ეკონომიკა – ეკონომიკა, რომელიც ურთიერთმოქმედებს მთელს დანარჩენ სამყაროსთან. ეს ნიშნავს საქონლით და მომსახურებით ვაჭრობას, კაპიტალის მოძრაობას, ინფორმაციისა და ნოუ-ჰაუს გადაცემას და სამუშაო ძალის მიგრაციას. მეურნეობათა უმეტესობა შედარებით არის ღია ამ კავშირის ზოგიერთი ფირმისათვის და მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანაშია ეკონომიკა მთლიანად ღია.

ღია ეკონომიკა – ეროვნული ეკონომიკა, რომელიც ფართო მასშტაბით ახორციელებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტს, სავაჭრო-ეკონომიკურ თუ საფინანსო კავშირებს. ასეთი ეკონომიკის საპირისპიროა ავტარკით – კარჩაკეტილი ეკონომიკა.

ღია ეკონომიკა (openeconomy) – ქვეყნის ეკონომიკა, რომელსაც გარე სამყაროსთან აქვს ფართო სავაჭრო-ეკონომიკური თუ ფინანსური კავშირები და ახორციელებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტს საპირისპიროა-ავტარკია.

მსოფლიო მეურნეობრივ კავშირებში ქვეყნის მონაწილეობის ხარისხს განსაზღვრავს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტის მოცულობა, საექსპერტო მოცულობა, საექსპორტო კვოტა, აქტიური საგადასახდელო ბალანსი და ა.შ.

ღია ეკონომიკის თეორია – ვარაუდობს, რომ საბაზრო კონკურენცია არის ეკონომიკური განვითარების საუკეთესო რეგულატორი, როგორც ეროვნულ დონეზე, ისე მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით.

ღია ვაჭრობა (open aiction) – საერთაშორისო ვაჭრობა, რომელზეც მიწვეულია მონაწილეობის მსურველი ყველა ფირმა და ორგანიზაცია. ჩვეულებრივ, თავს იყრის ასეთი ვაჭრე-

ბის დიდი რაოდენობა, რაც ამძაფრებს კონკურენციას და შემკვეთებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

ღია კორპორაცია – კორპორაცია, რომლის აქციების ყიდვა შეუძლია ყველა მსურველს.

ღია ლიცენზია – გულისხმობს პატენტის მფლობელის მიერ მისი გამოყენების უფლების მიცემას ნებისმიერი პირისათვის.

ღია მონოპოლია – ისეთი მონოპოლია, რომლის დროსაც ერთი ფირმა რაღაც დროით მაინც ხდება საქონლის ერთადერთი გამყიდველი, მაგრამ არა აქვს სპეციალური დაცვა კონკურენციისაგან. თუმცა მოგვიანებით ბაზარზე მათი კონკურენტებიც შეიძლება გამოჩდნენ.

ღია პოზიცია – ვაჭრობის პროცესში ისეთი მომენტი, როდესაც ყიდვა-გაყიდვაში ის შეუსაბამობა ჩნდება, ე.ი. პირველი ჭარბობს მეორეს ან პირუკუ, როდესაც შესყიდვა ჭარბობს. საქმე ე.წ. გრძელ პოზიციასთან გვაქვს, ხოლო, როდესაც პირიქით ხდება, მაშინ – მოკლე პოზიციასთან.

ღია სავალუტო პოზიცია – სავალუტო პოზიცია, რომლის დროსაც ბანკის მოთხოვნების თანხა და თანხა ცალკეულ უცხოურ ვალუტაში არ ემთხვევა ბანკის ვალდებულებებს ამავე ვალუტაში.

ღია სავალუტო პოზიცია – უცხოურ ვალუტაში სახსრების ნაშთების სხვაობა, რომლებიც ქმნის რაოდენობრივად დაუმთხვეველ აქტივებსა და პასივებს (ბალანსგარეშე მოთხოვნებისა და დაუსრულებელი ოპერაციებზე ვალდებულებების გათვალისწინებით) ცალკეულ ვალუტაში.

ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი – ბანკის ღია სავალუტო პოზიციის მაქსიმალურად დასაშვები სიდიდის შეფარდება მისი საკუთარი სახსრების (კაპიტალის) თანხასთან.

ღია საზოგადოება (open society) – ეს ტერმინი პირველად გამოიყენება ფრანგმა ფილოსოფოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ანრი ბერგსონმა წიგნში – „რელიგიისა და მორალის ორი წყარო“ 1932. ღია საზოგადოების ჩამოყალობების იდეა შემდეგ განავითარა ცნობილმა ავსტრო-ინგლისელმა

ფილოსოფოსმა კარლ პოპერმა წიგნში – „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (1966). ა. ბერგსონი ცნობდა ორი ტიპის საზოგადოებას და, შესაბამისად, ორი ტიპის მორალს: „ჩაკეტილსა“ და „ღიას“. მისი აზრით, პირველი აკმაყოფილებს სოციალური ინსტიქტის მოთხოვნილებებს და მიზნად ისახავს მოდგმის გადარჩენას, რომლის პირობებშიც პირობებშიც პიროვნება არის კოლექტივის მსხვერპლი, მეორე კი უკავშირდება ზნეობრივ ფასეულობებს, რომელიც მოდგმის გადარჩენის, მისი შენარჩუნების ინტერესებზე მაღლაა. კ. პოპერმა „ღია“, „ჰუმანური“ საზოგადოება დაუპირისპირა „ჩაკეტილ“, „ტოტალიტარულ“ საზოგადოებას. ამ უკანასკნელს იგი, ანტიკომუნისტური პოზიციებიდან, მიაკუთვნებდა სოციალისტურ საზოგადოებას.

ღია საწარმო – საწარმო, რომელიც სამუშაოზე იღებს, როგორც პროფკავშირის წევრს, ისე პროფკავშირის არაწევრს.

ღია ტიპის საინვესტიციო აქციონერული საზოგადოების ფონდი – უშვებს აქციებს განსაზღვრული პროპორციებით, რომლებიც თავისუფლად მიეყიდება ახალ მყიდველებს, რაც ახალი ინვესტიციებისათვის ფულადი კაპიტალის მუდმივი ზრდის საშუალებას იძლევა.

ღია ფასისებრი კონკურენციის დროს – მომხმარებლებს ფართოდ ატყობინებენ თავიანთ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დაკლების შესახებ (აწყობენ სეზონურ გაყიდვას, ფასების დაკლების აქციებს, გაზეთებსა და ჟურნალებში ათავსებენ შეღავათების მისაღებ კუპონებს და ა.შ.).

ღია ფაქტორინგი – ფაქტორინგის სახე, რომლის დროსაც საანგარიშსწორებო ოპერაციების მიხედვით კლიენტის პარტნიორებს ეგზავნებათ შეტყობინება ფაქტორინგული ხელშეკრულების და გადახდის რეკვიზიტების შეცვლის შესახებ.

ღია ფაქტორინგი – მომსახურების ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ფულის გადამხდელმა იცის, რომ მიმწოდებელი ახდენს ანგარიშ-ფაქტურების გადათმობას ფაქტორინგული კომპანიისათვის.

ღიადობა (disclosure principle) – მოითხოვს, რომ ფინანსური ანგარიშგება უფრო სასარგებლო ინფორმაციას მოიცავს. ზედმეტი (ჭარბი) ინფორმაციის არსებობამ განმკარგავი ორგანოების შეცდომაში შეყვანა არ უნდა გამოიწვიოს.

ღირებულება – თანხა, რომელსაც იხდის მომხმარებელი პროდუქციის ანდა მომსახურების მისაღებად და მისგან სარგებლის მისაღებად.

ღირებულება – ღირებულების სხვადასხვა თეორების მიხედვით, როგორიცაა მოთხოვნა-მიწოდების წარმოების ფაქტორების, საზღვრითი სარგებლიანობის შრომითი ღირებულების და ა.შ. ღირებულება სხვადასხვანაირად განისაზღვრება. მოთხოვნა-მიწოდების თეორიის თანახმად ღირებულება და ფასი იდენტურია. ე.ი. ნებისმიერი ფასეულობა და დანახარჯების სიდიდე ფულში გამოხატული. შრომითი ღირებულების თეორიის თანახმად ღირებულება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯია. საზღვრითი სარგებლიანობის თეორია ღირებულებას პროდუქტის სარგებლიანობით განსაზღვრავს, წარმოების ფაქტორების თეორიით ღირებულებას ამ ფაქტორებით მიღებული შემოსავლების - რენტა, პროცენტი, ხელფასი, მოგება - მიხედვით ადგენს.

ღირებულება (cost, value) – 1. ეკონომიკური ფასეულობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების პირობებში; იზომება ფულით; 2. შრომითი ღირებულების თეორიის მიხედვით, საქონელში განვითარებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა.

ღირებულება – სატელევიზიო რეკლამა მნიშვნელოვნად ძვირფასია საგაზეთო რეკლამასთან შედარებით. ჩვეულებრივად გაითვალისწინება სარეკლამო მიმართვის ღირებულება იყოს კონტრაქტზე გაანგარიშებით.

ღირებულებითი ანალიზი – დანახარჯების ანალიზი მათი შემცირების შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით.

ღირებულებითი კონცეფცია – საბუღალტრო აღრიცხვის ერთ-ერთი დებულება. მრავალი თანხა, რომელიც ფიგურირებს საბუღალტრო ჩანაწერებში, წარმოადგენს ფულად ერთეულებში გამოხატულ და გაცვლის პროცესში განსაზღვრულ ფასებს. ზოგიერთი აქტივი აღირიცხება მათი შეძენის ღირებულების მიხედვით.

ღირებულებითი მაჩვენებლები – ამა თუ იმ ეკონომიკურ მოვლენებს ფულად-ღირებულებით ფორმაში ახასიათებენ. ღირებულებითი მაჩვენებლები საშუალებას იძლევა განზოგადებული სახით შესწავლილი იქნეს, როგორც მთლიანად საწარმოს, ესე ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციები.

ღირებულებითი (ანუ ფასის) ინდექსი – გვიჩვენებს დროის განმავლობაში ერთეულის ფასის ცვლილებას. მას ინფლაციის კოეფიციენტსაც უწოდებენ. იგი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

ფასის მარტივი ინდექსი $= \frac{P_1}{P_0} \cdot 100$, სადაც

P_0 – არის საგნის ერთეულის ფასი საბაზისო პერიოდისათვის;

P_1 – არის საგნის ერთეულის ფასი მიმდინარე პერიოდისათვის.

ღირებულების პარადოქსი (cost paradox) – წინააღმდეგობა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ადამიანის არსებობისათვის ერთ-ერთო ყველაზე საჭირო საქონელი, მაგალითად, პური, ბევრად იაფი ღირს, ვიდრე ადამიანის არსებობისათვის გაცილებით ნაკლებად საჭირო საქონელი – მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტი. მეორე მხრივ, თუ მივმართავთ რესურსების შეზღუდულობის პრინციპსა და სარგებლიანობის თეორიას, პურის ნაჭერს შიმშილისა–გან მომაკვდავი ადამიანისათვის გაცილებით მეტი სარგებლობა აქვს, ვიდრე მუსიკალურ ინსტრუმენტს.

ყ

ყადაღა (to freeze an account) [არხ. აკრძალვა, აღკვეთა] – აკრძალვა ან შეზღუდვა, დაწესებული სახელმწიფო ორგანოების მიერ რაიმე ქონების გამოყენებაზე ან განკარგვაზე; კონფისკაციის მოხდენა, ჩამორთმევა.

ყაირათი – არაბულად გამოზოგვა – სიფრთხილე, მომჭირნეობა.

ყალანი – სპარსულად ბეგარა, გადასახადი.

ყარაული – თურქულად დარაჯი, შეიარაღებული მცველი.

ყუა – არაბულად მახვილის, დანის ბლაგვ ნაწილს, ზურგს ნიშნავს. ქვითრის ის ნაწილი, რომელიც გამცემს რჩება.

ყველა აქტიურ და პასიურ ანგარიშებზე ჯამის გაკეთება – ანუ წინასწარი ბალანსის (preliminary balance) მომზადება – ჟურნალებიდან მონაცემების მთავარ და დამხმარე წიგნებში გადატანას თან საფინანსო პერიოდის ბოლოს წინასწარი ბალანსის მომზადება ახლავს. როგორც კი წინასწარი ბალანსი მზად იქნება, ბუღალტრული ჩანაწერების ბალანსი მზად იქნება. ბუღალტრული ჩანაწერების სტადიები დამთავრებულად ითვლება.

ყველა ის ვალი, – რომელიც საბალანსო ანგარიშების შედგენიდან ერთ წელზე მეტი ვადის განმავლობაში უნდა დაიფაროს გრძელვადიანი ვალდებულებებით.

ყველა მაჩვენებელი, – რომლითაც ბანკის ლიკვიდობის ამა თუ იმ მხარეს აფასებენ, შეგვიძლია შემდეგ ჯგუფებად დავყოთ: საკუთარი სახსრების საკმარისობის მიხედვით თანაფარდობის მაჩვენებლები; აქტივების ხარისხისა და რისკიანობის მაჩვენებლები; პასივების სტრუქტურისა და სტაბილურობის მაჩვენებლები; მომგებიანობისა და რენტაბელობის მაჩვენებლები.

ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია [International Standart Industrial Classification of Economic Activities – ISIC) – ეკონომიკური საქმიანობის კატეგორიების ნაკრები, რო-

მელიც გამოიყენება სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფებისათვის ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით.

საქმიანობის სახეობა განისაზღვრება იმ წარმოებით, რომელსაც ახორციელებს სტატისტიკური ერთეულის ჯგუფთება სხვადასხვა ერთეულებთან საწარმოთა სტატისტიკაში კვლევის, შერჩევისა და აღწერის ჩასატარებლად. ამიტომ ISIC იძლევა დაკვირვების ობიექტების კლასიფიცირების საშუალებას იმ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, რომელსაც ისინი ეწევიან. ამ განსაზღვრებით ISIC-ის კატეგორიები მჭიდრო კავშირშია დაკვირვების ერთეულების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის პროცესთან და ამ პროცესის სტატისტიკური აღწერის მეთოდებთან.

ISIC წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის და არა დარგების ან პროდუქციისა და მომსახურების კლასიფიკაციას.

ISIC გამოიყენება საწარმოთა რეგისტრში, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში, სტატისტიკურ ანგარიშებში. საგადასახადო სამსახურებში, ლიცენზიებში და წარმოადგენს ბაზას ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის ეროვნული ვერსიების შესაქმნელად.

ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი (sale and purchase contract) – ხელშეკრულება, რომელსაც დებენ კომერციული საფუძველზე და ითვალისწინებს საქონლის ან მომსახურების მიწოდებას. მასში დადგენილია მხარეთა გარკვეული უფლებები და მოვალეობები. კონტრაქტში მითითებულია ხელშეკრულების სუბიექტები, საგანი, ფასი, საერთო თანხა, მოწოდების ვადები და პირობები, გამყიდველთა გარანტიები, დაზღვევა, საჯარიმო სანქციები, არბიტრაჟი. საერთაშორისო ვაჭრობაში ამ კომერციული კონტრაქტის დადებისას ფართოდ გამოიყენება მიწოდების საბაზისო პირობები.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების – აუცილებელი პირობაა საქონლის მფლობელის შეცვლა, ანუ გამყიდველიდან მყიდველზე საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა.

ყიდვის ოფციონი ანუ „ქოლ“ ოფციონი (call option) – ესაა ინსტრუმენტი, რომელიც მის მფლობელს აძლევს გარკვეული რაოდენობის აქტივების მოცემულ ფასებში ყიდვის უფლებას დროის ნებისმიერ მომენტში, ოფციონით განსაზღვრული დროის ჩათვლით (გარკვეული „ოფციონური პრემიის“ სანაცვლოდ, რომელსაც ის ამ ოფციონის გამყიდველს უხდის).

ყიდვების სიხშირე – წარმოადგენს ყიდვების რაოდენობას, რომლებიც სრულდება ერთი საშუალო სტატისტიკური მყიდველის მიერ დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში.

ყინულის აღნიშვნა – პირობა, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა ურთიერთდამოკიდებულებას დატვირთვის ანდა განტვირთვის პორტში ყინულის წარმოქმნის შესახებ. საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება შეიძლება დაუყონებლივ შეწყდეს ტვირთმფლობელის მიერ, თუ აღნიშნული პორტი გაჩერდება მიუწვდომელი ყინულის გამო.

ყრილი ტვირთი – (მაგალითად, მარცვლეული) გადააქვთ ტარის გარეშე მისი მთავარი თვისებაა – ფხვიერობა. შეიძლება გადაზიდვა სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებებით: ბუნკერის ტიპის ვაგონებით, ღია ვაგონებით, პლატფორმებით, კონტეინერებში, ავტომანქანებში.

ყოველი განვითარებული სახელმწიფოს საფინანსო სისტემის წამყვანი ელემენტი – არის ცენტრალური ბანკი. იგი არის სახელმწიფო დაწესებულება, ქვეყნის მთავარი სახელმწიფო ბანკი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული უფლებები; მოწოდებულია დაარეგულიროს ფულის მიმოქცევა ქვეყანაში, განხორციელდეს ფულის ემისია, დაარეგულიროს კრედიტი და სავალუტო კურსი, გააკონტროლოს კომერციული ბანკების საქმიანობა, შეინახოს ფულადი სახსრები და ოქროს რეზერვები. ცენტრალურ ბანკს უწოდებენ „ბანკთა ბანკს“.

ყოველი ქვეყნის მოსახლეობა – იყოფა **სოციალურ ჯგუფებად**

და ყოველი ადამიანი ამა თუ იმ ქვეყნის ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელია.

ყოველდღიური მოთხოვნის საქონელი – ხშირი მოთხოვნის საქონელი. ამ ჯგუფის საქონელს აგრეთვე უწოდებენ ყოველდღიური მოხმარების საქონელს.

შ

შაბაში – (ძველი ებრაული) მუშაობის შეწყვეტა, დასვენება.

შავი ბაზარი (black market) – ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ფუნქციონირებადი ბაზარი. ფარული ეკონომიკის ერთ-ერთი ატრიბუტი. როგორც წესი იმ სფეროებში წარმოიშობა, სადაც სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკური საქმიანობის მკაცრი ადმინისტრაციული რეგულირება არსებობს.

შამპანურის ბოკალი – ინიშნება 12-13 საათებს შორის და გრძელდება არაუმეტეს 1 სთ.

შასი – თვითმფრინავის ან შვეულფრენის მიწაზე აფრენა-დაჯდომისა და გადაადგილებისათვის აუცილებელ მოწყობილობათა ერთობლიობა.

შებრუნებული კონვერსია – ფასიანი ქაღალდების ვალდებულებათა უკუგაცვლა, რომელსაც ბროკერები მათი კლიენტების ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავლის მისაღებად იყენებენ.

შედარება – საერთოდ ყოველგვარი აზროვნებისა და შემეცნების საფუძველს წარმოადგენს. იგი მეცნიერების ყველა დარგში გამოიყენება: ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, ასტრონომიულ მეცნიერებებში, მათემატიკაში, კიბერნეტიკაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიულ მეცნიერებებში და ა.შ. „ჩვენ მთელ სამყაროს შევიმეცნებთ შედარების მეშვეობით, წერს კ.დ. უშინსკი. იგი არის შემეცნების სარკმელი, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანის მთელი შემეცნებითი ცხოვრება და მოღვაწეობა“. ი.მ. სეჩონოვი წერს, „იქ, სადაც ქრება შედარების საზღვრები, იქ არის, რეალუ-

რი სამყაროს შემეცნების შესახებ, მეცნიერების ზღვარი“. „შედარება გამოყენებული უნდა იქნას გააზრებულად, მისი სამართლიანობის განსაზღვრული პირობებისა და საზღვრების მკაცრად დაცვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“ – წერს მ.მ. მისლენიკოვი.

შედარებითი ანალიზი – არის კორპორაციის (ფირმის), შვილობილი საწარმოების, ქვედანაყოფების, საამქროების ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით ანგარიშგების ჯამური მაჩვენებლების, როგორც შიდასამეურნეო ანალიზი, ასევე მოცემული საწარმოს მაჩვენებლების კონკურენტების, საშუალოდარგობრივი და საშუალო სამეურნეო მონაცემების მაჩვენებლებთან მეურნეობათაშორისი ანალიზიც.

შედარებითი უპირატესობა – ქვეყნის უნარია აწარმოოს რომელიმე საქონელი თავის სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით უფრო დაბალი დროებითი ხარჯებით.

შედგენის პერიოდის მიხედვით – ანგარიშგება იყოფა წლიურ და შუალედურ ანგარიშებად. შუალედურ ანგარიშგებას წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან მის დამთავრებამდე პერიოდში შედგენილი და წარდგენილი ანგარიშგება.

შედეგიანობის მაჩვენებელი – სპეციალური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს დასახული მიზნების რეალიზაციის პროცესში მიღწეული შედეგების დონეს. გამოიყენება კონტროლის დროს.

შეერთება (Connection) – საიტის კავშირი სხვა საიტებთან.

შეერთებული სატრანსპორტო საშუალება – სატრანსპორტო საშუალება ნახევარმოსაბმელით.

შეერთებული ტარიფები – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ტარიგებისა და რკინიგზის სატარიფო სამსახურების გაერთიანებაზე ტვირთების გადაზიდვაზე ერთიანი ტარიფების გამოსამუშავებლად. ეს ტარიფი გამოიყენება მონაწილე ქვეყნების ურთიერთმიმოსვლებში.

შევაჭრებითი ფასი – კომერციული მოლაპარაკებების მნიშვნელოვანი რგოლი, როდესაც მყიდველი ცდილობს დააკ-

ლებინოს გამყიდველს საქონელზე ფასი ტაქტიკური და ფსიქოლოგიური ხერხების დაჯერებული მოსაზრებების მოშველიებით.

შეზღუდული ამხანაგობა (Limited partnership) – არის ამხანაგობა, რომელიც ერთ ან მეტ ძირითად პარტნიორებს მოიცავს, რომლებსაც საწარმოს საქმიანობაზე სრული პასუხისმგებლობა გააჩნიათ, კომანდიტურ პარტნიორებთან ერთად, თუმცა ამ უკანასკნელს საწარმოს საქმიანობაზე შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია და მის ყოველდღიურ საქმიანობაში მას ხმის მიცემის უფლება არ აქვს.

შეზღუდული დატვირთვა – გულისხმობს თითოეული რესურსის დაგეგმვას, ანუ იმის განსაზღვრას, როდესაც რომელიმე შეკვეთის შესრულება ყოვნდება. შეზღუდულ დატვირთვაზე დაფუძნებული ყოველი კალენდარული გეგმა შესრულებადია.

შეზღუდული ზრდის სტრატეგია – სტრატეგიული ალტერნატივა, რომელიც ხასიათდება წარსული მიღწევების დონეზე ჩამოყალიბებული მიზნებით, ინფლაციის გათვალისწინებით. უფრო ხშირად გამოიყენება კარგად განვითარებული სტატიკური გარესამყაროს დარგებში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია – ანუ კორპორაცია (Limited Liability compans or corporation), რომელიც ადამიანთა გაერთიანებულ ჯგუფს ნიშნავს, იგი განიხილება როგორც ერთი იურიდიული პირი (Legal ent ity) კორპორაციის ყველა წევრების კუთვნილი საკუთრების, უფლებამოსილებისა და დავალიანებასთან მიმართებაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობაზე მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე გარდა 3-4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (Limited Lability company) – ორგანიზაცია, შექმნილი იურიდიული ან

ფიზიკური პირების შეთანხმების საფუძველზე, მათი კაპიტალის გაერთიანების გზით სამეურნეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. შპს უნდა შედგებოდეს არა ნაკლებ ორი წევრისაგან. საზოგადოება იქმნება და მოქმედებს სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და წესდების საფუძველზე, იძენს იურიდიული პირის უფლებას რეგისტრაციის მომენტიდან. დადგენილი წესის თანახმად, შექმნილი წესის თანახმად, შექმნილი წმინდა მოგება საზოგადოების წევრებს შორის ნაწილდება პროპორციულად, საწესდებო ფონდში მათი წილის შესაბამისად. საზოგადოების უმაღლესი ორგანოა მონაწილეთა კრება ან მათი წარმომადგენლები, რომელსაც წელიწადში ორჯერ ირჩევენ. კრება განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, წესდებაში შეაქვს ცვლილებები, ამტკიცებს გეგმებსა და ანგარიშებს, ირჩევს აღმასრულებელი ორგანოებისა და სარევიზიო კომისიის წევრებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის – საზოგადოება საწარმოს ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ითვალისწინებს მის მონაწილეთა მიერ საწესდებო ფონდში გარკვეულ საპაიო შენატანებს და თავიანთი შენატანების ზღვრებში შეზღუდულ პასუხისმგებლობას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების ქონებით, ხოლო თითოეული პარტნიორის პასუხისმგებლობა – საწესდებო კაპიტალში მისი წილით.

შპს – მეწარმეთა შესახებ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობაზე მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა მეწარმეთა შესახებ კანონის 34 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. შპს სა-

წესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 2000 ლარს.

შეთავაზებული მომსახურების დიფერენციაციის ხარისხი – დიფერენციაციის დაბალი ხარისხი ხელს უშლის მომხმარებლებში არჩევანის გაკეთებას და ამით დიფერენცირებული მომსახურის გამყიდველთა კვაზიმონოპოლიური მდგომარეობის ჩამოყალიბებას. ეს თავის მხრივ, აძლიერებს მომხმარებელთა გავლენას.

შეთავსებადობა – სიახლეთა შესაბამისობის ხარისხი ორგანიზაციის მომუშავეთა შესაძლებლობებთან, შეხედულებებთან და გამოცდილებასთან.

შეთანხმება საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების შესახებ (GOTIF) – სამთავრობათაშორისი შეთანხმება საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების სფეროში, რომელიც მოქმედებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყანაში. საქართველოს არ წარმოადგენს შეთანხმების მონაწილეს. FOTIF თავისი შინაარსით წარმოადგენს შსსმ-ის ანალოგს, თუმცა არის ზოგიერთი განსხვავება.

შეთანხმება საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლების შესახებ (შსსმ) – მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის მონაწილეებს დსთ-ს ქვეყნებში, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი. უნგრეთი, ბულგარეთი, ჩინეთი, მონღოლეთი, ჩრდილოეთ კორეა, ვიეტნამი. შეთანხმება ეხება ყველა ქვეყანა – მონაწილეს რკინიგზებით ერთიანი გადაზიდვის პირობებს, ერთიანი გადაზიდვის დოკუმენტების გამოყენებას, პასუხისმგებლობის ერთიან ნომრებს, ერთიან სატარიფო პოლიტიკას. შეთანხმება ითვალისწინებს შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლების დადგენას.

შეთანხმებითი პროცედურა – გულისხმობს საკითხის მეგობრული მოლაპარაკების გზით გადაჭრას, მესამე პირის ანუ შუამავლის აქტიური მონაწილეობით.

შეთანხმებულობა – დაგეგმვის სისტემის ყველა კერძო გეგმა უნდა იყოს კოორდინირებული და ინტეგრირებული. გეგ-

მების შეთანხმებულობა უწინარეს ყოვლისა ეხება გეგმის შემადგენელ ნაწილებს და დამოკიდებულებებს ცალკეულ გეგმებს შორის. გეგმების პოზიციებიდან შეიძლება შეთანხმებულ იქნას მიზნები, პროგნოზები. ღონისძიებები, საშუალებები, გეგმის პასუხისმგებელი პირების საქმიანობა და ვადები.

შეკვეთა – ლოგისტიკური ოპერაციის ინფორმაციული ერთეული. საერთო შემთხვევაში წარმოადგენს ბლანკს, რომელიც გადის ლოგისტიკური ტრანსაქციის ყველა სტადიას. შეკვეთა, როგორც წესი, აერთიანებს თავისთავში ყველა დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია ცალკე სავაჭრო გარიგებასთან.

შეკვეთა დაფრახტვაზე – დოკუმენტია, რომელშიც მიმწოდებელი გადამზიდავს სთხოვს გარკვეული ტვირთვისათვის ადგილების დაჯავშნას და უთითებს სასურველი სატრანსპორტო საშუალებას, გაგზავნის დროს და ა.შ.

შეკვეთა მოთხოვნაზე – მომარაგების განყოფილების მენეჯერი (მმართველი) მიიღებს რა დამოწმებულ მოთხოვნას მასალების შესყიდვაზე, შეარჩევს მომწოდებელს წარსული გამოცდილების, მოწოდების ფასის, ხარისხის და ვალდებულებების საფუძველზე.

შეკვეთის სააღრიცხვო ბარათი – ასახავს კონკრეტულ სამუშაოზე დახარჯული დროს მასში მოცემულია რა სახის სამუშაო შეასრულა მუშაკმა და რა რაოდენობის დრო დახარჯა მასზე.

შეკვეთის განთავსების პერიოდულობა – ესაა პერიოდულობა რომლითაც შეკვეთების მენეჯერს შეუძლია განათავსოს რეგულარული შეკვეთები სასაწყობო მარაგების შევსებაზე (პროდუქციის გაყიდვის მომენტიდან, მორიგი შეკვეთის გაფორმების დაწყებამდე, დღეთა მაქსიმალური რიცხვის ჩათვლით).

შეკვეთის გაფორმების ხანგრძლივობა – დრო, რომელიც დახარჯულია სტანდარტული შეკვეთის კორექტირებაზე და დაზუსტებაზე.

შეკვეთის ოპტიმალური სიდიდე – შეკვეთის ისეთი რაოდენობაა, რომლის დროსაც შეკვეთებისა და პროდუქციის შენახული მარაგების მოცულობის ღირებულებაზე იქნება მინიმალური. ეს მაჩვენებელი აგრეთვე ცნობილია, როგორც შეკვეთის ეკონომიკური სიდიდე (EOQ).

შეკვეთის შესრულების ტექნოლოგიური პროცესი – თანმიმდევრულად შესასრულებელი ლოგისტიკური ოპერაციების ერთობლიობა.

შეკვეთის წერტილი – საკითხი შეკვეთის დროის შესახებ წყდება მაშინ, როდესაც საჭიროა შეუკვეთოს ანდა განვაახლოთ შეკვეთა საჭირო პროდუქციაზე. შეკვეთის წერტილი დგება, მაშინ როდესაც, რომელიმე სახის არსებული პროდუქციის რაოდენობა მცირდება განსაზღვრულ დონეზე დაბლა.

შეკვეთების მართვის პროცესი – საქმიანობის ყველა სახის მენეჯმენტი, რომლებშიც დაკავშირებულია შეკვეთების მიღებასა და დამტკიცებასთან, საქონლის დროულად გაგზავნასთან ფულის გადახდების განხორციელების კონტროლთან.

შეკვეთების მიღება – ვაჭრობის მუშაკი, რომელიც დაკავებულია ძირითადი შეკვეთების მიღებით. გამოყოფენ ორ ტიპს: „საშინაო (საოფისე)“ მუშაკები (გამყიდველი, რომელიც დგას დახლთან) და საგარეო მუშაკები (კომპანიის სავაჭრო წარმომადგენელი, რომელიც აწვდის საპონს, ურთიერთობას სუპერმარკეტების მენეჯერებთან).

შეკვეთების სამსახური დათმობებით – საცალო საწარმო, რომელიც უწევს მომსახურებას კლიენტების განცალკევებულ ჯგუფს – ჩვეულებრივად მსხვილი ორგანიზაციების მუშებს და მომსახურეებს, ისეთებს, როგორიცაა: სკოლები, საავადმყოფოები, კავშირები და სახელმწიფო დაწესებულებები – სპეციალურად ამორჩეულ საცალო მოვაჭრეებისაგან ფასდაკლებით შესყიდვაზე.

შეკვეთის შესრულების დრო – სტანდარტული შეკვეთის გადაცემის, პროდუქციის მიღების, საწყობში მიღებული

პროდუქციის განთავსების და მარაგების მართვის სასაწ-ყობო სისტემის მონაცემთა ბაზაში შეტანის საშუალო დრო.

შეკითხვა დოკუმენტია – რომელშიც მყიდველი გამყიდველს (იმპორტიორი ექსპერტიორს) თხოვს ინფორმაციას საქო-ნელზე და (ან) წინადადების გაგზავნას მის მიწოდებაზე.

შეკითხვის დადასტურება – კომერციული დოკუმენტია, რო-მელშიც ექსპერტიორი იუწყება შეკვეთის პირობების მიღებას ყოველგვარი ცვლილებების გარეშე.

შემავალი მატერიალური ნაკადი – შედის ლოჯისტიკურ სისტე-მაში გარემოდან.

შემავსებელი საქონელი (complementary goods) – საქონელი, რომლის ფასის გაზრდა იწვევს მეორე საქონელზე მოთ-ხოვნის შემცირებას.

შემათავსებელი უფლებამოსილება – გულისხმობს, რომ მისი მფლობელი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია გა-მოთქვას თავისი დამოკიდებულება მიღებული გადაწყვე-ტილებების მიმართ ის შეიძლება ორი სახის იყოს: გამაფრ-თხილებელი და ამკრძალავი. პირველს იყენებენ მოსა-ლოდნელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად. ამკრძა-ლავი უფლებები აქვს მთავარ ბუღალტერს, ფინანსისტს ფულადი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული დოკუ-მენტების შედგენა დაუშვებელია მათი თანხმობის და ხელმოწერის გარეშე.

შემდგომი აქცეპტი – ითვალისწინებს საანგარიშსწორებო დოკუ-მენტების დაუყოვნებელ განაღდებას ბანკის საოპერაციო დღის განმავლობაში მათი შემოსვლისთანავე. ამ დროს გადამხდელი ინარჩუნებს უფლებას (აქცეპტზე) შემდგომი უარი ითქვას სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

შემთხვევითი – უფრო დაბალი ხარისხის შემოსავალი, რომელ-თა შორის გამოყოფენ განსაკუთრებულს („ცუდი“, დაკარ-გული კრედიტის დაბრუნება), სავალუტო არბიტრაჟისა და ფასიანი ქაღალდების მოკლევადიანი ოპერაციებით

მიღებული შემოსავლები, მიღებული ჯამები და ფინანსური სანქციები, ქონების რეალიზაცია (ქონების, აქტივები).

შემთხვევითი სიდიდე – სიდიდე ალბათობის თეორიაში, რომელიც ღებულობს გამოცდის შემთხვევით შედეგთან დაკავშირებით ამა თუ იმ მნიშვნელობებს განსაზღვრული ალბათობით.

შემთხვევითი შეცდომა – შეცდომა, რომელსაც აქვს ალბათობის ერთნაირი სიდიდე შესასწავლი ან შემცირების მხრივ, შეცდომა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას იმის გამო, რომ გამოკვლევა ხდება რაღაც ნაწილის და არა მთლიანი ერთობლიობის.

შემნახველი ბანკის ოპერაციები – შემოსულობები: ა) მოსახლეობის ანაბრების მიღება; ბ) ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან; გ) აკრედიტივების გახსნიდან; დ) მოქალაქეთა ფულის შემოსულობები და ა.შ. გასაცემი თანხები: ა) მოსახლეობის ანაბრების გაცემა; ფასიანი ქაღალდების დაფარვა და მათზე პროცენტების გასტუმრება; ბ) საპენსიო და შემწეობები; გ) აკრედიტივების თანხების გაცემა; დ) მოქალაქეთა გზავნილების გაცემა; ე) შემნახველი ბანკის მუშაკთა ხელფასი.

შემოთავაზებული მომსახურების დიფერენციის ხარისხი – რაც უფრო ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან კონკურენტების მომსახურება, მით უფრო მეტია კონკურენციის ინტენსივობა ღრმა დიფერენციაციის ერთგვარ „არათანაბარ მდგომარეობაში“ აყენებს კონკურენტებს, ე.ი. ისევე მოქმედებს, როგორც კონკურენტების ძალთა უთანაბრობის ფაქტორი. საბანკო საქმეს ტრადიციულად მიიჩნევენ საქონლის დიფერენციაციის მაღალი დონის მქონე სფეროდ. ჩვენში მაღალი დონის დიფერენციაცია აღინიშნება ისეთ დარგებში, როგორიცაა საშემნახველო საქმე, საინვესტიციო შუამავლობა, ყოველგვარი საანგარიშსწორებო – საკასო მომსახურება, სავალუტო მომსახურება.

შემოსავალი – ფულადი შემოსავლის ნაკადი (flow) დროის ერთეულში: მაგალითად, 249 დოლ. კვირაში ან 300 ათ. დოლ. წლიურად.

შემოსავალი (income) – ფულადი ან სხვა ფასეულობები, მიღებული კერძო პირების, ფირმებისა და სახელმწიფოს მიერ დროის გარკვეულ პერიოდში ამა თუ იმ საქმიანობიდან.

შემოსავალი – ეწოდება ფულის, საქონლის ან მომსახურების იმ რაოდენობას, როდესაც დროის გარკვეულ პერიოდში პიროვნება, ოჯახი, კოლექტივი თუ სახელმწიფო შესრულებული სამუშაოს საზღაურად იღებს.

შემოსავალი – მომსახურების (მგზავრთა გადაყვანის ბარგის გადატანის) ანაზღაურებით მიღებული თანხები.

შემოსავალი – არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეების დამატებით შენატანებთან.

შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (incom per capiza) – **შპს** ან **მეპ** ქვეყნის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ფართოდ გამოიყენება ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების დონის დასახასიათებლად, თუმცა, ამ მაჩვენებლებმა შეიძლება ვერ მოგვცეს რეალური სურათი, ვინაიდან არ ითვალისწინებს შემოსავლების განაწილების სისტემას და საკუთრების როლს ამ სისტემაში.

შემოსავალი პასიური ოპერაციებიდან – რომელსაც ბანკი იღებს (შეიძლება მიიღოს) საკომისიო გასამრჯელოს (კომისიების) ფორმით.

შემოსავალი პარტნიორობიდან – ფირმას შეუძლია შესთავაზოს ბიზნეს-პარტნიორებს web-საიტის ორგანიზაციის ხარჯების განაწილება ამავე საიტზე უფასო რეკლამის სანაცვლოდ.

შემოსავალი პლოფილირებიდან – საიტის მფლობელებს, რომლებიც სპეციალიზდებიან კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფის ძირითადი პარამეტრების აღწერაზე, შეუძლიათ შესაბამისი ნებართვის არსებობისას გაყიდონ ეს ინფორმაცია.

შემოსავალი პროდუქტებისა და მომსახურების გაყიდვიდან – საიტები, რომლებიც სპეციალიზდებიან *E*-ვაჭრობაზე განაპირობებენ ამონაგებს (ნავაჭრის) დიდ მოცულობას საქონელზე ფასნამატის (დარიცხვის) მეშვეობით.

შემოსავალი რეკლამიდან – რეკლამის გაყიდვა, როგორც შემოსავლის ერთ-ერთი წყარო.

შემოსავალი სპონსორებიდან – ფირმას შეუძლია შესთავაზოს სპონსორს განათავსოს თავის საიტზე, რაღაც განცხადება სპონსორის გასამჯელოზე სანაცვლოდ.

შემოსავალი (საექსპლუატაციო) – საავიაციო მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი თანხა, რომლის სიდიდე დამოკიდებულია რეალიზებული მომსახურების რაოდენობაზე, ხარისხსა და ტარიფზე. საექსპლუატაციო შემოსავლები მოიცავს: რეგულარული გადაზიდვებიდან (მგზავრებიდან, ზენორმატიული ბარგიდან, ტვირთიდან, ფოსტიდან), არარეგულარული გადაზიდვებიდან (ჩარტერული რეისები, სპეცრეისები) და არაძირითადი საქმიანობიდან (თვითმფრინავის იჯარით გაცემიდან, გარეშე ავიაკომპანიებზე ტექნიკური მომსახურებიდან, მიწისზედა ნაგებობების იჯარით გაცემოდან) მიღებულ შემოსავლებს.

შემოსავალი ჩვეულებრივ აქციებზე – მაჩვენებელი, რომლის საფუძველზეც შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ ერთ ჩვეულებრივ აქციას რამდენი ფაქტობრივი შემოსავალი მოაქვს. მოცემული შემოსავალი მოაქვს. მოცემული მაჩვენებელი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს წლის განმავლობაში კომპანიის შემოსავლის გაყოფით გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რიცხვზე.

შემოსავალი ცნობიდან – ფირმებს შეუძლიათ მიიღონ საფასური სხვა საიტებზე მითითებისთვის (მინიშნებისთვის).

მაგალითად, ფირმა ღებულობს „მაძიებლის საფასურს“ თითოეული კლიენტისათვის, რომელიც მის საიტზე ავსებს ფირმის ანკეტას იმის მიუხედავად, შედგა თუ არა გარიგება.

შემოსავალი ხელმოწერიდან – ზოგიერთი web-საიტები ავრცელებენ ფასიან ხელმოწერას საიტის გამოყენებაზე.

შემოსავლის ეფექტი – ფულის მიწოდების ზრდა გამაფართოებელ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე, ამიტომ უნდა გაიზარდოს ეროვნული შემოსავალიც და საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობაც. ლიკვიდობისთვის უპირატესობის მინიჭების მოდელი სასესხო კაპიტალის ბაზრის მოდელის მსგავსად გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება. ამრიგად შემოსავლის ეფექტი ფულის მიწოდების ზრდისას დაიყვანება საპროცენტო განაკვეთის ზრდაზე, როგორც რეაქცია შედარებით უფრო მაღალი დონის შემოსავლის მიღებაზე.

შემოსავლის ეფექტი – კეინსის აზრით, არსებობს ორი მიზეზი, რომელიც ცვლის ფულზე მოთხოვნას. ჯერ ერთი, ეკონომიკური შემოსავლისას და შემოსავლიანობის ზრდისას იზრდება სიმდიდრეც და ადამიანები ესწრაფიან დააგროვონ რაც შეიძლება მეტი ფული, რადგანაც ფული ასრულებს ღირებულების შენარჩუნების საშუალების ფუნქციას. მეორე, ეკონომიკური აღმავლობისა და შემოსავლიანობის ზრდის პერიოდში ადამიანები ეცდებიან რაც შეიძლება მეტი შეიძინონ, რისთვისაც მათ მეტი რაოდენობის ფული დასჭირდებათ. შემოსავლიანობის მაღალ დონეს მივყავართ ფულზე მოთხოვნის ზრდასთან, რაც იწვევს მოთხივნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას.

შემოსავლის ეფექტი (income effect) – საქონლის ფასების ცვლილება ამცირებს ან ზრდის მომხმარებლის რეალურ შემოსავალს. მომხმარებელი რეალური შემოსავლის ცვლილების საპასუხოდ ყიდულობს ნაკლებ (ან მეტ) საქონელს, მათ შორის მასაც, რომელზედაც შეიცვალა

ფასი. ამას ეწოდება ფასების ცვლილებით გამოწვეული შემოსავლის ეფექტი.

შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს – საკორესპონდენტო ურთიერთობები, როდესაც ბანკი პროცენტს იღებს სხვა ბანკი ან ბანკების გაერთიანებაში საკორესპოდენტო ანგარიშზე არსებული საკრედიტო სალდოდან. შემოსავალი დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, პროცენტის დარიცხვის წესზე. საკრედიტო სალდოს ოდენობასა და ხანგრძლივობაზე.

შემოსავლები – მფლობელის კაპიტალის ზრდის წყაროა. იგი საწარმოს მიერ საანგარიშგებო პერიოდში საქონლის (პროდუქციის, მომსახურების) მიწოდების, აგრეთვე მოკლევადიანი ინვესტიციების შედეგად მიიღება, ზრდის აქტივებსა და ამცირებს ვალდებულებებს.

შემოსავლები (income) – თავისთავად კორპორაციის აქტივების ნაზარდს წარმოადგენს, რომლებიც ძირითადად წარმოებისა და საწარმოს ძირითადი საქმიანობის ჩარჩოებში საქონლის და მომსახურების მიწოდებით არის გაპირობებული. კომპანიამ შეიძლება შემოსავლები ასევე საინვესტიციო საქმიანობიდანაც, როგორც აქტივების ფლობისა და გაყიდვის შედეგი მიიღოს.

შემოსავლები – არის ღირებულებები, რასაც კომპანია იღებს საქონლის, მომსახურების რეალიზაციით და ისეთ წყაროებით, როგორიცაა პროცენტი (წილი), იჯარა, ჰონორარი და ასე შემდეგ. საბოლოო გაყიდვების დასადგენად, პროდუქტისა და მომსახურების მთლიანი გაყიდვები დაბრუნებებით და შეღავათებით ანაზღაურდება.

შემოსავლები აქტიური ოპერაციებიდან – ისინი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს საოპერაციო და სხვა (არასაოპერაციო) შემოსავლებლად.

შემოსავლების ამსახველი ანგარიშები – საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებული, აღიარებულ შემოსავლებს ასახავენ. შემოსავალი საწარმომ

შეიძლება მიიღოს საოპერაციო ან ძირითადი საქმიანობიდან, არასაპატიო საქმიანობიდან და გაუთვალისწინებელი ანუ არაორდინალური შემოსავლების სახით.

შემოსავლების ანალიზი და რეგულირება – ამ გაგებით ბანკის წინაშე მდგარი ამოცანები შეიძლება ორ ძირითად პუნქტად ჩამოყალიბდეს. ა) აუცილებელია ერთობლივი შემოსავლების ფაქტობრივი მოცულობისა და სტრუქტურის რეგულარული შეფასება რამოდენიმე წილის დინამიკაში, მათ სხვადასხვა სახეებს შორის თანაფარდობის განსაზღვრა, ასევე შემოსავლის ყოველი სახის ხვედრითი წილის დინამიკაში, მათ სხვადასხვა სახეებს შორის თანაფარდობების განსაზღვრა, ასევე შემოსავლის ყოველი სახის ხვედრითი წილის განსაზღვრა ერთობლივი შემოსავლების საერთო თანხასა და შემოსავლების შესაბამის ჯგუფებში, დადგენა იმ ოპერაციებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის შემოსავლების ძირითად მასას სტაბილური წყაროების ხარჯზე, და ამ წყაროების გამოყენების შესაძლებლობა თვალმისაწვდომ პერსპექტივაში. ბ) ბანკის ხელმძღვანელობამ რეგულარულად უნდა დააზუსტოს მისი საქმიანობის (ოპერაციების, პროდუქტების) რომელი მიმართულება შეიძლება ჩაითვალოს გეგმიურ პერიოდში მაქსიმალური შემოსავლიანობის უზრუნველყოფის პოზიციიდან უფრო მნიშვნელოვნად მაქსიმალური შემოსავლიანობის გამოშვების მექანიზმი.

შემოსავლების მართვა და დივიდენდების პოლიტიკა – ეს შესაძლებელს ხდის კაპიტალიზაციას დაქვემდებარებული გაუნაწილებელი მოგების ადეკვატურ ზრდას, ამასთან, აქციების მფლობელთა პოზიციები სტაბილური რჩება, მტკიცდება რაოდენობრივად. კაპიტალიზაციით გადაჭარბებულმა გატაცებამ შეიძლება მიგვიყვანოს დივიდენდების შემცირებამდე, შესაბამისად კი, ბანკების აქციათა მიმზიდველობის დაქვეითებამდე, კოტირებათა დაწევამდე.

შემოსავლებსა და გასავლებს – რომლებიც მოცემულ საანგარიშო პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ ამ პერიოდის ბოლო-

მდე არაა მიღებული ან გასტუმრებული, წარმარტებულ შემოსავლებსა და გასავლებს უწოდებენ.

შემოსავლების უზრუნველყოფა – სამეწარმეო სტრუქტურების მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მოიცავს ბანკის საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს.

შემოსავლების შესახებ ანგარიშგების შინაარსი – ბუღალტრული ბალანსისაგან განსხვავებით, შემოსავლების შესახებ ანგარიშგება (Income Statement; Earnings report, Statemenet of earings) – არა განსაზღვრული თარიღისათვის დგება, არამედ იგი კომპანიის საქმიანობის, მისი კაპიტალის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (როგორც წესი – ერთი წელი) გამოყენების შესახებ წარმოდგენას იძლევა. აღნიშნული ანგარიშგების შინაარსი კორპორაციის სამომავლოდ მუშაობის პროგნოზირებისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს.

შემოსავლიანობა (vield) – არის წლიური შემოსავალი ინვესტიციაზე (დივიდენდების ან პროცენტების სახით), რომელიც ღირებულებიდან ან მიმდინარე ფასებიდან პროცენტის სახით არის გამოხატული.

შემსრულებელი – პიროვნება, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს სამუშაოებს სხვისი იდეის სარეალიზაციოდ.

შემცვლელი და შესაცვლელი საქონლის სამომხმარებლო ეფექტის თანაფარდობა – თუკი პირველი მეორეზე მეტია, მაშინ სუბსტიტუტი საქონლის მხრიდან მომდინარე საფრთხე მნიშვნელოვანია. საბანკო საქმეში შემცვლელი და შესაცვლელი საქონლის (მომსახურების) სამომხმარებლო ეფექტი აბსოლუტურად იდენტურია, რადგანაც კრედიტის ეფექტიანობას განსაზღვრავს არა მისი წყარო, არამედ გამოყენების ხასიათი.

შემცვლელი საქონელი (substitute good) – საქონელი, რომლის ფასის გაზრდა იწვევს მეორე საქონელზე მოთხოვნის ზრდას.

შემცირების სტრატეგია – ეს ნაკლებად პოპულარული სტრატეგია, რომლის დროსაც მიზნების დონეს წინათ მიღწე-

ულზე ქვემოთ აწესებენ. ამ შემთხვევაში რამდენიმე ვარიანტია: ლიკვიდაცია; ზედმეტის ჩამოჭრა (მოსახლეობის მომსახურებაზე უარის თქმა, ფაქტორინგის ან ლიზინგის განყოფილების დახურვა და ა.შ.); ორიენტაციის შეცვლა. შემცირების სტრატეგიას, მაშინ მიმართავენ, როცა კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლები სისტემატურად უარესდება, ეკონომიკური დაქვეითებაა ან მკვეთრად იცვლება კონიუნქტურა.

შემცირების სტრატეგია – სტრატეგიული ალტერნატივა, რომელიც ხასიათდება მიღწეულ დონეზე დაბლა ჩამოყალიბებული მიზნებით, ან საქმიანობის ზოგიერთი მიმართულების გაუქმებით.

შემოწმება – ტექნიკური ან სხვა საშუალებების გამოყენება, რაც განკუთვნილია იმ იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების ან სხვა სახიფათო მოწყობილობების აღმოსაჩენად, რომლებიც შეიძლება უკანონო ჩარევის აქტის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნას.

შენახვის ბიზნესი ეყრდნობა – სატრასტო (მინდობილი) და სააგენტო მომსახურებას, რომელსაც საბანკო ოპერაციებიც შეესაბამება. ეს ბიზნესი ბანკს შემოსავალს აძლევს კლიენტის ქონების (უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, ანგარიშზე მოთავსებული სახსრების) მართვისათვის ან ამ ქონებასთან დაკავშირებული ცალკეული კონკრეტული ოპერაციების შესრულებისათვის გადახდილი კომისიის ფორმით. მაგალითად, სატრასტო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი კისრულობს კლიენტის ფულადი სახსრების განთავსების და მისთვის გარკვეული დონის მქონე შემოსავლის უზრუნველყოფის ვალდებულებას. სატრასტო ოპერაციების დროს რისკი უფრო მეტად იმას უკავშირდება, რომ კლიენტის შემოსავალი (რომელსაც ხელშეკრულება განაპირობებს) შეიძლება ნაკლები იყოს ბანკის შემოსავალზე. ამ ჯილდოში ჩვეულებრივ, შედის ფიქსირებული ჯილდო ქონების მართვისათვის და ჯილდო მუშაობის შედეგებისთვის, თუ სატრასტო ოპერაციიდან

მიღებული შემოსავალი იმაზე მეტია, ვიდრე კლიენტის სახელშეკრულებო შემოსავალი და ბანკის ფიქსირებული ჯილდო.

შენელებული კარიერა – არის ისეთი კარიერა, რომელიც ხასიათდება ერთ თანამდებობაზე ხანგრძლივი მუშაობით (დაახლოებით 1,5–2-ჯერ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ნორმალური კარიერისა).

შენიშვნა გაფიცვის შესახებ – პირობა, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ურთიერთდამოკიდებულებას დატვირთვა-განტვირთვის პორტში გაფიცვის შემთხვევაში, მოცემული პირობა შეიძლება ითვალისწინებდეს საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების შეწყვეტას. მისი ძალაში დატოვების შემთხვევაში დამფრახტველი იხდის დემერეჯს.

შერეული ანაზღაურების კონტრაქტებში – ანგარიშსწორება ხორციელდება ფულითა და საქონლით. ასეთი სახის კონტრაქტები ჩვეულებრივ კომპლექსური ხასიათისაა და განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებად ქვეყნებში „გასაღების ჩაბარებითა“ და უცხოური კრედიტის გამოყენებით ახლად აშენებული საწარმოების მიერ მოპოვებულ ნედლეულზე განხორციელებული გარიგებებისათვის.

შერეული გადაზიდვების ოპერატორი – იურიდიული პირი, რომელიც გამოდის ტვირთმფლობელის წინაშე, როგორც ორგანიზატორი და შესაძლოა იყოს კონტრაქტით საქონლის მიზიდვის შემსრულებელი (თავის თავზე იღებს დანიშნულების ადგილამდე საქონლის მიზიდვის ფუნქციებს.

შერეული გადაზიდვების ტერმინი – ინტერმოდალური გადაზიდვების ორგანიზაცია სრულდება ექსპედიტორების მიერ სატრანსპორტო ექსპედიციისა და მულტიმოდალური გადაზიდვების ოპერატორის ხელშეკრულების თანახმად. წვრილი პარტიის ტვირთის გადაზიდვის მოცულობა. ასეთი ტიპის გადაზიდვა ნიშნავს კონსოლიდირებულ

ერთ კონტეინერში რამოდენიმე ტვირთგამგზავნის ერთი დილემის მაგალითზე.

შერეული გადასახადებს – მიეკუთვნება ის გადასახადები, რომლებსაც იხდიან როგორც ფიზიკური პირები, ასევე საწარმოები და ორგანიზაციები. მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, სოციალური გადასახადი და სხვა.

შერეული ეკონომიკა – ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეყრდნობა წარმოების საშუალებებზე ყველა სახის საკუთრებას პლურალიზმის პირობებში (მაგრამ, როგორც წესი, კერძო საკუთრების დომინირებით).

შერეული ეკონომიკა (ფრ. economie mixte) – საბაზრო ეკონომიკის და ცენტრალიზებული ეკონომიკის ბაზაზე აღმოცენებული ეკონომიკა. შერეული ეკონომიკის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობის მასშტაბის ზრდასთან, რაც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში აისახა. შერეული ეკონომიკის შექმნას მძლავრი ბიძგი მისცა დასავლეთში II მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელებულმა ნაციონალიზაციამ, რომლის საფუძველზე კერძო სექტორის პარალელურად ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო სექტორმაც.

შერეული ეკონომიკა – ეკონომიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური თავისუფლების, საზოგადოებრივი ბიზნესის მრავალფეროვანი ფორმების ისტორიულ სინთეზს, რომელიც ემყარება ინტერესთა შეხამებასა და საზოგადოებრივ თანხმობას.

შერეული ეკონომიკა – საკუთრების მრავალფორმიანობაზე დაფუძნებული ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც სამეურნეო ორგანიზაცია ეყრდნობა ფასისმიერ სისტემას (ბაზარს), ამასთან მაკროეკონომიკური არასტაბილურობისა და ბაზრის არასრულყოფილების დაძლევისათვის გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ფორმა.

შერეული ეკონომიკა – ცნობილია საბაზრო ეკონომიკის სახელწოდებით. ზოგჯერ შერეულ ეკონომიკას აგრეთვე უწოდებენ მრავალწყობიან ეკონომიკას, რაც უნდა ჩაითვალოს არამართლზომიერად.

შერეული მიმოსვლა – ტვირთების გადაზიდვა სხვადასხვა სახის ტრანსპორტით გადატვირთვებით, როდესაც გადაზიდვის ყველა შესაძლო შემთხვევაში გამოიწერება ახალი დოკუმენტი, რომელიც ასრულებს გადაზიდვის ხელშეკრულების ფუნქციას. ამრიგად, ტვირთმფლობელი გადაზიდვის დროს ყოველთვის შედის სამართალმიმართებაში ახალ იურიდიულ პირთან.

შერეული საკუთრება – იქმნება თვით ქვეყანაში არსებული საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების კაპიტალის (წარმოების საშუალებების შეერთების) გაერთიანების გზით.

შერეული საქონელი (mixed goods) – დოვლათი, რომლის გამოყენებით არ შეიძლება სარგებლობას მხოლოდ ერთი ინდივიდი იღებდეს, მაგრამ იგი თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის ნებისმიერისათვის. ეს საქონელი მოქცეულია კერძო კონკურენტულ მოიხმარებასა (ანუ ერთი ინდივიდის მიერ ასეთი დოვლათის მოხმარება გამორიცხავს სხვის მიერ მის მოხმარებას) და საზოგადოებრივ საქონელს შორის, რომლის მოხმარება არაკონკურენტულია (ასეთი დოვლათის მოხმარება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასათვის) და მოიცავს ორი ტიპის საქონლის (კერძოს და საზოგადოებრივის) ელემენტებს. მაგალითად, აცრები დაავადების ასაცილებლად შერეული საქონელია, ვინაიდან მას მოაქვს სარგებლობა როგორც მისი მიმღები ინდივიდისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის (ამცირებს დაავადების რისკს), თუმცა ეს საქონელი თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის ყველასათვის. ასეთ სიტუაციაში შერეული საქონლის ინდივიდუალური მოხმარება ქმნის დადებით გარე ეფექტს დანარჩენი საზოგადოებისთვის.

შერეული ცურვის გემი – გემი, რომელიც მოწყობილია ცურვისათვის გადატვირთვის გარეშე მიმოსვლებში, როგორც მდინარეში, ისე ზღვით (შერეული ნაოსნობა – მდინარე-ზღვა) 5 ბალიანი ღელვისა და 40-45 მილის მანძილზე ზღვის პირიდან.

შერმანის კანონი (Sherman act) – ერთ-ერთი ძირითადი კანონი აშშ-ის ანტიტრესტულ კანონმდებლობაში, რომელიც მიღებული იქნა 1890 წელს. იგი საზოგადოების აღშფოთების თავისებური გამომახილი იქნა. წარმოების კონცენტრაციის ზღვარგადასულ ზრდასთან დაკავშირებული ქმედებების გამო კანონი კრძალავდა ვაჭრობის თავისუფლების შემზღუდველ კონტრაქტებს, მონოპოლურ გაერთიანებებსა და ფარულ გარიგებებს, გარდა ამისა მონოპოლიზაციის მცდელობას. ამ კანონის დარღვევისათვის მაქსიმალური ჯარიმა სახელმწიფოს სასარგებლოდ თავდაპირველად 5000 დოლარს, ხოლო შემდგომ 50000 დოლარს შეადგენდა. 1974 წელს ამ თანხამ კორპორაციებისათვის 1000000 დოლარს მიაღწია.

შერჩევითი დაკვირვება – სტატისტიკური დაკვირვება, რომლის დროსაც გამოკვლევას ექვემდებარება შესასწავლი ერთობლიობის არა ყველა ელემენტი, არამედ გარკვეული წესით შერჩეული მისი ნაწილი.

შერჩევითი კონტროლი პროდუქციის მიღებისას – ხარისხის კონტროლის მეთოდი, რომლის დროსაც გადაწყვეტილება პროდუქციის მსხვილი პარტიის მიღების შესახებ მოცემული პარტიიდან მცირე რაოდენობის ნიმუშების კონტროლის შედეგების საფუძველზე.

შესაბამისობა – უზრუნველყოფს ინფორმაციის სარგებლიანობას. ინფორმაცია სასარგებლოა, თუ შეესაბამება ინფორმაციის მომხმარებლის ინტერესებს და გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ ეხმარება მომხმარებელს შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, დაადასტუროს ან შეასწოროს ადრინდელი შეფასებები.

შესაბამისობის კონცეფცია (accrual or matching concept) – ოპერაციების ჩაწერა მათი შესრულების მომენტში, და არა გადახდის მომენტში ხორციელდება და იგი იმ საანგარიშგებო პერიოდს მიეკუთვნება, როდესაც იყო ოპერაცია შესრულებული.

შესაბამისობის პრინციპი – არეგულირებს გასავლების ხარჯებად აღიარებას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ის გასავლები მიიჩნევა ხარჯებად, რომელიც მონაწილეობს ამ პერიოდის შემოსავლების მიღებაში.

შესაბამისობის პრინციპი – პრინციპი, რომლის თანახმად ხელმძღვანელობამ ინდივიდს უნდა გადასცეს საკმარისი ძალაუფლება იმისათვის, რომ მან შეძლოს მისი პასუხისმგებლობის არეში მყოფი ამოცანების შესრულება.

შესაბამისობის პრინციპი – მოითხოვს, რომ ფინანსური ანგარიშების ინფორმაცია შეესაბამებოდეს მომხმარებელთა ინტერესებს ანუ გადმოცემული იქნეს ყველა ის არსებითი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებათ მათ, მიიღონ სათანადო ეკონომიკური გადაწყვეტილებები. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას ახდენს საწარმოს რისკებსა და შესაძლებლობებზე და ამდენად გავლენას ახდენს ინფორმაციის მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

შესაბამისობის პრინციპად – იწოდება პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხარჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც იგი, შემოსავლის მიღების მიზნით ფაქტიურად გაიწევა, მიუხედავად იმისა, გადახდილია თუ არა.

შესაბამისობის ხარისხი – ხარისხის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს იმ დონეს, რომლითაც ორგანიზაციის მიერ წარმოებული პროდუქცია ან მომსახურება შეესაბამება ორგანიზაციის შიგა სპეციფიკაციებს.

შესადარი ფასები – განსაზღვრული წლის ფასები, რომლებიც პირობითად მიღებულია ბაზად სხვადასხვა პერიოდის ეკონომიკური მაჩვენებლების (წარმოქმნა, საქონელბრუნ-

ვა...) ფულად გამოსახულებაში შედარების დროს. შესადარი ფასების სახესხვაობაა უცვლელი ფასები.

შესადარისობა – საწარმოს განვითარების ტენდენციისა და სხვა საწარმოსთან მიმართებაში უპირატესობის დადგენის აუცილებელი პირობაა. ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციის მომხმარებლებს უნდა აძლევდეს საწარმოს სხვადასხვა წილის საქმიანობის შედეგების შედარებისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას.

შესადარისობა – მოითხოვს, რომ ინფორმაციის მომხმარებელს უნდა შეეძლოს ფირმის სხვადასხვა წლების ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების შედარება. აგრეთვე უნდა შეეძლოს სხვადასხვა საწარმოთა მაჩვენებლების შედარება რამდენიმე წლიანი პერიოდისათვის. ამიტომ მაჩვენებლები უნდა იყოს შესადარისი წინა წლებთან შედარებით და აგრეთვე მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდიკაც საერთოდ მიღებულ წესებს უნდა ეყრდნობოდეს.

შესარჩევი ცენტრი – გამოსაცდელი დაწესებულება, რომელშიც შრომითი ჩვევების შესრულების უნარი ფასდება მოდელირების მეთოდებით.

შესასვლელი ბარიერების არსებობა და სიმაღლე – ეს ბარიერები დაბრკოლებას უქმნიან ახალ კონკურენტებს დარგობრივ ბაზარზე შეღწევაში. მათ ეკუთვნის: ეკონომია წარმოების მასშტაბებზე; პროდუქციის დიფერენციაცია; მოთხოვნა მნიშვნელოვან კაპიტალზე; მომხმარებელთა კონვერსიის ხარჯები; მასალების არხების მიუწვდომლობა; რესურსების წყაროების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა, გამოცდილების უკმარისობა; დარგში გამოყენებული ტექნოლოგიების მაღალი დონე; სალიცენზიო შეზღუდვები; საპატენტო შეზღუდვები; მიწის ნაკვეთების უქონლობა ან მათი სიძვირე და სხვა.

საბანკო დარგებში შესასვლელი ბარიერების მნიშვნელოვანი თავისებურებათა სიახლეთა საპატენტო დაცვის უქონლობა. ამის გამო ნებისმიერი ფინანსური ინოვაცია, ნებისმიერი საბანკო მომსახურება, რომელსაც ერთი საკ-

რედიტო ინსტიტუტი ნერგავს, მოკლე დროში შეიძლება გადაიღონ მისმა კონკურენტებმა. ეს აძლიერებს კონკურენციის ინტენსივობას.

შესაძლებლობებისა და პრობლემების ანალიზი – მიმდინარე საბაზრო სიტუაციის ანალიზის შემდეგ მენეჯერი განსაზღვრავს ძირითად შესაძლებლობებს და საფრთხეებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, პრობლემებს, რომლებსაც წააწყდებიან ან შეიძლება წააწყდეს ფირმა.

შესაფასებელი პროცედურების შესრულების მეთოდებია:

1. **სტანდარტულ შეფასებათა მეთოდი**. ამ მეთოდისას ხელმძღვანელი ავსებს სპეციალურ ფორმას, რომლითაც ხასიათდება თანამშრომლის მუშაობის თითოეული ასპექტი;
2. **ანკეტური მეთოდი**. მისი არსი ანკეტების საშუალებით მუშაკთა მუშაობის შეფასებაა.
3. **იძულებითი არჩევის მეთოდი**. პერსონალის შეფასების მოცემული მეთოდისას ექსპერტები მოცემული ნაკრებისაგან არჩევენ მუშაკისათვის ყველაზე შესაფერის მაჩვენებელს (მაგალითად, გულმოდგინება, მუშაობის გამოცდილება, ყურადღებიანობა და სხვ.);
4. **აღწერითი მეთოდი**. იგი გულისხმობს მომუშავის ღირსებისა და ნაკლოვანებების თანმიმდევრულ დაწვრილებით დახასიათებას;
5. **გადამწყვეტი სიტუაციის მეთოდი**. იგი ემყარება განსაზღვრულ სიტუაციებში მომუშავის „სწორი“ და „არასწორი“ ქცევების აღწერას და შემდეგ მის განაწილებას რუბრიკების მიხედვით, მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე;
6. **ქცევაზე მეთვალყურეობის სკალის მეთოდი**. აღნიშნული მეთოდიც ემყარება შეფასების გადამწყვეტ სიტუაციებში, მაგრამ იგი გულისხმობს იმის ფიქსაციას, თუ რამდენჯერ და როგორ მოქმედებდა ადამიანი მასში;
7. **ქცევით ქმედებითა რეიტინგების სკალის მეთოდი**. იგი გულისხმობს ანკეტების შევსებას, რომლებიც შეიცავენ მუშაობის 6–10 მნიშვნელოვან მახასიათებელს;

8. **ჯგუფური მეთოდით შეფასება**. ამ მეთოდის არსი ისაა, რომ ადამიანის მუშაობა განიხილება ჯგუფში. ამასთან მას ანაწილებენ ცალკეული შემადგენელ ნაწილებად და აფასებენ თითოეულ მათგანს;
9. **დამოუკიდებელი „მსაჯულთა“ მეთოდი**. მოცემული მეთოდისას მუშაკის შეფასება ხდება მუშაკებისათვის მანამდე უცნობი პირების (6–7 კაცი) მიერ, „ჯვარედინი დაკითხის“ საფუძველზე;
10. **360 გრადუსიანი მეთოდი**. მისი არსი ისაა, რომ მომუშავეს აფასებს ყველა, რომლებთანაც კონტაქტშია იგი მუშაობის პროცესში, ამ დროს ავსებენ საერთო და ექსპერტის თითოეული დონისათვის განკუთვნილ, განსაკუთრებულ ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი პოტენციურად კონფლიქტურია;
11. **სიტუაციური ინტერვიუ**. მოცემულ შემთხვევაში მუშაკებს ურიგებენ ერთნაირი სიტუაციების აღწერილობას და აძლევენ შეკითხვებს მათ შესაძლებელ მოქმედებებზე;
12. **სიტუაციური მოდელირების მეთოდი**. იგი უმეტესად გამოიყენება შემფასებელ ცენტრებში და ხელს უწყობს შეფასება იყოს უფრო დასაბუთებული და ობიექტური. მისი არსი ხელოვნური, მაგრამ რეალურთან ახლომდგომი მუშაობის და მმართველობითი სიტუაციების მოდელირებაა.
13. **ჯგუფური დისკუსიის მეთოდი**. იგი გულისხმობს, რომ თანამშრომელი რომელიმე პრობლემის განმხილველ შეკრებაზე წამოაყენებს და იცავს თავის აზრს (9–15 კაციან ჯგუფებში).

შესრულების ხარისხი – ხარისხის კონცენტრაცია, რომელიც ასახავს იმ დონეს, რომლითაც ორგანიზაციის მიერ წარმოებული პროდუქცია ან მომსახურება ფაქტობრივად აკმაყოფილებს კლიენტების საჭიროებას.

შესრულებული თვითმფრინავ-კილომეტრი – გაიანგარიშება ფრენის ყველა ეტაპზე ფრენების რაოდენობის ეტაპის მანძილზე გადამრავლებით.

შესრულებული მგზავრ-ტონა-კილომეტრი – ავიასაწარმოს საქმიანობის პირობით-ნატურალური მაჩვენებელია და გაიანგარიშება მგზავრის საშუალო წონის გამრავლებით შესრულებულ მგზავრ-კილომეტგრის რაოდენობაზე.

შესრულებული მგზავრთ-ტონა-კილომეტრები – საავიაციო საწარმოს საქმიანობის პირობით – ნატურალური მაჩვენებელია და გაიანგარიშება მგზავრის საშუალო წონის გამრავლებით შესრულებული მგზავრ-კილომეტრების რაოდენობაზე.

შესყიდვა – ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ლოგისტიკურ სისტემაში მატერიალური ნაკადის შესვლას.

შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურა – არის მომწოდებლისაგან მიღებული დოკუმენტი მასალების მახასიათებლების შესახებ, რომელიც თან ახლავს ტვირთს. მასში მომწოდებელი მიუთითებს მასალის დასახელებას, რაოდენობას, ფასს, დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), სატრანსპორტო ორგანიზაციის მომსახურების ხარჯებს.

შესყიდვის დავალება – დოკუმენტაცია, რომელიც გაიცემა საწარმოში მყიდველის მიერ შეკვეთილი ან სხვა სახით გასაყიდად შეთავაზებული საქონლის წარმოებისათვის ან დამზადებისათვის საჭირო ნაწარმის ან მასალების შესასყიდად.

შეტყობინება გადატვირთვის შესახებ – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმპორტული ტვირთის გადატვირთვას პორტიდან მიმღებისათვის დანიშნულების სადგურში, ანდა ისეთი ტვირთის გაცემის შესახებ ადგილზე. მისი შედგენა წარმოებს პორტის მიერ და ეგზავნება საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციას. იგი შეიცავს მონაცემებს ტვირთების განაწილების შესახებ, აგრეთვე გადატვირთვის ვადას, ზედდებულის ნომერს, ვაგონის ნომერს, ადგილების რაოდენობას, წონას და ა.შ.

შეტყობინება სასაქონლო აკრედიტივის მიღების შესახებ – დოკუმენტით, რომლითაც ბანკი იტყობინება სასაქონლო აკრედიტივის ფულის მიღების შესახებ.

შეტყობინება სასაქონლო აკრედიტივის გაგზავნის შესახებ – დოკუმენტია, რომლითაც ბანკი იუწყება, რომ სასაქონლო აკრედიტივი უნდა გაიგზავნოს ან გაგზავნილია მეორე ბენეფიციარის სასარგებლოდ.

შეტყობინება სასაქონლო აკრედიტივის გახსნის შესახებ – შემტყობინებელი ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტია, რომელშიც იგი იტყობინება ბენეფიციარისათვის ან სხვა შემტყობინებელი ბანკისათვის სასაქონლო აკრედიტივის გადაცემის შესახებ.

შეტყობინება სასაქონლო აკრედიტივით ფულის გადახდის შესახებ – დოკუმენტია, რომლითაც ბანკი იტყობინება აკრედიტივით ფულის გადახდის შესახებ.

შეტყობინება სასაქონლო აკრედიტივით ფულის გადახდისათვის დოკუმენტების მიღების შესახებ – დოკუმენტია, რომლითაც ბანკი იტყობინება სასაქონლო აკრედიტივით ფულის გადასახდელად საჭირო დოკუმენტების მიღების შესახებ.

შეტყობინება სასაქონლო აკრედიტივში ცვლილებების შესახებ – დოკუმენტია, რომლითაც ბანკი იტყობინება აკრედიტივის პირობების შეცვლის შესახებ.

შეტყობინებები სავაჭრო აგენტებისაგან – სავაჭრო აგენტები ხშირად მიმწოდებელი საწარმოების ერთადერთი წარმომადგენლები არიან. ისინი უშუალოდ ხვდებიან პოტენციური კლიენტის წარმომადგენლებს და ამდენად, მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა გააჩნიათ.

შეუზღუდავია დატვირთვა – როცა სამუშაო ცენტრის სამუშაო მოცულობას განსაზღვრავს მხოლოდ დროთა განმავლობაში ამ სამუშაოზე წარმოშობილი მოთხოვნა. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება ამ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო რესურსები.

შეფარდებათა ხელსაყრელობა – როცა საკადრო მუშაობაში შემოთავაზებული სიახლე მომუშავეთათვის სოციალურად

და ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სიახლის ობიექტის ფუნქციონირების მოქმედი პროცესი.

შეფარდებითი მოგება (relative profit) – მოგება, რომელსაც გამყიდველი იღებს ყოველ გაყიდულ ნაწარმზე დანახარჯების გამოქვითვით.

შეფარდებითი უპირატესობა (comparative advantage) – უპირატესობა, რომელიც აქვს ერთ ქვეყანას სხვებთან შედარებით, თუ მისი საქონლის წარმოების ალტერნატიული ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე ანალოგიური საქონლის სხვა ქვეყნებში.

შეფარდებითი უპირატესობის თეორია (theory of comparative advantage) – თეორია, რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა სპეციალდებოდეს იმ საქონლის წარმოებასა და ექსპერტზე, რომლის დამზადებაც შეიძლება შედარებით დაბალი დანახარჯებით. ამ შემთხვევაში მისთვის ხელსაყრელია იმ საქონლის იმპორტირება, რომლის დანახარჯებიც ადგილზე შედარებით მაღალია.

შეფარდებითი უპირატესობის თეორია, რომელიც წარმოადგენს ქვეყნების (აგრეთვე ცალკეული პიროვნებების) სპეციალიზაციის საფუძველს, ამასთან თავისუფალი ვაჭრობის ქვაკუთხედს, ახსნა დევიდ რიკარდომ ადამ სმითის აბსოლუტური უპირატესობის თეორიის განვითარების შედეგად შემდეგ მაგალითზე:

პორტუგალიას ერთი გალონი ღვინის საწარმოებლად სჭირდება 80 სამუშაო საათი, ხოლო 1 მილიონი იარდი მაუდის დასამზადებლად – 20 სამუშაო საათი, ინგლისს კი, შესაბამისად, 120 და 100 სამუშაო საათი.

ამრიგად, პორტუგალიას აქვს აბსოლუტური უპირატესობა ორივე საქონლის წარმოებაში, ვინაიდან პორტუგალიაში ამისათვის ნაკლები ხარჯებია საჭირო, ვიდრე ინგლისში. პორტუგალიას აქვს შეფარდებითი უპირატესობა ღვინის წარმოებაში, ვინაიდან პორტუგალიური ღვინის წარმოების ხარჯების თანაფარდობა ინგლისთან

ტოლია 80:120 და იგი ნაკლებია მაუდის ანალოგიურ თანაფარდობაზე, რომელიც ტოლია 90:100. თუ პორტუგალია დასპეციალდება შეფარდები თუ უპირატესობის შესაბამისად, მაშინ ყოველ არაწარმოებულ იარდ მაუდზე მას შეუძლია მიიღოს 1 და 1/8 გალონი ღვინო, ვინაიდან როგორც ერთის, ისე მეორის საწარმოებლად საჭიროა 90 სამუშაო საათი. პორტუგალიას შეუძლია გაცვალოს თავისი 1 და 1/8 გალონი ღვინო იმავე რაოდენობის იარს მაუდზე. ამრიგად პორტუგალიას 90 სამუშაო საათის განმავლობაში შეუძლია ან თვითონ აწარმოოს ერთი იარდი მაუდი ან შემოვლითი გზით მიიღოს 1 და 1/8 იარდი მაუდი. პორტუგალიის აბსოლუტური უპირატესობის მიუხედავად აბსოლუტური უპირატესობის მიუხედავად, ინგლისსაც ასევე შეუძლია მიიღოს მოგება საგარეო ვაჭრობით. ყოველი გალონი ღვინო, რომელიც არ იქნა წარმოებული ინგლისში, ე.ი. 120 სამუშაო საათი, საშუალებას მისცემს მას, აწარმოოს 1 და 1/5 იარდი მაუდი, რომელიც საგარეო ვაჭრობის მეშვეობით შეიძლება გარდაიქმნას 1 და 1/5 გალონ ღვინოდ.

შეფარდებითი უპირატესობა ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. როდესაც ესა თუ ის ქვეყანა უშვებს იმ საქონელს, რომლის წარმოებაც სხვებზე ნაკლები ხარჯებით შეუძლია, მაშინ მოცემულია როგორც ეს ქვეყანა, ისე მთელი საზოგადოება, რადგან იქმნება ერთი და იმავე რაოდენობის რესურსების ხარჯვით მეტი საქონლის წარმოების შესაძლებლობა.

თანამედროვე პირობებში საგარეო ვაჭრობისაგან სარგებლობის მიღების აუცილებელი პირობაა სხვადასხვა ქვეყანაში ფასების განსხვავებული თანაფარდობა.

შეფასება – გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია, მისი გაუმჯობესების მიზნით. ამ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი.

შეფასება – არის ფულადი თანხების ან ფულადი ღირებულების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტის აღიარებული ბუღალტრულ ბალანსში და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

შეფასება – ესაა სიდიდე, რომელიც ახასიათებს ალტერნატივების მეშვეობით ლოგისტიკური სისტემის მიზნით მიღწევის ხარისხს; ალტერნატივების შედარებას მის მიზნობრივ მნიშვნელობასთან.

შეფასებითი (მოსალოდნელი) ვალდებულებები – ისეთი ვადებულებებია, რომლის ზუსტი თანხის გამოთვლა, განსაზღვრული დროის დადგომამდე (ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე), შეუძლია. მათ მიეკუთვნება საგარანტიო ვალდებულებები, მოგებისა და ქონების გადასახადი, შვებულების ანაზღაურება და სხვა.

შეფუთვის ინსტრუქცია – საწარმოში გაცემული დოკუმენტაცია, რომელშიც მოცემულია საქონლის შეფუთვის ინსტრუქცია (რეკომენდაციები).

შეღავათიანი პერიოდი (ფრ. grace period) – კრედიტის დაფარვის დაწყების გადავადება მისი გადავადების შემდეგ; პერიოდი, რომლის განმავლობაში არ მიმდინარეობს კრედიტის დაფარვა.

შეღავათიანი პირობა – გაცემული კრედიტის ან სხვა სახის ფინანსური მომსახურების გაგრძელების ნებისმიერი ვადა ან პირობა, რომელიც ბანკის ადმინისტრატორის, მონათესავე საწარმოს ან დაკავშირებული პირისთვის გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე ის ვადა და პირობა, რომელიც მსგავს სიტუაციაში შეიძლება შესთავაზონ ან რომელზეც შეიძლება უარი უთხრან ისეთ პირს, რომლებიც არ წარმოადგენენ პირებს.

შეწონილი საკვალიფიკაციო მაჩვენებელი – გაიანგარიშება აქტივების შესაბამისი ჯგუფის თანხის გამრავლებით რისკის კოეფიციენტზე. მას იყენებენ გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი ზარალის გასაანგარიშებლად და საკრედი-

ტო ოპერაციებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევაში რეზერვის შესაქმნელად.

შვედური მაგიდა – ითვალისწინებს თბომომსახურების პრინციპს. იგი ჩვეულებრივი სადილისგან განსხვავებით ნაკლებად ოფიციალურია.

შვეულმფრენი – ვერტიკალურად ასაფრენ-დასაჯდომი, ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი, რომელშიც ამწევ ძალას და წნევას ჰორიზონტალურ სიბრტყეში მბრუნავი ერთი ან რამდენიმე მზიდი ხრახნი წარმოქმნის. განასხვავებენ ერთხრახნიან, ორხრახნიან და რეაქტიულ შვეულფრენებს.

შვილობილი კომპანია (fubsidiary company) – სათავო კომპანიის კონტროლით მომუშავე ფილიალი, სადაც კონტროლი ხორციელდება მონაწილეობის სისტემის მეშვეობით. ე.ი. სათავო კომპანია, როგორც ჰოლდინგის როლში მყოფი საზოგადოება, ფლობს შვილობილი კომპანიების საკონტროლო პაკეტებს. შვილობილ კომპანიებს აქვს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი. მათი რეგისტრირება ხდება მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილსამყოფელის მიხედვით და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სად არის დაფუძნებული სათავო კომპანია.

შვილობილი კომპანია ორგანიზებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით, ე.ი. გაკოტრების ან გადახდისუუნარობის შემთხვევაში თუ იგი თავის ვალდებულებებს ფარავს არა მესაკუთრის, არამედ მხოლოდ კომპანიის ქონებით. ზოგჯერ შვილობილი კომპანიები მათ დაქვემდებარებაში არსებული შვილობილი საზოგადოებების – განყოფილებების აქციების საკონტროლო პაკეტებსაც ფლობენ.

შვილობილ კომპანიებს აქვთ დამოუკიდებელი საბუღალტრო დოკუმენტები, ფართო უფლებებით სარგებლობენ საკუთარი მოგების განაწილებაში, მათი რეინვესტიციის ჩათვლით.

დასავლეთში ტრანსეროვნული კორპორაციების უმრავ-ლესობა ათობით და ასობითაც ფლობს შვილობილ კომპა-ნიებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია განლაგებული. შვილობილი კომპანია შეიძლება იყოს სათაო კომპანიის სრულ საკუთრებაში, სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების შერეულ საკუთრებაში ანუ უცხოური ფირმების კერძო საკუთრებაში.

ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით შვილობილი კომ-პანიები იყოფა საბაზო (ასრულებს ტრანსეროვნულ კორ-პორაციებში შიგა კორპორაციული ჰოლდინგების როლს), საექსპორტო, საფინანსო, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა განყოფილებებად. შვილობილი კომპანიის დამოუკიდებ-ლობის ხარისხი ძალზე მაღალია წარმოებისა და გასაღე-ბის სფეროებში, მაშინ როდესაც კაპიტალდაბანდებების, ფინანსების, საცდელ-საკონსტრუქტორო წარმართვის, გადასახადების გადახდის საკითხებს სათავო კომპანია უწევს.

შვილობილი ორგანიზაცია (არაძირითადი საწარმო) – იური-დიული პირი, რომელშიც სათაო ორგანიზაცია ფლობს (ხმისუფლებიანი აქციების, წილის) ორმოცდაათ ან მეტ პროცენტს.

შვილობილი საწარმო – არის საწარმო, რომელიც როგორც ჰოლდინგის სტრუქტურული ქვედანაყოფი, ან საწარმოთა ჯგუფის სახით არის წარმოქმნილი და რომლის საქმია-ნობა სათაო ოფისის ანგარიშვალდებულია და მთლიანო-ბაში ჰოლდინგის სტრატეგიული მიზნების მიღწევას ექვემდებარება.

შთაბეჭდილებათა მარკეტინგის იდეა – მდგომარეობს არა იმაში, რომ რაიმე გაიყიდოს, არამედ იმაში, რომ მოახდი-ნოს დემონსტრირება, თუ როგორ შეუძლია ბრენდს გაამ-დიდროს მყიდველთა ცხოვრება.

შთანთქმის სტრატეგია – გულისხმობს ზრდის მაღალი ტემპისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების მქონე კომპანიების აქციების შეძენას ფირმის საქმიანობის ეფექტიანობის

ამაღლების მიზნით და მეურნეობის ახალ დარგებში შეღწევის, კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის გზით.

შიგა ექსტერნალიები (internal externalities) – ეფექტები, რომლებიც გარეგანია მოცემული საკონტრაქტო ურთიერთობის მიმართ, მაგრამ შინაგანი – შიგა კონტრაქტში მონაწილე ჯგუფისათვის.

შიგა ლაგი (inside lag) – შეფერხება დროში მოქმედების აუცილებლობის დადგენის მომენტია და მის განხორციელებას შორის. იგი პოლიტიკური ლაგია და შეიძლება დაიყოს სამ შემადგენელ ნაწილად: გამოვლენის ლაგი, გადაწყვეტილების მიღების ლაგი და მოქმედების ლაგი.

შიგა ორგანიზაციულ კარიერაში – კი იგულისხმება ისეთი კარიერა, რომლის დროსაც კონკრეტული მომუშავე თავისი პროფესიული საქმიანობის პროცესში გადის განვითარების ყველა ისეთ სტადიას, როგორიცაა სწავლება, სამუშაოზე მოწყობა, პროფესიონალური ზრდა, ინდივიდუალურ პროფესიონალურ შესაძლებლობათა მხარდაჭერა და განვითარება, პენსიაზე გასვლა. ამ სტადიებს მომუშავე გადის თანმიმდევრულად ერთ ორგანიზაციაში მუშაობისას.

შიგაპიროვნული კონფლიქტები – განპირობებულია ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობები.

შიგაპიროვნული მეთოდები – ზემოქმედებს ცალკეულ პიროვნებაზე. იგი მდგომარეობს საკუთარი ქცევის სწორ ორგანიზაციასა და უნარში, გამოთქვას თავისი თვალსაზრისი ისე, რომ ოპონენტის მხრიდან არ გამოიწვიოს დამცველი რეაქცია.

შიგა ფაქტორებს – მიეკუთვნება ორგანიზაციის სტრუქტურა და მიზნები; მისი ტერიტორიული განთავსება; გამოყენებული ტექნოლოგიები; გაბატონებული კულტურა; კოლექტივში შექმნილი ურთიერთობები და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

შიგა ცვლადები – ორგანიზაციის შიგნით არსებული სიტუაციური ფაქტორი. ძირითადი შიგა ცვლადებით: მიზნები,

სტრუქტურები, დავალებები, ტექნოლოგიები და ადამიანები.

შიდა ანგარიშგება (interim report) – არის კომპანიის ანგარიშგება, ჩვეულებრივად ყოველკვარტალური, რომელშიც ბიზნესის საქმიანობის შედეგების (მოგება/ზარალის შესახებ ანგარიშგება) მოცემული პერიოდისათვის, აგრეთვე მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა (საბალანსო ანგარიშგება) არის წარმოდგენილი. წლის განმავლობაში კომპანია, როგორც წესი, სამ შიდა და ერთ წლიურ ანგარიშგებას აქვეყნებს.

შიდა აუდიტი – ბანკის უსაფრთოების ღონისძიებათა სისტემაა მეანაბრეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ბანკის საქმიანობის კონკრეტული შედეგების მისაღწევად და შესანარჩუნებლად.

შიდადარგობრივი კონკურენცია – არის კონკურენცია ერთი დარგის წარმომადგენლებს შორის, რომელთა მიერ წარმოებული საქონელი და მომსახურება ერთსა და იმავე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მაგრამ განსხვავდება ფასით, ხარისხითა და ასორტიმენტით. იგი ორი ძირითადი სახით შეიძლება ხორციელდებოდეს: ა) საგნობრივი და ბ) სახეობითი კონკურენცია.

შიდა დონე – განსაზღვრავს საბანკო პროდუქტების ხარისხობრივ მახასიათებლებს მათი სასიცოცხლო ციკლის პროცესში. აღნიშნული დონე წარმოდგენილია ბანკის კლიენტებით – პასიური და აქტიური საბანკო პროდუქტების მომხმარებლებით, რომლებიც, ამასთანავე შეიმუშავებენ და ახდენენ თავიანთი მიზნების, ამოცანებისა და პრიორიტეტების რეალიზაციას.

შიდა (ენდოგენური, „სისტემაში“), რომელიც მოიცავს საკრედიტო სისტემას დონეთა მიხედვით, მ.შ. – საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების ორგანოებს, საბანკო პროდუქტების მომხმარებლებს, ნაწილობრივ, საფონდო ბაზარს.

შიდა კონვერსია – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის გარიგება, რომელიც დადებულია რწმუნებულ ბანკსა და მის კლიენტს შორის.

შიდა კონტროლი და აუდიტი – (მისი არარსებობა, ადეკვატურობა და ორგანიზაციული სტრუქტურები).

შიდა ლოგისტიკური ოპერაცია – ხორციელდება საწარმოო ფუნქციის რეალიზაციის ფარგლებში.

შიდა მატერიალური ნაკადი – წარმოიქმნება ტვირთთან ლოჯისტიკური ოპერაციების განხორციელების შედეგად ლოჯისტიკური სისტემის შიგნით.

შიდა მომსახურება – არის პროცესი, როდესაც სთავაზობენ მომსახურებას ორგანიზაციის შიგნით მდებარე ქვეგანყოფილებებს და სამსახურებს, რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციის საქმიანობისათვის. ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება: მონაცემების დამუშავება, დაპროექტება, ტექნიკური მომსახურება, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა.

შიდა რისკი – შიდა რისკებს თვითონ ბანკის, მისი კლიენტების (მსესხებლების) ან კონკრეტული კონტრაჰენტების საქმიანობა განაპირობებს.

შიდა საბანკო ინფორმაცია – როგორც საბანკო პროდუქტის რეალიზაციის მიხედვით კლიენტებთან ურთიერთდამოკიდებულების ისტორია, განსაკუთრებით მონაცემები პრობლემებისა დაშვებული დარვევების, მისი მიზეზებისა და გამოვლინების სიხშირის შესახებ.

- საარქივო-ანალიტიკური საბანკო ინფორმაცია, კლიენტთა დოსიე;
- პროფესიონალური საკონსულტაციო სამსახურების დასკვნები;
- კლიენტთა მონაცემები.

შიდა საბანკო კონტროლი – იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რომელსაც ბანკი იყენებს მის მიერ ჩატარებული ოპერაციების კონტროლისთვის.

შიდა საბანკო კონტროლის – მოქმედი სისტემა მოიცავს ბანკებში მიმდინარე და მომდევნო კონტროლს და შიდა აუდიტის ორგანიზებას.

შიდა საფუთავი – ჩვეულებრივ საქონლის განუყოფელი ნაწილია. მომხმარებელი შიდა საფუთავსა და საქონელს ერთმთლიანობაში აღიქვამს, ამიტომ საქონელმწარმოებელი პასუხისმგებელია თავისი ნაწარმისათვის ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი საფუთავის შერჩევაზე.

შიდა ფრენა – ფრენა, რომელიც მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ შიდა ეტაპებს.

შიდა ღირებულება – (intrinsic value) – არის თანხა, რითაც საბაზისო ფასიანი ქაღალდის მიმდინარე ფასი მეტია (აჭარბებს) ოფციონი კოლის გამოყენების ფასს (ან ოფციონი პუტის გამოყენების ფასზე დაბალია). ოფციონის შესახებ, რომელსაც შიდა ღირებულება გააჩნია, ამბობენ რომ იგი გამოყენებისათვის სასარგებლოს წარმოადგენს.

შიდა ხარჯები ფირმის – მთლიანი ხარჯების ის ნაწილია, რომელიც მოიცავს ფირმის საკუთარ შიდა მატერიალურ თუ შრომით რესურსებს.

შიკრიკი – ოფისის ახალგაზრდა მუშაკი, რომელიც მოვალეა, წავიდეს იქ (go for), სადაც მას გააგზავნიან უფროსები.

შინაარსი (Content) – ტექსტი, ნახატები, ბგერა.

შინა დოკუმენტები – მოცემულ საწარმოში შედგენილი დოკუმენტია. მაგალითად, მოთხოვნა, ზედნადები, სალაროს შემოსავლის ორდერი, გასავლის ორდერი და ა.შ.

შინაგანი რისკი – არის ცალკეულ ანგარიშებში ან ოპერაციათა კლასში არსებითი უზუსტობების და შეცდომების გაპარვის რისკი, როცა კონტროლის სტრუქტურა არ მიიღება მხედველობაში.

შინაგანი სიმშვიდე – ეს ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ისეთი პრინციპია, რომელიც არ გამოხატავს ადამიანის ენერგიულობას და აქტიურობას. შინაგანი სიმშვიდე ყველა არასასურველი ცხოვრებისეული სიტუაციებისგან

დაცვის თავისებური საშუალებაა. იგი ადამიანს ეხმარება, აირჩიოს კონფლიქტურ სიტუაციებში შესაბამისი ქცევა.

შინაგანი ჯილდო – ფასეულობა, რომელსაც ადამიანი მიაწერს სამუშაოს შესრულების პროცესს. მაგალითად, კმაყოფილების შეგრძნება დასახული მიზნების მიღწევის გამო. შინაგანი ჯილდოს გრძნობა აკმაყოფილებს უმაღლესი კატეგორიის მოთხოვნილებებს.

შინაკერი (dishonest trader) – არაკეთილსინდისიერი ვაჭარი.

შინამეურნეობა (hoysehold)– გაერო ეროვნული ანგარიშთა სისტემის მიხედვით, ერთად მცხოვრებ პირთა მცირე ჯგუფი, რომლებსაც გაერთიანებული აქვთ (მთლიანად ან ნაწილობრივ) თავიანთი შემოსავლები და ქონება და ერთად მოიხმარენ გარკვეული სახის საქონელსა და მომსახურებას, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრისსა და კვების პროდუქტებს. როგორც წესი, შინამეურნეობის თითოეულ წევრს აქვს გარკვეული უფლება ამ მეურნეობის ერთობლივ რესურსებზე.

შინამეურნეობა ხშირად იდენტურია „ოჯახისა“, თუმცა ერთი და იგივე შინამეურნეობის წევრები არ არის სავალდებულო იყოს ერთი ოჯახის წევრები. აუცილებელ პირობას წარმოადგენს რესურსების ერთობლივი მფლობელობა და ერთობლივი მოხმარება. იგი არის სოციალურ-ეკონომიკური რგოლი (უჯრედი) ერთ საერთო საცხოვრებელ ფართობზე და ერთ საოჯახო ბიუჯეტით მცხოვრებ ადამიანთა.

შინამეურნეობა, როგორც მოხმარების სტატისტიკის მნიშვნელოვანი სტატისტიკური ერთეული, განსხვავდება მოსახლეობის სტატისტიკაში ხმარებულ საოჯახო მეურნეობისაგან, როგორც მხოლოდ ერთად მცხოვრებ პირთა ერთობლიობისაგან.

შინამეურნეობრივი სიმდიდრე – ანუ ქონების წმინდა ღირებულების სიდიდე განისაზღვრება როგორც მისი ქონებისა და ვალდებულებების სიდიდეთა სხვაობა.

შიპჩანდლერი (ship-chandler) – ორგანიზაცია ან ფირმა. რომელიც სურსათს აწვდის გემებს და ამარაგებს მათ ტექნიკით.

შიპჩინდლერის ოპერაციები – გემებზე პროდუქტებისა და მათ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

შოკი – წარმოდგენა ფრანგულიდან და პირდაპირი გაგებით ბიძგს, დარტყმას ნიშნავს. თავდაპირველად შემოვიდა მედიცინაში და ასახავს ორგანიზმს დასუსტების და დაბეჩავების მდგომარეობას, რაც გამოწვეულია ცენტრალური ნერვიული სისტემის და სხვა სასიცოცხლო სისტემის მოშლით. უკანასკნელ პერიოდში შემოვიდა ეკონომიკაში შოკური თერაპიის სახით. ნიშნავს სამეურნეო რეფორმების ერთ-ერთი ვარიანტს, რომელიც გულისხმობს საბაზრო ურთიერთობებზე მკვეთრ, ნახტომისებრ და საყოველთაო გადასვლას.

შოკ-სტევპარდი – მართვის სფეროში მუშაობის არჩევითი წარმომადგენელი.

შორსმჭვრეტელობა – მასში იგულისხმება უნარი – არა მარტო შეიცნო მოვლენათა შინაგანი ლოგიკა, არამედ დაინახო მისი განვითარების პერსპექტივა.

შრომა – ეს არის მიზანშეწონილი საქმიანობა ნიშნავს ყოველგვარი სახეობის ფიზიკურ თუ გონებრივ, კვალიფიციურ თუ არაკვალიფიციურ სამუშაოთა შესრულებას ადამიანის მიერ. შრომა არის უმნიშვნელოვანესი რესურსი, რომელზეც მიდის წარმოების დანახარჯების დიდი ნაწილი.

შრომა – ეს არის სამუშაო ძალის მოხმარების პროცესი, ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი დოვლათის შესაქმნელად.

შრომაზე კონცენტრირებული ხელმძღვანელი – ხელმძღვანელი, რომელიც, პირველ რიგში, ახდენს სამუშაოს ორგანიზებას და შეიმუშავებს დაჯილდოების სისტემას შრომას მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით.

შრომატევადობა – ავიამომსახურების ერთეულზე სამუშაო დროის დანახარჯი. იგი შრომის ნაყოფიერების (შრომის

მწარმოებლურობის) შებრუნებული მაჩვენებელია და გვიჩვენებს შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. შრომატევადობა გაიანგარიშება ავიამომსახურებაზე დახარჯული დროის შეფარდებით შესრულებული მომსახურების მოცულობასთან.

შრომითი ემიგრაცია – ნაკადები მიგრანტებისა, რომლებიც ქვეყნიდან მიემგზავრებიან დასაქმების პირობების შეცვლის მიზნით.

შრომითი ადაპტაციის ძირითადი მიზნებია:

- სატრასტო დანახარჯების შემცირება;
- ახალ მომუშავეთა შეწუხებულობისა და გაურკვევლობის შემცირება;
- კადრების დენადობის შემცირება, რამდენადაც, თუ ახალმიღებული უხერხულ მდგომარეობაშია და თავს გრძნობს ორგანიზაციისათვის ზედმეტად. იგი, როგორც წესი ფიქრობს სამუშაოს შეცვლაზე (ორგანიზაციიდან წასვლაზე);
- ხელმძღვანელისა და თანამშრომელთა დროის ეკონიმია, რამდენადაც ადაპტაციის პროგრამით ჩატარებული მუშაობა ეხმარება მათ შეძლონ სამუშაო დროის ეკონომია;
- სამუშაოსადმი პოზიტიური დამოკიდებულების განვითარება.

შრომითი კონტრაქტი – იგი ვადიანი შრომითი ხელშეკრულებაა, რომელიც იდება წერილობითი ფორმით. შრომითი კონტრაქტი შეთანხმებაა მომუშავესა და ორგანიზაციას შორის. კონტრაქტით მომუშავე იღებს ვალდებულებას, ორგანიზაციის შინაგანაწესის შესაბამისად შეასრულოს განსაზღვრული სპეციალობის და კლასიფიკაციის სამუშაო (თანამდებობა), ხოლო ორგანიზაციის ვალდებულებას კისრულობს, გასცეს ხელფასი და უზრუნველყოს შრომის ნორმალური პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით, მოქმედი კოლექტიური ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

„შრომითი მოქმედებანი“ და „შრომითი პროცესი“– ფაქტობრივად არის სამუშაო, ამიტომ სამუშაოს ანალიზისა და

აღწერილობის შესახებ ყველა ზემოაღნიშნული მსჯელობა მთლიანად ეხება სამუშაო ადგილს. იმის გამო, რომ მოსამსახურეთა კატეგორიის სამუშაო ადგილი განიხილება თანამდებობასთან შეუღლებულად, თანამდებობის ანალიზი და აღწერილობა ტარდება ზემოთ განხილულის ანალოგიურად.

შრომითი რესურსი – საჭირო პროფესიის და კვალიფიკაციის პერსონალის გარეშე ორგანიზაციის გამართული მუშაობა წარმოუდგენელია. მრავალი მაღალგანვითარებული ქვეყნის ეკონომიკის რიგი დარგები საჭირო პროფესიის და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების უკმარისობას განიცდიან. ბევრ ფირმას აკლია მაღალკვალიფიციური ტექნიკოსები, გამოცდილი პროგრამისტები და სისტემის დამმუშავებლები.

შრომითი რესურსები – ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც აქვს საჭირო ფიზიკური განვითარება, გონებრივი უნარი და ცოდნა მუშაობისათვის. შრომითი რესურსების რიცხვი ახასიათებს მუშაკთა პოტენციურ რიცხვს, რომელიც საზოგადოებას ჰყავს, და განსაზღვრავს მაქსიმალურად შესაძლო მოთხოვნას სამუშაო ადგილებზე.

შრომითი რესურსების ბალანსი (balance of manpower) – ასახავს ქვეყანაში არსებული შრომითი რესურსების რაოდენობას, შემადგენლობას (ასაკის, სქესის, პროფესიის, დასაქმების სახეობების, სოციალური ჯგუფებისა და ა.შ. მიხედვით) განაწილებასა და გამოყენებას.

შრომითი რესურსების დაგეგმვა – კადრების და სამუშაო ძალის დაგეგმვის მეთოდების გამოყენება. ასეთი დაგეგმვა მოიცავს სამ ეტაპს: 1) არსებული შრომითი რესურსების შეფასება; 2) შრომით რესურსებზე მომავალი მოთხოვნილების შეფასება; 3) ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროგრამის შემუშავება.

შრომითი რესურსების მართვის ეტაპებია – შრომითი რესურსების მოთხოვნის დაგეგმვა, კანდიდატურების შერჩევა, პერსონალის დაკომპლექტება, შრომითი ანაზღაურებებისა

და შეღავათების განსაზღვრა, პროფორიენტაცია და ადაპ-ტაცია, სწავლება, საქმიანობის შეფასება, მმართველობითი კადრების მომზადება, სამსახურებრივ საფეხურებზე გა-დაადგილება.

შრომითი ურთიერთობების სპეციალისტები – ისინი რჩევას აძლევენ ხელმძღვანელობას მენეჯმენტის ურთიერთობე-ბის ყველა ასპექტში.

შრომითი ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება – საქმე ისაა, რომ პერსონალის მართვა. გარკვეულ წილად ეფუძნება შრომით კანონმდებლობასა და ორგანიზაციულ ნორმებს. ისინი, უმეტესად, დაფიქსირებულია საწარმოთა წესდებაში.

შრომითი უნარის და ჩვევების ინვენტარიზაცია – მუშების და მოსამსახურეების ჩვევების წერილობითი აღრიცხვა, იმ პირების რაოდენობის მითითებით, რომლებიც ფლობენ ამ ჩვევებს.

შრომითი ფუნქციების ხასიათის მიხედვით – პერსონალი იყოფა მუშებად და მოსამსახურეებად. მუშები უშუალოდ ქმნიან მატერიალურ დოვლათს, ან ეწევიან წარმოებითი ხასიათის მომსახურებას. მუშები თავის მხრივ, იყოფიან ძირითად და დამხმარე მუშებად. ძირითადი მუშები და-საქმებული არიან ტექნოლოგიურ პროცესებში. ისინი შრომის სათანადო იარაღების გამოყენებით ახდენენ შრო-მის საგნის ფორმის, სტრუქტურის, თვისებებისა და სივრ-ცობრივი მდგომარეობის შეცვლას, რომლის შედეგად იქმ-ნება მატერიალური პროდუქტები ან მომსახურება. ისინი უმეტესად დასაქმებულები არიან სარემონტო ინსტრუმენ-ტალურ, სატრანსპორტო და სასაწყობო განყოფილებებში.

შრომითი ღირებულების თეორია (laboux theory of vale) – თეორია, რომლის თანახმადაც ფასწარმოქმას საფუძვლად უდევს საქონლის წარმოებაზე დახარჯული ანუ საქო-ნელში განივთებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობა (შრომის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წარმოების ნორმალურ პირობებში საქონ-

ლის დასამზადებლად), ე.ი. მისი ღირებულება. ღირებულების მიხედვით ორ სხვადასხვა საქონლის ტოლობა ნიშნავს იმას, რომ მათში ერთი და იგივე რაოდენობის შრომაა განივთებული. ამ თეორიის ძირითადი პოსტულატებია:

– გაცვლის სხვადასხვა პროდუქტებს აქვთ ერთნაირი შინაარსი – ღირებულება. ამიტომ ისინი ერთმანეთს უტოლდებიან განსაზღვრული საცვლელი ღირებულებით;
– ღირებულება საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა. ღირებულების მიხედვით პროდუქციის ტოლობა ნიშნავს იმას, რომ მათში ერთი და იგივე რაოდენობის შრომა განივთებულია;
– თუ შრომა თავისებურად ერთნაირია, მაშინ რაოდენობრივად იგი იზრდება დროის ხანგრძლივობით;
– ბაზარზე ერთნაირი სახეობის საქონელზე ყალიბდება არა ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი ღირებულება.

შრომითი ღირებულების თეორია ეკუთვნის კლასიკურ სკოლას. მის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დ. რიკარდოს. აგრეთვე კ. მარქსს. შრომითი ღირებულების თეორიას დაუპირისპირდა ზღვრული სარგებლიანობის თეორია, წარმოების დანახარჯების თეორია, მოთხოვნა მიწოდების თეორია, ინგლისურ-ამერიკული სკოლის თეორია.

შრომითი ღირებულების თეორიის მთლიანად უარყოფა მეცნიერულად არ არის გამართლებული. იგი ზღვრული სარგებლიანობის თეორიასთან ერთად, საფუძვლად უდევს ფასწარმოქმნას. ამ თეორიების დაპირისპირება გამოხატავს არა მხოლოდ მათ ურთიერთუარყოფას, არამედ ურთიერთგანპირობებულობასაც, ღირებულებასა და სარგებლიანობას შორის ფუნქციონალურ კავშირს.

შრომითი ცხოვრების ხარისხი – ტერმინი აღნიშნავს, რომ ეკონომიკურ სარგებელთან ერთად ადამიანი ღებულობს პირი სულიერ კმაყოფილებას. ეს საკითხი ატარებს ღრმა ინდივიდუალურ ხასიათს, მაგრამ ზოგიერთ ზოგად ასპექტში ის შეიძლება განხილული იქნეს ყველა ინდივიდის

მიმართ და დაკავშირებულ იქნეს ადამიანური ღირსების და თვითრეალიზაციის კონცეფციებთან.

შრომითი ცხოვრების ხარისხი – შრომით კოლექტივში საქმიანობის მეშვეობით მნიშვნელოვანი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე.

შრომითი ხელშეკრულების გაფორმება – პერსონალის სამსახური შერჩეული კანდიდატისათვის ამზადებს შესაბამის წინადადებას. დაქირავების შესახებ წინადადება შეიძლება მომზადდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. წინადადების ტექსტი, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: თანამდებობის დასახელება, მუშაობის ადგილი, დაქვემდებარებულობა, ხელფასის სიდიდე და მისი მიცემის წესი, არსებული შეღავათები, გამოსაცდელი პერიოდის ხანგრძლივობა, მუშაობის დაწყების თარიღი.

შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) და საიჯარო ხელშეკრულებას შორის განსხვავება შემდეგია

1. **შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საგანია თვით საქმიანობა** – განსაზღვრული სპეციალობისა და კვალიფიკაციის სამუშაოს (თანამდებობის) შესრულება. **საიჯარო ხელშეკრულების** საგანი კი არის საქმიანობის შედეგი.

2. **შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის)** დადებით ადამიანი ხდება ორგანიზაციის წევრი. იგი ვალდებულია დაემორჩილონ შინაგანაწესს და ადმინისტრაციის მითითებებს. რაც შეეხება მოიჯარეს იგი ორგანიზაციის წევრი არ ხდება, თვითონვე განაგებს სამუშაო დროს და ახორციელებს მუშაობის ორგანიზაციას.

3. **შრომით ურთიერთობებში მყოფი პირები**, როგორც წესი, შეზღუდული მატერიალური პასუხისმგებლები არიან მხოლოდ პირდაპირი მატერიალური პასუხისმგებლები არიან მხოლოდ პირდაპირი მატერიალური ზარალისას, რომელიც განიცადა ორგანიზაციამ მისი მიზეზით თანამედროვე მოღვაწეობის შესრულებისას. **საიჯარო ხელშეკრულება** კი როგორც წესი, ითვალისწინებს პასუ-

ხისმგებლობას ცუდი მიშაობისათვის, რასაც ახლავს შემოსავლების შემცირება. რაც შეეხება ზარალს, იგი ანაზღაურდება სრული მოცულობით.

4. შრომითი ხელშეკრულების დადებით ადამიანი ექცევა შრომითი კანონმდებლობის მოქმედებაში. იგი უზრუნველყოფილია ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებითა და გარანტიებით, რითაც არ სარგებლობენ საიჯარო ხელშეკრულებით მომუშავენი.

შრომის ანაზღაურების მენეჯერები – ისინი ორგანიზაციას უკეთებენ დასაქმებულთა შრომას ანაზღაურებასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციას.

შრომის ბაზარი – იგი ბანკების საკადრო პოლიტიკის მიზნობრივი სფეროა, რომელსაც დროდადრო უხდებათ თავიანთი პერსონალის განახლება ან შევსება და მყიდველებად გამოდიან ამ ბაზარზე.

შრომის ბაზარი (labor market) – სამუშაო ძალის ყიდვა გაყიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობათა სისტემა. გულისხმობს დამქირავებლებსა და დასაქირავებლებს შორის ნებაყოფლობით საფუძველზე აგებულ ურთიერთობას, აგრეთვე თითოეული მათგანის ურთიერთობას სხვა სუბიექტთან. სამუშაო ძალის ბაზრის კონიუნქტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია თანაფარდობა თავისუფალ სამუშაო ადგილებსა და დაუსაქმებელ პირებს, სამუშაოს აქტიურად მაძიებლებს შორის. სამუშაო ძალის ფასის გადახრა მისი ღირებულებისაგან დამოკიდებულია წარმოების ეფექტიანობაზე, განაწილებით ურთიერთობაზე, ხელფასის და შემოსავლების სტრუქტურის დონეზე, სამომხმარებლო ბაზრის დინამიკაზე, საქონლისა და მომსახურების მოქმედ ფასებზე და სხვ. ამ ფაქტორების ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა აყალიბებს სამუშაო ძალის თვითრეგულირებასა და თვითმოძრაობას მიმოქცევის სფეროში. განვითარებული სამუშაო ძალის ბაზარი სტიმულს აძლევს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ხელს უწყობს სამუშაო ძალის განაწილებას პირადი და

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად. მისი მეშვეობით მცირდება წარმოების დანახარჯები, ხდება სამუშაო ძალის ჭარბი რეზერვის განაწილება მეურნეობის პერსპექტიულ დარგებში. სამუშაო ძალის ბაზრის სიდიდეს განსაზღვრავს ვაკანტური სამუშაო ადგილები და სამუშაოს აქტიურად მაძიებელი შრომისუნარიანი მოსახლეობა.

შრომის ბაზარი – არის საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი დამქირავებელთა ინტერესების შემათანხმებელი მექანიზმი. იგი უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების კანონის საფუძველზე. შრომის ბაზრის მთავარი შემადგენელი ნაწილებია: **ერთობლივი მიწოდება**, რომელიც მოიცავს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთელ სამუშაო ძალას და **ერთობლივი მოთხოვნა**, რომელშიც იგულისხმება დაქირავებულ სამუშაო ძალაზე ეკონომიკის მთლიანი მოთხოვნა. ისინი მთლიანობაში განსაზღვრავენ ერთობლივი შრომის ბაზრის ტევადობას, ანუ შრომის ბაზარს ფართო გაგებით.

შრომის ბაზარი – მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია მოსახლეობის დასაქმებასთან. დასაქმება, როგორც სოციალური ხასიათის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, გამოხატავს ადამიანთა მოთხოვნილებას არა მარტო შემოსავლებზე, არამედ საზოგადოებრად სასარგებლო საქმიანობაზე და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრული დონისა.

შრომის ბირჟა – დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შუამავლობას მუშებსა და მეწარმეებს შორის სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის გარიგების დადების დროს.

შრომის ბირჟა (labour exchange) – სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც რეგულარულად ახორციელებს შუამავლურ ოპერაციებს შრომის ბაზარზე. იგი აგრეთვე ახდენს უმუშევართა რეგისტრაციას.

შრომის ბიუჯეტი – შედგება კომპანიაში არსებული ყველა ადამიანური რესურსების რაოდენობისა და მათი სახელწოდებებისაგან, თითოეული თანამდებობისთვის ბიუჯეტით განსაზღვრულ ხელფასთან ერთად.

შრომის დანაწილება – საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის სისტემა, რომელშიც ადგილი აქვს სხვადასხვა განცალკევებული სახის შრომით საქმიანობას. შრომის განაწილების ფორმები განისაზღვრება მატერიალური წარმოების მდგომარეობით, საზოგადოებაში საწარმოო დამოკიდებულებათა კონკრეტული სისტემით.

შრომის დანაწილება (division of labour) – შრომის დანაწილების პროცესი საქმიანობის სფეროების მიხედვით, ანუ სამუშაოთა იმ სახეების მიხედვით, სადაც ყველაზე მეტად იქნება გამოყენებული პიროვნების კვალიფიკაცია. შრომის დანაწილების შედეგად არც ერთი ადამიანი არ ასრულებს ყველა სამუშაოს წარმოებაში და თითოეული სპეციალიზდება სამუშაოთა იმ სახეებზე, რომლებშიც მას აქვს შეფარდებითი უპირატესობა.

შრომის დანაწილება – საზოგადოებრივი შრომის ისტორიულად განსაზღვრული სისტემა, რომელიც ყალიბდება საზოგადოებრივი განვითარების პროცესში შრომითი საქმიანობის თვისებრივი დიფერენციაციის შედეგად. განასხვავებენ შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით და საწარმოს ფარგლებში. გამოყოფენ აგრეთვე შრომის **ტერიტორიულ დანაწილებას** და **შრომის საერთაშორისო დანაწილებას.** შრომის დანაწილების მეცნიერულ ფუძემდებლად ითვლება ა. სმითი.

შრომის დანაწილება – ერთობლივი შრომის პროცესში შრომითი საქმიანობის სხვადასხვა სახის გამიჯვნა და განცალკევება.

შრომის დაცვა – საკანონმდებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია

შრომის პროცესში ადამიანთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. მაგალითად, ვენტილაცია და სხვა.

შრომის დისციპლინა – წარმოებაში დადგენილი წესების მკაცრად დაცვა, რაც გულისხმობს – სამუშაოზე დროულ გამოცხადებას, სამუშაო დღის ხანგრძლივობის დაცვას, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა დროულ და ზუსტ შესრულებას.

შრომის ექსტენსივობა – წარმოების პროცესში მუშაკის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობა უცვლელი დაძაბულობის პირობებში შრომის ექსტენსივობის სიდიდე შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს სამუშაო დღის, სამუშაო კვირის და სხვა ცვლილებით.

შრომის ვერტიკალური დაყოფა – ძალისხმევის და სამუშაოს შემადგენელი კომპონენტების (მართვა და წარმოება) დაყოფა და კოორდინაცია. შრომის ვერტიკალური დაყოფა ქმნის მართვის დონეებს.

შრომის ინდივიდუალური ღირებულების საფუძველი – ნიშნავს ადამიანური კაპიტალის მიერ შემოთავაზებული ისეთი ანაზღაურება, რომელიც ემყარება ცოდნას, გამოცდილებას და კომპეტენტურობას.

შრომის ინტენსივობა – შრომის დაძაბულობის ხარისხი. იზომება შრომის რაოდენობით, რომელსაც დროის ერთეულში მუშაკი ხარჯავს.

შრომის ინტენსივობა – გაიზომება დროის ერთეულში შრომის დანახარჯებით.

შრომის კოოპერაცია – შრომის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მუშაკების ერთობლივ მოქმედებას წარმოების პროცესში. რთული შრომის კოოპერაცია დაფუძნებულია შრომის განაწილებაზე. შრომის კოოპერაცია უზრუნველყოფს რა წარმოების საშუალებების უფრო რაციონალურ გამოყენებას, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

შრომის კონტრაქტი – დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ხელშეკრულება, სადაც ფიქსირებულია, დაქირავე-

ბულის შრომითი ფუნქციები, სამუშაოს ადგილი, თანამდებობრივი ვალდებულება, ხელფასის სიდიდე, მუშაობის დაწყების დრო და სხვა.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია – შრომის ორგანიზაციის სრულყოფის პროცესი, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერების და ტექნიკის, ფიზიოლოგიის და შრომის ჰიგიენის მიღწევებზე. შრომის მეცნიერული ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა ფ.უ. ტეილორმა.

შრომის მსოფლიოს კონფედერაცია – პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანება დაარსდა 1920 წელს აერთიანებს 83 ქვეყნის 87 ნაციონალურ პროფორგანიზაციას. ითვლის 14 მლნ წევრს (1986 წ.).

შრომის მწარმოებლობა – გვიჩვენებს დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობას.

შრომის მწარმოებლობა (labour productivity) – შრომითი რესურსების, ადამიანისეული კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. განისაზღვრება დროის ერთეულში გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობით, ან ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული დროის რაოდენობით.

შრომის ნაყოფიერება – შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობით ან პროდუქციის ერთეულზე დახარჯული დროის სიდიდით.

შრომის ნაყოფიერება – შრომის ეფექტიანობა წარმოების პროცესში. იზომება დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობით ან პროდუქციის ერთეულზე დახარჯული დროის რაოდენობით. შრომის ნაყოფიერების ზრდა ობიექტური ეკონომიკური კანონი. შრომის ნაყოფიერების ზრდა იმას ნიშნავს, რომ შრომის უფრო ნაკლები რაოდენობით იწარმოება მეტი **სახმარი ღირებულების** მასა. პროდუქციის წარმოების დროს იცვითება შრომის იარაღები და მოიხმარება **შრომის საგნები.** ასე რომ, ყოველი პროდუქტი ერთსა და იმავე დროს ახალი და წარსული

შრომის შედეგია. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად პროდუქციაში იზრდება ძველი შრომის წილი და შესაბამისად მცირდება ახალი (ცოცხალი) შრომის წილი. შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათგან ძირითადია: **მუშაკის კვალიფიკაცია**; **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის** გამოყენების დონე; **შრომის ორგანიზაცია**; **წარმოების საშუალებათა** მოცულობა და ქმედითუნარიანობა; ბუნებრივი პირობები.

შრომის ნორმირება – ნიშნავს შრომის პროცესის ზომის დადგენას. შრომა წარმოადგენს ადამიანის მიზანშეწონილ საქმიანობას, რომლის პროცესს ბუნების მიერ მოცემულ საგნებში შეაქვს გარკვეული (ქიმიური, ფიზიკურ-მექანიკური) ცვლილებები, რისთვისაც საჭიროა შრომის იარაღები. შრომის პროცესის შედეგად შრომის საგნები გარდაიქმნებიან და შემდგომ შესაძლებელია მომხმარებლის გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

შრომის ორგანიზაციის მეთოდების შესწავლა – საწარმოო ოპერაციების ყველა შემადგენელი ნაწილების შესწავლა მათი სრულყოფის შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით.

შრომის პირობები – გარემოსა და შრომითი პროცესის ფსიქოფიზიოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური, ესთეტიკური და სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე.

შრომის პროცესი – არის ბუნების საგნებსა და ძალებზე ადამიანის ზემოქმედებისა და ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მათი გამოყენების პროცესი.

შრომის რედუქცია (ლათ. reductio უკან დაბრუნება) – რთული (კვალიფიციური) შრომის დაყვანა მარტივ (არაკვალიფიციურ) შრომამდე. რთული **შრომა** დროის ერთეულში მეტ **სახმარ ღირებულებას** ქმნის ვიდრე მარტივი შრომა. რთული შრომის გატოლება შესაბამისი რაოდენობის მარტივ შრომასთან ხორციელდება ბაზრის მეშვეობით.

შრომის რეორგანიზაცია – მუშაკთა შინაგანი კმაყოფილების ამაღლების მიზნით შრომის პირობების შეცვლა მოწინავე ორგანიზაციებში, რაც სამუშაოს მოცულობის გადიდების ან მისი შინაარსის გაღრმავების გზით ხორციელდება.

შრომის რესურსები – ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც აქვს საჭირო ფიზიკური განვითარება, გონებრივი უნარი და ცოდნა მუშაობისათვის. შრომითი რესუსების რიცხვი ახასიათებს მუშაკთა პოტენციურ რიცხვს, რომელიც საზოგადოებას ჰყავს და განსაზღვრავს მაქსიმალურად შესაძლო მოთხოვნას სამუშაო ადგილებზე.

შრომის საგანი – არის ყველაფერი ის, რისკენაც მიმართულია ადამიანის შრომა და რაც შეადგენს მომავალში პროდუქციის მატერიალურ საფუძველს.

შრომის საერთაშორისო დანაწილება (შსდ) – თავისი არსით, წარმოების ორი პროცესის – დაყოფისა და გაერთიანების დინამიკური ერთიანობაა.

შრომის საერთაშორისო დანაწილება – ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის წარმოების სპეციალიზაცია. ქმნის საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების საფუძველს. შრომის საერთაშორისო დანაწილება შეადგენს მსოფლიო ბაზრის განვითარების ობიექტურ ბაზას.

შრომის საერთაშორისო დანაწილება (international division of labour) – ცალკეული ქვეყნების სპეციალიზაცია გარკვეული სახის იმ საქონლის (მომსახურების) წარმოებაზე, რომელთა დამზადებისთვისაც თითოეულ მათგანს სხვა ქვეყნებზე უკეთესი პირობები (ბუნებრივი და შეძენილი) აქვს, ანუ აქვს აბსოლუტური უპირატესობა ამა თუ იმ საქონლის (მომსახურების) წარმოებისთვის. შრომის საერთაშორისო დანაწილება გულისხმობს ქვეყნების მოთხოვნის დაკმაყოფილებას არა მხოლოდ საკუთარი წარმოებით, არამედ საგარეო ვაჭრობის საშუალებითაც.

შრომის საერთაშორისო დანაწილების – ძირითად ფირმებს მიეკუთვნება შრომის საერთაშორისო სპეციალიზაცია და შრომის საერთაშორისო კოოპერირება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს დასაქმების უზრუნველყოფისა და ცხოვრების დონის ზრდის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, მეწარმეთა და მშრომელთა შორის თანამშრომლობის ამაღლების პრობლემათა გადაჭრას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – შსო (International Labour Organization – ILO) – შეიქმნა 1919 წელს მოსახლეობის შრომის პირობებისა და სოციალური დაცვის მიზნით ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე. 1946 წლიდან გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელშიც წარმოდგენილი არიან როგორც წევრი მთავრობები, ისე პროფკავშირები და მეწარმეთა ორგანიზაციები.

შსო-ს შემუშავებული აქვს ბაზრის ანალიზის და პროგნოზირების მაჩვენებელთა სისტემა, ინდიკატორები და კრიტერიუმები. მისი შტაბ-ბინა ჟენევაში. იკვლევს სამუშაო ძალის, მომზადების და გამოყენების, შიგა და ქვეყანათაშორისი მიგრაციული ნაკადების პრობლემებს. მისი მთავარი ამოცანაა მსოფლიო წარმოების ზრდაზე ზემოქმედება, ცხოვრების დონის ამაღლება შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით.

შრომის საერთაშორისო სპეციალიზაცია – როგორც შსდ-ის ერთ-ერთი ფორმა, გულისხმობს ქვეყანათა შრომის ისეთ დანაწილებას, რომლის დროსაც მსოფლიოში ერთგვაროვანი წარმოების კონცენტრაცია და შრომის განზოგადება იზრდება ეროვნული წარმოებების დიფერენციაციის, შრომის სულ უფრო ერთგვაროვანი პროდუქტების წარმოებების დამოუკიდებელ ტექნოლოგიურ პროცესებად, ცალკეულ დარგებად და ქვედარგებად გამოყოფის საფუძველზე.

შრომის საზომი ერთეული – არის შრომადღე, კაცდღე, შრომასაათი, კაცსაათი, რომელთა მეშვეობით იზომება დახარჯული შრომის რაოდენობა, ხარისხი და იგი შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს.

შრომის საშუალება – არის ყოველივე ის, რისი მეოხებითაც ადამიანი ზემოქმედებს **სამუშაო საგნებზე.** 2. შრომის საგნები და შრომის საშუალებები ერთობლიობაში შეადგენს წარმოების საშუალებებს სამუშაო ძალისაგან განსხვავებით იგი წარმოების ნივთობრივი ფაქტორია. წარმოების საშუალებები და საშუალო ძალა მთლიანობაში ქმნის საწარმოო ძალებს.

შრომისა და სოციალური სამართალი – ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ხორციელდება კანონის ფარგლებში. აქ, უპირველეს ყოვლისა იგულისხმება შრომისა და და სოციალური სამართალი. მათი დახმარებით ხდება შრომის ორგანიზაციისა და დამსაქმებელთან ან ადმინისტრაციასთან, როგორც მათ უშუალო წარმომადგენლებთან, ყოველგვარი ურთიერთობა.

შრომის სპეციალიზებული დაყოფა – ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ეს არის სიტუაცია, როდესაც პირები, რომლებიც ყველაზე კარგად ართმევენ თავს მოცემულ სამუშაოს, ასრულებენ მას მთელი ორგანიზაციისათვის. ტერმინი შეეხება შრომის ჰორიზონტალურ დაყოფას მცირე შემადგენელი კომპონენტების პირობებში – საამწყობო კონვეიერზე.

შრომისუნარიანობა – ადამიანის უნარი, აამაღლოს და განსაზღვრული დონეზე შეინარჩუნოს ფიზიოლოგიური პროცესების ინტენსივობა სასუნთქ აპარატში, ნერვულ სისტემაში, სისხლის მიმოქცევის ორგანოებში და ა.შ.

შრომისუნარიანი მოსახლეობა – შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა ინვალიდებისა და სხვა არაშრომისუნარიანი პირობების გამოკლებით.

შრომის ჰორიზონტალური დაყოფა – სამუშაოს დაყოფა შემადგენელ კომპონენტებად ორგანიზაციაში.

შსს-ის ხარისხობრივი მხარე – მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე გასატანი საქონლის ნომენკლატურის მრავალფეროვნებაზე.

შტაბური ძალაუფლება – მენეჯერებს აძლევს უფლებას (ან ძა-

ლაუფლებას) რჩევა მისცეს სხვა მენეჯერებსა თუ დასაქმებულებს.

შტრაიკბრეხერი (strikebreaker) [გერმ. – streikbrecher, streik გაფიცვა + trechen დამტვრევა, მოგლეჯა] – პირი, რომელსაც საწარმო მაშინ დაიქირავებს, როდესაც მისი კოლექტივი გაფიცულია.

შტრაფი – ადმინისტრაციული ან სასამართლოს წესით გამოტანილი სასჯელი, რომელიც ფულადი ფორმით გადაიხდება.

შტრიხ-კოდი (bar code) – სპეციალური კოდი, რომელიც საქონლის საფუთავზეა განთავსებული არტიკულის იდენტიფიკაციისთვის.

შტურმანის ხელმოწერა (ხელწერილი) – გემის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტვირთის გადაზიდვაზე მიღებას. წარმოადგენს კონოსამენტის გამოწერის საფუძველს, გამოხატავს ტვირთგამგზავნიდან ტვირთზე პასუხისმგებლობის გადასვლის ფაქტს გემზე. ხელმოწერის თარიღი პასუხობს მოცემული ტვირთის გემზე დატვირთვის ფაქტიურ თარიღს.

შტურმანის ხელწერილი გემთმფლობელის მიერ გადაზიდვისათვის საქონლის მიღების მოწმობაა. იგი გამოიწერება კაპიტანის თანაშემწის მიერ გემის ბორტზე საქონლის კონკრეტული პარტიის მიღების დასადასტურებლად, შეიცავს საქონლის გარეგნული მდგომარეობის დახასიათებას და იძლევა გადაზიდვისათვის კონოსამენტის გამოწერის უფლებას.

შუამავალი – პირი, რომელიც წარმოადგენს მწარმოებლის ინტერესს პროდუქციის გასაღების ნებისმიერ ბაზარზე. ესენია სავაჭრო მაკლერები, კომისიონერები და სავაჭრო წარმომადგენლები.

შუამავლები – ორგანიზაციები (ფირმები), რომლებიც ეხმარებიან საწარმოებს (ფირმებს, კომპანიებს) საქონლის (მომსახურების) გასაღებაში (ყიდვა-გაყიდვაში) როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში (ბიზ-

ნესში). შუამავალი შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც (მაგალითად, სავაჭრო აგენტიც).

შუალედური ანგარიშგების – წარდგენა სავალდებულოა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოსათვის (საწარმო, რომელსაც გამოშვებული აქვს რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდი, გარდა საფონდო ბირჟის, ცენტრალურ დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა). ასეთ საწარმოს ევალება მოამზადოს და კომისიას წარუდგინოს, გამოაქვეყნოს არ რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიაწოდოს: წლიური ანგარიშგება, ნახევარი წლის (შუალედური) ანგარიშგება; მიმდინარე ანგარიშება.

შუალედური ლიკვიდობის კოეფიციენტი – განისაზღვრება როგორც საბრუნავი აქტივების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების გამოკლებით) შეფარდება მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებასთან. აღნიშნული მაჩვენებელი მიმდინარე ვალდებულებების წილის მახასიათებელია, რომელიც შეიძლება დაფარული იქნეს ნაღდი ფულის და გადატვირთული პროდუქციის, გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოებიდან მოსალოდნელი შემონატანების ხარჯზე.

შუალედური მმართველობითი პროცესი – საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც მოიცავს და აკავშირებს ოთხ ძირითად ფუნქციას: დაგეგმვას, ორგანიზაციას, მოტივაციას და კონტროლს. მას ხშირად დამაკავშირებელ პროცესს უწოდებენ.

შუალედური მოხმარება (intermediate consumption) – წარმოების ერთი სტადიის შრომის პროდუქტის გამოყენება შრომის საგნის სახით წარმოების მეორე სტადიაზე.

შუალედური პროდუქტი (imtermediate product) – პროდუქტი, რომელმაც გაიარა გარკვეული დამუშავება, მაგრამ ჯერ კიდებ ვერ მიაღწია იმ სტადიას, რომელზედაც ჩაითვლება საბოლოო პროდუქტად. მაგალითად, ფულადი შუალედური პროდუქტია.

შუალედური სალიკვიდაციო ბალანსი – ესაა სალიკვიდაციო ბანკის ბალანსი, რომელსაც მისი ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დაწესებული ვადის შემდეგ ადგენენ კრედიტორების მოთხოვნების გამოვლენისა და ამ მოთხოვნების რეესტრის შედგენის მიზნით.

შუალედურია ისეთი ლიზინგი – როდესაც ლიზინგს ობიექტების ღირებულება მერყეობს 0,5–5 მლნ დოლარის ფარგლებში.

ჩ

ჩაი ეწყობა 16 და 18 საათებს შორის. იგი, როგორც წესი, ქალებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მამაკაცებსაც ეპატიჟებიან. მისი ხანგრძლივობა 1-1,5 სთ.

ჩათვლა – გადახდა ან ფასების შემცირება რაიმე შესრულებაში მონაწილეობისათვის. ისეთის, როგორიცაა საქონელგაცვლის ვაჭრობის გეგმა ხანგრძლივი გამოყენების საქონელზე.

ჩაკეტილი ბაზარი (locked market) – ბაზრის ისეთი მდგომარეობაზე, როდესაც მყიდველის კურსი გამყიდველის კურსს უტოლდება.

ჩაკეტილი ეკონომიკა (closed economy) – ეკონომიკა, რომელიც ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარე სამყაროსაგან ფაქტობრივად იზოლირებულია; ეკონომიკა რომელიც ფართოდ არ მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში.

ჩამოსასხმელი ტვირთი – ტვირთი, რომელიც გადააქვთ ჩასხმული ცისტერნებში. ლოჯისტიკური ოპერაციებში ჩამოსასხმელ ტვირთთან, მაგალითად, გადატვირთვა, შენახვა და სხვ. სრულდება სპეციალური ტექნიკური საშუალების დახმარებით.

ჩანაცვლების ეფექტი (substitution effect) – ფასების ცვლილების ზემოქმედება საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობაზე, რის საფუძველზეც რეალური შემოსავალი უცვლელი რჩება.

ჩანტლაძე ვასილი (1905-1995), (Chantladze Vasil) – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1979), წევრ-კორეს-

პონდენტი (1974), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1959). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი (1927), მოღვაწეობდა თსუ-ში 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. იყო ფინანსებისა და კრედიტის დოცენტი (1930-1958), პროფესორი, გამგე (1967-1985). ვ. ჩანტლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ფინანსური მეცნიერებისა და ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანის ფიზიოკრატიული შეხდულებები პირველად სამი საუკუნის შემდეგ გამოიკვლია ვ. ჩანტლაძემ.

ძირითადი ნაშრომებია: „სამეურნეო ანგარიშიანობა და დაკრედიტება: თბ. 1937; სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“ თბ., 1959; „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“. თბ., 1966; „ფინანსების თეორიის საკითხები“. თბ, 1979 (რუსულ ენაზე: „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“. თბ., 1992 და სხვ.

ჩანაფიქრის შემოწმება – საქონლის ჩანაფიქრის გასინჯვა მომხმარებლების მიზნობრივ ჯგუფებზე, რომეთაც თხოვენ აზრის გამოთქმის ამ ჩანაფიქრზე იმ მიზნით, რომ მიღებული პასუხები გამოყენებული იქნეს ახლის სამომხმარებლო მომზიდველობის ხარისხის შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს.

ჩანაფიქრის შემუშავება – სასაქონლო იდეის დაწვრილებით გადმოცემა ცნებებით, რომელიც ნიშანდობლივია მომხმარებლისათვის.

ჩარტერი – ხელშეკრულება, რომელშიც ერთი მხარე (გამქირავებელი) განსაზღვრულ საფასურად გადასცემს მეორე მხარეს (დამქირავებელს) ერთი ან რამდენიმე საჰაერო ხომალდის მთლიან ტევადობას ან მის ნაწილს ერთი ან რამდენიმე რეისით მგზავრობს გადაყვანის, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვისათვის.

ჩარტერი – არაა მითითებული არც პორტის სახე, არც დანიშნულების პორტი.

ჩარტერი (charter) – ხელშეკრულება, რომელსაც დებენ ხომალდის მფლობელი და დამქირავებელი მთლიანად ხომალდის ამ მისი ნაწილის განსაზღვრული დროით ან გარკვეული რეისისათვის არენდით გაცემის შესახებ.

ჩარტერული საავიაციო გადაზიდვები – ავიატრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა, სადაც საჰაერო გადაზიდების ხელშეკრულებით წარმოებს თვითმფრინავის მთელი ტვირთამწეობის დაფრახტვა.

ჩარტინგი (charting) – გრაფიკებისა და დიაგრამების შედგენა ბაზრის ანალიზისა და ფასების პროგნოზირების მიზნით.

ჩაშენებული სტაბილიზატორები (implanted stabilizators) – ფისკალური პოლიტიკის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება ეკონომიკის კერძო სექტორში წარმოშობილი რხევების შერბილება. ასეთი სტაბილიზატორების მაგალითებია უმუშევრებისადმი დახმარება, პროგრესული საშემოსავლო გადასახადი და ა.შ.

ჩეინი (chain) – სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში, უდრის 22 იარდს ანუ 20,1168 მ-ს.

ჩეკი (chequa, check) – დადგენილი ფორმის ფულადი დოკუმენტი, ანგარიშის მფლობელის წერილობითი განკარგულება ბანკისადმი, რათა ამ უკანასკნელმა ჩეკი ხელის მოწერის ანგარიშიდან გასცეს ან გადარიცხოს სხვა ანგარიშზე გარკვეული თანხა; 2. უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება, ფასიანი ქაღალდი; 3. საცალო ვაჭრობაში-სალაროს ქვითარი, რომელიც ადასტურებს მყიდველისაგან ფულის მიღებას.

ჩეკი – ფასიანი ქაღადის სახეობა, ფულადი დოკუმენტი კანონით მკაცრად დადგენილი ფორმით, რომელიც შეიცავს ანგარიშის მფლობელის ბრძანებას საკრედიტო დაწესებულებაში (ჩეკის მიცემის) ჩეკის მფლობელისათვის გადახდის შესახებ მის მიერ წარდგენილი ფულადი თანხის მიხედვით, რომელიც აღნიშნულია ამ დოკუმენტში.

ჩეკი – გამოიყენება ბანკიდან ნაღდი ფულის გამოსატანად. იგი იწერება ერთ ცალად, მელნით ან ბურთულიანი კალმით. ჩეკში არავითარი შესწორება და გაურკვევლობა არ შეიძლება. ჩეკში აღინიშნება ვის გამოაქვს ფული ბანკიდან, მისი პიროვნების დამადასტურებელი მონაცემები, თანხა სიტყვებით და ციფრებით. ჩეკის მეორე გვერდზე მითითებული უნდა იყოს ბანკიდან გამოსატანი თანხის დანიშნულების შესახებ. ჩეკს ხელს აწერს საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი, დასმული უნდა ჰქონდეს საწარმოს მრგვალი ბეჭედი. ჩეკთან ერთად ივსება ჩეკის ყუა, რომელშიც იგივე მონაცემები აისახება, რაც ჩეკში. ჩეკის ყუა რჩება საჩეკო წიგნში. გამოწერილ ჩეკს ძალა აქვს ათი დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, გამოუყენებლობის შემთხვევაში იგი უნდა გაუქმდეს.

ჩეკი – არის მეანაბრის ბრძანება ბანკისადმი განსაზღვრული (ანგარიშზე ნაშთების ფარგლებში) თანხების გადახდის შესახებ, რაც კაპიტალის ბრუნვის და ანგარიშსწორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ჩეკი – ფულის გადამხდელის მიერ თავისი ბანკისთვის მიცემული განკარგულებაა, რომ მისი ანგარიშიდან ჩეკის პატრონს ფულის გარკვეული თანხა გადაუხადონ. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფულად ჩეკებს და საანგარიშსწორებო ჩეკებს.

ჩეკი – იწერება ერთ ცალად და გამოიყენება ბანკიდან სალაროში ნაღდი ფულის გამოსატანად. ჩეკში არ შეიძლება გადასწორება და გაურკვევლობა, მასში იწერება ვის გამოაქვს თანხა ბანკიდან, მისი პიროვნების დამადასტურებელი მონაცემები, სიტყვა და ციფრით, ჩეკის მეორე გვერდზე მითითებული უნდა იყოს ბანკიდან გამოსატანი თანხის დანიშნულება, ჩეკზე ხელს აწერს საწარმოს ხელმძღვანელი და საწარმოთა მთავარი ბუღალტერი დამოწმებულია ბეჭდით. იგივე მონაცემები გადაიტანება ჩეკის ყუაზე, რომელიც რჩება საჩეკო წიგნში. ჩეკის გამოყენების

ვადაა 10 დღე, რომლის გამოუყენებლობის შემთხვევაში იგი უნდა გაუქმდეს.

ჩეკი – წარმოადგენს ანგარიშის მფლობელის ბანკისაგან არაფრით განპირობებულ წერილობით დავალებას ჩეკში მითითებული თანხის მიმღების სასარგებლოდ გადახდის განხორციელებასთან დაკავშირებით. ანგარიშწორება მფლობელის მიერ სპეციალურ ანგარიშზე დეპონირებული თანხის ფარგლებში ხორციელდება.

ჩეკის გაცემის – შესაბამისად განასხვავებენ **საფირმო და საბანკო ჩეკებს.** საფირმო ჩეკების გამომღებია კომერციული ორგანიზაციები, ხოლო საბანკოსი – საკრედიტო ინსტიტუტები. ბანკის მიერ თავის ერთ-ერთ ანგარიშზე გამოწერილ ჩეკს **საბანკო ტრატა** ეწოდება. სათამასუქო კანონმდებლობაზე ითვალისწინებს **გადახაზული ჩეკების** გამოყენებას. გადახაზვა შეიძლება იყოს საერთო და სპეციალური. **საერთო გადახაზულობა** ითვალისწინებს ჩეკის წინა პირზე ორი პარალელური ხაზის გატარებას, სპეციალურ ხაზებს შორის კონკრეტული საკრედიტო დაწესებულებების მითითებას.

ჩეკი ფორმალური დოკუმენტია – რომლის გამოყენების წესები რეგულირებულია სამართლის სპეციალური ნორმებით.

ჩეკი ფულის გადამხდელის მიერ თავისი ბანკისთვის მოცემული განკარგულებაა, რომ მისი ანგარიშიდან ჩეკის პატრონს ფულის გარკვეული თანხა გადაუხადონ. ერთმანეთისგან განასხვავებენ ფულად ჩეკებს და საანგარიშსწორებო ჩეკებს.

ჩეკებით ანგარისწორების ფორმა – ითვალისწინებს ჩეკების გამოყენებას. ამ ფორმის გამოყენებისას ჩეკის გამცემი თავის ბანკს აძლევს განკარგულებას არსებული სახსრებიდან ჩეკის მფლობელზე გარკვეული თანხის გაცემის ან მის ანგარიშზე ამ თანხის ჩარიცხვის შესახებ.

ჩვეულებრივი აქცია (ordinary chare, ordinary stock) – აქცია, რომლის მფლობელსაც ენიჭება აქციონერის ყველა ქონებრივი და პიროვნული უფლება; ა) დივიდენდის მიღების უფლება კორპორაციის მოგების სიდიდის მიხედვით; ბ)

კორპორაციის მართვაში მონაწილეობის უფლება კრებებზე ხმის მიცემის გზით; გ) ქონებრივი ნაწილის მიღების უფლება კრედიტორებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში. უფლების რეალიზაცია ხდება აქციის სიდიდის პროპორციულად.

ჩვეულებრივი აქციის მფლობელები – მონაწილეობენ კომპანიის საქმიანობაზე და აქვთ ხმის უფლება, მაგრამ არა აქვთ დივიდენდის წინასწარ დადგენილი განაკვეთი.

ჩვეულებრივი ორიენტაცია – მოცემულ შემთხვევაში ადამიანებს უპირატესობას აძლევენ ისეთ, კარიერას, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურულ და რეგულირებად საქმიანობას, რომლის დროსაც აუცილებელია ადამიანთა ინდივიდუალური მოთხოვნილებების შეხამება ორგანიზაციულთან. მაგალითად, ბუღალტრისა და ბანკირისა.

ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი. მისი ღირებულება იზომება ბანკის მიერ გამოშვებული იმ ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ღირებულებით, რომელთა შემოსავალი ცვალებადია და დამოკიდებულია ბანკის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებაზე დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით.

ჩვეულებრივ საქმიანობას – უწოდებენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც საწარმო ახორციელებს. როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს, აგრეთვე ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან, ან გამომდინარეობს მისგან.

ჩვეულებრივი სესხი – რომლის მეშვეობითაც მსესხებელი თავის განკარგულებაში ღებულობს განსაზღვრულ თანხას (ნომიმალს) და იღებს ვალდებულებას გადაუხადოს კრედიტორს სესხის დაფარვის დღეს, ამასთან დამატებით გადაუხადოს პროცენტი – თანხა სესხის სარგებლობისათვის.

ჩიკაგოს კონვენცია – საერთაშორისო საჰაერო ტრასებზე (სსტ) სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის მომაწესრიგებელი ძირითადი სამართლებრივი საბუთი, რომელიც ხელმოწერილია ჩიკაგოში 1944 წლის 4 დეკემბერს საერთაშორისო

სამოქალაქო ავიაციის კონვენციის ოქმის სახით. ამ ოქმის ძირითადი მიზანი და ამოცანაა საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლებში სახელმწიფოების თანამშრომლობის ორგანიზება და კოორდინირება; ჩიკაგოს კონვეცია ეხება მხოლოდ სამოქალაქო საჰაერო ხომალდებს. საქართველო ჩიკაგოს კონვენციას შეუერთდა 1994 წლის 20 თებერვალს.

„ჩიკაგოს სკოლა“ (Chicago Schoop“) – მსოფლიოში ცნობილი ეკონომიკური სკოლა, ნეოკონსერვატიული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. წარმოიშვა XX საუკუნის 60-იანი წლებში. მისი წარმომადგენლები მილთონ ფრიდმენი, ფ.ა. ფონ ჰაიეკი, ფრენკ ნაიტი, თეოდორ უილიამ შულცი, ჯორჯ ჟოზეფ, სიგიგლეი, ჰენრი საისრედი და სხვები. ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების გასაღებს სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალ კონკრეტულ ბაზარში ხედავენ. მათი აზრით: 1. კონკურენტული ბაზრების ფუნქციონირება რესურსების განაწილების პრობლემის გადამჭრის ყველაზე საუკეთესო (ოპტიმალური) საშუალებაა; 2. ეკონომიკური თეორია, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, თავისუფალი უნდა იყოს შეფასებით მსჯელობისაგან.

ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლები იზიარებენ ნეოკლასიკური თეორიის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ფასები იძლევა ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ზუსტ სურათს. ისინი მონეტარიზმის ურყევი მომხრენი არიან და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შეზღუდვას მტკიცედ უჭერენ მხარს. სკოლას ეს სახელი ეწოდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი მრავალი ცნობილი წარმომადგენელი მუშაობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში.

„ჩინური გზა“ (“Chineese way”) – უკავშირდება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ევოლუციურ მოდელს, რომელიც გრადუალიზმისა და სტუქტურულ-წარმოებრივი მაკროსტაბილიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მოდელი წარმატებით გამოიყენება ჩინეთში და „ჩინური სასწაულის“

ათვლის წერტილადაა აღიარებული. იგი გამორიცხავს უკიდურეს რადიკალიზმს და უშუალოდ გათვლილია ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის ამაღლებაზე. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შენარჩუნებით, საინვესტიციო და პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, ეროვნული მეწარმეობის სტიმულირებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვით, წარმოების მოდერნიზაციითა და ა.შ., ძველი ეკონომიკური სისტემის ელემენტების გამოყენების საფუძველზე. თანდათანობითი, ევოლუციური გზით გარდაქმნა. „ჩინური გზა“, „შოკური თერაპიისა“ და „ორთოდოქსული მაკროსტაბილიზაციის ანტიპოდია. ეს მოდელი გათვლილია ერთობლივი მიწოდების ზრდასა და სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. ჩინეთმა იმთავითვე უარი თქვა „შოკურ თერაპიაზე“ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საქართველოსგან და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან განსხვავებით, დაიწყო არა უკიდურესი რადიკალიზმითა და არსებული მატერიალური ტექნიკური ბაზის განადგურებით, არამედ აქცენტი სტრუქტურული-წარმოებრივ მაკროსტაბილიზაციაზე გადაიტანა. მან წინა პლანზე დააყენა ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის განვითარება, პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარება, მოქნილი საგადასახადო მექანიზმით მეწარმეობის სტიმულირება, ეკონომიკის საკვანძო დარგებსა და სფეროებში სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმით შენარჩუნება და ა.შ.

პოსტსაბჭოური ქვეყნებისგან რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს ჩინეთი ესოდენ დიდ აღმავლობას განიცდის. განვითარების შედეგების მიხედვით სურათი რადიკალურად განსხვავებულია „ჩინურ გზასა“ ანუ გლადიალისტური განვითარების გზით მიმავალ ქვეყანასა და ჯერ „შოკურ“,

ხოლო ამჟამად ორთოდოქსული განვითარების გზით მიმავალ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის.

ჩინური სტილი – ჩინელები მოლაპარაკებას აწარმოებენ ცალკეული ეტაპების სკურპულოზული გამიჯვნით: საწყისი ეტაპი, პოზიციების განხილვის ეტაპი და საბოლოო (დამამთავრებელი) ეტაპი. დასაწყისში ისინი აზუსტებენ პოზიციებს. ამასთან სერიოზულ ყურადღებას აქცევენ პარტნიორით გარეგნობას, ქცევის მანერას და ამის საფუძველზე ცდილობენ დელეგაციის ყოველი წევრის სტატუსის განსაზღვრას, შემდეგ კი ორიენტაციას იღებენ უფრო მაღალი სტატუსის (როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ) პირებზე.

ჩიპსი – საკრილინგო პალატების ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემა, წარმოადგენს სახსრების გადარიცხვის ქსელს რომელსაც ფლობს და მართავს ნიუ-იორკის საკრილინგო პალატების ასოციაცია. ქსელი შედგება მცირე რაოდენობის წევრებისაგან (აშშ-ს დიდი ბანკები, რომლებიც ერთმანეთთან ანგარიშსწორებას ახდენენ დღის ბოლოსათვის არსებული ნაშთების მიხედვით) და დიდი რაოდენობის ანგარიშსწორების წევრებისაგან; მათ გააჩნიათ ანგარიშები იმ ანგარიშსწორებ ბანკებში, რომლებიც ახდენენ თანხების გადარიცხვას მათი სახელით. თუმცა ჩიპსის სისტემის საშუალებით შესრულებული გადარიცხვების უმრავლესობა განკუთვნილია უცხოეთთან დადებულ კონტრაქტებზე დოლარული ანგარიშსწორებისა და ევროდოლარული ინვესტიციებისათვის. არსებობს აგრეთვე დიდი რაოდენობის გადარიცხვები, დაკავშირებული ადგილობრივი ბიზნესის წარმოებასთან. ფედვაიერისაგან განსხვავებით, ჩიპსი არ წარმოადგენს გამოუთხოვარი ანგარიშსწორების სისტემას და გადარიცხული თანხა შეიძლება გამოთხოვილი იყოს იმავე საოპერაციო დღის განმავლობაში.

ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (НАФТА) – ინტეგრაციული დაჯგუფება, რომე-

ლიც აერთიანებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადასა და მექსიკას.

ჩრდილოვანი ეკონომიკა – 1. კანონსაწინააღმდეგო ეკონომიკური (სამეურნეო) საქმიანობა (ნარკობიზნესი, კონტრაბანდა, უკანონო სავალუტო ოპერაციები, გადასახადებისაგან თავის არიდება და სხვ.); არაკანონსაწინააღმდეგო, მაგრამ არარეგისტრირებული სამეურნეო საქმიანობაზე (ბიზნესი). ჩრდილოვან ეკონომიკას. აგრეთვე უწოდებენ ფარულ ეკონომიკასაც.

ჩრდილოვანი ეკონომიკა – ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც რწმუნებულ ორგანოებს რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ; ისეთი წყობა ეკონომიკაში, რომელიც იქმნება სამართლებრივი ნორმებისა და სამეურნეო ცხოვრების ფორმალური წესების საწინააღმდეგოდ.

ჩრდილოეთი-სამხეთი ქვეყნების – დაყოფა მსოფლიო მეურნეობაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით განვითარებული – ჩრდილოეთი და ჩამორჩენილად – სამხრეთი.

ჩუქება – ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე (მჩუქებელი) უსასყიდლოდ გადაცემს თავის ქონებას საკუთრების უფლებით მეორე მხარეს (დასაჩუქრებულს).

ჩქარი კარიერა – ხასიათდება სიჩქარით, მაგრამ თანამდებობრივი გადაადგილება თანმიმდევრულად მიმდინარეობს ორგანიზაციული სტრუქტურის იერარქიულ ვერტიკალზე.

ც

ცალკეული სააღრიცხვო ერთეულის კონცეფციის – საბუღალტრო აღრიცხვის ოთხი ძირითადი დებულებიდან ერთ-ერთი, რომელიც ნიშნავს, რომ ყოველი საწარმო მისი მფლობელების მუშების, კრედიტორების, სხვა დაინტერესებული პირების და წარმოებისაგან ცალკე განიხილება.

ცალკეული სამეურნეო ოპერაციის – თანხის მთავარი ჟურნალიდან რეგისტრში გადატანის პროცედურას ჩანაწერით **გადატანას** უწოდებენ.

ცალკეული პირთა მარკეტინგი – საქმიანობა, გაწეული იმ მიზნით, რომ შექმნას მხარი დაუჭიროს, შეცვალოს პოზიცია ან საქციელი კონკრეტული პირების მიმართ.

ცალკეული სუბიექტის – მიმართ კონფლიქტები შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი.

ცალმხრივი ბაზარი (one-way) – სადაც მხოლოდ მყიდველის კურსის კოდირება ხდება.

ცედენტი (cedent) [ლათ. cedere დათმობა) – კრედიტორი, რომელიც სხვა პირს უთმობს თავის მოთხოვნის უფლებას.

ცენზი (property qualifocation) [ლათ. census] – 1. ძველ რომში – მოქალაქეთა ქონების პერიოდული შეფასება-აღწერა; 2. რეგულარული ფიქსირებული ღალა ფეოდალიზმის პერიოდში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში; 3. სტა-ტისტიკური აღწერა.

ცენზი – (ლათ. census) – 1. ძველ რომში მოქალაქეთა ქონების აღწერა და მათი ქონების შეფასება. ცენზირება გამოიყე-ნებოდა სოციალურ-პოლიტიკური, სამხედრო და წოდებ-რივი მდგომარეობის დასადგენად; 2. ფეოდალურ დასავ-ლეთ და ცენტრალურ ევროპაში გლეხთა გადასახადი; 3.სტატისტიკური აღწერა.

ცენზი – (ლათ) მოქალაქის პოლიტიკური (ან სამსახურეობრივი) განსაზღვრა ესა თუ ის სახეობა, ქონებრივი განათლების ელდა.

ცენტნერი (გერმ Zenter < centum ასი) – 1. მასის ერთეული, უდრის 100 კგ; 2. მასის ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში, უდრის 100 ფუტს. ინგლისური საზომთ სისტემაში ცენტნერის სახელწოდებაა ცენტალი; გერმანიაში, დანიასა და უნგრეთში 1ц=50 კგ; ქართულად აღინიშნება ц ასოთი, ხოლო ლათინური ანბანის მქონე ქვეყნებში q ასოთი (quintal).

ცენტნერი (centner) (ლათ. centum ასი) – 1. მასის ერთეული, რომელიც უდრის 100-ს; 2. მასის ერთეული, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში უდრის 100 გირვანქას; გერმანიაში დანიაში, უნგრეთში – 50 კგ-ს.

ცენტრალიზაცია – (ფრ. **centralization**) – 1. რაიმეს თავმოყრა ერთ ადგილზე, ერთ ხელში, ერთ ცენტრში; 2. კაპიტალის ცენტრალიზაცია. კაპიტალის გამსხვილება რამდენიმე კაპიტალის გაერთიანების გზით.

ცენტრალიზაცია – პირობა, რომლის დროსაც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს მხოლოდ უმაღლესი დონის ხელმძღვანელობას.

ცენტრალიზაცია (centralizarion) – 1. რაიმეს თავმოყრა ერთ ადგილზე, ერთის ხელში, ერთ ცენტრში; 2. ცენტრალიზაცია კაპიტალის – კაპიტალის ოდენობის გაზრდა რამდენიმე კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე.

ცენტრალიზმი (centralism) – მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ქვემდგომი და ადგილობრივი ორგანოები ექვემდებარებიან ცენტრალურ ხელისუფლებას, ცენტრს.

ცენტრალურ ბანკსა და – სახელმწიფოს შორის აუცილებელია მჭიდრო კავშირი იმდენად, რამდენადაც ისინი მოქმედებენ ერთ ეკონომიკურ სივრცეში და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებით ვერ განხორციელდება ცენტრალური ბანკის საფინანსო პოლიტიკასთან შეთანხმების გარეშე. გრძელვადიან ჭრილში ცენტრალური ბანკის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის მაკროეკონომიკური კურსის პრიორიტეტებს.

ცენტრალური ბანკი – სავალდებულო რეზერვებიდან წარმოქმნის ქვეყნის საკრედიტო სისტემის სარეზერვო ფონდს, რომლის სახსრებიც იქმნება კომერციული ბანკების მიერ გარეშე საწარმოებისა და ორგანიზაციების მოზიდული სახსრების განსაზღვრული წილის რეზერვირების გზით. ეს სახსრები გამოიყენება საკრედიტო რესურსების განსაზღვრული წილის რეზერვების გზით, ეს სახსრები გამოიყენება საკრედიტო რესურსების სახით.

ცენტრალური ბანკი – საპროცენტო განაკვეთის დონის რეგულირებას ორგვარად ახდენს: 1. კომერციული ბანკებისათვის კრედიტების გაცემაზე განაკვეთების ფიქსაციის გზით, რაც საბანკო განაკვეთების განსაზღვრულ ორიენ-

ტირს წარმოადგენს; 2. საკრედიტო დაწესებულებების განაკვეთებზე კონტროლის გზით. პირველ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი, ოფიციალური რეფინანსირების განაკვეთის დადგენით, განსაზღვრავს ბანკების მიერ რესურსების მოზიდვის ღირებულებას; მეორე შემთხვევაში რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ ზოგიერთი ბანკის კრედიტის ან ოპერაციის ცალკეული სახეების ღირებულება.

ცენტრალური ბანკი – 1. „ბანკების ბაღი“ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბანკო სისტემაში. ცენტრალური ბანკი აწარმოებს ოპერაციებს ფირმებთან და მოსახლეობასთან. მისი კლიენტურაა კომერციული ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები, აგრეთვე სამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც იგი სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს. 2. ასრულებს ბანკთშორისი საანგარიშწორებო ცენტრის როლს, ყიდულობს და ყიდის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს მეორეულ ბაზარზე (პირველად ბაზარზე) ბევრ ქვეყანაში ცენტრალურ ბანკებს ეკრძალებათ ასეთი ოპერაციების ჩატარება ან შეზღუდული არიან კანონით). იგი კომერციული ბანკების კრედიტორი და მთავრობის ფინანსური აგენტია. ცენტრალურ ბანკს შეუძლია საერთაშორისო ფულის ბაზარზე გამოვიდეს როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის როლში, ამასთან, გაეწიოს კოორდინაცია და კონტროლი-კომერციული ბანკების საქმიანობის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ცენტრალური ბანკი (central bank) – სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც თავისი მონეტარული ინსტრუმენტებით ახორციელებს ფულადი მიმოქცევის, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების რეგულირებასა და კონტროლს. ამ მიზნით იგი იყენებს როგორც არაპირდაპირ ინსტრუმენტებს (ბანკთაშორისო კრედიტის განაკვეთი, სავალდებულო რეზერვების ნორმა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებების გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები), ისე პირდაპირ (მიზნობრივი დაკრედიტება, „საკრედიტო ჭერი“, სარგებლის

განაკვეთის დონისადმი პირდაპირი კონტროლი) ინსტრუ-მენტებს.

ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთით ფულად-საკრე-დიტო რეგულირება ანუ დისკონტის პოლიტიკა ინფლა-ციასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებით. საქმე ისაა, რომ ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი არის პროცენტი იმ კრედიტზე, რომელსაც აძლევს ცენტრალური ბანკი ყველა სხვა ბანკს. თუკი ქვეყანაში შეიმჩნევა ინფლაციური პროცესების დაჩქარება, ცენტრალური ბანკი მაღლა სწევს ამ განაკვეთს, რის საფუძველზეც ეცემა ფულზე მოთხოვნა და შედარებით ნელა იზრდება მიმოქცევაში ფულადი მასა. მართალია იგი უარყოფით გავლენას ახდენს წარ-მოების განვითარებაზე, მაგრამ სახელმწიფოს მოქნილი საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია თანმხლები ნეგატიური ეფექტების დაძლევა.

სავალდებულო რეზერვების ნორმა კომერციული ბანკე-ბის ფულადი თანხაა, რომლის სესხად გაცემის უფლება მათ არა აქვთ და ვალდებულნი არიან თავიანთ ანგარიშზე იქონიონ ცენტრალურ ბანკში. ეს უკანასკნელი კი სიტუა-ციის მიხედვით მოქმედებს: ფულადი მასის ზრდის შენე-ლების საჭიროების შემთხვევაში ამაღლებს სავალდებუ-ლო რეზერვების ნორმას და, პირიქით, როცა არის იმის აუცილებლობა, რომ მიმოქცევაში გაიზარდოს ფულის რაოდენობა, მაშინ ცენტრალური ბანკი დაბლა წევს სავალ-დებულო რეზერვების ნორმას, რითაც შესაძლებლობას აძლევს კომერციულ ბანკებს თავიანთი სახსრების დროებით „გაყინული“ ნაწილი გადააქციო კრედიტად.

ცენტრალური ბანკი ღია ბაზარზე აწარმოებვს ოპერა-ციებს სახელმწიფო საგადასახადო ვალდებულებებით, რომლებიც სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ერთობ-ლიობით და მათი მეშვეობით, არაპირდაპირი გზით, ხორ-ციელდება ზემოქმედება ფულად-საკრედიტო ბაზარზე. ეს ვალდებულებები სახელმწიფო ვალია მოსახლეობისადმი, რომელიც იყოფა საბაზრო და არასაბაზრო კატეგორიებად.

საბაზროს მიეკუთვნება სახაზინო თამასუქი (სამ და ექვსთვიანი, 91-დღიანი და წლიური დაფარვის ვადით), საშუალოვადიანი სახაზინო თამასუქი (ერთიდან 10 წლამდე დაფარვის ვადით) და სახაზინო ობლიგაცია.

არასაბაზრო ფასიანი ქაღალდებიდან ყველაზე გავრცელებული ფორმით შემნახველი ობლიგაციის გარდა ამისა, მას მიეკუთვნება აგრეთვე სამთავრობო ანგარიშების სერიები, უცხოური სამთავრობო სერიები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და სხვა. ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციებით, ცენტრალური ბანკი ზემოქმედებს მიმოქცევაში არსებულ ფულად მასაზე. მნიშვნელოვნად განსაზღვრულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ელატიკურობისა და ფუნქციონირების ხასიათს, ოპერაციებს ღია ბაზარზე და სავალდებულო რეზერვების პოლიტიკას.

დისკონტის პოლიტიკის მიზანია საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირების (ძველი გრძელვადიანი ვალის დაფარვა ახალი გრძელვადიანი სესხით) პირობების ცვლილებებით გავლენა მოახდინოს ფულად საკრედიტო ბაზარზე. ამასვე ემსახურება ოპერაციები ღია ბაზარზე, რომლის მექანიზმი დაფუძნებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, საბანკო აქცეპტებისა და სხვა საკრედიტო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვაზე. ცივილიზირებულ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების დონეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ფულად საკრედიტო რეგულირების პირდაპირი ინსტრუმენტებზე გადასვლის ხანგრძლივობით. ეს უკანასკნელი განსხვავებულია ქვეყნის მიხედვით და მერყეობს 1-დან 5 წლამდე, საშუალოდ კი 3,7 წელია.

ცენტრალური ბანკები – წარმოადგენენ ფინანსურ შუამავლებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის მხარდაჭერაა, ფინანსური ბაზრების ისეთ პარამეტრებზე ზემოქმედების გზით, როგორიცაა მაგალი-

თად, მიმოქცევაში მყოფი ფულის მასა. ცენტრალური ბანკი ჩვეულებრივ ქვეყნის საგადამხდელო სისტემის გულია.

ცენტრალური ბანკის – კომპეტენციას მიკუთვნებული პრობლემების სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გადაწყვეტის შეზღუდვა. – ფინანსური ბაზრებიდან, უფრო სწორედ, ფინანსური ბაზრების ინდიკატორების კონიუნქტურული ცვლილებების გავლენისაგან, ცენტრალური ბანკის გონივრულად დასაშვები დამოუკიდებლობა. ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელები ხშირად ვერ უძლებენ ცდუნებას „მისდიონ ბაზარს“, თუმცა ეს პრაქტიკულად არასდროს არ ამართლებს და ქმნის ახალი პრობლემებს.

ცენტრალური ბანკის – მიერ კომერციული ბანკებისათვის გადაცემული სალომბარდე კრედიტი წარმოადგენს საპროცენტო სესხებს ფასიანი ქაღალდების გირავნობით.

ცენტრალური ბანკის – სისტემაში შედის ცენტრალური აპარატი, ტერიტორიული დაწესებულებები, საანგარიშსწორებო-სალარო ცენტრები, გამომთვლელი ცენტრები, საველე დაწესებულებები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უსაფრთხოების ქვედანაყოფების ჩათვლით. სწორედ ამ სისტემის მეშვეობით ახორციელებს ცენტრალური ბანკი თავის საქმიანობას და ასრულებს მასზე კანონით დაკისრებული ფუნქციებს.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის – ინსტრუმენტალური მოდელი ჰგავს „მეპატრონეთა“ და „შემსრულებელს“ შორის დამოკიდებლების მოდელს. მთავრობა განსაზღვრავს ცენტრალური ბანკის საქმიანობის საბოლოო მიზანს, ეს უკანასკნელი კი თავად განსაზღვრავს ცენტრალური ბანკის საქმიანობის საბოლოო მიზანს. ეს უკანასკნელი კი თავად განსაზღვრავს მისი მიღწევის საშუალებებს.

ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის მართვა მოიცავს – საკუთარი საქმიანობის, როგორც საბანკო სისტემის მთავარი ელემენტის, ყოველმხრივ მართვას; ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიული (რამდენიმე წელიწადზე გათვლილ) მართვას: ყველა კომერციუ-

ლი ბანკის და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობისა და განვითარების მართვას (მათ ოპერატიულ საქმიანობაში ჩაურევლად), ფუნქციონირების ყველასთვის სავალდებულო კონკრეტული წესებისა და მთელი რიგი უმთავრესი პარამეტრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეზღუდვების) ფორმირების გზით, აგრეთვე მათთვის სათანადო მეთოდური დახმარების გაწევით; იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც კანონმდებლობით ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტებითაა გათვალისწინებული და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას – ცალკეული საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის ოპერატიულ მართვას.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – ფულად-საკრედიტო სისტემის საქმიანობის მარეგლამენტირებელ სახელმწიფო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია სამეურნეო კონიუნქტურის რეგულირება და მთელი რიგი ზოგადეკონომიკური ამოცანის მიღწევა: ფულის ერთეულის განმტკიცება, ფასების სტაბილიზაცია, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ეკონომიკური ზრდის ტემპების სტაბილიზაცია.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის – საოპერაციო პროცედურ დაფუძნებულია ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანოების წმინდა საერთაშორისო რეზერვებისა და წმინდა შიგა აქტივების მოცულობის კონტროლზე. საბანკო ოპერაციების რეგულირების მექანიზმი დამოკიდებულია ქვეყანაში საბანკო საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებზე, ცენტრალური ბანკის ადგილზე, როლსა და ფუნქციებზე და სხვა ფაქტორებზე. იგი მოიცავს როგორც ნაღდი და უნაღდო საბანკო ოპერაციების რეგულირების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, ასევე ფულადი მასის დინამიკაზე, საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და მიკრო- და მაკრო დონეზე ბანკის ლიკვიდობაზე კონტროლის ფორმებს.

ცენტრალური ბანკის ფუნქციები საკმაოდ – მუდმივია მრავალი ათასწლეულის მანძილზე. ესაა: საემისიო ბანკი, რომელზეც ფულის ემისის მონოპოლიაა მიმაგრებული, – მთავრობის ბანკი: ბიუჯეტის შესრულება და სახელმწიფოს ვალის მართვა; ბანკთა-ბანკი: საანგარიშსწორებო ცენტრი, საბოლოო ინსტანციის კრედიტორი; ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გამტარებელი; ბანკებისა და საფინანსო ბაზრებზე მეთვალყურეობის ორგანო. ცენტრალურ ბანკებს დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად ესაჭიროება გარკვეული ინსტრუმენტები, კერძოდ: ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები ღია ბაზარზე: სავალუტო ოპერაციები; ტარგეტირება; რეფინანსირების და სხვა საპროცენტო განაკვეთები; სავალდებულო რეზერვების ნორმები; ბანკის საქმიანობის სავალდებულო ეკონომიკური ნორმატივები; პირდაპირი რაოდენობრივი შეზღუდვები.

ცენტრალური ბანკისათვის – (და/ან სხვა ორგანიზაციებისათვის) კანონმდებლობით საზედამხედველო ფუნქციების მინიჭება ყველა ბანკისათვის (საკრედიტო ორგანიზაციისათვის) სავალდებულო შესაბამისი-ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებით.

ცენტრალური (ეროვნული) – ბანკი ურთიერთკავშირია საფინანსო სისტემის ყველა ელემენტთან და ასრულებს მთლიანად სისტემის მთავარი კოორდინატორის როლს, რომელიც ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც სახელმწიფო ინტერესები, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნები: თავის მხრივ, ფინანსური ბაზრის მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რომლებსაც დგამს ეროვნული ბანკი, რათა შეინარჩუნოს საბანკო სისტემის სტიმულირება.

ცენტრი-პერიფერია – ურთიერთმოქმედება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო მეურნეობაში, რომლის დროს განვითარების ძირითადი იმპულსები ცენტრიდან მომდინარეობს.

ცეხი (გერმ., Zeche) – 1. ფეოდალიზმის დროს – ერთი ან მონათესავე სპეციალობის ქალაქის ხელოსანთა გაერთიანება თავიანთი წევრების ინტერესების დაცვისა და აგრეთვე, საქონლის წარმოებასა და გასაღებაში მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით; 2. ფაბრიკაში ან ქარხანაში ძირითადი წარმოებითი ქვედანაყოფი.

ცვალებადი დანახარჯები (ინგ. variable costs (VC) – ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე იცვლება გამოშვების მოცულობის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით. მაგალითად, დანახარჯები შრომის საგნებზე, შრომის ანაზღაურებაზე, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებაზე და ა.შ.).

ცვალებადი კაპიტალი (ფრ. copital variable) – მარქსისტული ტერმინოლოგიით, ავანსირებული **კაპიტალის** ნაწილი, რომელიც დახარჯულია **სამუშაო ძალის** ყიდვაზე და რომელიც იზრდება **წარმოების** პროცესში, რამდენადაც სამუშაო ძალა ქმნის უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე თვითონ ღირს.

ცალკეულ კაპიტალისტურ საწარმოში ცვალებადი კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება ავანსირებული **მუდმივი კაპიტალის სიდიდით,** აგრეთვე წარმოებული პროდუქციისა და ტექნოლოგიის ხასიათით და სამუშაო ძალის ღირებულებით, ეკონომიკურ ციკლში ცვალებადი კაპიტალის დინამიკა განისაზღვრება კაპიტალის დაგროვების ინტენსიურობით და წარმოების ზრდით. ცვალებადი კაპიტალი წარმოების ხარჯებში შედის ნომინალური ხელფასის სახით.

ცვალებადი ხარჯები – პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე. ცვალებადს უწოდებენ ამ ხარჯებს იმიტომ, რომ მათი საერთო თანხა იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ცვეთა – ძირითადი კაპიტალის სასარგებლო ღირებულების შემცირება მის გამოყენებასთან დაკავშირებით ან უბრალოდ დროის გასვლით. ფიქსირებული აქტივების სასარ-

გებლო ღირებულება შეიძლება შემცირდეს მორალური ცვეთის შედეგადაც – მოძველებით, რომელიც დაკავშირებულია ახლოს, გააუმჯობესებული ტექნოლოგიის და გამოგონების გამოჩენასთან.

ცვეთის დარიცხვა – არის სუფთა ბუღალტრული ჩანაწერი და როგორც ასეთს არანაირად არ შეუძლია ხელი შეუწყოს კომპანიისათვის ფულადი სახრებში შექმნას. ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშის შედგენისას ასეთი ოპერაცია იმიტომ ხორციელდება, რომ იგი საოპერაციო საქმიანობიდან სახსრების სიდიდის გაანგარიშების მოხერხებულ შემცირებას უზრუნველყოფს.

ცვლადი დანახარჯები – რომლებიც მთლიანობაში, წარმოების ცვლილებების პირდაპირპროპორციულად იცვლება. ესენია: პირდაპირი (ძირითადი) მასალის ხარჯი; პირდაპირი (ძირითადი) შრომითი ხარჯი.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების ნორმატივი გაიანგარიშება – გეგმიური ზედნადები ხარჯების შეფარდებით მანქანა /საათების/ ან შრომა (საათების ან პროდუქციის) გეგმიურ რაოდენობაზე.

ცივილიზაციის შეჯახების თეორია – საფუძვლად უდევს იდეა, რომ მსოფლიო ხდება სულ უფრო მრავალპოლარული, შედგება რვა მთავარი ცივილიზაციისაგან – დასავლური, ინდუისტური, ჩინური, იაპონური, მართლმადიდებლური, აფრიკული, ლათინურ-ამერიკული ცივილიზაციებისაგან, მათი მიმდინარე მოდერნიზაცია კი ვესტერნიზაციის იდენტური არ არის.

ციკლი – საშუალოვადიან პერიოდში გაყიდვები მოცულობის ტალღისებრი ცვლილება, რომელიც დამოკიდებულია საერთო ეკონომიკური სიტუაციისა და კონკრეტული აქტივების განვითარებაზე.

ციკლი (ბერძნ. Kyklos **წრე)** – 1. დროის განსაზღვრული მონაკვეთში ურთიერთდაკავშირებული მოვლენების, პროცესების, სამუშაოების ერთობლიობა, რომელიც წარმოშობს განვითარების დასრულებულ წრეს; ეკონომიკური ციკლი.

– წარმოების მოძრაობა კრიზისიდან კრიზისამდე. კლასიკური ციკლი შედგება ოთხი თანამიმდევარი ფაზისაგან; კრიზისი, დეპრესია, გაცხოველება, აღმავლობა, წარმოების ციკლი – სამუშაოების სრული წრე, რომელთა შესრულება იძლება მზა პროდუქციას ან ნახევარფაბრიკატს.

ციკლი (cycle) – ეკონომიკური აქტიურობის დონეთა აღმავლობისა და დაცემის მონაცვლეობა. ვლინდება რამდენიმე წლის განმავლობაში და მოიცავს ოთხ ფაზას: პიკი, დაცემა, დეპრესია და გამოცოცხლება.

ციკლური მერყეობის ამპლიტუდა (amplirude) – ტერმინი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური ციკლების თეორიაში ნებისმიერ თეორიაში ნებისმიერი, ციკლის მაღალი და დაბალი წერტილებს შორის დისტანციის აღწერისათვის. იგი შეიძლება იყოს ერთნაირი, შეიძლება მცირდებოდეს და მაშინ ამბობენ, რომ ციკლურ მერყეობას შესუსტებისკენ აქვს ტენდენცია ან კიდევ, შეიძლება იზრდებოდეს მაშინ, როდესაც ციკლური მოძრაობა ძლიერდება.

ციკლური უმუშევრობა (cyclical unemployment) – მოკლევადიანი უმუშევრობა, რომელიც წარმოიქმნება დაბალი ერთობლივი მოთხოვნის შედეგად. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ეკონომიკური ციკლის გარკვეულ ფაზებში წარმოიქმნება სამუშაო ადგილების უკმარისობა მუშაკთა სპეციალობისა და კვალიფიკაციისაგან დამოუკიდებლად.

ციკლური უმუშევრობაში – იგულისხმება ისეთი უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია წარმოების დაცემით, ე.ი. ეკონომიკური ციკლის ფაზით.

ცოდნის ძალა – ცოდნის ძალის სადემონსტრაციოდ, უბრალოდ, ნახეთ, რა მოხდება ორგანიზაციაში, თუ კომპიუტერული ქსელი გამორთვება. ვის აქვს რეალური ძალა თქვენს ორგანიზაციაში? ამ შემთხვევაში კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორს. ცოდნის ძალა მოდის კარიერის განმავლობაში მიღებული გამოცდილებებითა და განათლებით. ცოდნის ძალა ასევე მოდის აკადემიური ხარისხის მოპოვებით ან სპეციალური ტრენინგით.

ცხელი ფული – სპეკულაციური და საარბიტრაჟო ოპერაციების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები.

ცხელი ფული – ფინანსური აქტივები, რომლებიც ფულის ბაზარზე შემოდის მხოლოდ ერთი მიზნით – მიიღოს მაქსიმალური მოგება, მათ შორის ფულის ბაზარზე მიზანმიმართულ სპეკულაციურ ოპერაციათა ხარჯზე.

ცხელი ფული ("hot money") – თუ ქვეყანაში ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთია, ხდება ფულის მოზიდვა საზღვარგარეთიდან. მთავრობა, როგორც წესი, ფრთხილად მოქმედებს „ცხელი ფულის" მოდინებით საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებისა და ვალუტის კურსის განმტკიცების შემთხვევაში, ვინაიდან ეს შეიძლება აღმოჩნდეს ძალზე მოკლევადიანი.

ცხოვრების დონე – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს საქონლისა და მომსახურების იმ მოცულობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის.

ცხოვრების დონე (stan-dard of life) – რაოდენობრივი მაჩვენებლების სისტემა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონეთა და ან დოვლათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს. ცხოვრების დონის ამსახველი მაჩვენებლებია: რეალური შემოსავლის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე; კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლის, მომსახურების მოცულობა და სტრუქტურა; სამომხმარებლო საქონლის ფასების დონე და დინამიკა; კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების ტარიფები; განათლების განვითარების დონე; სამედიცინო მომსახურების ხარისხი, საბინაო პირობები, სამუშაო დღის ხანგრძლივობა და ა.შ.

ცხოვრებაში სტრესები გარდაუვალია – მათ განსაკუთრებით მოულოდნელმა და გაუთვალისწინებელმა, შეუძლიათ ადამიანი გამოიყვანონ წონასწორობიდან და მისი მდგომარეობა აქციონ ირგვლივ მყოფ გარემოსთან შეუსაბამოდ.

ასეთი შეუსაბამობის თანმხვედრი მოვლენებით: **გადაღლა, შიშის გრძნობა, გონებრივ შესაძლებლობათა შემცირება, სისხლის წნევის მატება, სამუშაოსადმი პასიური დამოკიდებულება, ორგანიზებულობის დონის დაცემა, შრომითი დისციპლინის დარღვევა და ა.შ.**

ძ

ძაიბაცუ – ომამდელი კონცერნები საიჯარო ჰოლდინგების მეთაურობით. დაითხოვა საოკუპაციო ადმინისტრაციამ 1947-1951 წლებში. საწარმოთა გაერთიანების ასეთი ფორმა ამჟამად არსებობს სამხრეთ კორეაში და ცნობილია „ჩებოლის“ სახელწოდებით.

ძალაუფლება – წარმოადგენს მოქმედების რეალურ უნარს ან სიტუაციაზე ზეგავლების შესაძლებლობას. შეიძლება გვქონდეს ძალაუფლება, მაგრამ არ გაგვაჩნდეს უფლება-მოსილება.

ძალაუფლება – ეს არის სხვების ქცევაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ხელმძღვანელმა უნდა განავითაროს და გამოიყენოს ძალაუფლება იმისათვის, რომ მისი საქმიანობა ორგანიზაციისათვის ეფექტიანი გახდეს.

ძირითადი საწარმოო ფონდების **კვლავწარმოების პროცესი** შეიძლება ორი ფორმით განხორციელდეს: როგორც უბრალო ფორმით, ასევე გაფართოებული ფორმითაც. ძირითადი თანხის დაფარვის კოეფიციენტი (Times Burden Covered Ratio).

ძალაუფლება – გადაწყვეტილების მიღების, პერსონალის მიმართ მითითების – თუ რა სამუშაო უნდა შეასრულონ და ბრძანების გაცემის უფლება. მენეჯმენტში, ჩვეულებრივ, განასხვავებენ ხაზობრივ და შტაბურ ძალაუფლებას. **ხაზობრივი ძალაუფლება** მენეჯერებს აძლევს უფლებას (ან ძალაუფლებას) გასცეს ბრძანებები სხვა მენეჯერებსა თუ დასაქმებულებზე. **შტაბური ძალაუფლება** მენეჯერებს აძლევს უფლებას (ან ძალაუფლებას) რჩევა მისცეს სხვა მენეჯე-

რებსა თუ დასაქმებულებს. ეს უკანასკნელი არ გასცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს (გამონაკლისით საკუთარ განყოფილებებში). შტაბის მენეჯერი ზოგადად მართავს განყოფილებას, რომელიც დაკავებულია ინფორმაციის მოპოვებით, დამუშავებითა და გადაცემით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კომერცია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ხარისხის კონტროლი.

ძალაუფლება – არის გადაწყვეტილების მიღების, პერსონალის მიმართ მითითებების – თუ რა სამუშაო უნდა შეასრულონ და ბრძანების გაცემის უფლება.

„ძვირი“ ფული – საკრედიტო ფულის გაძვირება კრედიტის განაკვეთის გაზრდით ცენტრალური ბანკების მხრივ, რომლებიც სესხს აძლევენ კომერციულ ბანკებს, კომერციული ბანკების აუცილებელი რეზერვების ნორმების ზრდით, მათ მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სარგებლიანი გაყიდვით.

„ძვირი ფულის“ პოლიტიკა (policy of expencive money) – ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, ნეოკლასიკურ თეორიაზე დაფუძნებული მაკროსტაბილიზაციის ორთოდოქსულ მოდელზე აგებული პოლიტიკა, რომელიც ლიბერალურ-მონეტარისტულ პრინციპებს ეყრდნობა. იგი, როგორც ინფლაციური სპირალის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებაში გამოიხატება, ითვალისწინებს ფულის მიწოდების მკვეთრ შეზღუდვას, რისი ერთ-ერთი გზაც, ფულის ემისიის შეზღუდვასთან ერთად, ბანკთაშორისი სარეზერვო ნორმის გადიდებაა. ეს უკანასკნელი ავტომატურად ამცირებს კომერციული ბანკების რეზერვებს, შესაბამისად, ფულად მულტიპლიკატორს.

„ძვირი ფულის“ პოლიტიკამ საქართველოში, პოსტ-ვაშინგტონის კონსესუსის გადაწყვეტილებით, 1995 წლის ბოლოდან შეცვლა „შოკურ თერაპიად“ მონათლული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოსტსაბჭოური გზა. იგი არაეფექტიანი აღმოჩნდა საქართველოსთვის.

„ძვირი ფულის“ პოლიტიკა წარმატებულია მაშინ, როდესაც ლაპარაკია ბაზრის ფუნქციონირებაზე და არა იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარება.

ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია დებულება იმის შესახებ, რომ თეორია (და შესაბამისი პოლიტიკაც), რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის წონასწორობით მდგომარეობაზე, შეუძლებელია ქმედითუნარიანობა იყოს და სარგებლობა მოუტანოს უწონასწორობის მდგომარეობაში მყოფი ქვეყანას რადიკალური ეკონომიკური ცვლილებების პერიოდში.

ეს აქსიომური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში, მეცნიერულად დაუსაბუთებელი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში კი ეკონომიკის კონვერსიის რანგში აყვანილი რეფორმა იმთავითვე განწირული იყო მარცხისთვის და ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული მრავალი ნეგატიური მოვლენის მიზეზი გახდა. საქართველოში ტრანსფორმაციული დაცემა გადაიზარდა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში, რომელმაც თანდათან სისტემური კრიზისის სახელი მიიღო.

ფულის დეფიციტის გზით ლარის შენარჩუნება არაეფექტიანი უპერსპექტივო პოლიტიკაა. იგი განაპირობებს ეკონომიკის სტრუქტურულ დეფორმაციას, დაბალ ინვესტიციურ აქტიურობას, ეკონომიკის მონოპოლიზაციასა და კრიმინალიზაციას.

ძვირფას ლითონებზე ოპერაციების – ლიკვიდობის ნორმატივი H14 იანგარიშება ფიზიკური ფორმის ძვირფას ლითონებში მაღალლიკვიდური აქტივების შეფარდებით ძვირფას ლითონებზე ჩამოყალიბებულ იმ ლითონებთან, რომლებიც ან მოთხოვნამდეა, ან რომელთა დაფარვის ვადა უახლოეს 30 დღეში დადგება.

ძირითადი ანგარიშები – ეწოდება ანგარიშებს, რომლებიც ასახავენ აქტივებს, ვალდებულებებს და კაპიტალს. ამ ანგარი-

შებს აგრეთვე საბალანსოსაც უწოდებენ, რადგან მათი საბოლოო სალდო ბუღალტრულ ბალანსში გადაიტანება. ამ ანგარიშების მეშვეობით ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება ყველა სამეურნეო ოპერაცია, რომელსაც ცვლილება შეაქვს საწარმოს რესურსებში ან მათი ფორმირების წყაროებში, ან ორივეში ერთდროულად.

ძირითადი აქტივები, ანუ ფონდები – არის საწარმოს განკარგულებაში არსებული აქტივები, რომელთა გამოყენება გათვალისწინებულია ერთ წელზე მეტი პერიოდისათვის, ჩვეულებრივ, ისინი თავიანთი ბუნებით გრძელვადიანი აქტივები, რადგან ამორტიზაციის ხანგრძილივი პერიოდი გააჩნიათ. გრძელვადიანი აქტივები არ არის გათვალისწინებული სარეალიზაციოდ.

ძირითადი მომხმარებელი – (basic consumer, ucer) მომხმარებელი. რომელიც შეძენილ საქონელსა და გაწეულ მომსახურებას საკუთარი, არაკომერციული მიზნებისათვის იყენებს.

ძირითადი თანხის დაფარვის კოეფიციენტი (Times Burden Covered Ratio) – პროცენტისა და ძირითადი თანხის დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმატებით შეუძლია კომპანიას მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების – ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის ებიტ-დან (EBIT Farning Before Interest and Tax) დაფარვა.

ძირითადი ისეთი ხარჯებია – რომლებიც პროდუქციის დამზადების ან მომსახურეობის გაწევის პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ. ძირითადი ხარჯები ყოველთვის რომელიმე ერთი კონკრეტული სახის პროდუქციასთანაა მიბმული.

ძირითადი კაპიტალი – (ნატურალურ გამოხატულებაში) (capital goods) შენობა-ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. მრავალჯერ გამოყენებული წარმოების პროცესში. ძირითადი კაპიტალი წარმოების რამდენიმე ციკლში მონაწილეობს, გამოიყენება 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ცვლის კვალობაზე გადასცემს თავის ღირებულებას მზა პროდუქციას და ნაწილ-ნაწილამდე ანაზღაურდება.

ძირითადი კაპიტალი – (ღირებულებით გამოხატულებაში (capital stock) – საწარმოს მთელი ეკონომიკის მასშტაბით არსებული შენობების, მანქანა-მოწყობილობების. სატრანსპორტო საშუალებების, სანაშენო, სარძევე, მუშა პირუტყვისა და მრავალწლიანი ნარგავების შეჯამებული ღირებულება გარკვეული თარიღისათვის (მაგალითად, 2020 წლის 1 ივნისისათვის).

ძირითადი კაპიტალის მოხმარება – (consumption capital stock) საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება მისი ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად.

ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ან საბალანსო ღირებულება – ბალანსის ფიქსირებული აქტივების ღირებულების ჯამი ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც დარიცხულია ნაზარდი ჯამით ბალანსის შედგენის თარიღზე.

ძირითადი მასალები – ისეთი სახის მასალებია, რომლებიც გადამუშავდებიან მზა პროდუქტად. ძირითადი მასალები წარმოადგენენ მზა პროდუქციის სუბსტანციას, მის ნივთიერ საფუძველს. ამიტომ, ძირითადი მასალების ხარჯი, ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნების წესის მიხედვით, პირდაპირი ხარჯია, რადგან მათი ბუნებიდან გამომდინარე, მათი ხარჯვის მომენტიდანვე ცნობილია, რომელიც სახის პროდუქციის დამზადებაზეა დახარჯული ისინი.

ძირითადი მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც შეძენილ საქონელსა და მომსახურებას საკუთარი, არაკომერციული მიზნებისათვის იყენებს.

ძირითადი ნორმატივი ეწოდება – ნორმატივს, რომელიც გრძელვადიანი პერიოდისათვის გამოიყენება და რომლიდანაც შეიძლება მიმდინარე ნორმატივი დადგინდეს. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ უზრუნველყოფს ფაქტიური დანახარჯების ერთი და იგივე ნორმებთან შედარებას ხანგრძლივ პერიოდში. მაგრამ, ძირითადი ნორმები, არ ასახავენ მიმდინარე დაგეგმილ დანახარჯებს.

ძალაუფლება ორგანიზაციაში – ორგანიზაციის რესურსების გამოყენების და დავალებების შესასრულებლად მუშაკთა ძალისხმევის წარმართვის განსაზღვრული უფლება.

ძირითადი პროდუქცია – პროდუქცია, რომლის საწარმოებლად მოცემულ საწარმოში ხორციელდება საწარმოო პროცესი.

ძირითადი საშუალებები – არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება ბანკის განკარგულებაში, გამოიყენება საბანკო მომსახურების გასაწევად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით სარგებლობისათვის;

ძირითადი საშუალებები – ფულით გამოხატული ძირითადი ფონდები.

ძირითადი საშუალებების – ნარჩენი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. მისი გაანგარიშებისას № 290 და 291 ჯგუფის საბანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამს აკლდება № 490 და 492 ჯგუფის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხა.

ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები – ხარჯები, რომლებიც ამაღლებს ძირითადი საშუალებების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლურობას (მათ შორის, შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდიფიკაცია (რეკონსტრუქცია) მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; მანქანა-დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა), გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

ძირითადი სტატისტიკა – ტერმინი, რომელსაც იყენებენ საზღვარგარეთულ სტატისტიკაში. ძირითადი სტატისტიკის ქვეშ იგულისხმება ძირითადი მონაცემები, რომლებიც

უცვლელნი რჩებიან ან დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ნაკლებად იცვლებიან.

ძირითადი ფონდები – ცენტრალიზებულ გეგმიან ეკონომიკაში გამოყენებული ტერმინი. იგი ნატურალური სტრუქტურით ემთხვევა **ძირითად კაპიტალს.** მატერიალური წარმოების პროცესში ჩართულ ძირითად ფონდებს ეწოდება წარმოებითი **ძირითადი ფონდი,** ხოლო არაწარმოებით სფეროში – არაწარმოებითი ძირითადი ფონდი.

ძირითადი წარმოება – წარმოებითი პროცესის მთავარი ნაწილი, სადაც **ძირითადი მასალა** გარდაიქმნება მზა პროდუქციად.

ძირითადია ხელფასი - რომელიც მუშაკს ეძლევა სამუშაოზე ყოფნის პერიოდში.

ძრავა საავიაციო – ძრავა თბური, რომელიც ამოძრავებს საფრენ აპარატებს (თვითმფრინავებს, შვეულმფრენებს, დირიჟაბლებს და სხვა). საავიაციო ძრავებს წაყენებული აქვს დიდი მოთხოვნები: მინიმალური ზომების დროს აგრეგატში სიმძლავრე (ან წევა) მაქსიმალური უნდა იყოს, საწვავისა და საცხების ხარჯი სიმძლავრის (წევის) ერთეულზე მინიმალური, ამასთან ერთად, ახასიათებდეს საიმედობა, ხანგრძლივი ექსპლუატაციის უნარი, სიმარტივე და წარმოების სიაფე.

არსებობს ძრავების შემდეგი სახეები: ხრახნული (წევას წარმოქმნიან საჰაერო ხრახნის ბრუნვის შედეგად), რეაქტიული (წევა წარმოიქმნება რეაქტიული საქშენიდან სამუშაო აირების დიდი სიჩქარით გამოყენების შედეგად) და კომბინირებული ტურბოხრახნული ძრავები.

ძრავის ზეთი – მოტორის ზეთი, შიგა წვის ძრავების შესაზეთად განკუთვნილი. საავიაციო ზეთს ღებულობენ სინთეზურად. საავიაციო ზეთი 20 სხვადასხვა სახისაა.

ძრავის საწვავი – თხევადი და აირისებრი საწვავი, რომელსაც შიგაწვის ძრავებში იყენებენ. ავიაციაში გამოიყენება საავიაციო საწვავი, აირტურბინული საწვავი, რეაქტიული საწვავი.

წ

წარმატების რისკებს – ეკუთვნის: დარგობრივი რისკი; ქვეყნის რისკი; საპროცენტო რისკი; სავალუტო რისკი, სხვა რისკები.

წარმოებას, – რომლის შედეგად ერთი სახეობის ნედლეულიდან ორი ან მეტი დასახელების პროდუქტი მიიღება, **კომპლექსური წარმოება ეწოდება**. ამას აგრეთვე მრავალპროდუქტიან პროცესს უწოდებენ.

წარმოებითი ურთიერთობები (relations if production) – მარქსისტული კატეგორია, გამოყენებული ადამიანებს შორის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების **პროცესში წარმოქმნილი** ურთიერთობების განსაზღვრისათვის. წარმოებითი ურთიერთობები, ეკონომიკური ურთიერთობებისაგან, განსხვავებით, ეყრდნობა საკუთრებითი ურთიერთობების ერთ გაბატონებულ ფორმას, რაც განსაზღვრავს კლასების მდგომარეობას წარმოებაში, მათ ურთიერთდამოკიდებულებასა და პროდუქციის განაწილების ფორმებს. ასეთი შინაარსის მატარებელი ურთიერთობები არსებობდა საბაზრო ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური სისტემის, ჩამოყალიბებამდე, საზოგადოების განვითარების ნებისმიერ სხვა ეტაპზე, მათ შორის, ბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ანუ სახელმწიფო-მონოპოლისტური მონოპოლიზმის დროსაც. საბაზრო ეკონომიკა კი თეორიულად (კანონმდებლობითაც) გამორიცხავს საკუთრების ერთი რომელიმე ფორმის გაბატონებულ მდგომარეობას. იგი ეყრდნობა საკუთრების პლურალიზმს, ამიტომაც საბაზრო სისტემაში აღარ არსებობს კლასები და ეკონომიკური ურთიერთობაც განსხვავებული შინაარსის კატეგორიაა. რაც შეეხება წარმოებით ურთიერთობას, ამ ტერმინის გამოყენება თანამედროვე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევაში, ზემოთქმულის გამო არამეცნიერულია. ამიტომაცაა, რომ დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში იგი არ იხმარება.

წარმოების ავტომატიზაცია – მანქანური წარმოების განვითარების პროცესი, რომლის დროსაც მართვის და კონტროლის ფუნქციები სრულდება ხელსაწყოებისა და ავტომატური ხელსაწყოების მიერ.

წარმოების ბიუჯეტი – არის გაყიდვების მენეჯმენტის ციფრებისა და გასაყიდი ერთეულების ხარჯთაღრიცხვა, რაც ერთად უთანაბრდება შრომით ღირებულების, მატერიალური და სხვა წარმოებისთვის საჭირო ხარჯებს.

წარმოების დანაკარგები – არის წარმოების ნარჩენები, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ.

წარმოების დანახარჯების თეორია (the theory of production cost) – წარმომადგენლები (დ. მაკ-კულოხით და სხვ.) ფასწარმოქმნას საფუძვლად უდებენ არა საქონლის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივი შრომის რაოდენობას. არამედ მის მხოლოდ იმ ნაწილს, რაც გაიღო უშუალოდ მეწარმემ, ე.ი. საქონლის წარმოების დანახარჯებს. ეს თეორია გამორიცხავს ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც შეადგენს მოგებას.

წარმოების დანახარჯების თეორიაში პოზიტიურია ღირებულების განსაზღვრა ობიექტური ფაქტორებით. წარმოების დანახარჯებით, მაგრამ ნაკლებია ის, რომ იგი ღირებულების განსაზღვრაში მოგების იგნორირებას ახდენს.

წარმოების დაცემის უდაბლესი წერტილი (lowest turning point) – ეკონომიკის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება წარმოებისა და ეკონომიკური აქტიურობის მაქსიმალური შემცირებით და რომლის შედეგადაც იწყება აღმავლობა.

წარმოებისა და გასაღების შესაძლებლობათა ანალიზი – გაყიდვის, დანახარჯების და მოგების დასახული საკონტროლო მაჩვენებლების ანალიზი იმ მიზნით, რომ დადგინდეს შეესაბამება თუ არა საქონლის ჩანაფიქრი და მარკეტინგის სტრატეგია ფირმის მიზნებს.

წარმოების დივერსიფიკაცია (diversification of production) – მრავალი წარმოების ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული განვითარება წარმოების მრავალმხრივი განვითარება.

წარმოება დროულობის პრინციპით – მატერიალურ-ტექნიკური მარაგების მართვის სისტემა, რომელშიც პროდუქცია, საკომპლექტაციო ნაწარმი და მასალები შემოდის მხოლოდ მაშინ და იმ რაოდენობით, როდესაც და რამდენიც საჭიროა. სისტემის ძირითადი მიზანია კაპიტალის დანახარჯების და შენახვის ხარჯების შემცირება.

წარმოების ეფექტიანობა – წარმოებული პროდუქციის საბაზრო ღირებულება, შეფარდებული ორგანიზაციის რესურსების ჯამურ დანახარჯებთან.

წარმოების იერარქიული – დაგეგმვა ესა წარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებას ანაწილებს მართვის დონეებს შორის, ეს განისაზღვრება მართვის უმაღლესი, საშუალო და ქვედა დონის დაგეგმვით.

წარმოების ინტერნაციონალიზაცია – საწარმოო ძალების ფუნქციონირების პროცესში საერთაშორისო წარმოებითი კავშირების დამყარება, რომლის დროს ერთ ქვეყანაში მიმდინარე წარმოებითი პროცესი ხდება მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პროცესის ნაწილი. იგი ობიექტური პროცესია და საფუძვლად უდევს **შრომის საერთაშორისო დანაწილება.**

წარმოების კონცენტრაცია – წარმოების ზრდა მასში წარმოების ფაქტორების ზრდის კვალობაზე.

წარმოების ლოგისტიკა – არის მასალათა ნაკადების მართვა პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების სფეროში.

წარმოების ნარჩენი – არის გამოყენებული მასალების ისეთი ნაშთი, რომლის შემდგომი გამოყენება და გაყიდვა შეუძლებელია. წარმოების ნარჩენები წარმოების დანაკარგებია, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ. მაგალითად, გაზი, კვამლი, ძაფის ნაკუწები, მავთულის ნარჩენები და სხვ.

წარმოების პროცესი – გარკვეული კომბინაციით საწარმოო რესურსების (წარმოების ფაქტორების) შეერთება პროდუქციის შექმნის მიზნით მისი შემდგომი რეალიზაციით.

წარმოების რაციონალიზაცია – (ლათ. rationalis გონივრული) – წარმოების სრულყოფა, უფრო მიზანშეწონილი ორგანიზაციის შემოღება.

წარმოების რესურსები – მიწა, კაპიტალი, სამუშაო ძალა, ეკონომიკური ურთიერთობები.

წარმოების (საწარმოო) კონცეფცია – ერთ-ერთი უძველესი კონცეფციაა ბიზნესში, რომელიც ემატება იმ ვარაუდს, რომ მომხმარებლები ამჯობინებენ ხელმისაწვდომ და იაფფასიან პროდუქტებს. წარმოებაზე ორიენტირებული ფირმების მენეჯერები ყურადღებას ამახვილებენ მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევაზე, ნაკლებ ხარჯებსა და პროდუქციის (საქონლის) მასობრივ გავრცელებაზე. წარმოებაზე ორიენტაციის კონცეფციას აგრეთვე იყენებენ ფირმები, რომლებიც მიისწრაფვიან ბაზრის გაფართოებისაკენ.

წარმოების საშუალებები – შრომის საშუალებების და შრომის საგნების ერთობლიობა, რომელსაც ადამიანები იყენებენ წარმოების პროცესში, შრომის საშუალებების მანქანები და მოწყობილობები; იარაღები, საწარმო-ნაგებობანი, ტვირთის გადაადგილების და კავშირგაბმულობის საშუალებები; შრომის საყოველთაო საშუალება და საგანია მიწა.

წარმოების საშუალებებისა და საწარმოო მომსახურების ბაზარი – კომერციული ბანკები ამ ბაზარზე გამოდიან საწარმოებისთვის საბანკო მომსახურების როლში (საანგარიშსწორებო მომსახურება, ანგარიშების წარმოება, კორპორაციების ფინანსების მართვა), ფინანსური შუამავლების (საწარმოო ობიექტების დაკრედიტება) და საწარმოო რესურსების მყიდველთა (საოფისე მოწყობილობის შეძენა) როლში.

წარმოების სისტემა პროექტების ტიპების მიხედვით – საწარმოო პროცესის სახე, რომელშიც ნაწარის ყოველი ერთეული უნიკალურია თავისი კონსტრუქციით, დაკისრებული ამოცანებით, ადგილმდებარეობით ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ნიშნებით.

წარმოების სპეციალიზაცია – შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მისი ნაციონალური ორგანიზაციის ფორმა.

ასახავს ცალკეული სახის პროდუქციის ან მისი ნაწილების წარმოების **კონცენტრაციას** დამოუკიდებელ დარგებში და საწარმოებში. წარმოების სპეციალიზაცია ხელს უწყობს პროდუქციის წარმოების გადიდებას, ამაღლებს მის ხარისხს და ზრდის **შრომის ნაყოფიერებას**. განასხვავებენ წარმოების სპეციალიზაციის ძირითად სახეობას: საგნობრივს (საავტომობილო და სატრაქტორი ქარხნები, ფეხსაცმლის და სამკერვალო ფაბრიკები), დეტალურს (ბურთულსაკისრების ქარხანა) და ტექნოლოგიურს (მანქანათმშენებლობაში სამსხმელო, სამჭედლო-საწნეხი და საამწყობო ქარხნები).

წარმოების სპეციალიზაცია (specialization of production) – შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მისი რაციონალური ორგანიზაციის ფორმა. გამოხატავს ცალკეული პროდუქციისა და მისი ცალკეული თავმოყრის პროცესს სპეციალიზებულ საწარმოებსა და დარგებში.

წარმოების სრულყოფის კონცეფცია – არის მტკიცება იმისა, რომ მოხმარებული კეთილგანწყობილია საქონლის მიმართ, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებული და ხელმისაწვდომია ფასით შესაბამისად ხელმძღვანელობამ მთავარის ძალისხმევა უნდა წარმართოს წარმოების სრულყოფისა და განაწილების სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ.

წარმოების (საწარმოო) კონცეფცია – ერთ-ერთი უძველესი კონცეფციაა ბიზნესში, რომელიც ემყარება იმ ვარაუდს, რომ მომხმარებლები ამჯობინებენ ხელმისაწვდომ და იაფფასიან პროდუქტებს. წარმოებაზე ორიენტირებული ფირმების მენეჯერები ყურადღებას ამახვილებენ მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევაზე, ნაკლებ ხარჯებსა და პროდუქციის (საქონლის) მასობრივ გავრცელებაზე. წარმოებაზე ორიენტაციის კონცეფციას, აგრეთვე იყენებენ ფირმები, რომლებიც მიისწრაფვიან ბაზრის გაფართოებისაკენ.

წარმოების ფასი – მარქსისტულ ლიტერატურაში საქონლის **ღირებულების** გარდაქმნილი ფორმა. უთანაბრდება წარმოების ხარჯებისა და საშუალო მოგების ჯამს.

წარმოების ფაქტორები (factors of production) – წარმოების პროცესში გამოყენებული რესურსები: ძირითადად მოიცავს შრომას, კაპიტალსა და მიწას, ამასთან შეიძლება მასში სამეწარმეო უნარის ჩართვას.

წარმოების ფაქტორები – საწარმოო რესურსები, მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, შრომით რესურსებს, კაპიტალს და მეწარმეობას.

წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორია – აღნიშნავს, რომ ქვეყანას გააქვს საქონელი, რომლის გამოშვება ეფუძნება მოცემული ქვეყნისათვის უხვ წარმოების ფაქტორებს, ხოლო შემოაქვს ისეთი საქონელი, რომლის გამოსაშვებად უარესი ასეთი ფაქტორები აქვს.

წარმოების ციკლი – დეტალების დამზადების, სამუშაოთა და მომსახურების შესრულების საწარმოო პროცესის დასაწყისიდან დამთავრებამდე კალენდარული დროის ინტერვალი. საწარმოო ციკლი მოიცავს დამზადების, გადამუშავების და საამწყობო პროცესების, აგრეთვე კონტროლის სატრანსპორტო და სასაწყობო ოპერაციების შესრულების სამუშაო პერიოდს.

წარმოების ცენტრალიზაცია – წარმოების მოცულობის ზრდა რამდენიმე წარმოების გაერთიანების საფუძველზე.

წარმოების ხარჯები – არის ფირმის მიერ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის გაწეული ხარჯების ერთობლიობა, გამოხატული ფულადი ფორმით.

წარმოების ხარჯები – ცოცხალი და განვითარებული შრომის ერთობლივი დანახარჯები პროდუქტის წარმოებაზე. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ცალკეული მეწარმის წარმოების ხარჯები იზომება კაპიტალის ($c + v$) ხარჯვით, საზოგადოებრივი წარმოების ხარჯები. კი – შრომის დანახარჯით ($c + v + m$) სადაც c წარმოების საშუალებებით, v – შრომის ანაზღაურება, m – ზედმეტი პროდუქტი, ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის ქვეყნებში განასხვავებენ ცალკეული საწარმოს წარმოების ხარჯებს **(თვითღირებულება)** და სახალხო-წარმოების ხარჯებს. ეს უკანასკნელი

ასახავს პროდუქციის ერთეულის **წარმოებაზე** საზოგადოებრივი შრომის დანახარჯს.

წარმოებრივი ფუნქცია (production finction) – ფუნქცია, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას პროდუქციის გამოშვების მოცულობასა და წარმოებაში დაბანდებული შრომისა და კაპიტალის რაოდენობას შორის.

წარმოებული ეროვნული შემოსავალი – ერთი წლის მანძილზე შექმნილი ღირებულებაა, ხოლო მოხმარებული ეროვნული შემოსავალი – წარმოებული ეროვნული შემოსავლისაგან სტიქიური უბედურებით გამოწვეული დანაკარგებისა და მატერიალური დოვლათის შენახვის პროცესში წარმოქმნილი ზარალის გამოკლებით მიღებული ღირებულება.

წარმოებული პროდუქციის ნორმატიული თვითღირებულება უდრის – პროდუქციის დასამზადებლად გაწეული ოპერაციებზე დახარჯული ნორმატიული ცვლადი დანახარჯების ჯამს პლუს ნორმატიული მუდმივი ზედნადები ხარჯები.

წარმომადგენლობა კომერციული ბანკის – განცალკევებული ქვედანაყოფით, რომელიც მოთავსებული არის ბანკის მდებარეობის ადგილზე, არა აქვს იურიდიული პირის უფლებები და დამოუკიდებელი ბალანსი.

წარმომადგებლობითი – არის დირექტორი, რომელიც მხოლოდ ნომინალურ ფიგურას წარმოადგებს. საწარმოს მთლიან მართვას ძირითადი მფლობელი ახორციელებს, რომელიც ამასთან უმთავრესად „ჩრდილში იმყოფება“.

წარმომადგენლობითი დემოკრატია – გულისხმობს უმეტესობას მართვის პრინციპის განხორციელებას პერიოდული არჩევნების გზით.

წარმომადგენლობითი ხარჯი – პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფასეულებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს: ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) პროტოკოლით გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯები; ბ) საექსკურსიო და კულტურულ სანახაობითი ღონისძიებების

ხარჯებს; გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს; დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს, მათ შორის:

1. საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება) ხარჯებს;
2. აეროპორტში დახვედრისა და გაცილების („ვიპ"-ის დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;
3. სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;
4. სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;

წარმოშობილი ნარჩენების განაწილება, ლიკვიდაცია – ეს პროცესი მიზანშეწინილია ისეთი ნარჩენებისათვის, რომელთა გადამუშავებასაც ნაკლები სარგებელი მოაქვს და ეკონომიურად გაუმართლებელია.

წარმოქმნილი ბაზრები – განვითარებადი ქვეყნებისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების კაპიტალის ბაზრები. კაპიტალის წარმოშობილი უდიდესი ბაზრებიდან, თუ მარტო აქციათა საბაზრო კაპიტალიზაციით ვიმსჯელებთ არის: ევროპაში – პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და რუსეთის; აზიაში – ინდოეთის, ინდონეზიის, სახრეთ კორეის, მალაიზიის, ტაილანდის, ტაივანის, ფილიპინებისა და განსაკუთრებით ჩინეთისა ჰონკონგთან ერთად; აფრიკაში – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის; ლათინურ ამერიკაში – არგენტინის, ბრაზილიის, ვენესუელის, მექსიკის, ჩილესი.

წარსულისაგან გამოცდილების შეძენის უნარი, ანუ უნარი – „ისწავლო შეცდომებზე" (როგორც სხვების, ისე საკუთარი „მე"-სი). ასეთი უნარი ეხმარება ადამიანს, არ დაუშვას ახალი შეცდომები.

წერილობითი ფორმა – კომუნიკაციის ნაბეჭდ ლითოგრაფიული ფორმა.

წესები – ზუსტი განსაზღვრა იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტული სიტუაცია.

წვრილი აქციები – ტერმინი, რომელიც გამოიყენება დაბალი ფასის აქციის და მაღალი რისკის აღსანიშნავად. აქციები

რომლებიც იყიდება 1 დოლარზე ნაკლებად ცალი. ამ აქციებით გარიგებები მოითხოვს ბროკერისაგან სპეციალურ საგარანტიო დეპოზიტებს.

წვრილი გზავნილები – ტვირთის პარტია წონით 5 ტ-მდე. ფორმდება ერთი სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულით. ამ შემთხვევაში გადაზიდვაზე არაა საჭირო ცალკე ავტოსატრანსპორტო საშუალება.

წვრილი გზავნილება – ტვირთის რაოდენობა, რომელიც გადაიზრდება ერთი სარკინიგზო ზედდებულით, რომლის გადასაზიდად არაა საჭირო მთელი ვაგონი.

წვრილი ნაკადს ქმნის ტვირთთა რაოდენობა, – რომლიც საშუალებას არ იძლევა სრულად გამოვიყენოთ სატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობა და საჭიროებს გადაზიდვისას სხვა თანამგზავრი ტვირთების შეფასებას.

წვრილსერიული წარმოება – საწარმოო პროცესის ორგანიზაციის ტიპი, რომლის დროსაც ქვედანაყოფები ან გადამამუშავებელი ცენტრები სპეციალიზდებიან განსაზღვრული ოპერაციებზე. ნაწარმი (ან მომსახურებული კლიენტი) მცირე პარტიებით გაივლის სისტემას.

წვრილსერიული წარმოება – პროდუქციის ფართო ასორტიმენტის წარმოება საშუალო და წვრილი პარტიებით. ის დამამზადებლისაგან მოითხოვს შეკვეთების ცვლილებებისა და ძნელად საწინასწარმეტყველო სტრუქტურისადმი სწრაფად შეგუების უნარს.

წვრილტონიანი გზავნილები – ტვირთის პატარა წონით 10-დან 20 ტ-მდე წარდგენილია გადაზიდვაზე ერთი ზედდებულით და იკავებს ოთხღერძიანი ვაგონის მოცულობის არა უმეტესს ნახევარს.

წიგნი МДП – საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ამსუბუქებს საავტომობილო ტრანსპორტით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას ტვირთის არასრული შემოქმედების გარეშე.

წილობრივი ინსტრუმენტი – არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი

ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას.

წინააღმდეგობის გამწევები – უფრო ასაკის, პენსიონერები, პასიურები, შეფიქრიანებულები, მათი შესაძლებლობები შეზღუდულია. ლოიალურები არიან დიდი ხნის ნაცნობი

წინაპირობა – ვარაუდი, რომელიც განიხილება როგორც ჭეშმარიტება. გამოიყენება ნება ამოსავალ წერტილად გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წინასწარი ანგარიში (ინგ. preliminary, provisional invoice; ფრ. – tacture proovisoire; გერ.- provisorische Rechnung vorlanfinge Rechnug) – გამოიწერება დანიშნულების ქვეყანაში საქონლის მიღებისას ან ნაწილობრივი მიწოდებისას. მასში უთითებენ საქონლის პარტიის რაოდენობასა და გადასახდელი თანხას. საქონლის მიღების ან მთელი პარტიის მიწოდების შემდეგ გამოიწერება ანგარიში-ფაქტურა, რომლითაც ხდება საბოლოო ანგარიშსწორება.

წინასწარი აქცეპტი – ნიშნავს იმას, რომ გადახდის შესახებ მიმწოდებლის მოთხოვნაზე გადამხდელი თავის თანხმობას იძლევა მისი ანგარიშიდან ფულის ჩამოწერამდე. ამ დროს საანგარიშსწორებო დოკუმენტი აქცეპტირებულად ითვლება, თუ გადამხდელმა ბანკს არა აცნობა უარის შესახებ სამი სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან საანგარიშსწორებო დოკუმენტის ბანკში შემოსავლის დღე მხედველობაში არ მიიღება. განაღდება ხდება აქცეპტის ვადის ამოწურვის მეორე დღეს.

წინასწარ კონტრაქტებს – უწოდებენ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის მიხედვითაც შეთანხმების ერთი მხარე ვალდებულია იყიდოს, მეორე კი – გაყიდოს, გარკვეული აქტივები მოცემულ ფასებში და კონტრაქტით განსაზღვრულ დროს.

წინასწარი კონტროლი – კონტროლის ამ სახეს წინასწარი იმიტომ ეწოდება, რომ იგი, ფაქტობრივად, სამუშაო დაწყებამდე სრულდება. წინასწარი კონტროლის განხორციელების ძირითად საშუალებას ქცევის განსაზღვრული წესებისა და პროცედურების რეალიზაცია წარმოადგენს. ორგანიზა-

ციაში წინასწარი კონტროლი შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების სფეროში გამოიყენება.

წინასწარ გადასახდელი – ითვალისწინებს გამყიდველის მიერ კონტრაქტის დადებამდე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას. ასეთ დანახარჯებს მიეკუთვნება: დაპროექტებისა და მარკეტინგული კვლევის, ტექნიკური სახელმძღვანელოების შედგენის, მოლაპარაკებათა **წარმოების**, იურიდიული კონსულტაციების და სხვა ხარჯები.

წინასწარ გადახდილი ხარჯები – ეს ხარჯები წარმოადგენს პროდუქტს ან მომსახურებას, რომლისთვისაც თქვენმა ფირმამ უკვე გადაიხადა თანხა, მაგრამ ჯერ არ გამოუყენებიათ. მაგალითად, თქვენმა კომპანიამ გადაიხადოს ყოველწლიური სავალდებულო სადაზღვევო გადასახადი წლის დასაწყისში, მანამ, სანამ ეს დაზღვევა რეალურად ამოქმედდება. თუ წლის განმავლობაში დაზღვევა გაუქმდება, თანხის ნაწილი კომპანიას უბრუნდება.

წინასწარი ხელშეკრულება – წინასწარ შეთანხმება დაფრახტვის შესახებ, რომელიც შემდგომში იცვლება ჩარტერით.

წლიური ბუღალტრული – ანგარიშის შესადგენად ბანკები საანგარიშო წლის ბოლოს ატარებენ აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოს. ისინი უპირველეს ყოვლისა, ინვენტარიზაციას უდარებენ საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშებზე რიცხულ მთელ ფულად სახსრებს, და ფასეულობებს, ძირითად საშუალებებს, სამეურნეო და სხვა მასალებს, ანგარიშსწორებებს. მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობაში ანალიზს უკეთებენ დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებას, აქტიურ ღონისძიებებს მიმართავენ მათ დასაფარავად, არარეალური თანხები უნდა ჩამოიწეროს ბალანსიდან და დაეწეროს ზარალს. ანალიზი უტარდება საკრედიტო პორტფელს და მიიღება არარეალური სასესხო დავალიანების, აგრეთვე, ამ სესხებზე დარიცხული პროცენტების გამოვლენისა და დადგენილი წესით მათი ჩამოწერის ღონისძიებები.

წმინდა აქტივები – სხვაობა პირის აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

წმინდა გადასახადი (nex taxes) – სხვაობა გადასახადების აკრეფით მიღებული სამთავრობო შემოსავლებსა და სამთავრობო ტრანსფერულ გადასახადებს შორის.

წმინდა დისკონტირებული ღირებულება (net present value) – თანხა, რომელიც მიიღება მოსალოდნელი საინვესტიციო ხარჯების დისკონტირებული ღირებულების გამოქვითვით მოსალოდნელი შემოსავლების დისკონტირებული ღირებულებიდან.

წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა – გაიანგარიშება როგორც მთლიან ეროვნულ პროდუქტს დამატებული ფულადი ფორმით გამოხატული საბაზრო საქმიანობა და თავისუფალი დრო და გამოკლებული კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები (გარემოს დაბინძურება წარმოების ნარჩენებითა და გამონაბოლქვი აირებით, სუფთა წყლის დეფიციტი და ა.შ.) კეთილდღეობის დონეს ყველაზე ზუსტად განსაზღვრავს „ადამიანის განვითარების ინდიკატორი“, რომელიც ახასიათებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს და მოიცავს შემდეგ ძირითად პარამეტრებს. 1. შემოსავალს მოსახლეობის ერთ სულზე; 2. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას; 3. განათლების დონეს.

წმინდა ეროვნული დანაზოგი (net national savings) – გაიანგარიშება როგორც სხვაობა მთლიან ეროვნულ დანაზოგსა და ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

წმინდა ეროვნული პროდუქცია (net national product) – მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა მსპ-სა და საამორტიზაციო ანარიცხების შეჯამებულ სიდიდეს შორის.

წმინდა ეროვნული შემოსავალი (net national income) – მთლიან ეროვნულ პროდუქტს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

წმინდა ექსპორტი (net export) – სხვაობა ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებას შორის.

წმინდა ეწოდება ლიცენზიას, – რომლის სალიცენზიო შეთანხმება დამოუკიდებელი ხასიათისაა. მისგან განსხვავებით, **თანმხლები ლიცენზია** მიწოდების საერთო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილია.

წმინდა ინვესტიცია (net investment) – ინვენტიცია ამორტიზაციის გამოკლებით.

წმინდა ინკასო (net encashment) – საფინანსო დოკუმენტების ინკასო, რომელსაც არ ახლავს კომერციული დოკუმენტები.

წმინდა კონკურენცია – ბაზარი, რომელზეც მყიდველთა და გამყიდველთა დიდი რიცხვი დებენ ყიდვა-გაყიდვის გარიგებებს ერთი და იგივე სახის საქონელზე და ცალკეული მყიდველი ან გამყიდველი დიდ გავლენას ვერ ახდენს საბაზრო ფასების მერყეობაზე.

წმინდა კონკურენცია (pure competition) – იგივეა, რაც სრულყოფილი კონკურენცია.

წინასწარი კონტროლი – კონტროლის პროცედურის ფაზა, რომელიც ხორციელდება საკუთრივ სამუშაოს დაწყების წინ. ამ ფაზაზე ხდება გემების შეფასება, მუშაობის წესების და პროცედურების შემუშავება, აგრეთვე თანამდებობრივი ინსტრუქციების შედგენა წერილობით ფორმით. მარკების მიმართ.

წმინდა მიმოქცევის დანახარჯი (pure cost of curculation) – უშუალოდ საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯი.

წმინდა მოგება (net profit) – თანხა, რომელიც რჩება ფირმის ერთობლივი შემოსავლიდან აშკარა და ფარული (იმპლიციტური) დანახარჯების გამოქვითვის შემდეგ. წმინდა მოგება უდრის ბუღალტრულ მოგებას მინუს იმპლიციტური დანახარჯები.

წმინდა მოგება – არის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიღებული საერთო შემოსავლის მეტობა იმავე პერიოდის ხარჯებზე. წმინდა ზარალი – პირიქით, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთო ხარჯების მეტობაა ამავე პერიოდის საერთო შემოსავალზე. წმინდა

მოგება ზრდის, ხოლო წმინდა ზარალი ამცირებს საკუთარ კაპიტალს.

წმინდა მოგება – თანხა, რომელიც რჩება ფირმის ერთობლივი შემოსავლიდან აშკარა და ფარული (იმპლიციტური) დანახარჯების გამოქვითვის შემდეგ. წმინდა მოგება უდრის ბუღალტრულ მოგებას მინუს იმპლიციტური დანახარჯი.

წმინდა მონოპოლია – იმას ნიშნავს, რომ დარგში არ არის მხოლოდ ერთი გამყიდველი, რომელიც მთლიანად აკონტროლებს მიწოდების მოცულობას და საქონლის ფასს, რომელსაც ახლოს მდგომი სუბსტიტუტები არ გააჩნიათ.

წმინდა პროდუქტი (net product) – ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს საწარმოო საქმიანობის შედეგებს. გაიანგარიშება, როგორც სხვაობა მთლიან ეროვნული პროდუქტსა და ძირითადი კაპიტალის ცვეთის ანაზღაურების ხარჯებს (ამორტიზაციას) შორის.

წსშ – წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

წპშ – წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

წპმ – წმინდა საპროცენტო მარჟა.

წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი – მიიღება საანგარიშსწორებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვისა და რეზერვების იმ ფონდებში გადარიცხვის შემდეგ, რომლებიც გამოიყენება: ა) ვადაგადაცილებული და საეჭვო სესხების დასაფარად, ძირითადი საშუალებების სრული აღდგენისათვის, თანამშრომელთა სოციალური უზრუნველყოფასა და დაზღვევისათვის; 2) ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების დაფარვისათვის.

წმინდა სახის ლიცენზია – განიხილება როგორც გარკვეული სახის რაიმე პატენტის გამოყენების უფლება. ამიტომ კლასიკური ანუ ე.წ. საპატენტო ლიცენზია პატენტის გამოყენებაზე გაცემული ლიცენზიით. თავის მხრივ, პატენტი

დოკუმენტია, რომელიც მის მფლობელს აძლევს თავისი გამოგონების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას.

„წმინდა შემოსავლის შერჩევის“ – ფორმა გულისხმობს დროებითი საბაზრო ეფექტიანობის გამო ორი იდენტური ობლიგაციის გაცვლას ნომინალისაგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ფასი. ასეთი ოპერაციით ხდება დაბალშემოსავლიანი ობლიგაციის გაყიდვა და მის ნაცვლად უფრო მაღალშემოსავლიანის ყიდვა.

წმინდა შემოსავალი (net income) – საწარმოს მთლიანი შემოსავლის ნაწილი, რომელიც რჩება მის განკარგულებაში ბიუჯეტში გადასახადების გადახდის შემდეგ. იგი, როგორც ახალი შექმნილი ღირებულების ნაწილი, მოიცავს ხელფასსა და მოგების ნაწილს.

წონა (ფაქტიური) – გადასაზიდად მიღებული ტვირთის ბრუტო წონა.**წონა ბრუტო** – ტვირთის მოცულობა კუბიკურ მეტრებში, ცალკე თითოეული სახის ტვირთისათვის, მითითებული ტვირთის აღწერაში.

წონა ფაქტიური – გადასაზიდად მიღებული ტვირთის ბრუტო წონა.

წონასწორობის რაოდენობა – საქონლის რაოდენობა, როდესაც მოთხოვნილება და მიწოდება ტოლია.

წონასწორობის ფასი – საქონლის ფასი, როდესაც მასზე მოთხოვნილება და მიწოდება ტოლია.

წონასწორული ფასი – საბაზრო ფასი მოთხოვნისა და მიწოდების დამთხვევის პირობებში გამოხატავს ურთიერთკავშირს საზოგადოებრივი ღირებულების მოძრაობასა, საბაზრო ფასსა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის საზოგადოებრივი წარმოების პროპორციების საბაზრო რეგულირების პროცესში.

წონასწორობის ფასი – 1. ეს არის მოთხოვნისა და მიწოდების დამთხვევის დროს წარმოშობილი ფასი. 2. ფასს, რომლის დროსაც მოთხოვნა მიწოდების ტოლია, წონასწორული ფასი ეწოდება.

წონასწორობის ფასი (equilibrium pricc) – წარმოებისა და რეალიზაციის ოპტიმალური მოცულობის, მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობის გამომხატველი ფასი. ფასი, რომლის დროსაც ბაზარი იმყოფება წონასწორობაში. ასეთი ფასი უზრუნველყოფს ბაზრის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

წრფივი ანუ ნაკადური დაგეგმარება – მასობრივი წარმოების მოწყობილობის განლაგების მეთოდი, რომელშიც საწარმოო ოპერაციები თითქმის ანალოგიურია მთელი გამოსაშვები პროდუქციისათვის საწარმოო რესურსები განთავსდებიან სამუშაო სადგურების თანამიმდევრობის სახით საწარმოო ოპერაციების შესაბამისად.

წრფივი დაპროგრამების მოდელი – მოდელი, რომელიც გამოიყენება კონკურენტულ მოთხოვნილებებს შორის დეფიციტური რესურსების განაწილების ოპტიმიზაციისათვის.

წრფივი უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც გადაეცემა უფროსისაგან უშუალოდ ხელქვეითს, ხოლო შემდეგ – სხვა ხელქვეითებს.

წრფივი უფლებამოსილება – ისეთი ტიპის უფლებამოსილებაა, რომელიც უშუალოდ გადაეცემა უფროსიდან მის უშუალო ხელქვეითს, შემდეგ მისდამი დაქვემდებარებულ პირს და ა.შ.

წრფივი უფლებამოსილების დელეგირება – ორგანიზაციის მართვის დონეების იერარქიას ქმნის. ამგვარი იერარქიის შექმნის პროცესს სხვანაირად სკალარულ პროცესსაც უწოდებენ.

წყვილი ქალაქი – ორ ქალაქს შორის ფრენა, რომელიც გათვალისწინებულია სამგზავრო ბილეთში.

ჭ

ჭარბი – ზედმეტი, საჭიროზე მეტი. მაგალითად ჭარბწარმოება, რომელიც აღემატება მასალების შესაძლებლობას.

ჭარბი მიწოდება (excess supply) – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას. წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როცა საბაზრო ფასი წონასწორობის ფასზე

მაღლა აიწევს. ეს სტიმულს აძლევს მწარმოებლებს, გაზარდონ საქონლის წარმოება. გარკვეულ წერტილში წარმოებული იქნება იმაზე მეტი, ვიდრე მომხმარებლებს სურთ შეიძინონ. ბაზარი ზედმეტად გაჯერებული აღმოჩნდება საქონლით. წარმოიქმნება ჭარბი მიწოდება, რაც გამოიწვევს ფასის შემცირებას.

ჭარბი მოთხოვნა (excese demand) – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მოთხოვნა აღემატება მიწოდებას. წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როცა საბაზრო ფასი წონასწორობის ფასზე დაბლა დაიწევს. მომხმარებლებს გაუჩნდებათ სურვილი, იყიდონ იმაზე მეტი საქონელი, ვიდრე მწარმოებლებს სურთ აწარმოონ. წარმოიშობა ჭარბი მოთხოვნა, რაც გამოიწვევს ფასის გაზრდას.

ჭარბი რეზერვები (excess reserves) – საბანკო რეზერვები, თანხა, რომლითაც ბანკის ფაქტობრივი რეზერვები, აღემატება მის სავალდებულო რეზერვებს. იგი არის ფაქტობრივ რეზერვებს მინუს სავალდებულო რეზერვები.

ჭარბი საგადასახადო ტვირთი (excess burden of a tox) – წმინდა სარგებლობის დანაკარგი საზოგადოებისათვის საქონლის წარმოებისა და მოხმარების დონის ოპტიმალურზე დაბლა დაცემის შედეგად, რაც გამოწვეულია გადასახადების შემოღებით.

ჭარბწარმოება (overproduction) – ეკონომიკური ვითარება, როდესაც არსებული ფასების პირობებში საქონლის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას.

ჭუჭყიანი კონოსამენტი – შეიცავს აღნიშვნებს ბორტზე მიღებული ტვირთის რაოდენობის ანდა ხარისხის, შეფუთვის ანდა მარკირების მდგომარეობის შესახებ.

ხ

ხაზობრივი ნაოსნობა – ტვირთების გადაზიდვა საზღვაო გემებზე განსაზღვრულ ადრე დადგენილ მიმართულებებით (ხაზებით) და გამოცხადებული განრიგების შესაბა-

მისად. ხაზობრივი ნაოსნობა ემსახურება ჩამოყალიბებულ მუდმივ ტვირთნაკადებს, უმთავრესად მატერიალურ ტვირთებს – ხაზობრივი პირობები – მომსახურებათა მოცულობა, რომელსაც ჩვეულებრივ უწევენ სახაზინო სანაოსნოები კომპანიებს: გადამზიდავის ვალდებულებები განისაზღვრება კონოსამენტების სტანდარტული პირობებით. როგორც წესი, ცნება საგზაო პირობები აერთიანებს ფრახტის განაკვეთში დანახარჯებს დატვირთვა-განტვირთვაზე დამფრახტველის პასუხისმგებლობის გარეშე ტვირთის დატვირთვა-განტვირთვის ნორმებზე, რომელიც მოქმედებს კონკრეტულ პორტში.

ხაზობრივი ფუნქცია – ადამიანური რესურსების მენეჯერი თავის განყოფილებაში და/ან დეპარტამენტში ხელმძღვანელობს ადამიანთა ქმედებებს.

ხაზობრივი ძალაუფლება – მენეჯერებს აძლევს უფლებას (ან ძალაუფლებას) გასცეს ბრძანებები სხვა მენეჯერებსა თუ დასაქმებულებზე.

ხანგრძლივი – ვადიანი, კონტრაქტი, რომელიც დაკავშირებულია ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების შესყიდვასთან და გაყიდვასთან.

ხანგრძლივი გამოყენების საქონელი – მატერიალური ნაწარმი, რომელიც უძლებს მრავალჯერად გამოყენებას.

ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი – საქონელი, რომელიც გამოიყენება ხანგრძლივი დროის განმავლობაში (არანაკლებ ერთი წლისაა). იგულისხმება როგორც სამრეწველო (საწარმოო) დანიშნულების საქონელი, ასევე სამომხმარებლო საქონელი.

ხანგრძლივობის ანალიზი – გამოიყენება იმ ნაღდი თანხების ნაკადის საშუალო შეწონილი ხანგრძლივობის გამოსათვლელად, რომელიც წარმოიქმნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ჩვეულებრივი საშუალო ნაღდი ფულის ნაკადის ნაცვლად ხანგრძლივობა იძლევა უფრო მეტ ინფორმაციას ნაღდი ფულის ნაკადის ანალიზისათვის. ხანგრძლივობის მეთოდის გამოყენებით

შეიძლება გამოვთვალოთ, თუ რა პროცენტით შეიცვლება ნაღდი ფულის ნაკადი საპროცენტო განაკვეთის ერთი პროცენტით შეცვლისას. ხანგრძლივობის ანალიზი იძლევა საშუალებას, დავადგინოთ, რამდენადაა მგრძნობიარე ბანკის ნაღდი ფულადი ნაკადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი.

ხანგრძლივობის უწყვეტობის კონცეფცია – საბუღალტრო აღრიცხვის ერთ-ერთი კონცეფციაა. ბუღალტერი გამოდის იქიდან, რომ საწარმო თავის ოპერაციებს გააგრძელებს განისაზღვრელი მომავალში. ეს აძლევს მას საშუალებას შეაფასოს აქტივები ბალანსში ისე, თითქოს ისინი განკუთვნილი იყო არა გასაყიდად, არამედ გამოყენებისათვის.

ხანმოკლე გამოყენების საქონელი – მატერიალური ნაწარმი, რომელიც მთლიანად მოიხმარება ერთი ან რამდენიმე გამოყენების ციკლში.

ხარი (Bull) – ბირჟის მაკლერი, რომელიც ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის ამაღლებაზე თამაშობს. იგი შეიძენს, ვთქვათ, აქციებს და ელოდება მათი კურსის ზრდას, რათა შემდეგ გაყიდოს და საკურსო სხვაობიდან მოგება მიიღოს.

„ხარების“ ბაზარი (bull marlet) – ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ხასიათდება ფასების ზრდით.

ხარისხი – ხარისხის თვისებების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ მის უნარიანობას დააკმაყოფილოს მომხმარებელთა კონკრეტული მოთხოვნილებები, შეესაბამებოდეს წაყენებულ მოთხოვნებს. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში (კონტაქტებში) მხარეები ათანხმებენ ხარისხის მაჩვენებლებს, მისი შემოწმების წესს, დოკუმენტების წარდგენას, რომლებიც ადასტურებენ მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობას შეთანხმებულ მოთხოვნებთან.

ხარისხი – პროდუქტის თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც მის გამოსაყენებელს ხდის ე.ი. აკმაყოფილებს რაიმე მოთხოვნილებას. ხარისხის მაჩვენე-

ბელი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: დანიშნულების, საიმედობის, ესთეტიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა.

ხარისხი – „ობიექტის მახასიათებელთა ერთობლიობა, რომელიც მიეკუთვნება მის უნარს დააკმაყოფილოს დადგენილი და სავარაუდო მოთხოვნები“ (საერთაშორისო სტანდარტი ISO).

ხარისხი – არის ტევადი, რთული და უნივერსალური კატეგორია, რომელსაც აქვს უამრავი განსაკუთრებული და განსხვავებული ასპექტი.

ხარისხი ეს არის – საქონლის ან მომსახურების თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ უშუალო დამოკიდებულება მათ გაცხადებულ ან ნაგულისხმევ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნართან.

ხარისხი არის საგნის ისეთი განსაზღვრულობა – რომლის ძალითაც მხოლოდ ის საგანია მოცემული, რომლითაც განსხვავდება სხვა საგნებისაგან.

ხარისხის დიფერენცირება იმას გულისხმობს – რომ ერთსა და იმავე მომსახურებას სხვადასხვა ხარისხით შეიძლება სთავაზობდნენ სხვადასხვა ბაზარს და, ბუნებრივია, ფასებიც ამ დროს განსხვავებული იქნება. ამის მაგალითია ჩვეულებრივი პლასტიკური ბარათები და მათი პრესტიჟული („ოქროს“ „პლატინის“) ანალოგები, ტრადიციული და გასვლითი სააგარიშოსწორებო საკასო მომსახურება („ლუქსის“კლასის).

ხარისხის მართვა – დაცვის ერთ-ერთი არსებული ხერხია. ხარისხის მართვა არის პირველხარისხოვან მმართველთა უნარი, მანამდე გადაჭრან წარმოქმნილი პრობლემები, ვიდრე ისინი სერიოზულ სირთულეებს შეუქმნის ბანკებს.

ხარისხის მიმართ – ყოველი ბანკის დამოკიდებულება მის კორპორაციულ სტრატეგიაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ ბანკი ესწრაფვის ლიდერობას დანახარჯების შემცირებაში, მაშინ მომსახურების ხარისხის ამაღლება

მისთვის შესაძლოა ხარჯების მომატების არასასურველი ფაქტორი იყოს.

ხარისხის პოლიტიკა – ამერიკელ ეკონომისტთა კვლევის მონაცემების თანახმად, თავაზიანი და კვალიფიციური მომსახურება მომხმარებლების მიერ ბანკის შერჩევის მთავარი კრიტერიუმია. გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვა ადასტურებს, რომ მომხმარებელთა 20%-მა მათი მომსახურე ბანკის შეცვლის მიზეზად მომსახურების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი დაასახელა. ამის მიუხედავად, ერთიანი არაა აზრი იმის თაობაზე, თუ რას უნდა ვუწოდოთ საბანკო მომსახურების ხარისხი.

ხარისხის მიმართ ყოველი ბანკის დამოკიდებულება მის კორპორაციულ სტრატეგიაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ ბანკი ესწრაფვის ლიდერობას დანახარჯების შემცირებაში, მაშინ მომსახურების ხარისხის ამაღლება. მისთვის შესაძლოა ხარჯების მომატების არასასურველი ფაქტორი იყოს. მაგრამ თანამედროვე ბანკების უმრავლესობა დიფერენციაციის სტრატეგიას იყენებს, რაც ხარისხისადმი მომატებულ ყურადღებას მოითხოვს. ზოგიერთი ბანკი „ხარისხის ტოტალური მართვის“ (total juality management) პრინციპების დანერგვასაც კი ცდილობს, როდესაც ბანკის მთელი საქმიანობა კლიენტების საჭიროებით უზადოდ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

ხარისხის სერთიფიკატი (ინგ. certificate of quality; ფრ. – certificat de qualite; გერმ. – Qualitatsreufnis) – ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ხარისხისა და კონტრაქტის პირობებთან მისი შესაბამისობის დამადასტურებელი მოწმობაა. მასში მოცემულია საქონლის ხარისხის დახასიათება ან მისი მეშვეობით დასტურდება გარკვეული სტანდარტებთან ან შეკვეთის ტექნიკურ პირობებთან მოცემული ხარისხის შესაბამობა. ხარისხის (სერთიფიკატი გაიცემა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციების, სახელმწიფო ორგანოების, სავაჭრო პალატების, სპეციალური ლაბორატორიების მიერ როგორც ექსპორტიორის, ისე იმპორტიო-

რის ქვეყანაში. ხარისხის სერთიფიკატი შეიძლება გასცეს (კონტრაქტის პირობების შესაბამისად) მწარმოებელმა ფირმამ.

ხარისხის სერთიფიკატი (quality certificate) – საქონლის ხარისხსა და სტანდარტებთან მისი შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. გასცემენ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული დამოუკიდებელი ორგანიზაციები. გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ხარისხის სოციალური ასპექტი – უკავშირდება სუბიექტის და (ან) მთელი საზოგადოების დამოკიდებულებას შესასწავლი ობიექტისადმი, მაგალითად, გარკვეული მომხმარებლების აღთქმას ან დამოკიდებულებას შესაბამისი პროდუქციის ან მომსახურებისადმი.

ხარისხის ტექნიკური – ასპექტი განპირობებულია გამოკვლევის ობიექტის, როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი ცვლილებით.

ხარისხის ტოტალური მართვა – წარმოადგენს საერთო ორგანიზაციულ მიდგომას ყველა ორგანიზაციული პროცესის, საქონლისა და მომსახურების ხარისხის პერმანენტული ამაღლებისადმი.

ხარისხის ცნებასთან – მჭიდრო კავშირია ცნებები: ხარისხის მაჩვენებელი, პროდუქციის ტექნიკური დონე, საქონლის კონკურენტუნარიანობა. ხარისხის მაჩვენებლის ქვეშ იგულისხმება პროდუქციის მაჩვენებლების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მის დანიშნულებას, საიმედობას, ტექნოლოგიურობას, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის დონეს, ერგონომიკულ, ესთეტიკურ, ეკოლოგიურ თვისებებს საპატენტო-სამართლებრივ ასპექტებს, ტრანსპორტაბელურობას, უსაფრთხოებას ეკონომიკურ პარამეტრებს.

ხარისხის წრე – ქვედანაყოფის მუშაკთა ჯგუფი, რომლებიც ნებაყოფლობით იკრიბებიან იმისათვის, რომ განიხილონ ხარისხის პრობლემები და შეიმუშაონ იდეები მისი

ამაღლებისათვის. ჩვეულებრივ, ჯგუფის წევრები გადიან სპეციალურ მომზადებას, რაც საშუალებას აძლევს მათ გამოავლინონ და გადაჭრან ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები.

ხარისხობრივი ფაქტორი – არის მოვლენის ისეთი მიზეზი, რომელიც ამა თუ იმ საქმიანობის ეფექტიანობას ანუ მწარმოებლურობას ანუ ძალისხმევას ასახავს. მაგალითად, ნედლეულის ხარჯვის დონე პროდუქციის ერთეულზე.

ხარკი – გადასახადის სახელმწიფო შესატანი, გამოსაღები მოსახლეობისა და წარმოებისაგან საშემოსავლო გადასახადი.

ხარკი-გადასახადი, – რომელსაც გამარჯვებული ახდევინებდა დამარცხებული ქვეყნის ხალხს, მოსახლეობას, ხარკის დადება – ხარკის აკრეფით.

ხარჯები – არის ყველაფრის ღირებულება ბიზნესში. საბუღალტრო მიზნებისთვის ხარჯების შედეგია: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, ოპერატიული ხარჯები.

ხარჯები – „გადასახადების უარყოფითი ნაკადები“, ე.ი. საწარმოს საგადასახადო საშუალებათა შემცირება.

ხარჯები – არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები – მფლობელის კაპიტალის შემცირებაა, რომელიც იწვევს საწარმოს აქტივების გადიდებას, ვალდებულების ზრდას და დაკავშირებულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში პროდუქციის (საქონლის) წარმოებისა და მომსახურების გაწევასთან. ხარჯები მაშინ აისახება ბუღალტრული აღიცხვაში, როცა ისინი ფაქტიურად გაიწევა, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება მათი განაღდება.

ხარჯების ამსახველი ანგარიშები – საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ გაწეული ხარჯების აღსა-

რიცხავად გამოიყენება. თავიანთი ბუნებით ისინი აქტიური ანგარიშებია. მათი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ ამ ანგარიშებში ნორმალური (ძირითადი) ჩანაწერი კეთდება დებეტის მხარეს, ზრდის ამსახველი ოპერაციები ჩაიწერება დებეტში, შემცირების ამსახველი ოპერაციები ჩაიწერება კრედიტში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მსგავსად შემოსავლების ამსახველი ანგარიშებისა, ხარჯების ანგარიშებიც უნდა გაუნელდეს ე.ი. უნდა დაიხუროს, რადგან ისინი ნორმალური ანუ დროებითი ანგარიშებია.

ხარჯებისა და შედეგების ანალიზი (cost-benefit analysis) – სახელმწიფო სექტორში საინვესტიციო პროექტების შეფასების სისტემა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კერძო სექტორში პროექტების შეფასებისთვის. იგი, პირდაპირი ფინანსური შედარებისაგან განსხვავებით, ყოველგვარ ხარჯსა და შედეგს განიხილავს. შედეგი ამ შემთხვევაში სარგებლიანობის დანამატია, ხოლო ხარჯი-სარგებლიანობის შემცირება, გაზომილი განსახილველი პროექტის ალტერნატიული ღირებულებით. პრაქტიკაში მრავალი შედეგის (როგორც დადებითის, ისე უარყოფითის) გაზომვა არ შეიძლება ფულადი ფორმით (მაგალითად, ბუნებრივი ლანდშაფტების განადგურება, საზოგადოებრივი კავშირების მოშლა და ა.შ.), მაშინ როდესაც ხარჯები შეიძლება გაიზომოს ფულადი ფორმით, პროქტის ფაქტობრივი ღირებულებით.

ხარჯების ინფლაცია (cost push inflation) – ფასების საერთო დონის მყარი ზრდა, გამოწვეული ხარჯების წარმოებისაგან დამოუკიდებელი ზრდით. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებული პერსონალი წამოაყენებს მოთხოვნას რეალური ხელფასის გაზრდის შესახებ, ან იმპორტულ საქონელზე ფასები მოიმატებს.

ხარჯებს პროდუქციის ერთეულზე – წარმოების მოცულობისათვის, ტოლია სრული დანახარჯების, რომლებიც

გაყოფილია წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე, უწოდებენ საშუალო ხარჯებს.

ხარჯების შეფასება – საქონლის მაქსიმალური ფასი განსაზღვრავს მასზე მოთხოვნის დონეს, ხოლო მისი ქვედა ზღვარი – კომპანიის ხარჯებს. მიმწოდებელი მიისწრაფვის დააწესოს ისეთი ფასი, რომელიც დაფარავს მის ხარჯებს საქონლის წარმოების, გავრცელებისა და რეალიზაციის სფეროში, სათანადო გასამრჯელოს ჩათვლით გაწეული ძალისხმევისა და რისკისათვის. როდესაც ფასის დაწესება ხდება საქონლის სრული თვითღირებულების საფუძველზე, საბოლოო შედეგი ყოველთვის არ არის წმინდა მოგება. განასხვავებენ ხარჯების ორ სახეს: მუდმივი და ცვალებადი.

ხარჯთაღრიცხვა (costs estomate) – საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრების შემოსავალ-გასავლის (დანახარჯების) გეგმა, რომელიც დაყოფილია ცალკეულ ელემენტებად და მუხლებად.

ხასიათი – ადამიანის მდგარი ინდივიდუალური იერ-სახე, ინდივიდუალური ქცევის განმსაზღვრელი ყველაზე მკაფიოდ გამოხატული ფსიქიკური თვისებების ერთობლიობა. ადამიანის ხასიათი ვლინდება მის მანევრებში, ირგვლივ მყოფებთან, თავის მოვალეობებთან და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებაში. ხასიათი ყალიბდება ბუნებრივი (ემოციურობა. აქტიურობა და ა.შ.) და ცხოვრებისეული (სოციალური პირობები, სამუშაოს სახე და სხვ.).

ხასიათის – ერთ-ერთი ელემენტია პირველადობის ან მეორადობის თვისება მისი საფუძველია ადამიანის ნერვული საქმიანობის თავისებურებები, როგორიცაა: ძალა გაწონასწორებულობა, სიმარდე. ძალა გამოვლინდება ნერვიული და ემოციური დატვირთვის მნიშვნელოვანი ცვალებადობის პირობებში, პიროვნების შესაძლებლობაში, ხოლო გაწონასწორებულობა – მოცემული შემთხვევისას ქცევის უცვლელობაში.

ხეირი – სიტყვა არაბულიდან მოდის. მოგება, გამორჩენა. რაიმე სასარგებლოს მიღება.

ხეირის მაძიებელი – პირი, რომელიც ეწევა შიგა და გარე საშუამავლო საქმიანობას და ამით სარგებლობა მოაქვს კოლექტივისათვის.

ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ობლიგაციები – ეს ობლიგაციები მუნიციპალურ ობლიგაციებად იწოდებიან და წარმოადგენენ გრძელვადიან ინსტრუმენტებს, რომელიც გამოსცემს შტატების (მიწების, პროვინციების) მთავრობა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები დანახარჯთა დაფინანსებისთვის.

ხელმძღვანელი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მართვის უფლების მქონე პირი.

ხელმძღვანელი – პერსონალის ნაწილი. ხელმძღვანელების ფუნქციაა საერთო მართვა. მათ პირობითად ყოფენ სამ დონედ: უმაღლესი (ინსტიტუციონალური), საშუალო, დაბალი (ტექნიკური). პირველი ფონის საქმე გვაქვს მთელი ორგანიზაციის მართვასთან, მეორე დონისა ძირითად სტრუქტურულ დანაყოფებთან, ხოლო მესამე დონისას – საშუალო შემსრულებლებთან.

ხელმძღვანელის უფლებამოსილებანი უნდა – გაანაწილოს თავის ხელქვეითებს შორის, ვინაიდან არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ერთპიროვნულად უხელმძღვანელოს ორგანიზაციას და წარმატებით გადაწყვიტოს ყველა პრობლემა, რადგან პრობლემები ძალიან ბევრია, ხოლო ხელმძღვანელის დროითი რესურსი შეზღუდული.

ხელმძღვანელის ჯგუფი – ჯგუფი, რომელიც შედგება ხელმძღვანელისა და მისი კონტროლის ზონაში მყოფი ხელქვეითებისაგან.

ხელმძღვანელების და სპეციალისტების შრომა – შეფასება რთულია საქმე ისაა, რომ იგი ახასიათებს მათ უნარს, უშუალო გავლენა მოახდინონ რომელიმე წარმოებრივი ან მმართველობითი რგოლის საქმიანობაზე. მართვის აპარატის მუშაკის **შრომის შედეგები**, საბოლოო ანგარიშით,

ფასდება უმცირესი დანახარჯებით მართვის მიზნების მიღწევის დონით ან ხარისხით.

ხელმძღვანელთა შრომის შედეგები – გამოიხატება ორგანიზაციის ან ქვედანაყოფის წარმოებრივ სამეურნეო და სხვა საქმიანობის შედეგებით (მაგალითად, მოგების გეგმის შესრულება კლიენტების რაოდენობის ზრდა და ა. შ.) და მათ დაქვემდებარებულ მომუშავეთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილებები (მაგალითად, შრომის ანაზღაურების სიდიდე, პერსონალის მოტივირება და ა.შ.).

ხელმძღვანელობა – ზრუნავს იმაზე, რომ კონკრეტული მითითებების გზით რეალიზებული იქნას ის მიმართულებები, რომლებიც მიცემული იქნა საწარმოს ლოგისტიკური სამსახურის ორგანოთა ხელმძღვანელობის მიერ.

ხელმძღვანელობის სტილი – დასახული მიზნების მიღწევის პროცესში ხელქვეითების მიმართ ხელმძღვანელის ქცევის განზოგადებული სახეები (ავტოკრატიული, დემოკრატიული).

ხელმძღვანელობისათვის წარსადგენი – ანგარიშების მომზადებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი პრინციპები:

- ლაკონურობა.
- გონივრული სტრუქტურა – ანგარიში უნდა იყოს ქვეთავებად ლოგიკურად დალაგებული და დანომრილი.
- სტილი – სასურველია გარკვეული ენით გადმოცემული მოკლე წინადადებები. მოსაზრება მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი ფაქტებისაგან.
- პრეზენტაცია – ანგარიში უნდა მოიცავდეს სათაურს, მითითებული იყოს ადრესატი და ყველა პირი, ვისაც ასლი გაეგზავნება. იგი უნდა იყოს ხელმოწერილი და დათარიღებული.
- გრაფიკების გამოყენება უკეთესი თვალსაჩინოებისათვის – გრაფიკები აადვილებს საქმიანობის შედეგების სწრაფად აღქმას. შეიძლება გამოყენებული იქნას მართკუთხა ან წრიული დიაგრამები, დიაგრამები, გრაფიკები და სხვა.

ხელოვნური სწავლება (Simulated) – ხელოვნური სწავლება ნიშნავს სხვადასხვა ადამიანებისათვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას.

ხელუხლებელი კაპიტალი და რეზერვები – არის ბანკის აქციონერთა (პარტნიორთა) კაპიტალი და განისაზღვრება როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

ხელფასი (wage, salary) – შრომის ფასი, ფულადი ანაზღაურება შრომისათვის. ხელფასის სიდიდე წესდება კონტრაქტის შესაბამისად, ტარიფების განაკვეთის მიხედვით და თანამდებობრივი სარგოს სახით, მაგრამ არ შეიძლება იყოს კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასის დონეზე დაბლა. ხელფასის ზედა ზღვარი შეუზღუდავია.

ხელფასი (wage, salary) – როგორც შრომის ფასი, საბაზრო ფასის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის განისაზღვრება ცალკე მეწარმეთა მოთხოვნის ფუნქციასა და ცალკე – მუშაკთა მიწოდების ფუნქციის აგრეგირებით. შრომაზე მოთხოვნა როგორც დამოკიდებული სიდიდე, ასახავს ზღვრულ პროდუქტს საბოლოო პროდუქტის წარმოებაში.

ხელფასი – შრომის ანაზღაურების ფორმა, ხელფასის ორი ფორმა არსებობს: დროითი და სანარდო. დროითი ხელფასი გულისხმობს ავიასაწარმოში დასაქმებული მუშაკთა შრომის ანაზღაურებას ნამუშევარი სამუშაო დროის მიხედვით, ხოლო სანარდო ხელფასი მათ მიერ დროის ერთეულში გამომუშავებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

ხელფასი – სმიტისეული განსაზღვრით, ხელფასი არის შრომის ფასი, რამდენადაც შრომა მიჩნეულია წარმოების ერთ-ერთ ფაქტორად. შრომის ფაქტორული შემოსავალი კი ხელფასია. არსებობს ხელფასის ორი სახე: ნომინალური და რეალური, ნომინალურია ხელფასი, რომელიც გამოხატულია ფულადი ფორმით, ხოლო რეალურ ხელფასში იგულისხმება ის ფასეულობა (მატერიალური და სულიერი), რისი შეძენა შეიძლება მიღებული ნორმალური ხელფასით.

ხელფასის თეორია (wage theory) – შრომის ნეოკლასიკური თეორია, რომელიც დღესაც რჩება ხელფასის ანალიზის დომინირებულ მეცნიერულ პარადიგმად. ამასთან, ნეოკლასიკური თეორიის ეს უპირატესობა არ იყო მუდმივი და მას წინ უძღოდა შრომის კლასიკური თეორიის დომინირება. კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს მტკიცედ სწამდათ, რომ ხელფასს ახასიათებს ტენდენცია, მისი ბუნებრივი დონის ან საარსებო მინიმუმის დონის ირგვლივ მერყეობისა. მათ მთავარ ინტერესს წარმოადგენდა ხელფასის საერთო დონისა და მოსახლეობის ზრდის კვალობაზე ეროვნულ პროდუქტში შრომის წილის ცვლილების ახსნა. თანდათანობით ხელფასის თეორიისადმი მიდგომა შეიცვალა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კლასიკური თეორიის წარმომადგენელთა პოზიციების მიმართ დამოკიდებულებამ ცვლილება განიცადა ორი მიმართულებით: პირველი, მარქსისტული თეორიის განვითარებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება კლასიკური ანალიზის მიმართ. ამასთან, მარქსისტული თეორიიდან გამონდინარე, რომ კაპიტალიზმის დროს ხელფასის განაკვეთს აქვს ტენდენცია საარსებო მინიმუმთან მიახლოებისა, პრაქტიკულად ემთხვევა კლასიკური თეორიის წარმომადგენელთა დასკვნებს; მეორე, დადგა მარჟინალისტური რევოლუციის პერიოდი. მაშინ როდესაც კლასიკური სკოლა წარმოების დანახარჯებს განიხილავდა ფასის განმსაზღვრელ ფაქტორად. მარჟინალისტებმა ფასის განმსაზღვრელ ფაქტორად პირველებმა აღიარებს ზღვრული სარგებლიანობა. მათი აზრით, შრომის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს სამუშაო ძალაზე მეორეული წარმოებული მოთხოვნით, რომელიც თავის მხრივ, შრომის ზღვრულ პროდუქტზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე მუშაკის შრომის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს არა ხელფასის ფონდიდან, არამედ იმ საქონლის რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან, რომლის შექმნაშიც ეს მუშაკი მონაწილეობს. თუ კლასიკური თეორიის

თავისი ყურადღების კონცენტრაციას ახდენდა ხელფასის საერთო დონეზე, ნეოკლასიკურმა თეორიამ წინა პლანზე წამოსწია მიკროეკონომიკური ფაქტორები.

ნეოკლასიკოსთა შემდგომ გამოკვლევებში, განსაკუთრებით ა. მარშალის ნაშრომებში, ნაჩვენებია, რომ ხელფასი არის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების შედეგი.

ხელფასის ნეოკლასიკური თეორია, მნიშვნელოვანი მოდიფიკაციით. დღესაც რჩება მთავარ ორიენტირად ხელფასის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას, თუმცა იგი გარკვეული თვალსაზრისით ეჭვქვეშ დააყენა „კეინზიანურმა რევოლუციამ“. კეინზი ხაზს უსვამდა ხელფასის არაელასტიკურობას შრომის ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, თუმცა ამის მიზეზი ნაკლებად იყო დასაბუთებული. ამიტომ ხელფასის კეინზიანურმა თეორიამ ვერ დაჩრდილა ნეოკლასიკური თეორია, მაგრამ ხელი შეუწყო ხელფასის ინსტიტუციური თეორიის განვითარებას. ეს უკანასკნელი აქცენტს აკეთებს სოციოლოგიურ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორებზე და სრულად გამორიცხავს ეკონომიკური ფაქტორებს.

ინსტიტუციური ეკონომიკურმა თეორიამ, რომელიც ფართოდ გავრცელდა 1890-1936 წლებში, ხელფასის დონის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზის სფეროში თავისი სიტყვა თქვა 1940-1950-იან წლებში. ამ თეორიის მომხრეები სკეპტიკურად უყურებდნენ ხელფასის ნეოკლასიკურ თეორიას, თუმცა მათ ვერ შექმნეს ხელფასის ერთიანი თეორია. ამასთან, იმდენად დიდი იყო ინსტიტუციონალისტთა გავლენა, რომ შრომის ეკონომიკა ამ პერიოდში დიდხანს იყო მოწყვეტილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებისაგან.

XX საუკუნის 70-იან წლების მეორე ნახევრიდან ნეოკლასიკური თეორიის აღორძინების კვალობაზე მწვანე შუქი მიეცა ხელფასის თეორიის ნეოკლასიკურ მოდელს.

ხელფასის სატარიფო ბადე – საკვალიფიკაციო განრიგებისა და შესაბამისი სატარიფო კოეფიციენტების ერთობლიობა. თანრიგი გვიჩვენებს მუშის საკვალიფიკაციო დონეს, ხოლო სატარიფო კოეფიციენტი მოცემული თანრიგის მუშის ანაზღაურების დონე რამდენჯერ აღემატება პირველი თანრიგის მუშის ანაზღაურების დონეს.

ხელფასის სატარიფო განაკვეთი – პირველი თანრიგის მუშის ანაზღაურების აბსოლუტური სიდიდე სამუშაო დროის ერთეულში (საათი, სამუშაო დღე), ფულად ერთეულებში.

ხელფასის სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარები –ნორმატიული დოკუმენტების კრებულები, რომლებშიც მოცემულია წარმოებისა და სამუშაოთა სახეების მიხედვით დაჯგუფებული სამუშაობისა და პროფესიების საკვალიფიკაციო დახასიათებები. სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების დახმარებით ხდება სამუშაოთა სირთულის დადგენა და მუშისადმი კვალიფიციური მოთხოვნების განსაზღვრა, რომელიც წაეყენება მას მოცემული სახის სამუშაოს შესრულების დროს. მათივე დახმარებით ხდება სამუშაოებისა და მუშებისათვის შესაბამისი საკვალიფიკაციო თანრიგების მიკუთვნება.

ხელფასის სატარიფო სისტემა – ნორმატივების ერთობლიობა, რომელთა დახმარებით ხორციელდება სხვადასხვა ჯგუფისა და კატეგორიების მომუშავეთა ხელფასის დონის დიფერენციაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ეს ნიშნებია შრომის სირთულე და სიმძიმე, კვალიფიკაციის დონე, შრომის პირობები და ინტენსივობა, ცალკეულ წარმოებათა თავისებურებანი, მნიშვნელობა და სხვა.

ხელფასის უწყისი – ამ დოკუმენტით ხდება პერსონალთა ანგარიშსწორება მასში მოცემულია: დარიცხული ხელფასი, დაკავებები და ხელზე გასაცემი თანხა.

ხელფასის უწყისით – ხდება პერსონალთა ხელფასით ანგარიშსწორება. მასში მოცემულია დარიცხული (კუთვნილი)

ხელფასი, დაკავებები ხელფასიდან და ხელზე გასაცემი თანხა.

ხელშემკვრელი სახელმწიფო – სხვა სახელმწიფოებთან საჰაერო სივრცით აეროდრომებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით ერთობლივი სარგებლობის, აგრეთვე სამოქალაქო ავიაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებზე ხელშეკრულების შეთანხმების დამდები სახელმწიფო.

ხელშეკრულება – სამოქალაქო სამართალში, ორი ან მეტი პირის შეთანხმება მოქალაქეთა უფლებებისა და ვალდებულებების დადგენის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ (სესხის აღება, ყიდვა გაყიდვა, იჯარა და სხვ.). ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სახით, წერილებით ან ნოტარიუსის ფორმით. ხელშეკრულების ზოგიერთი სახე ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრაციას.

ხელშეკრულება – გამოიყენება მასიური ტვირთების გადაზიდვების გაფორმებისათვის გენერალური ტვირთების სახაზო გემებით არასრული დატვირთვის დროს, აგრეთვე სატრამპო გემებით გადაზიდვების დროს იმავე პორტიდან, რომელშიც იტვირთება გემები ტვირთის დამატებითი პარტიებით.

ხელშეკრულება (adreenent, contrast) – შეთანხმება ორ ან მეტ პირს შორის, რომელიც ითვალისწინებს უფლებათა და მოვალეობათა დადგენას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ხელშეუხებელი კაპიტალი (reserve funds) – ფირმის სავაჭრო მარკის ღირსება, რეპუტაცია, პრესტიჟი, მყარი კლიენტურა, პრივილეგიები და სხვა.

ხეჯირება – რისკის დამცველი სხვადასხვა ხერხი და მეთოდი.

ხეჯირება – არის სავალუტო, საკრედიტო და რიგი რისკის სხვა სახეობების შემცირების მეთოდი, რომელსაც ინვესტორის მიერ რისკის პოზიციის განსაზღვრული ფაქტორებისადმი მიმართებაში საპირისპირო პოზიცია აქვს, მაშინ ერთ-ერთი დაბანდების შემოსავლიანობა შემცირდება, ხოლო მეორესი კი – გაიზრდება. ხეჯირების ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ძირითად გარიგებასთან ერთად დამატებით

გარიგების დადება მესამე მხარესთან ისე, რომ რისკის ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაში, რომელსაც ძირითადად გარიგებაში დანაკარგებამდე მივყავართ, ბანკი მის კომპენსირებას დამატებითი გარიგების შემოსავლიანობის გადიდების ხარჯზე განახორციელებს. ხეჯირებაში ფართოდ გამოიყენება ფიუჩერსები, სკოპები და ოფციონები.

ხვედრითი დატვირთვითი მოცულობა – მოცულობა, რომელსაც იკავებს ერთი მეტრული ტონა ტვირთი გემის სათავსოში, სავაჭრო ნაოსნობის პრაქტიკაში ტვირთებს, რომელთაც აქვთ პირობითი დასატვირთი მოცულობა 40 კუბ. ფუტამდე იწოდება წონითი ანდა დედვეიტურად.

ხმაური – ყველაფერი ის, რაც ამახინჯებს ინფორმაციის არსს და მნიშვნელობას კომუნიკაციის პროცესში.

ხოლესტიკური მარკეტინგი – მარკეტინგის კონცეფცია, რომელიც ემყარება მარკეტინგული პროგრამების, პროცესებისა და ღონისძიებებისა და ურთიერთმიმართების გათვალისწინებით.

ჯ

„ჯართი“ – ასევე ერთობლივად წარმოებული პროდუქტების წარმოების შედეგს წარმოადგენს, მაგრამ თანმდევი პროდუქტისაგან განსხვავებით, ჯართი ნედლეულის ნაშთია (მაგალითად, ლითონის ბურბუშელა და ნახერხი), ხოლო ნამდევი პროდუქტი – უკვე გადამუშავებული ნედლეულია, რომელიც განსხვავდება საწყისი მასალისაგან. ჯართი რაიმე დანიშნულებით გამოიყენება, ამიტომ მას გასაყიდი ფასი გააჩნია.

ჯარიმა –1. ეს არის ფულადი სასჯელი, რომელიც ედება ბანკს საბანკო კანონმდებლობისა და ცენტრალური ბანკის ნორმატიული აქტების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. დაჯარიმება ფორმდება განაწესით, რომელშიც მიეთითება სასჯელის საფუძველი, ასევე მისი გადარიცხვის ვადა (არაუმეტეს 1 თვისა). ჯარიმა შეიძლება გამოყენებულ

იქნეს კანონებს დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობის ან დარღვევისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის, ასევე მისი ხელმძღვანელებისათვის დადგენილი ოდენობით ფულადი თანხის გადახდის დაკისრება.

ჯარიმა (გერ) – სასჯელის სახე. გადასახადი, რომელიც ეკისრება პირებს კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან სხვა რაიმე დადგენილი წესის დარღვევისათვის.**ჯარიმა** – (არაბ. – ცოდვა, დანაშაული, სპარს – საზღაური, საურავი), გადასახდელი, მატერიალური ზემოქმედების ღონისძიება, რომელსაც იყენებენ კანონით დადგენილი წესით და კანონით გათვალისწინებელ შემთხვევაში.

ჯაჭვი „წარმოება“ – მომხმარებლის მოთხოვნილებები – ორგანიზაციის უმთავრესი დანიშნულება, რითაც ხასიათდება წარმოების ამოცანა – წარმოებულ იქნეს ის საქონელი და მომსახურება, რომლებიც ემსახურებიან მომხმარებლის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ჯგუფი – ორი ან მეტი პირი, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთს შორის ისეთნაირად, რომ ყოველი მათგანი გავლენას ახდენს სხვებზე და საკუთარ თავზე განიცდის მათსავე გავლენას.

ჯგუფის წევრობა – შეიძლება იყოს შთამომავლობით, შეძენილი თვისებებით, რესურსების ფლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ფაქტის საფუძველზე. „ჯგუფის წევრობა შთამომავლობით“ განსაზღვრულია დაბადებიდან. ასეთი ჯგუფები იქმნება სქესის, ოჯახის, ასაკის, კასტის, რასის ან ეროვნული წარმოშობის ნიშნით.

ჯგუფის წევრობა შეძენილი თვისებებით – გულისხმობს რელიგიურ, პოლიტიკურ, პროფესიულ და სხვა სახის გაერთიანებებს. ხშირად წევრობის ტიპი განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სოციალურ სტრატიფიკაციაში, რომელიც გულისხმობს ინდივიდის კლასობრივ საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ჯგუფები – დემონსტრაციების მონაწილემ ან როკ-კონცერტებზე ნამყოფმა ნებისმიერმა ადამიანმა კარგად იცის, რომ ჯგუფები ცალკეული პირების ქცევაზე საგრძნობ გავლენას ახდენს. ჯგუფის წევრები აყალიბებენ მათთვის მისაღებ განწყობას, ფასეულობასა და მოლოდინს, ქცევის ნორმას. ნორმად შეიძლება ჩაითვალოს ქცევის ის სტანდარტები, რომლებიც მისაღებად ითვლება მოცემულ სიტუაციაში. ეს თუ ის პიროვნება, რაც უფრო ახლოა ჯგუფთან მისი ქცევები მით უფრო ემთხვევა ჯგუფურ ნორმებს.ჯგუფური ნორმები შეიძლება ხელს უწყობდეს ან უშლიდეს ორგა-ნიზაციის მიზნების მიღწევას. 2.ჯგუფი ესაა ორი ან მეტი პირი, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ იმ სახით, რომ თითოეული პირი გავლენას ახდენს სხვებზე და იმავ დროულად სხვის ზემოქმედებას განიცდის.

ჯგუფური აზროვნება – ცალკეული პიროვნების ტენდენცია – ჩაახშოს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ პრობლემაზე, რათა არ დაარღვიოს ჯგუფის ჰარმონია.

ჯგუფური ლიზინგი – ითვალისწინებს სახსრების მიზიდვას, ამიტომ იგი ერთ-ერთი ყველაზე რთული ლიზინგია. იგი ცნობილია აგრეთვე **საინვესტიციო ტიპის ლიზინგის** სახელწოდებით. ჯგუფური ლიზინგის საგანია მსხვილი ობიექტები: თვითმფრინავები, გემები, საწარმოთა კომპ-ლექტური მოწყობილობა და ა.შ. მისი ძირითადი მიზანია რამდენიმე საფინანსო დაწესებულების გაერთიანება მსხვილი სალიზინგო პროექტების დასაფინანსებლად.

ჯგუფური საჭდე – ჯგუფურად წამსვლელი მგზავრების ბარგის ამოსაცნობი საბუთი.

ჯევონსის „მზის ლაქების“ თეორია (Jtvons „sun spots“ theory) – ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა უილიამ სტენლი ჯევონსმა (1835-1882), რომელიც ნაშრომით „პოლიტიკური ეკონომიის თეორია“ (1871) შევიდა „მარჟინალური რევო-ლუციის“ ერთ-ერთ ავტორად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური ციკლების თეორიაში თავისი „მზის ლაქების“ თეორიით. მზეზე ლაქები გავლენას ახდენს

ამინდზე, რომელიც აისახება მოსავალზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა.

ჯვარედინი ლიცენზირების დროს – გამყიდველი საკუთარ ლიცენზიას ცვლის მყიდველის ლიცენზიაზე. ასეთი გაცვლის მიზანია ლიცენზიატთა საკუთრებაში მყოფი სამრეწველო ობიექტების ურთიერთშევსება ამ მათი ერთობლივი გამოყენება დამატებითი მოგების მისაღებად.

ჯობერი – საბითუმო ფირმა, რომელიც ასრულებს საქონლის ცალკეული პარტიებით სწრაფ შესყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს. 2. ლონდონის საფონდო ბირჟის დილერი. ბირჟების უმეტესი ნაწილის დილერებისაგან განსხვავებით ჯობერებს არა აქვთ უფლება შეასრულონ ბროკერის ფუნქცია და განახორციელონ ოპერაციები უშუალოდ ბირჟის არაწევრ კლიენტებთან.

ჯობერი (jobber) – ფირმა, რომელიც შეისყიდის საქონლის დიდ პარტიებს სწრაფად გასაყიდად. 2. დიდ ბრიტანეთში ბაზრის საფუძვლიან რეოგანიზაციამდე (1986) ასე ეწოდებოდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ მონაწილეებს, რომლებიც მუშაობდნენ ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

ჰ

„ჰაერის თავისუფლება“ – ჰაერის თავისუფლების შემდეგი უფლებებია: **პირველი** „ჰაერის თავისუფლება“ არის უფლება აწარმოოს ტრანზიტული ფრენები იმ ქვეყნის ტერიტორიაზე დაჯდომის გარეშე, რომელმაც მისცა ეს უფლება; **მეორე** „ჰაერის თავისუფლება“ აწარმოოს ტრანზიტული ფრენები უცხო ქვეყნის ტერიტორიის გავლით ამ ტერიტორიაზე დაჯდომის უფლებით არაკომერციული მიზნებისათვის, ე.ი. მგზავრების, ბარგის, ტვირთის, ფოსტის ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის გარეშე; **მესამე** „ჰაერის თავისუფლება“ არის უფლება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გადმოსვას მგზავრები და გადმოტვირთოს ტვირთი. ბარგი და ფოსტა, რომელიც ატანილ იქნა საჰაერო ხომალდის

ბორტზე იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელსაც ის ეკუთვნის; **მეოთხე** „ჰაერის თავისუფლება“ არის უფლება მიიღოს ქვეყნის ტერიტორიაზე მგზავრები, ტვირთი და ფოსტა, რომლებიც მიემართებიან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელსაც ეკუთვნის ხომალდი; **მეხუთე** „ჰაერის თავისუფლება“ არის უფლება მიიღოს პარტნიორი – უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მგზავრები, ტვირთი და ფოსტა, რომლებიც მიემართებიან ნებისმიერ მესამე სახელმწიფოში. აგრეთვე იძლევა უფლებას გადმოსხას მგზავრები, ტვირთი და ფოსტა, რომლებიც მიემართებიან ნებისმიერი ასეთი ქვეყნის ტერიტორიიდან პარტნიორ-სახელმწიფოს ტერიტორიაზე; **მეექვსე** „ჰაერის თავისუფლება“ არის უფლება განახორციელოს მგზავრების, ტვირთისა და ფოსტის გადაყვანა-გადაზიდვა ორ უცხო სახელმწიფოს შორის თავისი ტერიტორიის გავლით; **მეშვიდე** „ჰაერის თავისუფლება“ არის უფლება განახორციელოს მგზავრების, ტვირთისა და ფოსტის გადაყვანა-გადაზიდვა მესამე სახელმწიფოს იმ სახელმწიფოს ტერიტორიის გვერდის ავლით, რომელსაც ეკუთვნის საჰაერო ხომალდი; **მერვე** „ჰაერის თავისუფლება“ არის კაბოტაჟური გადაზიდვების უფლება იშვიათად ეძლევათ უცხო ქვეყნის გადამზიდველებს.

ჰაერის თავისუფლება – სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ავიაგადამზიდველზე მინიჭებული უფლება, განახორციელოს საჰაერო მიმოსვლა და კომერციული საქმიანობა თავის ტერიტორიაზე (ტერიტორიიდან). ამჟამად არსებობს ცხრა ჰაერის თავისუფლება (კომერციული უფლება).

ჰაერის თავისუფლება – ჰაერის თავისუფლების შემდეგი უფლებებია: **ჰაერის პირველი თავისუფლება** – რეგულარული საერთაშორისო მიმოსვლის უფლება ან პრივილეგია, რომელსაც ერთი სახელმწიფო აძლევს მეორე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოებს), რათა განახორციელოს მის ტერიტორიაზე დაუჯდომლად გადაფრენა; **ჰაერის**

მეორე თავისუფლება – ეწოდება სახელმწიფოსთვის მიცემულ უფლებას ან პრივილეგიას, განახორციელოს დაფრენა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც აქვს აღნიშნული უფლება, არაკომერციული მიზნებისათვის რეგულარული და რეგულარულისაგან განსხვავებული საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისას. ეს უფლება გამოიყენება როგორც წესი ავარიული დაშვებისათვის, საჰაერო ხომალდის გასაწყობად და ავარიული რემონტისათვის; **ჰაერის მესამე თავისუფლება** – ავიაგადამზიდველის რეგისტრაციის სახელმწიფოში საჰაერო ხომალდზე აყვანილი მგზავრების, მიღებული ფოსტისა და ტვირთის პირველი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩამოსხმისა და გადმოტვირთვის უფლება ან პრივილეგია; **ჰაერის მეოთხე თავისუფლება** - ავიაგადამზიდველის რეგისტრაციის სახელმწიფოში მიმავალი მგზავრობის, წასაღები ფოსტისა და ტვირთის პირველ სახელმწიფოს ტერიტორიაზე საჰაერო ხომალდზე მიღების უფლება ან პრივილეგია; **ჰაერის მეხუთე თავისუფლება** – მესამე სახელმწიფოდან მომავალი ან მასში მიმავალი მგზავრებისა და წამოსაღები ან წასაღები ფოსტის ან ტვირთის პირველი სახელმწიფო ტერიტორიაზე საჰაერო ხომალდიდან ჩამოსხმის და გადმოტვირთვის უფლება ან პრივილეგია. **ჰაერის მეექვსე თავისუფლება** – ავიაგადამზიდველის რეგისტრაციის სახელმწიფოს გავლით სხვა სახელმწიფოებს შორის გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელების უფლება ან პრივილეგია; **ჰაერის მეშვიდე თავისუფლება** – გადაყვანა-გადაზიდვის უფლების მიმცემი სახელმწიფოს ტერიტორიის და მესამე სახელმწიფოს ტერიტორიას შორის გადაზიდვის განხორცილების უფლება ან პრივილეგია, მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთ გადაზიდვაში რომელიმე პუნქტის შეტანის მოთხოვნის გარეშე. **ჰაერის მერვე თავისუფლება** – რომლის დროსაც ორ სახელმწიფოს შორის ეძლევა კაბოტაჟური გადაყვანა-გადაზიდვების იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე

განხორციელების უფლება და პრივილეგია, რომელმაც ასეთი უფლება მისცა იმ მარშრუტზე, რომელიც იწყება ან მთავრდება უცხოეთის ავიაგადამზიდველის რეგისტრაციის ტერიტორიაზე ან უფლების მიმცემი სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ; **ჰაერის მეცხრე თავისუფლება** – სახელმწიფოს ეძლევათ კაბოტაჟური გადაზიდვების განხორციელების უფლება ან პრივილეგია მარშრუტით, რომელიც მთლიანად გადის ამ უფლების მიმცემი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ცნობილია, როგორც „ავტონომიური კაბოტაჟი“.

ჰაერის რეგენერაცია – ბიოლოგიური, კოსმოსური საფრენი აპარატის ჰერმეტულ კაბინაში ოპტიმალური ატმოსფეროს უწყვეტი აღდგენა ავტოტროფული ორგანიზმების სასიცოცხლო ფუნქციონირების შედეგად. ეს ორგანიზმები ეკიპაჟის წევრების მიერ ამოსუნთქული ნახშირორჟანგისა და წყლის ორთქლისაგან გამოიმუშავებენ ჟანგბადს, რომლითაც მარაგდება საფრენი აპარატის ეკიპაჟი და ბიოკომპლექსის სხვა ორგანიზმები.

ჰაერსანაოსნო ინფორმაცია – აეროდრომების მახასიათებლებთან და ფიზიკურ მდგომარეობასთან, საჰაერო ტრასებთან და მის რადიოელექტროტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებული შეტყობინება.

ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებული სახელმწიფოს მიერ გამოშვებული და დამტკიცებული გამოცემა, რომელიც შეიცავს ამ სახელმწიფოს საჰაერო სივრცის ფარგლებში საჰაერო ხომალდის ფრენის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან გრძელვადიან ჰაერსანაოსნო ინფორმაციას.

ჰარმონიულობა – ნიშნავს როდესაც ოპერაციათა და შრომით პროცესებს შორის (დროის პერიოდში) არსებობს სრული შეთანხმებულობა.

ჰაირინგი (hiring) – მანქანა-დანადგარების საშუალოვადიანი არენდა არენდატორზე საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე. არენდის ვადა 1-3 წელია.

ჰაროდი როი ფობს (1900-1978) (Harrod Roy F) – ინგლისელი ეკონომისტი ნეოკენზიანელობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქვე კითხულობდა ლექციების კურსს საერთაშორისო ეკონომიკაში. იყო „ეკონომიკური ჟურნალის“ გამომცემელი 1945-1961 წლებში. მისი ძირითადი ნაშრომია: „ეკონომიკური დინამიკის თეორიისათვის“ (1948), „ჯონ მეინარდ კეინზის ცხოვრება (1951), „პოლიტიკა ინფლაციის წინააღმდეგ“ (1958); „ეკონომიკური დინამიკა“ (1973) და ა.შ. ჰაროდმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონკურენციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებში. ამასთან, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ეკონომიკური დინამიკისა და განსაკუთრებით, ეკონომიკური ზრდის ტემპების პრობლემათა კვლევაში. XX საუკუნის 40-იან წლებში მან შექმნა ეკონომიკური ზრდის წონასწორობის მოდელი, რომელიც მისგან დამოუკიდებლად დომარმაც ჩამოაყალიბა და ეკონომიკური ზრდის თეორიაში ცნობილია ჰაროდ-დომარის ეკონომიკური ზრდის მოდელის სახელწოდებით. ჰაროდის ეკონომიკური ზრდის კონცეფციამ საფუძველი დაუდო გრძელვადიან პერიოდში მყარი განვითარების ტემპების შენარჩუნების შესაძლებლობას.

ჰაუსჰოლდის ბლოკი (household block) – შინამეურნეობა, რომელიც, ერთი მხრივ მიზნებისათვის რესურსების მიმწოდებელთა მექანიკური გაერთიანებაა, მეორე მხრივ კი – მწარმოებელთა ერთობლიობა, წარმოდგენილი საზოგადოების სახით.

ჰაუსჰოლდი – საოჯახო მეურნეობა. ინგლისურ ლიტერატურაში გავრცელდა, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული „საქმიანი საწარმოს“ ან ფირმის საპირისპიროდ. ჰაუზჰოლდი შეიძლება შედგებოდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე წევრისაგან, რომლებიც მიღებული შემოსავლებს ერთობლივად იყენებდნენ. ბაზრიდან, როგორც წესი იძენენ სამომხმარებლო საგნებს და სარგებლობენ ფასიანი

მომსახურებით, ბაზარს კი სთავაზობენ რესურსებს (ძირითადად სამუშაო ძალას).

ჰენდი (hand) – (ინგ. hand ხელისგული) – სიგრძის ერთეული საზომთა ინგლისურ სისტემაში: 1 ჰ ტოლია 4 დუიმის ან 10,16 სმ-ის.

ჰენდლინგ კომპანია (Handling Company) – გაერთიანება რომელიც ეწევა კომპლექსურ ფიამომსახურებას: ტექნიკურს, სატრანსპორტოს, საწვავ-საცხებით თვითმფრინავის გამართვას დალაგებას-ეკიპირებას, ბორტზე კვების პროდუქტების მიწოდებას.

ჰერცბერგის ორფაქტორიანი თეორია – თეორია, რომლის თანახმად მთელი მოტივაცია იყოფა ორ დიდ კატეგორიად: ჰიგიენური ფაქტორები და მოტივები.

ჰექტარი (hectare) (ბერძნ. hekaton ასი + არი] – მიწის ფართობის საზომი ერთეული ზომის მეტრულ სისტემაში, უდრის 10000 $მ^2$-ს ანუ 100 არს.

ჰეჯირება – ნებისმიერი პროცედურა, რომლის დახმარებითაც აღმოიფხვრება ან შემცირდება მომავალში კომპანიის ფულადი შემოსულობების მიღებაში მოსალოდნელი არასტაბილურობა.

ჰეჯირება (ინგ) – შესაძლო დანაკარგებისგან თავის დაზღვევა, სავალუტო რისკის დაზღვევა.

ჰეჯირება – ბირჟის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც გულისხმობს ფასების შესაძლებელ არახელსაყრელ მერყეობასთან დაკავშირებული რისკის დაზღვევას.

ჰეჯირება (ჰუჯირება) – არახელსაყრელი ცვლილებებისაგან რისკის დაზღვევის ფორმა კონტრაქტებისა და კომერციული ოპერაციების მიხედვით.

ჰეჯირება ეწოდება ურთიერსაწინააღმდეგო ოპერაციებით – (ყიდვა-გაყიდვა ან გაყიდვა-ყიდვა) დაზღვევის ხერხს.

ჰეჯირება გაყიდვით (selling hedge) – გულისხმობს რეალური საქონლის მიწოდების მომენტისათვის ფასის დაცემით მოსალოდნელი რისკისაგან დაზღვევის მიზნით ფიუჩერ-

სული კონტრაქტების გაყიდვასა თანაბარი რაოდენობის საქონლის შესყიდვას ჰეჯილება ყიდვით (buyinq hedge) – ფიუჩერსული კონტრაქტის ყიდვას.

ჰეჯირება ყიდვით (buyinq hedex) ფიუჩერსული კონტრაქტის ყიდვას თანაბარი რაოდენობის, მაგრამ მომავალში მისაწოდებელი იმ რეალური საქონლის გაყიდვით, რომელსაც მოვაჭრე ჯერ არ ფლობს და სურს მისი ფასის დაზღვევა.

ჰეჯირება ყიდვით – გამოიყენება აგრეთვე ფასის შემდგომი ფიქსაციის ანუ ე.წ. ონკოლის (oncall) გარიგებებში. ონკოლის გარიგებები გამოიყენება საქონელმწარმოებელთა მიერ იმ ნედლეულის შესასყიდად, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ დასჭირდებათ.

ჰეჯირების ოპერაციები ორი სახისაა – მოკლე და გრძელი **„მოკლე“ ჰეჯირება** გულისხმობს ფიუჩერსული კონტრაქტის გაყიდვას ან ჰეჯირებას გაყიდვით **„გრძელი“ ჰეჯირება** – ფიუჩერსული კონტრაქტების ყიდვას ან ჰეჯირებას ყიდვით.

ჰიბრიდი [ლათ] – მცენარე ან ცხოველი, წარმოქნილი ნიშან-თვისებებით მეტ-ნაკლებად განსხვავებული მშობელთაგან – ნაჯვარი.

ჰიბრიდული მენეჯერი – დირექტორი, რომელიც ფლობს ტექნიკურ ცოდნას და მმართველობით უნარ-ჩვევებს.

ჰიბრიდული მომხმარებელი – ნიშნავს: ადამიანები, რომლებიც დადიან სასურსათი მაღაზიებში და დროდადრო აძლევენ შეკვეთებს Peapod-ში ინტერნეტის მეშვეობით.

ჰიბრიდულ მომხმარებელთა მოთხოვნის – დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია ფილმების უმრავლესობა მონაწილეობდეს ტრადიციულ ბაზარზეც, ონლაინბაზარზეც.

ჰიბრიდული ფორმა – ეს არის დღევანდელი ეკონომიკისა და ფირმების უმრავლესობა შეხამება ძველ და ახალ ეკონომიკას.

ჰიგიენური ფაქტორები – პერცბერგის ორფაქტორიანი თეორიის თანახმად, ეს არის ფაქტორები, რომლებიც განფენილია ადამიანის საქმიანობის სფეროს გარემომცველ სამყაროში.

მათმა არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს დაუკმაყოფილობა. მაგრამ იგი ვერ მოახდენს ქცევის აქტიურ მოტივირებას.

ჰიპერინფლაცია – მიმოქცევაში მყოფი ფულის და ფასების ასტრონომიული ტემპებით ზრდა. ჰიპერინფლაციის დროს ხელფასის და ფასების დაშორება კატასტროფული ხდება და საზოგადოების საუკეთესოდ უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობაც კი ინგრევა. ჰიპერინფლაცია მეტად იშვიათი მოვლენაა.

ჰიპერინფლაცია (hyperinflation) – ინფლაციის უმაღლესი დონე, რომლის ზრდის ტემპი 200%-ზე მეტია, ზოგჯერ კი წელიწადში რამდენიმე ასეულ პროცენტსაც კი აღწევს. ჰიპერინფლაციის დროს ფასები და ხელფასი კატასტროფულად სცილდება ერთმანეთს. ასეთ პირობებში ცხოვრების დონის დაცემას მოსახლეობის ყველაზე შეძლებული ფენებიც კი გრძნობენ.

ჰოლანდიური დავადება („dutch desease“) – ეს ფენომენი უკავშირდება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შეუზღუდავ შემოდინებას, გამოწვეულს ჩვეულებრივი რესურსების ექსპორტის ბუმით, აგრეთვე იგი შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ფინანსური დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძალებამ. ქვეყანაში უცხოური ვალუტის მოზღვავების ერთ-ერთი წყარო შეიძლება იყოს ფართო მასშტაბიანი პრივატიზაციაც.

სახელწოდება – **„ჰოლანდიური დავადება“** ასოცირდება არაგონივრულად განკარგული ქვეყნის სიმდიდრესთან და ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოჩნდა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა ჩრდილოეთის ზღვაში ნიდელანდის მიერ ბუნებრივი აირის საბადოს აღმოჩენამ გამოიწვია ქვეყნის საექპორტი შემოსავლების არნახული ზრდა, ეროვნული ვალუტის – გულდენის გამყარება და ტრადიციული ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაცემა. ამ პერიოდიდან მოყოლებული „ჰოლანდიური დავადების“ სახელით ცნობილი ეს მოვლენა არაერთი ქვეყნის „თავის

ტკივილი“ გახდა. „ჰოლანდიური დავადების“ კლასიკური მოდელი 1982 წელს ჩამოაყალიბეს მ. კორდენმა და პ.ნეარვიმ (Corden Max W; Nearvy Peter J. Booming Sector and Deindustrialozation in a Small open Economy. „The Economic Journal“. vol. 92, 1982, pp. 825-848). მისი შინაარსი შემდეგია: ბუნებრივი რესურსების ექსპორტის ბუმი არღვევს წონასწორობას ამ სექტორს, ტრადიციულ საექსპორტო სექტორსა და არასაექსპორტო სექტორს (მშენებლობა, საცალო ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.) შორის. მართალია, თავდაპირველად ბუნებრივი რესურსების ექსპორტი ზრდის უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლებს, მაგრამ მისი გრძელვადიანი ეფექტი საწინააღმდეგოა. საქმე ისაა, რომ შიგა ვალუტის ბაზარზე ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან მიღებული უცხოური ვალუტა კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში. თუ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, მაშინ კონვენტირების ეს პროცესი მოითხოვს ფულის მიწოდების ზრდას, რაც ადგილობრივი ფასების მომატებას იწვევს, ხოლო მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში შიგა სავალუტი ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევა ადგილობრივი ვალუტის გამყარებას გამოიწვევს. ორივე შემთხვევაში გაიზრდება ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე უცხოური ვალუტის ერთეულით გაცილებით ნაკლები საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი. ასეთი ვითარება უკუგავლენას ახდენს ტრადიციული ექსპორტის მომგებიანობაზე, ვინაიდან შიგა ფასების ზრდის გამო გაძვირებული საექსპორტო პროდუქცია ნაკლებკონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე, რასაც მოჰყვება ტრადიციული საექსპორტი სექტორში წარმოების მკვეთრი დაცემა, კაპიტალისა და სამუშაო ძალის არასაექსპორტი სექტორში

გადანაცვლება („რესურსების გადანაცვლების ეფექტი“). გარდა იმისა, რომ ამის შედეგად ტრადიციული საექსპორტო სექტორი ზარალდება, თუ ვერ მოხერხდა არასაექსპორტო სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება და კადრების გადამზადება, გარდაუვალია უმუშევრობის ზრდა და მასთან დაკავშირებული კატაკლიზმები.

აღსანიშნავია ეს გარემოებაც, რომ თუ ზემოთ განხილული გზით ქვეყანაში მიღებული უცხოური ვალუტით იმპორტის ზრდას მოხმარდება, მაშინ ვალუტის ნაკადების შემოდინება პირდაპირ არ აისახება ფულის მიწოდებაზე, თუმცა იმპორტის ზღვარგადასული ზრდაც გაუმართლებელია. საქართველოში „ჰოლანდიურმა დავადებამ“ თავი იჩინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისა, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ოღონდ კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, მის წარმომშობ მიზეზებში წინა პლანზე წამოიწია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო დახმარების მოზღვავება, აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები, ან დროებით იქ დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების მიერ ფულადი ტრანსფერების ნაკადები და ბოლო დროს ქვეყანაში განხორციელებული ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია.

ჰოლდინგი (holding) – აქციონერული კომპანია, რომელიც ფლობს სხვა ფირმების, კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს განასხვავებენ **წმინდა ჰოლდინგს,** რომლის დანიშნულებაა მხოლოდ კონტროლი და მართვა, და **შერეულის**, რომელიც ამასთან ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. არსებობს **სახელმწიფო ჰოლდინგშიც.** ეს არის სპეციალური სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომელთა განკარგულებაშიც გარკვეულ პერიოდში იქმნება პრივატიზებულ საწარმოთა აქციების საკონტროლო პაკეტში, ხოლო საწამოები მათს ფარგლებში აქციების ჯვარედინა მფლობელები ხდენიან.

სხვა კომპანიების აქციების ნაწილის ფლობა ჰოლდინგებს საშულებას აძლევს კონტროლი გაუწიონ მათ საქმიანობას.

ჰოლდინგური სისტემა მოიცავს სათავო, შვილობილ და შვილიშვილ კომპანიებს. ამასთან არ არის აუცილებელი, რომ სათავო კომპანია ფლობდეს შვილობილი კომპანიების აქციების 51%-ს. მათ საქმიანობის კონტროლისათვის საკმარისია გაცილებით ნაკლები აქცია.

დასავლეთში ჰოლდინგური კომპანიების შექმნის ერთადერთი ბარიერი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაა. ამასთან, კომპანიების შერწყმასთან შედარებით, ჰოლდინგების შექმნას გაცილებით დიდ უპირატესობას ანიჭებენ. ჰოლდინგური სისტემის შემადგენლობაში შესვლით მრავალი ფირმაა დაინტერესებული, ვინაიდან იგი ფირმის სიმტკიცესა და სიცოცხლისუნარიანიანობას უზრუნველყოფს. ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში, ისინი სათავო კომპანიებისაგან იღებენ დახმარებას. დამოუკიდებელი ფირმების გაერთიანება ხელსაყრელია ჰოლდინგურ სისტემაში აქციონერებისთვისაც, ვინაიდან იგი ამცირებს რისკს და თითქმის გამორიცხავს გაკოტრების საფრთხეს.

ჰოლდინგ – კომპანია (ინგ holding company) – აქციონერული კომპანია, რომელიც ფლობს სხვა იურიდიულად დამოუკიდებელი კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს; **ჰოლდინგ კონპანია** ჩვეულებრივ დაკავებული არა კონკრეტული წარმოებითი საქმიანობით.

ჰოლდინგური კომპანია – გაერთიანება, რომელიც ეწევა კომპლექსურ ავიამომსახურებას (ტექნიკურს, სატრანსპორტოს, საწვავ-საცხები მასალებით თვითმფრინავის გამართვას, დალაგებას, ეკიპაჟების ეკიპირებას, ბორტკვების დამზადებასა და მიწოდებას).

ჰოლდინგის სათაო საწარმო – არის მართვადი ჰოლდინგური საწარმო კომპანია, რომლის განსაკუთრებულ სტატუსს ფლობს და იგი სამი და მეტი ორგანიზაციების ჯგუფში წამყვან როლს ასრულებს.

ჰოლდინგური ანუ – მფლობელი კომპანია საკონტროლო პაკეტის მფლობელია, რის შედეგად იგი აკონტროლებს და მართავს მათ.

ჰოლდინგური ორგანიზაცია – სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური, საფინანსო და სხვა ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც განსაზღვრული დროით მართვის ორგანოს (ჰოლდინგს) უფლებებს გადასცემს ერთიანი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელია სამეურნეო საქმიანობაზე.

ჰოლდინგური საბანკო – კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც ფლობს იურიდიულად დამოუკიდებელი ბანკებისა და არასაბანკო ფირმების აქციათა საკონტროლო პაკეტებს მათ ოპერაციებზე კონტროლის დაწესების მიზნით. ისინი ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში, სადაც მსხვილი ბანკები ჰოლდინგური კომპანიების მეშვეობით ვრცელ რეგიონებში ქმნიან საბანკო დაწესებულებათა სისტემებს, რომლესაც ცენტრიდან მართავენ და რომლებიც განყოფილებებს ცვლიან.

ჰონორარი – (ლათ. honorarium გასამრჯელო მომსახურებისათვის) – გასამრჯელო, რომელსაც უხდიან ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების ავტორისაგან მის მემკვიდრეს ამ ნაწამოების გამოყენებისათვის.

ჰომანსის მოდელი – ჯგუფური ქცევის თეორია, რომლის მეშვეობით ხდება ახსნა იმისა, თუ როგორ წარმოიქმნება სამუშაო ვითარებაში არაფორმალური ჯგუფები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევაზე მუშაობის დროს. მისი ელემენტების: ურთიერთქმედება, გრძნობები და მოქმედება.

ჰორიზონტალური (დროითი) ანალიზი – არის ანგარიშების თითოეული პოზიციის გასულ პერიოდთან შედარება.

ჰორიზონტალური დივერსიფიკაცია – ფირმის ასორტიმენტის შევსება ახალი ნაკეთობებით, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ამჟამად არსებულთან, მაგრამ შეიძლება გამოიწვიონ ძველი კლიენტების ინტერესი.

ჰორიზონტალური ინტეგრაცია – ფირმის მიერ ცალკეული საწარმო კონკურენტების თავის მფლობელობაში შეძენა ან თავის უფრო მკაცრ კონტროლში მათი მოქცევა.

ჰორიზონტალური კარიერა – კარიერის ისეთი სახეა, რომელიც გულისხმობს საქმიანობის სხვა ფუნქციურ სფეროში გადაადგილებას ან განსაზღვრული სამსახურებრივი როლის შესრულებას ისეთ საფეხურზე, რომელიც ორგანიზაციულ სტრუქტურაში ფორმალურად არაა დამკვიდრებული.

ჰორიზონტალური კონცენტრაცია – ერთ სამეურნეო ორგანიზაციაში ერთგვაროვანი ან ერთმანეთთან ტექნოლოგიურად დაუკავშირებელ რიგ საწარმოო ერთეულთა თავმოყრის პროცესი.

ჰორიზონტული სასაქონლო პოლიტიკის – დროს ახალი საქონელი უკვე გამოშვებულის გაგრძელებაა. იგი ჩვეულებრივ გამიზნულია მომხმარებელთა უკვე არსებულ წრეზე და იწარმოება არსებულ ტექნოლოგიაში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანით.

ჰოტირნის ეფექტი – პირობა, რომელშიც სიახლე, ექსპერიმენტისადმი ინტერესი ან გამოსაკვლევი საკითხისადმი ყურადღების გამახვილება იწვევს დამახინჯებას, რაც ექსპერიმენტის დროს მეტად ხელსაყრელ შედეგს წარმოადგენს.

ჰოტელინგის წესი (Hotelfing's rule) – არაკვლავწარმოებადი ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების წესი, დადგენილი ჰ. ჰოტელინგის მიერ 1931 წელს (The Economics of Exautible Resources. The Journal of Political Economy. Vol. 39, pp. 137-175). ეს წესი დღემდე რჩება განმსაზღვრელად წიაღისეულის მოპოვების ოპტიმალურობის დადგენაში. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: იმისათვის, რომ მოპოვება იყოს ოპტიმალური, მასში დარჩენილი ერთეულის რესურსის ნეტო-ფასი (გასაყიდ ფასს მინუს მოპოვების დანახარჯები) დროთა განმავლობაში უნდა გაიზიაროს იმ ტემპით, რა ტემპითაც გაიზრდება სარგებლის განაკვეთი. უფრო ზუსტად, ნეტო-ფასის ზრდის ტემპი არ

უნდა აღემატებოდეს სარგებლის განაკვეთისას. რესურსის მფლობელი დგას არჩევანის წინაშე. ამოიღოს ერთეული რესურსი და მოახდინოს მისი გაყიდვით მიღებული თანხის ინვესტირება მიმდინარე სარგებლის განაკვეთით, თუ დატოვოს იგი მიწაში.

ჰოტელინგის წესს ალტერნატიული ფორმულირებაც აქვს: ერთეული რესურსს დისკონტირებული ღირებულება უნდა იყოს უცვლელი იმის მიუხედავად, თუ როდის იქნება ეს რესურსი ამოღებული მიწიდან.

ჰოუტრი რალფ ჯორჯ (1879-1975) (Hawtrey Raulf George) – ინგლისელი ეკონომისტი, ალფერდ მარშალის მიმდევარი, კემბრიჯის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. შეიმუშავა ციკლებისა და კრიზისების თეორია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეთოდები, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბალანსირებული ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტების შესწავლაში.

ჰუაციაო – თავიანთი ისტორიული სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური ჩინელები. მათ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნე-ბის მოქალაქენი. მეწარმე ჩინელებს მიეკუთვნებათ წამყვანი როლი სამხრეთ-აღმოსვლეთი აზიის ქვეყნების ცხოვრებაში.

ქართული ანბანი

ა – ან

ბ – ბან

გ – გან

დ – დონ

ე – ენ

ვ – ვინ

ზ – ზენ

თ – თან

ი – ინ

კ – კან

ლ – ლას

მ – მან

ნ – ნარ

ო – ონ

პ – პარ

ჟ – ჟან

რ – რაე

ს – სან

ტ – ტარ

უ – უნ

ფ – ფარ

ქ – ქან

ღ – ღან

ყ – ყარ

შ – შინ

ჩ – ჩინ

ც – ცან

ძ – ძილ

წ – წინ

ჭ – ჭარ

ხ – ხან

ჯ – ჯან

ჰ – ჰაე

ლიტერატურა

1. ჯ. კანკაძე. უახლესი ეკონომიკური ლექსიკონი. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018.
2. ალ. ქოქიაური. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. სტუ, 2000.
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1986.
4. ლარისა ყორღანაშვილი. საერთო ბიზნესი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.
5. მანანა ნანიტაშვილი, გიორგი შუბლაძე. მარკეტინგის მენეჯმენტი. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014.
6. ნუგზარ თოდუა, ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი. მარკეტინგის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
7. გიორგი ცაავა. საბანკო საქმე. თბილისი, 2005.
8. გიორგი ხანთაძე, გიორგი ცაავა. საბანკო ოპერაციები. თბილისი, 2012.
9. ჯ. კანკაძე და სხვები. ფირმის ორგანიზაცია და მართვა. 2018.
10. ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 1991.
11. ჯ. კახნიაშვილი. საბაზრო ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1992.
12. ჯ, კახნიაშვილი. მიკრო და მაკრო ეკონომიკა. სტუ. 1996
13. ჯ. კანკაძე და სხვები. მაკროეკონომიკა. სტუ. 2016.
14. ჯ. კანკაძე და სხვები. მაკროეკონომიკა. თბილისი, 1996.
15. რ. ასათიანი, გიორგი ადეიშვილი. ეკონომიკური თეორია. თბილისი, 1998.
16. ე. ხარაბაძე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

17. ვახტანგ ასათიანი, ნოდარ დუმბაძე, კოტე ზარანდია, დავით დავითიძე. სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა. 1999.
18. ნაირა ყირიმლიშვილი. ფინანსები. 2005.
19. ლელა ბახტაძე. ფინანსური ბაზარი. 2007.
20. მირონ ტუღუში, ნაირა ყირიმლიშვილი. მენეჯმენტი.
21. გ. ცაავა, ბ. ბიწაძე, ზ. ლიპარტია. ფინანსური მენეჯმენტი. 2006.
22. მურმან ბლიაძე. სამეწარმეო და ოპერაციული მენეჯმენტი. 2019.
23. მურმან ბლიაძე, ნოდარ ბლიაძე. ფირმის ორგანიზაცია და მართვა. 2018.
24. ბობ ნელსონი, პიტერ ექონომი. მართვა მარტივად. გამომცემლობა პალიტრა, 2015.
25. ლევან ბოცვაძე, კახაბერ ერაძე, ვლადიმერ ბორვაძე. ლოგისტიკის მენეჯმენტი და მოდელირება. 2010.
26. ა. გაბელია. ფინანსები. თბილისი, 2011.
27. ე. ჯგერენაია. საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. 2002.
28. ი. ჭილაძე. მმართველობითი აღრიცხვა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.
29. ნოდარ დუმბაძე, იური სუხიტაშვილი, ალექსი ნონიაძე. სამოქალაქო ავიაციის ეკონომიკა. თბილისი, 2009.
30. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი. სატრანსპორტო ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირება. 2007.
31. https://core.ac.uk/download/files/575/15537680.pdf.
32. ზ. შენგელია. ლოგისტიკის საფუძვლები. თბილისი, 2008.
33. მ. ზუბიაშვილი, ა. მღვდელაძე, ა. მარუაშვილი, ა. კუტერმინა. გ. ტყეშელაშვილი. ტრანსპორტის მენერმენტი. სტუ. 2007.
34. როზეტა ასათიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, 2010.

35. ზ. როგავა. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. ბაკმი, თბილისი, 2002.
36. როსტომ ბერიძე. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
37. ნუგზარ პაიჭაძე, ეკა ჩოხელი, ნინო ფარესაშვილი. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.
38. ი. ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. თბილისი, 2011.
39. გ. შიხაშვილი, ნ. ხვინთელიანი. მენეჯმენტის ლექსიკონი. 2005.
40. Gunnar Heinsohn, Otto Steiger, Frank Decker. Ownership Ecomomics. On the Foundations of Interest, Money, Marlets, Business Cycles and Economic. Development. December 9, 2016.
41. Simon Crima, Ercan Öxen and Hakan Bor. Contemporary Issues in Business, Economics and Finance.

სარჩევი

ნ ..... 3 – 21
ო ..... 21 –50
პ ..... 50 – 109
ჟ ..... 109 – 110
რ ..... 110 – 143
ს ..... 143 – 447
ტ ..... 447 – 476
უ ..... 477 – 495
ფ ..... 495 – 593
ქ ..... 593 – 597
ღ ..... 597 – 603
ყ ..... 604 – 607
შ ..... 607 – 660
ჩ ..... 660 – 669
ც ..... 669 – 682
ძ ..... 682 – 688
წ ..... 689 – 704
ჭ ..... 704 – 705
ხ ..... 705 – 721
ჯ ..... 721 – 724
ჰ ..... 724 – 737
ქართული ანბანი ..... 738 – 738
ლიტერატურა ..... 739 – 741